



თბილისის უნივერსიტეტის გარემოცემობა

მ ი ხ ე ი ლ ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

I

ახალი ქართული ლიბერალიზმი

თბილისი 1972

6 Γ

899.962. 1(09)

ზ 305

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის მიხეილ ზანდუკელის თხზულებანი გამოდის 4 ტომად. I ტომში ძირითადად განხილულია ქართველ რომანტიკოსთა ცხოვრება და შემოქმედება.

ტექსტება იბეჭდება უმნიშვნელო ცვლილებებით. წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა

პროკლე კ ე კ ე ლ ი ძ ე

გრიგოლ კ ი კ ნ ა ძ ე

ნოდარ ტ ა ბ ი ძ ე

ჯუმბერ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

სოლომონ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

პირველი ტომის რედაქტორი

სოლომონ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი



მიხეილ მ. მდივანი

1889 — 1968

მიხეილ ზანდუკელი

ზანდუკელები გუდამაყრის ხეობიდან ჩამოსახლებულან არაგვის პირზე და ჟინვალს ზევით, სოფელ არანისში დასახლებულან. არანისში ჩამოსახლებულ ზანდუკელებს რაღაც დამსახურებისათვის აზნაურობა მოუპოვებიათ და კარგი ადგილ-მამულის მპყრობელნიც გამხდარან. ვახუშტი ბატონიშვილი არანისს ზანდუკელებისად მოიხსენიებს.

სოფელი არანისი არაგვის მარჯვენა ნაპირზე კარგა მადლა მთაზეა შეფენილი. იგი ჩრდილოეთით ჟინვალს გადაჰყურებს, სამხრეთით — არაგვისპირს და არაგვის დინებას თვით თრიალეთ-არმაზის ქედებამდე. სოფელს დასავლეთით ტყე აკრავს, სადაც ახლაც არის ნანგრევები მცირე სამლოცველოსი. სამლოცველოს ირგვლივ გადარჩენილ ტყეს ხატისტყე ჰქვია.

მიხეილ ზანდუკელი თავისი მამის ზურაბის შესახებ იტყობდა: მამაჩემი მონაწილე იყო საბანკო კამათისა და ილია ჭავჭავაძის მომხრეთა შორის იდგაო. ზურაბ ზანდუკელის მეუღლე, ეკატერინე მაღალაშვილის ქალი, კარგი მეოჯახე, ნაკითხი და განათლებულა, გულთბილი ადამიანი ყოფილა. დედის ხსოვნას მიხეილ ზანდუკელი ყოველთვის სათუთად ინახავდა. ზურაბ ზანდუკელს ორი ვაჟი ჰყოლია — ბეჟანი და მიხეილი.

მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი დაიბადა 1889 წლის 14 ოქტომბერს არანისში. 1897 წლის შემოდგომაზე იგი თბილისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს, სადაც 1909 წლამდე სწავლობდა. ქართული გიმნაზია მ. ზანდუკელმა წარჩინებით დაამთავრა.

თბილისის ქართული გიმნაზია ერთადერთი სასწავლებელი იყო, სადაც სწავლება მშობლიურ, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს სასწავლებელი 1879 წელს იყო დაარსებული; მას გზა დაულოცა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც წერდა: „ეს საშუალო სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი ქართული სასწავლებელი, — შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარ ქართულს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელ-

ნიც არიან დედამოძინა ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა*.

როცა მიხეილ ზანდუკელი სასწავლებელში მიაბარეს, დირექტორად ექვთიმე თაყაიშვილი იყო, ხოლო 1897 წლიდან 1909 წლამდე, ვიდრე იგი სასწავლებელში სწავლობდა, მისი მასწავლებლები იყვნენ: ნიკო მთავარელიშვილი, ალექსანდრე ნათაძე, გიორგი იოსელიანი, ზაქარია ჩხიკვაძე, ივანე რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, იოსებ მონადირაშვილი, სეით იაშვილი, არსენ მამულაიშვილი (ლალაონი) და სხვ. ამ მასწავლებლებმა, რომლებიც საზოგადო მოღვაწენი და მწერლობის მუშაკნი იყვნენ, თავის მოსწავლეებს ჩაუნერგეს საქმისა. ხალხისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სიყვარული.

განაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მოსწავლეებზე შიო ჩიტაძეს, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილი შეცვალა სასწავლებლის დირექტორის თანამდებობაზე 1904 წელს. მიხეილ ზანდუკელი ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით, სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებდა მას.

ქართული გიმნაზიის დარბევამ და შიო ჩიტაძის ვერაგულად მოკვლამ ქართველი ახალგაზრდობა კიდევ უფრო მეტად განაწყობა მაშინდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ქართველმა საზოგადოებამ დემონსტრაცია გამართა შიო ჩიტაძის დაკრძალვისას. არა მარტო ქართული გიმნაზიის მოსწავლენი აცილებდნენ საყვარელი მასწავლებლის ცხედარს, არამედ მთელი მაშინდელი საზოგადოება. ის საყურნალო წერილი, რომელიც მიხეილ ზანდუკელმა უძღვნა გვიან საყვარელ და ტკბილად მოსაგონებელ მასწავლებელს, მხოლოდ მცირედი გამომქვადნება იყო შიო ჩიტაძისადმი უდიდესი პატივისცემისა**.

შიო ჩიტაძის მკვლელობის შემდეგ ქართული გიმნაზიის დირექტორად აირჩიეს ალექსანდრე მდივანი, რომელიც სასწავლებელს განაგებდა 1906—1914 წლებში.

გიმნაზია, როგორც ქართული სასწავლო დაწესებულება, რომელშიც ქართული პედაგოგიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, ყოველთვის ეხმაურებოდა ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ღირსმნიშვნელოვან ამბებს. მიხეილ ზანდუკელი იგონებდა იმ პრაოფიციალურ იუბილეს, რომე-

* „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., აპრილი; ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 47.

** ეურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 7.

ლიც ქართულმა გიმნაზიამ გაუმართა ილია ჭავჭავაძეს სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით. ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით მეტად თბილი საღამო მოეწყო გიმნაზიაში. მოსწავლეებმა წაიკითხეს ადგილები მწერლის სხვადასხვა თხზულებებიდან. მოგვიანებით ილია ჭავჭავაძეს ექვთიმე თაყაიშვილისათვის უთქვამს: „დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემს დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომედგინა, თუ ისე კარგად შეიძლებდა ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგებას. მინდოდა წერილობით შემომეთვალა თქვენთვის მადლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამომქლავნებულყო და რაიმე უსიამოვნება არ შეგხვედროდათ“ *.

უსიამოვნებაში ილია ჭავჭავაძე გულისხმობდა იმ ხანებში მისი იუბილეს ჩაშლას მაშინდელ ხელისუფალთაგან და ყველა იმ შედეგს, რომელიც შეიძლებოდა არაოფიციალურ ზეიმს გამოეწვია.

1902 წლიდან ქართულ გიმნაზიაში აღმზრდელად მსახურობდა კოტე მაცაშვილი, რომლის პატივისცემელიც მიხეილ ზანდუკელი ბოლომდე დარჩა **. კოტე მაცაშვილის პოეზიის ძალა, თვით პოეტის განწყობილება და მიმზიდველი გარეგნობა მოსწავლეებში აღძრავდა სიყვარულსა და პატივისცემას და, ამასთან, მორიდებასაც. კოტე მაცაშვილს მეტად რბილი გული ჰქონდა და შესანიშნავი ხავერდოვანი ხასიათი და სრულიადაც არ იყო ისეთი გოროზი შინაგანად, როგორიც გარეგნობა ჰქონდაო — იგონებდა მიხეილ ზანდუკელი. კოტე მაცაშვილის სიყვარული მან ჩააქსოვა იმ ვრცელ გამოკვლევას, რომელიც თავისი საყვარელი მასწავლებლისა და ბრწყინვალე ქართველი პოეტის ხსოვნასა და პოეზიას მიუძღვნა.

მიხეილ ზანდუკელი სხვებთან ერთად იღებდა მონაწილეობას მოსწავლეთა თვითშემოქმედებასა და ლიტერატურულ საქმიანობაში. მას სასწავლებლიდან გამოჰყვა მუსიკის სიყვარული, რომელიც ჩაუნერგეს ქართული მუსიკის მოღვაწეებმა ანდრია ყარაშვილმა და ზაქარია ჩხიკვაძემ. ისინი იმხანად ქართულ გიმნაზიაში მუშაობდნენ.

* ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, გვ. 267.

** მიხეილ ზანდუკელი იგონებდა: „...ვეცხოვრობდი გიმნაზიისთან არსებულ პანსიონში, სადაც ის უფროს აღმზრდელად მუშაობდა. კარგად მახსოვს კ. მაცაშვილის ხელში ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები... მისი მორიგეობა პანსიონში მოწაფეთათვის დღესასწაული იყო. რაღაც გამოუთქმელი სიხარულით შემოგვხეოდით ხოლმე მას...“ (მიხეილ ზანდუკელი, ლიტერატურული ნარკვევები, I, გვ. 17).

1904-5 სასწავლო წელს მიხეილ ზანდუკელი სკოლის ამხანაგებთან — გ. ავალიანსა და პ. დადვაძესთან ერთად იყო რედაქტორი სასკოლო კრებულისა, რომელსაც ერქვა „ღელვა“. კრებულში მოსწავლენი მონაწილეობდნენ; კრებულის სახელწოდება, რასაკვირველია, ანარქელი იყო იმ მღელვარე პერიოდისა, რომელიც 1905 წლის რევოლუციას უსწრებდა-წინ — რუსეთ-იაპონიის ომის დროს. 1905 წლის რევოლუციამ, ცხადია, მოსწავლეებზე, განსაკუთრებით უფროსკლასელებზე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართული გიმნაზიის მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად იხილავდნენ საერთო კრებებზე სწავლების საკითხებს. კრებებზე განხილულ საკითხთა წყება ხშირად სცილდებოდა სწავლის საქმეს და ზოგად პოლიტიკურ შინაარსს იძენდა. მაგალითად, ქართული გიმნაზიის მოსწავლეებმა წამოაყენეს მოთხოვნა საქართველოსათვის ავტონომიური მმართველობის მიცემისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა, გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დამოუკიდებლობისა. გიმნაზიაში შეიქმნა მოწაფეთა საბჭო და სასამართლო *.

შიო ჩიტაძის მკვლელობამ, სხვა მასწავლებელთა ფიზიკურად შეურაცხყოფამ (მაგ., იუსტინე აბულაძეს კონდახით ჰქონდა თავი გატეხილი და დიდხანს მკურნალობდა) და საერთოდ გიმნაზიის დარბევამ (ავეჯი და კედლები დამტვრეულ-დანგრეული იყო) შეაფერხა სწავლაც, ამასთან სკოლის შენობაში ჯარიც ჩააყენეს. ამის გამო 1906 წელს სწავლა დაიწყო სხვადასხვა ადგილზე დაქირავებულ შენობებში. სულ მალე ქართულ გიმნაზიას ის შენობა წამოეშველა, რომელიც მთელი ქართველი ხალხის შეწირულებით შენდებოდა.

მიხეილ ზანდუკელმა ქართული გიმნაზია დაამთავრა 1909 წელს. მაშინ სასწავლებელი ახლანდელი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში იყო მოთავსებული.

1909 წელსვე მიხეილ ზანდუკელი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილების სტუდენტად და სპეციალდებოდა რუსული ენი-

* ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლესია უკრაინკას წერილი დედას თბილისიდან კიევიში. «В грузинской дворянской гимназии, где Читадзе, работали новый устав с правом сходок в присутствии учителей и с ученическим советом, который имеет право вносить свои заявления в педагогический совет; это было достигнуто без битья окон и других бесчинств, благодаря такту директора...» იხ. ლ. მეფარიშვილი და შ. სიხარულიძე, შიო ჩიტაძე, 1964, გვ. 66—67.

სა და სიტყვიერების განხრით. იგი მეცადინეობდა სემინარებში, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ მ. სპერანსკი, მ. როზანოვი, ალ. გრუზინსკი, პ. საკულინი და სხვები.

მოსკოველ ქართველ სტუდენტებს სათვისტომო ჰქონდათ, რომლის საპატიო თავმჯდომარედ მაშინ ალექსანდრე სუმბათაშვილი იუნი იყო. სტუდენტთა სათვისტომო მძლავრ ორგანიზაციად ითვლებოდა, იგი ზრუნავდა ქართველ სტუდენტებზე, აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, ეხმარებოდა ქართველ სტუდენტობას. მიხეილ ზანდუკელი მონაწილე იყო სათვისტომოს მიერ ჩატარებულ იმ მრავალი ღონისძიებისა. მაგალითად, 1912 წელს ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ გაერთიანებული სხდომა მიუძღვნა ბ. ბელინსკის დაბადების ასი წლისთავს. სხდომას ხელმძღვანელობდა პროფ. ალ. გრუზინსკი. სტუდენტებმა პროფ. პ. საკულინი მიიწვიეს მოხსენების წასაკითხავად. მომხსენებელი სტუდენტებს ესაუბრა თურმე ბელინსკის მოღვაწეობისა და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესახებ. პ. საკულინის მოხსენება საკმაოდ გაბედული ყოფილა. მიხეილ ზანდუკელი შემდეგ იგონებდა იმ დღს და ღრმა შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე მოეხდინა რუსი პროფესორის გაბედულ აზრებს, ალ. გრუზინსკის ტაქტსა და ალ. სუჰბათაშვილის მიერ ბელინსკის ერთი სათეატრო რეცენზიის წაკითხვას.

1908 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის მიზნით გადაწყვიტა დაეარსებინა ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო წრე. მისი მოწყობის ინიციატორი ყოფილა გიორგი თედოს ძე ჟორდანიას. წრის მიზანი იყო ქართული კულტურის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლა და მისი პოპულარიზაცია არაქართველთა შორის. ამ წრის წევრები იყვნენ ალექსანდრე ხახანაშვილი და ალექსანდრე ჯავახიშვილი. 1908 წლის აპრილში შეიქმნა წრის ბიურო, რომელმაც საპატიო თავმჯდომარედ ალ. სუმბათაშვილი აირჩია. წრეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ალ. ხახანაშვილი, ხოლო სტუდენტებიდან გამოირჩეოდნენ სილოვან გაბუნია, აკაკი ფალავა, მიხეილ ზანდუკელი, ლადო და გრიგოლ ჭაფარიძეები და სხვ. 1912 წელს ბიურომ მდივნად აირჩია აკაკი ფალავა, ხოლო 1913 წელს თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს მიხეილ ზანდუკელი, მდივნად კი იოსებ ტატიშვილი*.

* ი. ტატიშვილი და თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, 1960, გვ. 220.

1913 წლის იანვარში მოსკოვს ეწვია აკაკი წერეთელი. პოეტს ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს მოსკოველმა ქართველებმა. მთელი სტუდენტობა ესწრებოდა საზეიმო შეხვედრას. მსცოვან პოეტს — „უჯვირკვინო მეფეს“ — დიდი პატივისცემითა და სიყვარულით შეხვდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო წრეც და მოსკოვის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორაც. ამ საღამოს ესწრებოდა რუსი ინტელიგენციაც. აკაკიმ დამსწრე საზოგადოებას მიმართა რუსულ ენაზე: «Близка и не за горами та весна, которая своими лучами согреет не только вас, но и нас, окраинцев. Я всегда верил, что скоро придет обновленная, молодая Россия, а вы, здесь присутствующие, первые ласточки этой новой России. Итак, провозглашаю тост не только за вас, как за первых ласточек этой весны, но и за тех, которые придут за нами не с жюльетками в руках, но с букетом, сотканным из братства, равенства и любви»*. აკაკის უსმენდნენ ალ. სუმბათაშვილი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, პ. ბობორიკინი, ვ. ბრიუსოვი, ვ. გილიაროვსკი, ქართველი სტუდენტები, მათ შორის მიხეილ ზანდუქელიც.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობამ ბევრი შევიწროება განიცადა მაშინ პოლიტიკურ ნიადაგზე. დაუვიწყარია ის სტუდენტური მოძრაობა, რაც გამოიწვია ლევ ტოლსტოის სიცოცხლის უკანასკნელმა დღეებმა — შინიდან წასვლამ და გარდაცვალება-დასაფლავებამ. ტოლსტოის გაქცევას ახალგაზრდობა აბრალებდა იმ არაადამიანურ დამოკიდებულებას, რასაც მთავრობა და სინოდის მეთაურები იჩენდნენ დიდი მწერლის მიმართ.

სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მიხეილ ზანდუქელი მონაწილე იყო შეკრება-პროტესტებისა 1910 წლის ნოემბერში.

განათლების მინისტრად კასოს დანიშვნა იმავე წელს იყო მთავრობის ღონისძიება, მიმართული უმადლეს სასწავლებლებში დემოკრატიული, მემარცხენე პროფესორის წინააღმდეგ, რასაც სტუდენტობამ მძლავრი გაფიცვით უპასუხა. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ამის გამო დააპატიმრეს კიდევ. მიხეილ ზანდუქელი დაპატიმრებულთა შორის იმყოფებოდა.

მოსკოვის უნივერსიტეტი შესანიშნავი სკოლა იყო როგორც მეცნიერებისა, ისე ცხოვრებისა, ამიტომ თავის Alma mater-ს მიხეილ ზანდუქელი ყოველთვის სიამაყითა და სიყვარულით იგონებდა.

* Речь, произнесенная А. Церетели на банкете, устроенном в честь него 13 января 1913 года в Москве, акაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, გვ. 561.

სადიპლომო ნაშრომი მიხეილ ზანდუქელმა დაამუშავა აკადემიკოს მ. სპერანსკის ხელმძღვანელობით. ნაშრომის დაცვის საფუძველზე მან მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი და სამშობლოსაკენ გამოემგზავრა.

ეს მოხდა 1913 წელს.

ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველს რუდოლფს გარკვეული გეზი ჰქონდა აღებული: იგი ცდილობდა, უმაღლეს სწავლამიღებული ქართველები საქართველოდან შორს ჰყოლოდა. მზრუნველმა მიხეილ ზანდუქელს მასწავლებლის ადგილი საქართველოში «ვერ აღმოუჩინა» და ყარსის რეალურ სასწავლებელში გაგზავნა. ეს უნივერსიტეტის დამთავრების წელსვე მოხდა.

ახალგაზრდა მასწავლებელი მონღომებითა და კეთილსინდისიერებით მოეკიდა მასწავლებლის რთულ საქმიანობას — ყარსის რეალურ სასწავლებელში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას.

1914 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო მსოფლიო ომი. ფრონტის ხაზის ერთი მონაკვეთი საქართველოს სამხრეთით, ძველ ქართულ ტერიტორიაზე — არდაგან-არტანუჯის რაიონებში გადოდა. გერმანიის მოკავშირე თურქეთის ჯარი რუსეთის იმპერიას ამ ფრონტზეც უტევდა. სასაზღვრო და საფრონტო რაიონებიდან დაიწყო დაწესებულებათა და მასწავლებელთა ევაკუაცია. რეალური სასწავლებელი ყარსიდან თბილისში გადმოიტანეს. 1914 წელს მიხეილ ზანდუქელი მიიწვიეს იმ სასწავლებელში, რომელიც მას ხუთი წლის წინ ჰქონდა დამთავრებული: მან ქართულ გიმნაზიაში მიიღო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

რევოლუციის შემდეგ მიხეილ ზანდუქელი თბილისის პირველ გიმნაზიაში დაინიშნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ამავე დროს იგი მუშაობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში.

1918 წელს მიხეილ ზანდუქელი ვაჟთა პირველი გიმნაზიის ინსპექტორადაა, ხოლო 1921 წლიდან თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგედ. შრომის სკოლა პირველი გიმნაზიის ბაზაზე და მის შენობაში იყო მოთავსებული რუსთაველის პროსპექტზე. გამგეობასთან ერთად მიხეილ ზანდუქელი მასწავლებლობდა — ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში სამსახურის დრო მიხეილ ზანდუქელისათვის იყო მეტად მნიშვნელოვანი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის ეტაპი. მისი დაუცხრო-

შელი შრომის შედეგად ამ სკოლამ საქართველოში პირველი ადგილი მოიპოვა. საცდელ-საჩვენებელი სკოლა გადაიქცა სანიმუშოდ რესპუბლიკის სკოლებისათვის ახალი სკოლის პრინციპებისა და მეოოდების დამუშავების, გამონახვისა და პრაქტიკულად სასწავლო პროცესში დანერგვის თვალსაზრისით.

მიხეილ ზანდუკელმა აღნიშნულ სკოლაში თავი მოუყარა საუკეთესო პედაგოგებს. მუშაობა პირველ სკოლაში საპატიო მოვალეობად მიიჩნდა ყველას. მიხეილ ზანდუკელთან ერთად ახალი სკოლის პრინციპების დადგენის ეტაპზე თავგამოდებით იღვწოდნენ მისი მასწავლებლები: იაკობ ზედგინიძე, ვასილ აბდუშელიშვილი, თამარ ზალიშვილი, ივანე რატიშვილი, ივანე ნიჟარაძე, სიმონ ვაჩნაძე, სიმონ გოგლიჩიძე, დავით დონდუა, ტერენტი ვეფხვაძე, მაღაქია სირაძე და სხვ. თითოეული მათგანი გამოცდილი და ნაცადი მასწავლებელი იყო, დიდი ხნის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ჰქონდა. ისინი სახელმძღვანელოთა ავტორები და ნაცადი მეთოდისტები იყვნენ.

პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა იყო ნიმუში წესრიგისა, მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის მეგობრული დამოკიდებულებისა, რამაც ხელი შეუწყო მოწაფეთა შემოქმედების გაფართოებას და მათ შესაძლებლობათა გამომჟღავნებას. სკოლაში მოწყობილი სახელოსნოები, ფიზიკური აღზრდის მართებული პრინციპები, პოლიტექნიზმი სწავლებაში, სასკოლო და პედაგოგიური დისციპლინა და მასწავლებელთა კოლექტივი იყო საფუძველი იმას. რომ სკოლა მართლაც სანიმუშო და საჩვენებელი ყოფილიყო იმ პერიოდში, როცა მას ბუნებრივად შეერქვა „ზანდუკელის სკოლა“.

მიხეილ ზანდუკელი ამ სასწავლებლის ხელმძღვანელად მუშაობდა 1929 წლამდე. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა თეორიულ-მეთოდოლოგიური შინაარსის ბევრი წერილი, რომლებშიც განხილულია საშუალო სკოლაში შრომისა და პოლიტექნიზმის პრინციპების აქტუალური საკითხები, მოცემულია მეცნიერულ-პედაგოგიური დასაბუთება იმ დებულებებისა, რომლებიც პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებით იყო ნაკარნახევი.

მიხეილ ზანდუკელი 1921—1922 წლებში დაინიშნა საქართველოს განათლების კომისარიატში საშუალო და უმაღლესი სკოლების მთავარსამმართველოს გამგედ. ამ სამმართველოს ევალეობდა სასკოლო რეფორმის ფატარება საქართველოს რესპუბლიკაში. როგორც მიხეილ ზანდუკელი წერს: „მთელმა სიმძიმემ ამ რთული-



საქართველოს სსრ სახელმწიფო საქმეთა სამსახური, 1933 წ.
პირველი რიგი: მარცხნიდან მკობე — სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის, ჩაქვაბუკილი
მეჩხე — მაღაზინების მფლობელი ხანოშვილი.



დამირი რაკიშვილი (მეორე რიგში მარცხნიდან მეორე) და მახვილ ჩხადაველი
(ბოლო რიგში მარცხნიდან მეორე) მოსკოვის კ. რაჯულ სტოდინტო
საფოსტო-ბიუროში, 1911 წ.

რეფორმისა, შეიძლება ითქვას, ჩემსა და მის. თავთაქიშვილის ზურგზე გადაიარა“.

1921 წელსვე მიხეილ ზანდუკელი იყო მდივანი განათლების კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსი, რომელსაც ევალეზოდა ქართული ტერმინოლოგიის საკითხების მოგვარება იმ სახელმძღვანელოთათვის, რომელთა შედგენის ფართო პროგრამა იმთავითვე იქნა დასახული. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მდივანი — მიხეილ ზანდუკელი. 1923 წლიდან მიხეილ ზანდუკელი უძღვებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს თბილისის სამწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის მოვალეობა იყო მასწავლებელთა მომზადება სკოლის მზარდი ქსელისათვის საქართველოში. ერთი უნივერსიტეტი, რომელმაც მანამდე ორიოდ გამოშვება მოასწორო, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა იმ დიდ მოთხოვნილებას, რაც განათლების სისტემის რეკონსტრუქციამ წაუყენა უმაღლეს სასწავლებელს. მიხეილ ზანდუკელი ამ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა 1928 წლამდე.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით მიხეილ ზანდუკელი მიიწვიეს უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამის შემდეგ იგი ერთხანს კვლავ განაგრძობდა მუშაობას პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, შემდეგ კი — 1929 წელს მთლიანად გადავიდა უმაღლეს სასწავლებლებში, ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწორედ უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტებისათვის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის კითხვა გახდა საფუძველი მისი „ახალი ქართული ლიტერატურის“ სამტომიანი წიგნისა.

1927 წლიდან იმავე ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მიხეილ ზანდუკელს დაევალა მეორე დისციპლინის — ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის კითხვა, რაც აგრეთვე საფუძველი გახდა მის მიერ ამ საგანში პირველი ქართული სახელმძღვანელოს დაწერისა უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

1929 წელს მიხეილ ზანდუკელს დოცენტის წოდება მიენიჭა. ამავე წლიდან 1931 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ. ბიბლიოთეკის დირექტორთან — გიორგი გეხტმანთან ერთად მიხეილ ზანდუკელმა

დიდო შრომა გასწია საბიბლიოთეკო საქმის მართებული ორგანიზაციისათვის.

1932 წლიდან მიხეილ ზანდუკელს მიენდო ასპირანტების მომზადება ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან აქაც ნაყოფიერად იმოღვაწა. ამ პერიოდში, გარდა თბილისისა, საქართველოს სხვა ქალაქებშიც შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლები, პირველ რიგში ქუთაისში, რამაც მოითხოვა უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა მომზადების ორგანიზაცია. რამდენადაც ეს სასწავლებლები პედაგოგიურა იყო, ბუნებრივია, მათთვის საჭირო იყო მასწავლებლები ქართული ლიტერატურის დარგშიც. სწორედ მიხეილ ზანდუკელის ხელმძღვანელობით მომზადებული კადრები უძღვებოდნენ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს ამ სასწავლებლებში. ასპირანტების ხელმძღვანელობას იგი აწარმოებდა თბილისსა და ქუთაისში.

1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ქართული ენისა, ლიტერატურისა და ზელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ელხი“). ამ ინსტიტუტში იყო რამდენიმე სექცია, მათ შორის ახალი ქართული ლიტერატურისას მიხეილ ზანდუკელი ხელმძღვანელობდა.

1933 წლიდანვე მიხეილ ზანდუკელი სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და კარგა ხანს განაგებდა მას. ეს იყო ამ კათედრის მუშაობის დიდად ნაყოფიერი პერიოდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და კადრების მომზადების მხრივ.

1942 წლის ნოემბრამდე იგი მართავდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს და იყო ამ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1935 წელს მიხეილ ზანდუკელმა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის საძიებლად. 1936 წ. 17 აპრილს მიხეილ ზანდუკელმა დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო „ხალხოსანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში“. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ კორნელი კეკელიძე და გრიგოლ ნათაძე.

1935 წლიდან, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდანვე, მიხეილ ზანდუკელი იყო ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე და კითხულობდა ლიტერატურის ისტორიის კურსსაც.

1960 წლის 27 თებერვალს, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, მიხეილ ზანდუკელს უნივერსიტეტმა გადაუხადა იუბილე. თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი გაივსო მისი პატივისმცემლებით, თანამშრომლებითა და ნამოწაფრებით. საიუბილეო საღამოზე ბევრი სიტყვა ითქვა მის დამსახურებაზე, სამეცნიერო მუშაობაზე, უანგარობაზე, კაცთმოყვარეობაზე. ეს იუბილე იყო გამომქლავნება იმისა, თუ რა ურღვევი კავშირი შეიძლება არსებობდეს მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის, როცა იგი აგებულია ადამიანურ-მოქალაქეობრივ ურთიერთობაზე და როგორი წრფელია სიყვარული და პატივისცემა იმის მიმართ, ვისაც გულით უმუშავნია ახალი თაობის აღზრდისათვის.

1968 წლის 2 აპრილს მიხეილ ზანდუკელი გარდაიცვალა დაბადებიდან 79 წლისა. მიუხედავად წლების სიხშირისა, მან ბოლომდე შეინარჩუნა ახალგაზრდული ტემპერამენტი, იერი, თავის დაქვერა, დაუცხრომელი ინტერესი საუნივერსიტეტო მუშაობისა, პრესისა, თეატრისა და საერთოდ ყოველი ცხოვრებისეული მოვლენისადმი.

მიხეილ ზანდუკელს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით სახალხო განათლების დარგში წარჩინებული მოღვაწეობისათვის; იყო თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური საზოგადოების ფუძემდებელი და აქტიური წევრი. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა მიხეილ ზანდუკელის სახელი; თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მემორიალური დაფა გაუყეთდა სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა და გარდაიცვალა. სოფელ არანისში მისი ხარჯით აიგო კულტურის სახლი. სოფლის სრული საშუალო სკოლის შენობაში მოწყობილ მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მიხეილ ზანდუკელის სტენდს.

მიხეილ ზანდუკელის ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები მოწმობს, რომ იგი კვლევის წარმართვას აპირებდა ლიტერატურული პროცესის საკვანძო საკითხების დასმისა და დამუშავების გზით. ეს ძირითადი საკითხები მეცხრამეტე საუკუნის მთავარ ლიტერატურულ მიმდინარეობებს მოიცავს: პირველ ნახევარში — რომანტიზმს, მეორე ნახევარში — რეალისტურ ლიტერატურას.

1927 წლის „მნათობში“ (№ 1) იგი აქვეყნებს წერილს „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“, სადაც განხილულია ქართული რომანტიზმის წარმოშობის პირობები, მისი კავშირი სხვა ქვეყნების რომანტიკულ ლიტერატურასთან, ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება და ამ ლიტერატურული მიმართულების ხასიათი.

უპირველეს ყოვლისა, გამოკვლევაში ქართული რომანტიზმი განხილულია როგორც შედეგი ქართველი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობისა; იგი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული ლიტერატურის სტილია. ქართული რომანტიზმი ეროვნული რომანტიზმია. იგი ენათესავება რუსულსა და ევროპულ რომანტიზმს. ამ საუკუნეში ქართველ ხალხს მიეცა საშუალება გაეცნო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, გაეფართოებინა მხატვრული ინტერესი. ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველი პოეტია საქართველოში და ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც გაბედულად თქვა სიტყვა და განაეითარა ქართული რომანტიზმის თემები და მოტივები. მკვლევარი ლაკონურად, მთავარ დამახასიათებელ ხაზებში განიხილავს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის თემატიკას, პოეტურ შესაძლებლობასა და შემოქმედების სპეციფიკურობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი განხილულია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, რომელმაც ამოწურა ქართული რომანტიზმი და ქართულ ლიტერატურას გზა გაუხსნა რეალიზმისაკენ. „ნ. ბარათაშვილი... მომავლის გზის ფამონახვის ატმოსფეროში უნდა შესულიყო მთელი თავისი მოუსვენარი, ძლიერი და ცხოველი ტემპერამენტით, რომ უდროო სიკვდილს არ მოესპო მისი სიცოცხლე...“. ნიკოლოზ ბარათაშვილის მღელვარე გრძნობები და ზრახვანი, შედეგი ახალი ცხოვრების წინათგრძნობისა, უფრო გამოკვეთილად განასახიერა მისმა მემკვიდრემ ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ.

ამრიგად, მიხეილ ზანდუქელისათვის სრულიად ცხადია ის შინაგანი ურთიერთობა და კავშირი, რომელიც არსებობს ეპოქის წამყვან ადამიანთა შეხედულებებს შორის. ქართული რომანტიზმის ძირითადი მოტივი ეროვნულია, — დაასკვნის მკვლევარი და ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას სრულიად გარკვეულად აძლევს საზოგადოებრივ-ეროვნულ მნიშვნელობას.

1928 წელს მიხეილ ზანდუქელმა გამოსცა წიგნი „თერგდალეუ-

ლები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“. ეს წიგნი მან მიუძღვნა მნიშვნელოვან თემას — ქართველ სამოციანელთა და ოთხმოციანელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ შემოქმედებასა და მოღვაწეობას, ილია ჭავჭავაძეს, როგორც სამოციანი და შემდეგი წლების ქართული ლიტერატურის დიად ფიგურას, ქართული საზოგადოებრივი აზრის ვითარებას სამოციან-ოთხმოციან წლებში, თერგდალეულებისა და ხალხოსნების მრწამსსა და მათ შორის ურთიერთკავშირს.

ლიტერატურულ პროცესს მკვლევარი განიხილავს ხალხის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, კულტურული ყოფის ფონზე. იგი წარმოადგენს სინამდვილის ასახვას სახეობრივი სისტემით; ლიტერატურა გამოხატავს თავის თანადროულობას და არის მისი (თანადროულობის) მხატვრული სახე. ქართული ლიტერატურა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების თანამდევია, იგი მტკიცედ არის ამოზრდილი მშობლიური ხალხის გროვულ, სოციალურ, კულტურულ შეგნებაზე. იდეები, თემები, სახეები ლიტერატურისა ჩნდება ეროვნულ ნიადაგზე, თუმცა ლიტერატურის ფანვითარებაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორებიც — ლიტერატურული ურთიერთობანი, ლიტერატურული გავლენანი და სხვ. თვითმყოფმა ქართულმა ლიტერატურამ თავისი არსებობის მანძილზე განავითარა საკუთარი მხატვრული ინტერესი, შექმნა საკუთარი მხატვრული აზროვნება, რომელსაც ისტორიის მანძილზე ერთვოდა სხვა ხალხთა კულტურაც.

მთავარი პათოსი მიხეილ ზანდუკელის მეცნიერული კვლევადიებისა იყო ეროვნული თვითმყოფობისა და თავისებურებათა ჩვენება მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ აზროვნებაში.

აღნიშნულ წიგნში მიხეილ ზანდუკელმა, პირველად ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში, გამოპყო თემა — ქართველი ხალხოსნები და მოგვცა ყოველმხრივი დახასიათება 70-80-იანი წლების ქართული ლიტერატურის იმ ფრთაზე, რომელიც იდუარად გამოეყო სამოციანელთა შეხედულებებს და, როგორც ნიკო ხაზანაშვილი იტყოდა, გლახკაცის სული და გული შეიყვარა, გლახობის ეკონომიური და სოციალური ცხოვრების აღწერას შეუდგა. მიხეილ ზანდუკელის მოსაზრებით, თუმცა ხალხოსნები თავისი მსოფლმხედველობითა და მოღვაწეობის ხასიათით აგრძელებენ თერგდალეულთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას, ბევრი რამ მათგან შეიძინეს (იგულისხმება მხატვრული აზროვნება, მხატვრული ხერხები, ენა და სხვ.), მაგრამ მაინც სხვანაირია მათი მიმართულება. ხალხოსნების მხატვრული აზროვნების საფუძველი იყო ქართველი გლახის

ყოფა-ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების განვითარების პირობებში. ხალხოსნების შემოქმედება ძირითადად მოიცავს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების უდიერი პირობების აღწერამ, სახელმწიფო აპარატის, სოფლის ადმინისტრაციისა და ეკლესიის მსახურთაგან გლეხობის ექსპლოატაციის სურათებმა, დაჩაგრული და დამონებული, სიბნელით მოცული გლეხის ცხოვრების აღწერა-მოთხრობამ.

უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის კითხვის საფუძველზე მიხეილ ზანდუკელმა შექმნა საფუძვლიანი ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა“, რომლის პირველი წიგნი 1932 წელს გამოვიდა.

„ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველ გამოცემაში შეინიშნებოდა კვალი ჩვენი საუკუნის 10-20-იანი წლების ლიტერატურის-მცოდნეობაში გავრცელებული შეხედულებებისა, რომელთა სათავე ე. წ. ისტორიული სკოლის წიაღია, საიდანაც ამოდიოდნენ პ. საკუ-ლინი, ვ. ფრიჩე, ვ. მილერი და სხვანი. მათი დებულებები დამყარებული იყო სოციოლოგიურ მეთოდზე (პ. საკულინი) და მხატვრულ ნაწარმოებში მხოლოდ ცალკეული კლასებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების შეხედულებათა თუ იდეოლოგიის გამომქდავენბაზე (ვ. ფრიჩე). მაგრამ ეს იყოს ხარკი მიხეილ ზანდუკელისაგან გადახდილი ეპოქის მიმართ. ავტორმა შემდეგ შეცვალა აღრეული შეხედულებანი და ქართულ ლიტერატურას იხილავდა თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის პრინციპებით. მართებულად ახასიათებს აკად. გ. ჯიბლაძე მიხეილ ზანდუკელის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იგი წერს: „ვერ ვიტყვით, რომ ამ ვრცელ გამოკვლევებში არ იყოს სადაო დებულებები... მაგრამ ამჟამად ეს კი არ არის მთავარი; არსებითია დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი ფუნდამენტალური გამოკვლევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასე ნათლად რომ მოწმობენ მათი ავტორის ტალანტს, უანგარო სიყვარულს მშობლიური ერისა და მისი დიდი მხატვრული შემოქმედებისადმი; ესთეტიკურის განცდა, რომელიც ცხადად გაგრძნობინებს თავის სილამაზეს; ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით თვითეული ნაწარმოების ანალიზის უნარი; მეცხრამეტე საუკუნის როგორც ქართული, ისე რუსული დავერობის ლიტერატურის ღრმა ცოდნა...“*.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა მიხეილ ზანდუკელს.

* გ. ჯიბლაძე, ლიტერატურის ისტორიის გზებზე, კრიტიკული ეტიუდები, IV, 1963, გვ. 538—539.

წარმოდგენილი აქვს წინა პერიოდის ქართული ლიტერატურის ბუნებრივ და ორგანულ იჯაგრძელებად, რადგან მკვლევარი ლიტერატურის მთლიან პროცესს განიხილავს, როგორც მხატვრულ აზროვნებას, თავისებურ დამოკიდებულებას და კავშირს სინამდვილესთან, ამ სინამდვილის ანარეკლს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურის ხასიათის გასაგებად აუცილებელია აღორძინების პერიოდის მწერლობის გათვალისწინება. რომანტიკული ლიტერატურის განხილვისას ამ ლიტერატურული მიმართულების ზოგად დებულებებთან ერთად მკვლევარს აინტერესებს ეროვნული ხასიათი და ის ადგილობრივი პირობები, რამაც ხელი შეუწყო ქართული რომანტიზმის განვითარებას. ქართველ რომანტიკოსთა ეპოქა წიგნში ვრცლად არის მიმოხილული და მოცემულია ფართო ანალიზი მხატვრული აზროვნებისა. ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის გვერდით განხილულია შემოქმედება და აზროვნება იოანე ბაგრატიონისა, სოლომონ დოდაშვილისა, სოლომონ რაზმაძისა.

„ახალი ქართული ლიტერატურის“ ტომების სხვადასხვა გამოცემების შედარება გვიჩვენებს, რომ ავტორი განუწყვეტლივ სრულყოფდა და აუმჯობესებდა თავის შრომებს, რაც იყო შედეგი დაუცხრომელი მუშაობისა, ხელნაწერების, მივიწყებული მწერლების შემოქმედების შესწავლისა და მათი ნაღვაწის გამომზეურებისა.

„ახალი ქართული ლიტერატურა“ არკვევს და სწავლობს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების XIX საუკუნის ეტაპს, ლიტერატურულ მიმართულებებს, კულტურის ისტორიას. მასში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ამ პერიოდის თვალსაჩინო მწერლები. ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის გაანალიზებული, მაგალითად, „თერგდალეულობა“ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში. ამასთან განხილულია ის კავშირი, რომელიც გააჩნდა „თერგდალეულთა“ თაობას რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, შესწავლილი არიან 60-იანი წლების მოღვაწეები, ვრცლადაა გაანალიზებული თითოეულის შემოქმედება. „თერგდალეულობის“ ანალიზის სისრულისა და ამომწურავად დახასიათების მიზნით მიხეილ ზანდუკელი განიხილავს ორი იდეოლოგიის — ძველისა და ახლის არსს და მათ დაპირისპირებას, ქართულ პრესას („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“), ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის აზროვნების კავშირს ქართულ ლიტერატურასთან, თვით თერგდალეულთა — ილია ჭავჭავაძის,

აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის — მხატვრულ შემოქმედებას, 60-70-იანი წლების სხვა მწერლების: ნიკო ნიკოლაძის, რაფიელ ერისთავის, გიორგი ჭალაღიდელის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობას და, ამრიგად, ქმნის სურათს ამ დიდი ეტაპისა როგორც ქართული ლიტერატურის, ასე საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ეპოქის მამოძრავებელ ძალთა დახასიათება, მწერლის მხატვრული შემოქმედება, თითოეული ნაწარმოების განხილვა, შესწავლა მწერლის პოეტიკისა — ასეთია მეთოდი მიხეილ ზანდუკელისა.

ასევე იკვლევს მეცნიერი ქართული ლიტერატურის მომდევნო ეტაპს — ხალხოსნების ლიტერატურას. აქაც ჩანს ძიება, ახლას მიგნება, ლიტერატურული პროცესის ახალი სახელებით გამდიდრება.

მიხეილ ზანდუკელმა დაწვრილებით განიხილა ქართველ ხალხოსან მოაზროვნეთა და მწერალთა შეხედულებანი, მათი პრესა, მათი კავშირი წინა ეპოქასთან, ის სიახლე მსოფლმხედველობაში, რაც მათ შემოიტანეს ლიტერატურაში. მკვლევარმა შეაფასა ქართველ ხალხოსანთა მხატვრული შემოქმედების რაობა, დაახასიათა მათი სტილი, მანერა, ხერხი. მან დაწვრილებით იმსჯელა ქართველი ხალხოსნების იდეურ კავშირზე „ნაროდნიკებთან“, ხალხოსნების პოზიტიურ შეხედულებებზე და იმ ნაკლზე, რაც ორგანული იყო მათთვის. მკვლევარს არ გამოარჩენია აღენიშნა, რომ ნიკო ლომოუჩის, ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებაში მკაფიოდ ჩანს ილია ჭავჭავაძის მხატვრული აზროვნების დიდი ანარეკლი, რომ ქართველმა ხალხოსნებმა ი. ჭავჭავაძის არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედება განიცადეს, არამედ თემატიკურიც პატრიოტული განწყობილების ჩვენების თვალსაზრისით.

ქართული ხალხოსნობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში. იგი საჭიროებდა კვალიფიკაციასა და თავისი ადგილის მიჩენას ქართული კულტურის ისტორიაში, რაც მიხეილ ზანდუკელმა შეასრულა.

1928 წელს გამოცემულ წიგნში „თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“ მკვლევარმა გამოჰკვეთა ის როლი, რომელიც შეასრულა ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. იქიდან მოკიდებული მიხეილ ზანდუკელი ილია

ჭავჭავაძეს სხვადასხვა თვალსაზრისით სწავლობდა, აფასებდა მას როგორც მოქალაქეს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, მოაზროვნეს. „ახალი ქართული ლიტერატურის“ მეორე ტომში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძეს. იგი ნაშრომში დახასიათებულია, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, ახალი საქართველოს საფუძველჩამყრელი, პიროვნებისა და შრომის თავისუფლებისათვის და პოლიტიკური რადიკალიზმისათვის მებრძოლი. ილია ჭავჭავაძე წარმოდგენილია როგორც ჩამორჩენილობისა და რუტინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, პატრიოტი და მზრუნველი სამშობლოს აღდგენა-გაძლიერება-დამოუკიდებლობისა, კაცთა შორის სიყვარულის მქადაგებელი, სოციალური უთანასწორობისა და მისი ბოროტი შედეგების წინააღმდეგ ამხედრებული პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი. ვრცლად არის შესწავლილი „ოთარაანთ ქვრივისა“ და „განდევლის“ შემოქმედი, მისი მრისხანე სატირა და ელევგური ლირიკა, ეპიკური თხრობის მანერა და საშუალებანი და ეს ყველაფერი დასაბუთებული და ახსნილია ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მასალით.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმა შესწავლის შედეგია მისი შრომა „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, რომელაც 1964 წელს დაიბეჭდა*. ნაშრომში მკვლევარმა განიხილა ი. ჭავჭავაძის იგავური ენა, პოემებისა და მოთხრობების მხატვრული აღნაგობა, პერსონაჟთა ხასიათისა და ბუნების გახსნის საშუალებანი, პოეტური ლექსიკა და ლირიკულ გადახვევათა ადგილი და მნიშვნელობა.

მიხეილ ზანდუკელს ილია ჭავჭავაძის აზროვნებისა და შემოქმედების, მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლა ამოუწურავად მიაჩნდა. „ილია ჭავჭავაძის ღირსეულად შეფასება, — წერდა იგი, — ჯერ კიდევ ძნელი და რთული საქმეა. ამოუწურავია მის შთამაგონებელ აზრთა, მისწრაფებათა და საქმეთა სიუხვე, სიღრმე და სიფართოვე. იგი ქართული მიწიდან ამოზიდული საოცარი ზოდია—უხვი, როგორც საქართველოს ბარი, მრისხანე, შეუპოვარი და ბუმბერაზი, როგორც საქართველოს კლდოვანი მთა“**.

1953 წელს დაიბეჭდა მისი მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველა“. „ვაჟა-ფშაველა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში მზის სხივებით ანთებულ და მასთან ერთად მთის ჯანლითა და ნის-

* მეორე გამოცემას (1968 წელს) ავტორი ვედარ მოესწრო.

** მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ., 1968,

ლით დაბურულ მწვერვალსავით გამოსჩანს. მისი შემოქმედება უხვად ბრწყინავს ნაირ-ნაირი ბუნებრივი ფერებით, რაც მას მეტად თავისებურ, არაჩვეულებრივ მიმზიდველობასა და ადგილს აძლევს ქართულ ლიტერატურაში — ასე იწყებდა მიხეილ ზანდუკელი ვაჟა-ფშაველას რთული და ძლიერი შემოქმედების ანალიზს. წიგნის მიზანი იყო პოეტის შემოქმედების ბუნებისა და თავისებურებების გარკვევა, ჩვენება ვაჟას პოეტური აზროვნებისა და ნიჭისა კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე, ჩვენება ვაჟას საოცარი მხატვრული შესაძლებლობისა. პოეტის შემოქმედების გენეზისისათვის მკვლევარი იძიებს ვაჟას პოეზიისა და ქართული კლასიკური ლიტერატურის მართიერთებელ ხაზებს, ვრცლად ჩერდება 1905 წლის რევოლუციისა და მის წინა პერიოდის შეფასებაზე, როცა ჩამოყალიბდა ვაჟას მრწამსი და პოეტური ძალა. მონოგრაფიაში ნაჩვენებია პოეტის ძიება გმირის ხასიათის ჩამოყალიბების საქმეში, სამყაროს „ტრიალის“ კანონზომიერება ვაჟას შემოქმედებაში, თემისა და პიროვნების დამოკიდებულების საკითხი, ვაჟა-ფშაველას თანამედროვე სოფელი და სოფელები, საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლების ძიება და დახასიათება აწმყოსა და მოპავალში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კავშირი ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან, დასასრულ, ვაჟა-ფშაველას პოეტიკა და მისი ლექსის ხასიათი. ვაჟა-ფშაველა თავანკარა მოაზროვნე პოეტია, ღრმა და აუცილებელი კავშირით ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებული, ხორცი ხორცთავანი ქართველი ერის სასიცოცხლო ძარღვისა, ერის წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა, მონაწილე ქართველი ერის სიბრძნისა. ვაჟა-ფშაველას პოეზია არის ანარეკლი მისი დროის დიდი მოვლენებისა. ვაჟას პოეტურ აზროვნებაში სიცოცხლე, ბუნება, სამყარო წარმოდგენილია უთვალავ საგანთა და მოვლენათა მძლავრ, მჭიდრო მთლიანობაში, რომელშიც ყოველ ცალკე მოვლენას თავისი შეუცვლელი ადგილი უჭირავს. ვაჟა-ფშაველას წარმოდგენით სამყარო უნივერსალური მთლიანობაა აურაცხელ მრავალფეროვნებათა, რასაც ახასიათებს მუდმივი, განუწყვეტელი კავშირი, მოძრაობა, წინააღმდეგობა და ჭიდილი. ადამიანის ცხოვრება ტანჯვა-სიხარულითა და სიკვდილ-სიცოცხლით ამ უნივერსალური სამყაროს, ამ სიცოცხლის მომენტია. ბუნება ბრძოლისა, შეთანხმებისა და განვითარების მთლიანი პროცესია, სადაც მოქმედი ძალები მარადიული კანონზომიერებით არიან შეკავშირებული:

ხევი მთას მონებს, მთა ხევსა,
წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყველანი მიწას და მიწა
თავის აღზრდილთა მცენარეთ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გამსჭვალულია მაღალი საზოგადოებრივი გრძნობით — ჰუმანიზმით. იგი არის მისი მსოფლმხედველობის საფუძველი და პოეტური შემოქმედების ძირი; საზოგადოებრივი ცხოვრების შემფერხებელი ძალა, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ბუნებასა და მოთხოვნილებას, უთავბოლობა და მოუწესრიგებლობა მაშინდელი ცხოვრებისა არის საბაზი მწერლის მტანჯველი ძიებისა, ახალი, უკეთესი, სამართლიანი არსებობისაკენ მისწრაფებისა. პოეტი ესწრაფვის საზოგადოებრივისათვის პირადის დამორჩილების საფუძველზე დამკვიდრებულ ყოფას. ამგვარ ძირზეა გაშლილი ვაჟა-ფშაველას დაუოკებელი, ამბოხებული, შეურიგებელი მოღვაწეობა.

ვაჟა-ფშაველა ჩვენი ეპოქის ღვიძლი შვილია, რადგან იგი თავისი მხატვრული შემოქმედებით, მხატვრული აზროვნებით ისეთ დიდბუნებოვან ადამიანთა შორის დგას, რომლებიც კაცობრიობის მოძრაობის მაგისტრალზე დგანან და ხალხთა განვითარების მანლობელ და შორეულ გზათა მაჩვენებელი არიან.

1966 წელს მიხეილ ზანდუკელმა დაბეჭდა წიგნი შიო არაგვისპირელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

შიო არაგვისპირელის თხზულებების თემა სამშობლო და მშრომელი ადამიანების — გლეხების ცხოვრება იყო, რომელნიც ველურ სოციალურ და ეკონომიურ გარემოში მოქცეულნი, სასიცოცხლო ძალებს მოკლებულნი იღუპებოდნენ. შიო არაგვისპირელის თხზულებების პერსონაჟებს დიდი უნარი აქვთ შრომის, შემოქმედების, შიშისა და ოჯახის სიყვარულისა, მაგრამ ყველაფერი უფასურდება და არარად იქცევა, რადგან მშრომელ ადამიანს დაფასება და პატივისცემა არა აქვს, მას ადამიანად არ თვლიან. რა გრძნობებისა და ადამიანობის მატარებელი არიან მშრომელი, რა გულწრფელი და რა გულმართალია მათი საქციელი, ფიქრი და აზრი, მაგრამ ვინაა დამფასებელი, რაც მთავარია, ვინაა მფარველი და მხსნელი მისი.

მონოგრაფიაში ნაბიჯ-ნაბიჯ არის განხილული შიო არაგვისპირელის შემოქმედება, მისი ნოველები. ნაშრომში გახსნილია ყველა თემა და საკითხი, ნაჩვენებია მწერლის კრიტიკული და მკაცრი დამოკიდებულება უადამიანობისადმი, ხალხის დამჩაგვრელთა მიმართ,

იქნებიან ისინი ვაჰარნი, მაღალი წოდების ნარჩენნი, მთავრობის წარმომადგენელი თუ სხვანი. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მწერლის მხატვრულ ძალოვანებას, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ხერხებს, მის საკუთარ მანერას ადამიანისა თუ სიტუაციის ჩვენებისა, ხასიათის გახსნისა, ნოველური სტილის მოხმარებისა, ენობრივი მასალის გამოყენებისა, ნაწარმოების დასათაურებისა და სხვ.

მიხეილ ზანდუკელმა გამოაქვეყნა „ლიტერატურული ნარკვევების“ ორი წიგნი (პირველი — 1957 წ., მეორე — 1961 წ.). მათში ავტორმა ნაწილობრივ შეიტანა ის მასალა, რომლის გამოქვეყნებასაც იგი აპირებდა მაშინ, როდესაც პირველად შეუდგა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნას. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, 80-90-იანი წლების ლიტერატურის პარალელურად ავტორს განზრახული ჰქონდა განეხილა ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელისა და გრიგოლ (გრიშა) აბაშიძის შემოქმედება. ამ მწერლებს იგი მიაკუთვნებდა ქართული რომანტიზმის დეკლანსიო გამომხატველთა წყებას*.

„ლიტერატურული ნარკვევების“ პირველ წიგნში შეტანილია აგრეთვე გამოკვლევა კოტე მაყაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მიხეილ ზანდუკელმა ბევრი საინტერესო ცნობა გამოძებნა არქივებში და გამოიტანა მზის სინათლეზე, რაც ნათელსა ჰფენს კოტე მაყაშვილის ცხოვრებასა და პოეზიას! ვრცელ გამოკვლევაში მოცემულია ბევრი საინტერესო დეტალი პოეტის ბიოგრაფიისა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ შემოქმედების ხასიათის გამოკვეთაში და რომელნიც მკვლევარმა გამოიყენა პოეტის განწყობილებათა ასახსნელად. „კოტე მაყაშვილის შემოქმედება, — წერს იგი, — რომლის ძირიც ქართული ცხოვრებისა და ქართული ლიტერატურის წიაღში ჩნდება და მტკიცდება, საქმარისი სიცხადით იღებს საზრდოს... ქართველი რომანტიკოსებისა... თერგდალეულთა და 900-იან წლებში დემოკრატიული მწერლობის ანაკადებულნი შემოქმედებიდან“**. გამოკვლევაში მოცემულია გენეზისი კ. მაყაშვილის პოეტური აზროვნებისა, დახასიათებულია წყაროები მისი პოეზიისა და დასაბუთებულია მისი მხატვრული შემოქმედების არსი—პოეტის სევდიან-ნაღვლიანი განწყობილება არის შედეგი შემოქმედისა და გარემოს შეპირისპირებისა. კოტე მაყაშვილის პოე-

* ამ მწერალთა შემოქმედების ანალიზი მოცემულია „ლიტერატურული ნარკვევების“ პირველ წიგნში.

** მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, I, თბ., 1957, გვ. 21.

ზია გამობატავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ-სუბიექტურ განცდებს, არამედ ღრმა საზოგადოებრივ, საერთო უკმაყოფილებას. თანამედროვეობით გაწამებულ მწერალს წარსულისაკენ გადააქვს ხედვა. წამების ღამეები, უსიხარულო ღღეები, სასოწარმკვეთი ფიქრები შედეგია საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობისა.

მწარე ფიქრები, მძიმე ფიქრები,
სადაც კი წავალ მედგრად მღევნიან,
სულს ფრთა მოკვეთილს, ჩემს სულს მღელვარეს
ყვაჟ-ყორნებით გარს ეხვევიან,
მწარე ფიქრები, მძიმე ფიქრები
მთელ სამყაროში ვერ ეტევიან...

ეს 1906 წელს დაწერილი ლექსია, რომელშიც მღელვარე მოვლენებით გაწამებული პოეტი ანალიზს უკეთებს უსამართლობას, ძალმომრეობას, ადამიანის ყოფისა და გონების შეუსაბამო ვითარებას.

კოტე მაყაშვილის პოეზიაში მიხეილ ზანდუკელმა წინ წამოსწია მძლავრი ნაკადი სამშობლოს სიყვარულისა. მწარე ფიქრები და განცდები იყო შედეგი სამშობლოსა და ერის სავალალო მდგომარეობისა. პოეტი განიცდის თანამედროვეობის სიმწარეს, მაგრამ არ რჩება მოჯადოებულ რკალში. პირიქით, იგი მოწოდებით მიმართავს მოძმეთ: „შევერთდეთ და შევიქნეთ ერთხორც, ერთსულად და შევმუსროთ წყვედიადის ნაშენნი სრულად. დავუბრუნოთ ქვეყანას კეთილდღეობა; სათნოებამ კვლავ იწყოს თავის მზეობა“.

ასე ეხატება მიხეილ ზანდუკელს ღრმა ლირიზმით, სევდაწუხილით, მაგრამ მომავლის ჰერეტიით გამსჭვალული პოეზია კოტე მაყაშვილისა.

„ლიტერატურული ნარკვევების“ მეორე ტომში მიხეილ ზანდუკელმა განიხილა ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის შემოქმედება.

სამეცნიერო-ლიტერატურულ პრესაში მიხეილ ზანდუკელი ეხებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა საკითხს, ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის აქტუალურ თემებს. მისი გამოკვლევები ქართულ თეატრსა და დრამატურგიაზე, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის პუბლიცისტიკის კვალზე ქართულ მწერლობაში, პარიზის კომუნის გამოძახილზე ჩვენში და მრავალი სხვა, იყო გამოხმაურება ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად მიხეილ ზან-

დუკელი რედაქტორულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1932 წელს მისი რედაქციით გამოცემული დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელსაც ერთვის წინასიტყვაობა მოთხრობის ტექსტის ანალოზით, რედაქტორის შენიშვნები, მწერლის საბიოგრაფიო მასალა და ბიბლიოგრაფია.

1935 წელს მისი რედაქციით დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ლექსები შენიშვნებითა და კრიტიკული წერილით. ეს იყო პოეტის თხზულებათა მეხუთე გამოცემა, განსხვავებული მეოთხისაგან (1928 წლის) ლექსთა რაოდენობით. აქ გრიგოლ ორბელიანის ყველა ლექსი დაიბეჭდა, ადრე ცნობილიცა და ახლად მოპოვებულიც*.

1939 წელს იგი იყო რედაქტორი ილაა ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულისა, რომელიც უნივერსიტეტმა გამოსცა. მან თავი მოუყარა ილაა ჭავჭავაძის თანამედროვეთა—ეკატერინე გაბაშვილის, თედო სახოკიას, ილაა ზურაბიშვილის, ალექსანდრე მიქაბერიძის, არტემ ახნაზაროვის მოგონებებს. საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა აკაკი შანიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი თავზიშვილის, პაატა გუგუშვილის, ალექსანდრე ბარამიძის, ანა ჩხეიძის და სხვათა წერილები. დოკუმენტების განყოფილებაში რედაქტორმა დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ახალი ვარიანტი კომენტარით, ი. ჭავჭავაძის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, რომელთაც წამძღვარებული ჰქონდა პრაფ. სიმონ ხუნდაძის წერილი, ილაა ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია (შემდგენელნი თ. ნაკაშიძე და ნ. კორძაია), საარქივო მასალები „ივერიისა“ და ცენზურის ურთიერთობაზე.

1940 წელს მიხეილ ზანდუკელმა მონაწილეობა მიიღო აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებულის რედაქციასა და შედგენაში, რომელიც აგრეთვე უნივერსიტეტმა გამოსცა**.

თბილისის უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე, კერძოდ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1935 წლიდან ჩამოყალიბდა რუსული განყოფილებები. ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე იმთავითვე იკითხებოდა ქართული ლიტერატურის ისტო-

* ვრცელი ინფორმაცია გრიგოლ ორბელიანის უცნობ თხზულებათა შესახებ იხ. მის. ზანდუკელი, გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები. „მნათობი“, № 6—7, 1926 წ.; 1928 წ. პ. ინგოროყვამაც გამოაქვეყნა წერილი ჟურნ. „ქართულ მწერლობაში“: გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, № 6—7.

** მიხეილ ზანდუკელის სარედაქციო მოღვაწეობაზე იხ. შიულა ხუციშვილი, „მიხეილ ზანდუკელი“, წიგნში „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, თბ, 1970, გვ. 115.

რია. XIX საუკუნის ლიტერატურის კურსს კითხულობდა მიხეილ ზანდუკელი. ამ განყოფილებებისათვის აკად. კორნელი კეკელიძემ შეადგინა კონსპექტური კურსი ძველი ქართული ლიტერატურისა, მიხეილ ზანდუკელმა კი გამოაქვეყნა „Очерки по истории грузинской литературы XIX века“ (უნივერსიტეტის გამოცემა).

პირველი სისტემატური მიმოხილვა ქართული ლიტერატურისა რუსულად ეკუთვნის ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა თავისი ნარკვევების მეოთხე წიგნი (1906 წ., მოსკოვი). ეს წიგნი კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთი წყარო იყო არაქართველთათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. 1906 წლის შემდეგ საკმაო ხანმა განვლო და ქართული ლიტერატურის ისტორიას ბევრი რამ შეემატა. მიხეილ ზანდუკელის წიგნი რევოლუციის შემდეგ პირველი რუსული სისტემატური მიმოხილვაა ახალი ქართული ლიტერატურისა. 1955 წელს ნაშრომი გადამუშავებული სახით ისევ უნივერსიტეტმა გამოსცა.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი წლის მუშაობისა და დიდი პედაგოგიური გამოცდილების შედეგად მიხეილ ზანდუკელმა შექმნა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდისა“. იგი იყო პირველი ქართული სახელმძღვანელო, აგებული ორიგინალურ, ქართულ მასალაზე. ეს წიგნიც რამდენჯერმე გამოიცა და დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთადერთი სახელმძღვანელო ლიტერატურის სწავლების მეთოდისაში.



რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიხეილ ზანდუკელი პირნათლად ემსახურა სამშობლოს, ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და დავაჟიკაციების მეტად რთულსა და ამასთან დიდად საპატიო საქმეს. იგი გამოირჩეოდა მაღალადამიანური და კეთილშობილი ბუნებით. კაცთმოყვარე გულმა და მოყვასის შევრდომების წრფელმა გრძნობამ, ფართო, მრავალმხრივმა განათლებამ და პედაგოგიურმა ნიჭმა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოუპოვეს მიხეილ ზანდუკელს მის თანამედროვეთა შორის. ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირადული დაე-
პირისპირებინოს.

ნამდვილი მოქალაქე თავისი სამშობლოსი და ერისა, თავის ახ-
ლოს მყოფთაგანაც მოქალაქეობრივი შეგნების მაღალ დონეს მოი-
თხოვდა უპირველეს ყოვლისა, რამეთუ იგი იყო კაცური კაცი!

სოლომონ ხუციშვილი

1970. VIII.

ახალი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდები*

1.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ძალით საქართველო შეუერთდა რუსეთს. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ქართველთა მმართველი წრეების მოულოდნელად, საქართველო რუსეთის ერთ-ერთ განაპირა და განუყრელ პროვინციად გადაიქცა.

გაწამებული და გარკვეულად უკვე რღვევის ნიადაგზე მყოფი ფეოდალური წყობილებით შიგნიდან, მრისხანე, მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევით გარედან, ეკონომიურად განადგურებული და პოლიტიკურად გაწბილებული საქართველო XVIII საუკუნის დამლევს აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთკავშირის გაწყვეტის გადაჭრილი სურვილით, უილაჯო ადამიანის მთელი სასოებით რუსეთისაკენ მიბრუნდა. აქედან ამ დროისათვის საგრძნობლად კაპიტალიზირებული რუსეთი საქართველოსათვის მშვიდობიანი ცხოვრებისა და კულტურული განვითარების მთავარ გზად და წყაროდ შეიქმნა.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ცხოვრება და კერძოდ ქართული ლიტერატურის განვითარება რუსეთის ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებას გაჰყვა, ნებისთ თუ უნებლიედ მას მკვიდროდ დაუკავშირდა და მისი განვითარების უტყუარი ბეჭედი მას მტკიცედ დააჩნდა.

აქედან იწყება ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი ლიტერატურის ახალი ხანა. აქედან (XIX საუკუნის დასაწყისიდან) საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სოციალური ფორმაციები გამოწვეული და გაშლილია კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარებასთან დაკავშირებით.

თანდათან იწყება სწრაფი, შეიძლება ითქვას, კატასტროფული

* წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მის. ზ ა ნ - დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, 1956, თბილისი.

რღვევა ფეოდალური კლასისა და მისი მეურნეობისა; ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიაც თანდათანობით იწყებს განმტკიცებას.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი ხალხის ისტორიაში ხდება გადამწყვეტი ცვლილებანი, რაც დაკავშირებულია ქვეყნის დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდატეხასთან და ამ საფუძველზე სოციალურ გადაჯგუფებასთან ქართველ საზოგადოებაში. ალექსანდრე პირველის მიერ გამოცემული 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტი იყო. ეს იყო მნიშვნელოვანი მობრუნების ეტაპი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს მტკიცდება შემდეგი ისტორიული განვითარებით ქართველი ხალხისა, რომელიც მკიდროდ დაუკავშირდა რუსი ხალხის ცხოვრებას და მასთან საერთო წინსვლის გზით იწყო სიარული.

საქართველოს ორიენტაცია რუსეთზე გამოწვეული იყო არა პირადი სურვილებით ქართველი მეფეებისა მე-17—18 საუკუნეებში, განსაკუთრებით ერეკლე II-ისა, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, არამედ ეს იყო ლოგიკური ნაბიჯი ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მსვლელობისა. საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა გამუდმებულად თავდასხმებსა და საშინელ დარბევას თავისი ვერაგი მტრებისაგან — ირანისა და ოსმალეთისაგან. გარეშე მტრების გამუდმებულმა თავდასხმებმა და ქართველ ფეოდალთა შინაურმა ქიშპობამ და სისხლის ღვრამ მეტად დაარღვია ქვეყანა, ეკონომიურად და ფიზიკურადაც ქართველი ხალხი სრულიად დაასუსტა, შეამცირა.

საქართველოს რუსეთთან შეერთება ქართველი ხალხის ცხოვრებაში საკეთილდღეო შეიქმნა. ბოლო მოელო მისი ისტორიული მტრების — ირანისა და ოსმალეთის გამუდმებულ სასტიკ თავდასხმებს საქართველოზე; საბოლოოდ ალაგმულ იქნა ფეოდალთა თვითნებობა; შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საქართველოს გაერთიანებისა და ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღდგენისა.

თავის მხრით, რუსეთი, იღებდა რა საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხელმძღვანელობდა თავისი გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით. ის კარგა ხანია ეძებდა გზას აღმოსავლეთისაკენ. საქართველო ამ მიზნებისათვის მისთვის ხელსაყრელი და სასურველი პოზიცია იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველი ხალხის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა — ხანა საქართველოს კაპიტალიზაციისა .

და თანდათან უფრო მჭიდროდ დაახლოებისა საქართველოსი რუსეთთან.

ახალი ცხოვრების ობიექტურ პირობებში ქართველი ხალხი მიისწრაფის შეძლების ფარგლებში სისრულით აითვისოს მსოფლიოს და რუსეთის მოწინავე კულტურა. მიუხედავად მეფის რუსეთის მჩაგვრელი კოლონიური პოლიტიკისა, მოწინავე ნაწილი ქართველი საზოგადოებისა რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან ერთად მიდიოდა თავისი შემდეგი ახალი განვითარების გზით.

„ცარიზმი“, იყო რა მტერი რუსეთის ხალხთა მასებისა, საქართველოშიც, რა თქმა უნდა, ატარებდა მკაცრ, მჩაგვრელ ნაციონალურ-ეკონომიურ პოლიტიკას. მაგრამ რუსი ხალხის პროგრესული, მოწინავე ნაწილი, წინააღმდეგ ამგვარი რეაქციული პოლიტიკისა, ყოველთვის გულისხმობდა იყო და ქართველი ხალხის დემოკრატიულ მიმართულებას ხელს უწყობდა. ეხმარებოდა, ხელმძღვანელობდა საერთო მტერთან — მეფის რეჟიმთან ბრძოლაში, ნაციონალური და სოციალური მტრის წინააღმდეგ. მოწინავე ნაწილი რუსი და ქართველი ხალხისა ერთად იბრძოდა რუსეთის ხალხთა ერთიერთმანეთზე მისისიანების საზიზღარი პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა მეფის რუსეთში.

ილია ჭავჭავაძე, უდიდესი წარმომადგენელი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა, შემდეგნაირად აფასებს რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების კეთილნაყოფიერ გავლენას XIX საუკუნის ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავჯარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენთაგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თა-

ვისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩნევია“ *.

ასეთი გაერთიანებული გზა რუს ხალხთან ქართველი ხალხისა აუცილებელი და ხელსაყრელი იყო უკანასკნელის ისტორიული განვითარებისათვის. მაგრამ ქართველი ხალხისათვის ახალ გზაზე გამოსვლა არ იყო იოლი საქმე. ეს გზა მან გამონახა მძიმე განცდებში.

მოუხედავად რუსეთის საქართველოში დამყარების დიდი პროგრესული და ნაყოფიერი მნიშვნელობისა, მაინც მეფის ბიუროკრატის მოხელეები თავისი უხეში და მკაცრი პოლიტიკით (განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში) ქართველი ხალხის გარკვეულ ფენებში იწვევდნენ უკმაყოფილებას, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ძირითადი მასები მიისწრაფოდნენ მკიდროდ დაეკავშირებინათ თავისი ბედი რუს ხალხთან.

მლელვარება და ამბოხება XIX საუკუნის მანძილზე (განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში) მეფის ბიუროკრატისა და ქართველი მემამულეების შევიწროების გამო განუწყვეტლოვ იწინადა ხოლმე თავს საქართველოს ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში. უფრო მნიშვნელოვანი ამბოხებები შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: მთიულეთისა (1804 წ.), კახეთისა (1812 წ.), ხევსურეთისა (1813 წ.), იმერეთისა (1819—1820 წწ.), ქართველი თავადაზნაურობისა (1832 წ.), გურიისა (1841 წ.), სამეგრელოსი (1856 — 1857 წწ.), ქიზიყისა (1878 წ.) და სხვ. მეფის მთავრობა განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებოდა ხალხთა მასის მიერ პროტესტის სულ მცირე გამოვლინებასაც კი. ამ ამბოხებებს ხელისუფლება აქრობდა ცეცხლითა და მახვილით.

მხოლოდ 40-იანი წლების ნახევრიდან მეფის რუსეთმა, შესძლო რა ამიერკავკასიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის გაერთიანება, მასთან ერთად საქართველოსიც, გაიგო მიუღებლობა თავისი პოლიტიკისა, მიზანშეუწონლობა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის, ეგრეთწოდებული „ტუზემცების“ ინტერესების, არამედ თვით რუსეთის ინტერესების განხორციელების თვალსაზრისითაც. მეფის მმართველობა გადავიდა უფრო „რბილი“, ელასტიური პოლიტიკის პოზიციებზე, რომელიც გარეგნულად დააწყნარებდა ადგილობრივ მოსახლეობას და უფრო სისწრაფით განახორციელებდა მთავრობის მიერ გათვალისწინებულ მიზნებს.

ეს პოლიტიკა საქართველოში გაატარა ცბიერმა და ჭკვიანმა მეფის კარისკაცმა — მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა (1844—

* ილ. ჰავკავაძე, ტ. 4, 1955, გვ. 369.

1854 წწ.), რომელმაც დიდი ტაქტითა და წინდახედულობით იწყო ვველა გათვალისწინებული მიზნის განხორციელება, მოხერხებულად გამოიყენა ადგილობრივი სიტუაცია — დაუძღვრება და დაფანტულობა ქართველი თავადაზნაურობისა.

ვორონცოვის მმართველობის დროს ძლიერდება ქართველი ხალხის დაახლოება რუსეთთან. იწყება მათი მჭიდრო, წყნარი, კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობა. საქართველოს რუსეთთან შეერთებით თანდათან და შესამჩნევად (განსაკუთრებით 40-იანი წლების შემდეგ) აჩქარებულად ვითარდება კაპიტალიზმი საქართველოშიც. ამასთან დაკავშირებით იწყება ფეოდალური მეურნეობის უფრო სწრაფი რღვევა; ფეოდალურ კლასში იწყება დიფერენციაცია: იქმნება შინაგანი ფენები მკვეთრი წინააღმდეგობების გამოხატულებით. ამასთანავე, თანდათან უფრო მწვავედება მემამულეთა და ყმებს შორის გამწვავებული ურთიერთობა. ადგილობრივი ბურჟუაზია გამოდის ისტორიულ ასპარეზზე, თუმცა ძალიან ნელი ნაბიჯით, ობიექტური პირობების გამო.

ეს ხანა XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებასა და მისი ლიტერატურის განვითარებაში მეტად რთული ხანაა. ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი საერთო საკაცობრიო კულტურულ ცხოვრებას ახარბად დაეწაფა. რუსეთთან, მის მოწინავე ნაწილთან ერთად, ის მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც მშვიდი კულტურული, ისე რევოლუციური გზით მსოფლიო ხასიათის აღმოჩენებისა და მონაპოვრების გადმოღება-შეთვისებას განუწყვეტლივ ეწევა. ქართველ საზოგადოებას ცხოვრების მთელი ამ ხნის მანძილზე ავსებს სურვილი ჩქარა ეზიაროს და მჭიდროდ ჩაებას საერთო საკაცობრიო კულტურული ცხოვრების ფერხულში.

ამ მთლიანი რთული ეპოქის (დაწყებული 1801 წლიდან) — ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში რომ უკეთესად გავერკვეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის დავეოთ შინა პერიოდებად. ლიტერატურის ისტორიკოსს მასალაში ადვილი და სწორი გარკვევისათვის აუცილებლად მასალის ერთგვარი სისტემატიზაცია სჭირდება. ამ გარემოებას კი ხელს უწყობს ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფა.

ჩვენი ცხოვრებისა და მასთან დაკავშირებით ჩვენი ლიტერატურის ამ მეტად რთულ ეპოქას თავისი განვითარების სხვადასხვა, ასე თუ ისე დამთავრებული სახის, საფეხური აქვს. ყოველ საფეხურს თავისი დამახასიათებელი თვისებები, თავისი განვითარების დამახა-

სიათბელი რიტმი სდევს. ამ სოციალური ცხოვრების საფეხურებს ახასიათებს თავისი შესაბამი ლიტერატურული ცხოვრება, შესაბამი მოტივებით, თემით, ფორმებით, საერთო სტილით. ამრიგად ლიტერატურული პერიოდი ჩვენ გვესმის, როგორც ისტორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ლიტერატურული ცხოვრების სპეციფიკური სახე, რომელიც განსხვავდება წინა და შემდეგი საფეხურების ლიტერატურული ცხოვრებისაგან.

პერიოდის დამთავრებულობა, რასაკვირველია, ჩვენ აბსოლუტურად არ გვესმის: ჩვენ არასოდეს არ ვიფიქვებთ, რომ ლიტერატურული ცხოვრება, როგორც ყველაფერი ცხოვრებაში, მუდმივ, განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაშია. პერიოდების საზღვრები, სადაც ლიტერატურული ცხოვრების ერთგვარ დამთავრებას ვხედავთ, უშუალოდ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი პერიოდი მეორეში გადადის თავისი გაგრძელებებით, ნაშთებით, ხოლო მეორე იწყებს სათავეს პირველში. ასეთ დიალექტიკურ ურთიერთობაში ვითარდება ლიტერატურული ცხოვრება.

ლიტერატურული პერიოდის იანმარტება ასეთი იქნება: ლიტერატურულ მოვლენათა ციკლი, რომელიც გამომხატველია გარკვეული სოციალური ფორმაციისა და შინაგანი მთლიანობით როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრით ხასიათდება, ლიტერატურის პერიოდს ჰქმნის.

უცხო, კულტურულ ერთა ლიტერატურის ისტორიკოსები დაინებით აღნიშნავენ ძუნწ ცოდნას ლიტერატურის მცოდნეობაში, საჭირო მასალის ჯერ კიდევ დაუმუშავებლობას სრულსახიანი ლიტერატურის ისტორიის შესადგენად. ამიტომ ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხი იქაც სადავო და გაურკვეველია. ამიტომ ახლავეუნდა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურის პერიოდიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დაახლოებითი იყოს. ჩვენ ეს საკითხი აქ წარმოდგენილი გვაქვს, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა. ამასთან ერთად ის გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაცია ჯერჯერობით ეხება არა მთელ ლიტერატურულ ცხოვრებას, გვინდა ახლავე ისიც განვაცხადოთ, რომ ჩვენი ლიტერატურის ამ მიმართულებაშიც, შესაძლებელია, ყოველთვის ვერ მოხერხდეს პერიოდის მთლიანობის დამაკმაყოფილებლად გამოაქარავება; ხშირად შესაძლებელია ქრონოლოგიური რუბრიკაციითაც, დაკმაყოფილდეთ.

ასეთ პირობებში ახალი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ. რა თქმა უნდა, როგორც ზევითაც აღნიშნეთ, აუცილებლივ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პერიოდებს შორის მსაზღვრავი დატის აღნიშვნა მხოლოდ დაახლოებითია და არა აბსოლუტური.

ვინაიდან ყოველი პერიოდი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისი სათავეებით წინა პერიოდთან, ხოლო დაბოლოებით — მომდევნო პერიოდში გადმოდის, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდების ზოგადი მოხაზულობა შემდეგი სახით გვეხატება:

I. პირველი პერიოდი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიისა შეიძლება XIX საუკუნის დამდეგით დავიწყოთ და 1845 წლამდე მოვიტანოთ. ამ პერიოდში რღვევის ნიადაგზე მყოფი ძველი ქართული ფეოდალური კლასი თუ წოდება თავისი დამახასიათებელი ფსიქო-იდეოლოგიით შეეჯახა კაპიტალისტურ-ჩინოვნიკურ რუსეთს — ევროპის კულტურის თავისი გზით შემომტანს.

ეს პერიოდი პოლიტიკურად მეფის რუსეთის საქართველოში თანდათანობითი დამკვიდრების, ახალი მმართველობის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის, მღელვარების და აჯანყების ხანაა. პოლიტიკურად საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა, ეკონომიურად — ფეოდალური მეურნეობის რღვევა და მშრომელი ხალხის მდგომარეობის დამძიმება; ბატონყმობის გამწვავება, მაღალი კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ნიადაგის თანდათანობით აჩქარებული ტემპით დაკარგვა — აქედან მისი დაქვეითება, იდეურად და ფსიქოლოგიურად — უკმაყოფილება, უიმედობა, უილაჯობა, ჭმუნვა-სევდიანობა.

ფეოდალური კლასის წიაღში ჩნდება ორი ძირითადი მიმართულება: ერთი ნაწილი ფეოდალთა სასტიკი წინააღმდეგია რუსეთთან შეერთებისა, დამოუკიდებლობას იცავს (ბატონიშვილები — ალექსანდრე, იულონი და სხვანი, თავადები — ორბელიანები და სხვანი); მეორე ნაწილია, რომელმაც გაითვალისწინა, რომ საქართველოს, ე. ი. ფეოდალური საქართველოს გადარჩენა შეუძლებელია. ქვეყნის გადარჩენა ამ ნაწილის განსჯით შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მფარველობით; მრავალი შევიდა რუსის სამსახურში და მის ერთგულ მოხელედ გადაიქცა. თუმცა ფეოდალური ტიპი-ვილები, ძველი დიდების დაკარგვით გამოწვეული, მას ხშირად აკენესებს (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ი. ბაგრატიონი და სხვანი).

ლიტერატურულ ცხოვრებას ემჩნევა რუსული და რუსეთის საშუალებით გადმოტანილი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გავლენის შეთვისება.

ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარება მთავრდება, პარალელურად რეალიზმი იკაფავს გზას. ქართული ლიტერატურა აღმოსავლურ მწერლობასთან წყვეტს ურთიერთობას.

ამ პერიოდში ქართული ლიტერატურული ცხოვრება შემდეგი ნაკადებით ვითარდება:

1. ძველი დამოუკიდებლობის დაცემის გამომხატველი ლიტერატურა (ბატონიშვილები — თეკლე და ქეთევან; გიორგი, დავით და დიმიტრი თუმანიშვილები, ოთარ და თამაზ ქობულაშვილები და სხვანი). ეს მწერლები, აგრძელებენ XVIII საუკუნე ლიტერატურის ტრადიციებს, სტილს.

2. მეორე ფრთა მწერლებისა (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვანი) ჰქმნის ევროპული ხასიათის რომანტიზმს.

3. გრძელდება ყარაჩოღელთა ლიტერატურაც.

4. ხალხში ჩნდება ახალი ცხოვრების პირობების ამსახველი ლექსები (არსენას ლექსი და სხვა), რომლებიც რევოლუციონური რომანტიზმის ელემენტების მატარებელნი არიან. ამ მიმართულებას უახლოვდება ნიკ. ბარათაშვილის აქტიური, მებრძოლი სოციალური მოტივების შემცველი რომანტული შემოქმედება.

5. გზას იკაფავს რეალიზმი, იგი ახალი ცხოვრების გზის განჭვრეტას ლამობს (ი. ბაგრატიონი, ს. დოდაშვილი და სხვა).

ამ პერიოდის გაბატონებული ლიტერატურა ორი მიმართულებით — რომანტიზმისა და რეალიზმის გზით ვითარდება (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ი. ბაგრატიონი, სოლ. დოდაშვილი, სოლ. რაზმაძე, გ. ერისთავი).

II. მეორე პერიოდი ახალი ქართული ლიტერატურისა შესაძლებელია დაახლოებით 1845 წლიდან დავიწყოთ და 1890 წლამდე მოვიტანოთ. ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ეკონომიური ფაქტორის მოქმედება საგრძნობლად გამოაშკარავდა და საზოგადოებრივ-სოციალურ ცხოვრებას თავისი ელფერი დაამჩნია. ქართველი ხალხის ისტორიის ჩარხი ახალი მიმართულებით ამოქმედდა.

ამ პერიოდის დასაწყისიდანვე ქართველი ხალხი თითქოს წყნარდება, თავის ბედს, რუსეთთან ერთად ცხოვრების გზაზე სიარულს, ურიგდება. მრავალთათვის აშკარა ხდება, რომ ძველი გზით სვლა აღარ შეიძლება. ძველი ისტორიული გზის შეუფერებლობა მთე-

ლი სიცხადით მეღვინეობა. მრავალი გარკვეულად გრძნობს საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევას, დრომოჭმულობას.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი რწმუნდება, რომ ახალი ისტორიული განვითარების გზა მან უნდა გამონახოს რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან მჭიდრო კონტაქტით მოქმედებაში და გარკვეულად დგება ამ პოზიციაზე.

მეორე პერიოდში ახალი ეკონომიური ფაქტორის — ვაჭრობის ნიადაგზე საზოგადოებრივი სოციალური გადაჭრულება ფაქტია.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს ელენთავს შემდეგი ფორმულა:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს*.

ეს ფორმულა გარკვეულ სახეს 60-იანი წლების დასაწყისში იღებს, მაგრამ მისი მომზადების ხანა, ამ ახალი გზით სიარულის აუცილებლობა, სხვა შინაარსის მომავლის ძიების საჭიროება. ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და ლიტერატურაშიც 1850 წლიდან ცხად-ლივ იხატება. 60-იანი წლებიდან ამ ფორმულის დედააზრის განხორციელების აუცილებლობის გაგებამ ყოველი შეგნებული საზოგადო მოღვაწე აამოძრავა და აამოქმედა. ყოველი ქართველი შეგნებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი ამ აზრის ირგვლივ იკრიბება.

მეორე პერიოდის მანძილზე ჩვენი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა თანდათან რთულდება. ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალიზმის) განვითარებამ გამოიწვია ბატონყმობის ფადავარდნის აუცილებლობა. გაბატონებული კლასი (თავადაზნაურობა) საეცებით დაირღვა. მის წიაღში სხვადასხვა მოწინააღმდეგე ფენები გაჩნდნენ. ამასთან დაკავშირებით ქართული ლიტერატურის ცხოვრებაც სხვადასხვა ფენის შესაბამის მიმართულებისაგან შედგება. მეორე პერიოდის დასაწყისშივე მტკაცდება, როგორც ლიტერატურის მთავარი ხაზი, კრიტიკული რეალიზმი. კრიტიკულ რეალიზმს ჩვენს ლიტერატურაში ამტკაცებენ ეგრეთწოდებული „თერგ და ლეული“ მწერლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი, რომელნიც დარწმუნდნენ კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობაში და ქვეყნის გაჯანსაღების მიზნით მონდომეს მასთან შეზრდა. თერგდალეულნი თავიანთ შემოქმედებაში ამჟღავნებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფსიქო-იდეოლოგიას.

* ილია ჭავჭავაძე, „ქართვის დედა“.

60-იანი წლების დასაწყისიდანვე ქართულ ლიტერატურაში, როგორც გარკვეული მიმართულება, ვითარდება ახალი ნაკადი. ესაა მეორე მოქმედი სოციალური ფენის, — წვრილ-ბურჟუაზიულის — მიმართულება. ამ მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში იწყებს დან. ჭონქაძე და 70-იანი წლებიდან აგრძელებენ ხალხოსანი მწერლები (ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი და სხვ.).

ამ ძირითად მიმართულებათა გასწვრივ ქართული ლიტერატურის მთლიან ცხოვრებაში ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს გადაგვარებული რომანტიზმი. ამ მიმართულებას გამოხატავს ძველი დარღვეული ფეოდალური არისტოკრატია. ამ უკანასკნელისათვის ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება ფაქტაა, თუმცა ის მაინც მიუღებელია. არ უნდა დაინახოს მისი ძალა, თუმცა, თითქოს, გრძნობს მის საჭიროებას, მაგრამ ვერ ეგუება კი მას. ძველს მისტირის და ამ ძველის აღდგენა-შენარჩუნებაზე ოცნებობს (ვახ. ორბელიანი, მამია გურიელი, გრ. აბაშიძე და სხვანი).

მეორე პერიოდშივე საკმარისი სიმკვეთრითა და სიძლიერით ვითარდება მეოთხე ჯგუფიც მეტად თავისებური ლიტერატურული მიმართულებით. ამ ჯგუფის მწერლების შემოქმედება იშლება მთის კარჩაეტილი ნატურალური მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესთან შეჭიდებისა და თემის გაბზარვის დაწყების ნიადაგზე. ამის გამოხატველნი არიან: ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

მეორე პერიოდი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებისა საკმარისად ხანგრძლივია და რთულიც, მას შინაპერიოდებიც ახასიათებს. მაგალითად, 1845—1870 წწ. ლიბერალურ-დემოკრატიული — თერგდალეულთა ჯგუფი, ხოლო 1870—1890 წწ. — დემოკრატიულ-ხალხოსნური მიმართულების მწერლები.

III. მეესამე პერიოდი შესაძლებელია 1890 წლიდან დავიწყოთ და დაახლოებით 1900-იან წლებამდე მოვიტანოთ. სხვათა შორის ეს პერიოდი ამთავრებს XIX საუკუნის ლიტერატურის განვითარებას. 1905 წლის რევოლუცია ლოგიკური დამთავრებაა იმ ეკონომიური და მასზე აღმოცენებული სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა, რომელიც ჩვენი XIX საუკუნის ისტორიას და კულტურას საფუძვლად უდევს, და მასთან ერთად დასაწყისია უახლესი ქართული ლიტერატურისა.

90-იანი წლებიდან კაპიტალიზმი ჩვენშიც საკმარისად თვალსაჩინოდ შედარდება. ყველასათვის ცხადი ხდება, რომ ახალი ეკონომიური ფაქტორის ნიადაგზე ჩვენი ცხოვრება გარდაქმნის გზაზე დგება.

აი როგორ ახასიათებს კავკასიის (eo ipsa საქართველოს) ამ ეპოქის ეკონომიურ მდგომარეობას ვლ. ლენინი: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტიუმს და ევროპული ლაქის კოსტიუმით მოსავდა მას. კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ. ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350 ათასიდან 1863 წ. 900 ათასამდე 1897 წ. (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95 %-ით)*.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა და მასთან დაკავშირებით ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება, როგორც გამოძახილი ცხოვრების ახალი ვითარებისა, 90-იან წლებიდან შესამჩნევად მდიდრდება და რთულდება. სოფელს ემჩნევა დარღვევა, იწყება პროლეტარიზაცია; ქალაქს ზრდა, ამოქმედება დაეტყო. დაიწყო სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათა გამრავლება-გაძლიერება. ამ პერიოდს, უდავოდ, ახასიათებს საერთო საკაცობრიო ცხოვრების ფერხულში ჩაბმის სურვილი და სოციალურ-ეკონომიური ხასიათის დემოკრატიული საკითხების საზომით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განსჯა-გაზომვა.

ამ პერიოდში სამოღვაწეო და სამწერლო ასპარეზზე გამოდის ახალი დასი, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცნობილი „მესამე დასის“ სახელწოდებით, ახალი, ლეგალური მარქსისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილი.

„მესამე დასი“ სცნობდა კაპიტალიზმის პროგრესულობას და ატარებდა კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასთა ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსს, იდეას.

* ვლ. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ტ. III, გვ. 704, გამოცემა მეოთხე.

მესამე პერიოდში აღნიშნული ახალი მოვლენების გამო ლიტერატურის ცხოვრებაც შესაბამისად გართულებულა. ამ პერიოდის ლიტერატურაში ახალი ეკონომიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოტივები შესამჩნევ ადგილს იჭერს. ლიტერატურული ცხოვრების მთავარი მაგისტრალი მშრომელის კლასობრივი თვალსაზრისის ქვეშ მიმდინარეობს. ახალი ქვეყნის, მშრომელთა ბედნიერების მიმცემა ცხოვრების ძიება, მასების შინაგანი დარაზმვა და გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე, მათში კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავება — აი თემები მესამე პერიოდის ლიტერატურის მთავარი მიმართულებისა. აქედან საწყისებს იღებს ახალი ღროის, ახალი ცხოვრების ჭიშკარს მოზღვავებული ახალი კლასის — პროლეტარიატის შესაბამი ლიტერატურული ძვრის გამომხატველი რეალიზმი ე. წ. სოციალისტური რეალიზმი. ამ ახალი კლასის იდეოლოგიის, კლასთა შორის წინააღმდეგობის, რევოლუციურ-პროლეტარული რეალიზმის ელემენტების შემომტანად ქართულ ლიტერატურაში 90-იანი წლებიდან მოჩანან ევ. ნინოშვილი, ირ. ევლოშვილი.

1905 წლისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში გამძაფრებულა კლასთა შორის წინააღმდეგობა და მათ შორის გამწვავებული ბრძოლა. ამ ბრძოლამ გამოხატულება ჰპოვა 1905 წლის რევოლუციაში. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მძლავრი მიმართულება ამსახველია კლასთა შორის ამ გამწვავებული ბრძოლისა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა რეაქცია. ამ რეაქციის ხანაში უფრო გამძაფრებულად იწყება კლასთა შორის წინააღმდეგობის გაღრმავება. პროლეტარიატი ლამობს საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანის როლი ხელთ იგდოს. ამავე მიმართულებით ვითარდება ქართული ლიტერატურის ერთი მძლავრი ნაკადი, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს და მათი თვალსაზრისით ახალი ცხოვრების დასაწყისს ქადაგებს.

ამ საკითხის გადაწყვეტა XIX საუკუნემ ვერ შესძლო. ეს ტკივილები XX საუკუნემ მიიღო და მის საბოლოო დაგვირგვინებას ლამობს. ამიტომ 1905 წლის რევოლუციის შემდეგი ხანა ახალი უფრო სწორი, უახლესი ხანაა, რომელიც პროლეტარიატის ჰეგემონიას ქვეშ მიმდინარეობს.

ასეთია ზოგად ხაზებში ხასიათი და საზღვრები XIX საუკუნის ლიტერატურის პერიოდებისა, რომელთა ცალ-ცალკე შესწავლა ჩვენი შრომის საგნად უნდა შეიქმნეს.

ახალი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის. პირველი პერიოდი, 1801—1845 წწ.

რომანტიზმი და მისი ძირითადი მოტივები

1

ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება და მასთან დაკავშირებით ქართული ლიტერატურის განვითარება XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთის ცხოვრებას გაჰყვა და მასი, როგორც სოციალურ-ეკონომიური და კულტურული, ისე ლიტერატურული გავლენაც მან მძლავრად განიცადა.

ამიტომ ქართული ლიტერატურის ისტორიის მოვლენათა სწორი გაგებისათვის ხშირად დაგვიკვირდება მივმართოთ რუსული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი ანალოგიური მოვლენის გამოყენებასა და მათი განვითარების ხასიათისა და მიზეზების გაშუქებას.

ვინაიდან ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდში რომანტიზმი აგაბატონებული, როგორც დამახასიათებელი სტილი და ეს მიმართულება კი ჩვენში რუსული ლიტერატურის გავლენითაც ვითარდება, ამიტომ ჯერ გავერკვიოთ ამ ლიტერატურული მიმართულების წარმოშობის მიზეზებში და აგრეთვე მის დამახასიათებელ თვისებებში, რის შემდეგაც ამ ლიტერატურული მიმართულების განხილვა და ანალიზი საქართველოს სინამდვილის ობიექტურ პირობებში უფრო გასაგები და ადვილიც შეიქმნება.

XIX საუკუნე მდიდარია არა მარტო თავისი არაჩვეულებრივი შინაარსით — აღმოჩენებით და მიღწევებით, მდიდარია აგრეთვე თავისი არაჩვეულებრივი განთიადითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის ისტორიაში XVIII საუკუნე ერთი უშესანიშნავესი ხანაა. ეს არის საუკუნე უნივერსალური ინტერესებისა, ყველა პირობისა და შეხედულების გონებით გადაფასებისა. ამ გენერალურ გადასინჯვას ვერც ერთი მოვლენა, ხშირად წერილმანიც კი, ადამიანური თუ საზოგადოებრივი ცხოვ-

რებისა ვერ გადაურჩა. ამ დროს ევროპაში და უფრო კი მტკიცენეულად საფრანგეთში სოციალურ ფენათა გიგანტური გადაჯგუფება ხდებოდა. სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესთა გამძაფრებული შეჯახება მთელი ცხოვრების ატმოსფეროს მძაფრად ელენთავდა.

XVIII საუკუნის მანძილზე ახალი, სამოქმედოდ დარაზმული კლასი, ბურჟუაზია, პრივილეგიებით აღჭურვილ სისხლის არისტოკრატიასთან უკანასკნელი გადაწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მსოფლიო ისტორიის სარბიელზე გამოსული ახალგაზრდა კლასი წინა საუკუნეების წყობილებით განმტკიცებულ დაწესებულებებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდა. ამ სოციალური გადაჯგუფებისა და ამოქმედების შედეგი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია თავისი მოსამზადებელი ხანითა და გრანდიოზული შედეგებით. ეს ხანა კაცობრიობის ისტორიაში ძალთა არაჩვეულებრივი დაჭიმვის ხანაა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ XIX საუკუნის ცისკარი შელბა წარმტაცი იმედებით და მწარე იმედგაცრუებულობით, ბედნიერების პოვნის ალტყინებითა და სინამდვილეში საშინელი მსხვერპლის განწირვით, თავისუფლების ქვეყნის მოახლოვებისა და დაწყარების რწმენით, თანამედროვეთათვის კი მწარე განცდებით.

ეს ხანა არაჩვეულებრივი და ძლიერი იყო არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ამ ხანამ ძირიანად შეარყია არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი ევროპა და, შეიძლება ითქვას, მთელი კაცობრიობაც.

ეს ხანაა ძველის მტკრევისა და ნგრევისა, ახლის აუცილებლობისა ახალ ჰუმანურ პრინციპებზე. ეს მეტად ძლიერი და მტკიცენეული გარდაქმნის ხანაა.

კაცობრიობის ასეთ აბოზოქრებულ ვნებათა და აზრთა დელვის დროს, ბუნებრივია, ლიტერატურა, როგორც ცხოვრების ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი, მისი ცოცხალი ანარეკლი, გამონაკლისს ვერ შეადგენდა. ისიც ძალაუნებურად უნდა წარმართულიყო ახალი გზით, ახალი მისწრაფებით, ახალი შინაარსით.

აი, ამ რევოლუციის ხანის ალში და შემდეგ მის განელებულ მდიდარ კერაზე ჩნდება და ხორცს ისხამს ის დიადი და რთული ლიტერატურული მიმართულება, რომელმაც მიიზიდა და დაიპყრო მთელი კაცობრიობის მოქმედი ფენების გრძნობა და აზრი XIX

საუკუნის 30-იან წლებამდე. ეს მიმართულება, ეს მსოფლმხედველობა ცნობილია რომანტიზმის სახელწოდებით.

რას არის რომანტიზმი?

ამ საკითხის გარკვევა და ნათელყოფა მით უფრო საჭიროა, რომ, თუმცა რომანტიზმის ცნება ლიტერატურაში ხშირად იხმარება ისეთი თითქოს ეს ტერმინი გარკვეულს რასმე გვეუბნებოდეს, მაგრამ თუ მოვინდომებთ მის კონკრეტულად წარმოდგენას, გაგებასა და გარკვევას — როგორია მისი შინაარსი, სად არის მისი საზღვრები, რით განსხვავდება ის სხვა ლიტერატურული მიმართულებისაგან, — აღმოჩნდება, რომ შეგვიძლია ვიპოვოთ თითქმის იმდენგვარი გაგება და განმარტება რომანტიზმისა, რამდენიც მის შესახებ გამოკვლევა არსებობს.

თუ ამ მოვლენას ღრმად და სერიოზულად ჩაუვკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ არის.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში რომ გადავიხედოთ, იქ ვერც ლიტერატურის ისტორიკოსებში და ვერც მწერლებში ვერ შევხვდებით მთლიან ფრონტს რომანტიზმის გაგება-გამომქმნელებაში.

ამ გარემოებას თავისი სერიოზული ამხსნელი საფუძველი აქვს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია რომ ავიღოთ, ჩვენ ვერ შევძლებთ, ყველა მწერალი, რომელიც თავისთავს რომანტიკულ მიმართულებას აკეთებებს, და სინამდვილეში მართლაც ასეა, ერთი საერთო კატეგორიის ქვეშ მოვაქციოთ.

განა შეიძლება ერთ ჯგუფში მოვათავსოთ: რომანტიკოსი რუსო თავისი ცივილიზაციის უარყოფით, დემოკრატიზმით და ბუნების კულტით; შატობრიანი — თავისი ეგზოტიკური ხეტიანლით, ან ფეოდალური წარსულის კულტით, თავისი მელანქოლიითა და მისტიციზმით; ვალტერ სკოტი — თავისი შესანიშნავი, წარმტაცი ფერადებით ძველი დროის ყოფა-ცხოვრების დახატვით; ბაირონი — თავისი ძლიერი, ტიტანური პიროვნების კულტით; შეურიგებელი სულიერი განწყობილებით; ტეი, ნოვალისი — თავიანთი მისწრაფებითა და განწყობილებით საშუალო საუკუნეების ფანტასტიკისადმი, ან რელიგიური კათოლიკური მისტიციზმითა და კონსერვატიზმით; შლეგელები — თავიანთი სიყვარულით ანტიკური კულტურისადმი და სხვანი.

ან თუნდაც რუსეთის მწერლებში განა შეიძლება ეუკოვსკი, მარლინსკი, ვიაზემსკი, ლერმონტოვი, პუშკინი (უკანასკნელნი შემოქმედების პირველ პერიოდში), თუნდაც

ჩვენი — ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი — ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენლად მივიღოთ?

რასაკვირველია, არა! თუმცა ყველა ჩამოთვლილი მწერალი რომანტიზმის წარმომადგენელია.

ჩვენთვის აქედან აშკარაა, რომ რომანტიკულ მიმართულებაში მრავალ სხვადასხვაობას ვამჩნევთ. ეს სხვადასხვაობა გამოწვეულია იმის მიხედვით, თუ მწერალი, ან მკვლევარი რომელი საზოგადოებრივი სოციალური ფენის მსოფლმხედველობის მატარებელი და გამომხატველია. ამის მიხედვით მწერალი ამყდავენებს რომანტიკული მიმართულების მისთვის შესაბამის ამა თუ იმ მოტივს, მკვლევარი კი — რომანტიზმის გამოკვლევაში მისთვის შესაბამ ამა თუ იმ მხარეს აქცევს ყურადღებას.

ამიტომ რომანტიკოსი მწერლების დაყოფა უნდა მოვახდინოთ არა მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიის, ან თუნდაც ტერიტორიის მიხედვით (უკანასკნელს, როგორც ქვევით დავინახავთ, ერთგვარი გამართლება მაინცა აქვს), არამედ მათი მსოფლმხედველობის მიხედვით. თუ რომანტიკოსების შემოქმედების ანალიზს მოვახდენთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ისინი სხვადასხვა სოციალური ფენების მსოფლმხედველობისა და ინტერესების გამომხატველნი არიან.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი რომანტიზმისა არის კლასის, ან სოციალური ჯგუფის სისუსტე, შეცვალოს ცხოვრების პირობები თავის სასარგებლოდ. წარმავალ კლასს ამისათვის ძალა აღარ შესწევს, ის დაჩივებულია, ხოლო აღმავალ კლასს ჯერ კიდევ ვერ მოუხდენია თავის ძალთა სრული მობილიზაცია საბოლოო გამარჯვებისათვის.

რომანტიზმის განვითარებაში ორ ძირითად ნაკადს ვამჩნევთ:

1. რომანტიზმი დეკადანსის გზაზე დამდგარი კლასისა, რომელიც უძლურებას განიცდის, პასივობაშია ჩავარდნილი და გამოთქვამს სევდა-ნალექებს წარმავალი ან წარსული ცხოვრების გამო. ის გრძნობს, რომ ჰკარგავს ცხოველმყოფელ ძალას და ბედნიერებას (XVIII—XIX სს. ფეოდალური, თავადაზნაურული კლასი, XIX საუკ. 80-იანი წლებიდან — კლასი ბურჟუაზიისა). ესაა რეაქტიული რომანტიზმი.

2. რომანტიზმი ახალგაზრდა კლასისა, ცხოვრების სარბიელზე გამოსვლას და გაბატონებას რომ ლამობს. აღმავალი კლასის რომანტიზმი მისი აქტიურობის, რევოლუციური ხასიათის მატარებელია (მაგ., XVIII—XIX საუკ. ბურჟუაზია, XIX საუკუნის დასასრულს

და XX საუკუნის დასაწყისში — პროლეტარული პოეზია). ესაა რევოლუციური რომანტიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ აღმავალი კლასი თავის დასაწყისში აქტიურია, მისი რომანტიზმი მაინც მაჩვენებელია ჭერ კიდევ კლასის ეკონომიური მდგომარეობის სისუსტისა: კლასის ჭერ კიდევ მოუმაგრებელი ეკონომიური მდგომარეობა არ შეეფერება იმ დიდსა და რთულ ამოცანას, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასმა უნდა გადაწყვიტოს.

მართალია, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რომანტიზმი ერთი მთლიანი ლიტერატურული მიმართულება იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ეს არ აქნებოდა სწორი, მაგრამ რომანტიზმი შეიძლება მიღებულ იქნას როგორც გაბატონებული სკოლა.

რომანტიზმის ისტორიაში თვალსაჩინოდ და მკვეთრად გვაქვს მოცემული ერთდროულად ეპოქაში სხვადასხვა სოციალურ ფენათა ლიტერატურული მიმართულების თანაარსებობა და მათი ურთაერთზეგავლენით ეპოქის მთლიანი ლიტერატურული სტილის შექმნა.

ნათქვამიც საკმარისია, რომ ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

ცნება რომანტიზმი მეტად ფართოა, ის კონგლომერატია სხვადასხვა მიმართულებათა და მსოფლმხედველობათა. მასში თავს იყრის ყველა ის, რაც მისი შთასახვისა და განვითარების ხანაში ლიტერატურაში იყო არა მარტო მოწინავე, ცხოველყოფელი და იდეური, არამედ, აგრეთვე კონსერვატული. მოდუნებულნი, დრომოქმედი (ამის შესახებ კიდევ ქვემოთ).

ამას გარდა, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ასეთი ტერმინები: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, რუსული რომანტიზმი. ეს გარემოებაც, რასაკვირველია, ართულებს და აძნელებს რომანტიზმის ცნებაში გარკვეული შინაარსი ვიგულისხმოთ. რაკი ვარჩევთ, მაგალითად, გერმანულ რომანტიზმს ფრანგული რომანტიზმისაგან, მაშასადამე, მათ შორის არასრულად არსებითი განსხვავება, რომელიც ამ მიმართულების სწორ განმარტებას გვიძნელებს. შესაძლებელია აქ განსხვავება ნაციონალურიცაა. და ეს ასეც არის. პროფ. ფ. ბატუშკოვი როდესაც დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ მიმართულებებს არჩევს, წერს: „იდეური კოსმოპოლიტიზმი ზოგიერთ დაბრკოლებას ხედება, როდესაც ჩვენ მხატვრული შემოქმედების სფეროში, ამ სიტყ-

ვას ვიწრო მნიშვნელობით, გადავდივართ: იდეები შეიძლება ზოგადი ხასიათის იყოს, რადგანაც ისინი აზროვნების განყენებულ სფეროს ეკუთვნიან, მაშინ როდესაც გამოხატვის ფორმა, შემოქმედების მასალა და თვალთახედვის წერტილი უნდა თავისი იყოს. ხელოვნება არ შეიძლება ნაციონალური არ იყოს, რამდენადაც ამას შემოქმედების ობიექტებთან კონკრეტული და ინდივიდუალური დამოკიდებულება თხოვლობს. ზოგად მოვლენასთან რომ მივიდეთ, საჭიროა ჯერ თავისი, ინდივიდუალური გამოვიმუშაოთ. და აი, XVIII საუკუნის ჰუმანური კოსმოპოლიტიზმის პარალელურად ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე თავისი ინდივიდუალური ბუნების ძიებას, ზოგადი ბუნების პარალელურად, საერთოდ... თავისი ხასიათისა, ურომლისოდაც უშუალო შემოქმედებასთან დაბრუნება არ შეიძლება*.

მაშასადამე, ჩვენი მეცნიერების არსებული მდგომარეობის მიხედვით შეგვიძლია ვილაპარაკოთ რომელიმე მწერლის, ჯგუფის, რომელიმე ეპოქის, ანდა კიდევ რომელიმე ხალხის რომანტიზმზე.

ჩვენ გვგონია, რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ აგრეთვე ქართულ რომანტიზმზე, ან რომანტიზმზე ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ სანამდე ამ საკითხის უშუალო განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სქემატურად მაინც გავიცნოთ პირობები და მოტივები, რომლებზედაც რომანტიზმი აღმოცენდა და განვითარდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

2

დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში XVII საუკ. და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (განსაკუთრებით სრული სახით საფრანგეთში) ვხედავთ გაბატონებულ კლასიციკისტურ ლიტერატურას თავისი გარკვეული, ჩამოყალიბებული კანონებით, სურვილით ყველაფერი ამ კანონების ფარგლებში ჩააყენოს; მიღებული ფორმებისა და კანონების გარეშე არაფერი არ დატოვოს, თავისუფალ შემოქმედებას არავითარი გასაქანი არ მისცეს. ასეთი სასტიკი რეგლამენტაცია, რასაც სახელმწიფოში გაბატონებული კლასის (არისტოკრატი ფეოდალების) მდგომარეობა და ბუნება მოითხოვდა, მხატვრულ შემოქმედებას უბრალო ხელოსნობად ჰქმნიდა და ამით მას აკნინებდა, ამდარებდა.

კლასიციზმი დაიწყო საბერძნეთ-რომის მწერლობის შესწავლის ნიადაგზე, წინააღმდეგ საშუალო საუკუნეების სქოლასტიკისა, იმ იმედით, რომ იქ იპოვიდნენ იდეალურს. მაგრამ ეს შესწავლა დამთავრდა თანამედროვე შემოქმედების სრული დამონებით ერთხელ

* Проф. Ф. Б а т ю ш к о в, Накануне XIX века. Ист. зап-евр. лит.

ცნობილი ავტორიტეტებისადმი, გარკვეული ფორმებისა და კანონების დამყარებით და ყოველივე ახალი გზის სასტიკი უარყოფით.

კლასიციზმი აღმოცენდა დასავლეთ ევროპის ფეოდალურ არისტოკრატიული წესწყობილების საფუძველზე, ფეოდალთა ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიის თავისებურებაზე.

ფეოდალურ-არისტოკრატიული წყობილების განვითარებამ საფრანგეთში XVI—XVIII საუკუნეებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ლუი XIV თავისი ბრწყინვალე სასახლითა და მიღებული ეტიკეტით უდიდესი გამომხატველი და წარმომადგენელია არისტოკრატიულ-ფეოდალური კულტურის ცენტრალიზაციის პროცესისა. ლუი XIV-მ სასახლის მეტი ბრწყინვალეობისა და თავის ავტორიტეტის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით, თავის სასახლეში შემოიკრიბა თანამედროვე მწერლები, დაუნიშნა მათ პენსია და მისცა საცხოვრებელი ბინა. მადლიერი მწერლები, რასაკვირველია, სამაგიეროს უხდიდნენ, ქებას ასხამდნენ თავიანთ საუზურენს — ლუი XIV-ს, მის სადიდებლად ოდებსა თხზავდნენ.

ლუი XIV-მ თავისი მოქმედებით, რომელიც ლოგიკური გამოხატულება იყო არსებული სოციალური წყობილების განვითარებისა, ბუნებრივი ნიადაგი მისცა იმ ლიტერატურულ-იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელსაც კლასიციზმი ჰქვია და რომლის მთავარი ხასიათი იყო რაინდული, თავგამოდებით დაცვა არსებული შერყეული ფეოდალური ყოფისა.

ლუი XIV-ის ბრწყინვალე სასახლე თხოულობდა ზეიმს, დღესასწაულს. მისი მმართველობა გამუდმებული ზეიმი იყო. ეს გარემოება ქვეშევრდომებისაგან, განსაკუთრებით სასახლესთან დაახლოვებულებისაგან, გამუდმებულ პოზას და მიღებული ეტიკეტის დაცვას თხოულობდა. არასოდეს არ უნდა დაევიწყებინათ, რომ ისინი ფართო საზოგადოების სცენაზე არიან და მოვალეობას საუზურენის — ფეოდალურ-არისტოკრატიული სახელმწიფოს წინაშე ასრულებენ. პიროვნება ეკუთვნის და ემორჩილება სახელმწიფოს — მეფეს. ამიტომ ადამიანს ფასი ჰქონდა არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც მმართველს, სარდალს, როგორც გმირ-რაინდს, რომელიც მატარებელი იყო პატიოსნების, მოვალეობის, გმირობის იდეალების. როგორც ეს იმ დროს გაბატონებულ კლასს ესმოდა.

კლასიციზტები თავიანთი შემოქმედების გმირ-რაინდს მაღალი წოდებიდან ჰხატავენ, მასალასაც, რასაკვირველია, შემოქმედებისათ-

ვის ისინი ამ წოდების ცხოვრებიდან იღებენ. შედარებისათვის, გმირობის განდიდებისა და პოეტური ელფერის გაძლიერების მიზნით უხვად შეაქვთ ანტიკური მითოლოგიიდან პოეტური სახეები.

კლასიციზტები თავიანთ გმირებს მხოლოდ რაინდულ პოზაში და რაინდულ მოქმედებაში გვიხატავენ. მათ მიუღებლად მიაჩნდათ რაინდს რაიმე ცუდი, რაინდის შთამომავლობისათვის ან მდგომარეობისათვის შეუფერებელი საქმე ჩაედინა. ასეთი საქმეებისათვის იყო დაბალი წოდება, მოსამსახურეები.

ასეთმა შეხედულებამ კლასიციზტებში გამოიმუშავა შეხედულება. რომლითაც ყველაფერი უნდა გონებას ემორჩილებოდეს. აქედანაა კლასიციზტების პოეტიკის რაციონალური ხასიათი.

პოეტი ქმნის არა გრძნობით, არამედ გონებით. პოეტისათვის იმდენად ნიჭი არ არის საჭირო, რამდენადაც სპეციალური მომზადება. ტექნიკა შემოქმედებისა. ამიტომ საჭიროა გარკვეული ფორმები და კანონები პოეტური შემოქმედებისა, რაც დაამუშავა კლასიციზმის თეორეტიკოსმა ბუალომ თავის „Art poétique“-ში. ერთ-ერთი დებულება ბუალოსი იყო ანტიკური კლასიკოსების პოეტიკის მიბაძვის აუცილებლობა. და ამ მოთხოვნილებას საფუძვლად ედო ის განზრახვა, რომ ყველა დაერწმუნებინათ პოეტური შემოქმედების მუდმივი ურყევი ნორმების არსებობაში. ცხოვრება რეგულირდება მიღებული წესებით, ზრდილობით, ეტიკეტით, ასევე უნდა იყოს რეგლამენტირებული ლიტერატურული შემოქმედებაც.

აქედან გონება რეგულატორია გმირის მოქმედებაშიც. გმირის ინდივიდუალობა და გრძნობა საეხებით დაჩრდილულია. კლასიციზტებს წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდათ გმირი, როგორც გარკვეული კომპლექსი ტიპური თვისებებისა და მოცემული სიტუაციებისა ფაბულის განვითარებისათვის. შეიქმნა გარკვეული სქემა შემოქმედებისათვის — გმირები დადებითი და უარყოფითი. დადებითი ტიპები მატარებელნი იყვნენ არსებული წყობილების საუკეთესო ტრადიციებისა, გმირობისა. რათა მკითხველი დაერწმუნებინა არსებულის მიმზიდველობასა და ურყევობაში. ამ გმირების მოქმედება დიდაქტიზმის, დარიგების, ქადაგების, რეზონირობის მატარებელია. ამასთან დაკავშირებით, რაკი ყველაფერი წინასწარ გაზომილი და აწონილია, რაკი გონება რეგულატორია როგორც პოეტისათვის, ისე მოქმედი გმირისათვის, აქედან თვით პოეტურ ნაწარმოებში ყველაფერი უნდა წინასწარ მოფიქრებული იყოს, ამიტომ ზომიერ-

რება, ჰარმონია, სიმეტრია დაცული უნდა იქნეს კლასიციზტური პოეტური შემოქმედების არქიტექტონიკაში. კლასიციზტი მხატვარია იმისა, რასაც ჰხედავს ბრწყინვალე სეზუერენის გარშემო: მისი სილამაზე — პლასტიკური სტატიკაა. კლასიციზმი — სქემატური რეალიზმია. სტილი პათეტური, დეკლამაციური, ენა არისტოკრატიული სალონისა, უამისოდ მწერალი გმირის რაინდულ განცდებს ვერ გადმოსცემდა.

ეს ლიტერატურული მიმართულება წმინდა არისტოკრატიული იყო. ასეთი ლიტერატურული მიმართულებისათვის საჭირო იყო შესაფერი და მისაღები, ფორმები — ქანრები შემოქმედებისა.

ასეთ ქანრებად კლასიციზმის კანონმდებელმა ბუალომ მიიჩნია და დააწესა: ოდა, ეპოპეა და ტრაგედია. ოდა კლასიციზტებს საშუალებას აძლევდა ფეოდალის შექებაში აუცილებელი საჭირო პათოსი გამოეხატა და ხშირად ამ პათოსის არაბუნებრიობა დაემალა. ტრაგედია და ეპოპეა კი ეხმარებოდა გმირი — არისტოკრატი რაინდულ პოზაში და რაინდულ მოქმედებაში განესახიერებია.

ამრიგად კლასიციზმი შეიქმნა პრივილეგიური კლასის, ცხოვრებას მოწყვეტილ კონსერვატორულ მიმართულებად, რომელიც ჰბოჭავდა ყოველგვარ თავისუფალ შემოქმედებას, რომელშიც არა ჩანდა ჩვეულებრივი ადამიანი, ჩვეულებრივი განცდით.

საჭირო იყო ან ისეთი არაჩვეულებრივი ძალა ნიჭისა, როგორც ჰქონდათ რასინს, კორნელს, რომ ჩაებერა ცხოველი ძალა ამ მკვდარ, უსიცოცხლო კანონებში, ან ისეთი შესანიშნავი ალღო რეალობისა, როგორითაც დაჭილდოებული იყო მოლერე, რომ საფრანგეთის კლასიციზმი მსოფლიო მოვლენად გადაქცეულიყო.

3

XVIII საუკუნეში, როდესაც მესამე წოდება — ბურჟუაზია ძლიერდება, სახელმწიფოებრივი ძალის როლის თამაშს იწყებს, კლასიციზტური ლიტერატურისადმი უკმაყოფილება საგრძნობლად იზრდება და ვითარდება.

მის საწინააღმდეგოდ ბრძოლა დაიწყო უპირველესად ინგლისში. რადგანაც აქ მნიშვნელოვან ეკონომიურ მოვლენათა გამო მესამე წოდება უფრო ძლიერი იყო.

„...в Англии, — წერს ლ. ვ. პუმპიანსკი, — после революции и окончательного изгнания Стюартов (1688) впервые буржуазия стала слагаться в организованный класс, самостоятельный

в своей хозяйственной деятельности, не достигший еще политической власти, но вполне зрелый для моральной и культурной организации себя... Чем больше, тем отчетливее становится новаторство английской поэзии, причем все главные новые явления в ней связаны с медленно слагающимися предромантическими вкусами (пейзажная поэзия, так называемая ночная поэзия, Оссиан, страшный или готический роман и др.).. Все эти новые явления становятся, — часто немедленно, — известны на континенте, и прежде всего именно во Франции; очевидно, французская литература XVIII века... особенно жадно воспринимает творческую инициативу английского предромантизма“*.

ინგლისში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა ე. წ. სანტიმენტალური მიმართულება, როგორც ფსიქო-იდეოლოგიური გამოხატულება წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა, რომელმაც ამ დროს უკვე დიდი პოლიტიკური ძალა გამოიჩინა. ინგლისის ბურჟუაზია ისეთს ლიტერატურას თხოულობდა, რომელშიც, წინააღმდეგ კლასიციზმისა, განსახიერებული იქნებოდა ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, მისი კერძო ყოფა და იდეოლოგიურად მისი ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის დონეზე იქნებოდა. სანტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ჩვეულებრივი ადამიანის საღი — საოჯახო თვისებების შერქმობიარე დასურათება. სანტიმენტალიზმმა შექმნა თავისი შესაფერი და დამახასიათებელი ჟანრები. სანტიმენტალური მოგზაურობა — რობანი — მეტად გავრცელებული ჟანრი სანტიმენტალიზმისა (მაგ., „სანტიმენტალური მოგზაურობა“ სტერნისა), საოჯახო-ზნეობრივი რომანი (მაგ., „პამელა“ რიჩარდსონისა), მეშჩანური დრამა (მაგ., „ლონდონის ვაჭარი“ ლილოსი), იდილია („პერმან და დოროთეა“ — გოეთესი; „წელიწადის დრონი“ — ჯემსტომელნის).

სანტიმენტალიზმი ჩნდება როგორც კლასიციზმის რეაქცია. სანტიმენტალიზმისათვის მთავარია ადამიანი, პიროვნება, მიუხედავად მისი დამოკიდებულების სახელმწიფოსადმი.

სანტიმენტალისტიკისათვის მთავარია დახატოს არა პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი, არამედ ჩვეულებრივი, „კეთილშობილი ადამიანების“ კერძო, ოჯახური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. მისი შემოქმედების გმირი უმთავრესად ჩვეულებრივი უპრეტენზიო

* Л. В. Пумпянский, „Сентиментализм“, Истор. русск. лит.-ры. т. IV, АН СССР, 1947, стр. 430..

პიროვნებაა. პიროვნება მისთვის თვითღირებულების მატარებელი პრიმატია. აქედან — გაძლიერებული ინტერესი პიროვნების ფსიქოლოგიისადმი. სანტიმენტალისტი გადადის პიროვნების ინტიმური ცხოვრების ანალიზზე, უპირველესად მასში ეძებს გრძნობას; კეთილის მგრძნობიარე განწყობილებას. „კეთილი გრძნობა და გული“ — აი მთავარი სანტიმენტალიზმისათვის. მგრძნობელობა, სილამაზე და სიკეთე სანტიმენტალისტის შეგნებაში მთლიანდება და ეს მთლიანობა გონებისათვის მიუწვდომელია, საიდუმლოა, ამასთან ერთად სანტიმენტალიზმში პოულობს თავის შესაფერ ადგილს ყველა და უფრო კი ჩვეულებრივი ადამიანი. სანტიმენტალიზმი აქაც განსხვავდება კლასიციზმისაგან. უკანასკნელის არისტოკრატიზმს სანტიმენტალიზმმა დაუპირისპირა დემოკრატიზმი. ზემოდასახელებული ლ. ვ. პუმპიანსკი წერს:

„Сентиментализм есть... предромантическое направление, связанное с совершенно отчетливым морально-общественным мировоззрением, мировоззрением демократии (чаще всего — буржуазной), вступающей в глубокий конфликт с окружающим ее сословно-абсолютистским обществом и его государственностью“*. ამ ახალმა იდეებმა და მოტივებმა ყველგან, ყველა ქვეყანაში, სადაც ეს მიმართულება განმტკიცდა, ხელი შეუწყო ნაციონალურ-ბურჟუაზიული ლიტერატურის შექმნას, ახალ ადამიანსა და ფეოდალურ საზოგადოებას შორის კონფლიქტის გაღრმავებას. X.VIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ლიტერატურა წარმოუდგენლად შეიცვალა. ამ ახალმა იდეებმა და მოტივებმა ყველგან ხელი შეუწყო ნაციონალურ-ბურჟუაზიული ლიტერატურის შექმნას.

სანტიმენტალიზმი რომანტიზმის დასაწყისია, ან, როგორც გერმანელები ამბობენ, ადრეული რომანტიზმია.

სანტიმენტალიზმი, როგორც კლასიციზმის რეაქცია, მალე მოედო ევროპის კონტინენტს, სადაც ინგლისის მსგავსი სოციალური პირობები აღმოჩნდა.

გერმანიის აზროვნება კლასიციზმის წინააღმდეგ დაიწყო ლესინგის შემოქმედებით, რომელმაც საფრანგეთის კლასიციზმის წინააღმდეგ კრიტიკას საფუძველი ჩაუყარა.

თვით საფრანგეთში ახალი ლიტერატურის მიმდევრად ჟან ჟაკ რუსო გამოდის.

* Л. В. Пумпянский, „Сентиментализм“, Истор. русск. лит-ры, т. IV, АН СССР, 1947, стр. 436.

მეცნიერთა და მკვლევართა უმრავლესობის აზრით ე. ე. რუსო გახდა მამამთავრად იმ ლიტერატურული მიმართულებისა, რომელმაც აითვისა, ხოლო შემდეგში გააგრძელა და გააღრმავა ახალი მიმართულება, რომანტიზმის სახელწოდებით ცნობილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

რომანტიზმმა გააღრმავა სანტიმენტალიზმის მიერ წამოყენებული დებულებები, გაამდიდრა ახალი სახეებით, სტილით, სიტყვებით და გარკვეულ რთულ მსოფლმხედველობად ჩამოაყალიბა.

ევროპის ისტორიის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სინამდვილეში რუსო ერთი უდიდესი წარმომადგენელია რომანტიზმისა როგორც ლიტერატურაში, ისე ფილოსოფიურ აზროვნებაში. მისი იდეები მჭიდროდა დაკავშირებული საფრანგეთის რევოლუციის დროის მოძრაობასთან, რომელიც შემდეგში მთელ ევროპას მოედო.

რუსო სრულიად სამართლიანად ამ ეპოქის საზოგადოებრივი სულიერი განწყობილების უდიდეს გამომხატველად ითვლება. იმ დროს რუსოს არა მარტო პოლიტიკურს, არამედ სოციალურ იდეებსაც დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ რუსო საზოგადოებრივ აზრს და სულიერ განწყობილებას უფრო იმ პროტესტით იზიდავდა, რომელიც მან ასე მკაფიოდ გამოთქვა თავის ტრაქტატში: „ცივილიზაცია ხელს უწყობს თუ არა ხალხის ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებას“.

რუსოს სულიერი განწყობილება და მსოფლმხედველობა მკვეთრი გამოძახილია იმ საერთო უკმაყოფილებისა, რომელსაც ძველი წესწყობილების დრომოჭმულობის განცდით ევროპა ამ ეპოქაში განიცდიდა.

რუსო თავის ორიგინალურ თხზულებაში ამტკიცებს, რომ ბედნიერება შეიძლება მხოლოდ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში, როდესაც ადამიანი მასთან ერთად საერთო ცხოვრებით ცხოვრობს. კულტურა ადამიანს ბუნებას აშორებს, თავისი პირობებით ადამიანის ბუნებას ამახინჯებს, ასუსტებს, აჩიავებს. ამიტომ ადამიანი უნდა ბუნებას დაუბრუნდეს, მასთან საერთო ცხოვრებით იცხოვროს, მას შეუერთდეს. მაშინ შეიძლება ის ბუნებრივ ადამიანად — *I'home naturele* დარჩეს. აქედან რუსოს გატაცება პირველყოფილი ადამიანით და მისი ცხოვრების ფორმებით, რადგანაც იქ, იმ პირობებში ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაშია, შეუზღუდავია, თავისუფალია.

რუსოს ასეთი ორიგინალური აზრი, მეტად ნიჭიერად გამოთქ-

მული, ევროპის მცხოვრებთა განწყობილებისათვის დროული გამოდგა. ამიტომ მან მრავალი თანამგრძობი და მომხრე მიიზიდა.

ძველი წყობილებით და მასზე აღმოცენებული კლასიციზმის ფორმალიზმით შებოჭილმა ადამიანის შემოქმედებამ, რომელიც მის დრომოკმულობას უკვე გრძნობდა და დაგუბებულ გრძნობათა უშუალო გამოსავალს ეძებდა, რუსოს ასეთს უარყოფით, პროტესტულ მსოფლმხედველობაში თავის მოთხოვნილებათა სტიქიური დაკმაყოფილება იპოვა.

როგორც საფრანგეთის რევოლუციამ ხალხის ნებისყოფასა და სურვილს ფართო გასაქანი და გამოსავალი მისცა, როგორც რევოლუცია არსებული ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ პირობათა წინააღმდეგ ძლიერი პროტესტი იყო, ასევე პარალელურად ლიტერატურულ სფეროშიც სანტიმენტალიზმის და რომანტიზმის სახით თავისებური რევოლუცია განვითარდა. სასტიკი პროტესტი ფსევდოკლასიკური შემოქმედების რეგლამენტაციისა და დრომოკმულობის წინააღმდეგ ძლიერად გაისმა.

პროტესტული სულიერი განწყობილება, თანამედროვეობის სინამდვილით უკმაყოფილება და მისგან გაქცევა, ან მისი გარდაქმნა; მისწრაფება სხვა ქვეყნისაკენ, მიწის ზე სამყაროსაკენ, ძველის იდეალიზაცია ან ახალის ძიება— აი მთავარი თვისებანი იმ ფართო მიმართულებისა, რომელსაც რომანტიზმი ეწოდება.

ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი განწყობილება უფრო გამკვეთრდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებით და ამ გარემოებით შექმნილი ფსიქოლოგიით (იმედგაცრუებულობა ადამიანის გონების ძალაში, რომელმაც ცხოვრების გარდაქმნა მოინდომა და დამარცხდა, და აგრეთვე რევოლუციის სოციალურ-ეკონომიური იდეალებისადმი ეჭვი, უნდობლობა).

ასეთი სულიერი განწყობილება მთელ ევროპას, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოქმედ კლასს და ფენას მოედო. ეს სულიერი განწყობილება ახასიათებს და ერთ მიმართულებად აერთებს რევოლუციის მოქმედ როგორც აქტიურს, ისე პასიურ კლასებს, როგორც აღმავალ, მოქმედ კლასებს, ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენას, მათი თანამედროვე ცხოვრების პირობების უკმაყოფილებით, შეურიგებლობითა და ახალი ცხოვრების ძიებით და მომავლისაკენ მისწრაფებით, ისე წარმავალ და შლილ კლასებს (ფეოდალთა და სასულიერო წოდებას) რევოლუციით მოტანილი უბედურებით, რღვევით გამოწვეული უკმაყოფილებით და წარსულის კულტით. ამ სხვადასხვა დირექტივების ელემენტების ურთიერთგავლენა

ქმნის საერთო ეპოქის მრავალწახნაგოვან მსოფლმხედველობას მდიდარი ნიუანსებით. აი, ეს მსოფლმხედველობა, თავისი მრავალფეროვანებით, ასახულია რომანტიზმში.

4

რომანტიზმის სხვადასხვა მხარე რომ განვიხილოთ, დავრწმუნდებით, რომ, მიუხედავად მისი მრავალფეროვანებისა, მასში ერთი რამ ძირითადია — პროტესტი, უარყოფა და უკმაყოფილო სულიერი განწყობილება. ამ ნიადაგზე გავრცელდა ელეგია, როგორც ეპოქისათვის შესაფერი ლიტერატურული ჟანრი.

ამავე ნიადაგზე აღმოცენდა რომანტიზმის იდეალისტური აზროვნება და მსოფლმხედველობა. რომანტიზმს აქვს თავისი ფილოსოფია — იდეალისტური ფილოსოფია შელინგისა, ჰეგელისა და სხვათა. რომანტიკოსი-ფილოსოფოსი. ჰემინსის იდეალური უნივერსალური სისტემის სამყაროს ორგანული მთლიანობისას, რომლის სათავეში აბსოლუტი, იდეაა, რომლის გამომქდავენებაა მთელი სამყარო, ცხოვრება. რომანტიკოსებს ხალხთა ცხოვრება წარმოდგენილი აქვთ, როგორც სტიქიური მთლიანი ორგანული ცხოვრება, რომელშიც ყოველი ხალხი აბსოლუტის ამა თუ იმ მხარის ისტორიულად გამომქდავენებელია. რომანტიკოსის გაგებით, გარდა არსებული ცხოვრებისა და ქვეყნისა, არსებობს სხვა ქვეყანა, სხვა ირეალური სამყარო, რომელსაც ემორჩილება ადამიანი. ადამიანის ცხოვრებაში ბევრია რაღაც საიდუმლო, გაუგებარი. ადამიანი მაღალი ძალების ხელშია. ადამიანი თავის ასეთ დამოკიდებულებას ჰგრძნობს და ხან შეებმის ბედს, სტიქიას, ამ ძალებს (ტიტანიზმი, დემონიზმი), ხან კი მორჩილდება, მისდევს, ურიგდება მას (მისტიკა, მსოფლიო გოდება). რომანტიკული საყვარული ან დემონურია, მისი სიყვარული უარისყოფაშია, ქვეყნიერებისადმი ზიზღში; ან მშვიდი, წყნარი — პლატონურია. ამ მოტივთა გრეხილშია თავთავისებურად ჩაქსოვილი როგორც აღმავალი, ისე დაკნინებერგზაზე დამდგარ კლასთა ფსიქო-იდეოლოგია, როგორც რეაქციული, ისე რევოლუციური რომანტიზმის.

რომანტიკოსების ყურადღების ცენტრშია ადამიანი, მისი ბუნება, ფსიქოლოგია. ადამიანის გაგებიდან რომანტიკოსი ვადადის სამყაროს გაგებაზე და შემდეგ ლამობს აბსოლუტს ჩასწვდეს. ადამიანის გაგება-კი ძნელია. ბევრია მასში საიდუმლოებრივი. რომანტიკოსს საიდუმლოებრივის გაგება გონების საშუალებით კი არა,

ანტიციის საშუალებით მიაჩნია შესაძლებლად. ამიტომ რომანტიკოსს იზიდავს ანორმალური პიროვნების ბუნება და არა ნორმალურისა, როგორც ეს სჩვეოდათ კლასიკოსებს, რომელიც პოეტის ინტუიციას მეტს გასაქანს აძლევს. რომანტიკოსის ძალა ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომქლავებაშია. აქედან — კულტი პიროვნებისა.

რომანტიზმი გვეხატება, როგორც ძლიერი თავისი მდიდარი და იმ დროისათვის მიმზიდველი შინაარსით საზოგადოებრივ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელსაც უნდოდა არსებული შეეცვალა. ამ მხრით რომანტიზმი პროტესტია გაბატონებული აზრისა და ცხოვრების არსებული მდგომარეობის მიმართ.

როგორც ლიტერატურული მოვლენა, რომანტიზმი რეაქციაა კლასიციზმისა. მან თავისუფალი შემოქმედების პრინციპი აღიარა და თავისუფალი შემოქმედების შემბორკავ პირობებს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა. ყოველი მხატვრული ნაწარმოების ძირითად მოთხოვნილებად მან შემოქმედების სრული თავისუფლება აღიარა, წინააღმდეგ კლასიციზმის თეორეტიკოსის ბუალოს ყოვლის შემძლებელი პოეტიკისა თავისი ურყევი და შეაკრი საყოველთაო კანონებით, რომანტიზმმა ყოველი წესი უარყო, ყველაზე მაღლა დააყენა პოეტის ნიჭი, მისი პიროვნება, მისი ძალა, პოეტის თავისუფალი შემოქმედება, დამყარებული მის თავისუფალ მოქმედსულზე, მისი სუბიექტური სამყაროს განსახიერებაზე და გამომქლავებაზე. პოეტი თავის ქმედებაში აბსოლუტურად თავისუფალია. მისი შემოქმედების აღმადგენნას არავითარი ნორმა არ უნდა ზღუდავდეს.

რომანტიკოსების გაგებით და შეგარძნებით, თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი წესწყობილებით, მიმართულებით და მისწრაფებით ფარგლავდა, ზღუდავდა ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს. სინამდვილე, რომანტიკოსების შეხედულებით, აღუნებს პიროვნებას, ხელს უშლის მის განვითარებას, განუსაზღვრელობას, ხელს უშლის მას უნივერსალობის ჩაწვდომაში, — ამისათვის პიროვნებისათვის აუცილებელია თავისუფლების მოპოვება, ეს კი იწვევს არსებული წესწყობილებით უკმაყოფილებას და მის უარყოფას. აქედან ბრძოლა არსებულის წინააღმდეგ.

რომანტიზმის ასეთ მებრძოლ ხასიათს ლიტერატურაში ხელს უწყობდა და აღრმავებდა ის იდეური და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი XVII — XVIII საუკუნეთა ცხოვ-

რების მოძველებულ ფორმებთან საბრძოლველ საშუალებად შეიქმნა. ამისათვის რომანტიზმის ერთი განშტოების (რევოლუციურის) პროტესტი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით თითქოს ბრძოლის ხასიათს იღებს, უახლოვდება წინააღმდეგობის იმ ფორმებსაც კი, რომლებიც საზოგადოებრივ პოლიტიკურმა მოძრაობამ შექმნა.

რომანტიკოსები უარყოფდნენ ცხოვრებას, რადგანაც მათსა და ცხოვრებას შორის კონფლიქტი იყო. რომანტიკოსები ობიექტური ცხოვრების სიმართლეს უპირისპირებდნენ პოეტის სუბიექტურ სიმართლეს; ცხოვრების ფაქტებს — პოეტის რწმენას, ხშირად ილუზიას, ვინაიდან ობიექტური ისტორიული პროცესი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მათი სოციალური ჯგუფების თუ კლასების სუბიექტურ განწყობილებებს.

ამიტომ რომანტიკოსის რწმენა ცოდნას გაურბოდა. სოციალური პროცესის კანონების ცოდნა-გაგება, სინამდვილის თვალღიად შეხედვა ძირში სპობდა რომანტიკოსის რწმენის შესაძლებლობას, ჰკლავდა თვით რომანტიზმს. რომანტიკოსის რწმენა საზრდოობდა სუბიექტური ილუზიებითა და მისი რომანტიული აღმაფრენა შესაძლებელი იყო მანამდე, სანამდე სინამდვილე ამ ილუზიებს არ გაანადგურებდა. იგი უარყოფითად უყურებდა სინამდვილეს, მასთან წინააღმდეგობას ხედავდა როგორც წარმავალი კლასის რომანტიკოსი მწერალი, ისე აღმავალისაც.

აი რატომ გაურბოდნენ რომანტიკოსები ერთსულოვნებით ცხოვრებას — სინამდვილეს.

რომანტიზმის უარყოფამ თანამედროვე კულტურისა და ცხოვრების პირობებისა, მისმა პროტესტმა ყოველივე შემაფერხებელი მდგომარეობის წინააღმდეგ, უსაზღვრო შემოქმედების კულტმა, რომანტიკოსების ერთი ჯგუფის (განწირული კლასის წარმომადგენელთა) გულისყური წინა ხანაში, წარსულში გადაიტანა, კონსერვატიზმის რკალში მოამწყვდია — მაგ. ნოვალისი, ტიკი, შატობრიანი და სხვანი.

რომანტიკოსებმა საშუალო საუკუნეებს მიმართეს. იქ მათ აღმოაჩინეს მთელი თავისებური ქვეყანა, სავსე პოეზიით, ფანტასტიკით, საიდუმლოებით, სავსე იმით, რაც რომანტიკულ-ირეალური შეხედულებისათვის იყო მშვენიერი, კარგი და ასე დაშორებული გარემო რეალობის ყოველდღიურობას, რასაც ასე გაურბოდა და ეწინააღმდეგებოდა რომანტიზმი.

საშუალო საუკუნეებში რომანტიკოსები ხედავდნენ სხვა კულ-

ტურას, უფრო მარტივს, მაგრამ ფაქიზსა და სახეს ფანტასტიკით და მიმზიდველობით. ამ საშუალო საუკუნეების ფანტასტიკაში დაკმაყოფილება იპოვა რომანტიზმის მოთხოვნილებებმა: წარმოსახვა (воображение) — პოეტის საუკეთესო მეგობარია, ხოლო ზღაპარი — პოეტური შემოქმედების საუკეთესო ქანრია. ამ ნიადაგზე რომანტიზმში განვითარდა პოეტური შემოქმედების სახე — ბალადა (მაგ. ბიურგერი, ჟუკოვსკი).

საშუალო საუკუნეების ცხოვრება, რომანტიკოსთა გაგებით, თანამედროვე ცხოვრებიდან თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა.

თანამედროვე ცხოვრებაში პიროვნება სუსტია, დამტვრეულია; მას მთლიანობა არა აქვს, ის შეზოკილია საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით, სავსეა ტანჯვით, მწუხარებით, კმუნვით. საშუალო საუკუნეებში კი, პირიქით, ადამიანში მთლიანი მსოფლმხედველობაა დაცული, იქ მრავლადაა მთლიანი, ძლიერი, ენერგიული, თუმცა კი უხეში პიროვნება.

აი აქ, საშუალო საუკუნეების ცხოვრებაში გატაცებულმა რომანტიკოსებმა უხვი მასალა იპოვეს თავიანთი განუსაზღვრელი აღმაფრენისა და მდიდარი ინტუიციისათვის. ვითარდება პოემა ძლიერი პიროვნებისა (მაგ. ბაირონი, ლერმონტოვი, პუშკინი).

თავისუფალი, უშუალო ცხოვრებისა და რომანტიკოსების შემოქმედებისათვის შესაფერი მასალის ძიება არა მარტო საშუალო საუკუნეებში, არამედ აქედან რომანტიკოსების დაუდგრომელი ფანტაზია საერთო წარსულის წყვილიადში გადადის, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, თავისი წარსულით, შეიქმნა რაღაც ფანტასტიკურ ქვეყნად, რომლისკენაც მიისწრაფოდა არა ერთისა და ორი რომანტიკოსის აღზნებული შემოქმედება. ამ წარსულში რომანტიკოსები, რასაკვირველია, სდებდნენ თავიანთ შეხედულებებს, ხშირად ახალაზრს, ფანცდას. ამ ნიადაგზე წარსულის იდეალიზაცია წარმოიშვა და, პარალელურად ძლიერი პიროვნების პოემისა, განვითარდა იდილია.

ასეთმა ძველი დროით გატაცებამ, მისმა იდეალიზაციამ თანამედროვე ცხოვრებას მოყირჭებული ევროპის ინტელიგენციის აზრი და გრძნობა თანდათან ძლიერად და თავდავიწყებით დააწაფა ჰალარა წარსულს, არა მარტო საშუალო საუკუნეებს და აღმოსავლეთს, არამედ თავის ნაციონალურ წარსულსაც. აქედან რო-

მანტიკოსებმა ნაციონალური ხალხური შემოქმედების ფორმებისა და სახეების აღდგენას მიჰყვეს ხელი.

ევროპის ვერც ერთმა ხალხმა ვერ დააღწია თავი ასეთ გატაცებას. პირველობა ამაში ისევ ინგლისს ეკუთვნის, მაკფერსონის მიერ შოტლანდიის ხალხური მგოსნის ოსიანის სახელით ხალხური ჰიმნებისა და თქმულებათა კრებულის გამოცემით. ამ კრებულმა დიდი ინტერესი, გავლენა და მიბაძვა გამოიწვია მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში არა მარტო ინგლისში, არამედ მთლად ევროპაშიც. სხვათა შორის შორეულ რუსეთშიც ოსიანას თქმულებებმა დიდი გავლენა და მიბაძვა მოიპოვა. ოსიანის სიმღერები დაუყოვნებლივ იყო რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი. პოეტმა დერჟავინმა პირველმა გამოიყენა ოსიანისებური პოეზიის სტილური ნიშნები თავის ცნობილ ოდაში „На взятие Измаїла“, სადაც რუსი მეომრები განსახიერებულნი არიან ოსიანის გმირების მსგავსად. მეორე დიდი წარმომადგენელი ინგლისის ლიტერატურასა წარსულის განსახიერებაში დიდი რომანტიკოსი ვალტერ სკოტია, თავისი მეტად მიმზიდველი ფერადებით დაწერილი რომანებით.

საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ შატობრიანის დიდს ფიგურას, გერმანიაში ისეთ ბუმბერაზებს, როგორც შლეგელეები, გრიმები და სხვანი, რუსეთში — ეუკოვსკი, მარლინსკი, ლერმონტოვი, პუშკინი და სხვანი, ქართულ მწერლობაში — გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვანი.

ყველა ესენი ცდილობენ თავისი შემოქმედების თემები განავრცონ უპირველესად თავიანთი ეროვნული, ნაციონალური წარსულის შემოქმედების სალაროდან ამოკრეფილი სახეებით.

რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ტრედიაკოვსკი დაინტერესდა რუსული ხალხური სიმღერით და ცდილობდა მისი ლექსის აღნაგობა გაერკვია. ხოლო 1760—80 წწ. რუსული ლიტერატურული ინტერესი სლავიანური მითოლოგიისა, რუსული სიმღერისა და ზღაპრისადმი ფართო და საპატიო ადგილს ანიჭებს რუსულ ფოლკლორულ მოძრაობას. ამგვარი ინტერესი მოსჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაშიც — დავ. გურამიშვილის, მამუკა ბარათაშვილის, ბესიკის შემოქმედებაში. ეს მიმართულებაც საგრძნობლად და ნაყოფიერად ღრმავდება როგორც რუსეთში, ისე საქართველოში XIX საუკუნეში.

მაშასადამე, კულტი წარსულისა და ამაზე აღმოცენებული ეროვნული წარსულისა, მისი შემოქმედებისა

და სახეების აღდგენისა, ერთ-ერთი ლოზუნგია რომანტიზმის მიერ განვითარებული.

აი ასეთია ძირითადი მოტივები და ფორმები ლიტერატურული რომანტიზმისა, რომელიც გააძლიერა და გააღრმავა შელინგის და ჰეგელის იდეალისტურმა ფილოსოფიამ. უკანასკნელის საფუძველზე შეიქმნა რომანტიზმის ფილოსოფიური თეორია.

ვეროპის მწერლებში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის 30-იან წლებამდის რომანტიზმი თავისი მრავალფეროვანებით და სხვადასხვა მიმართულებით ძალუმად მფლობელობდა.

ვერც ერთმა ხალხმა და მით უმეტეს ვერც ერთმა ცალკე მწერალმა ვერ შესძლო ამ რთული მიმართულების მთლიანად გადაღება და განვითარება. ყოველი მათგანი ავითარებდა და აღრმავებდა რომანტიზმის რომელსავე მხარეს, იმ სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობათა და ნაციონალურ თვისებათა მიხედვით, რომლების გამომხატველიც სინამდვილეში ის იყო.

როგორც ზემონათქვამიდანაც შეიძლება დაგვეჩვენა, ეს ახალი ლიტერატურული მიმართულებების დამახასიათებელი სტილური ნიშნები დაუყოვნებლივ აღიბეჭდებოდნენ ხოლმე რუსულ ლიტერატურაშიც. არც ერთი არსებითი ნიშანი სანტიმენტალიზმ-რომანტიზმისა არ დარჩა აღუბეჭდავი რუსულ ლიტერატურას, ზოგიერთი მათგანი რუსეთის სინამდვილის თანახმად თავისთავად გადამუშავდა და გაღრმავდა.

ასეთივე მდგომარეობაა ქართულ მწერლობაში, სადაც ეს მიმართულება მოდის რუსეთის ფაზით.

სინამდის ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავკვირთ მაინც გავარკვიოთ, როგორ ვრცელდებოდა რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში და ქართული ცხოვრების სინამდვილე რამდენად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა მისი განვითარებისათვის ჩვენში. ეს გარემოება მოგვეცემს საშუალებას ქართული რომანტიზმის ლეიტმოტივის გასააღებ იკვლიოთ.

ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარების ხელშეწყობი პირობები

1

თუ დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიც რომანტიზმი ერთგვარი რეაქცია იყო ძველი, წინამორბედი ლიტერატურული მიმართულებისა, ე. წ. კლასიციზმისა, თუ რომანტიზმს უცხო ქვეყნებში მკაცრი ბრძოლა მოუხდა გაბატონებული ლიტერატურის შემზღვევადი ტრადიციების დასამხოზად და ახლის, უფრო თავისუფალი შემოქმედების უფლებების დასამყარებლად, საქართველოში მას ასეთი ბრძოლა სრულებით არა სჭირდებოდა.

ლიტერატურული ტრადიცია ქართული ლიტერატურისა თითქმის სრულებით თავისუფალი იყო იმ ნორმებისა და ფორმალისაგან, რომელიც კლასიციზმს ახასიათებდა და რომლის წინააღმდეგაც რომანტიზმი ასე მკაცრად ამხედრდა. კლასიციზმი ქართულ ლიტერატურაში ვერ განვითარდა, ვინაიდან ქართველი ფეოდალური კლასი უსაშველო დეგრადაციას განიცდიდა.

კლასიციზმი თავისი მომსპობი მშრალი ნორმებით, შეიძლება ითქვას, ქართულ ლიტერატურას სრულებითაც არ შეხებია. პირიქით, ქართული ლიტერატურა სავსე იყო ლირიკული ხასიათის შემოქმედებით, რომელშიც პოეტის მგრძნობიარე აღფრთოვანებული თუ ნაღვლიანი ჩანგის ქლერა მეტად სუბიექტურ და მასთან ერთად ხშირად რეალისტურ ხმებში გაისმოდა.

ჩვენი აღორძინების ლიტერატურა მთლად ასეთი ხასიათისაა! რა არის შემოქმედება თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილ მეფის, ვახტანგ VI, დავ. ფურამიშვილის, ბესიკის და სხვათა, თუ არა ლირიკული შემოქმედება, პოეტის მწუხარე და გაწბილებული სულისკვეთების უშუალო განსახიერება?

განა ელეგია, ეს დამახასიათებელი და სულიერი განწყობი-

ლების შესაბამი ფორმა რომანტიკულ ლიტერატურული შემოქმედებისა, ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა არ არის ჩვენი ლიტერატურისა ც აღორძინების ხანაში? ახ განა არ არის სულხან-საბა ორბელიანის „ს ი ბ რ ძ ე-ს ი ც რ უ ის ა“, დავ. გურამიშვილის მთლიანი შემოქმედება ხალხური შემოქმედების ფორმისა, შინაარსისა და ენის მშვენიერი და ძლიერი გამოყენება. ესეც ხომ ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე იყო რომანტიკული მიმართულებისა.

რასაკვირველია, ჩვენ ამით იმის თქმა სრულებითაც არ გვიწევს, რომ ჩვენი აღორძინების ხანის მწერლები რომანტიკულ მიმართულებას ეკუთვნიან. ეს შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან რომანტიზმი გარკვეულ მიმართულებად შეიქმნა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში და განსაზღვრულ პერიოდში (XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის 30-იან წლებამდე) ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა. აქედან რომანტიზმი სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, საქართველოშიც გავრცელდა შესაფერი ობიექტური პირობების განვითარებასთან დაკავშირებით.

ჩვენი აღორძინების ლიტერატურის ზემოაღნიშნული ხასიათი, მოტივები, ჟანრები და მიმართულება კი გაცილებით ადრე გავრცელდა. ამის წყარო თვით საქართველოს ცხოვრების პირობებში უნდა ვეძებოთ (ეს გარემოება ზევითაც გვქონდა შემთხვევა აგვენიშნა). მაგრამ ის კი შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში რომანტიზმის დამყარებას და განვითარებას მომზადებული ნიადაგი დახვდა — კლასიციზმის ფორმალისმისაგან თავისუფალი ლიტერატურული შემოქმედება, შემოქმედება გამომხატველი პოეტის შინაგანი „მე“-სი, მისი შინაგანი სამყაროსი, გავრცელებული ჟანრი ელეგია. აი რა დაჰხვდა რომანტიზმს ქართულ ლიტერატურაში.

ამ მხრით რომანტიზმის დამყარება საქართველოში არ განიცდიდა იმ ტივილებსა და მტკრევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში და, თუ გნებავთ, რუსეთშიც.

რომანტიზმმა გასავრცელებლად ქართულ ლიტერატურაში ნოყიერი ნიადაგი იპოვა და თავისუფლად დაემყნო.

2

მეორე და ძირითადი გარემოება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო რომანტიკული მიმართულების განმტკიცებისათვის ქართულ ლიტერატურაში, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-

პოლიტიკური მდგომარეობაა, რომელშიც საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთთან დაკავშირებით აღმოჩნდა.

საინტერესოა, რას წარმოადგენს რუსეთი XIX საუკუნის დასაწყისში.

მართალია, რუსეთი XVIII საუკუნის მიწურულში და XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ მიწათმოქმედებისა და ბატონყმობის ქვეყანაა, მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულიდანვე იქ ვაჭრობა და საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარებაც, უდავოდ, თვალსაჩინო ფაქტია. ეს დებულება ყველასათვის აშკარა შეიქმნება ორი სტატისტიკური ცნობის მოტანით: 1780 წელს რუსეთში 478 ფაბრიკაა 27450 მუშით; 1825 წელს კი 5261 ფაბრიკა — 210 560 მუშით. განსხვავება ცხადია. რუსეთში XIX საუკუნის პირველსავე ნახევარში კაპიტალიზაცია, უდავოდ, ჩქარის ტემპით ვითარდება. „მრეწველობითმა ინტერესებმა, — წერს ტუგან-ბარანოვსკი, — ახლა უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო, ვიდრე წინათ. ამ ეპოქაში ჩვენში გამოჩნდნენ მსხვილი კაპიტალისტი-მრეწველები, რომლებიც შინამრეწველობის წრიდან გამოვიდნენ... ნიკოლოზ I ეპოქაში ბატონყმური რუსეთი კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნას იწყებს, ამის შესაბამისად კაპიტალისტთა კლასის გავლენაც ძლიერდება. ამ საზოგადოებრივი პროცესის გამომხატველია ნიკოლოზ I მმართველობის მთელი წარმოებითი პოლიტიკა“*.

მართლაც, XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ცხოვრებაში არა მარტო ვაჭრობითი, არამედ წარმოებითი კაპიტალიზმის მძლავრ მოქმედ ფაქტორად გარდაიქცა. ამ დროიდან რუსეთის სინამდვილეში პარალელურად ცხოვრება დაიწყო, ერთი მხრით, — ბატონყმობა და ყმავე, მეორე მხრით, — ბურჟუა-კაპიტალიზმი და მუშავე. ქარხანა გულისხმობს მუშის არსებობას, თხოულობს თავისუფალ დაქირავებულ შრომას, მაგრამ ბატონყმური რუსეთი ამ პროცესის სრულს, ყოველ შემთხვევაში, მის ბუნებრივ განვითარებას აფერხებდა. მართალია ამ, ჯერ კიდევ ბატონყმური რუსეთის ცხოვრების, ქარცეცხლში ქარხანა-ფაბრიკა დაუნდობლად, მძლავრად იკაფავდა ვზას, სარგებლობდა როგორც გამოუსყიდული, ისე გაქცეული ყმების შრომით, მაგრამ ეს მისთვის მარწუხები იყო. კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობამ აიძულა დაენგრია ბატონყმური

* М. Туган-Барановский, Русская фабрика в прошлом и настоящем, т. I, стр. 278—279.

რუსეთის მთავარი ბჭე — ბატონყმობის ინსტიტუტი.

XIX საუკუნეში ვაჭრობა-მრეწველობის ჩქარი ტემპებით განვითარებამ რუსეთის ცხოვრების ყოველ მხარეს თავისებური ბეჭედი დაასვა და ბურჟუაზიის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო.

პარალელურად ამისა რუსეთში აგრარული მეურნეობა ჯერ კიდევ საკმარისადაა მძლავრი. კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში მემამულეთა წოდებაც ამოქმედა. დაიწყო მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია. XIX საუკუნის პირველ ნახევარში 30—40-იან წლებში თავადაზნაურთა ნაწილი მეურნეობის განვითარების გამო თავადაზნაურულ ბურჟუაზიად გადაიქცა. თავადაზნაურთა შეძლებული ჯგუფები სახელმწიფოში ჯერ კიდევ გაბატონებული კლასის ძალის მქონენი არიან, სახელმწიფოებრივ წყობილებაზე გავლენას არა ჰკარგავენ. სანამდის რუსეთის სინამდვილეში წამოზვიორთდებოდა მეოთხე ფენა — პროლეტარიატი, ეს საერთო მტერი, როგორც ბურჟუაზიისა, ისე თავადაზნაურთა, და მათ ინტერესებს პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ გააერთიანებდა, თავადაზნაურობა დიდ ქიშპობასა და მეტოქეობას უწევდა ბურჟუაზიას, მის ლიბერალურ გეზს.

ამიტომ პავლე I-ის, ალექსანდრე I-ის, ნიკოლოზ I-ის ეპოქაში თავადაზნაურობის პრივილეგიები მაინც მტკიცდება. რუსეთის იმპერიალიზმისათვის რეაქციონურ აპოლოტიზმზე დამყარებული ნიკოლოზ I-ის მმართველობა უმაღლესი განვითარების ხანაა. საზოგადოებრივი ძალების თავისუფალი მონაწილეობა ცხოვრებაში შეუძლებელი იჯანდა.

ასეთ შინაგან ჭიდილსა და შეთანხმებაში მყოფი რუსეთი ევროპასთან გასწორების პოზიციას იჭერს. XIX საუკუნეში რუსეთი ცდომლობს ევროპას ფეხდაფეხ მიჰყვეს. თუმცა მოგვიანებით და, შეიძლება ითქვას, დამახინჯებულადაც და სუსტად, მაგრამ მაინც ევროპის ცხოვრების თითქმის ყოველი მოვლენა რუსეთშიც გამოძახილს პოულობს. ოფიციალური ბიუროკრატიული რუსეთის ქვეშ, მისი რეაქციონერ-კონსერვატორული ცხოვრების პარალელურად იშლება ცხოვრება და მეტოქეობა აქტიურად მოაზროვნე რუსეთის ინტელიგენციისა, რადიკალურად განწყობილი საშუალო აზნაურებისა.

ვინაიდან სახელმწიფო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობის საშუალება მოსაპოვებელი იყო, ეს ინტელიგენცია-საუკეთესო ნაწილი რუსეთისა (საშუალო და წვრილი თავადაზნაურ-

რობა, რომელიც ბიუროკრატიულ რუსეთს ოპოზიციაში ედგა), იძულებული იყო თავისი აზრისა და განცდების სფეროში ჩაკეტილიყო. იატაკის ქვეშ ვიწრო ინტელიგენტური წრეებისათვის შეეფარებინა თავი. აქ, ამ წრეებში ხარბად დაეწაფნენ ისინი დასავლეთ-ევროპის ლიტერატურას, მეცნიერებას და უფრო კი იდეალისტურ ფილოსოფიას. პირველი აქტიური გამოქვეყნება არალეგალური, არა ოფიციალური რუსეთისა მოხდა 1825 წ. 14 დეკემბერს დეკაბრისტების აჯანყების სახით. ეს აჯანყება ნიკოლოზ I-მა ტყვეითა და ზარბაზნებით, ციხეებითა და სახრჩობელებით ჩააქრო. აქედან იწყება უფრო მძაფრად გაორებული განვითარება რუსეთისა. ერთია — რეაქციულ-ოფიციალური რუსეთის განვითარების გზა ნიკოლოზ I-ის ქანდარმერიითა და ბიუროკრატიზმით, რომელიც ყოველივე თავისუფალი აზრის ჩანასახშივე ჩაქრობას ლამობს, და მეორე — ოპოზიციური, ახალგაზრდა რუსეთი, რუსეთი რადიშივეისა, დეკაბრისტებისა, რომელიც ევროპის კულტურის შეთვისების, მისი დაწვევა-გასწორების აუცილებლობაში, რუსი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ხალხის უფლების ცნობაში ხედავს რუსეთის ხსნას.

ამ არაოფიციალური რუსეთის ჩაკეტილი ვიწრო წრეების ცხოვრება, მუშაობა, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, მიუხედავად ცენზურის მძიმე, შემხუთავი პირობებისა, მაინც გამოსჭვივის საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სქელ ნისლიან სახელმწიფოებრივ ვითარებაში და მცხუნვარე მზის სხივებივით ათბობს და ანოყიერებს ახალი ცხოვრების თესლს რუსეთის სინამდვილეში. არაოფიციალური რუსეთის აზროვნება, უდავოდ, სახელმწიფოებრივ აპარატზეც გავლენას ახდენს. მაგრამ ეს სატახტო ქალაქებშია შესაძლებელი, პროვინციებში და განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში თვითნებობასა და რეაქციას არავითარი საზღვარი არა ჰქონდა.

რუსეთი კაპიტალისტური ცხოვრების ფერხულში ამ დროს მაინც მთლიანადაა მძლავრად ჩაბმული.

3

ასეთს მდგომარეობაში მყოფ რუსეთს საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე 1783 წლის ტრაქტატის ძალით უკავშირდება.

რუსეთის პოლიტიკის მმართველნი დიდი ხანია აშკარად გრძნობდნენ, რომ საქართველო რუსეთისათვის, მისი მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელი იყო. მაგრამ, მხოლოდ როდესაც რუსეთის იმპერიალისტურმა ბუნებრივმა ზრდამ ქვეყანა პირდაპირ

დააყენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკასთან აღმოსავლეთში, რაც XIX საუკუნის დასაწყისშივე მოხდა, რუსეთი საქართველოს მძლავრად ჩაებლაუჭა.

პოლიტიკურად დამაბუნებული საქართველო რუსეთისათვის, მისი სავაჭრო-სამრეწველო ინტერესების განხორციელებისათვის, აღმოსავლეთთან მისვლის საქმეში ხელსაყრელ გზად გახდა.

საქართველო, მაშინ ჯერ კიდევ ფეოდალური (საკმარისად დარღვეული და დაკნინებული), ნებისთ თუ უნებლიეთ ადვილად გაჰყვა უკვე საკმარისად კაპიტალიზირებულ რუსეთს. მოქმედი საზოგადოებრივი კლასი საქართველოში დარღვეული და დაკნინებული ფეოდალთა კლასია. მსხვილ ფეოდალთა ჯგუფი შედარებით მცირეა, უმეტესი ნაწილია საშუალო შეძლების წვრილი თავადაზნაურობა, რომელსაც უკვე გაღარიბების გზაზე დადგომის ნიშნები ამჩნევია. XVIII საუკუნეში სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა სამღვდლოებაც. რიცხვი მოქალაქეთა, რომელთა მნიშვნელობა ცხოვრებაში ფეხს იკიდებდა, ჯერ კიდევ მცირე იყო. გლეხკაცობა თითქოს პოლიტიკის გარეშე იდგა, ის ფეოდალთა და სახელმწიფოს ხელში მასაზრდოებელი იარაღი იყო. მხოლოდ ასეთს დაუძღურებულ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხი გასაგებია, რუსეთის პოლიტიკას ადვილად რატომ დამორჩილდა.

ამ გარემოებამ ქართველი ხალხის ცხოვრებას სულ სხვანაირი გეზი, შინაარსი და სახე მისცა. რუსეთის კაპიტალიზაციის შედარებით აჩქარებულმა პროცესმა ააჩქარა ჩვენი სოციალური ცხოვრების გარდაქმნის ფაქტი. აქამდე საზოგადოებრივი ცხოვრების ბურჯი და კურსის მიმცემი — თავადაზნაურობა აჩქარებულის ტემპით ირღვევა. ხდება სოციალური გადაჯგუფება. ჩნდება ახალი ეკონომიური ფენა — ფ უ ლ ი ა ნ ი, ეს ჩვენებური ბ უ რ ჟ უ ა, ჯერ ჩ ა რ ჩ ვ ა ჯ რ ი ს სახით. თავი იჩინა ჯგუფთა, თაობათა და კლასთა ინტერესების ს ხ ვ ა ო ბ ა მ. დაიწყო მათ შორის გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა, ბ რ ძ ო ლ ა.

რუსეთის პოლიტიკისათვის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი გარემოება. მეფის რუსეთი საქართველოში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, იმპერიალისტური ტენდენციებით აღსავსე მოდის. იმ რუსეთს საქართველო აუცილებლივ ესაჭიროება, როგორც ხიდი აღმოსავლეთთან დაკავშირებისათვის, რათა ევროპასთან საკონკურენციო გზაზე მტკიცედ დამდგარიყო. ამიტომ საქართველოში, როგორც განაპირა ქვეყანაში, რუსეთისათვის საჭირო იყო მტკიცედ გამაგრება. ასეთი გამაგრება კი, მეფის რუსეთის პოლიტიკით, შეიძ-

ლებოდა მხოლოდ ადგილობრივი ერების გადაგვარებით, სრულიად დამორჩილებით და გარუსებით.

საქართველოში ამ მიზნით ინიშნებიან ანგარებით აღსავსე და უვარგისი პირები, რომლებიც სამსახურს უყურებენ როგორც პირადი ცხოვრების გაუმჯობესების წყაროს. ისინი, „აბრუნდებით“ და „გაბრუნდებით“ დახელოვნებულნი, აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ყვლეფდნენ და ავიწროებდნენ მათ. გარდა ამისა, სამსახურში განმტკიცებისა და წარმატების მიღების მიზნით, დიდს ერთგულებას იჩენდნენ ხელისუფლებისადმი და გაცილებით აჭარბებდნენ აღებულს უხეში კოლონიალური პოლიტიკის გატარებაში: არავითარ ანგარიშს არ უწყევდნენ ადგილობრივ ერთად, კერძოდ, ქართველთა ზნე-ჩვეულებას, კულტურას, ინტერესებს. ქართველებს სდევნიდნენ სამსახურიდან, სკოლიდან, სამშობლოდან, გასაქანს არ აძლევდნენ.

რუსეთთან დაკავშირება ქართველი ხალხისათვის ერთგვარი ბედის დამორჩილება იყო, თუ შეიძლება ასეც ითქვას, რადგანაც იმ: „უბედურის და დარღვევის დროს... კეთილთა დღეთათვის ქართლისა“ ამაზე უმჯობესი ვერა მოაგვარა რა „ქართლის ბედის“ ჭირისუფალმა ერ ე კ ლ ე II-ემ, ვინაიდან მას გულს უღრღნიდა, სიმტკიცეს უღუნებდა დამწველი შავი ზრახვა,

რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცივს რუსთ ხელმწიფობა*.

მეფის რუსეთმა შემოსვლისთანავე მოურიდებლივ აიღო თავისი გუბერნიის მზა-მზარეული გამგეობის ფორმა და საქართველოში გადმოიტანა. რასაკვირველია, ეს მოტანილი კანონი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, საქართველოსათვის შეუფერებელი გამოდგა. ამას დამატა აღვირახსნილი, უპასუხისმგებლო მოხელეების დანიშვნა და ეს „ისედაც უხეირო კანონი, აღ. ფრონელისა არ იყოს, სწორედ ღვთის რისხვად გადაიქცა. საქართველო გაიბეგრა კაპიტან-ისპრავნიკებით, „ზემსკი სუდით“, „ვოენი პოსტით“, საინტენდანტო-ვახტერებით, კომისიონერებით და სხვადასხვა კლასის ჩინოვნიკებით... მათი საქმენი საგმირონი და საარაკონი დაწვრილებით არის აწერილი მატთანეში“ **.

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ბედი ქართლისა“.

** ა. ფ რ ი ე ლ ი, „ამბონება კახეთისა“, გვ. 10, აგრეთვე „Акты Кавказской Археографической комиссии“, ტ. II — V. ეს უკანასკნელი შემდეგ დასახელებულ იქნება ასე: „Акты...“.

აი ამიტომაც XIX საუკუნის პირველი ნახევარი სავსე მეფის რუსეთის დამკვიდრებით და მისი უხეში პოლიტიკით გამოწვეული აჯანყებებით. ამ ხნის განმავლობაში მღელვარება და შფოთვა საქართველოს ხან ერთ და ხან მეორე კუთხეში თითქმის არ შეწყვეტილა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ წვრილ-წვრილი მღელვარება, შეუძლებელია აღნიშნული არ იყოს შემდეგი დიდი ამბოხებანი: მთიულეთისა — 1804 წ.; კახეთისა — 1812 წელს; იმერეთისა — 1820 წელს; ე. წ. „რომანტიული ამბოხება“ ქართველი თავადაზნაურობისა — 1832 წელს; 1841 წლის გურიის აჯანყება და სამეგრელოსი — 1856—1857 წწ.

ეს ამბოხებები უბრალო „ბუნტი“ არ არის უკმაყოფილო, თავზე ხელაღებული მცირე ნაწილისა, რომელსაც არეული დროით უნდა ისარგებლოს. ეს ამბოხებები არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ შედეგად თავადაზნაურთა დაგვიანებით თვალის გახელისა და თავის მოფხანისა, რომ დაკარგეს ძალა-უფლება, როლი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და უნდათ ძველი ძალა-უფლება დაიბრუნონ ამ „ბუნტის“ ეროვნულ ნადავზე მოწყობით და ხალხის მასებან „გაბრიყვებით“, ჩათრევით.

არა! ეს ამბოხებანი უშუალოდ ხალხურია. ამ აჯანყებათა უმეტესი ნაწილის მამოძრავებელი ძარღვი იყო არა პოლიტიკური მოტივი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია (პოლიტიკური მოტივი ამ აჯანყებებისა, ჩვენის აზრით. მეორეხარისხოვანი იყო), არამედ ხალხის ცხოვრების ეკონომიური გაპარტახება. ამ აჯანყებებში გამოიხატა გაბრძოლება ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც სახელმწიფოს ცოცხალი მასაზრდოებელი ძალაა და პოლიტიკური საკითხის გადაჭრას თავს იდებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრება უმწვერვალეს, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ მდგომარეობას აღწევდა, როდესაც ხალხის ცხოვრება ძირიან-ფესვიანად შეირყეოდა ხოლმე, როდესაც მისი „ყოფნა, არ ყოფნის“ საკითხი იყო დასმული.

სწორედ ასეთი ხასიათისაა მთიულეთის, კახეთის, გურიისა და სამეგრელოს აჯანყებები. ხალხი ცდილობს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, თუ არ გააუმჯობესოს, არ გააუარესოს მაინც. ამისათვის ის მთავრობისა და ბატონის (რომელიც რუსეთის შემოსვლის შემდეგ უფრო მძიმედ დააწვა კისერზე გლეხს) წინააღმდეგ ბრძოლას მართავს. ამიტომ ამ ხალხის აჯანყებების მნიშვნელობა ეპოქის მდგომარეობის გაგებისათვის ფრიალ საყურადღებოა.

ამის დასამტკიცებლად საჭიროა დასაკმარისი ტვალის გადაკვრა არქეოგრაფიული კომისიის ოფიციალური აქტებისა ცი.

მეფის რუსეთის აღმოსავლეთის დაპყრობითი იმპერიალისტური პოლიტიკა, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა საქართველო და ქართველი ხალხი — ჯარის საჭიროებისამებრ გადაყვან-გადმოყვანა, ამ მიზნისათვის გზების შეკეთება, ჯარის გამოკვება, მეფის მოხელეების უხეში მოპყრობა, მისი დანმარებისა და დამშვიდების მაგიერ აფორიაქება და შევიწროება — მძიმე ტვირთად დააწვა განსაკუთრებით ქართველ მშრომელ ხალხს.

ქართველი ხალხი, მემბოხე მასები რუსეთის შემოსვლის წინა-აღმდეგი კი არ იყვნენ, პირიქით, ისინი რუსებს დიდი სასოებით მოელოდნენ და სურდათ კიდევ მათი საქართველოში განმტკიცება. ასეთ აზრს და დამოკიდებულებას მემბოხენი თავიანთ არზებსა და განცხადებებში გამოთქვამენ. მაგრამ მეფის რუსეთის „კულტურულმა კლანკმა“, მისმა უანგარიშო ანგარებით აღჭურვილმა მოხელეებმა ქართველი ხალხი სრულს ეკონომიურ და პოლიტიკურ განადგურებამდე მიიყვანა. სასოწარკვეთილებით მოცულ ხალხსაც საომარი იარაღი ხელში ამან ააღებინა.

საკმარისია რამდენიმე ფაქტის მოგონება ამ მეტად საინტერესო და მწარე წარსულიდან, თუნდაც ოფიციალური მიწერ-მოწერიდან, ამ „კულტურტრეგერების“ საარაკო და „საგმირო“ საქმეების შესახებ, რომ ცოცხლად გადაიშალოს შემადრწუნებელი სურათი მეფის რუსეთის დამკვიდრებისა და ამ ამბოხებათა მიზეზებისათვისი შედეგებით.

ვინაიდან ამ ამბოხებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ეკონომიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შექმნაში, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გაკვირით მაინც შევჩერდეთ ამ მოვლენებზე.

მთის ამბოხების მიზეზებსა და ხასიათს მშვენივრად ააშკარავებს მთიელთა განცხადება, რომელთაც მათ ამბოხების მიზეზების გამომრკვეველს ერისთავს მიართვეს. ვინაიდან ეს განცხადება მეტად მარტივად, მაგრამ მასთან ერთად უტყუარად, ძლიერად, თუმცა კი ოფიციალური ქაღალდის თავშეკავებით, ახასიათებს მომხდარი აღელვების მიზეზს, მოვიყვანოთ მას:

1) „კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდის საშინელი თოვლი გვაზვეტიინეს და გზა გვაწმენდინეს.

2) „ჩვენ გაკეთებულ ამავე გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაქრევენეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევენეს; ამ დაფენილ ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გულდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხე-ველი ჯაუნარისძე.

3) „მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთს დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვარიდეს. წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქგაიჭყლიტა.

4) „მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და ოცი ცხენიანი ყაზახი. ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი. ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) „ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუტიათ ქირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი — ესეც მოვითმინეთ.

6) „ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

7) „გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავწვით, ერთი ზაქათ კარს, მეორე ბურღულის კარს, მესამე ნადირაძის კარს და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) „თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო*, იქიდან გავიგონეთ, წინ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი, და შეწყვედულნი ცემით, რუსეთს უნდა გადავერეკნეთ. დედაკაცნი და რამელნიც შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთ — ესეები იმათგან გავიგონეთ.

9) „წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც დებულებისა მაგიერად სულ თეთრი** გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთლიტრა ქერზე და ერთ კოდ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

* ერევანს ლაშქრობისათვის.

** ვერცხლის ფული.

10) „ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11) „ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ. ქერსა და თივას უფასოდ გვართმევდნენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიერიც ჩვენის ცხენით დაჰყვანდათ.

„ჩვენ ამ ზემოხსენებული მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერთს ვსთხოვდით, ახლა ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსეთს ვებრძოდეთ, ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არ მოგვევლინა-რა განსაცდელი ამ მოუთმენლის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუქიდოთ, ცოლშვილი შიგ ჩაყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვათ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლებისას უწყესო საქმით დანახვას ეს გვირჩევენია, რომ ასე დავიზოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა“ *.

როგორც აშკარად ჩანს, შევიწროება საქმარისად მძიმეა. მთის მცხოვრებნი, შედარებით ყოველთვის თავისუფალნი, რწმუნდებოდნენ, რომ მათი კანონიერი მოთხოვნილებების გამგონე და შემწყნარებელი არავინ იყო. ძალაუფლებურად მათ შეუერივებელ ხასიათს და ცხოვრებას აღშფოთებ-ამღელვარება ელექტრონივით ედებოდა. 1804 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში რუსეთის საომარი პოლიტიკის სირთულით გამოწვეულმა ჯარის შეკრების გამოცხადების აუცილებლობამ აასხმევინა მთიულთ იარაღი რუსეთის წინააღმდეგ. მთა შეირყა, ურჩობა დაიწყო, აჯანყდა.

მთიულებთან მოლაპარაკებაში და მათთან ბრძოლაში სუსტი და უშედეგო გამოდგა ერისთავიანთ ადგილობრივი ძალებიც და მათი მთიულებთან დიპლომატიური მოლაპარაკებაც. ერისთავიანნი ვერაფერს გახდნენ, თუმცა მთავრობისაგან სასტიკი დავალება ჰქონდათ მიღებული — მთა საჩქაროდ დაემშვიდებინათ: „მახვილით აჰკაფეთ, — ამბობდა მთავრობის ბრძანება, — ლუკმა-ლუკმა ასჩენეთ და აჰკუწეთ მემამოხენი: ნუ დაინანებთ, ნურც შეიბრალებთ მაგ ავაზაკთა და ბარბაროსთ, სახლკარი გადაბუგეთ ცეცხლითა,

* Акты..., Причины бунта Мтиулетинцев, т. II, стр. 311.

ბრძოლის დროს განსდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისა და შეწყნარებისა“*.

მთა მინც არ წყნარდებოდა, არ ემორჩილებოდა.

ელ ი ზ ბ ა რ ე რ ი ს თ ა ე მ ა აჯანყებულთ შეუთვალა: „თუ მალე არ დაწყნარდებით, სულ დედაბუდიანად გაგულიტავთ და აგაოხრებთ“.

მეამბოხეებმა ამაზე თავად ერისთავს მტკიცედ უპასუხეს: „რუსებმა მეტისმეტად შეგვაწუხეს, უზომოდ დაგვბეგრეს და მათ შეწუხებას ველარ ვითმენთ. ამისათვის გადავწყვიტეთ, აღარც ერთი რუსი საქართველოში აღარ გავატაროთ. საშველად თუში, ფშავი და ხევსურები მოვიწვიეთ და გავგზავნეთ მოციქულნი ოსეთსა და იმერეთში ბატონიშვილ იულონსა და ფარნაოზთანო“**.

როგორც ჩანს, მთიულეთი სერიოზულად შეირყა, საშინელი ბრძოლისათვის გამზადებული, მთელი არსებით გამოსული ბრძოლის ველზე, ნებით დამორჩილებას აღარ აპირებდა.

მართლაც, საშინელი წინააღმდეგობა გაუწიეს მთიულეებმა რუსეთის ადგილობრივ მთავრობას. არქეოგრაფიული კომისიის აქტებში მოტანილი მასალის გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ეს უბრალო ამბოხება კი არ იყო, არამედ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ორივე მხარე დაუნდობლად იბრძოდა. მთავრობა ტყვიასა და წამალს არ იშურებდა, ზარბაზნების საშუალებით-და შესძლო დამორჩილება კერპი, გამეხებული მთიულეებისა, რომელნიც უბრძოლველად არც ერთ მტკაველს არ უთმობდნენ.

მთა დამარცხდა. ცხადია, ხელისუფლება მძიმე უღელს დაადგამდა ცეცხლითა და მახვილით დამორჩილებულს.

მაგრამ, სამწუხაროდ, მართო მთიულეთი არ მოექცა ასეთს გამოუვალს ცეცხლის რკალში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიც და განსაკუთრებით კი კახეთში კვლავ დაბრუნდა „ცეცხლის კვერი“. აქაც 1812 წელს იფეთქა ამბოხებამ, რომელიც აგრეთვე გრანდიოზულია და საინტერესო ჩვენთვის თავისი წარმოშობის მიზეზებითა და ხასიათით. კახეთის ამბოხებაც იმავე ეკონომიურსა და კულტურულ-ზნეობრივი შევიწროების ნიადაგზეა წარმოშობილი.

კახეთშიც ისეთსავე სურათსა ვხედავთ, როგორც მთაში. აქაც ახლადშემოსული ხელისუფლების მოხელეების ისეთივე მოპყრობა, ისეთივე ეკონომიურად და ზნეობრივად შევიწროება, ისეთივე იმედგაცრუებულობა და უილაჯობა ხალხში.

* Акты..., ტ. II, გვ. 306 — 307; აღ. ფ რ ი ე ლ ი, მთიულეთი, გვ. 116.

** ი ქ ე ე.

კახეთის ამბოხებას კიდევ ემატება ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის გამწვავება. პრივილეგიებს მოკლებული თავადაზნაურობა ცდილობდა კომპენსაცია გლეხკაცის ხარჯზე აეღო.

კახეთის ამბოხების შესახებაც ნათლად და მჭევრმეტყველურად დალაღებს მრავალი ოფიციალური დოკუმენტი ზემოხსენებული არქეოგრაფიული კომისიის აქტებში შეკრებილი.

უტყუარი და გულის სიღრმემდე აღმაშფოთებელია ოფიციალური ენით დაწერილი დოკუმენტიც კი ერთიმეორეზე შემზარავი ფაქტისა ხალხის ეკონომიურად განადგურებისა და ზნეობრივად შელახვისა და შეგინების შესახებ. პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეეძლო მოეთმინა მთელ ხალხს, რომელსაც დიდი ხნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, დიდი ხნის კულტურა, საკმარისად მდიდარი მწერლობა ჰქონდა, გარდა ისეთი მატერიალური შევიწროებისა და შელახვისა, ის ზნეობრივი შეურაცხყოფა და შეგინება, ფიზიკურად ცემა-ტყევა, რომელსაც მეფის რუსეთის მოხელეები ასე უპასუხისმგებლოდ აწარმოებდნენ ქართველების მიმართ!

ყოველი ოფიციალური დოკუმენტი იმდენად ძლიერია თავისი სიმკვეთრით და სიმწვავეით, იმდენად წმინდა სარკესავით გვიჩვენებს კახეთის 1812 წლის ვითარებას, რომ არ იცი, რომელი დოკუმენტი დაასახელო.

ნიმუშისათვის მოვიტანთ მხოლოდ ორს:

კახეთის ამბოხების მიზეზებს მშვენივრად განმარტავს მარშალი თამაზ ორბელიანი, მარკიზ პაულ უჩის შეკითხვაზე — რა მიზეზია, რომ ასე მოულოდნელად იჩინა თავი კახეთის აჯანყებამო, — სინამდვილის ნახვით შეძრწუნებული მარშალი, ძალდატანებული და ერთგვარი მოკრძალებული კილოთი, აი რასა სწერს:

„კახეთმა და ქიზიყმა რომ იარალი იხმარა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ, — წერს მარშალი, — როგორც დავრწმუნდი ერის მითქმა-მოთქმიდან წინათ და ეხლა, ჩემის ფიქრით და გაგონებით, ესაა მიზეზი: 1) თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადი ზედი-ზედ მოუსავლობა იყო საქართველოში. 2) ჩაცივება და ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვიზიდოთ ჭარის გამოსაკვებადო, მაშინ როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარი ოჯახის დასარჩენად ხორბალი. 3) მთავრობა გაჭირვეულდა და უსათუოდ ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთ კოდი პურიო. ხალხი იძულებული იყო, რაკი ოჯახში არა ჰქონდა-რა, ბაზარში ეყიდნა ხაზინისათვის კოდი 4—5 მანეთად, ფულის საშოვნელად მამულსა და ცოლშვილს აგირავენდნენ, სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრო-

ბამ გაიხსენა პურის ძველი, აუკრეფავი გადასახადი და შეუტია-
 მკვიდრს, — ძველი და ახალი შეკრებით და ჩაგვაბარეთო. 4) სასურ-
 სათო მოხელენი უზომოდ ატყუებდნენ ხალხს წონაში ამ მოუსავ-
 ლობით გაჭირვებულ დროსა. 5) იგივე მოხელენი განზრახ აჭიანუ-
 რებდნენ კვირაობით პურის ჩაბარებას, რა არის ქრთამი დავცინც-
 ლოთო. ძალაუნებურად ქრთამს აძლევდნენ, ოღონდა კი მალე ჩე-
 ბარებინათ პური. გაჭირვებული კაცი, რაკი მობეზრდებოდა მალა-
 ზიასთან ტრიალი, თავს ანებებდა ურემსა და ხარ-კამეჩებს და შუ-
 ნ გარბოდა. გაქცეულს, რასაკვირველია, ქირაც ეკარგებოდა. 6)
 ვერცხლმოყვარე სათემო მთავრობამ მდაბიო ერი (დედანში:
 ყерხხ) მეტის მეტად შეაფიწროვა და შეაწუხა. 7) საითაც კი ჯარი
 დაიძროდა, აუარებელი ბეგრის ურემი გაჰყავდათ, თქვენც კარგად
 მოგვხსენებათ, რამდენი საქონელი გაწყდა ბეგარაზე, თითქმის მეო-
 ცედი ნაწილიც კი არ დაბრუნებულა შინ უვნებელი. ძვირად ნაყი-
 დის საქონლის დაკარგვა სამუდამოდ ალატაკებდა გლეხკაცობას.
 8) შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი, ანუ მთავრობის დაწე-
 სებულეზანი არ შეეფერება აქაურ ხეპრე და გაუთლელ (დედანში:
 რყინიჩ) ერის ზნე-ხასიათს. შეუფერებელ დაწესებულებას გე-
 ნერალი ტორმასოვის დროიდან საგრძნობლად შეეპარა ბოროტ-
 მოქმედება, რომელიც უფრო ამწვავებდა საქმეს. 9) ხალხი დერტკ-
 ნავდა, ამოდენა ხარჯი და ბეგარა ჩვეულებრივ დალაკულუხის გარ-
 და არც ერთ წინანდელ მთავრობის დროს არ ყოფილა, წელში გავ-
 წყდით, მეტის ატანა აღარ შეგვიძლია, გაიძახოდა ხალხი, მთავრობა
 კი ყურსაც არ იბერტყავდა. 10) ძლიერი სამხედრო ეგზეკუცია, რო-
 მელიც სრულებით არ შეეფერება კავკასიის ერის ზნე-ხასიათს და
 ჩვეულება-ადათს“*.

ასეთია აზრი და შეხედულება კახეთის ამბოხების შესახებ ორ-
 ბელიანისა და მრავალ სხვათა. როგორც ვხედავთ, მარშალი ორბე-
 ლიანი, მეფის მოხელე, მძიმე შთაბეჭდილებათა და განცდათა ზეგავ-
 ლენით წონასწორობას ჰკარგავს და, უსამართლობის წინააღმდეგ
 აღშფოთებული, ხმას იმაღლებს. მისი წერილი, ბოდბელისა არ
 იყოს, მიკერძოებული არ არის.

მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ხალხი, რომელიც პაულუჩის მიერ
 დანიშნული გამოსაძიებელი კომისიის მიერ დაკითხულ იქნა. ამ კო-
 მისიამ მრავალი საინტერესო და გულის შემზარავი ცნობით შეავ-
 სო ჩვენი XIX საუკუნის მათიანე. ყველა ეს დოკუმენტი ერთხმად

* АКТЫ..., ტ. V, გვ. 65, 66. ვსარგებლობთ ალ. ფრონელის თარგმანით,
 „ამბოხება კახეთისა“, გვ. 42—43.

და ერთნაირად რუსი მოხელეების ქართველთაღმი უდიერ მოპყრობაზე ლაპარაკობს.

ნიმუშისათვის მხოლოდ ერთ დოკუმენტს მოვიტანთ:

„ყოვლად შემძლებელ ღმერთს გასცემთ პასუხს, — მოახსენებენ მირზაანელნი იოსებ ანდრონიკაშვილს, — თუ ჩვენს ამბავს სავსებით არ მიუტანთ მთავარმართებელს. ჩვენი და მირზაანელ ქევზა დამიტრას საჩივარი და შევიწროება ისაა, რომ ცოლებსა გვტაცებდნენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ, და ჩვენ თვალწინ ჩვენ ცოლებთან მრუშობდნენ. დედაკაცი წივის და კივის, კაცო, მიშველუ; ქმარი კი ლულულუღებს: რა გიშველო შეკრულ-შებოჭილმაო.

სოფლად ვილაც კაპიტანი მაჟაროვი ჩაგვიყენეს ჯარით შვიდის კვირით. მტერი არ დააწიოკებს ისე სოფელს, როგორც მაჟაროვმა აგვიკლო და გაგვანელა. კაცი აღარ დარჩენილა მირზაანში. შიშით მამა კაცობა აქეთ-იქით მიიშალა. საცა კი მოგვასწრებდნენ, ცემით ტყავს გვაძრობდნენ. გვქონდა რამე თუ არა, სულ ერთი იყო მაჟაროვისათვის, უნდა გვევაგლახნა, გვეყიდნა და ისე მიგვერთმია. მერე საქონლის ხორციტაც რომ არ კმაყოფილდებოდნენ დალოცვილები! უთუოდ ქათმებიც უნდა გვეშოვნა. ლოთობას ნულარ იკითხავთ. გაილეშებოდნენ, ბატონო, დაეროდნენ დედაკაცებს და ზურგზე სულ ბოლს ადენდნენ. — მეზობელს ქორწილი ჰქონდა. კაპიტანმა მაჟაროვმა 40 სალდათი გაგზავნა მასპინძლისას, მეფედედლოფალი კარში გამოარეკინა, მაყრიონი და მექორწინენი ცემატყეპით დაახოცინა. მოვითმინეთ შერცხვენა და ხელი არ გამოვიღეთ. — ზამთრობით მთელი სამი წელიწადი თითოსა ან ორორს სალდათს გვიყენებდნენ სახლში გამოსაკვებავად. დანახარჯის ფული უნდა გადაეხადათ, პირობა ასე იყო, მაგრამ ხარჯის დაბრუნების მაგიერ სალდათების უფროსმა კაი-კაი გვიცხუნა და ძალათი ხელი მოგვაწერინა ქაღალდზე, ვითომდა, რაც გვეკუთნოდა ყველაფერა მივიღეთო. — ვსთქვათ დაისაჭიროეს 40 ბეგრის ურემი. თუმცა გვპირდებოდნენ, — ქირას არ გვაძლევდნენ, მაგრამ ქირას ვინა ჩივის, უბედურება აი რა იყო. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგ-ბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე! რადგან საქონელი ვერ ერეოდა უზომოდ დადებულ ურემსა, მოგვცვივდებოდნენ ხოლმე გაბრაზებული სალდათები და ცემატყეპით გვალულუღებდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ ხოლმე ბეგარაზე. ან ავდარი, ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეყლიტებოდა და შინ ცარიელ-ტართელი ვბრუნდებოდით. პურის მიმღები გვაჩვენებდა საწყაოს, ჩვენ თვალწინ ასწყავდა, ავწონავდით და მართლაც საწყაო ფუთს იჭერდა. ასე ვრიგდებოდით. მაგრამ ხორბალს რომ მივზიდავდით ბელლებში.

სხვა საზომავსა სდგამდნენ. ფუთის მაგიერ შვიდი ლიტრა ჩადიო-
და და ფუთად კი გვიანგარიშებდა ხოლმე. ხაზინიდან ლიტრაში ორ
შაურს გვაძლევდნენ, ჩვენ თითონ კი ლიტრა პურს ორ აბაზად ვყი-
დულობდით და ასე ვაბარებდით. ერთი-ორი ლიტრა რომ დაგვკლე-
ბოდა ჩაბარების დროს, სულს არ მოგვათქმევინებდნენ, რომ გვე-
ყიდნა და შეგვევსო დანაკლისი და ცემითა გვხოცავდნენ ხოლმე.
გზების გასაკეთებლად, სამუშაოდ ბარ-ნოზით და ცულებით გავ-
დიოდით; მუშაობას რომ გავათავებდით, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდ-
რე ქრთამს არ მივცემდით. თუ საქრთამო არა გვქონდა-რა, სამუშაო
იარალს წავგვართმევდნენ, პალურს ამოგვკრავდნენ და შინ ისე გავკ-
რეკავდნენ ხოლმე. საყარაულოდ ცხენებით გავდიოდით. ვადა რომ
გვითავდებოდა, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდრე ქრთამს არ მივცემდით.
ასეთს ტანჯვა-ვაებასა და მწუხარებაში ვიყავით.

როდესაც ერთი სოფელი მეორეზე საჩივარს შეიტანდა, დაიბა-
რებდნენ ორთავესა პასუხის მისაცემად, განძრახ წაჰკიდებდნენ ერ-
თი მეორესა, დაწყნარება-დამშვიდების მაგიერ, ერთმანეთზე ასისი-
ნებდნენ, ქრთამებს ბლომად იღებდნენ, მაგრამ სამართლიან მსჯავრს
ვერც ერთი სოფელი შინც ვერ ეღირსებოდა ხოლმე. როცა გენერა-
ლი პორტნიაგინი მობრძანდა პურის სასყიდლად, ქევხას პირით
მოვანსენეთ ჩვენი ნაკლებულობა და შევეხვეწეთ გვიმსახუროს შეძ-
ლებისამებრ. პორტნიაგინმა არც აცივა, არც აცხელა, — როგორ
თუ ეს გამიბედეთ, აიღო და ქევხას ნაობახტში უკრა თავი. ვიდრე
ქრთამი არ მიართვა ქევხამ, ნაობახტიდან არ განათავისუფლეს. დამ-
ნაშავესა და ბრალიან კაცს რომ მოგვთხოვდნენ ხოლმე, ვიჭერდით
და მიგვყავდა მთავრობასთან. მოხელენი ქრთამს ასწაპნიდნენ და
დამნაშავეს ანთავისუფლებდნენ, მერე მოგვდგებოდნენ და სულს
გვიმწარებდნენ, — ცუდი კაცებია თქვენში, აი თქვე ასეთ-ისეთე-
ბოგო.

მას შემდეგ, რაც უფალმა ღმერთმა და ჩვენმა ბატონმა (მეფემ)
ჩვენი თავი ხელმწიფეს ჩააბარა, ცუდ-კაცობა არა ჩავკიდენია-რა
და სიმრუდე არ გამოგვიჩენია. ვემსახურებოდით ხელმწიფეს პირ-
ნათლად, საითაც გვიკრავდნენ თავს, მივდიოდით, კრინტი არ და-
გვიძრავს, — არა, არ წავალთო. დავდიოდით ბეგარაზე ხარკამეჩით
და ურმებითა განჯასა, გუმბრსა, ახალციხეს, ნუხასა და იმერეთს.
თუ ხარკამეჩით არ შეიძლებოდა სამსახური, ჯარს ცხენებს ვახმარ-
დით ტვირთის საზიდავად, მაგრამ არც საქონელი და არც ურემი
უკან აღარ დაბრუნებულა, ყველაფერი დაგვეღუპა. ასე გასინჯეთ
ტომრებიც კი დაგვეკარგა.

გამოგვიცხადეს, ჯარი თვითონა ზიდავს სურსათს, ოღონდა თქვენ

ხარები უყიდეთო და ბეგარისაგან თავისუფალი იქნებითო. თითო ხარზე 15 მანეთი გამოვიდა. ხუთხუთი მანეთი დაუმატეთ და ჩავაბარეთ საჭირო საქონელი, მაგრამ ბეგარაზე მაინც გაგვრეკეს. ჯათისა და მოუვლელობისაგან ნაყიდი საქონელი გაილახა და ჩვენ მოგვილალეს გამოსაკვებავად. ვისაც გაძვალტყავებული საქონელი ხელში შემოაკვდა, თითო სულზე 15 მან. გადაახდევინეს“ *.

აი ასე ათავებენ მირზაანელები თავიანთ მწარე და სევდიან ოდისეიას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველი გლეხკაცობისათვის, როგორი აუტანელი უნდა ყოფილიყო მარტო ბეგარაც კი, შეიძლება შემდეგი ცნობებიდან წარმოვიდგინოთ: „მარტო ქართლ-კახეთს, — გადმოგვცემს ალ. ფრონელი, — ყოფილა ისეთი დრო გაუყვანია უსასყიდლოდ წელიწადში 112.154 ურემი და 99.780 საბარგო ცხენი“ **. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხშირად აღარც საქონელი და აღარც ურემი პატრონს უკან აღარ უბრუნდებოდა, ნახევარზე თვით გამყოლიც ხშირად დაავადებულ-დასნეულებული ბრუნდებოდა — მართლა წარმოუდგენელი იქნება ამ პერიოდში ისედაც გამწვავებულ ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფი მშრომელი ხალხის — გლეხ-კაცობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

ასეთია კახეთის ამბოხების გამომწვევი მიზეზები. ოფიციალური დოკუმენტებისა და მოხელეების ცნობების მიხედვით აქაც — კახეთშიც „უხილავი“ და „გაუგონარი“ გაწბილება დაატყდა ხალხს თავზე.

ასეთივე მიზეზები იყო სხვა მრავალი ამბოხებისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ასეთივე საერთო-სახალხო ხასიათი ჰქონდა გურიისა და სამეგრელოს აჯანყებებს, რომლებიც ბატონისა და ყმის გამწვავებულ ურთიერთობაზე უფრო იყო განვითარებული.

ასეთმა გარემოებამ და მდგომარეობამ უფრო გააღრმავა და გააძლიერა ის სევდა, რომელიც შავი ზოლივით მისდევს ქართველი ხალხის ცხოვრებას დაცემის ხანიდან და რუსეთთან შეერთების იმედით ხანდახან რომ გაბრწყინდებოდა ხოლმე. ეს იმედიც ქართველ ხალხს, პირველ ხანებში თითქოს, ეკარგებოდა. საშინელი კაეშანი, ვით „შავი ყორანი“, ხალხს თავს დატრიალებდა და თითქოს კარგს

* ალ. ფრონელი, „ამბოხება კახეთისა“, გვ. 34—37.

** იქვე, გვ. 81; ასეთსავე ცნობებს იძლევა ალ. ჯავახიძე თავის ნაშრომში „საქართ. მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“.

არას უქადდა. ამ გარემოებამ უფრო გააღრმავა ხალხის მასებში უიმედობა, უილაჯობა, სევდა-ჰუმუნვა, ხალხის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში კაეშანმა დაისადგურა.

4

თუ ხალხის მდებარეობა ნაწილში ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო უკეთესი ცხოვრების მოპოვების ნდომით, თუნდაც დიდის მსხვერპლით, სამაგიეროდ მაღალ, პრივილეგიურ ნაწილში — ძველის დიდების დაღუპვით და მისი შენარჩუნების შეუძლებლობის მწარე და მწვავე განცდით. ამის გამორკვევის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია რამდენადმე მაინც მკითხველის ყურადღება მივაქციოთ 1832 წლის ე. წ. „რომანტიული“ ამბოხების ამბებსაც.

ზემოთ აღნიშნული აჯანყებები ხალხური ხასიათისაა, წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, პოლიტიკური ელემენტის მნიშვნელობა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მთავარი და, შეიძლება ითქვას, არსებითი მათში არასოდეს არ ყოფილა. ამ აჯანყებებს ფართო მასობრივი ხასიათი ჰქონდა და ტერიტორიულადც ფართოდ იყო გავრცელებული. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მათი დამარცხება გულისხმობდა მდებარე ხალხის ეკონომიურად უფრო განადგურებას, ყოველ შემთხვევაში, უფრო შევიწროებას. და ეს ასეც მოხდა.

1832 წლის აჯანყება-კი წმინდა თავადაზნაურულია. ერთი ორი მონაწილის გამოკლებით ქართველი მაღალი წრის წარმომადგენლების მიერ შექმნილი და განვითარებული. 1832 წლის შეთქმულების „გეგმა“ ამ შეთქმულების დარბაზებსა და ბალებს ვერ გასცილდა.

რუსეთის შემოსვლით თავადაზნაურობა ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაკნინდა, იგი ერთგვარ გამოუვალ ჩიხში მოექცა. უკმაყოფილებამ ისინი დააკავშირა ოქროპირ, დიმიტრი და სხვა ბატონიშვილებთან. შეიქმნა ფართული წრე, რომელსაც შეთაურობდნენ: სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი. შეთქმულთაგან, ეჭვს გარეშეა, თუ ყველა არა, ზოგიერთი მაინც იცნობდა როგორც დეკაბრისტების მოღვაწეობას და ამბოხებას, ისე პოლონეთის აჯანყებას; შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი საფრანგეთის რევოლუციის იდეებსაც იცნობდა. მაგრამ რამდენადაც ჯერჯერობით ცნობილი საბუთები საშუა-

ლებას გვაძლევს, არ შეგვიძლია მათზე ზემოაღნიშნული ისტორიული მოვლენების დიდი გავლენა დავადასტუროთ.

არსებული დოკუმენტების მიხედვით* თითქოს უფრო სამართლიანი იქნება, თუ 1832 წლის შეთქმულთა მთავარ მიზნად ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას ვაღიარებთ.

გამონაკლისს შეადგენს სოლ. დოდაშვილი, რომელიც მოწმე იყო. დეკაბრისტების აჯანყებისა და, შეიძლება ითქვას, 1832 წლის შეთქმულთა შორის გამონაკლისს წარმოადგენდა თავისი შედარებით ფართო სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებით (მის შესახებ ქვემოთ).

თანდათან ახალი საბუთების აღმოჩენით და მათი შესწავლით საშუალება გვეძლევა უფრო ახლო მივიდეთ ამ საინტერესო ეპოქასთან, გავიგოთ მისი ტივილები, გამოვარკვიოთ მაშინდელი ქართველი საზოგადოების მმართველი ფენების სულიერი განწყობილებანი, შევისწავლოთ მთავარი მიმართულებანი „ქართლის ბედის“ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ქართველთათვის „ყოფნა, არ ყოფნის“ საკითხად იყო გადაქცეული.

ამ საკითხის გარშემო ახლა უფრო გარკვევით მოჩანს ქართველი საზოგადოების ორი ძირითადი დაჯგუფება:

ერთი ჯგუფი (ალექსანდრე, იულონ, დიმიტრი ბატონიშვილები, ელიზბარ, ალექსანდრე, ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ რაზმაძე და სხვანი) ვერ ურიგდებოდა რუსეთის საქართველოში დამკვიდრებას, ოცნებობდა საქართველოს განთავისუფლებას, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას იმ იმედით, რომ „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გათხრებულს და კვლად აღდგინებულს არარაისაგან; ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და საწმუნოებისადმი. გარდა ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალთა ხელადღენ შეცდომილებათა თავისთა, რომელ საქართველომ, მათგან შევიწროებულმა, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და აღარ მოინდომებენ, რომ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა. ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰსწყევლიდნენ აღამაჰმადხანსა თბი-

* გარდა აქამდის არსებული დოკუმენტებისა, ჩვენ ხელთ გვექონდა აგრეთვე „1832 წლის შეთქმულების საქმე“, რომელიც ამჟამად საქართ. ცენტრ. არქივშია.

ლისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსების გადმოსვლისა“*.

ასეთი აზრი, საკმარისად გულუბრყვილო, მართლაც რომ „რომანტიული“, შეიძლება ითქვას, საერთო იყო 1832 წლის შეთქმულთათვის.

მაგრამ მაშინდელ ქართველ თავადაზნაურობაში იყო მეორე მოპირდაპირე აზრიც. მისი შეხედულება, პირიქით, სკეპტიკურია, ცხოვრების სინამდვილის ცოდნიდან გამომდინარე რეალური შეხედულებაა. ეს მიმართულებაც გრ. ორბელიანის „მგზავრობაში“ საკმარისად აშკარად არის გადმოცემული ივანე ნიკოლოზისძე აფხაზის პირით.

ეს უკანასკნელი გრ. ორბელიანთან კამათში („მგზავრობაში“) სასტიკი წინააღმდეგია, რომ რუსები საქართველოდან წავიდნენ: „ღმერთო, — ამბობს ის მტკივნეულად, — ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოჲსა, რომელიცა მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესოებისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედადასამისა დაუძინებელთა მტერთაგან“. ივანე აფხაზს მრავალი საბუთი მოაქვს თავისი აზრის დასამტკიცებლად. მისი აზრით, ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად განადგურებულ საქართველოს ძალა არ შესწევს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მან უნდა შეიძინოს სწავლა-განათლება: „აწინდელი ჩვენი საზოგადოება, — განაგრძობს აფხაზი, — არს მკვდარი მამულისათვის, ჰსცხოვრებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებულად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან“** აფხაზს რუსების წასვლა საქართველოდან შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ასი წლის შემდეგ. ამ დროისათვის, მისი შეხედულებით, ქართველი ხალხი განათლდება, საზოგადოება შეიცვლება, გაიგებს თავის ნაკლს და შესაძლებლობა ექნება მისი შესწორებისა. „ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, გურია, — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხეოდა მოუწყვეტელ. აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერითგან უნდა შეერთხორცდნენ და შეადგინონ ერთი მრთელი; წებოთი მიკრული არ დადგების დიდხანს, თუ მზე

* 1832 წლის შეთქმულების საქმე, რე. XIX. გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურჲამდის“ — ფურც. 4042; 4044. ეს „მგზავრობა“ გამოქვეყნებული აქვს პ. ინგოროყვას — „მნათობი“, 1940 წ., № 2.

** გრ. ორბელიანი, „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურჲამდის“, „მნათობი“, 1940 წ., № 2.

არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი იმზე არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულის შეყვარება და შეგვეერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი; მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი,—გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა“*.

აი ასეთია ეს ორი მთავარი მოწინააღმდეგე აზრი ქართველი მოწინავე საზოგადოებისა. ალბათ, აზრად ეს სხვადასხვაობა აქვს მხედველობაში დიმიტრი ივანისა ც, როდესაც წერს: „ამ ახალი ელემენტებიდან (განათლებული ქართველებიდან — მ. ზ.) გამოეყო რამდენიმე ჯგუფი, თვითიული მათგანი საკუთარი უკმაყოფილების მიზეზით და საკუთარი საწადელით“**.

შეთქმულთა შორის უმეტესობა რუსეთის საქართველოდან განდევნილთა და საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების მომხრე გამოდგა. მაგრამ ამასთან ერთად ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, როგორც ამას არსებული დოკუმენტები და კერძოდ სიმ. ზუნდაძის მიერ გამოქვეყნებული დიმიტრი ივანის „მემუარები“ ცხადად გვეუბნება, რომ შეთქმულთ არც სერიოზული ორგანიზაცია, არც საერთო შეთანხმებული აწონ-დაწონილი მიმართულება, არც მიზანშეწონილი გეგმა და საშუალებათა გამონახვა არ ახასიათებდათ. 1832 წლის შეთქმულებას როცა ეცნობით, ყველაფერი: თუ შეთქმულთა სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულება, თუ მათი შეკრების შემთხვევითი ხასიათი (ხშირად ბალში ან ნადიმზე), თუ უმეტაურობა, თუ შეთქმულთა რიცხოზობრივი სიმცირე, თუ მათი მოქმედების უგეგმოზა, თუ გამოუცდელიობა, თუ წინდაუხედაობა — ყველაფერი რაღაც შემთხვევითი ხასიათისა გეჩვენებათ.

1832 წლის შეთქმულების საქმეებში აი რა საინტერესო დამახასიათებელ ცნობას ვკითხულობთ შეთქმულთა არასერიოზული მოქმედების შესახებ: „ზოგიერთ ჩვენებაში ნათქვამია, რომ ამბოხება თითქოს ერთსა და იმავე დროს უნდა დაწყებულიყო თბილისს, თელავს, სიღნაღს, დუშეთს და გორში. მაგრამ ამ მხრივ ყოველივე კვლევა-ძიების შემდეგ ამისთანა განზრახვისათვის მომზადების არავითარი კვალი არ აღმოჩნდა. სხვა ჩვენებებში აღნიშნულია სურვილი ამ შეთქმულებაში იმერეთიც ჩაებათ, მაგრამ ამ მიზნით ყოველივე საქმე განსაზღვრულია მით, რომ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს მხოლოდ დარიგება მისცეს, როგორ მოქცეულიყო. ამ უკანასკნელს კი

* გრ. ორბელიანი, „მჯავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“, „მნათობი“, 1940 წ., № 2.

** დიმიტრი ივანის, მემუარები, გვ. 127.

არავითარი ვალდებულება არ შეუსრულებია. თუმცა თვითონვე აცხადებენ, რომ იმერლების იმედი მათ არ ჰქონდათ და მათი მოწვევა განზრახული იყო მხოლოდ ტფილისში აჯანყების მოხდენის შემდეგ“.

მეტად საინტერესოა ჩვენთვის დიმი. ყიფიანის, როგორც ამ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის და ცნობილი ქართველი პატრიოტის ცნობები, რომლებსაც ის თავის „მემუარებში“ იძლევა. აი, სხვათა შორის, ყიფიანი რას მოგვეთხრობს:

19 ოქტომბერს შეთქმულები აჯანყების შესახებ საბოლოო დადგენილების გამოსატანად და აჯანყების დღის დასანიშნავად ფალავან-დიშვილთან შეკრებილან.

„ა ლ ე ქ ს. (ორბელიანი—მ. ზ.) აბა დაიწყეთ!

ე ლ ი ზ ბ. (ერისთავი—მ. ზ.)—ჰო, დაიწყეთ, რა არის აქ დასაფარავი.

ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი — ბატონებო! ვინაიდან ყველამ იცით ის მიზანი, რომლისკენაც მიმართულია ყველა ჩვენგანის აზრები, ვიყოთ გულახდილნი, დღეიდან ჩვენ მეგობრები ვართ, ჩვენ შორის არაფერი არ უნდა იყოს დაფარული. დრო ჩვენთვის ძვირფასია: ისტორია გვიჩვენებს, რომ დაგვიანებას საქმე ყოველთვის ჩაუშლია. ჩვენ ახლა ვთხოვთ ყველას, რომ გამოსთქვან თავიანთი აზრი საშვალეების შესახებ, რომ...

დ ი მ ი ტ. (ორბელიანი—მ. ზ.)—რომ საქართველო გავათავისუფლოთ რუსებისაგან, ცხადია.

ე ლ ი ზ ბ. — ზომ გაიგეთ ბატონებო! აი მიზანი ჩვენი შეკრებისა. ინებეთ, გამოსთქვით თქვენ აზრი. ალექსანდრე! დაიწყეთ თქვენ.

ა ლ ე ქ ს. — საკითხი: დაუშვათ, რომ ჩვენ მოვადინეთ აჯანყება, შევკრიბეთ ჯარი, საჭიროა თუ არა რომ მას ექნეს სურათი?

დ ი მ ი ტ. — სურსათს ჩვენ წავართმევთ თვით რუსებს.

ა ლ ე ქ ს. — კარგი.

ე ლ ი ზ ბ. — (აწყვეტილებს 1-ს) შემდეგმა ილაპარაკე.

გ ა ხ ტ. (ორბელიანი — მ. ზ.) — დე, ასე იყოს, დაუშვათ, რომ იმათ წავართმევთ.

ე ლ ი ზ ბ. აბა, განაგრძეთ, თქვენ!

დ ი მ ი ტ. — რა წესრიგია, მათქმევიწინე ერთი სიტყვა. იქნება თუ არა მაღაზიებში ერთი წლის საყოფი სურათი?

ა ვ თ. (ავთანდილოვი — მ. ზ.) — არა.

ე ლ ი ზ ბ. — იქნება, მე ვიცი რომ იქნება. თქვენ რას ფიქრობთ? მე. (დიმი. ყიფიანი — მ. ზ.) — მე სულ ვფიქრობ, რით დაბოლოვდება.

ფ ა ლ ა ვ. (თავისთვის) — მოსაწყენი კაცია! (ხმამალლა) კარგი, ვთქვათ ყველაფერი გვაქვს, ახლა როგორ შეეკრიბოთ ჯარი? მე იმედში მაქვს ტფილისის ბროდიაგების და ლოთების.

ა ვ თ. (მე ყურში) — ჩინებული ჯარია ლოთები!

ა ლ ე ქ. — არა, იმათზე არ შეიძლება დაყრდნობა, ჩვენი გლებობა...

ვ ა ხ ტ. — აბა, ახლა გლებები ძალიან კი უჩერიან მემამულეებს, როცა ყოველ მათგანს შეუძლია მოიპოოს თავისუფლება. საკმარისია მხოლოდ იჩივლოს სასამართლოში.

ე ლ ი ზ ბ. — არა, ნუ შიშობ, ერთგულებს მაინც ვიპოვით. და ამას გარდა კიდევ მოიპოვება საშუალება ბრბოს აღსაშფოთებლად. საკმარისია გავავრცელოთ ხმა, რომ ახალწვევულებს ჰკრებენ ჯარში წაასყვანად და ნახავ როგორ იფეთქებს.

დ ი მ ი ტ. — დიახ. ამას გარდა, განა ცოტანი გვყვანან ჩვენ ბებერი მისნები, — საკმარისია მხოლოდ, რომ იმათ მოიგონონ გრძნობის დაკარგვა, დავარდნენ ხალხის წინაშე და მორთონ ყვირილი, რომ წმინდა გიორგი ამას და ამას ბრძანებს, ღეთისმშობელი — ამას და ამას და მაშინ ნახავთ.

ფ ა ლ ა ვ. — შესაძლებელია, მაგრამ როდის დავიწყოთ*.

პირდაპირ გულუბრყვილო, გამოუცდელი ოცნების თამაშია! ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვერც ალ. ჰავჭავაძე და ვერც ლუარსაბ ორბელიანი ვერა და ვერ მიიზიდეს შეთქმულთა, მიუხედავად უკანასკნელთა დიდი სურვილისა და არაერთხელ დადგენილებისა „უთუოდ ჩაბმულ იქნან საქმეში“.

„ამ წრის შედგენილობის სხვადასხვაობა და მიმართულება, — წერს დიმიტ. ყიფიანი, — ვერ შეუწყობდა ხელს იმას, რომ რაიმე საერთო მოქმედების გეგმა გამოემუშავებინათ, მათ არც საერთო ხელმძღვანელი ჰყავდათ; ამ ჯგუფებს საერთო მოლაპარაკებაც კი ერთხელაც არა ჰქონიათ. ცალ-ცალკე ჯგუფებად შეიკრიბებოდნენ ხოლმე და გამოსთქვამდნენ მას, რაც გულში ჰქონდათ“ **.

1832 წლის დეკემბრის 9-ს იასე ფალავანდიშვილმა თვითონვე გაცა შეთქმულნი. ყველა მონაწილე უმაღლეს ყვევებულ იქმნა! ზოგი ადგილობრივ და ზოგიც სხვადასხვა ადგილზე სამსახურში. ყველა თბილისში ჩამოიყვანეს, მოათავსეს ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარ-

* დიმიტ. ყიფიანი, „მემუარები“, 145—146.

** იქვე, გვ. 128.

მეზში, ავლაბარში. სხვათა შორის, ამ მოვლენას ამიტომ დაერქვა ყ ა -
ზ ა რ მ ბ ა *.

1832 წლის შეთქმულნი, მართალია, ციხეში და გამოძიების ქვეშ
დიდი ხანი ჰყავდა მთავრობას და სასტიკ გამოძიებასაც აწარმოებ-
და, მაგრამ მათ გამოძიებამ დიდი დანაშაულობა ვერაფერი აღმოუ-
ჩინა, გარდა რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლების „თახე-
ლი“ და უნიადაგო ოცნებისა. ამიტომ გამოძიების შემდეგ სამართალ-
ში მიცემული იყო მხოლოდ 13 კაცი, და ამათგანაც მხოლოდ ექვსი
კაცი დაისაჯა საგრძნობლად.

მთავრობა დარწმუნდა, რომ ეს შეთქმულება უნიადაგო, მართლაც
რომ რომანტიკულ ოცნებად აღმოჩნდა განწირული, დარღვეული, ყო-
ველივე ძალადაკარგული თავადაზნაურობისა.

1832 წლის შეთქმულება ქართველი მასების გარეშე ჩაისახა და
მოისპო კიდევ. მას არა ჰქონია მასებისათვის რეალური მნიშვნელო-
ბა. მას მხოლოდ იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც მასში
ჩვენი იმ დროის ინტელიგენცია, ჩვენი მწერლები ჩაბმულნი იყვნენ.
და ამ შეთქმულების დამარცხებას დიდი გავლენა ჰქონდა მათ პოე-
ტურ შემოქმედებაზე.

ამ შეთქმულების დამარცხებამ, ერთი მხრით,
გააღრმავა იმედგაცრუებულობა ჩვენს მაღალ
წოდებაში, გააღრმავა მასში სევდა-ნადველი,
აგრძნობინა მწვავედ ნიადაგგამოცლილობა და
მასთან ერთად აგრეთვე შეგუების გზის გამოწე-
ვის აუცილებლობა, უნდა ითქვას, რომ სწორედ 1832 წლის
შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილემ ამ დამარცხების შემდეგ
წარჩინებით დაიწყო ასვლა ბიუროკრატიული რუსეთის სამსახურის
კიბეზე. მრავალი მონაწილემ დაწინაურებულ მოხელედ გადაიქცა.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ამ შეთქმულების დამარცხებამ თავი-
სი შედეგებით გააძლიერა ის კაეშანი, რომელიც მძევნეარება ქარ-
თველ ხალხში წინა ამბოხებათა ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობის
და მით უმეტესად ქართველი მშრომელი გლეხკაცობის ეკონომიუ-
რად და ფიზიკურად გაწბილების შემდეგ.

ქართველი ხალხის ამ ეკონომიურმა და სოციალურ-პოლიტიკურ-

* უნდა აღინიშნოს, რომ არსებული დოკუმენტების მიხედვით 1832 წლის
შეთქმულთა შორის რესპუბლიკური მიმართულების შესამჩნევი, კვალი არ მო-
ჩანს; ვფიქრობთ, რესპუბლიკური იდეები ამოძრავებდა მხოლოდ სოლ. დოდაშვილს
(ამის შესახებ ქვემოთ). არც გრ. ორბელიანის „მგზავრობა“ და „ღლიური“ და არც
1832 წლის შეთქმულების გამოძიების საქმე ამის დასაყრდენ საბუთს არ იძლევა.

პა მდგომარეობამ უდავოდ პოხიერი ნიადაგი მოუშადა რომანტიზმის განვითარებას ჩვენს ლიტერატურაში.

თუ დასავლეთ ევროპის სინამდვილეში საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებამ გააღრმავა ევროპელთა იმედგაცრუებულობა, სევდა-ნალველი და ბაირონის შემოქმედებაში ახალი მსოფლიო-გოდების ხასიათის გამოშატველ მიმართულებად გადააქცია, — საქართველოში ასეთი როლი ითამაშა აჯანყებათა დამარცხებამ, რასაც მოჰყვა ხალხის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის დაკნინება და ხალხის გულში კაემნისა და სასოწარკვეთილების დასადგურება. ეპოქის ამ სულიერი განწყობილების ნიჭიერ ამსახველად შეიქმნა ნ. ბარათაშვილი.

• • •

ამრიგად, ქართველი ხალხის ცხოვრების ამ ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურულმა მდგომარეობამ მისცა მთავარი მიმართულება და შინაარსი ქართული ლიტერატურის ოფიციალურ შტოს, რომელმაც რომანტიზმის მსოფლმხედველობა და სტილი ასახა. ხოლო რომანტიზმის სტილის დამყნობას ხელი შეუწყო XVIII საუკუნის ლიტერატურის საერთო ხასიათმა, მისმა შინაარსმა და ფორმამ.

სწორედ ამ ორი მოვლენის საფუძველზე აღმოცენდა და ზორცი შეიხსა იმ ძირითადმა მოტივმა, რომელმაც თავისებური ხასიათით შემოსა ქართული ლიტერატურის საერთოდ ყველა მიმართულება როგორც ყარაიოდლური, ხალხური ზეპირშემოქმედება, ისე ოფიციალური ლიტერატურა — რომანტიზმი.

ეს ძირითადი მოტივია ეროვნული, რომელიც დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის. ამ მოტივის გაშლას შია ქართული რომანტიზმის თავისებურებაც.

ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლები არიან: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი.

მათი შემოქმედების განხილვა აშკარად დაგვანახვებს ქართული რომანტიზმის ბუნებასა და ხასიათს.

რომანტიზმის პარალელურად ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის პირველსავე პერიოდში იმავე ეროვნული ლიტერატურისა და სინამდვილის საფუძველზე და რუსული ლიტერატურის გავლენით იწყებს განვითარებას რეალისტური მიმართულების ლიტერატურა — ქართველი მწერლების ის ჯგუფი, რომელიც გამოშატველი იყო ახალ, გაევროპიელების გზისა. ეს მწერლებია — იოანე ბატონიშვილი, სოლ. დოდაშვილი და სხვანი.

ქართული ლიბერალური განვითარების კულტურული პირობები 1801—1845 წწ.

1

1801—1850 წწ. ქართველი ინტელიგენცია, რომელიც, თითქმის, უკლებლივ თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული, დაქსაქსულ, დაბნეულ ძალას წარმოადგენდა. მისი ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულად ირღვეოდა. ბიუროკრატიული რუსეთი ახალი ცხოვრების დამყნობას ჩქარობდა. ქართველი ინტელიგენცია, ე. ი. ქართველი თავადაზნაურობა. ქანცგამოცლილი ადამიანის ინერციით გაპყვა ახალი ცხოვრების მდინარებას. თანდათან, საკმარისად სწრაფად და ადვილად ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობაზე აღმოცენებულ კულტურას სცილდებოდა, მაგრამ ახალს, რომელსაც ახლად დამყარებული ცხოვრება თხოულობდა, აგრე ადვილად ვერ ითვისებდა. მართლაც, ივანე აფხაზისა არ იყოს, ქართველი საზოგადოება, როგორც ბნელ ღამეში, ისე დადიოდა. ერთადერთი გზა მისთვის, როგორც ამას საუკეთესო წარმომადგენლებიც ფიქრობდნენ და რწმუნდებოდნენ, ცხოვრებას რომ უკვირდებოდნენ — სწავლა, ახალი განათლების შეთვისება, განათლებული ქვეყნების მიყოლა, მათ გვერდში ამოდგომა, მათთან გასწორების კურსის აღება — აი რა ამოცანა დაისახა ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის წინაშე.

ეს მიზანი და განწყობილება მოწინავე ქართველი საზოგადოებლისა, რა თქმა უნდა, არა სრულად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გამოძევლავდა ქვეყნის წყობილების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის პროექტში, იოანე ბაგრატიონის მიერ გიორგი XII-სადმი წარდგენილში. იოანე ბაგრატიონი სხვა წამოწყებათა შორის ქვეყნის გაჯანსაღებისათვის თვლიდა გაზეთის გამოცემას თვეში ორჯერ. მაგრამ ეს მაშინ, ვერ განხორციელდა, სულ მალე საქართველო საბოლოოდ „შეუერთდა“ რუსეთს. მაგრამ პირველ ხანებში არც ამ მდგომარეობაში შეიქმნა სათანადო ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური პირობები.

ბიუროკრატიული რუსეთი კი ამის შესაძლებლობას სრულებით არ იძლეოდა.

დასავლეთ ევროპის მიმართ რეაქცია ჯერ კიდევ ეკატერინე

ნ ე II-ის მმართველობის უკანასკნელი წლებიდან დაიწყო, საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ თავზარი დასცა საფრანგეთის გაპათავისუფლებელი ლიტერატურის ენთუზიასტ მიმდევარს, როგორც თვითონ ამბობდა და წერდა პირველ ხანებში, ეკატერინე II-ს. რეაქცია საშინელ სახეს იღებს პ ა ვ ლ ე I-ის მეფობის დროს და გრძელდება შემდეგშიც, ხოლო ნ ი კ ო ლ ო ზ I-ის მეფობაში თავის უმწვერვალეს განვითარებას აღწევს. 1825 წლის დ ე კ ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი ს აჯანყებამ რეაქციის გამწვავებაში დიდი როლი ითამაშა. თუმცა ნიკოლოზ I-მა აჯანყება ჩააქრო და მონაწილეები სასტიკადაც დასაჯა, მაგრამ მთელი მეფობის განმავლობაში იგი დეკემბრის აჯანყების გამეორებით შიშისაგან ვერ განთავისუფლდა. ამიტომ ნიკოლოზ I-მა გააძლიერა ცენზურა, საერთო სისასტიკე, შექმნა უანდართა განყოფილება ჯაშუშ-ჯალათების აუარებელი შტატით და საშინელი უპასუხისმგებლო თვითნებობით. საერთო ტერორში ჩაახრჩო მთელი რუსეთი. განსაკუთრებული მკაცრი ყურადღება ჰქონდა მიქცეული განაპირა ქვეყნებს, როგორც უცხოელ სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერის საქმეში საშიშ და საპასუხისმგებლო პოზიციას.

საქართველო ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მისი, რაც შეიძლება ჩქარი დამორჩილება და თავისებურად მოწესრიგება მეფის რუსეთისათვის საჭირობოროტო საკითხად იყო გადაქცეული. ბიუროკრატიული, რეაქციული მეფის რუსეთის ყურადღება გაფაციცებით აღევნებდა თვალს საქართველოს „დაწყნარებას“ და აქ მტკიცედ ფეხის მოკიდების საქმეს. რუსეთის, უდავოდ, მდიდარი იდეებით და მისწრაფებებით სავსე ოპოზიციური ცხოვრება, რომელიც ოფიციალური ცხოვრების გვერდით მძაფრად მიმდინარეობდა, ცდილობდნენ ჩვენში არ გადმოეშვათ. იშვიათად, მაგრამ მაინც, მოხვდებოდა ხოლმე საქართველოში თავისუფალი მოაზროვნე — მოხელე, როგორც დასჯილი და უფლებააყრილი. ესენი ჩვენში მართლაც დიდი და სასარგებლო კულტურტრეგერები იყვნენ ხოლმე.

ახალი კულტურის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუება-ბრძოლა ქართველი ხალხისაგან, და კერძოდ ქართველი ინტელიგენციისაგან, თხოულობდა ენერჯის დაჭიმვას, დიდს შრომასა და გამძლეობას. მაგრამ ილაჯ-გამოცლილი ქართველი ხალხისათვის ეს ძალიან ძნელი გამოდგა.

ამ გარემოებამ XIX საუკუნის პირველი ათეული წლები — 40-იან წლებამდე ახალთან მტკივნეულად, ხშირად ბრძოლის გზით, შეგუებისა და შეთვისების ხანად გადააქცია. ესაა მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზის ძიების ხანა. ამ პერიოდში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და აზრი ჩაკვდა. ასე გასიანჯეთ საზოგადოებ-

რევი დროს გატარებაც კი მოისპო თბილისში: „იმ დროს, — მოგვითხრობს დიმიტ. ყიფიანი, — რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ე. ი. მეოცე წლებში, ტფილისში, არავითარი საზოგადო დროს გატარება არ იყო. საიდანმე გაჩნდებოდნენ მოხეტიალე ქონგლოორები, ან ჯანბაზები, და ისევე წავიდოდნენ. იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა, სადაც ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ხანდახან შეიკრიბებოდნენ საცეკვაოდ, მაგრამ საზოგადოთ ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და, დროს მიხედვით კავალრები უფრო კიდევ ნაკლები. ახალგაზრდა ოფიცრები თითქმის სულ ომში იყვნენ გაწვეულნი სპარსეთში და ფრაკოსანი მოცეკვავე სამი-ოთხი თუ მოიძებნებოდა“*. ამავე პერიოდის ქართველი საზოგადოების ცხოვრებას ასეთივე მუქ ფერებში ახასიათებს ცნობილი მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი. აი როგორი სიტყვებით მიმართა მან შეკრებილ საზოგადოებას 1876 წ. გაზ. „დროების“ დაარსებიდან ათი წლის თავზე: „თქვენ ბედნიერი ხართ ახლა. ამდენ ახალგაზრდას, ამდენ მამულიშვილს გხედავთ ერთად შეკრებილს. ჩვენ კი მაშინ (ე. ი. 20—40 წწ. — მ. ზ.) სამი-ოთხი თუ შეგვხვდებოდით და კრძალვით დავიწყებდით საზოგადო საქმეებზე, თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, ისიც დიდ ბედნიერებად და შებედავად მიგვაჩნდა“**.

მოვიგონოთ ჩვენი შესანიშნავი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანთან: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, — წერს ნ. ბარათაშვილი, — სწორედ გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია: მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დაძგერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი; დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“***.

აი ასეთი მიმქრალი, დაძაბუნებულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

2

პრესის ტრადიცია საქართველოში ისედაც არ არსებობდა. ამ პირობებშიც, ცხადია, ვერ განვითარდებოდა. და, მართლაც, ამ მხრით ჩვენი XIX საუკუნის პირველ ნახევარს საშინელი ხარვეზი ემჩნევა. ეს გარემოება დიდად აბრკოლებდა როგორც ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების, ისე ქართული ლიტერატურის განვითარებას. მწერალთ ვერ უქმნიდა მკითხველთა ფართო წრეს — დამკვეთთ, რაც

* დიმიტ. ყიფიანი, „მემუარები“, გვ. 4.

** გაზ. „დროება“, 1876 წ., № 24.

*** ნ. ბარათაშვილი, წერილი გრ. ორბელიანთან 1841 წ. 28 მაისს.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მწერლის შემოქმედების ბუნებრივი ზრდისათვის.

მხოლოდ 1819 წელს 8 მარტს მთავრობამ დააარსა კვირეული გაზეთი „Грузинская газета“ — „საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“ — რომელსაც მთავრობის განცხადებათა და განკარგულებათა ხალხში გატანის მიზანი უფრო ჰქონდა, ვიდრე საზოგადოებრივი საქმიანობის აღორძინება, საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება. აღნიშნულ გაზეთში ამას გარდა მოცემულია ზოგიერთი როგორც რუსეთისა და შინაური (ადგილობრივ დაწესებულებათა და წამოწყებათა საქმიანობიდან) ცნობები, ისე უცხო ქვეყნებს (ინგლისის, გერმანიის, ამერიკის, საბერძნეთის და სხვ.) ამბებიც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი მთავრობის პოზიციიდან უყურებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, ამიტომ სათანადო სიღრმითა და სისწორით ვერ აშუქებდა თანამედროვეების საკითხებს*. როგორც ჩანს (სამწუხაროდ, ხსენებული გაზეთის ნომრების სრულმა კომპლექტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია), გაზეთი მალე (შეიძლება ვიფიქროთ 1822 წლიდან) დაიხურა. გაზეთის რედაქტორი არ მოჩანს. როგორც გაზეთის ბოლოში მინაბეჭდიდან შეიძლება დავრწმუნდეთ, ის იცემოდა კავკასიის განსაკუთრებული კორაჟისის შტაბთან.

1828 წლიდან სოლომონ დოდაშვილის დიდი ცდითა და შრომით იწყება გამოცემა ყოველკვირეული ახალი ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანი“. ეს გაზეთი ოფიციალური ორგანოს „Тифлисские Ведомости“-ს დამატებასავით იყო. „ტფილისის უწყებანის“ პირველი სამი ნომერი გამოდიოდა „ტფილისის ვედომოსტის“ სახელწოდებით. თუმცა გაზეთ „ტფილისის უწყებანი“ რუსული გაზეთის „Тифлисские Ведомости“-ს თარგმანი — მისი ორეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალე რუსულ და ქართულ „ვედომოსტებს“ შორის მნიშვნელოვანმა განსხვავებამ იჩინა თავი.

ამ პერიოდულ გამოცემას, შედარებით პირველთან, უფრო სერიოზულობის ბეჭედი აზის. გაზეთის გამოცემის საქმეში დიდ ინტერესს იჩენდა როგორც ქართველი საზოგადოება, ისე ხელისუფლებაც საჭიროდ სთვლიდა მას. მართალია, მთავარმართებელი პასკევიჩი გაზეთს „ტფილისის უწყებანს“ (როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე) მმართველობის მიერ აღებულ პოლიტიკის სამსახურს უსახავდა. მისი განმარტებით, გაზეთის მიზანდასახულება იყო დაებეჭდა მხო-

* პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I; მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I.

ლოდ ოფიციალური ცნობები, განცხადებები და ახალი ამბები, რომლებიც ადგილობრივი მხარისათვის საინტერესო იქნებოდა და ყველა ცნობა მთავრობის შეზღუდულებასთან შეთანხმებული. სინამდვილეში ამ გაზეთებში მოთავსებული ცნობები და წერილები ხშირად სცილდებოდა ასეთ ვიწრო მიზანდასახულებას. გაშუქებული იყო როგორც ადგილობრივი კულტურული ცხოვრება, ზნე-ჩვეულება წარსულსა და აწმყოში, ისე რუსეთის და უცხოეთისაც. გაზეთით დაინტერესებული იყვნენ როგორც რუსი განათლებული, გადმოსახლებული დეკაბრისტები და სხვანი, ისე ადგილობრივი მოწინავე საზოგადოება. გაჩნდა განათლებული ახალგაზრდობა. ზოგიერთ მათგანს უმაღლესი სწავლაც ჰქონდა რუსეთში დამთავრებული (მაგ., სოლ. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი). ქართული გაზეთით დაინტერესებული იყო ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით კი ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი, გ. დ. ერისთავი, ელ. ერისთავი და სხვა. ამ დროს ჩნდება ფარული საზოგადოება. ორგანოს მოთხოვნილება წამოიჭრა და ამ ახალგაზრდა ჯგუფის ორგანოდ უნდა ყოფილიყო როგორც „ტფილისის უწყებანი“, აგრეთვე 1832 წლიდან მისი ორკვირეული დამატება „ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ნ ი ნ ა წ ი ლ ნ ი ტ ფ ი ლ ის ი ა უ წ ყ ე ბ ა თ ა ნ ი“.

გუბერნატორმა სიპიაგინმა გაზეთ „Тифлисские Ведомости“-ს საგამომცემლო კომიტეტის წევრად დანიშნა სოლ. დოდაშვილი, რომელსაც პირველ რიგში ეკისრებოდა ქართული გაზეთის მასალის თარგმნა და გაზეთის გამოცემის ხელმძღვანელობა. გაზეთის საგამომცემლო კომიტეტზე მზრუნველობა და მეთვალყურეობა უშუალოდ თბილისის სამხედრო გუბერნატორს ევალებოდა. 1829 წლიდან კი გაზეთ „Тифлисские Ведомости“-ს რედაქტორია პ. სანკოვსკი, თავის ღროისათვის ცნობილი ჟურნალისტი. პ. სანკოვსკი განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო. ის ახლო იცნობდა ა. გრიბოედოვს, ა. პუშკინს, გადმოსახლებულ დეკაბრისტებთანაც დაახლოებულ იყო. მათ წერილებსაც გაზეთში სიამოვნებით ბეჭდავდა.

პ. სანკოვსკი დაუახლოვდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას. დაინტერესდა ქართველი ხალხის ცხოვრებით. მას აქვს ყურადღებით დაწერილი მრავალი წერილი საქართველოს წარსულის და აწმყო ცხოვრების შესახებ. პ. სანკოვსკი ცდილობდა მკითხველში გაეღვიძებინა ინტერესი საქართველოსადმი, მის წარსული კულტურისადმი; გულისხმობდა აქვს აღწერილი ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი. ქართული „ტფილისის უწყებანის“ ხელმძღვანელობაც მთლად სოლ. დოდაშვილს გადასცა.

სოლ. დოდაშვილს დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ქართული გაზეთის არსებობის შენარჩუნებისათვის და შემდეგ 1832 წლიდან პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ გამოცემისათვის, რომელშიც ფართო ადგილი მისცა ქართული ენისა და ლიტერატურის შემკვიდრების გამომზეურებას, ქართული ისტორიის საკითხების გაშუქებას. ამ უკანასკნელის შინაარსის უდიდესი ნაწილი სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის. აქვე იწყებენ ბეჭდვას სხვა ქართველი ახალგაზრდა პოეტები — გ. ერისთავი, დ. მაჩაბელი, სოლ. რაზმაძე, თ. გურამიშვილი.

სოლ. დოდაშვილის „ტფილისის უწყებანი“-ც დამატებით მალე დაიხურა. 1832 წლის ფართული საზოგადოების წევრები ადვილად დაატუსაღეს. სოლომონ დოდაშვილიც ზოგიერთ შემთქმულთან ერთად რუსეთში გადაასახლეს.

მხოლოდ 1845 წელს პლ. იოსელიანი მა დაიწყო ყოველკვირეული გაზეთის „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ გამოცემა. პლ. იოსელიანის ეს ორგანო ოფიციალური გამოცემის „Закавказский Вестник“-ის დამატება იყო. ამიტომ გასაგებია ის მოდუნებული და უსიცოცხლო მაჯისცემა და სიმკრთაღე, რომელიც ამ გაზეთს ახასიათებს.

„კავკასიის მხარეთა უწყებანი“ გამოდიოდა 1845—1846 წწ. ამ გაზეთში მოთავსებული მასალები შეეხებოდა საქართველოს სინამდვილეს, მის მეურნეობას, გამწვავებულ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის, ყმათა ყიდვა-გაყიდვას; აგრეთვე რუსეთისა და სხვა მეზობელ მხარეთა ცხოვრებას. გაზეთში გამოქვეყნებული ოფიციალური მასალა აღებული იყო რუსული გაზეთებიდან. გაზეთ „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ მასალა შეზღუდული იყო. მკითხველს მკრთალ წარმოდგენას აძლევდა საქართველოს ეკონომიურ-სოციალურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ გაზეთს მაინც ჰქონდა მნიშვნელობა, მაინც ერთგვარ ინტერესს იწვევდა, საზოგადოებრივ მოვლენებზე ყურადღებას მიმართავდა, ოდნავ მაინც აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას ქართველი საზოგადოებისას, რომელსაც 1832 წლიდან არა ერთხელ ჰქონდა სურვილი პერიოდული ორგანოს გამოცემისა*.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში არც წიგნებისა და პოეტური შემოქმედების ბეჭდვის ტრადიცია იყო. ჩვენი პოეტების შემოქმედება, უფრო კი ლექსები, მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა. მწე-

* პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I; მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I.

რალს ურთიერთობა მხოლოდ ვიწრო, განსაზღვრულ მახლობელთა წრესთან ჰქონდა.

ეს გარემოება, ცხადია, მწერლისათვის მეტად ხელშემშლელი და მავნებელი იყო. არ არსებობდა მწერალსა და ფართო მკითხველ წრეს შორის ურთიერთობა. პოეტი გავლენას მკითხველთა მხოლოდ მცირე რიცხვზე ახდენდა, აგრეთვე პირუტყულმა, პოეტზე გავლენას მეტად ვიწრო, მხოლოდ მახლობელთა წრე, ახდენდა. დაკვეთის სა-შუალება და შესაძლებლობა უაღრესად მინიმუმამდე იყო დაყვანი-ლი. ეს კი ჰფარავდა როგორც პოეტის გავლენას მკითხველზე, ისე პოეტის შემოქმედებით ინტუიციას, ნიჭს, უნარს, მისი შემოქმედების დიაპაზონს.

აი, ამითაც აიხსნება, რომ ჩვენი ოფიციალური: ლიტერატურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვიწრო ჩარჩოებში იყო ჩაყენებუ-ლი, გასაქანი არა ჰქონდა.

ამის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია გადავიდეთ უშუალოდ ჩვე-ნი ლიტერატურის წარმომადგენლების შემოქმედების განხილვა-შესწავლაზე.

იოანე ბაგრატიონი

1768 — 1830

1

იოანე ბაგრატიონი ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურისა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველი მესამედისა. ის იყო შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით ერეკლე II-ის გამეფებიდან, საქართველო საგრძნობლად დაუახლოვდა რუსეთს. XVIII საუკუნის მიწურულისათვის ქართველმა ხალხმა და მისმა მეფემ ერეკლე II-მ უკვე გადაწყვიტეს „ქართლის ბედი“. აქედან, შეიძლება ითქვას, ორიენტაცია საბოლოოდ რუსეთზე იქნა აღებული. იწყება ქართველი ხალხის ცხოვრების გაევროპიელების გზა რუსეთის მეშვეობით, განსაკუთრებით ქართველ წარჩინებულ წოდებაში თანდათან ფეხს იკიდებს ევროპულ-რუსული კულტურა—ენა, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, გზა უკვე ფართოდ იყო გაკვალული ვახტანგ VI-ის რუსეთს გადასახლებით თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, რომლის უმრავლესობა საბოლოოდ იქ ჩარჩა და ნებისთ თუ უნებლიეთ, პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ კულტურულ ასპარეზს მოკლებული, ხარბად დაეწაფა რუსეთის მოწინავე საზოგადოების გაღვიძებულ და ამოქმედებულ ცხოვრებას.

ამ ქართველ ემიგრანტებს რუსეთში დახვდათ არჩილის მიერ იქ შექმნილი კულტურული კერა: ვიხსენიაცხოვეში (მოსკოვის მახლობლად) არჩილის სასახლე, 1703 წელს არჩილის მიერ ქ. მოსკოვში დაარსებული ქართული სტამბა. ვახტანგ VI გადასახლების შემდეგ ქართველთა კულტურული მუშაობა უფრო გაძლიერდა.

იქ, რუსეთში, მის სატახტო ქალაქებში — პეტერბურგსა (ახლანდელ ლენინგრადსა) და მოსკოვში იქმნება გაძლიერებული კერა ქართული კულტურული მოღვაწეობისა, ქართული მწერლობის გარშემო გაცხოველებული: დაიწყო ქართული ხელნაწერების შეკრება, მათი სისტემაში მოყვანა; შეიქმნა ორიგინალური მხატვრული და ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწარმოებები; თარგმნა რუსული და ევ-

როპული ენებიდან; დაიწყო გულისხმიერი შესწავლა რუსულისა და ევროპული ენებისა; ათვისება იმ კულტურის გავლენისა, რომელიც მოწინავე რუს საზოგადოებაში იყო ფეხმოკიდებული — დიდი ფრანგი განმანათლებლების — ენციკლოპედისტების გავლენა, განსაკუთრებით ვოლტერისა.

ცნობილია, ვოლტერი (1694—1778) ყველაზე მკვეთრი წარმომადგენელი იყო საფრანგეთის განმანათლებელი ფილოსოფიისა. ის აქტიური მონაწილე იყო „ენციკლოპედიისა“. ის თავის დროზე ყველაზე მკვეთრად გამოხატავდა თავისი კლასის — ბურჟუაზიის ფსიქოლოგიასა და ინტერესებს. მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გამომდინარეობდა ინგლისური ფილოსოფიის — ემპირიზმისა და დეიზმის საფუძვლებიდან.

ვოლტერი გამუდმებით და ენერგიულად იბრძოდა ფეოდალთა, ეკლესიის პრივილეგიებისა და საუკუნეობით გამომუშავებული ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. როგორც შემოქმედებით, განსაკუთრებით პამფლეტებით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობით ვოლტერი მოუწოდებდა ცხოვრების პირობებზე გაუმჯობესებისაკენ. თავისი „ინგლისური წერილებით“ ვოლტერი მოხერხებული ფარული დაპირისპირებით ამათრახებდა საფრანგეთის ძველ რეჟიმს, მის ძალმომრეობას, ჩამორჩენილობას და აჩვენებდა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო აღმავლობის უპირატესობას. ამით ვოლტერი ხელს უწყობდა ბურჟუაზიის კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავებას და აძლიერებდა ოპოზიციურ განწყობილებას. ვოლტერი შეიქმნა ევროპის ბურჟუაზიის საზოგადოებრივი აზროვნების ხელმძღვანელი. ის გაბედულად ილაშქრებდა მკაცრი, მშრალი სისხლის სამართლის კოდექსისა, წამების გამოყენების, ბატონყმობისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. ყველაზე მეტ დაბრკოლებად საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობაში ვოლტერს მიაჩნდა ეკლესია, რომლის დათრგუნვას ის კატეგორიულად მოითხოვდა.

ვოლტერის ეს იდეები XVIII საუკუნის დასასრულს სავსებით შეესაბამებოდა საერთო საზოგადოებრივ მდგომარეობას. ამის გამო ვოლტერს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა როგორც ფრანგებში და დასავლეთ ევროპის სხვა ხალხებში, ისე რუსეთში და აქედან ქართველებშიც. ქართველთა შორისაც გაჩნდნენ ვოლტერის მიმდევარნი. ცნობილი არიან ვოლტერის იდეებით გატაცებულნი ქართველნი: დავით გიორგის ძე ბაგრატიონი*, იასე გარსევანიშვილი, ალექსანდრე

* დავითი იყო მეფე გიორგი XII-ის უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე. ის იყო ნიჟიერი, თავის დროისათვის განათლებული, ენერგიული კაცი. დავითი, როგორც ნიჟიერი მეომარი გამომჟღავნდა აღა-შაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის

დიმიტრის ძე ამილახვარი*, რომელსაც უთარგმნია ვოლტერის თხზულებები: „ლუდოვიკო XIV“ და „ლუდოვიკო XV“ — ისტორია 1838 წელს; დავით ესტატეს ძე ციციშვილი**. ამათ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ, მართალია, არა ისე მკვეთრად გამომხატველნი ვოლტერიანობისა — იოანე გიორგის ძე ბაგრატიონიც და ზოგიერთი სხვაც.

რუსულ-ევროპულისადმი ლტოლვას პირველ რიგში ამჟღავნებდნენ მეფის წულები და სასახლის მაზლობელი თავადაზნაურნი. მათ

დროს, ის იცავდა კოჩრის გზას და ხელმძღვანელობდა ჯარის მარჯვენა ფრთას. 1793 წელს მამის, გიორგი XII. დავალებით დავითი თავის ძმა იოანესთან ერთად ხელმძღვანელობდა კახეთის კომლულ აღწერას. ამას გარდა, მან, მამისავე დავალებით, შეადგინა საგულისხმიერო საკანონმდებლო ძეგლი „სამართალი“.

დავითი მისდევდა მწიგნობრობას. სამხედრო სამსახურში რუსეთში ყოფნისას იგი გატაცებით დაწაფა ვოლტერის იდეებს, რასაც ხშირად ამჟღავნებდა ცხოვრებაში და რითაც დიდ მწუხარებას აყენებდა მამამისს. გიორგი XII-ის აღმოფთვებას, დავითის ვოლტერიანობით გამოწვეულს, პლ. იოსელიანი ასე გადმოგვცემს: „ვოლტერი! გეოგრაფი ჩემის შეილის დავითისა, ჩემის მეგობარისა. ვაი შენსა გიორგის! რუსეთში მყოფმან ჩემმან შეილმან შეისწავლა მისი უსჯულო სწავლა. მოიტანა აქ მისი სახე, რომელიც სამართლიანად დავსწვი ცეცხლსა“ (პ. იოსელიანი, „ცხოვრება მეფის გიორგი XII“, გვ. 75). დავით ბაგრატიონმა სთარგმნა აგრეთვე მონტესკიეს „De l'esprit de lois“. მასვე ეკუთვნის სასტიმენტალური ხასიათის ნაწარმოები „ახალი შიხი“. ის აგრეთვე ავტორია რამდენიმე ლექსისა (იხ. ტ. რუხაძე, „ქართული ეპოსი“ გარდამავალი ხანის „ლიტერატურაში“. გვ. 65—68; მისივე, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“. გვ. 97—120).

* ალ. ამილახვარი ცნობილია თავისი განათლებით, მწერლობითი ნიჭით, ოპოზიციური განწყობილებით როგორც საქართველოში ყოფნის დროს, ისე საქართველოდან რუსეთში გადახვეწის შემდეგ. რუსეთში ყოფნისას ის გატაცებული იყო ვოლტერისა და ენციკლოპედიტთა იდეებით. დაწერილი აქვს რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები, მათ შორის ყველაზე დამახასიათებელია მონტესკიეს გავლენით დაწერილი „ბრძენი აღმოსვლეთისა ანუ განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“ და „მოქმედება ასტრახანში“, რომელშიც გაიკცხულია მეფეთა „პოლიტიკა“ როგორც საქართველოში, ისე რუსეთში; კარგადაა მოცემული ეკატერინეა დროის ჩამორჩენილი რუსი „ოფიცერი“. ამილახვარი, ექვს გარეშე, XVIII საუკუნის რუსი სატირიკოსების გავლენასაც უნდა განიცდიდეს.

** დავით ციციშვილი ქართველ ემიგრანტთა ვოლტერიანების ჯგუფს მიეკუთვნება. ის დავით რექტორის მოწაფე იყო, შემდეგ რუსეთში აღიზარდა ფრანგ განმანათლებელთა ზეგავლენით განვითარებულ რუსულ კულტურაზე. საქართველოშიც, როგორც ამას ადგვილი ჰქონდა რუსეთში. მოწინავე პროგრესული იდეები — ვოლტერიანობა — უპირისპირდებოდა ძველ ფეოდალურ-კლერიკალურ მსოფლმხედველობასა და ტრადიციებს და მათი საშუალებით დროთა განმავლობაში მკომე ტრადიციების დარღვევას ლამობდა.

დავით ციციშვილმა რუსულიდან თარგმნა ბაუმეისტერის „მეტაფიზიკა“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის დასახლდა თავის სოფელ ქარელში და ეწეოდა წყნარ ეულტურულ ცხოვრებას; თარგმნიდა რუსულიდან ქართულად. მაგ., 1849 წ. მან თარგმნა ე. ე. რუსოს ცნობილი ტრაქტატი „Рассуждения о науках

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთში მყოფ ქართველობასთან. მეფე ერეკლე II, დაინტერესებული რუსეთთან მჭიდროდ დაახლოებით, გამუდმებით გზავნიდა რუსეთში ახალგაზრდებს ახალი რუსულ-ევროპული მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვადასხვა წამოწყებათა ათვისების მიზნით, რათა მათი შემწეობით გადმოენერგა ახალი რუსულ-ევროპული კულტურა ქართულ ნიადაგზე. საგრძობლად იზრდება რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი, ფრანგულ ენასაც მისდევენ. უკვე XVIII—XIX საუკუნეთა უღელტეხილზე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის მოწინავე საზოგადოების მსგავსად ქართველ მოწინავე ნაწილში, განსაკუთრებით რუსეთში განათლებამიღებულთა წრეში, შეიქმნა ფრანგ განმანათლებელთა ეგრეთწოდებულ ენციკლოპედისტების, ვოლტერის მიმდევართა ჯგუფი. მათი საშუალებით ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებების თანახმად იკვალეზა ახალი ისტორიული გზა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება კარგად გრძობდა საქართველოს სახელმწიფო წყობილების რეფორმის აუცილებლობას. ამ ნაწილის მისწრაფება აღიბეჭდება იოანე ბაგრატიონის მიერ გიორგი XII-სადმი წარდგენილ ქვეყნის სარეფორმო პროექტში. „იმ დროს, — ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის“ I ნაწილში, — ბევრს ესმოდა თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევენ ევროპული წესების უპირატესობასა და ამ წესების საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ. არაერთი კანონპროექტი იწერებოდა მაშინ საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა რწმენა, რომ არსებული სახელმწიფო წყობილების სიღრუხჭირე უნდა დაძლეულიყო, რომ დღეს თუ არა, ხვალ ევროპული წესები უნდა შემოსულიყო, რომ სათავადოებს დღე უნდა დაღეოდა“*.

И истыствах“. ქართულ თარგმანს ასეთი ცნობა აქვს დართული: „ჰსჯა, დაჯილდობული დიკონის აკადემიისაგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისა წინადადებული, რომელ აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწორა წარმართვას ზნეთა ანუ ყოფა-ქცევათასა? შეთხზული უფლის ეანეაქ რუსოს მიერ. მეორეუ გამოცემული მოსკოვს 1827 წელს რუსულ თარგმანიდან ციციანოვის მიერ 1849 წ. ს. ქარელში“. დავით ციციშვილი თანამშრომლობდა ივ. კერესელაძის ფრანგ „ისქარში“, იქ მან 1857 წ. № 12 მოათავსა წერილები „ცოდნისათვის განჯაფისა“, თარგმნილი რუსულიდან. ქართველ მკითხველს ის აფრთხილებს და ურჩევს ნუ დაივიწყებენ ქართულ ენას (იხ. ლ. ასათიანი, „ვოლტერიაანობა საქართველოში“).

* ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 420, გამოც. 1950 წ.

განაალებული სახელმწიფო მოღვაწენი, მათ შორის იოანე ბაგრატიონი, მეფე გიორგი XII უდგენდნენ სათანადო კანონ-პროექტებს. შავრამ „ქართლის ბედის“ გადაწყვეტა, გარეშე და შინაური მტრებით. განსაკუთრებით მეფის წულთა აშლილობით, ისეთი სისწრაფით ხდებოდა, რომ ეს პროექტები უკვე მნიშვნელობასა და ძალას ჰკარგავდნენ და ვერცა ხორციელდებოდნენ.

1801 წლის 12 სექტემბრის ალექსანდრე I მანიფესტმა გადაწყვიტა საქართველოს საკითხი—საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს და იქცა მის ნაწილად. ახალმა ხელისუფლებამ 'ქედარებით მალე ჯააშოშმინა განსაკუთრებით აშლილი მეფის წულები, რაც შედეგი იყო მათი მრავალ შემთხვევაში იძულებითი გადასახლებისა რუსეთში.

იოანე ბაგრატიონი, შვილი გიორგი XII, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ნათლად გაითვალისწინა ქვეყნის ახალი მდგომარეობა და მეფის რუსეთის წინადადების მიღების შემდეგ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, გადასახლდა რუსეთში მიჩნეულ ადგილს—სატაბტო ქალაქ პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში).

2

იოანე ბაგრატიონი დაიბადა 1768 წელს, მან, ბავშვობიდანვე გულისხმიერმა, თავის მამისა და პაპის ოჯახში მიიღო იმ დროისათვის საქართველოს პირობებში კარგი განათლება. როგორც ჩანს, ის ახლია ურთიერთობაში იყო იმ ქართველ ახალგაზრდობასთან, რომელიც რუსეთში იღებდა რუსულ-ევროპულ განათლებას. მან ყრმობიდანვე კარგად გაითვალისწინა საქართველოს მდგომარეობა, იგრძნო მისი ყოფის მრავალი მხარის დრომოკმულობა და შეგნებულად შედგა პროგრესული რეფორმების გატარების გზაზე. მან ნათლად დაინახა, რომ ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მისი წყობილების გარდაქმნით რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მსგავსად. ამით აიხსნება მისი 1799 წელს მამისადმი წარდგენილი პროექტი, სახელმწიფოში რეფორმების გატარების მიზნით.

იოანე ბაგრატიონის პროექტში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ქვეყნის აღორძინების საქმეში ერის კულტურულ ცხოვრებას, მის განათლებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. იოანე ბაგრატიონის პროექტით, მიზანშეწონილი იყო დაარსება თბილისსა, თელავსა და გორში უმაღლესი ტიპის საერო სასწავლებლებისა (აღბათ, რუსეთის სლავიანურ-რუსულ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის მსგავსის, მაგრამ არსებითი განსხვავებითაც). ამ სასწავლებლებში, გარდა მშობლიური ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სხვა საერთო სა-

განმანათლებლო საგნებისა, უნდა ესწავლებინათ: რუსული, კლასიკური (ბერძნული, ლათინური) და აღმოსავლური (სომხური, თათრული) ენები. ამ პროექტით ასევე საჭიროდ იყო ცნობილი თვეში ორჯერ გაზეთის ბეჭდვა, ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსება (საჯარო ბიბლიოთეკის მსგავსი), რაც თავს მოუყრიდა ოჯახებსა და დაწესებულებებში მრავლად გაფანტულ ნაწარმოებებს, როგორც ხელნაწერებს, ისე დაბეჭდილთ და ისტორიულ-კულტურულ ნივთებს. პროექტში მათი გამოყენების შესათფერი წესებიც კი იყო მოცემული: ძეგლების გარეთ გატანა აკრძალული იყო; მათი გაცნობა უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ბიბლიოთეკა-მუზეუმებში.

იოანე ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. საქართველოს დამოუკიდებლობა დასრულდა გიორგი XII სიკვდილით.

რუსეთში გადასახლების შემდეგ იოანე ბაგრატიონი, დაჯილდოებული ნიჟით, უნარიტ, გონიერებით, გულისხმიერებით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სარბიელს მოკლებული, დაეწაფა რუსულ-ევროპულ მეცნიერება-ლიტერატურას ცოდნის გაღრმავების მიზნით. XIX საუკუნის პირველ მეწამედში, როდესაც იოანე ბაგრატიონს უხდება რუსეთში ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობის წარმოება, რუსეთი ხასიათდება საგრძნობი სოციალური ძვრებით. ამ გარემოებას ხელს უწყობდა 1812 წლის სამამულო ომი და მასში რუსი ხალხის გამარჯვება, რამაც გამოიწვია საგრძნობი აღმავლობა რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისაც, რომლის უბრწყინვალესი გამოხატულებაა 1825 წლის დეკემბრის აჯანყება. აქედან გარკვეულად მოჩანს რუსეთის ცხოვრების ორი გზა: რუსეთი — ხალხის, განახლებისა და განათლების გზით მოსიარულე და რუსეთი — ფეოდალური ბიუროკრატიისა, ძველი ყოფისა და შეხედულებათა შენახვა-დაცვისა. მათ შორის გაჩაღებულია მძლავრი ჭიდილი. რუსი მოწინავე საზოგადოების (დეკაბრისტებისა და სხვათა) მსოფლმხედველობა და მოქმედება მიმართული იყო რეაქციონური ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომელიც გააფთრებული ებრძოდა ყოველივე ახალს, როგორც საზოგადოებრივ ყოფაში, ისე იდეურ სფეროში (ფილოსოფიასა და ლიტერატურაშიც).

ცნობილია, რომ რუსეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ფეოდალიზმის რღვევას თან ახლდა მოწინავე პროგრესული იდეებისა და თეორიების განვითარება. ცხადია, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრისა და ლიტერატურის დადებითი გავლენა საქართველოს, რომელიც თანდათან მტკიცედ უახლოვდებოდა რუსეთს, ფილოსო-

ფიურ და ლიტერატურულ მიმართულებასაც ახალი გზით აამოძრავებდა. აი ამ ურთიერთობის პირობებში იშლება იოანე ბაგრატიონის შემოქმედებითი ნიჭი პეტერბურგში ვადსახსლების (1801 წ.) დღიდან.

იოანე ბაგრატიონის ხელნაწერების გადასინჯვა აშკარად გვარწმუნებს, რომ ის რუსულ-ევროპული პროგრესული იდეების დიდ გავლენას განიცდის როგორც ფილოსოფიაში, ისე ლიტერატურაში. ამას ადასტურებს როგორც იოანე ბაგრატიონის თარგმანები (კონდილიაკი — „ლოგიკა“, ფერგიუსონის — „მოძღვრება ზნეობითისა ფილოსოფიისა, შეთხზული ადამ ფერგიუსონისაგან“ და სხვა), ისე მისი ორიგინალური ნაწერები („კალმასობა“ და სხვა). ყველგან ის გარკვეულად მონიხანს რუსულ-ევროპული აზროვნების პროგრესული მიმართულების მატარებლად: ფილოსოფიაში იოანე ბაგრატიონი იზიარებდა ემპირიულ, სენსუალისტურ მიმართულებას, რომელიც ებრძოდა რეაქციულ-მეტაფიზიკურ მიმდინარეობას, რაც ხელს უწყობდა რუსეთის ფილოსოფიის მატერიალისტური ტრადიციების განვითარებას, ხოლო ლიტერატურაში ის რეალიზმის პოზიციებზე იდგა.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით იოანე ბაგრატიონის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევაზე. დაინტერესებულთ ამ საკითხით მიუთითებთ ვ. ფრანგიშვილის შრომას: „ფსიქოლოგიური ცოდნა იოანე ბაგრატიონის ნაწარმოებებში“*. წინამდებარე შრომაში იოანე ბაგრატიონის მოღვაწეობა გვიანტერესებს ლიტერატურული მიმართულების თვალსაზრისით.

3

შორეულ ჩრდილოეთში გადახვეწილი, არა უმტკივნეულოდ, მაგრამ ერთგვარად დაშოშმინებული, ბედთან შერიგებული განცდით, ექვს გარეშეა, თავის დროისათვის დიდი პატრიოტი იოანე ბაგრატიონი ცდილობს გაარკვიოს როგორც თავისთვის, ისე სხვისთვის, — რამ მიიყვანა ქართველი ხალხი — „პურადი, გულადი, მებრძოლი“ და მოუყიდებლობის დაკარგვამდე.

ამ მეტად აქტუალური, იმ დროისათვის მეტად რთული და მტკივნეული საკითხის შესახებ და საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებზე იოანე ბაგრატიონი თავის შეხედულებას ნიჭიერად ავლენს თავის ფრიად საგულისხმო მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია სახელით „კალმასობა“, ხოლო რომელსაც უფრო მართებულა ეწოდოს „ხუმარსწავლა“, როგორც თხზულების ბოლოში თვითონვე ავტორი მას

* „ფსიქოლოგია“, ტ. IX, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
გვ. 353—401.

უწოდებს: „დასრულდა წიგნი ესე ხუმარსწავლა წელსა 1628-სა თვე-სა იენისსა 30-სა, სანკტებეტერზურლსა შინა“. როგორც იონა ხელაშვილის 1825 წლის წერილიდან ჩანს, ავტორს, იონე ბაგრატიონს, ამ ნაწარმოებზე სანგრძლივად უმუშავია. „იორმეტი წელიწადია ავტორი ამ თხზულებას წერსო“, — ამბობს იონა ხელაშვილი. აქედან ცხადია იონე ბაგრატიონს „კალმასობა“-ზე უმუშავია თხუთმეტი წლის განმავლობაში.

იონე ბაგრატიონის „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“ საგულისხმოა როგორც ფორმისა, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

მართალია, „კალმასობის“ გადმოცემის კილო სახუმაროა და შეიძლება ალაგ-ალაგ გასართობი, მაგრამ ავტორის მიზანდასახულობა არც ხუმრობაა და არც ვატიობა. ავტორი ამ ნაწარმოებში ნათლად და მკაფიოდ გამოავლენს სანგრძლივი ღრობის განმავლობაში მძიმედ განცდილს და ამის საფუძველზე ნაფიქრს ნეტად მტკივნეული საზოგადო საქვეყნო მოვლენების გარშემო. ესაა. როგორც დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი იტყოდა, იონე ბაგრატიონის „УМА ХОЛОДНЫХ НАБЛЮДЕНИЙ И СЕРДЦА ГОРЕСТНЫХ ЗАМЕТ“.

„კალმასობა“ დამახასიათებელი სახეა მოგზაურობის ჟანრისა, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო მსოფლიო ლიტერატურაში XVIII საუკუნეში. „კალმასობის“ I ტომის ხსენებულ გამოცემის წინასიტყვაობაში პროფ. კ. კეკელიძე და პროფ. ა. ბარამიძე წერენ: „ხუმარსწავლა“ (ე. ი. „კალმასობა“ — მ. ზ.) თავისებური ლიტერატურული ჟანრია, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში უნდა გაჩენილიყოს ჩვენს მწერლობაში. ყოველ შემთხვევაში ტერმინი „ხუმარსწავლობა“ აღნიშნულ საუკუნეებიდან გვხვდება. მკვეთრი გამოხატულება ასეთს ჟანრს სწორედ ამ ნაშრომში მიუღია*.

ეს ჟანრი მოგზაურობისა განსაკუთრებით განვითარდა XVIII საუკუნეში ბურჟუაზიის აღმავლობის პერიოდში. ცხოვრებაში განმტკიცებით დაინტერესებული აღმავალი ბურჟუაზია ეძებს ახალ-ახალ საშუალებებს, ახალ ქვეყნებს თუ ადგილებს თავისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ქონების შეძენისათვის. ამიტომ ის არღვევს ფეოდალურ კარჩაკეტილობას ახალი ადგილების გაცნობისა და შესაძლებლობის გამონახვის მიზნით. ბურჟუაზიის ამ მოთხოვნილებას თუ ცნობისმოყვარეობას, ცოდნის მიღების ინტერესს აკმაყოფილებდა მოგზაურობა, ახალი ქვეყნებისა და ახალი ცხოვრების ნახვა. ბურჟუაზიის ეს მოთხოვნილება თუ დაკვეთა ლიტერატურაში ანვი-

* იონე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, გვ. 11, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით.

თარებს მოგზაურობის უნარს. იოანე ბაგრატიონიც ეპოქის ამ მოთხოვნებიდან აძლევს თავისებურ ხარკს ამ უნარის არჩევით თავის „კალმასობით“, ვინაიდან მოგზაურობის უნარი მას შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მდგომარეობა ეჩვენებინა.

იოანე ბაგრატიონის ხსენებულ ნაწარმოებში, მიუხედავად მისი ალაგ-ალაგ დიდი გაქიანურებისა და ფართო ჩანართებისა, ვეფქრობთ, ნიჭიერადა და ორიგინალურადაა მოცემული საქართველოს პოლიტიკური (დაქუცმაცებული), სოციალურ-ეკონომიური (გამძაფრებულნი ჩავგრა გლესობისა შიგნიდან თუ გარედან, მეურნეობის რღვევა) და საყოფაცხოვრებო (შინაგანი აშლილობა, მტრობა) მდგომარეობა. სწორედ ამ მდგომარეობამ დააყენა საქართველო დაქინების, „დარღვევის გზაზე, დააკარგვინა დამოუკიდებლობა. ამის გამოჩინება, დანახვება მთავარი მიზანდასახულობა იოანე ბაგრატიონის „კალმასობისა“. სამართლიანია გ. ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრება: „როცა ჩვენ ვკითხულობთ „კალმასობას“... ჩვენ მაშინვე არაღალში გვეცემა ერთი რამ: ავტორს გამოჰყავს აქ მეფის ოჯახის წევრნი, მსხვილი თავდაზნაურობა, მსხვილი საერო და სასულიერო მოხელენი, სარდალნი და სხვანი და სხვანი. და რისთვის ყველა ეს? რომ ამხილოს ისინი, აღნიშნოს მათნი უარყოფითი მხარენი, და თან თითქოს უჩვენოს მკითხველს, რომ აი რატომ დაემხო საქართველო“*.

„კალმასობის“ ამ მიზანდასახულობას ავტორი სრულიადაც არ მალავს და მთავარ მოქმედ პირს — იონა ხელაშვილს ამას არაერთხელ ათქმევინებს, „რომ ასე სახელმწიფო საქმის წაყვანა არ შეიძლება“, ვინაიდან მეფის ოჯახის წევრი ყველა თავისიკენ იწევს, ყველას სურს შეფობა. ქმნის თავის მომხრეებს და ეს უკანასკნელნიც ცდილობენ მიჰყვნენ თავის მფარველს, რის გამოც ქვეყანა დაქვეითების, განადგურების გზაზე დგება.

ამასთან ერთად მის პარალელურად „კალმასობაში“ ნაჩვენებია, რა საფუძვლებზე უნდა მოხდეს საქართველოს გაჯანსაღება, აღორძინება. ესაა განახლების გზით წასვლა.

ეს საფუძვლები ავტორს იოანე ბაგრატიონს თითქოს ნაპოვნიცა აქვს ფრანგი განმანათლებლების — ენციკლოპედისტების იდეებში, რომელთა დადებითი მხარეებისა და უპირატესობის პროპაგანდაა მოცემული „კალმასობაში“.

იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ ერთგვარი გზის ჩვენება იყო ქართველი მკითხველისათვის მძიმე ისტორიულ გარდატეხის ჭანაში,

* პროფ. გ. ჯავახიშვილი, „კალმასობა“, 1933 წ., გვ. 34.

როდესაც საქართველო გადაიქცა დიდი რუსეთის იმპერიის ნაწილად და ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბლით დაინტერესებული მრავალი პირისათვის, რომელნიც გამოსავალს ეძებდნენ ახალი კულტურის ათვისების გზის ფართო გაჭრით. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის დამპყრობლებისაგან (სპარსეთ-ოსმალეთი) შევიწროვებული საქართველოს მესვეურნი გავეროპიელების გზას XVII საუკუნიდან ენერგიულად ეძებდნენ და ეს გზა მათ იპოვეს რუსეთთან შეერთებით. ახალ პირობებში ქართველ ხალხს რომ შეენახა თავისი სახე, პროგრესულად მოაზროვნე ქართველები, მათ შორის იოანე ბაგრატიონი, საჭიროდ თვლიდნენ ენციკლოპედისტთა იდეების ათვისების გამოყენებას და ამ საფუძველზე ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნას რუს მოწინავე საზოგადოებასთან ერთად. მით უმეტეს, რომ ამ იდეების პოპულარიზაციას რუს მოწინავე საზოგადოებაშიც ფართო აღგილი ჰქონდა. იოანე ბაგრატიონმა განიცადა ეოლტერის, მონტესკიეს დიდი გავლენა რუსეთში გადასახლებულ თუ სწავლამიღებულ სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად. იოანე ბაგრატიონი ამ განმანათლებლების თვალთ სჩხრეკს, ჰკილაეს და ლამობს მოაწყოს ქართველი ხალხის ყოფა. ამაშია იოანე ბაგრატიონის თავისებურება—ის განქიქება—უარყოფაშივე იძლევა პოზიციურ დებულებასაც. ის თავის შემოქმედებაში რეალიზმის საფუძვლებზე დგება.

იოანე ბაგრატიონს, როგორც მოვიხსენიეთ, მრავალი სხვადასხვა დარგის ნაწარმოები აქვს. მათ დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ როგორც ქართული ლიტერატურისა, ისე ქართული ფილოსოფიის, ისტორიის, ენათმეცნიერების შესწავლისათვის. მაგრამ წინამდებარე შრომაში, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩვენ გვაინტერესებს მისი ლიტერატურული ნაწარმოები „კალმასობა“.

„კალმასობის“ ძირითადი მოქმედი პირია ბერ-მონოზანი იონა ხელაშვილი—კაცი განათლებული. იოანე ბაგრატიონი იონა ხელაშვილს, მისდამი მიძღვნილ იამბიკოში ახასიათებს, როგორც —

ახალ რიტორსა, ღვთის მეტყველების ქურსა,
წიგნთა ხელმხეზსა, ქადაგების აქსონსა
და ყოფაქცევით ძველ მამათ შენადარსა,
მონაზონების კანონთა სრულ დამცველსა.

იონა ხელაშვილს იოანე ბაგრატიონი თავის ნაწარმოებში უპირისპირებს სხვადასხვა მოქმედ პირს და იონას თანამგზავრს ზურაბას. ნაწარმოებში შეპირისპირებულია ძველი (იონა ხელაშვილი) და ახალი (ავტორი) მსოფლმხედველობა. ავტორი თავის შეხედულებებსა და განწყობილებას გამოხატავს ხან იონა ხელაშვილისა და ხან სხვა მოქ-

მედ პირთა საშუალებით, ხოლო როცა ხელაშვილი ძველ, დრომოკმულ შეხედულებებს ქადაგებს, იქ ავტორი მას დასაცინის, ასუბუქებს ზურაბისა და სხვა პირთა საშუალებით. ამიტომ მკითხველი ფხიზლად უნდა იყოს, რომ სათანადოდ შენიშნოს, რაში თანაუგრძნობს ავტორი თავის მთავარ გმირს და რაში არა.

თვით ნაწარმოები „კალმასობა“ გაშლილია ვაბაასების გზით. ვაბაასება, როგორც ჟანრი, ცნობილია, ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით აღორძინების ხანაში მე-17—18 საუკუნეებშია გავრცელებული. იოანე ბაგრატიონმა ეს ჟანრი მოხერხებულად შეაქსოვა მოგზაურობის ჟანრს. ეს თავისებური ჟანრი ავტორს მოხდენილად აქვს გამოყენებული თავის მიზანდასახულობისათვის — იონა ხელაშვილი შეახვედროს და გააბაასოს საკირო ისტორიულ პირებთან საკირბოროტო საქვეყნო საკითხების მიხედვით და მით, ავტორის გაგებით, ბეწვის ხიდზე შემდგარი საქართველოს ისტორიული საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი სურათი მისცეს მკითხველს. ავტორი იძლევა მდიდარ ვალერეას ისტორიული პირებისა. ამასთან ნაწარმოების ერთ-ერთ უდიდეს მხატვრულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს იონა ხელაშვილის თანახლებელის ზურაბას, ამ პრაქტიკოსი, სალი ვაგებისა და მსჯელობის მქონე, მიწის შვილის, სახის შემოტანა. ზურაბა ხშირად, თითქმის ყოველთვის, თუმცა ხანდახან მისთვის დამახასიათებელი უჯეშობით, მოხერხებულად ანელებს მოსაუბრეთა განწევებულ მდგომარეობას, თავის ჩარევით დროზე ამთავრებს დიალოგს და დიალოგს თუ საუბარს მოსაწყენი გაჭიანურებისაგან იხსნის ხოლმე.

იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“, რა თქმა უნდა, რეალისტური ნაწარმოებია მთელი თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით. ეს ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში იქმნება პარალელურად რომანტიზმის განვითარებისა მე-19 საუკუნის პირველ მესამედში.

ამრიგად ქართული ლიტერატურის განვითარებაში გვაქვს რუსულ-ევროპულ ლიტერატურათა ანალოგიური მოვლენა — ახალ ქართულ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე — მის პირველ ათეულ წლებში (1801—1845 წწ.) პარალელურად ვითარდება რომანტიზმიცა და რეალიზმიც. თუ ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმს ჰყავს ისეთი წარმომადგენლები, როგორც არიან: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვანი, რეალიზმსაც გამოუჩნდნენ ნიჭიერი მუშაკნი — იოანე ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი. ორივე ამ მიმართულების არსებობას აქვს თავისი გამამართლებელი საფუძვლები იმ დროის საქართველოს დარღვეულ სინამდვილეში.

„კალმასობაში“ იოანე ბაგრატიონი თუ, ერთი მხრით, იძლევა იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ სურათს, ამჟღავნებს რა იმ უარყოფით მოვლენებს, რამაც საქართველო დაქვეითების გზაზე დააყენა, მეორე მხრით, ცდილობს მკითხველს უჩვენოს გზა აღორძინებისა, გაჯანსაღებისა. ასეთ გზად იოანე ბაგრატიონს მიაჩნია გზა განათლებისა, დადებითი ცოდნის ათვისებისა. ამიტომ „კალმასობაში“ ის ათავსებს, როგორც იტყოდა იონა ხელაშვილი — „ყოველსავე აულიერსა და ხორციელსა სწავლასა“.

4

იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“, მართალია, არა ამომწურავად, მაგრამ მაინც თითქმის მეცნიერების ყოველი დარგიდან იძლევა ცნობებს. ეს დარგებია: ფილოსოფია (ბუნება კაცისა, ეთიკა), თეოლოგია (მართლმადიდებლობა, მკამადიანობა), მითოლოგია (ანტიური ქვეყნისა), იურისპრუდენცია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა (ქართული ენისა), ისტორია (საქართველოსი, მათელი), დრო და მისი აღრიცხვა, არქიტექტურა, გეოგრაფია, ანთროპოლოგია, მეტალურგია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, კოსმოგრაფია, კლიმატოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, მედიცინა, სამხედრო საქმე და სხვა. ამასთან ერთად იქვეა აღძრული და გადაჭრილი პასუხიცაა მოცემული მრავალ საყოფაცხოვრებო საკითხის შესახებ. მაგალითად: როგორი უნდა იყოს მოსამართლე. როგორი თვისებებით უნდა იყოს აღჭურვილი საჩივრის, როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი, რა უნდა ახასიათებდეს მასწავლებელს, სწავლის საჭიროება როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვის; მიუღებელი ზნე-ჩვეულებანი: სიმთვრალე სასამელითა და ანგარებით, მქქრთამეობა, ქურდობა, მოტყუება, ბატონისა და ყმის ურთიერთობა, ტყვეებით ვაჭრობა და მრავალი სხვა.

აღნიშნულ მეცნიერებათა დისციპლინებიდან ცნობები და წამოყენებული საკითხების გადმოცემა და გადაჭრა, მართალია, არ იყო იმ დროისათვისაც კი ამომწურავი და ახლა ბევრი მათგანი საკმარისად მოძველებულია, მაგრამ თავის დროისათვის „კალმასობა“ მოწინავე მეცნიერების მონაპოვარი და პროგრესულად მოაზროვნის შეხედულებანი იყო. მათი ათვისება ახალი ცხოვრების პირობებში, იოანე ბაგრატიონის თვალსაზრისით, ქართველ ხალხისათვის არამცთუ სასარგებლო, არამედ აუცილებელი იყო, რომ მას (ქართველ ხალხს) გზა ახალი ცხოვრებისა აღვილად და მტკიცედ გაეკვლია:

სამართლიანია გამოცემული „კალმასობის“ რედაქტორების კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის წინასიტყვაობაში გამოთქმული შემდეგი

აზრი: „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, გადაწყდა „ბედი ქართლისა“. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატარებელი ქვეყანა თვითმპყრობელურ ბიუროკრატიულ რუსეთის კოლონიად იქცა. ქვეყნის მესვეურნი გრძნობენ, რომ თვითმპყრობელურ რუსეთის ბატონობის პირობებში შესაძლებელია მათი გათქვეფა და გადნობა იმ უსაზღვრო ოკეანეში, რომელსაც „რუსეთის დიდი იმპერია“ ეწოდებოდა, რომ მოსალოდნელია მათი დაჩრდილვა ცხოვრების ახალ მდგომარეობაში. ამის ასაცილებლად საჭირო შეიქმნა ეროვნული ფიზიონომიისა და რაობის გარკვევა: აქედან წარმოიშვა საქართველოს წარსულის გათვალისწინების აუცილებლობის შეგნება. მეორე მხრით, წარმოიშვა შეგნება იმისა, რომ შექმნილ პოლიტიკურ პირობებში, შესაძლებელია ახლო მისვლა ევროპის ცხოვრებასა და კულტურასთან (რასაც ასე ეტროდნენ ჩვენში განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან), რისთვისაც საჭიროა ცოდნა ევროპული მეცნიერებისა და მისი განათლების შეთვისება. „კალმასობა“ მთელი თავისი შინაარსით პასუხია აღნიშნულ მოთხოვნილებებზე: ის გვითვალისწინებს საქართველოს წარსულის ყოველ მხარეს, ამავე დროს ეროვნულ შკოლასა და საგანმანათლებლო ცენტრებს მოკლებულ მკითხველს ის აძლევს საჭირო ცნობებს ევროპული მეცნიერების ყველა დარგიდან“*.

იოანე ბაგრატიონის „კალმასობას“, მართლაც, ენციკლოპედიის ხასიათი აქვს. ავტორს გარკვეულად უგრძნვია, რომ იმ დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდატეხის ხანაში, როგორც თვითონვე აღნიშნავს, გავეროპიელების გზაზე შემდგარი ქართველი ხალხი უნდა შეიარაღდეს დადებითი მეცნიერული ცოდნით.

ჩვენ არ შეუდგებით იმის შეფასებას, თუ იოანე ბაგრატიონის მიერ „კალმასობაში“ მოცემული ცნობები და საკითხთა გადაჭრა რამდენად ზუსტია, ან რამდენად შეეფერება თანამედროვე მეცნიერების დონეს. ერთის თქმა კი, უფიქრობთ, სამართლიანი იქნება, რომ ის თავის დროისათვის მრავალ შემთხვევაში მოწინავე პოზიციებიდან ხედავს და სჯის მოვლენებს და მრავალ შემთხვევაში აბათილებს იონა ხელაშვილის მისტიკურ-რაციონალურ მსოფლმხედველობას. სამართლიანად შენიშნავს დრ. ვ. ფრანგიშვილი: „ფეოდალიზმის კრიზისის, რღვევას საქართველოშიც თან ახლდა მოწინავე ქართული კულტურის განვითარება. მოწინავე კულტურა, მოწინავე ფილოსოფიური აზრი საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში ყალიბდებოდა. ამის

* იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1936 წ., გვ. III—IV.

ერთ-ერთი პირველი მაჩვენებელია იოანე ბაგრატიონის ფილოსოფიურ და მეცნიერულ შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოწინავე განმანათლებელთა იმ საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის ზეგავლენით ყალიბდება, რომელიც უპირისპირდებოდა და ებრძოდა რეაქციულ იდეოლოგიას... იოანე ბაგრატიონის ამ მოწინავე შეხედულებათა ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს მის ნაწარმოებებში წარმოდგენილი ემპირიულ, სენსუალისტურ-მატერიალისტური ფსიქოლოგია. ეს ფსიქოლოგიური მიმდინარეობა მიმართული იყო მეტაფიზიკურ-რაციონალისტური ფსიქოლოგიის (ანტონის სკოლის, იონა ხელაშვილის და სხვ.) წინააღმდეგ*.

აგრეთვე არ შეუდგებთ „კალმასობაში“ მოცემულ ყველა მოვლენის განხილვას. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ეს არც შეადგენს ჩვენი შრომის ამოცანას. ეს უფრო სპეციალური მონოგრაფიის ამოცანაა. ჩვენ აქ „კალმასობას“ შევეხებით, როგორც იოანე ბაგრატიონის მოწინავე იდეების გამომხატველ მხატვრულ ნაწარმოებს. შევაჩერებთ ყურადღებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ მოვლენაზე, განსაკუთრებით ქართველი ზალხის ყოფა-ცხოვრებაზე, რაც იოანე ბაგრატიონის მიერ შემჩნეული იყო და რასაც, იოანეს გაგებით, გაუმჯობესება ესაჭიროებოდა ქვეყნის განმტკიცებისა და წინ წაწევის მიზნით.

5

იოანე ბაგრატიონი, უდავოდ, ქვეყნის ჭირით დაკოდილი, მისი უკუღმართი ბედით შევიწროებული და მისი ცხოვრების გაუმჯობესებაზე მზრუნავი ფხიზელი თვალითა და გონებით იხილავს საქართველოს მდგომარეობას და სინამდვილის კარგი გაგებითა და ცოდნით იძლევა მავნე მოვლენების ცოცხალ სურათს და შეფასებას და მით მკითხველში ცდილობს აღძრას მათდამი საღი დამოკიდებულება და მათი მოწესრიგების სურვილი.

რა იყო მთავარი მიზეზი, რაც საქართველოს გამუდმებულ სისხლის ღვრისა და აწიოკების ობიექტად ხდიდა, რამაც საქართველოს, როგორც რწმუნდებოდა იოანე ბაგრატიონი, ბოლო მოუღო? ეს, პირველ რიგში, იყო ფეოდალური კლასის შუღლი, მტრობა, აწეწილობა, რაც ქვეყანას ასუსტებდა, ანაწილებდა, ეკონომიურად ალატაკებდა, ფიზიკურად ანადგურებდა.

ბერი იონა ხელაშვილი კალმასობაზე სიარულისას ინახულებს

* ვ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, „ფსიქოლოგიური ცოდნა იოანე ბაგრატიონის ნაწარმოებში“, „ფსიქოლოგია“, ტ. IX, 1954 წ., გვ. 354—355.

იოანე ბატონიშვილს (იოანე ბაგრატიონს — თვით ავტორს), რომელიც დაავალეს ხელაშვილს ნინოწმინდას შეყრილ ხალხს უქადაგოს, რათა მისმა სიტყვამ „ერთა შორის ასწიოს ერთგულება და განამხნოს“, რადგან მტერი პირისპირ გვიდგას და ყოველდღე მოველით ომსა“ (გვ. 154—155, ტ. I*). იონა ხელაშვილიც ხალხის წინაშე წარმოსთქვანს პატრიოტულ სიტყვას. დასვედიანებული ხმით ის მოუწოდებს ხალხს გულიაყურით გაითვალისწინოს აწმყო მდგომარეობა, ვინაიდან ქვეყანა გადაიქცა „ადგილთა იმა წმინდათ მხეცთა განსასვენებლად, სირინოსთა და ეშმაკთა საროკველად... შვილთა თქვენთა განსაბეთქებლად, ცოლთა წარსატაცებლად და სახლებთა თქვენთა წარსატყვევნებლად“ (გვ. 157, ტ. I).

იონა ხელაშვილი მკვერამეტყველური შთაგონებით გაახსენებს მსვენელთ ყოველი მხრიდან საქართველოზე მოსეულ მტერთა გაბედულსა და ვერაგ თარეშს, რაც, მისი დამაჯერებელი განმარტებით, გამოიწვია შინაურმა — ძმათა შორის „უთანხმოებამან“, და იონა პათეტიკური კილოთი დარიგების მიზნით შემდეგნაირად მიმართავს: „ქართველნო, კახნო და იმერნო, დაივიწყეთ თქვენ კეთილმოქმედებაი წინაპართა თქვენთა, სული ძველისა პატიოსნებისა, ძმათა ერთობისა, მორჩილება მეფისა და ამასთანავე სული მამაცობისაცა განდრეკილ იქმნა თქვენგან. ნაცვლად მისა დამკვიდრებულ იქნა უპატიოვებაი, განცხრომა და ფუფუნებაი და იმათ ჰქმნეს შესაძლებელი წინასწარ მისაღებლად მეზობლისად, რომელიცა თვინიერ ამისა შეუძლებელ იყო. საქმემან აჰან კადნიერ ჰყო მტერი, შემოხდა იგი მამულად ჩვენდა და დათესა მტერობაი ძმათა შორის, სძლივა, დაიმონავა, და მიგვილო ქონება და განიყვეს ალაფი; თავისუფალნი ძმანნი ჩვენნი სკვრეტთ ყოველსა ამასა, მიუშვებთ თავისზედა დადებად ტვირთისა და ქედსა ზედა სახვითა, ვითარცა მონანი და ტყვენი“ (გვ. 156—157, ტ. I).

ეს განწყობილება და ეს სიტყვები იონა ხელაშვილისა, ვფიქრობთ, თვით ავტორის იოანე ბაგრატიონისაა, რომელიც უკმაყოფილო და მძიმედ დასვედიანებული იყო საქართველოს მდგომარეობით, ქართველთა ურთიერთ აშლილობით, რაც ასე აკნინებდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის ფიზიკურსა, ეკონომიურსა და შემოქმედებით ძალას.

იონა ხელაშვილის ხალხისადმი მიმართული სიტყვები: „მე ვსკვრეტ აწმყოსა დროსა შინა სახეთა ზედან თქვენსა სხვათა და სხვათა გამოწერილობათა, რომელთამესა მოტყუებასა, რომელთამესა დაუნდობლობა, რომელთამესა ანგარებასა და სხვანი. ესე ყოველნი

* გვერდები ყველგან ნაჩვენებია იოანე ბაგრატიონის „კალმასობიდან“

არიან მტერ საშიშ თქვენდა, ესე ყოველნი მოგაუძღურებენ თქვენ, ესე ყოველნი გახრწნიან სიმტკიცესა თქვენსა და უკანასკნელ შეიქმნათ თქვენ ტკივნეულებასა, ოხვრასა და ვალალებასა“ (გვ. 158, ტ. 1).

იონა ხელაშვილის მიერ ამ სიტყვებში გამოთქმული ტკივალი, ერთიანობის დარღვევით გამოწვეული, გაერთიანების იდეის ქადაგება დამახასიათებელია და წამყვანი „კალმასობის“ ავტორისათვის.

გაეყვით ნაწარმოებს: მარტილიდან ლეჩხუმისაკენ მოგზაურობისას მივიდნენ სასახლეს და ციხეს შურს. ბერ ხელაშვილს მოეწონა ეს ადგილი. მან მოიგონა, რომ „ძველად მას „სევანეთი“ ეწოდებოდა“, რადგან ხალხი „ერთობის უამს“ (საქართველო როცა ერთიანი იყო) გაიზინებოდა, „ოდეს ძლიერი ვინმე ყენი მოვიდოდა ჩვენზედა სამტროდ“. ხელაშვილმა აღნიშნა, თუ რა სიძველენი და საუნჯენი ქვეყნისა ინახებოდა სევანეთში და შემდეგ მკითხველს ჩააგონებს თავის გულითად აზრს: „ერთ სამეფოდ რომ ყოფილიყო საქართველო (ე. ი. აღმოსავლეთი ნაწილი და იმერეთი), ვერაც მტერა მოგვერეოდა და ამგვარი ნივთები არ დაიკარგებოდა. ნახეთ უთანხმოებაა რა შეუძლია“. ეს განწყობილება თუ მტკივნეული შეგნება აწვალებდა, უღრღნიდა ტვინსა და გულს არა მარტო იონა ბერს და, რა თქმა უნდა, თვით ავტორს, იოანე ბაგრატიონს, არამედ სხვათა მრავალთაც. ეს განწყობილება წამყვანი მოტივია მე-19 საუკუნის ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისა, რაც მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში წითელ ზოლსავით გასდევს. აქა იოანე ბაგრატიონის შეხვედრა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის ფრონტის გამჩაღებელ მწერლებთან, ე. წ. თერგდალეულებთან. იოანე ბაგრატიონი ნაწილობრივ ერთგვარ წინამორბედად გვეხატება თერგდალეულ მწერლებისა.

ამასთან დაკავშირებით „კალმასობის“ ავტორი ქვეყნის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად თვლის გაბატონებული კლასის — თავადაზნაურობის სიზანტეს, სიზარმაცეს, დაუდევრობას, ჩამორჩენილობას, ცრუ ქედმაღლობას. ამ ნაკლს იოანე ბაგრატიონი ცოცხალი დამახასიათებელი მაგალითებით უჩვენებს მკითხველს.

იონა ბერი სამეგრელოში ყოფნისას მივიდა სალხინოს. მას მიუჩინეს გასათენებელი ბინა. დაიწყო წვიმა. მეორე დღეს დადიანმა თავისთან მიიბატიჟა. სადილობის დროს ბერი იონა მივიდა დადიანთან — „წვიმით გაგუნგლული და ტალახით გასვრილი. ბერმა, რა სასახლის კართან მივიდა, დაიწყო ანაფორის გაბერტყვა და ქოშების გაწმენდა. ბერი შინ რომ შევიდა, ნახა იატაკი ისევ ტალახიანი და წვიმაც „შთამოსდიოდა სახლსა შინა“. ბერი გაკვირდა, რომ სახლშიც ისე წვიმდა და ატალახებულიც იყო, როგორც გარეთ. დადიანმა,

მოიკითხა რა ბერი იონა, ჰკითხა — როგორ მოსწონს მას სალხინო ადგილი, რამაც მათ შორის შემდეგი დიალოგი გამოიწვია:

ა ო ნ ა: ასე მომწონს, რომ ჩემი რომ გახლდეს, სახელს გამოვუცვლიდი, ამ ადგილსა სალხინოს მაგიერ სატირალს დავარქმევდი.

და დ ი ა ნ ი: რისთვის?

ი ო ნ ა: იმისთვის, რომ დია გრძელ სკოდნია წვიმა და ამასთან ტალახიცა. ვიბა კარში, ისე სახლში სწვიმს და ტალახდება. ღონე რომ მინც გეხმარათ სახლებისათვის, რომ წვიმა არ ჩამოდიოდეს.

და დ ი ა ნ ი: ყოველთვის არა ვსდგებით აქა და ცოტა ხნისათვის რაღა უნდა ვიხმაროთ ღონე.

ი ო ნ ა: იქნება შეგემთხვავთ საქმე და გრძელად მოგიხდეთ დგომა, მაშინ შეწუხდებით; მასთან ტანსაცმელი და ქვეშავებლებიც წაგიხდებათ. და რადგან შეძლება გაქვთ, უნდა ცოტა ხნისათვის და გრძელი ხნისათვისაც დასაყოფელი სახლები კარგად დახურული და გაწყობილი გქონდეთ, რომ გარეთ დასველებულნი რომ შებრძანდებით შინა, მშრალად ბრძანდებოდეთ, რომ ნოტიოსაგან და სისველისაგან სნეულებებიცა გაჩნდებიან (გვ. 46—47, ტ. II).

აი ეს დაუდევრობა, სიზანტეა რომ ანადგურებდა პრივილეგიური კლასის არა მარტო მეურნეობას, აკნინებდა მის ცხოვრებას, არამედ მის გონებასა და ზნეობასაც აჩლუნგებდა და აავადმყოფებდა. და ეს, რა თქმა უნდა, მთელი ხალხის ცხოვრებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

ამ შეხედულების გაღრმავებას იოანე ბაგრატიონი იძლევა მთელი ნაწარმოების მანძილზე. ამის ნათელსაყოფად კიდევ ერთს დამახასიათებელ ნიმუშს მოვიტანთ.

მეორე დღეს იონა ბერთან მივიდნენ ჩიხაური და მასთან პეტრე ხუცესი და სთხოვეს წასულიყვნენ აქედამ „მარსილისა სოფლებსა შინა“. იონა ბერის გაცხადებული შეკითხვა „ამ წვიმაში“ რისთვის უნდა წასულიყვნენ, გამოიწვევს მათ შორის სავსებისმო დიალოგს:

პ ე ტ რ ე: გამოსაკვებად, რომ იქი გვაქვს პური და ღვინო.

ი ო ნ ა: რადგან სასახლე აქ არის, რატომ აქ არ მოიტანთ და აქ არა გაქვთ თადარიგი?

პ ე ტ რ ე: ბარე ჩვენში ასე ვიცით, სადაც პურსა და ღვინოს შევაგულებთ, იქანა უნდა წავიდეთ.

ი ო ნ ა: უი, ჩემ თავს, სიზმარში გიხილავთ საჭმელი.

პ ე ტ რ ე: ბერო, რავარი კაცი ხარ, ღორებს შეგვამგზავსე!

იონა: უი, ჩემ თავს, მაგას როგორ ვიკადრებ, მაგრამ ჰგავს კი ეს საქმე (გვ. 47—48, ტ. II).

მართლაც, ცოცხალი, ტიპიური სურათია ჩვენი პრივილეგიური კლასის ყოფა-ცხოვრებიდან აღებული, რაც ასე ახასიათებდა მას თითქმის მთელი არსებობის მანძილზე და რაც შემდგომში მე-19 საუკუნის ჩვენმა ლიტერატურამ ნიჭიერად ასახა (ილ. ჰავჭავაძე, გ. წეჩეთელი, ან. ფურცელაძე, დავ. კლდიაშვილი და სხვ.).

„კალმასობის“ ავტორი დანტერესებულია გაიგოს, რაა თავდაზნაურობის დაუდევრობის, პარაზიტობის, მისი ცხოვრების დაშლისა და მოუწესრიგებლობის მიზეზი. და ის მშვენივრად, ნიშანდობლივ მიაგნებს კიდევ. ამისი მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ ურთიერთობაშია, რომელიც გარკვეულად და მტკიცედაა ჩამოყალიბებული ბატონყმობის ინსტიტუტში. ერთი, მცირე ნაწილს დიდ უმრავლესობაზე გაბატონების დაკანონებულ და განმტკიცებულ სისტემაში. არა ერთგან „კალმასობაში“ იოანე ბაგრატიონი ნიჭიერად, რეალურ ფერებში ზემოაღნიშნულ თვისებათა ჩვენებასთან ერთად, როგორც მისი ბუნებრივი შედეგი თუ წინაპირობა, გვიჩატავს ბატონსა და ყმას შორის მიუღებელ, ბარბაროსულ დამოკიდებულებას.

იონა ბერი და პეტრე ხუცესი საუბრით მივიდნენ დანიშნულ სოფელში, ჩამოხტენენ ერთ გლეხთან, რომელმაც დაუპატიჟებელ სტუმრებს უმასპინძლა, რა თქმა უნდა, შეძლებაზე მეტად. იონა ბერმა მეორე დღეს დაინახა, რომ მოჰყავდათ ბოჭაულებს ძროხა, ორი თხა და რამდენიმე ღორი. ესენი მოჰგვარეს მესტუმრეს; უკან მათ მოსდევდნენ დამწუხრებული მოხუცი კაცი. მესტუმრემ უბრძანა მზარეულთ: „ცქვიტად დაკალით და მოხარშეთ, სადილს აღრე მიირთმევს ბატონიო“. მზარეულებმაც დაუყოვნებლივ შეასრულეს ეს ბრძანება. იონა ბერი განცვიფრებული უყურებდა დაღვრემილ-დადარდიანებულ აქ მყოფ გლეხთ. იონამ ჰკითხა ხუცესს: „ეს კაცი რათ სწუხან?“ — რასაც მოჰყვება შემდეგი საუბარი:

ხუცესი: ეგ ძროხები და თხები მაგათი იყო და მისთვის, რომ დაუკლესო.

იონა: ფასს ხომ მისცემენ?

ხუცესი: კი ბატონო!

ბერმა ხელაშვილმა დაინახა, რომ, როცა ძროხები, თხები და ღორები დაკლეს, დაუძახეს საქონლის პატრონთ და დაკლულთა ტყავები მისცეს მათ. გლეხკაცი დადარდიანებულნი წავიდნენ თავიანთ სახლში. მაშინ ბერი იონა ეკითხება:

იონა: მაპა პეტრე, ეს იყო ფასი მათი?

ხუცესი: დია, ბატონო, მეტი რა უნდათ?

იონა: უი. ჩემ თავს, ტყავიც და ხორციც რომ იმ კაცთა იყო, ეს რა სამართალია?!

ხუცესი: ჩვენი ფასი ეს არის... (გვ. 49, ტ. II).

აი ესაა ის სენი, რომელიც ანადგურებდა არა მარტო ყმა გლეხს, არამედ ბატონსაც, რომელიც პარაზიტად დასჯდომოდა კისერზე ყმას, დაუნდობლად უწევდა ექსპლოატაციას მას და მის ქონებას, არ კითხულობდა საიდან და როგორ შესძლებს გლეხი-ყმა მის მოთხოვნილებათა შესრულებასა და ატანას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

იონანე ბაგრატიონი თვალდია უყურებს ამ მავნე მოვლენას და ამაღლევებელ რეალურ სურათს უფრო ფართოდ ხატავს.

იონა ბერი აქ, ამ სოფელში, ისტუმრებს ორი კვირის განმავლობაში. მის წინაშე შემდეგი სურათი გადაიშალა: „ყოველ დღე გლეხნი თვისთა მოსადგურთა უმასპინძლდებოდნენ — თხითა, ღორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით. და ცხენთა თვისთა აუხდიდნენ ღომის ჩალით დაფარულ სახლებს და აჰმევდნენ ცხენთ. სწვამდნენ ჭიგოთა, საართა და აქცევდნენ ვენახთა და ბაღებთა ღობეებსა და ბევრჯერ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდნენ დასაწვავად. რა ესენი იხილა ბერმა, სთქვა: „ხუცესო, ამ სოფელს რა შეცოდება აქვს, რომ ამ ყოფაში გყავთო?“ რაზედაც უპასუხებს ზუცესი: „არაფერი, ისტუმრებს უნდა ასე დახვედნო“... (გვ. 49, ტ. II).

იონანე ბაგრატიონი დიხხაც სინამდვილეს აშკარადა და გაბედულად ფარდასა ხდის.

ყმების შევიწროება „კალმასობაში“ ნაჩვენებია არა მარტო სამეგრელოში, არამედ საქართველოს სხვა მხარეებშიც — ქართლში — ერისთავებთან, ამილახვარებთან და სხვებთან, კახეთში — ვაჩნაძეებთან და სხვებთან.

იონა ბერი (რა თქმა უნდა, თვით ავტორი იონანე ბაგრატიონი) განსაკუთრებით აღშფოთებულია ყმების გაყიდვის შემთხვევებით ბატონების მიერ. მიუხედავად ერეკლე II და იმერეთის მეფის სოლომონის სასტიკი აკრძალვისა, ყმათა გაყიდვას მაინც ადგილი ჰქონდა. ეს სამარცხვინო და მავნე მოვლენაც, ყმებისადმი დიდი თანაგრძნობა და გამყიდველ მებატონეებისადმი მკაცრი გაკიცხვა და უარყოფა „კალმასობაში“ სააშკარაოზეა გამოტანილი. მოვიტანოთ ნიმუში.

ბერი იონა ზურაბას თანხლებით „მწუხრის ჟამს“ მივიდა ჭალას აბაშიძეებთან, აბაშიძიანთ კოშკიდან მოესმათ „ხმა რაიმე მწუხარებისა“. ამ ხმით გაკვირვებულმა იონა ბერმა მიმოიხედა და იქვე კოშკ-

თან მდგომ კაცს შეეკითხა: „ძმაო! რაი არს ხმა ესე მწუხარებისა?“
კაცმა მიუგო: „ძმაო, ტყვეები არიან—ოსთაგანი“. იონა შეძრწუნდა
და გაიმართება ტყვეების გაყიდვის შესახებ კამათი იონა ბერსა, თავა-
დის ცოლის ანასა, ორჯონიკიძესა და ლ. აბაშიძის შორის. იონა ბერი
ამხედრებულია ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ, მისი დამაჯერებელი
მტკიცებით ტყვეების გაყიდვა საწინააღმდეგოა „პირველად ბუნე-
ბითის სჯულისა, რომ, რაც ჩვენთვის არ გვინდოდეს, იგი არც სხვას
ვუყოთ. მეორე — სამართო სჯული ამასვე ამტკიცებს: ესრეთ შეყუ-
რება მოყვარისა თვისისა, ვითარცა თავისა თვისისა; ხოლო მესამე—
სახელმწიფო და სამოქალაქო სჯულდებაც გვაყენებს ეს გვარისა
უწესოს საქმისაგან, რომელიც არა ჰშვენის კაცსა“ (გვ. 13, ტ. 1).
იონა ბერის შეხედულება, ექვს გარეშეა, იოანე ბაგრატიონისაა, რო-
მელიც იდგა რა ერის მთლიანობისა, სახელმწიფოს გაძლიერებისა და
განმანათლებელთა ჰუმანურ პრინციპებზე. მიუღებლად მიიჩნევდა
ესოდენ მავნებელს, ანგარიან ჩვეულებას ყმის გაყიდვისა, განსა-
კუთრებით სამშობლოს გარეშე, როგორც ამას ლ. აბაშიძე აკე-
თებდა.

ამ და ამგვარ სხვა ჩვეულებებს თავადაზნაურობაში ნაწილობრივ
მაინც იოანე ბაგრატიონი თვლის გაუნათლებლობის, უვიცობის შე-
დეგად, რაც დეგრადაციის პროცესში ყოფნა მათში გამაზვილებუ-
ლად ავლენს მგლურ ბუნებასა და ჩვევებს.

ამის დამადასტურებელი მეტად თვალსაჩინო და დამახასიათებე-
ლი ეპიზოდებია მოცემული „კალმასობაში“.

იონა ბერი გაემგზავრა ქიზიყისაკენ. კარდანახში დაულამდა. გა-
დაწყვიტა იქ დარჩენა. იონა შეხვდა ანჯიქო ბებურიშვილ-ვაჩნაძეს,
რომელმაც მას ბინა მისცა. ანჯიქომ თანაც იონა ბერი გააფრთხილა,
რომ ის ბერულად აღარ უნდა მოიქცეს, არამედ როგორც ქიზიყელი
მოყაზახეო. იონას ეუცხოვა „ცუდად მიქადაგებთო“. მაგრამ ანჯიქო
ჰპირდება იონას — „უნდა დაგგეშოთო“; ამისათვის მას მიუჩინს
მღვდელს, რომლის ნათლობის სახელია იოსები, მაგრამ მას უფრო
„ნაბიჭერის შვილს ეძახიან“, რადგანაც ცქვიტია და მოხერხებული.
ანჯიქო აცნობს ამ მღვდელს, რომელსაც მრავალი დაგეშილი მოწა-
ფე ჰყავს და რომელთაც ის ასწავლის „ყოველთვის ქურდობას, ყაზა-
ხობას და არც ლეკების ხოცვას უშლია“. ბებურიშვილ-ვაჩნაძეები
იმედს გამოსთქვამენ, რომ იონას ორ დღეზე „საქურდლადაც“ წაი-
ყვანენ, რამაც იონა ბერი შეაძრწუნა; წასვლა მოინდომა, მაგრამ ან-
ჯიქომ არ გაუშვა, სადილადაც დაიტოვა. კვლავ დაკლეს საკლავი.
იონას უკვირს ყოველ დღე „ოროლისა და სამსამის ცხვრის დაკვლა
მათგან“, გულმა ვერ გაუძლო და ჰკითხა: „უფალო ანჯიქო, ასე მსმე-

ნია, თქვენ არც ერთი ცხვარი გყვანდეთ და ეს მიკვირს, დღეში სამსა და ოთხს ცხვარს არ სჯერდებით და ეს ვით არის (გვ. 150). ამის პასუხს ბერს აძლევს მღვდელი იოსები, ანჯიქოსა და სხვათა მასწავლებელი. გაიპართება დიალოგი იონასა და მღვდელს შორის:

მღვდელი: ბერო, გიჟი ყოფილხარ, როგორ არ იცი, ვისაც ცხვრები ჰყავს, ჩვენია; დღეში ათიც რომ დავჰკლათ, მაშინაც არ გამოგველევა.

იონა: ჰგავს, საბალახეს ბევრს იღებთ?

მღვდელი: ჩვენი მამული სახნავადაც ძლივს გვეყოფა, სად უნდა ავიღოთ საბალახე.

იონა: მაშა, ჰგავს, თეთრით ყიდულობთ?

მღვდელი: ვის შეუძლია ჩვენში ყოველ დღევ სამი ცხვარი თეთრით იყიდოს?

იონა: მაშ როგორ არის ეგ საქმე?

მღვდელი: ...უნდა შეგეტყვოთ, რომ ვისაც ცხვარი ჰყავთ, ან ძროხა, ან ღორი, სულ ჩვენი არის.

იონა: უი, ჩემ თავს! ნაქურდალით გიცხოვრიათ? (გვ. 150—151, ტ. I).

ეს მოვლენა განზოგადებულადაა მოცემული. ასეთი ნაქურდალით ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ბებურიშვილი-ვაჩნაძეები, არამედ მებატონეთა უმრავლესობა. აი ეს უნდა თქვას და, უდავოდ, დამაჯერებლადაც ამბობს იოანე ბაგრატიონი, როგორც ამ მაგალითის ჩვენებით, ისე მთლიანად თავისი „კალმასობით“. იოანე ბაგრატიონს ეს გარემოება მიუღებლად, ქვეყნის დამღუპველად მიაჩნია.

ეს გარემოება იოანე ბაგრატიონს მით უფრო აწუხებს, რომ ამ „დაგეშილ“ თავადაზნაურებს სახელმწიფოში ეჭირათ დიდი თანამდებობანი. ჩვეულებრივ ისინი იყვნენ სახელმწიფოში მდივანბეგები, სახლთუხუცესები, მოურავები, სარდლები, მინბაშები და ხშირად თავიანთ საპასუხისმგებლო თანამდებობას იყენებდნენ პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მართებულია გ. ჯავახიშვილის აზრი: „პირთალია ავტორი („კალმასობისა“ — იოანე ბაგრატიონი — მ. ზ.) არაა წინააღმდეგი ბატონყმობისა, იგი ასე შორს არ მიდის, მაგრამ ესმის კი მისი მავნებლობა და დამღუპველობა ხალხისათვის და სახელმწიფოსათვის... ხოლო მოხელეთა დახასიათება ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩაადგებს ავტორს, რომ არა ერთხელ ათქმევინებს მას, რომ ანე საქმე არ წავა კარგად, ქვეყანა დაიღუპება“*.

ამ გარემოებით აიხსნება, რომ იოანე ბაგრატიონი, თუმცა არც

* პროფ. გ. ჯავახიშვილი, „კალმასობა“, 1933 წ., გვ. 35.

ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ ილაშქრებს და წოდებათა შორის განსხვავებასაც ტოვებს, მაგრამ დაბალი ფენებისადმი როგორც მებატონეებისაგან, ისე მოხელეებისაგან ჰუმანურ დამოკიდებულებას დაბეჭიბებით მოითხოვს. ამიტომაც, რომ ის „კალმასობაში“ გვაძლევს მითითებას, თუ დარიგებას, როგორი უნდა იყოს კარგი ბატონი, როგორი უნდა იყოს მოსამართლე (გვ. 202—213), მოქალაქე, სარდალი (გვ. 207, ტ. I), მეფე და სხვ., რაც უდავოდ, მაჩვენებელია იოანე ბაგრატიონის პროგრესული და თავისუფალი აზროვნებისა, განსაკუთრებით თავის დროისათვის. ყველგან მოსჩანს კვალი მე-18 საუკუნის განმანათლებლების — ვოლტერის, მონტესკიეს გავლენისა.

იონა ბერი შეხვდება გიორგი, გოდად წოდებულ, ამილახვარს, რომელიც მას სთხოვს განუმარტოს „მებატონენი როგორ უნდა ექცეოდნენ თავისთა ყმათა, ანუ ყმანი თავისთა მებატონეთა“. იონა ბერიც თავის შეხედულებებს (რა თქმა უნდა, ეს შეხედულებები თვით იოანე ბაგრატიონისაა) გარკვეული დებულებების სახით ჩამოაყალიბებს. მოვიტანთ ზოგიერთს ამოკრეფით, თუ როგორ უნდა ექცეოდეს ყმას უფალი. „არა შესაბამ არს, რათა ფიცხელად ექცეოდეს უფალი ქვეშევრდომთა თვისთა, არცა უჭეროდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავედეს, ვინაიდან იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისაცა, რათა არა ამის ძალით შთაიგდოს გულსა თვისსა შიში და სიძულვილი, რომლისა გამო არღა ექმნებინა შთანერგულ თვის შორის ჭეშმარიტისა სიყვარულისა და ერთგულებისა.

„ოდეს ნაკლულევან იქმნენ მოსაველითა ანუ ჰაერისა გამო, ანუ სხვებ, შეეწიე ნაკლულევანებასა მათსა, და მის ძალით გაიერთგულე გულსა მათსა.

„გარდა დებულებისა ნუ წაართმევ მსახურს.

„ნუ გულ-გიოქვამს ცოლსა ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა, რომლის ძალით უმეტეს გაიმუხანათებ.

„ყოველნი მოსამსახურენი შენნი გასინჯე და, ვის რა ძალედვას, მას საქმესა შინა განაწესენ, და სხვათა ნურღა აცილებ, და იგი ერთგულად მოუვლის რწმუნებულსა თვისსა. და ოდეს იხილო, რომელ კეთილად მართებს, მაშინ შენცა ნაცვლად მიანიჭე მას წყალობა და ესრეთ ყოველნი იქნებიან გულსმოდგინე“ (გვ. 51 — 52, ტ. I).

ვიმეორებთ, იოანე ბაგრატიონი არ იბრძვის ბატონყმობის ინსტიტუტს მოსპობისათვის, მაგრამ, რომ რეალურ ფერებში გვიხატავს

გლეხის უფლებააყრილ მდგომარეობას, რომ გლეხში ის ხედავს მუშაკს, რომელსაც სიყვარულით, პატივისცემითა და გაფრთხილებით უნდა მოვეპყრათ, რომ არსებული მდგომარეობა გლეხისა მიუღებელი და დამღუპველია ქვეყნისათვის, მისი გაჯანსაღებისათვის — ეს აშკარაა. ყმის საკითხი „კალმასობაში“ საგრძნობი სიმწუვავეთაა დასმული.

6

იოანე ბაგრატიონის ჩვენებით არც სამღვდლოებაა კარგი და საღი ურთიერთობის მომცემი. სათნოებისა და კაცთმოყვარეობის ნაცვლად მათ შორის დამკვიდრებულია საშინელი ანგარიანობა, მლიქვნელობა, სიმრუდე და შრავალი ავი ზნე. ეს თემატ, რაც შემდეგ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად გადაიქცა, იოანე ბაგრატიონმა მკვეთრად აღძრა.

მეფეც, იოანე ბაგრატიონის განმარტებით, მოსახლეობისადმი ჰუმანური მოპყრობით და გონიერი მმართველის უნარით უნდა ხასიათდებოდეს.

მეფის ძალის არსებობა სახელმწიფოში, როგორც უზენაესი ძალია, იოანე ბაგრატიონს რაციონალურად და ამიტომ აუცილებლად მიაჩნია. ამით აიხსნება, რომ ის თავის „კალმასობაში“ იონა ბერის პირით არა ერთხელ მოუწოდებს მეფეთადმი პატივისცემასა და მორჩილებას. მაგრამ ამასთან, იოანე ბაგრატიონის რწმენითა და თქმით, მეფეც უნდა ამართლებდეს თავის მოწოდებასა და ხალხის ნდობას. ის უნდა იყოს გონიერი, განათლებული, სამართლიანი, თავდადებული ქვეყნისათვის, ისე, როგორც ეს ფსმოდათ XVIII საუკუნეში ენციკლოპედისტებს — განათლებული აბსოლუტიზმის ხელისუფლება. მაგრამ მოუსმინოთ იონა ბერს (ე. ი. იოანე ბაგრატიონს), როგორ განმარტავს ის მეფის დანიშნულებას, მოვალეობასა და ღირსებას: „ღეფე უნდა იყოს, — უხსნის იონა ბერი ალექსანდრე ბატონიშვილს, შულავერში რომ შეხვდება, — თვისისა სარწმუნოებასა ზედა მტკიცე, მღვიძარე სულითა, მცნობი თავისა თვისისა, მომგონი ხშირად, რომელ მოკვდავ არს, მოსურნე კეთილისა... და სიმდიდრისადმი და ვერცხლის-მოყვარებისადმი არა შემსკვალულ, არამედ კეთილის მოქმედებისადმი; მდაბალი, უბიწო სულით, ფრთხილ სიტყვათა და საქმეთა შინა მოწყალე, არა მეშურნე, არა ძვირის მომხსენე, მტკიცე, კეთილ-მსახურებისა დამცველ, მოძულე მლიქვნელთა კაცთა, ერთსულ და მტკიცე, არა მიმხვეჭელ ერთაგან, არამედ მიმნიჭებელ, გან-

მჩრევე კეთილთა და ბოროტთა კაცთა: დამჯილდოვებელ ღირსთა და უღირსთა დამსჯელ, არა ამპარტავან, არცა ზეავ, არცა მცონარე. გვირგვინი კეთილ-მსახურებისა, მზრუნველ ქვეშევრდომთა თავისთა მდიდართა და დავრდომილთათვის თანასწორ, მეცნიერ და ფილოსოფოს, განმმართველ ვნებათა, მოწყალეა უფრორე აქენდეს, ვიდრე შიშენეულობა; დიდებულება და ხელმწიფება აქენდეს მიხედვისამებრ მტერზედ მონათა ზედა; თანასწორ მეურნე ყოველთა ზედა თვისთა ქვეშევრდომთა, სიყვარული უფრორე სასარგებლოთა თანაგამზრახთა, მოჩივართა დროზედ და აღრიან პასუხების მიმცემ და არა დაგვიანებით შემაწუხებელ... ყოვლისა საქმისა ქმნასა შინა აქენდეს განმარტება... ხარისხსა შინა აღყვანება სიფრთხილით ვისამე ქცევა ზომიერად წყალობასა შინა და ტანჯვასა, ყოლა ჭეშმარიტთა მეგობართა, უცვალებლობა კეთილთა საქმეთა... კეთილ-მოქმედებისა მესურნე, მიმდობელ ჭეშმარიტთა და სარწმუნოთა კაცთა საქმეთა შინა, მექონ ჭეშმარიტებისა და მოწყალებისა; მართალმსაჯულებასა შინა თანასწორ, ვითარცა მეგობართათვის, ეგრეთვე მწირთათვის; აღმჩრეველ და დამადგინებელ... მეცნიერთა მსაჯულთა და ეს სახედ სწვათა ყოველთა მოხელეთა. შიშსა შიში, პატივსა პატივი და სიყვარულსა სიყვარული აქენდეს... მიმღებ უფრორე მთხოველთა, ვიდრე ძღვნის მიმრთმევთა... ყოველთვის გულს-მოდგინე, თუ რაა შესძინოს მამულსა თვისსა სამართლიანი სარგებლობაჲ. ყოველთვის მშვიდობის მოყვარე მეზობელთადმი თვისთა, რათა არა მტერ თვისა და მამულისა ყოს იგინი. ჭეროვანთა დროთა შინა საზოგადოდ მიმწოდებელ ტაბლათა ზედა მოხელეთა და ვაჭართა... არცა ხშირად განმართველ ნადირობასა შინა, საიდუმლოდ მოარულ და მჩხრეკელ ერთა და ხელოსანთა, თუ ვითარ ზომიერად იქცევიან იგინი, და ესრეთ ხადდეს თვისთა ქვეშევრდომთა, ვითარცა საკუთართა შვილია“ (გვ. 210 — 211, ტ. 1).

ღიახაც, მეფის სახე მოცემულია ისე, როგორც განათლებული აბოლუტიზმი ქადაგებდა, როგორც ქვეყნის ინტერესითა და სიყვარულით შემსჭვალული, როგორც ქვეყნის ნამდვილი მოქალაქე. ავტორს არ ავიწყდება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ვართულებული ბატონიშვილთა შორის შუღლით, მეფის ხელისუფლების ჩაგდებით გამოწვეული, რაშიც მავნე აქტიურ როლს თამაშობდა დედოფალი დარეჯანი. ამიტომ იოანე ბაგრატიონი სამოძღვროდ შთააგონებს ალექსანდრე ბატონიშვილს და სხვათა იონა ბერის პირით: მეფე „აგრეთვე ნუ მისცემს დედოფალთა, მეფის ძეთა დიდთა საქმეთა შინა გარევის ნებასა და ბრძანებლობასა, რამსადმიცა იგინიცა არ არიან დანიშნულ მსგავსად მოხელეთა“ (გვ. 212, ტ. 1).

ასეთ მოთხოვნილებებს უყენებს მეფეს იოანე ბაგრატიონი. ამით აიხსნება, რომ „კალმასობაში“ ის სასტიკად ჰკიცხავს მეფის ძეთ მეფის ძალაუფლებისათვის უაზრო, მანვე ბრძოლას, ხოლო მეფის წყობილებასა და მორჩილებას კი გარკვეულად მოითხოვს (გვ. 82. 156, 162, ტ. I).

7

იოანე ბაგრატიონი ქვეყნის გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად, განსაკუთრებით ახალი ცხოვრების პირობებში, სთვლის სწავლის—ცოდნის ფართოდ ათვისებას ქართველთა მიერ. ამიტომ იყო, რომ თავის ისტორიულ პროექტში, მამას, გიორგი XII-ს რომ წარუდგინა, სკრლის რეფორმას საპატიო ადგილი დაუთმო: ასეთსავე აზრსა და მოთხოვნილებას იოანე ბაგრატიონი დაუნიებთ ატარებს თავის „კალმასობაშიაც“ თავისი მთავარი გმირის იონა ბერის საუბრებში.

ქ. გორში იონა ბერი ინახულებს დიამბეგ ამილახვარს. ამილახვრის კითხვაზე, როგორ მოეწონა გორი იონას, ის დაუფარავად განუცხადებს მას, რომ გორს მდებარეობა უცხო აქვს და შემკობილია ადგილითა, შენობებიც ქვეთკირისა ბევრია, „მაგრამ ზურთო-მოძღვრულად ვერ არის ნაშენი და განკარგული და არც სასწავლებლის და ხელოვნების მასწავლელნი ყოფილან აქ“ (გვ. 41, ტ. I). დიამბეგი ამილახვარი, თავის დაცვის მიზნით, უვიცად უბასუხებს — „ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და ხელოვნება, რომ აქ იყოს?“ (იქვე). იონა ბერიც მოურიდებლივ მოუქრის მას სიტყვას — „რომ არ ყოფილა, კიდევ ეტყობაო“. ამილახვარი მიხვდება იონას კილოს და გამოჯავრებული წამოაყრანტალებს: „ასე თქმულა—ცოდნამ დააქცია ქვეყანაო“, რითაც ის გამოამყლავნებს თავის უსუსურობასა, განუფითარებლობას, პრიმიტიულობას, ჩამორჩენილობას და თანამდებობისათვის შეუფერებლობას.

იონა ბერიც არ ეშვება და ამის საპასუხოდ გონებამახვილიანად და, თითქოს, დარიგების ტონით ეტყვის: „მაგას ნუ ბრძანებთ, ნარი აღიდევით ცოდნიდამ და ვინი დაართვით... მაშინ ცოდნა ცოდვად გამოვა და ამან დაგვაქცივაო. და თუ გვეცოდინება რამე, ცოდვასაც მოვიშორებთო“.

საუბრის დასასრულს იონა ბერი დიდი დამაჯერებლობით ასე შთააგონებს ამილახვარს (რა თქმა უნდა, მკითხველთ) სწავლის რაო-

ბასა და მნიშვნელობასა: „სწავლა არა ცხადი მცნობელობა ქეშმა-
რიტებისა, განმანათლებელი გულისხმისყოფისა, უბიწო მხიარულება
ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუკისა და შესაყარდნობელი მოხუცებულ-
ისა, ნუგეშინის მცემელი უბედობასა, ხოლო ბედნიერებას შინა გან-
მაშვენებელი“ (გვ. 41, ტ. I).

განათლების სწავლის გზის აუცილებლობა და უპირატესობა,
როგორც ჩამორჩენისა და სხვა ერებში ადვილად გათქვეფისაგან თა-
ვის დაღწევის სარწმუნო საშუალება, როგორც თავისთავადი გან-
ვითარების გზის გამონახვისა და შენახვის საშუალება, ნიჭიერადა
და დროულადაა წამოყენებული იოანე ბაგრატიონის მიერ ქართულ
ლიტერატურაში. აქაც ის თითქოს თერგდალეულთა წინამორბედად
მოსჩანს სოლომონ დოდაშვილთან ერთად.

ამასთანავე ის გარემოებაცაა აღსანიშნავი. რომ „კალმასობის“ ავ-
ტორი სწავლის სარგებლობასა, საჭიროებასა და აუცილებლობას
სთვლის არამარტო მამაკაცთათვის, არამედ აგრეთვე დედაკაცთათ-
ვისაც. მდივან ომან ხერხეულიძის შეკითხვაზე: „მაშ დედაკაცთაც
უნდა იცოდნენ ცოდნაი?“ — იონა ბერი კატეგორიული, დამარწმუ-
ნებელი ტონით უპასუხებს: „ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი
სწავლა, მეცნიერება, ისტორია, ღეოღრაფია, ზნეთ-სწავლება, არით-
მეტიკა, ხელთსაქმობა და იკონომია, რომ ვისიცი ოჯახში მივი-
დეს, სრულებაში მოიყვანოს იგი და მეტადრე სამეფოს სახლისაჲვის
გამზადებულნი უფრო უნდა იყვნენ სწავლითა სრულნი“ (გვ. 242.
ტ. I).

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ „კალმასობაში“ იოანე ბაგ-
რატიონი საკმარისი სიცხადით მოითხოვს ქალთა უფლებების გაფარ-
თობასაც საზოგადოებრივ ურთიერთობაში (გვ. 242). ამ მიმართუ-
ლებითაც ერთგვარი ცდაა დროული ახალი სიტყვის თქმისა.

იოანე ბაგრატიონი ქვეყნის აღორძინების საქმეში, სწავლას ანი-
ჭებს რა დიდ მნიშვნელობას, საჭიროდ თვლის სათანადო დიდი ყუ-
რადღება მიექცეს სწავლა-ცოდნის შექმნის საქმეს, განსაკუთრებით
ახალგაზრდობის აღზრდას.

„კალმასობაში“ გამოქვეყნებულია ავტორის დიდი და სწორი
დაკვირვების უნარი და სინამდვილის ზედმიწევნით ცოდნა. ცნობი-
ლია, რომ თავადაზნაურობა XVIII—XIX საუკუნეებში განიცდიდა
დეკადანსს. ამ კლასში თუ წოდებაში თანდათან ჩლუნგდებოდა შე-
მოქმედებითი ძალა, ჩლუნგდებოდა მოვლენათა სწორი გაგების შე-
საძლებლობა, ჰუსტრდებოდა შრომის უნარი. თავადაზნაურობა სწავ-
ლას ისედაც ნაკლებ მისდევდა, ვინაიდან კაცს ის აფასებდა უფრო

ფიზიკური ძალისა და ყმისა და მამულის მიხედვით. იონანე ბაგრატიონი მრავლად გვიხატავს ახალგაზრდობის (და მათი მშობლების) სწავლისა და აღზრდისადმი უყურადღებობის ცოცხალ მაგალითებს.

იონა ბერი ზურაბითურთ მივიდა სოფელ სალოლაშენში მინბაშ ამირეჯიბთან, რომელმაც ისინი მოათავსა საჯინიზოსთან არსებულ სტუმართ სადგურად ოთახში. იონა ბერმა დაიწყო ცხენების გასინჯვა და ნახა, რომ თითო ცხენს თითო კაცი ჰყავდა მიჩენილი, რომლებიც გულმოდგინედ სწმენდნენ ცხენებს, ქვეშ უგვიდნენ, უმშრალედნენ მიწას და ფრიალს სუფთად ინახავდნენ. ასეთი მოვლა ცხენებისა იონა ბერს ძალიან მოეწონა.

ამასთანავე მან დაინახა ორი ყმაწვილი ნეხვზე მჯდომარე, ტალახით შესვრილი, „ნაგავ-გარდაყრილი“, მაგრამ სახით კარგნი, მინებებული უპატრონოდ, „მოთამაშე ურთიერთისადმი“. ესენი იყვნენ მინბაშის ამირეჯიბის შვილები. გაკვირდა იონა ბერი და მწარე ფიქრმა მოიცვა: „ამ ქვეყანაში პირუტყვთ უფრო პატივი სდებიან პირმეტყველებზედაო!“

მინბაშის კმაყოფილების გრძნობით შეკითხვაზე: „როგორ მოგწონს ჩემი ცხენები?“ — იონა ბერი მოუხრიდებლად უპასუხებს: „ცხენებიც უცხოდ მომწონს და მოვლაცა, მაგრამ ყმაწვილებისა კი რა მოგახსენო?“ მინბაშ ამირეჯიბის შეკითხვაზე: „ვითარ?“ — გაიმართება შემდეგი საგულისხმო და სინამდვილის სწორი გამომხატველი დიალოგი:

იონა: თითო ცხენს ოროლი მომვლელი ჰყავს და ორს თქვენს შვილებს არც ერთი!

მინბაში: ჩვენც მაგ სახით ვყვანდით მშობელთა ჩვენთა.

იონა: ცუდი მაგალითი გიწავლიათ.

მინბაში: ცხენები ჩვენნი მაცოცხლებელნი და სახელის მომპოვებელნი არიანო.

იონა: ვითარ?

მინბაში: ჩვენ მრავალნი მტერნი გვებრძვიან და ომში თუ დავმარცხდებით, სიკვდილისაგან მოგვარჩენენ; და თუ გავიმარჯვებთ, ჩვენს მტერს მიგვწვევენ, მოვკლავთ და შევიპყრობთო.

იონა: შვილები რომ კარგად დაზარდოთ და ასწავლოთ, უფრო ბევრს კარგს სახელსა იქმთ; და მაშინ ჯოგსაც გაიჩენთ.

მინბაში: ჭეშმარიტს ბრძანებთ, მაგრამ ურჩინ არიან შვილნი ჩვენნი. აჰა, ეს უფროსი შვილები, არც არას ესენი მიჯერებენ (გვ. 32, ტ. I).

მინბაშ ამირეჯიბის, როგორც დეგრადაციის პროცესში მყოფი ფეოდალური კლასის ტიპური წარმომადგენლის მცდარი, ყალბი შეხედულება იონა ბერის მიერ საკმარისი დამაჯერებლობითაა გამოვლინებული და გაკილულიც. მიზანიც ავტორისა მიღწეულია. მაგრამ იონა ბეგრაციონი ამით არა კმაყოფილდება, აქ არ ჩერდება და სურათის დახატვას ავსებს, საკითხს აღრმავებს, ვინაიდან მას კარგად ესმის, რომ ბავშვთა აღზრდას დიდი სახალხო მნიშვნელობა აქვს.

მინბაშ ამირეჯიბის შვილებიც ჩაებნენ ამ საუბარში. მათაც თავი იმართლეს და შემდეგი სთქვეს: „რა ვუყოთ, არავინ არ გვასწავლის და არცა თქვენისთანა ვინმე მოსცა აქა, და რასაც მცნებას მოგვცემ, ვეცდებით დამარხვასა“. შვილთა ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ დამნაშავენი შშობლები არიან. შვილს თუ მართებულად უხელმძღვანელებ, ადვილად გამოგყვება. თითქოს მინბაშიც მიხვდა ამას და იონას თხოვნით მიმართა, მიეცა მას ზნეობითი დარიგება მისი შვილებისათვის. იონა ბერმაც აიღო ქალაღი და მასზე შემოკლებით დაუწერა „ზნეობის სწავლა“.

იონა ბერის მიერ დაწერილი ზნეობითი კოდექსი საკმარისად ვრცელია (გვ. 32—35, ტ. I). ეს დარიგება (რა თქმა უნდა, თვით იონა ბეგრაციონისაა) ასწავლის, როგორ უნდა იქცეოდეს კაცი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორ უნდა გამოიმუშაოს მან ახალგაზრდობიდანვე ნებისყოფა, საზოგადოებრივი ზნეობა, კაცთა შორის ურთიერთობა, კეთილი და გონიერი განწყობილება-გაგების საფუძველზე.

იონანეს ამ დარიგებას, დამოდერას, რა თქმა უნდა, ეპოქის მძლავრი ბეჭედი აზის. მასში არის ელემენტები როგორც კონსერვატორული, ისე პროგრესული. ძირითადად სჭარბობს პროგრესულ-საზოგადოებრივი საფუძველი. ყოველგვარი, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებას იხელს უწყობს — გონიერება, თავდაჭერილობა, კეთილი დამოკიდებულება ძმათა და სხვათა შორის, დაფიქრებული, წინდახედული მოქცევა და ა. შ. მოცემულია, როგორც საჭირო, აუცილებელი; ხოლო ყველაფერი, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას არღვევს, აკნინებს — ქურდობა, სიცრუე, ღალატი, მრუშობა, ანგარიანობა, მექრთამეობა და ა. შ. გაკიცხულია, როგორც კაცისათვის საზარცხვინო და ქვეყნისათვის დამლუპველი.

„კალმასობაში“ შესაფერ ადგილას, სადაც ავტორს ამის შესაძლებლობა აქვს, ჩართულია სხვადასხვა მხარე ჩვეულებათა გაკიცხვა და მათ დაპირისპირებით ახსნილ-განმარტებულია საზოგადოებრივი

ცხოვრების განმამტკიცებელი საწყისები. მაგ., გვ. 151 — ქურდობა, ანგარიანობა. მიტაცება; გვ. 175 — სიცრუე, გაუტანლობა; გვ. 25 — როგორი უნდა იყოს მოქალაქე; გვ. 202 — როგორი უნდა იყოს სამართლის საფუძვლები; გვ. 203 — როგორი უნდა იყოს მოსამართლე; გვ. 207 — როგორი უნდა იყოს სარდალი; გვ. 224 — როგორი უნდა იყოს მეგობარი და ა. შ.

8

იოანე ბაგრატიონი, როგორც ეს „კალმასობაშიც“ მელაენდება, უკმაყოფილოა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით. ის, ჩანს, ერეკლე II მიერ 1783 წელს გიორგიევსკში დადებული ტრაქტატის საფუძველზე დგას, ამიტომ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, მის უკმაყოფილებას იწვევს. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ის მიაწერს გაგზავნილი პირების — გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილის არაპატრიოტულ მოღვაწეობას. ამ პირთ, იოანე ბაგრატიონის გაგებითა და ჩვენებით, ეს ჩაიღინეს არა ხსენდამწიფობებრივი ინტერესების მიხედვით, არამედ პირადი, წვრილმანი ინტერესების გამო.

იონა ბერი დიამბეგ დავით ჭიმშერიშვილთან ერთად საუბრით მივიდნენ ველისციხეში. გარსევან ჭავჭავაძემ, რა გაიგო დავითისაგან იონა ბერის მოსვლა, ისიც მიიპატიჟა სადილად. საუბარი გარსევანმა დაიწყო უკმაყოფილებით იონასადმი, რომელმაც „მდედრნი აღარ გაუშვა და მამრნი გაულანძღველნი“. საუბარი შეუმჩნეველად ისე გამწვავდა, რომ იონამ გარსევან ჭავჭავაძეს პირდაპირ მიახალა: „აქანმა ერთი ძმა მოჰკლა და თქვენ ათასი!“ (გვ. 125, ტ. I). ამის გაგონებაზე გარსევანი სასტიკად განრისხდა, იონას გალაზხვაც კი მოონდომა, მაგრამ დივანბეგმა დავითმა დაამოშმინა. გარსევანმა მოსთხოვა იონა ბერს დაემტკიცებინა მისთვის წამოყენებული ბრალდება. იონამ აქაც გარკვეულად და მტკიცედ უთხრა: „შენ პასლენიკობაში არ მოიქეც იმ სახით, რაგვარადაც მეფეთაგან იყავ ინსტრუქციებით წავლენილი და მეტადრე ამა მეფის (ე. ი. გიორგი XII-ის — მ. ზ.) დროს“ (გვ. 126, ტ. I).

მხილებით განრისხებული გარსევანი ბრალს სდებს იონა ბერს, რომ ის იგონებს, რომ მან არ იცის, რა ინსტრუქციით იყო ის გაგზავნილი რუსეთში, ვინაიდან ეს მოხდა საიდუმლოდ მეფის სასახლეში, მეფესთან, სადაც იონა ბერს არავინ შეუშვებდა.

მაშინ იონა ბერი, დასამტკიცებლად იმისა, რომ ის არ იგონებს, რომ ის იქ, ამ საიდუმლო რჩევაზე იყო და ეს ამბავი სისწორით იცის, მოაგონებს ზუსტად იმ პირობის წერილის შინაარსს, რომელზედაც გაგზავნილები და მათ შორის გარსევანი დააფიცეს და შემდეგ გაგზავნეს რუსეთში. გარსევანი ჯიუტობს და მოსახოცს იონას თქვას იმ წერილის შინაარსი; იონაც დამარწმუნებელი ტონით შემდეგს მოაგონებს:

იონა: მეფემან თავისი მამის დადებული ტრაქტატიც დაამტკიცა, რომელიც ესე ყოველთა უწყიან, და ესრეთვე თავისიც შესძინა რაოდენიმე პუნქტი.

გარსევანი: მითხარ, რომელი? — იონაც დაწვრილებით ჩამოთვლის მათ:

იონა: პირველი: ესე მემკვიდრითი მემკვიდრე სახლისაგან სამეფოსა არ მოიშალოს და იყოს მეფე და მორჩილ, ვითარცა სხვათა ხელმწიფეთა ქვეშევრდომ ყოფილან.

მეორე: მეფის ძენი იცეზდენ ისევე მამულთა თვისთა.

მესამე: თავადთა, აზნაურთა, ვაჭართა და სამღვდელთა ესგვარი პატივისცემა აქვდეს, როგორადაც მათსა ქვეყანასა შინა არს.

მეოთხე: სამართალი და სჯული იყოს ისევე ქართველთა.

მეხუთე: რადგან სპარსეთის ხელმწიფე მიუღებს ერევანს და განჯას, ნაცვლად ამისა მიეცეს ოცდაოთხიათასი სული გლეხი.

მეექვსე: ათს წელიწადს სახელმწიფო ხარჯი არ ეთხოვებოდეს მეფისა და თავადთა ყმასა, რადგან ყვენების დროსაც აძლევდნენ ხარჯსა იმ სახელად.

მეშვიდე: ექვსიათასი ჯარისკაცი ყოველთვის იყოფოდეს მეფესთან, რომ მტერნი მოიგერიონ საქართველოსნი, ვინემ მეფეც გააწყობდეს საკუთარსა ჯარსა თვისსა.

მერვე: მადანნი ამუშაონ და მით ისარგებლონ და იქილამ ათის თავი ეძლიოს მეფეს.

მეცხრე: ოციათასის თუმნით შეწვენა მისცენ მეფის დაქცეულის ქალაქის ასაშენებლად.

ესე იყო პირველი სათხოვარი, ზოლო სხვანი, რაიცა სხვათა წერილმანთა საქმეთა შეეხებოდა, იგი იყო მოსვენებულ. იხილე აწ, მკოდნია თუ არა! აჰა, მდივანბეგიც იქ იყო და ამანვე გარდათარგმნა. მაშინ“ (გვ. 126—127, ტ. I).

იონა ბერს ნათქვამი მდივანბეგმაც დაუდასტურა. მაგრამ „კალმასობის“ ავტორი ამით არა კმაყოფილდება. ამ საკითხს ის ფრიად-

დიდ ისტორიულ მნიშვნელობას აძლევს. ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, უნდა გაგზავნილებს, განსაკუთრებით კი გარსევან ჭავჭავაძეს, ბრალი დასდოს ქვეყნის ღალატში, სათანადო პატრიოტული გრძნობის უქონლობაში, რისთვისაც ის დიალოგს აგრძელებს. მდივანბეგის მიერ იონას ნათქვამის დადასტურების შემდეგ გარსევან ჭავჭავაძემ ის და მოახერხა, რომ იონას ქედმაღლურად შეჰკითხოდა: „ვის გაგზავნიდნენ ჩემზე უკეთესს ელჩს მეფენი?“ (გვ. 127, ტ. I). იონა ბერიც დაუყოვნებლივ უპასუხებს: „ვეზირის ძეს, თავადს ბაბაშს, რომელიც მოსრულ არს სპარსეთიდან და სახლობდა თბილისს კარისკაცად“.

გარსევანის შეკითხვაზე, რა გააკეთა ამ ბაბაშმა, თქვას. იონა ბერი მოაგონებს ისტორიულ ფაქტს, საქართველოსათვის მეტად მძიმეს, როდესაც სრულიად აზერბაიჯანის ხანებმა, ერეკლე II წინააღმდეგ ამხედრებულებმა, უჩივლეს მეფე ერეკლეს ქარემხანთან, რომელმაც გადაწყვიტა მრავალი ჯარით საქართველოზე წამოსვლა. ერეკლემ გაგზავნა ბაბაში ქარემხანის წინაშე თავის მართლების წერილით.— „ოდეს მივიდა ბაბაში... ხანებთა ელჩებსა სრულიად დაუყო პირი წინაშე საშინელისა მის ხელმწიფისა და ყოველნი თავის სჯულის კაცი ცრულ აღმოაჩინა ერთგულობისა გმომეფისა და საქართველოზედ მომავალი სპარსთა მხედრობა სამოცი ათასი კაცი, აღირბეჟანელთა გარდა, უკუნაქცევიანა. და აგრეთვე ჟამსა ამის ელჩობისადაცა მოვიდა ხონთქრისა ელჩი წერილებითა... რომელ მეფე ირაკლი ჩვენთა მეზობელთა ფაშებთა დაებეზღებინათ ხონთქართან, და ამა ელჩსადაცა პირი დაუყო და ყოველნი ჰაზრნი მათნი შთაშალნა, და ქარემხანიდამ ჯილდოდ სამეფო ნიშნები, ფარვანი და სხვა საჩუქარნიც გაარიგნა. და ესრეთ წყალობიანის ელჩით მეფესთან პირნათლად უკმობრუნდა და ესე ყოველნი შოართო და აღუსრულნა. ნახე მისი პატრიონება! მითომ იგი თათარი იყო და თქვენ, სამნი დესპანნი ქრისტიანენი, თუ ვითარ მოიქეცით მართლმადიდებელს კარზედა, ესეცა ცხადია“ (გვ. 127—128, ტ. I).

აქ იონა ბერის სახით, იონანე ბაგრატიონი ნიჭიერად იყენებს ქართულ ლიტერატურაში ცნობილ პოეტურ ზერხს—დაპირისპირებისას, რაც იონანე საბანისძემ ასე ნიჭიერად მოგვცა: თუ უცხო, ამ შემთხვევაში ბაბაში, რომელიც გაეცნო ჩვენს კულტურულ საუნჯეს, მას იცავს თავდადებით, უანგაროდ, შით უმეტეს ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენ—ქართველებიო, ამის თქმა უნდა იონანე ბაგრატიონს.

ეს საყვედური იგრძნო გარსევან ჭავჭავაძემაც, განრისხდა და გალახვა მოუნდომა იონას: „ნახე ამ ქიზიყელსა, რომ თათრის ამხანა-

გადაც არღა მაგდებს!“ და თავი იმართლა იმით, რომ მას უამხანაგებოდ — გიორგი ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილისა — საქმე არ დაუჭერია.

იონა ბერი კითხვა-კითხვით გარსევან ჭავჭავაძეს იქამდე მიიყვანს, რომ ათქმევიანებს, ასე მოიქცა ის შეფის მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის გამოოსობით — „ჩემი და არ შეირთო ცოლად და სხვაში გამცვალაო“.

აი ეს პირადი ინტერესით დასწრეულებაა, რომ აცნინებს პრივილეგიურ კლასსაც და ქვეყანასაც — უნდა თქვას იოანე ბაგრატიონმა და მკითხველსაც ასე ესმის. ამიტომ იოანე ბერი (თვით იოანე ბაგრატიონი) არ ცხრება და უნდა ბოლომდე გააშიშვლოს რამდენად ღრმად და მავნებლურად ამოძრავებს ამ „დიდ“ კაცთ ეს სენი.

იონა ბერი მოაგონებს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ ერეკლეც და გიორგიც დიდი ყურადღებით იყვნენ მისადმი — ორი სოფელიც კი უბოძეს ორასი ყმით. და მაინც ის ვერ გაიერთგულეს, ვერ დააქმაყოფილეს. გარსევან ჭავჭავაძე იბნევა და თავის გასამართლებლად იმასღა ამბობს — „მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვაო!“ იონა ბერს სწორედ ეს უნდოდა და გამარჯვებული ამთავრებს ამ მძიმე დიალოგს სიტყვებით: „რღა მოწამენი გვიხმს, თქვენის პირით აღიარეთ და ამისთვის მოგახსენე, რომ ბაბაში უფრო სარწმუნო კაცი ყოფილა თქვენზედ“ (გვ. 129, ტ. I).

„კალმასობაში“ ნიჭიერადაა გაშიშვლებული ხელმძღვანელი კლასის განწყობილება და მოქმედება XVIII—XIX საუკუნეთა უღელტეხილზე. თუ მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი ანუ თვით იყვნენ, რანი იქნებოდნენ ჩვეულებრივნი! ასეთს მწარე გრძნობას იღებს მკითხველი. იონა ბერის ეს შეხედულება რომ თვით იოანე ბაგრატიონისაცაა, ეს ჩანს როგორც ბერის გიორგი ავალიშვილთან და ელიაზარ ფალავანდიშვილთან შეხვედრისას, ისე ზურაბასაგან იონა ბერის მიერ გარსევან ჭავჭავაძის მოღვაწეობის შეფასების დადასტურებით ქიზიყის მოურავ ზაქარია ანდრონიკაშვილთან, რომელსაც გაეგო იონას ინციდენტი გარსევან ჭავჭავაძესთან და ზურაბას თქმაზე — იონა ბერს ჭავჭავაძემ „ქეშმარიტის თქმისათვის წელი მოსტეხა ცემით“, ურჩევს, რომ ვინც „ხალხში მხილებას იწყენს, თუნდაც ქეშმარიტი იყოს, უნდა გავჩუმდეთო“, ზურაბი თავისებურად მოუჭრის: „ქეშმარიტი ბრძანება არს, გარნა თუ გინდაც ამას დაედუმებინა, ქვანიც ღაღადებენ“ (გვ. 131, ტ. I). ზურაბის პირითაც ხომ იოანე ბაგრატიონი ხშირად თავის შეხედულებას გამოოსთქვამს.

იოანე ბაგრატიონი, ევროპულად განსწავლული, დაკვირვებული და ჩახედული, ახალი, ევროპული გზით მიმავალ რუსეთის ცხოვრებაში, კარგად ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ რუსეთის ფარგლებში შესული საქართველოც აუცილებლივ ამ გზით უნდა წასულიყო. ხოლო ამ ახალ რუსულ-ევროპული გზის გაქრა ახალი ცხოვრების პირობებში შესაძლებელი იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით, რაც ხალხს და ქვეყანას ეკონომიურად გაამაგრებდა და აღმავლობის გზით წასვლისას და შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გამოსაძლიერებლობას მისცემდა.

ქართველთა ამ მოვლენისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობას გრძნობს იოანე ბაგრატიონი და საჭირო მითითებებს ამ მიმართულებით მოხერხებულად ჩაუერთავს თავის „კალმასობას“.

სამეგრელოდან იონა ბერი ზურაბითურთ გაემგზავრა გურიისაკენ. გურიელმა დიდი ყურადღება გამოიჩინა ბერისადმი — მისცა ბინა, მიუჩინა კაცნი. სამი დღის შემდეგ მიიწვია თავისთან, გაუმასპინძლა, გაებაასა.

გურიელმა მოისურვა შავი ზღვის სანაპიროდ გავლა და ხომალდთა გასინჯვა. იონა ბერიც თან წაიყვანა. გასინჯეს ხომალდნი. გურიელის თხოვნით, იონა მას განუმარტავს შავნიტის რაობას, ძალას, აგრეთვე ჩაუტარებს საუბარს მექანიკისა და ნავიგაციის შესახებ.

შემდეგ გურიელისავე თხოვნით, იონა განუმარტავს შემდეგ საკითხებს: რა არის კომერცია? რამდენი ხანია, რაც კომერციას მისდევენ? როდის იყენებენ ფულს და რა სახით? იონა ბერი გურიელს გააცნობს ვაჭრობის ისტორიას ძველითგანვე, აგრეთვე რა მნიშვნელობა ჰქონდა კომერციის (ვაჭრობა-მრეწველობის) განვითარებას ქვეყნისათვის, მის წინმსვლელობისათვის (გვ. 55—59, ტ. II).

დაინტერესებული გურიელის შეკითხვაზე — კომერციის მიმდევარს რა ცოდნა უნდა ჰქონდეს, ან რა დროს უნდა ვაჭრობდეს, რასაც, გურიელი მიხვდა, დიდი მნიშვნელობა აქვს კომერციის საღიწარმართვისათვის.

იონა ბერი, იღებს რა მხედველობაში ევროპულ განვითარებულ ვაჭრობა-მრეწველობას, კომერსანტს შემდეგ მოთხოვნილებებს უყენებს: „კომერციის მოსწავლეთა უნდა უწყოდენ ორნი უფრო სწავლანი, ესე იგი, არიხმეტიკა და გვარი მწერლობისა, და მეორე — ლეოღრაფია ანუ ქვეყნის აღწერა, თუ რომელ ქვეყანაში, რომელი ნივთი გვარობს და რომელს ქვეყანაში იგი ნივთნი უფრორე განისყიდებიან. აგრეთვე თანა ამს, რათა ჰყვანდეთ ყოველგან კაცნი და

სცნობდნენ მუნებურთა მდგომარეობათა, ანუ დაძვირდა რაიმე მას ქვეყანაში ნივთი, ანუ იაფად არს... და მიხედვისამებრ მისისა დაიჭიროს თადარიგი“ (გვ. 56, ტ. II).

იონას საუბარში კარგადაა მოცემული ვაჭრობა-მრეწველობის კვინტესენცია და აგრეთვე მეურნეობის ამ სახის უპირატესობაც. აშკარად ჩანს ავტორს, იოანე ბაგრატიონს, გულისყურით შეუსწავლია და კარგადაც გაუთვალისწინებია იმ დროს კომერციის განვითარებისა და წარმოების მოთხოვნილებები. ეს აშკარად ჩანს იონა ბერისა და გურიელის საუბრის შემდეგი განვითარებიდანაც:

გურიელს სურს ჩასწვდეს კომერციის არსს, გაიგოს რა უპირატესობა აქვს ვაჭრობის სხვადასხვა საშუალებებს და კვლავ განაგრძობს შეკითხვას: „ცხენის საკიდრით უმჯობესია ვაჭრობა თუ ხომალდით?“ ამის საპასუხოდ იონა ბერი ძეტად თვალსაჩინოდ დაუმტკიცებს გურიელს ხომალდით ვაჭრობის წარმოების უპირატესობას. ცხენმა წაიღო „ესთქვათ, — უხსნის იონა ბერი გურიელს, — ორმოცი ლიტრა, გინა უმეტესი, გარნა სავაჭრო ხომალდი ორმოციათას ლიტრასაც წაიღებს და თქვენ იფიქრეთ, რომელი უფრო მეტს გაავაჭრებს“ (გვ. 57, ტ. II).

იონა ბერი გურიელს განუმარტავს, რომ აზიაში ვაჭრობენ ცხენჭორებით, აქლემებით; ვაჭრობით იქაც მდიდრდებიან, მაგრამ, ვინც ხომალდით ვაჭრობს და ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში მიდის, უფრო აქვს სარგებლობა, რადგანაც ისინი „ხეებსაც და ქვებსაც წაღებულთა გაყიდვიან მათ ქვეყნებთა შინა, ვითარცა სტამბოლს, ანგლიას, პეტერბურღს და სხვათა ქვეყნებთა შორის. და უფროც არიან ხომალდთა პატრონნი მდიდარნი“ (გვ. 57, ტ. II).

ყოველმხრივი უპირატესობა ევროპული კომერციისა ცხადია, როგორც იონა ბერისათვის (რა თქმა უნდა, აქაც თვითონ ავტორი იოანე ბაგრატიონი თავის ახალ შეხედულებას გამოხატავს), ისე გურიელისათვის და მკითხველისათვისაც.

ასეთი ევროპული ფართო ვაჭრობის უპირატესობასა და სარგებლობაში დარწმუნებული გურიელი, საკითხში უკეთ გარკვევისა და გამოყენების მიზნით, განაგრძობს შეკითხვას: „კაცთა კეთილშობილთათვის ეყვის კომერციისა ხელოვნებისა სწავლა ანუ ვაჭრობა, უკეთუ არა...?“

ასეთი შეკითხვა ბუნებრივია. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი თავდაზნაურობის ფსიქოლოგიას XVIII და შეიძლება ითქვას XIX საუკუნეშიც კი, რომელიც ვაჭრობას სთვლიდა მისი მდგომარეობისა და წარმოშობისათვის მიუღებელ საქმედ: მას თავი რაინდად მოჰქონ-

და, მას შეჰფეროდა გრგვინვა ბრძოლის ველზე, ცხენზე ჯირითი, თოფის სროლა, ლახტის მოხმარება, მხართეძოზე წამოწოლა, მბრძანებლობა. დანარჩენი ყველა საქმიანობა, მათ შორის ვაჭრობაც, დაბალი ფენის მოვალეობაა და მან უნდა აკეთოს. ამიტომაც გურიელი, ვაჭრობის საქიროებაში დარწმუნებული და პრივილეგიური წოდების ტრადიციებით შეზღუდული. იონა ბერს ასეთს შეკითხვას აძლევს. მშვენიერსა და ახალი დროისათვის შესაფერ გონიერ პასუხს—განმარტებას იძლევა იონა ბერი, რაც შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო ყოველი ქართველისათვის ახალი ცხოვრების პირობებში, ძველი, დახვეწებული, დრომოჭმული შეხედულების გადალახვის მიზნით. „აზიურთ თუ მივხედავთ, — უპასუხებს იონა ბერი გურიელს, — დასაშინებლებელ და შეურაცხ საყოფელია კეთილშობილთათვის ვაჭრობა, ხოლო ევროპიელთაებრ უკეთუ მივხედავთ, მუნცა მცირედ სირცხვილად უჩნთ განრთვა ვაჭრობასა შინა. გარნა ანლიასა შინა არა არს სირცხვილი და არცა დასამდაბლებელი განრთვა ვაჭრობასა შინა... და აწ თითქმის ესსახედ არს საფრანგეთსა შინაცა, რომელ არცაღათუ შეურაცხპყოფენ თვით ჩინებულთა კაცთაცა განრთვად ვრცელ კომერციასა შინა, რომელნიც არიან სხვადასხვა ხატითა ვაჭრობისათა“ (გვ. 57, ტ. II).

იონა ბერის ეს მსჯელობა დამარწმუნებელია გურიელისათვის. მაგრამ მანში ზის ფეოდალურ ყოფაში შექმნილი ქედმაღლური დამოკიდებულება ვაჭრობისადმი და ვაჭართა კლასისადმი და ამიტომ გულწრფელად და დამახასიათებლად განუცხადებს ბერს: „კეთილშობილთ ვაჭრობა რავარ ეკადრებათ! ბარე რომ ვივაჭრო, გინდ მოუკლავარ ვისმე და ან გავაყიდინო რამე!“ (იქვე). გურიელის ასეთ აღიარებაზე იონა მოხდენილად, სამართლიანად და თითქოს, ნიშნის მოგებით, ასეთს ცრუ ქედმაღლობაზე ასე უპასუხებს: „ბატონო გურიელო, კიდევ ამისათვის არიან ჩვენი ხალხნი მდიდარნი, რომ ამ გვარებს თაკილობენ“ (იქვე).

იონა მეტად მარტივად, მაგრამ დამაჯერებლად უხსნის, რომ იქ, სადაც არ არის განვითარებული ვაჭრობა, შეიძლება ბევრი ცხენი, ცხვარი და ა. შ. ჰყავდეთ, მაგრამ საჭიროებისამებრ ვერ გაყიდონ, იქ არ იციან ზომიერება და წესიერება გამოყენებაში, იქ ჰყიდიან ყმას, მის შვილებს, რომელნიც ამის მიზეზით თათრდებიან. ბერის სიტყვებმა გამოიწვია საერთო აღფრთოვანება: „ქეშმარიტად, მართალს უბნობს ბერი ესე!“ (გვ. 58, ტ. II). იონა ბერის ვაჭრობის გაგება და მისი დამაჯერებელი მოთხოვნილებაა აქ, რაც კარგად უგრძნია „კალმასობის“ ავტორს და რაც უნდა თავის მკითხველსაც ძალუმაღ შთააგონოს.

ამასთანავე იონა ბერი იმასაც უმარტავს გურიელს (საერთოდ მკითხველს), რომ კომერცია, მისი რაციონალური წარმოება თხოულობს ცოდნას, სწავლას. კომერსანტი მრავალგვარ სწავლასა და გამოცდილებაში უნდა იყოს აღზრდილი. ის ვალდებულია მაინც ეუფლებოდეს არა მარტო არითმეტიკასა და გეოგრაფიას, არამედ მას უნდა ჰქონდეს „ცოდნა თამასუქთა წერილების დაწერისა, კურცი ანუ სართავი თეთრისა, ვითარ მოიკლო, ანუ ვით მოიმბა ვერცხლმან და ოქროს ფულმან. ესრეთვე სასამართლოთა საქმეებთა, რათა.. რიგიან შევიდეს სამართალში და რიგიან გარდაწყვიტოს თავისი საქმე. ამასთანავე საჭირო არს, რათა უწყობდეს სხვადასხვაგვარნი ენები და უბნობანი, ესე იგი — აზიური, ფრანციული, ანდლიური, ნემეცური, იტალიური, იშპანური და სხვანი და თავისი საკუთარი ენაცა ზედმეწევნით... და ეგრეთვე მუნებური ენა და წიგნი უფრორე, სადა თუ რომელსა ქვეყანასა შინა დააფუძნა მან ვისი კომერცია. ესე იგი ვაჭრობა თვისი. ესთავე სათანადო არს მისა სწავლილ მუნებურთა სჯულთა და ჩვეულებათა, სადაც დამკვიდრდა იგი“ (გვ. 58 — 59, ტ. II).

აშკარაა, ავტორი „კალმასობისა“ იონა ბერს ფართო ევროპული ხასიათის კომერსანტის პროცესის სურათს ახატვინებს და კომერციის მიმყოლსაც უსახავს ვაჭრობა-მრეწველობის ქვეყნების კომერსანტის თვისებებს და ვალდებულებებს.

„კალმასობის“ ავტორს, იონანე ბაგრატიონს ნათლად ესმის და კარგადაც აქვს გათვალისწინებული, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებით, შესდგა განახლების, გაევროპიელების და, პირველ რიგში, კაპიტალისტური განვითარების გზაზე, რომლითაც მიდიოდა რუსეთიც. გზა საქართველოსათვის ამიერიდან რუსეთთანაა საერთო. საჭიროა ამ მოვლენას შეგნებულად შეხედოს ყოველმა ქართველმა და ხელი შეუწყოს ამ გზის სწორ მიმართვას. ამისათვის კი აუცილებელია ქართველმა ხალხმა გადახედოს თავის ცხოვრებას, მოქმედებას, ახალი მოთხოვნილებებისა და ამოცანების მიხედვით გაითვალისწინოს ცხოვრების გეგმა და შეუდგეს მის რაციონალურ განხორციელებას. ამ დიდი, გადაუდებელი საქმისათვის პირველ რიგში საჭიროა ქართველმა ხალხმა გაინთავისუფლოს თავი, დრომოკმული და უარყოფითი ზნე-ჩვეულებიაგან, რომლებიც ქვეყნის წინ წაწევენ აფერხებდა, ერის შემოკმედებით ნიჰს ბორკავდა, აჩლუნგებდა. ხოლო ამასთანავე ერთად საჭიროა მიღება და განმტკიცება განათლებულ ხალხთა სასარგებლო ჩვევებისა და ცოდნისა.



ამრიგად „კალმასობის“ ძირითადი ამოცანაა ქვეყნის გარდაქმნა განათლებული კაცობრიობის მიერ მოპოვებული მაღალი კულტურის საფუძველზე. ამას მოითხოვდა იოანე ბაგრატიონი თავისი სახელმწიფოებრივი ხასიათის პროექტებითა. ამასვე მოითხოვდა ის თავისი მხატვრული შემოქმედებით — „კალმასობით“, რომელშიც უხვადაა ჩაქსოვილი და ახსნილ-განმარტებული საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების წერილმანებიც, მათი ღირსება-ნაკლულებანი. იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“, უდავოდ, ფართო საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ამსახველი სავისებური ისტორიულ-რეალისტური ქანრის ნაწარმოებია.

ამიტომაც, იოანე ბაგრატიონი, როგორც მძლავრი ფიგურა, „ქართლის ბედით“ დაინტერესებულნი, მიმზიდველად დგას ახალი (XIX საუკუნის) ქართული ლიტერატურის კარიბჭეში, თვალთა უყურებს სინამდვილეს და მდგომარეობასთან, ნებისთ თუ უნებლიეთ შერიგებული, კულტურული აღორძინების ფართო გზას უსახავს და უქადაგებს მკითხველს, რითაც ის ახალ ქართულ ლიტერატურაში სათავეს უდებს რეალიზმის განვითარებას, მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე აძლევს სათავეს რომანტიზმის განვითარებას.

„კალმასობა“ საყოფაცხოვრებო ხასიათის მოგზაურობა — რომანია, რომელიც მდიდარია ისტორიულ პირთა ზილუეტებით (გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, გრიგოლ მუხრან-ბატონი, მირიან ბატონიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, მინბაშ ამირეჯიბი, ამილახვარი, ვაჩნაძეები და სხვა მრავალი თანამდებობის პირნი). ავტორი არა ჩერდება მათ სრულ დახასიათებაზე. ამ მოქმედ პირთ მკითხველს აჩვენებს მხოლოდ ერთი დამახასიათებელი თვისებით (საყოფაცხოვრებო, პოლიტიკური, აღმზრდელობითი თუ სხვა მიმართულებით), რაც ავტორის მიერ აღებულ საკითხს თუ მოვლენას თვალსაჩინოდ აშუქებს და მკითხველშიც გარკვეულ ცოცხალ წარმოდგენას იწვევს. ამგვარი სილუეტების ჩვენებაში იოანე ბაგრატიონი, უდავოდ, იჩენს საღი, ღია რეალი ფერების გამოყენების უნარს. „კალმასობა“, როგორც წინამდებარე ნარკვევიდანაც შეიძლება მკითხველმა დაინახოს, ძირითადად დიალოგის ხერხითაა განვითარებული. დიალოგი „კალმასობაში“ ხასიათდება დინამიურობითა და გონებამახვილობით. განსაკუთრებით იონა ბერის თანამგზავრის ზურაბას მოსწრებელი ჩარევა საუბარში იწვევს სიცხოველესაც, დინამიურობასაცა და განსაკუთრებით იმ მხიარული იუმორის გამოვლი-

ნებასაც, რაც დამახასიათებელი სტილიური ნიშანია იოანე ბაგრატიონის შემოქმედებისათვის. „კალმასობა“, ზემოთ აღნიშნულ ღირსება-ნაკლებებასთან ერთად, მკითხველის ყურადღებას იქცევს ენითაც. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ძირითადი მოქმედი პირი, იონა ხელაშვილი, სასულიერო პირია — ბერი, „კალმასობის“ ენა, წინააღმდეგ გაბატონებული ანტონ კათალიკოსის გრამატიკისა და პოეტიკისა, საგრძნობლად გასადავებელია: ნაწარმოების ყველა მოქმედი პირი როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდებიდან ლაპარაკობს ჩვეულებრივი სასაუბრო ენით, ხშირია ნიმუში პირდაპირ მდაბიო, თუმცა ხორკლიანი, მეტყველებისა (ზურაბა და სხვ.). თვით იოანე ბერის ენაც უფრო ახლოა ხალხურ სასაუბრო ენასთან, ვიდრე საეკლესიოსთან.

ნაწარმოები, რა თქმა უნდა, არაა სათანადოდ დახვეწილი — ეს, მართლაც, ენციკლოპედიისა იმ დროისათვის საჭირო და სასარგებლო ცოდნისა, რომელიც უნდა შეიძინოს ქართველმა მკითხველმა ახალი ცხოვრების პირობებში, როგორც ამას, ალბათ, თვით იოანე ბაგრატიონიც ითვალისწინებდა.

სოლომონ დოდაშვილი

1805 — 1836

1

XIX საუკუნის პირველ ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დანისლულ გარემოში სოლომონ დოდაშვილის სახე იშვიათი მომხიბვლელობით იზიდავს ქართველი ხალხის კულტურისა და აზროვნების ისტორიის მკვლევარს. სოლ. დოდაშვილი ქართული ცხოვრების ბინამდვილეში მრავალგზის თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენაა. ის — მწერალია, მეცნიერი-მკვლევარია ქართული ლიტერატურისა და ენისა, ის ფილოსოფოსია, მასწავლებელია, ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეა, ის ჟურნალისტი, ის, შეიძლება ითქვას, ერთი მძლავრი პირველთაგანი მოღვაწეა ეროვნულ-განმათავიუფლებელი ბრძოლის ფრონტისა. ყველგან, სადაც კი მან თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე (სულ რაღაც ხუთი წელი) იმუშავა, უდავოდ, თავისი მადლიანი შესამჩნევი კვალი დააჩნია.

საგულისხმოა 1876 წელს გაზეთი „დროების“ ათი წლის არსებობის აღსანიშნავ საიუბილეო ნადიმზე გაზ. „დროების“ რედაქტორის ს. მესხის მიერ მოლოცვების საპასუხოდ წარმოთქმული სიტყვა: „ძალიან კარგად მესმის, — თქვა მან, — რომ კერძოდ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძობასა, არამედ უცხადებთ ამ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ.

„ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა, — ეს არის დროშა ქართული ლიტერატურისა“* (ე. ი. ქართული აზროვნებისა, ქართული ეროვნების საქმისა — მ. ზ.).

იმავე გაზ. „დროების“ 1876 წლის №24-ში ნადიმის მოკლე ანგარიშია დაბეჭდილი და იქ შემდეგს ვკითხულობთ: „თ. ი. ქავჭავაძემ მონადიმეთ გაახსენა ადრინდელი მოღვაწენი ქართულის ჟურნალის-

* გაზ. „დროება“, 1876 წ. № 24.

ტობისა... მან სთქვა: „თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც, უფ. მესხ-მა მოიხსენა, ახლანდელთ „დროების“ მოღვაწეთა თავის მიმართუ-ლებაზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობითა გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაშვილისაგან“...

სოლ. დოდაშვილი პირველი ქართველი „რაზნოჩინეცია“, რომელმაც თავისი მოსვლით ქართულ ოფიციალურ მწერლობასა და აზროვნებაში განიზრახა დემოკრატიული მიმართულების შეტანა.

სოლ. დოდაშვილი გლებთა წრიდან გამოსული ღარიბი მღვდლის შვილია. ის დაიბადა 1805 წელს კახეთში, სოფ. მალაროში, საიდანაც მან შემდეგში მიიღო ფსევდონიმი — მალაროელი (Маларский). დაბალი ფენებიდან და ხელმოკლე, ღარიბი ოჯახიდან გამოსულმა სოლ. დოდაშვილმა თავისი პირადი ნიჭითა და ღირსებით შესძლო წარჩინებით მიეღო არა მარტო საშუალო განათლება, არამედ უმაღ-ლესიც.

სოლ. დოდაშვილი ჯერ სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სკო-ლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1818 წელს სოლომონი შეიყ-ვანეს მაშინ ახლად დაარსებულ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსამზადებელ კლასში. აქ სოლ. დოდაშვილს ბეჭითად უმუშავია, წარმატებით უსწავლია სემინარიაში სასწავლო საგნები, რის მიხედვი-თაც სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1822 წელს, ის სიღნაღის სა-სულიერო სასწავლებელში მასწავლებლად გაუწვესებიათ, სადაც, სოლომონისვე ჩვენებით, უმუშავია 1822 და 1823 წლებში. მასწავ-ლებლობაში მას, გარდა მუყაითობისა, გამოუჩენია ნიჭი და უნარი.

მაგრამ ასეთი მოღვაწეობით ახალგაზრდა სოლომონი არ კმა-ყოფილდება. მან კარგად იგრძნო და ნათლად გაითვალისწინა, რომ ახალ ხანაში უნდა გაშლილიყო ცხოვრების ახალი გზა და მასზე გა-ბედული და ნაყოფიერი სიარულისათვის საჭიროა სათანადო მომ-ზადება, სათანადო განათლებით აღჭურვა. საჭიროა ახალი — ევრო-პულ-რუსული განათლება. აი ამიტომაც ის არ კმაყოფილდება სა-სულიერო სემინარიის კურსის დამთავრებითა და სიღნაღის სასულიე-რო სასწავლებლის მასწავლებლის ასპარეზით. ის მოწადინებულია უფრო ღრმა ცოდნა მიიღოს, უკეთესად მომზადდეს, რათა ქვეყნი-სათვის მეტი სარგებლობის მოტანა შესძლოს. ის ამისათვის თავისში გრძნობდა სათანადო სურვილსაც, ნიჭსაცა და უნარსაც. სწრაფვა მე-ტი ცოდნის მიღებისა, კვალიფიკაციის ამაღლებისა, მას ძალუ-მად იზიდავდა უმაღლესი სკოლისაკენ, რუსეთისაკენ.

სოლ. დოდაშვილის ნიჭსა და უნართან ასეთი სულიერი მისწრა-ფებაც შეუნიშნავს მიტროპოლიტ იოანე ბოდბელს (მაყაშვილს).

აქტივში არა ერთხელ ურჩევია სოლომონის მამისათვის, რომელსაც, წერტილზელიის პატრონსა და მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფს, ლფროსი შვილის, სოლომონის დახმარება მეტად სჭირდებოდა, გაეგზავნა შვილი რუსეთს და მას სოლომონის რუსეთში გამგზავრებისათვის ხელიც შეუწყვია. ამ მიმართულებით სოლ. დოდაშვილისათვის ასევე ხელშეწყობი ყოფილა ცნობილი მწერალი-მოღვაწე გიორგი ავალიშვილი, რომელსაც სოლომონისათვის სარეკომენდაციო წერილიც გაუტანებია რუსეთში ცნობილ მწიგნობარ იონა ხელაშვილთან ეზრუნა ახალგაზრდა სოლ. დოდაშვილზე.

აი სხვათა შორის გ. ავალიშვილი რას სწერდა იონა ხელაშვილს: „ქისიყის სოფელს მალაროდამ მოვიდა აქ მანდ წამოსასვლელად სოლომონ ივანიჩი დოდაევი, რომელსაც უსწავლია თბილისის სემინარიაში და აწ გამოუსტუმრებიათ სწავლის შესასრულებლად... და ვინაიდან არავინ ჰყავს ამას მანდ ნაცნობი, ამისათვის შეგვედრებ და გთხოვთ დაუგდებლობასა მისსა, რომლისგანაც მიიღებთ წერილსა ამას“*...

სოლ. დოდაშვილი განთავისუფლდა მასწავლებლის მოვალეობისაგან და 1824 წელს გაემგზავრა რუსეთში — პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში). როგორც თვით სოლ. დოდაშვილის პირადი წერილებიდან აშკარადდება, იონა ხელაშვილმა არა მარტო ხელი შეუწყო, რომ სოლომონი მიეღოთ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, არამედ გამუდმებითაც შემწეობასა და მზრუნველობას არ აკლებდა.

იონა ხელაშვილისავე მეშვეობით ს. დოდაშვილმა პეტერბურგში ჩასვლისთანავე გაიცნო და დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებსა და იქ მცხოვრებ ქართველ საზოგადოებას. მას, როგორც მისივე მიწერ-მოწერიდანა ჩანს, ახლო ურთიერთობა ჰქონია ბატონიშვილებთან — იოანესთან, ოქროპირთან, ბაგრატთან, (რომლის შვილებსაც ს. დოდაშვილი სახლში ასწავლიდა), თეიმურაზთან, ფარნაოზთან, დიმიტრისთან, ანა დედოფალთან და სხვ. ამ პირთა ხშირი საუბარი „წარსულთა დროთა“ შესახებ და მათი განწყობილება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა სოლომონზე თავის გავლენას ახდენდა, რაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ ასე მკვეთრად გამოვლინდა მის მოღვაწეობაში.

სოლ. დოდაშვილის საზოგადოებრივი განწყობილების ხასიათს —

* მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, 1945 წ., „სოლომონ დოდაშვილის წერილები. 1825-1832“, ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით, გვ. 15.

მის პეტერბურგში გამგზავრების მიზეზს დიდი უშუალოდით აშუქებს მისი 1826 წლის 14 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილთან: „მე ეპკონებ, — სწერს დოდაშვილი იონას, — ყოველსა ცხოველსა ძალუძს ცხოვრება... გარნა სიყვარულმან მამულისამან განმადეიდა, რათა სარგებლად აიძისა ოდესმე ნებითა განზმულისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვება მოწყალებისა თქვენისა ქმნილი ჩემზედა მტკიცედ გარდაბეჭდვითა დამტკიცებულ არს გონებისა ზედა ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისთვის“.

სოლ. დოდაშვილის ეს განწყობილება ცხოვლად გვაგონებს თერგდალეულთა (ილ. ჭავჭავაძის და სხვათა) რუსეთში გამგზავრების მიზანს, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვათ სამშობლო, რაც სამშობლოსავე მომავლის ბედით იყო გამოწვეული.

როგორც ფაქტიური მასალებიდან ირკვევა, სოლ. დოდაშვილს იშვიათი გულმოდგინებით უსწავლია არა მარტო უნივერსიტეტში რომ იკითხებოდა ის საგნები, არამედ აგრეთვე გულდასმით უპუშენია თავისთავზე, თვითგანვითარებაზე. სოლომონმა არა მარტო განვითარების ხარვეზი მალე შეივსო, არამედ ის ერთი სამაგალითო ახალგაზრდა შეიქმნა ამხანაგთა შორის.

სოლ. დოდაშვილმა 1827 წელს გაზაფხულზე წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. გათავებისას სადიპლომო შრომად წარადგინა „ლოგიკა“, მის მიერ განზრახული ფილოსოფიის კურსის პირველი ნაწილი. სოლ. დოდაშვილს შეეძლო დარჩენილიყო იქვე უნივერსიტეტში, განეგრძო მისთვის შედარებით მშვიდი მეცნიერული მუშაობა, შესაძლებელია მისთვის უფრო სასარგებლო, შესაფერი და უზრუნველყოფილიც, მაგრამ მგზნებარე პატრიოტმა, დიდმა მოქალაქემ ამჯობინა პირადი უარეყო და სამშობლოსათვის მიეტანებინა. სოლ. დოდაშვილმა თავისი გადაწყვეტილება, ალბათ, იქვე განაცხადა. რისთვისაც ის პეტერბურგიდანვე დაინიშნა თბილისში გიმნაზიის მასწავლებლად.

2

სოლ. დოდაშვილს თავისი ლოგიკის გამოცემა ერთდროულად სდომებია ქართულ და რუსულ ენებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, გარემოებისა და უფრო კი უსახარობისა გამო, მოუხერხებია მისი მხოლოდ რუსულ ენაზე გამოცემა და ისიც იონა ხელაშვილის და სხვათა დახმარებით. აი რასა სწერს სოლომონი იონა ხელაშვილს: „მადლო ღირსო მამაო! მე გუშინ ვპსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელსა იქნება შემდგომად ეგზემენის შესრულებისა გამოშვება ჩემი სრულის ატესტატიითა, დეკანმა მითხრა დროზედ წარმოადგინე ლოლიკაო,

ამისათვის გთხოვ იმეცადინოთ მოსწრაფებით მოძიება წარსაგებელი-სა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა“*.

სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ დაიბეჭდა 1827 წელს. გამოცემულ წიგნს ს. დოდაშვილის მიერ დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: „N. B. ამ თხზულების გამოცემი სასიამოვნო ვალად სთვლის ამცნოს მოწყალე მკითხველებს, რომ ამ თხზულების გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მისი ღირსება მღვდელ-მონაზონი იონა“***

წიგნი გამოვიდა შემდეგი სათაურით:

Курс философии, часть первая.

ЛОГИКА

Сочинение Соломона Додаева-Магарского

Санктпетербург. В типографии Александра Смирдина. 1827 г.

სოლ. დოდაშვილმა თავისი წიგნი მიუძღვნა — „ხაკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს ალექსი ალექსის ძე პეროვსკის“. ამასთანავე მან წიგნს წაუძღვარა პეროვსკისადმი მიმართვა, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მისცა სტიმული ამ წიგნის დაწერისას. „სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა შოვალეობა იქნება ჩემთვის, ისევე როგორც იგი ამ, ჩემი ძალღონის შესაბამისი, შრომის სტიმულიც იყო: ხოლო მწყალობლობა და მფარველობა, რასაც თქვენი აღმატებულობა ყოველი სასარგებლო წამოწყებისადმი იჩენს, მამხნევებდა მე შემსრულებინა ეს საქმე, და ამანვე გამაბედვინა თქვენი სახელით ეს პირველი ცდა“***...

სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ დიდი საგულისხმო მოვლენა იყო არათუ ქართული ცხოვრების სინამდვილეში, არამედ რუსულ ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პეტრე დიმიტროს ძე ლოდის მიერ პირველი ფილო-

* სოლ. დოდაშვილის წერილი იონა ხელაშვილთან—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, „სოლ. დოდაშვილის წერილები 1825 — 1832“ ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით. გვ. 84. შემდეგშიც ყველგან სოლ. დოდაშვილის წერილები ციტირებული მაქვს ამ ხსენებული შრომიდან.

** სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“, გვ. 5, ქართული გამოცემა.

*** მისივე, გვ. 7—8

სოფიური შრომის — „Логические наставления“ 1815 წელს გამოცემის შემდეგ, სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ მეორე ორიგინალური და სერიოზული შრომა იყო მაშინდელ რუსეთში.

სოლ. დოდაშვილის ლოგიკამ დაბეჭდვისთანავე დაიმსახურა დიდი მოწონება და მცოდნე პირთა მიერ მიეკუთვნა სერიოზულ და საუკეთესო ფილოსოფიურ შრომათა რიგს. სოლ. დოდაშვილის წიგნს დადებითად გამოეხმაურა მაშინდელი რუსული პრესა. აი რასა წერდა ჟურნალი „Московский телеграф“-ის გამომცემელი და ერთ-ერთი მისი იდეური წამყვანი ნ. პოლევაი: „Отбросив всю схоластику и всё пустословие Кондиляка и руководствуясь новейшими мыслителями... г-н Магарский ясно, кратко и просто изъяснил важную науку мыслить правильно... Книга г-на Магарского есть только начало обширного труда. Он хочет издать полный курс философии. Заметим, что г-н Магарский природный грузинец и ныне, кончив курс учения в Петербурге, занимает должность учителя в Тифлисе... Дай бог, чтобы г-н Магарский среди соотечественников и учеников своих нашёл себе многих последователей“*.

ასეთივე მოწონება და თანაგრძნობითი შეფასება მისცა სოლ. დოდაშვილის „ლოგიკას“ მეორე რუსულმა ჟურნალმა „Московский Вестник“-მა. აი რასა წერდა ჟურნალის თანამშრომელი ვ. ტიტოვი სოლ. დოდაშვილის „ლოგიკის“ შესახებ თავის სერიოზულ შეფასებაში: „Заметив сии два недостатка в книге г-на Д., отдадим, впрочем, сочинителю похвалу, вполне заслуженную, за краткость, ясность и порядок, господствующие в остальных частях его... У г-на Д., в особенности хорошо выведены категории суждений, но более всего благодарны мы ему за счастливую смелость, с которою он отступил от узаконенного давностью порядка в расположении Логик, и, вопреки ему, дал суждению место прежде понятия... Что касается содержания логики г-на Д. Магарского, в ней довольно счастливо соединены краткость с надлежащею полнотою. Одно только заметим: так-как сочинитель, кажется, назначил книгу свою для образования юношества, мы желали бы видеть в ней менее схоластической терминологии, которая более обременяет память, нежели обогащает ум учащихся“**.

ასეთივე დადებით შეფასებას აძლევდნენ სოლ. დოდაშვილის ლოგიკას მისი პირადი ნაცნობები-მცოდნენი ამ დარგისა.

„საიღუმლო შეთქმულების“ საქმეში ჩართულია კერძო წერილი

* Московский телеграф, часть восемнадцатая, стр. 167—168, М., 1827.

** Московский Вестник, часть VI, стр. 203. ორივე ციტატა გამოყენებულა მაქვს ს. ხუციშვილის ხსენებული შრომიდან.

სოლ. დოდაშვილისადმი, რომელიც იძლევა მისი „ლოგიკის“ შეფასებას: „თხზულება თქვენი სათაურით: ფილოსოფიის კურსი, ნაწილი 1-ლი ლოგიკა — საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულმა მივიღე, და, გადაეთვალე რა იგი, ვპოვე, რომ როგორც თავისი შინაარსით, ისე მოთხრობის ხერხით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.— თქვენი ამ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენში ნაკლებად დამუშავებულ საქმეზედ, მეცადინეობის ასეთი ბედნიერი დასაწყისი თავდება უფრო ბედნიერი შედეგებისა; ამიტომ ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა გამოგიცხადოთ თქვენ ამ საქები და სასარგებლო ნაშრომისათვის უუღრმესი მადლობა და დაგარწმუნოთ, რომ ამ შრომის გაგრძელება და საერთოდ თქვენი მუშაობა სასწავლო დარგში, არ დარჩება თავის ღრობე მის შესაფერი ჯილდოს გარეშე“*.

ასეთი იყო მაღალი და დამსახურებული შეფასება სოლ. დოდაშვილის „ლოგიკისა“ თანამედროვეთა მიერ. უდავოა, სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ საგრძნობი წინმსვლელობის გამოვლინება იყო იმ დროის როგორც რუსი საზოგადოების ცხოვრებასა და აზროვნებაში, ისე ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაშიც. მართებულა დოც. ა. ქუთელიას ამ შრომის საგულისხმო შეფასება: „ცხადია, — წერს ის, — რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ 122 წლის წინათ დაწერილ „ლოგიკას“ ამჟამად, ჩვენს ეპოქაში, როცა გაბატონებულია ფილოსოფიის უმაღლესი ფორმა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რომლის ჩამოყალიბება მთელი წარსული ფილოსოფიის დაძლევის ნიშნავდა და ფილოსოფიის განვითარების ისტორიაში ძირეულ ნახტომს წარმოადგენს, — მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მისი თარგმანი** წამოწყებულ იქნა როგორც ისეთი ძეგლისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარებისა და იმ მეცნიერულ-ფილოსოფიური კავშირის შესასწავლად, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის დამყარდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ“***.

იმდროინდელი რუსული პრესის შეფასებამ სოლ. დოდაშვილს ფართოდ გაუხსნა გზა რუსი საზოგადოების მოწინავე ნაწილში, რო-

* გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ნაწ. პირველი, გვ. 518. წერილის ავტორია ა. პეროვსკი (იხ. ს. ხუციშვილი, „დოდაშვილი და პეროვსკი“, ლიტერატურა და ხელოვნება, 1950 წ. № 4).

** იგულისხმება ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ 1949 წ. ქართული თარგმანი.

*** ა. ქუთელია, სოლომონ დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. LXVI — LXVII, თბ. 1949.

გორც იმ დროში ცნობილი წიგნის გამომცემლის ა. ფ. სმირდინის გარშემო ლიტერატორთა წრეში, ისე სხვა მიმართულებითაც.

სოლ. დოდაშვილს, როგორც მოჩანს, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართველთათვის რუს მოწინავე საზოგადოებასთან მჭიდრო კულტურული და იდეური კავშირის განმტკიცებას, ამიტომ ის ცხოველი ყურადღებით თვალს ადევნებდა რუსი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ცხოვრებას, საზოგადოებრივ აზრს და ცდილობდა მასთან დაახლოვებას, მახლობელ ურთიერთობაში ყოფნას.

სოლ. დოდაშვილი, როგორც ირკვევა, 1827 წელს, ალბათ, „ლოგიკის“ დაბეჭდვის შემდეგ, უკვე იმდენად იყო ცნობილი, რომ არა მარტო პეტერბურგის მწერლებთანა და მეცნიერებთანა ჰქონდა კავშირი, არამედ მოსკოვის მოწინავე საზოგადოებასთან. მისი წერილებიდან ამას აშკარად ვგებულობთ. მაგალითად, თავისი ქვეყნის ხელისშეწყობის განწყობილებით აღჭურვილმა სოლ. დოდაშვილმა სამშობლოში დაბრუნებისას მოსკოვთან ეტლის დამტკრევისა და შეკეთების გამო, რამდენიმე დღით შეგვიანებულმა, ისარგებლა მოსკოვის საზოგადოებაში გასულიყო. მოსკოვიდან 15 ივნისს 1827 წელს აი რასა სწერდა ის იონა ხელაშვილს: „მგზავრმან ჩემთანა წარმოსასვლელმან მოიგვიანა, ბრიჩკის გაკეთებამან, და ამათ შორის მე განვიხილე ჩინებულებანი და განათლებულებანი მოსკოვსა შინა წარმოებულნი. ესე ვითართა მიზეზთა გამო აქამომდე უძვირფასესისა დროისა წარმგებელ, რომელსაცა მრავალნი მძიმენი ტვირთნი კეთილთა საქმეთანი მიმელიან. აქამომდე მაქენდა ჩინებულსა პოეტთა და მწერალთან საუბრობა, რომელნიცა იქებოდნენ ბეტერბურლსა შინა თავისთა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი. მათ მთხოვეს თბილისიდან წერილისა შეერთება, ერთე მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს განათლებისათვის. მე ვსთხოვე მუნითგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვისა ცნობა. მან აღმითქვა“.

სოლ. დოდაშვილს, კარგად ესმის რა, რომ მისი სამშობლოს აღორძინებისათვის რუსი საზოგადოების ფართო ნაწილთან მჭიდრო კავშირის ქონა აუცილებელია, ყოველი შემთხვევით სარგებლობს ამ კულტურული კავშირის გაბმისათვის. 9 ივლისს 1827 წ. აი რასა სწერს ის იონა ხელაშვილს ქ. ხარკოვიდან, სადაც მან აღნიშნული მიზნით დაინტერესებულმა, ინახულა ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი ივანე იაკობის ძე კრონბერგი, პროფესორი და ჟურნალისტი. რექტორს, როგორც ჩანს, ის უკვე სცნობია. მას მეორე დღეს მიუწვევია სოლ. დოდაშვილი სლობოდო-უკრაინსკის გიმნაზიაში.

დღესასწაულზე—გამოსაშვებ გამოცდებზე. რექტორს სოლ. დოდაშვილი გაუცნობებია დამაწრე საზოგადოებისათვის. „შესრულები-სა შემდგომ, — სწერს სოლომონი იონა ხელაშვილს, — რექტორი ადგა, თავი დაუქრა ყოვლად სამღვდელოსა, მე ხელი გამომართვა და ვკითხა, ვითარ (მოგეწონაო) გესიამოვნაო? მიუუგე: მადლობა ღმერთსა, საკმაო კარგად. ინსპექტორმა ღიმნაზიისამან მთხოვა მუნ-ვე თერმონიისა და სხვათა სასმელებთა მიღება. ვიახელით რა იგინი, რექტორმან წამიყვანა კალასკითა სახლად თვისად. მასთან ვი-მეტყველე ყოველივე საჭიროება მამულისა ჩვენისა, ჰსწავლისათვის, სხვათა მრავალთა მოთხოვრებათა შორის. სხვათა შორის სიტყვათა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათვის სარგებელად და სახელისა შე-ნისა პატივად. რასაცა ითხოვ, ყოველსავე აგისრულებთო, მასწავლე-ბელს უნივერსიტეტიდამ გამოგიგზავნითო. ფრიად მსთხოვა, მე სა-კუთრად მომწერდეთ შენს წერილსა და ყოველთვის შეწვევნასა შენ-სა ვამეცადინებო აღსრულებად“... თუმცა ამონაწერი დიდი, მაგ-რამ. სოლ. დოდაშვილის საზოგადოებრივ განწყობილებას, მის ქვეყ-ნისათვის გულშემატყვიერობას, მის დიდი პასუხისმგებლობით მზა-დებას ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლის წინ, უდავოდ, ნათელს ჰყენს.

3

სოლ. დოდაშვილი უმადლესი განათლებით აღჭურვილი, გატა-ცებით ჩაბმული იმ დროის რუსეთის მოწინავე მეცნიერულ-საზოგა-დოებრივ აზროვნებაში, მის სიმალლეზე მდგომი, სავსე დაუშრეტე-ლი ენერჯითა. ინტერესითა და სიყვარულით თავის ქვეყნისადმი. მი-სი ცხოვრების აღორძინება-წინწაწევისადმი, რუსეთშივე, შეიძლება ითქვას, უკვე სახელმწიფოეკილი ახალგაზრდა, როცა ის 22 წლისა, 1827 წლის ივლის-აგვისტოში ბრუნდება სამშობლოში.

ახალი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე საქართვე-ლოში მრავალი ადგილი იყო ცარიელი. სოლ. დოდაშვილსაც ერთ-დროულად მრავალი მიმართულებით მოუხდა ნაყოფიერი მუშაობის გაშლა. ის ჩამოსვლისთანავე, გარდა მასწავლებლის თანამდებობისა, ეძებს მეცნიერული და საზოგადოებრივი მუშაობის ფართო ასპა-რებს. იმ პერიოდში ჩვენში ყოველი მიმართულებით მუშაობა ახალი იყო. ცხადია, დაწყება და მომართვა საქმისა დიდ სიძნეელებთან და დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული.

სოლ. დოდაშვილს მასწავლებლის თანამდებობის მიღებისათვი-საც კი ორი განცხადების, უფრო სწორი იქნება, ორი ხელწერილის

მიცემა დასჭირდა ხელისუფლებისათვის, რომ ეს არასოდეს არ ყოფი-
ლა წევრი მასონთა და სხვა საიდუმლო საზოგადოებისა და შემდეგ-
შიც არ იქნება.

გიმნაზიაში სოლ. დოდაშვილს მოუხდა ქართული ენისა და გეოგ-
რაფიის სწავლება. ის გიმნაზიაში პირველი მასწავლებელი იყო ქარ-
თული ენისა, რომელიც ცოდნით, უნარითა და პასუხისმგებლობით
შეეფერებოდა საქმესა და საღ პედაგოგიურ მოახლოენილებას. მან
თავიდანვე კარგად გაითვალისწინა, რომ ქართული ენის წარმატებით
სწავლებისათვის საჭირო იყო შესაფერი სახელმძღვანელოს შედგენა
და ისიც დაუყოვნებლივ შეუდგა ამ მეტად საჭირო, სასარგებლო და
გადაუდებელი საქმის მოგვარებას.

თუ როგორ მძიმედ და მრავალგზის იყო დატვირთული სოლ. დო-
დაშვილი საქართველოში ჩამოკვლისთანავე, ცხადად გვარწმუნებს
მისივე 1828 წლის 21 სექტემბერს მიწერილი წერილი იონა ხელა-
შვილთან, რომელსაც სოლომონი, ჩვეულებრივ, თავის მოქმედების
მიმდინარეობის ანგარიშს დაწვრილებით აცნობებდა ხოლმე: „აწინ-
დელი შრომა ჩემი მდგომარეობს შემდგომთა მუხლთა შინა: საკე-
თილშობილო სასწავლებელსა შინა — ორშაბათს განთიად ორს ჟამს
მეხუთეს კლასში გარდავცემ რიტორიკასა — ქართულსა და რუსულსა
ენებზედ, მეოთხეში — ორ ჟამს ქართულს ღრამატიკასა, ლექსთ-
თხზულებასა და მართლწერასა. დაშოთილის დროში ვჰსთხზავ რო-
მელთამე საგანთა, რომელნიცა იქმნებიან ქვემო აღწერილნი. სამშა-
ბათს დილით ორი ჟამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში ლეოლრა-
ფიასა და რიტორიკისათვის... პარასკევს ეგრეთვე ორ-ორი ჟამი —
3, 4, 5 და მეექვსეში რიტორიკისა და ლოლიკისათვის. გარდა ამათს,
ოთხშაბათს და შაბათს კომიტეტში ვსაქმობ. დაშოთილ ჟამებში და
ღამით თხზულებასა შინა ვატარებ დროსა“.

ჯერ კიდევ 1827 წლის 24 ოქტომბერს წერილით სოლ. დოდაშვი-
ლი გულისტკივილით აცნობს იონა ხელაშვილს, რომ ისედაც მასწავ-
ლებლის მძიმე მოვალეობა და შრომა მეტადაა დამძიმებული მოს-
წავლეთა შეუგნებელი დამოკიდებულებით სწავლისადმი: „მე მარა-
დის ვმეცადინეობ მიწდომისათვის საგნისა ჩემისა. გარნა ვერცა
ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან. რათა ეძიებდეს სარგებლობასა მა-
მულისასა, მხოლოდ თავის თავის განოზრდას სცდილობენ დღიურად,
არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა;
არა მოყვარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შე-
რევენულად მდგომარეობენ, მზად არიან ვნებისათვის რომლისამე
პირისა უბედურებისათვის და სხვათა, ხოლო მე ჯერეთ დადუმებული

გახლავარ სხვადასხვა წარმოებისათვის და განხსნათა სასწავლოთა აღვიღთა, ვეძიებ ღონესა და ვსჭკერეტ მდგომარეობათა“.

ამგვარ სიმძიმესა და უკმაყოფილებას სოლ. დოდაშვილი არაერთხელ აუწყებს თავის მოამაგეს იონა ხელაშვილს: 1828 წლის 6 ივლისს აი რასა სწერს სოლომონი იონა ხელაშვილს: „წარმოსულთა მაგათ (მოწაფეებს. — მ. ზ.) თავადთა და აზნაურთა არა აქვსთ მიღებული სული იგი, რომელიცა მიმიღიეს მე თქვენ შიერ. აქაცა უმრავლესი რიცხვი მათგანნი მიმოდაეგებიან იქი-აქა, არა მცნობნი არცა თავისა თვისისა და არცა სოფლისა ანუ არსებისა და ბუნებისა... რაი აქვსთ ანუ მუნ ძველსა მამულსა და ანუ ახალსა შინა საქადელი, ვინაიდგან არა რაი იხილვების საკუთრება მათი და არცა მოქმედება გონებით და ხელოვნებით. ყოველთავე იმათ გვარისა ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოთ ესრეთ: არა გვართა იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად, იგინი უსარგებლო ლექსებითა წარაგებენ ღირსებასა თვისსა და არა რაი დაშთებთ“...

სოლ. დოდაშვილის ასეთს განწყობილებაში აშკარად მოჩანს მისი ახალი ჰუმანური შეხედულებანი, ის კარგად გრძნობს, რომ ახალ დროში „არა გვართ იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებით ხელოვნად“ რომ ახალ დროში ფასდება კაცის პირადი ნიჭი, უნარი და ქვეყნისათვის სასარგებლო ზაქმე. მას თავისი პირადი მოქმედებით უნდა ხალხს ამისი ცოცხალი მაგალითი მისცეს და ამ ამოცანას პირადად ის, უდავოდ შეიძლება ითქვას, მაქსიმალური სისრულით აღწევს.

გარდა აღნიშნულისა, სოლ. დოდაშვილი თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოფხიზლება-ამოქმედებას სხვა მიმართულებითაც საგრძნობლად უწყობდა ხელს. მისი მოღვაწეობის პერიოდში — 1827-1832 წწ. ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა არა ხდებოდა მისი გონიერი, ნაყოფიერი და აქტიური მონაწილეობის გარეშე.

სოლ. დოდაშვილი მწვავედ გრძნობდა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების განვითარებაში არსებით ხარვეზებს. მიუხედავად მისი მძიმე დატვირთვისა, ის იშვიათი ენთუზიაზმით ცდილობდა მათ საფუძვლიან შეესებას თავისი პირადი ნიჭით, ინიციატივით, ცოდნით, დაუღალავი შრომით.

თავის მოამაგე მზრუნველს იონა ხელაშვილს სოლ. დოდაშვილი თავისი მუშაობის ასეთს ანგარიშს აძლევს 1829 წლის 28 დეკემბრის წერილში:

„აჰა, მამაო საყვარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1. შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვის.

2. სრულეყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა.

3. ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა, სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისანი.

4. ვჰსთარგმნე, ბრძანებითა მთავრობისათა, ცხენის სრბოლისათვის წიგნი.

5. შევარდგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასადმდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითოეული რას იპყრობს თვის შორის.

6. შევარდგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრივიკი), შეახმანი, ავთრათნი და სხვანი.

7. შევარდგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა.

8. ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ.

ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი, წარსულისა დროისანი და მომავალნი ღმერთმან უწყის“.

არ შეიძლება კაცი განცვიფრებაში არ მოვიდეს, როდესაც ამ ცნობებს უკვირდება. სულ რაღაც ორნახევარი წლის მანძილზე სოლ. დოდაშვილს ისეთ მძიმე და სამსახურეობრივ პირობებში ამოდენა საქმეც შეუსრულებია! ნიჭისა და ცოდნის გარდა, სოლ. დოდაშვილს რაოდენი სიყვარული და ენერგია გამოუჩენია და დაუხარჯავს ამ მოკლე პერიოდის მანძილზე. ეს პირველ რიგში მჭევრმეტყველი მაჩვენებელია სოლ. დოდაშვილის დიდი საზოგადოებრივ-პატრიოტული გრძნობისა და პასუხისმგებლობისა.

4

სოლ. დოდაშვილი ამ ფართო და სასარგებლო პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობითაც არა კმაყოფილდებოდა. ის უფრო ფართო საზოგადოებრივ საარბიელს ეძებდა. მის ცხოვრებას რომ ეცნობით, გარკვეულად რწმუნდებით, რომ სოლ. დოდაშვილი მთელი თავისი მდულარე არსებითა და განწყობით საზოგადო მოღვაწეა, ამ სიტყვის ნამდვილი და უკეთილშობილესი მნიშვნელობით; ის მოღვაწეა დიდი ამპლიტუდის, ფართო გაქანების; მოღვაწე, რომელსაც არ შეუძლია ჩაიკეტოს ვიწრო კვლევისა და ურთიერთობის ფარგლებში, რომლის ნიჭი და უნარი ფართო ცხოვრებასთან მჭიდრო ურთიერთობაში ივსება, მახვილდება, ძლიერდება.

სოლ. დოდაშვილის ასეთი ბუნებით აიხსნება, რომ ის სამშობლოში დაბრუნებისთანავე ეცნობა და უახლოვდება იმ დროინდელ ქართველ ცოცხალ მოქმედ ძალებს, ამყარებს მათთან მჭიდრო ურთიერ-

თობას. სოლ. დოდაშვილი თავისი მოჰზადებით, ნიჭითა და უნარიანობით, ცხადია, გაპირჩევა ქართული ცხოვრების სინამდვილეში. ის ყველგან არამცთუ გამოსადეგი, არამედ ფრიად საჭირო კაცი იყო.

ამით აიხსნება, რომ ახლად დამყარებული ხელისუფლებაც კი, გუბერნატორ სიპიაგინის სახით, ებლაუჭებოდა სოლომონს და კულტურული მოღვაწეობის სარბიელზე მუდამ თვალსაჩინო და რთულ დავალებას სთავაზობდა. 1828 წელს სოლ. დოდაშვილს მთავრობა ნიშნავს გაზეთი „ტფილისის უწყებანი“-ს საგამომცემლო კომიტეტის წევრად. ეს გაზეთი 1828—1832 წლებში სოლ. დოდაშვილის ახლო მონაწილეობით გამოდიოდა. როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე. ამ გაზეთის გამოცემაში სოლ. დოდაშვილმა აგრეთვე დიდი სიყვარული და სიბეჯითე შეიტანა.

სოლ. დოდაშვილი — განსწავლული მეცნიერი, ბუნებით ლიტერატორი, პოეტი, პუბლიცისტი, კარგად ჩახედული საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კარგადა გრძნობდა გაზეთის გამოცემის სარგებლობასა და საქიროებას თავისი ქვეყნის წინ წაწევის საქმეში. ამიტომ არც ამ საქმისათვის ზოგავდა ის თავის დროსა და ენერგიას. სოლ. დოდაშვილი ცდილობდა „ტფილისის უწყებანი“-ს ქართული გამოცემა უფრო შინაარსიანი ყოფილიყო. მას სურდა ამ გაზეთის ფურცლებს, შესაძლებლობის ფარგლებში რა თქმა უნდა, მაქსიმალურად გამოეტანა საქართველოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენები, კარგი და ავი, რათა ამ გზით ხელი შეეწყო ქართველი საზოგადოების გამოფხიზლებისათვის.

სოლ. დოდაშვილს აღარც „ტფილისის უწყებანი“ აკმაყოფილებს. მას უნდა ქართული ჟურნალი დააარსოს, რათა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნა-განმარტება უფრო საფუძვლიანად მოახერხოს და აღებული სამუშაო გეგმა — ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისა უფრო რაციონალურად მიმართოს.

როგორც ირკვევა ქართული ჟურნალის გამოცემის სურვილი ს. დოდაშვილს და „შეთქმულების“ ზოგიერთ წევრს ჯერ კიდევ 1828 თუ 1830 წელს დაებადათ, მაგრამ ამის განხორციელებაც იმავე სოლ. დოდაშვილის თაოსნობით შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 1832 წელს, ისიც არა დამოუკიდებლად, არამედ გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-ს დამატების სახით შემდეგი სათაურით — „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“. ეს ჟურნალი უნდა ყოფილიყო ორკვირეული. ასეც დაიწყო მან გამოსვლა, მაგრამ, როგორც ჩანს, უსახარობისა გამო, იმავე წელს მარტის თვეში შესწყვიტა გამოშვლა.

სოლ. დოდაშვილი რაოდენად ფართო საზოგადოებრივ-კულტურ-

რულ დანიშნულებას უსახავდა განსაკუთრებით ახლად გამოსულ ქართულ ჟურნალს და რაოდენად მოწადინებული იყო ის ამ ჟურნალის არსებობაში. ნაწილობრივ მაინც მშვენივრად ჩანს მისგან მიწერილ შემდეგ წერილში ფილადელფოს კიკნაძისადმი თებერვლის 6-ს 1832 წელს: „გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთით თეთრი ფული გახლავსთ იმისი ფასი. უკეთეს თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად, დაბეჭდენ ჟურნალებში. მე გირჩევ იყიდოთ, ამისათვის, რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქნება იმაში, და უკეთეს თქვენ შექნისნათ რასმე ცუდსა, ძალგიძთ წინააღმდეგომი დასწერთ, რომელიც დაიბეჭდება. ორს ნომერს ეხლავე გიგზავნი, რვა მანეთი გამოგზავნეთ... რათა შემდგომნი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოს. სხვათაც პსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა ხელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისთვის, რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს დაბეჭვდა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია, როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის, ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვთ ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოთ, თუ მეტს იშოვით, უფრო უკეთესი. ნურვინ დაზოგავს რვა მანეთს. ყოველთავე ურჩიე“.

ეს წერილი მკვეთრად ახასიათებს მდგომარეობას ამ პერიოდში ქართველი მოღვაწისა, რომელსაც გული ეწვის ქართული საზოგადოებრივი საქმისათვის, მუშაობა სწყურია, ფართო და გაუვლელი ასპარეზი, რომელიც პატიოსან მუშაკს იწვევს, წინ უძევს და შესაძლებლობა, პირობები კი მის სურვილსა და გაქანებას ვიწროდა და უხეშად ზღუდავს. სოლ. დოდაშვილის ეს წერილი იმ დროის ქართველი მოღვაწის მძიმე ტრაგედიას შლის.

ეს წერილი მეტად საგულისხმოა. ეს დოკუმენტი მკვლევარს კარგად აგრძნობინებს იმ დროში საზოგადოებრივი ცხოვრების საბიელზე მოქმედი მუშაკისათვის რამდენი მიმართულებით, რა წერილმანებზედაც კი იყო საჭირო ყურადღების გამახვილება, მუშაობის გაწევა. ასეთს მძიმე, რთულსა და წერილმან მუშაობას აწარმოებდა სოლ. დოდაშვილიც. რათა კულტურული მოღვაწეობის ფრონტი ახალი მიმართულებით გაეჭრა, ახალი შინაარსის ახალი ცხოვრებისათვის მყარი საფუძველი ჩაეყარა.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სოლ. დოდაშვილმა ქართული პირველი ჟურნალი თავს იღო არა მარტო გამოცემის ორგანიზაციის მხრივ, არამედ მისთვის გარკვეული შინაარსისა და მიმართულების მიცემითაც. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის

უწყებათანი“-ს გამოცემულ ხუთ ნომერში მასალა, შეიძლება ითქვას. სამი მეოთხედი მაინც სოლ. დოდაშვილის კალამს ეკუთვნის. აშკარაა, სხვა მრავალ სხვადასხვა ხასიათის მუშაობასთან ერთად ჟურნალის არსებითი წარმოებაც სოლ. დოდაშვილს კისრად უდვია და დრო და ჯანის დაუზოგველი გატაცებით წაუშარათავს ქვეყნის უკეთესობისაკენ.

მეტად მწვავე შთამაგონებლად ესმის მკითხველს ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ მე-5 №-ში მოთავსებული რედაქტორის (სოლ. დოდაშვილის) შემდეგი „განცხადება“, უფრო კი მართებული იქნებოდა მისთვის დაგვერქმია სასოება-მიხდელი რედაქტორის მიმართვა მკითხველისადმი: „ბრძანებითა მთავრობისათა, რომელიცა ჰზრუნავს კეთილმდგომარეობისათვის ამიერკავკასიისა მხარესა შინა მცხოვრებთა ერთასა, იწყო ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ტფილისის უწყებათამან აწინდელსა ამას წელსა, უმეტეს ამისათვის, რათამცა მისცემოდა ეს გვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვცელებისათვის ბუნებითისა ენის ჩვენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა. თუმცადა რომელნიმე იტყვიან, რომელ ჭერეთ არა იხილვების მიღებული ესე საგანი; გარნა თუ სადმე გამოცემასა ამას მისცემოდა საფუძველიანი დამყარება, მაშინ მისწვდებოდა უმთავრესსა საგანსა თვისსა და აღსრულდებოდაცა აღთქმა გამოცემელთა, რომელნიცა აქამომდე მოელოდნენ ხელის მომწერთა, გარნა ფრიად ცოტანი აღმოჩნდნენ მსურველნი მისნი და მოყვარენი განათლებისანი... ამის გამო, მიმღებთა ამისთა ვჰსთხოვთ უმორჩილესად, რათა მიიღონ შრომა... განუცხადოთ ყოველთა შემამულეთა და განაღვიძოთ მათ შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა, მოაწერონ ხელი და შეძლებისამებრ თვისისა მოსცენ შემწეობა განმრავლებისათვის ღონისძიებათა და საშუალებათა, რათამცა ზემოხსენებული გამოცემა განგრძელდეს საქებლად მამულისა“*.

სოლ. დოდაშვილმა, როგორც ჩანს, ამ ქართული პირველი ჟურნალისათვის გარკვეული, ახალი ცხოვრების მოთხოვნის მოპასუხის ხასიათის მიცემა მოიწადინა. ამიტომ თანამშრომლებდაც ძირითადად ამ ახალი მიმართულების თანაზიარნი მიიზიდა. ჟურნალს

* მასალა ჟურნალიდან „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ აქაც და შემდეგაც წინამდებარე შრომაში ციტირებულია საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს მიერ გამოცემულ „საისტორიო მთაბე“-დან, № 6, თბილისი, 1952 წ., გვ. 260—315.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ პროგრესულ-დემოკრატიულ-ეროვნული ხაზი გასდევს. ამას გარკვეულად ავლენს მასში მოთავსებული ძირითადი მასალა.

მთავარი წამყვანი ამ ჟურნალისა სოლ. დოდაშვილი, დგას რა თავისი ქვეყნის — საქართველოს მოთხოვნილებათა მართებული გაგებისა და მათი დაკმაყოფილების საფუძველზე, გრძნობს, რომ საჭიროა მისი ახალი გზით მიმართვა, ამისათვის კი საჭიროა პირველ რიგში რუსულ-ევროპული კულტურის გონივრული ათვისება ჩვენი ქვეყნის ინტერესებისა და მათი მოთხოვნილებების თანახმად და შემდეგ აღორძინება და განვითარება ეროვნული კულტურისა, ეროვნული ცხოვრებისა.

ჟურნალში, მართალია, ალაგ-ალაგ ჩართულია რუსეთის მონარქი-სადმი პატივისცემა, მაგრამ ეს უნდა მივიჩნიოთ, როგორც აუცილებელი ტაქტიკური ნაბიჯი ჟურნალის მესვეურთა, ვინაიდან იმ დროს ცენზურა ამის გარეშე ჟურნალს არ აბოგინებდა, — და არა გულწრფელი დამოკიდებულების გამოხატვა.

5

ექვს გარეშეა, სოლ. დოდაშვილი და ჟურნალის ზოგიერთი თანამშრომელი მიზნად ისახავდნენ, რომ ჟურნალს ერთგვარი როლი შეესრულებინა 1832 წლის შეთქმულთა საქმიანობის პოპულარიზაციაშიც. ამ მიზანდასახულობით უნდა აიხსნას ჟურნალში მოთავსებული მასალის ხასიათიც — ეროვნულ-ოპოზიციური. სახელდობრ: გ. დ. ერისთავის „ოპური მოთხრობა“ (№№ 2, 3, 4), რომელშიც მოცემულია ქართლ-კახეთის გმირული ბრძოლა XVII საუკ. დამპყრობელ სპარსთა სამშობლოდან განდევნის მიზნით. მოთხრობაში წინ წამოწეულნი არიან ამ ბრძოლის ისტორიული გმირები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ქართველმა ხალხმა თავდადებული გმირების ხელმძღვანელობით შესძლო მტრის საარაკო დამარცხება, ქვეყნის გათავისუფლება. იგრძნობა ეროვნული გაერთიანების, ეროვნული გათავისუფლების იდეის წინ წამოწევა.

ამავე იდეას გამოხატავს თ. გურამიშვილის — „საყვარელო მამულო“, რომელშიც, თუმცა ის იმპერატორ ნიკოლოზ I უმადლის, მაგრამ მაინც სიამოვნებით აღნიშნავს, რომ სამშობლოს შვილნი ადგილობრივად კი ნათლდებიან, რომელნიც გააახლებენ ძველი დროის მის შესანიშნავ მწერლობას. გურამიშვილი მიმართავს თავის სამშობლოს და შთაგონების კილოთი ეუბნება, რომ დადგა დრო, მან ეს უნდა ირწმუნოს, იდღესასწაულოს და დამშვიდდეს — „რამეთუ

ძენნი იგი შენნი განათლებულნი... არიან გამზადებულ ყოველსა ჟამსა, რათა დაუყონ პირნი შენზედა ცრუმეტყველთა. ხოლო მოყვარენი შენნი ყრპანიცა არიან დიდსა მეცადინეობასა შინა... განათლებასა და შემძლებლობასა და იყვენ მარადის პასუხისმგებელნი ცრუმეტყველთა და მტერთა შენთანი“*.

შესაძლებელია, ფანტასტიური თხზულება „ჟინევრა“, რომლითაც იხსნება ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ალევგორიულად ეროვნული გრძნობის გამახვილებას ემსახურებოდა და სწორედ ამ მიზნით იყო ის მოთავსებული ჟურნალის პირველი ნომრის თავშიც, როგორც ჟურნალის მოწინავე.

შესაძლებელია ჟინევრას სახით სოლ. დოდაშვილს ეზმანება საქართველო, რომელიც ფრანჩესკომ (პრივილეგიურმა კლასმა, რომელიც მის პატრონად ითვლებოდა) ის სიკვდილამდე მიიყვანა, ვერ მოუარა, უდროოდ დამარხა. მაგრამ სოლ. დოდაშვილს სწამს, რომ ჟინევრა (საქართველო) არ მოშვედარა, ის თავს დაახწევს საფლავსაც კი (ტყვეობას), ადგება (განთავისუფლებდა), როგორც ჟინევრა, ხოლო საფლავიდან ადგომის შემდეგ ჟინევრას (საქართველოს) მიიღებს არა ფრანჩესკო (პრივილეგიური კლასი—მხდალი, დაძაბუნებული, გაუბედავი, საღ გრძნობა დაკარგული), არამედ ანტონი (ხალხი) — სისხლ სრული, ძლიერი, გაბედული, უზადო გრძნობის მატარებელი, რომელსაც ჟინევრა (საქართველო) ნამდვილი, წრფელი გრძნობით უყვარს, მაგრამ რომელსაც თავის დროზე, წინათ, მას არ აკუთვნებდნენ.

სოლ. დოდაშვილი ამ ნაწარმოების — „ჟინევრა“ თარგმნითა და დაბეჭდვით, როგორც თავისი მოღვაწეობის სხვა მხარეებითაც, ჩვენ გვეჩვენება, როგორც ერთგვარი ნიჰიერი წინამორბედი ჩვენი თერგდალეულებისა, რომელთაც აგრეთვე სწამდათ საქართველოს აღორძინება დემოკრატიულ საფუძვლებზე, რასაც, მკაცრი ცენზურული პირობების გამო, ხშირად ალევგორიებითა და ქარაგმებით გამოხატავდნენ ხოლმე.

სოლ. დოდაშვილის დემოკრატიულ პოლიტიკურ განწყობილებას იდასტურებს, გარდა მისი, უდავოდ, იშვიათი შეგნებული და დაუზოგველი ენერგიით მრავალმხრივი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა, საგამომძიებლო კომისიისადმი ვახ. ორბელიანის საგულისხმიერო ჩვენებაც, რომ მან, ვახ. ორბელიანმა, სოლ. დოდაშვილისაგან 1832 წელს გაიგონა შემდეგი სიტყვები: „როდესაც ტფილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, იმან მითხ-

* „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, № 5.

რა: „ღიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ“*.

ეს უკანასკნელი სიტყვები: „თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ“, ექვევარეშეა, მიეკუთვნება არა ბატონიშვილს ოქროპირს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ თვითონ სოლ. დოდაშვილს. აქედან, ცხადია, სოლ. დოდაშვილი „შეთქმულებაში“ მონაწილეობით, ფიქრობდა საქართველოს განთავისუფლებასა და მის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობას რესპუბლიკანურ საფუძვლებზე.

ცნობილია, რომ ყველაზე მძიმედ დაისაჯა სოლ. დოდაშვილი და სწორედ იმისათვის, ჩვენი ფიქრითაც, რომ მისი შეხედულებანი, თვით მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტი, საგამომძიებლო კომისიის გაგებით, „შეთქმულების“ ყველა წევრზე მეტად იყო სახიფათო და საშიში არსებული წყობილებისათვის. სამართლიანია ა. ქუთელიას განმარტება, რატომ დაისაჯა ს. დოდაშვილი ასე მძიმედ: „ცხადია, — წერს ა. ქუთელია.— მთავარ როლს თამაშობდა არა დოდაშვილის დანაშაულობა შეთქმულების მოწყობა-ორგანიზაციაში, არამედ მისი განმანათლებლურ-რესპუბლიკური მრწამსი და სოციალურა მდგომარეობა, რაც მართალია ბრალდებაში ფორმალურად წაყენებული არ იყო, მაგრამ სასჯელის გამოტანის დროს აშკარად ანგარიშში იყო მიღებული“**.

სოლ. დოდაშვილის დემოკრატიული მიმართულება საგრძნობი სიციხლითაა გამოვლინებული ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ამ ჟურნალში, გარდა ზემოთ აღნიშნული ეროვნული საკითხისა, მოთხრობა-ზღაპარში „ჟინევრა“ სოლ. დოდაშვილის მიერ აღძრულია კიდევ ეპოქის მტკივნეულ საკითხთა მთელი რიგი.

მაგალითად, მის მოთხრობა — ამბავში „ელენა“*** მოცემულია წოდებრივი უთანასწორობის გაკიცხვა, რაც განახლებული ცხოვრების პირობებში უფრო მტკივნეულად იყო დასმული. შესაძ-

* გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 92.

** ა. ქუთელია, „სოლომონ დოდაშვილი და მისი ლოგია“, გვ. XLVII.

*** „სალიტერატურონი ნაწილნი“, №№ 4,5.

ლებელია მოთხრობისათვის მტკიცენული წინააღმდეგობის თავიდან ასაცლებლად, სოლ. დოდაშვილს თავის ამ ნაწარმოებისათვის ასეთი ქვესათაური მოუცია — „ანეგდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება ათრვამეტია საუკუნისა“.

მოთხრობის გმირი ომანი, წოდებრივი უთანასწორობით გადიდებული, გაამაყებული, ქედმაღალი შეძრწუნებულია თავისი ქალის ელენესი და ახალგაზრდა ამირანის დამოკიდებულებით, რომელთაც ქეშპარიტი მგზნებარე სიყვარულით უყვართ ერთმანეთი. ომანმა „უარპყო წინადადება ამირანისა, ვინაიდან ხარისხსა ღირსებისა თვისასა განავრცელებდა ფრიად შორს და ჰრაცხდა უმადლესად“. ამიტომ ომანმა თავის ქალს ელენეს სასტიკად აუკრძალა ამირანთან შეხვედრა. მაგრამ სიყვარულმა სძლია დაბრკოლებანი. ქალი ამირანთან გაიქცა. მამამ, არსებული უფლებების ძალით ქალი დაიბრუნა. მაგრამ შეყვარებულნი, მამის უჩუპრად განაგრძობენ შეხვედრას. ელენეს შეეძინა ნაყოფი სიყვარულისა. მამის მასთან მისვლისას შეშინებულ ელენეს ბავშვი ხელიდან გაუვარდება, ბავშვი კვდება. სამსჯავრო „ვეუწყნარებელი იყო და ბრალეულპყოფდა ელენესა“. სამსჯავრომ ელენეს დანაშაულისათვის სიკვდილი გადაუწყვიტა. ამის შემდეგ ამირანიც იღუპება. მართალია, ელენეს მამამ ბოლოს იგრძნო თავისი დანაშაული და შეწუხდა კიდევ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მართალია, აღნიშნულ მოთხრობას სანტიმენტალური ხასიათი აქვს, მაგრამ მოთხრობის და მით თვით ავტორის სოლ. დოდაშვილის მიზანდასახულობა კი წმინდა რეალისტურია. ამ მოთხრობით, ვფიქრობთ, სოლ. დოდაშვილი მკითხველს დამაჯერებლად ეუბნებოდა: ასეთია მავნებელი, ბოროტი და უსაფუძვლოდ გამანადგურებელი წოდებრივი განახევების უარყოფითი გავლენა და შედეგები როგორც ცალკეულ პირთათვის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

მოთხრობით სოლომონ დოდაშვილს იმისავე თქმა უნდა ცოცხალი სურათის დახატვით, რასაც ის, აღელვებული მაშინდელი მაღალაწოდების ახალგაზრდობის განწყობილებითა და ქცევით, გულისტვილით სწერდა 1828 წლის 6 ივლისის ზემომოწყვანილ წერილში იონა ხელაშვილს: „არა გვართა იქნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად“.

სოლ. დოდაშვილმა პირადი დაკვირვებისა და მოვლენათა გაგების საღი უნართა და ფართო განათლებით კარგად გაითვალისწინა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში მხოლოდ პიროვნების ნიჭი და უნარი სჭრის ცხოვრების ფართო შარა გზას, ცხოვრებაზე დაკვირვებამ ის

დაარწმუნა, რომ „ნაჰს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარი-
შვილობას“. ამის ტკივილი, ძალაც და კმაყოფილებაც მან, ალბათ,
თავის თავზედაც გამოსცადა, როგორც „რაზნოჩინეცმა“.

სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში, იმ დროს რუსეთის სატახტო ქა-
ლქში, ცხოვრობდა მეტად საგულისხმო წლებში. ეს იყო წლები
დეკაბრისტების გაცხოველებული არაღეგალური მუშაობისა და
1825 წლის 14 დეკემბერს მათ მიერ სენატის მოედანზე აჯანყების
მოპდენისა. ცნობილია, ამ აჯანყებამ არაჩვეულებრივი მძლავრი
ბიძგი მისცა განახლების გზაზე შემდგარი რუსეთის ეკონომიურ, სო-
ციალურ და კულტურულ ცხოვრებას. რუსმა საზოგადოებამ მანამდე
არაჩვეულებრივი ინტენსივობით იწყო გაშლა თავისი შემოქმედები-
თი ძალებისა როგორც ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ისტორიის
სფეროში, ისე პოლიტიკური და ჟურნალისტიკური მოღვაწეობის მი-
მართულებით. რუსი საზოგადოების ეს გაცხოველებული საზოგა-
დოებრივ-ნეცნიერული განწყობილება სოლ. დოდაშვილმა მძლავ-
რად ისუნთქა პეტერბურგში სწავლის დროს და სამშობლოში დაბ-
რუნებისას მოინდომა ამგვარივე მიმართულებით აქაც ცხოვრების
გზის გაკვალვა.

სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში ყოფნისა და სწავლის წლებში-
ვე აშკარად რწმუნდება, რომ საქართველოს ისტორიული გზა ამიე-
რიდან რუსეთთან მჭიდრო კავშირშია, ამიტომ ქართველი მოწინავე
საზოგადოება მჭიდრო კავშირში უნდა იყოს რუსი ხალხის მოწინავე
საზოგადოებასთან, რომლის მოწინავე იდეები და გამოცდილება უნ-
და გადმოიღოს, გამოიყენოს, რაც მის ქვეყანას მისცემს წინსვლე-
ლობის საშუალებას.

შეაძლებელია, სოლ. დოდაშვილის ასეთი გაგებით აიხსნებოდნენ
ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“
მოთავსებული წერილები პეტერბურგიდან სტეფანე დოდაშვილისა
(სოლომონის ძმისა) და პასუხი სოლომონისა.

სტეფანე დოდაშვილი ამ დროს ცხოვრობდა და მსახურობდა პე-
ტერბურგში. ის აღტაცებულია იქაური ცხოვრებით, შთაბეჭდილე-
ბებს უზიარებს წერილში თავის ძმას და სხვათა შორის აი რასა
სწერს: „ყოველი რაიცა თქმულიყო ჩემდა სატახტოსა ამის ქალა-
ქისათვის არა ემსგავსება სიმართლესა: ესე არა არს ქალაქი, არამედ
შვენიერი და სრული ქვეყანა, სადაც ყოველივე ქმნილ არს სხვა გვა-
რად, ვიდრეა მანდ... წარმოიდგინე მშაო, კახურის ღვინით მთვრა-
ლი კაცი, რომ შემომხედო ეხლა, სწორედ იმის მსგავსად განლიგე-
ბული ვარ ესეოდენთა დიდ შვენიერთა აღმკობილებათაგან შეგნე-
ბულებათა, წყობილებათა მათთა და სხვათა. რაიცა შეეხება აქაურ-

სა ვანათლებლასა, გონება ჩემი იწრო არს ამისთვის, რათა მოგწერო... მსურს გულითად გაცნობო ყოველივე, მაგრამ იწრო გონება ჩემი ესრეთ აღვსილ არს, რომელ არ ვიცი, საიღამ დავიწყო და რასა ზედა დაეაფუძნო აზრნი ჩემნი“*.

აღბათ, რუსეთის ახალი ანაკადებულნი ცხოვრებისადმი მკითხველთა ინტერესის გაღრმავების გამოწვევის მიზნით, სოლ. დოდაშვილი ამ წერილს თავის პასუხს ძმისადმი ყურნალის ამავე № 2-ში ათავსებს. ეს პასუხიც საგულსხმოა სოლ. დოდაშვილის განწყობილების გაგების თვალსაზრისით. ამ წერილ-პასუხს სოლ. დოდაშვილი, აღბათ, საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევდა. მოვიტანთ აქედან ნაწყვეტს: „უსიამოვნესი წერილი შენი მივიღე... დიდად მოხარული ვარ, ვარნა მსურდა მე, რათა ყოველივე მოგწერა ჩემთვის. თუმცა-ღა მიხილავს აღმკობილი ეგე ქალაქი, გარნა... შემდგომ ჩემსა მრავალი ცვალება იქმნა... სასიამოვნო არს და სახალისო გაცნობა ჩემი ქვეყნისა შაგის, სადაცა საყვარელნი შემამულენი ჩვენნი იმკიან განათლებათა და მდიდრდებიან ცნობათა მიერ“.

სოლ. დოდაშვილი თავის წერილში, აღბათ, მკითხველთა შთაგონების მიზნით, აღნიშნავს რა ქართველი ხალხის ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ ნიჭთა და მისი ქვეყნის შესაბამისად ნაყოფიერებასა და „კეთილგანხმულ ჰაერს“, ერთგვარი მწუხარებით შენიშნავს, რომ ის შესაფერისად ვერ წავიდა წინმსვლელობის გზით, ვინაიდან „არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნის მოყვარებითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა“. მაგრამ სამაგიეროდ, კმაყოფილებით წერს ის, ამ უკანასკნელ წლებში ყოველივე დაბრკოლება აღბოცეს“, დამყარდა მშვიდობა და „საგრძობლად ჰსჩანს განცისკროვნება სხიეთა ჭეშმარიტისა განათლებისათა მამულსა შინა ჩვენსა“. ეჭვს გარეშეა სოლ. დოდაშვილი „ამ უკანასკნელ წლებში“ გულისხმობს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წლებს.

სოლ. დოდაშვილი ამავე წერილში აღნიშნავს „ამ განათლების სხიეთა“ დადებით შედეგებს ჩვენს ქვეყანაში. „ტფილისსა შინა არს ღიმნაზია და სემინარია, ყოველთა სხვათა ამიერკავკასიის მხარესა ქალაქთა შინა დაწესებულ არიან საერონი და სასულიერონიცა სასწავლებელნი. მოწაფენი, რომელნიცა აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა აღგვითქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა. შესაძლებელ არს, რომელ მზისა შაგის ნაბერწყალი მცირე მცირედ განვრცელდეს და ოდესმე აღვიდეს მაღალსა ზა-

* „სალიტერატურონი ნაწილი“... № 2.

რისხსა ზედა სრულებიასა. მე აწინდელისა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომატებული შეუძლებელ არს... ერთის სიტყვით გითხრა, აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა, მაშასადამე ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა, უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი, საარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომენი, შემწენი და მფარველნი“.

სოლ. დოდაშვილი სიამოვნებით ამცნობს თავის ძმას ახალი მდგომარეობის კეთილ მოვლენებს, რა თქმა უნდა გასაგონად და ყურადსაღებად ქართველთა მკითხველთა, რომ „მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა მშვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვადასხვა საგანთა, რომელთაცა იხილავ ქართულსა გაზეთსა შინა... აწ ზედმიწევნით ჰსცნეს მემამულეთა ჩვენთა... მიიქცენ მის საშუალებისადმი, რომელიცა აწარმოებს აღყვავებასა სამშობლოსა ჩვენისასა“... და ყოველივე ნათქვამის დასადასტურებლად სოლ. დოდაშვილი თავის ძმას დიდი კმაყოფილებით აცნობებს, რომ „ჩვენს ქალაქში წარსულს კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა ჰახლსა შინა. საკურვლად წარმოადგინეს, მერწმუნე, უკეთესად აღარ შეიძლებოდა გარნა რა წარმოადგინეს და ვითარ, ამას ყოველთავე საკუთრივ მოგწერ“. სამწუხაროდ, აღარ ჩანს სოლ. დოდაშვილის მეორე წერილი, სადაც ის ამ წარმოდგენის შესახებ სწერდეს ძმას.

ცხადია, სოლ. დოდაშვილი ახალი, რუსულ-ევროპული განათლების გავრცელებას ქართველთა შორის დიდ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. ეს, მისი სწორი შეხედულებით, ხალხის გათვითცნობიერებას ფრიად შეუწყობს ხელს; ეკონომიურად. კულტურულად წინ წასწევს ქვეყანას, შეგნებულ ურთიერთობას დაამყარებს ერის სხვადასხვა ფენათა შორის.

საგულისხმეოა და ხაზი უნდა გაეკვას იმ გარემოებასაც, რომ ამავე წერილში სოლ. დოდაშვილი უცილებლივ საჭიროდ სთვლის, რომ განათლება ერის ყოველ ფენისათვის, ყოველი წოდებისათვის იყოს მისაწვდომი, ყოველწოდებას სწავლა-განათლების შემწეობით უნდა შეეკმნეს თავისი „კაცთმოყვარენი, საარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომელნი, შემწენი და მფარველნი“. ფრიად საგულისხმოა ეს დებულება თუ სანუკვარი მისწრაფება სოლ. დოდაშვილისა. აქაც ხომ მკლავნდება მისი რესპუბლიკური მრწამსი!

აი ასეთ დემოკრატიულ საფუძველზე კულტურული აღორძინების. ქვეყნის წინ წაწევის, აყვავების, ერის ნიჭისა და უნარის გაშლის მიზნით უნდა სოლ. დოდაშვილს გამოიყენოს ყურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ამასთან დაკავშირებით, აქვე ყურნალში სოლ. დოდაშვილი ცდილობს ქართველი ხალხის მიერ თავისი ისტორიის მანძილზე შექმნილი ლიტერატურული მონაპოვრები გამოამზეოს, პოპულარიზაცია გაუკეთოს არა მარტო უცხოეთის, რომელნიც მათ არც იცნობდნენ, არ უწეოდნენ სათანადო ანგარიშს და არც სათანადოდ აფასებდნენ, არამედ მრავალ ქართველისათვისაც, რომელნიც მეტად უინტერესობასა და დაუდევრობას იჩენდნენ. სოლ. დოდაშვილს კარგად ესმოდა, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ეს უნდა შთააგონოს პირველ რიგში ქართველ მკითხველს.

ამ მისწრაფებითვე აიხსნება სოლ. დოდაშვილის მუშაობა როგორც ქართულ ენაში, ისე ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, რის სერიოზული ცდები მას ნაწილობრივ მაინც მოცემული აქვს თავის ყურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“.

ამ ყურნალის ფურცლებზე სოლ. დოდაშვილი იძლევა გონებამახვილ ცდას ქართული ლიტერატურის განვითარების გზების განსაზღვრის მიზნით თავის წერილში „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“* (№№ 1, 2).

აღნიშნულ წერილში სოლ. დოდაშვილს უნდა დაინტერესებულს, თუ ქართველთადმი ბოროტი ზრახვებით განწყობილ მკითხველს ქართული ენისა და ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების შესახებ მისცეს დასაბუთებული ცნობა და უნდა ითქვას, ავტორი იმ დროისათვის საკითხის, მასალის კარგ ცოდნასა და კარგი კვლევის ილღოსაც იჩენს.

სოლ. დოდაშვილი ამ წერილის დაწერისა და დაბეჭდვის გამომწვევი მიზეზების შესახებ მკითხველს წერილის დასაწყისშივე გულახდილად შემდეგს ეუბნება: „ჩვენ შეგვემთხვა სმენა დამტკიცებითა სჯათა მრავალთა კეთილმზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა,

* ამ წერილში სათაურის უკანასკნელი ნაწილი — „ანუ სიტყვიერებისა“ პირველ წერილში (№ 1) — ფრჩხილებშია მოთავსებული, ხოლო მეორე წერილში (№ 2) ფრჩხილები აღარ არის.

არა განვითარებულ არს და შესაბამელადცა გარმონიისადმი არა ვითარისაჲ მექონ არს სიამოვნისა“.

აი ამ უადგილო და უსაფუძვლო ქედმაღალ და ქართველთადმი მტრულად განწყობილ უეც უცხოელთა და, შეაძლებელია, ზოგიერთა გადაგვარებულ ქართველთადმიცაა მიმართული სოლ. დოდაშვილის ღრმა გულიწყრომაცა და სხენებული სერაოზული წერილიც.

სოლ. დოდაშვილი მცოდნე კაცის ავტორიტეტული შიამაგონებელი კილოთი წერს: „მცნობთა ბუნებითისა ენისა ჩვენისათა გვსურის, რათა ვარწმუნოთ პატიეცემულთა გვამთა მათ, რომელ ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი შვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვადასხვა და ძველთა და უახლესთა ენათაგან. ამისათვის ვრაცხთ ჩვენ საჭიროდ, რათამცა პირველად ვაცნობოთ საზოგადოებასა მცირე ესე განხილვა ისტორიისა სიტყვიერებისა ჩვენისა, ხოლო შემდგომად აღვრიცხოთ წერილნი და თვინიერ პირმოთნეობისა ფასდებულ ვჰყოთ ქმნილებითურთ თვითოეულნი აქსონნი ღირსებისამებრ მითისა, რომელთაგანცა მოყვარენი საზოგადოების განვითარებისანი იხილავენ ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნივთიერებასა სალიტერატუროისასა, რომელიცა აქამომდე წყვილიადა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულისა ევროპისათა (№ 1).

პირველ რიგში სოლ. დოდაშვილი ქართული ენის წარმოშობისა და უძველესი დროიდან თავისთავადობაზე წერს. ის ეწინააღმდეგება სომეხ მწერალთა იმ აზრს, ვითომც ქართული ანბანი შემოღებულია სომეხთა მეოხებით და ქართული ენაც სომეხურიდან წარმოსდგა. სოლ. დოდაშვილი ქართული ისტორიული წყაროების საფუძველზე ამტკიცებს, რომ „წერილნი ანუ ასონი ქართულისა ენისანი შემოღებულ არიან, ეგრეთვე ენაცა განწოფელებულ პირველის მეფის ფარნაოზისა მიერ... უწინარეს ქრისტეს შობისა 327-ის წელსა. იგინი იყენენ სრულიად განსხვავებულნი ასოთაგან სხვათა ერთასა“.

სოლ. დოდაშვილის გაგებითა და მტკიცებითაც, არ არის „საფუძვლიანი და დამამტკიცებელი“ ის აზრი, რომ ქართული და სომეხური ენები ერთს ოჯახს მიეკუთვნებიან იმ მოსაზრებით, რომ ამ ენებში გვხვდება საერთო სახმარებელი სიტყვები. ამით, როგორც ის სამართლიანად შენიშნავს, — „შეუძლებელ არს მითვისება მათი და არცა დამტკიცება. შესაძლებელ არს, რომელ არა ქართულმა ენამ მიიღო ლექსი სომეხურიდამ, არამედ სომეხურმან ენამან ქართულიდამ“ (№ 1) და ბოლოს დასძენს: „ძირი ენისა ჩვენისა უნდა იყოს საკუთარი, ესე სჩანს ყოველთა ძველთა წერილთაგან, ჩვენ ვერ ვხვდავთ ვერცა

ასოთა, ვერცა ხმათა და გამოღებათა, არათუ ოდენ ლექსთა, რომელთაცა აქვნდეთ მკვეთრი მსგავსება სულსა შინა სომხურისა ენისასა“.

ენისა და ანბანის შემოღების საკითხის ასე გადაჭრის შემდეგ, სოლ. დოდაშვილი ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მაღალი თვისების საღი აღლოთი და კარგი გაგებით აღნიშნავს, რომ ქართველებს ძველთაგანვე „ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ზელოვნებათა“. სოლ. დოდაშვილი კარგი ცოდნითა და სწორი შეფასებით აღნიშნავს, რომ ქართველთა მწერლობას ძველიდგანვე ამშვენებენ როგორც მთარგმნელნი, ისე ორიგინალურ თხზულებათა მწერლები, როგორც სასულიერო, ისე საფილოსოფიო და საერო მწერლობაში...

სოლ. დოდაშვილი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით ასახელებს, მართლაც, ძველიდანვე ღირსეულ წარმომადგენელთ ქართული ორიგინალური მწერლობისას, განსაკუთრებით და სამართლიანადაც ყურადღებას ამახვილებს XI—XII საუკუნეების წარმომადგენლებზე, როდესაც „ქართველნი იდგნენ უმაღლესსა ხარისხსა ზედა ძლიერებისა და განათლებისასა, იგინი განსხვავებულ იყვნენ სიმხნითა, ს-ბრძნითა, სათნოებითა და პოეზითა“.

ამ პერიოდიდან სოლ. დოდაშვილი სანიმუშოდ ასახელებს ქართული მწერლობის ზოგიერთს წარმომადგენელს: ექვთიმეს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, თეოფილეს, არსენ იყალთოელს, ივანე ტარიკისძეს და სხვათა და დასძენს: „ზემოხსენებულთა მწერალთა არათუოდენ ჰსთარგმნეს ელინურის ენიდგან ყოველნი საეკლესიონი წიგნნი, საღვთისმეტყველონი, საფილოსოფოსონი და სხვანი, არამედ აგრეთვე დასწერეს თვისსა ენასა ზედა ყოველთა ნაწილთამებრ სიტყვიერებისათა თხზულებანი“. ჩამოთვლილ მწერალთა შორის სრულიად სამართლიანად განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს, რომელიც, სოლ. დოდაშვილის გაგებით, — „სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული კაცი დროისა თვისისა“ (№ 1).

მაგრამ სოლ. დოდაშვილი, განსაკუთრებული სიამაყითა და სიამოვნებით აღნიშნავს რა თანარ მეფის ბრწყინვალე ხანას, როდესაც ქართული საერო მწერლობა ადის მწერლობის დიდ მწვერვალებზე, რომელიც აწ მცირედ ცნობილ საქართველოს საყოველთაო ყურადღების ღირსად ხდის, ასახელებს, მართლაც, XII საუკუნის ქართული მწერლობის ისეთ კორიფეებს, როგორიც იყვნენ—მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი და სხვა. აძლევს რა მათ ღირსეულ მაღალ შეფასებას, დაასკვნის: „დასამტკიცებლად მისსა,

რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი—„ვეფხისტყაოსანი“. მეორე ლექსი ჩახრუხადისა— „თამარიანი“ — ქება თამარ დედოფლისა უმაგალითოისა თანხრობისა გამო თვისისა და ძნელის გვარისა გამო სტიხთასა ფრიად შესანიშნელ არს“ (№ 2).

სოლ. დოდაშვილი, ასეთი მიმზიდველობითა და აღფრთოვანებით დაახასიათებს რა ქართული მწერლობის განვითარების მეორე პერიოდს, ამთავრებს მას თამარის ეპოქის აღწერით. შემდეგი საუკუნეების ქართულ ლიტერატურას XIII საუკუნიდან—მონგოლთა შემოსევიდან XVIII საუკუნემდე—ერეკლე II გამეფებამდე სოლ. დოდაშვილი სთვლის, სხვადასხვა მიმე გარემოებათა განო, დაცემის პერიოდად. „მიზეზნი ამისნი იყენენ ზედდასხმანი გარემოთა ბარბაროსთანი, რომელნიცა ჰყოფდნენ ხშირთა შეიწროებათა და დიდთა მოოხრებათა“, სოლ. დოდაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთი შევიწროების—დაცემის ხანა საქართველოსი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ პოეტური შემოქმედება კი ამ ხნის განმავლობაში არ დადუმებულა. „დროსა სპარსთა თანა მშვიდობის დანტკიცებისასა კვალადცა განიცენოდნენ ტკბილნი ხმანი გალობისანი საქებელად განვლილთა წელთა“ (№ 2). ამ პერიოდის ქართველი მწერლებიდან ნიჭიერ მწერლებს და მათ შორის თეიმურაზ I მაღალ შეფასებას აძლევს.

აღორძინების პერიოდად სოლ. დოდაშვილი მიიჩნევს XVIII საუკუნეს, ერეკლე II ტახტზე ასვლიდან, საიდანაც იწყება საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების იმედების გამოცოცხლება და სწავლა-განათლების აღდგენა-გადმონერგვა. სოლ. დოდაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ანტონ კათალიკოსის მრავალმხრივ კულტურულ მოღვაწეობაზე. ანტონ კათალიკოსმა, სოლ. დოდაშვილის შეფასებით, — „შეთხზა ვრცელი ქართული ღრამმატიკა, დაწერა კატეხიზისი, ჰსთარგმნა ქართულად კურსი ბაუმეისტრის ფილოსოფიისა და შემდგომ ნოსვლისა თვისისა საქართველოსა შინა დააწესა რაოდენიმე სკოლანი, რომელთა შინა გარდიცემოდნენ ღრამმატიკა და რიტორიკა, ისტორია და ლეოღრაფია, არიხმეტიკა, ფილოსოფია და ღვთისმეტყველება... თარგმნა რიტორიკა... შეთხზა წყობილსიტყვაობა... შრომითა მისითა შედგენილ არს ისტორია საქართველოს მეფეთა და სხვანი ისტორიულნი წიგნნი“. სოლ. დოდაშვილი გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ ანტონ კათალიკოსმა თავისი გრამატიკით ხელოვნურად შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება, რომელიც მკვე-

თრად და ნიჭიერად განოვლინებული იყო დავ. გურამიშვილის შემოქმედებაში. ეს ხდება იმიტომ, რომ სოლ. დოდაშვილი მოხიბლულია ანტონის მრავალმხრივი სასარგებლო მუშაობით, რომელიც მას აღნიშნული აქვს. ანტონის ამგვარ მოღვაწეობაში სოლ. დოდაშვილი, ალბათ, ხედავდა საქართველოს ცხოვრების ახალი გზით — რუსულ-ევროპული გზით მიმართვას, რაც, მისი გაგებით, სასიცოცხლო გზა იყო ქართველი ხალხისათვის.

სოლ. დოდაშვილი ამ აღორძინების პერიოდიდანვე ასახელებს ღირსშესანიშნავ წარმომადგენლებს განათლების გზის მაძიებელთ — ისტორიკოს ვახუშტის, სულხან-საბა ორბელიანს, ყოვლად სამღვდელია გაიოზს, იასე ერისთავს, დიმ. ციციშვილს და სხვათა, რომელთა, მისი დახასიათებით, — „შენიერ სიტყვაობითა თხზულებანი სტიხად და პროზად ღირსარიან გონებგანმხილველისა ყურადღებისანი“ (პს 2).

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ მეტად საგულისხმო და აგრეთვე რთული პრობლემების გარკვევაში სოლ. დოდაშვილი ჩინს ქართული მწერლობის საკმარისად დიდი მოცულობის მასალის კარგ ცოდნასაც, მისი შეფასების მშვენიერ ალღოსაც და აგრეთვე მისი ისტორიული განვითარების საფუძვრების სწორ გაგებასაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, განსაკუთრებით მისი პერიოდიზაციის პრობლემის გარკვევას სოლ. დოდაშვილმა ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემის შესწავლის ისტორიას XIX—XX საუკუნეთა მანძილზე რომ გადავხედოთ, შეიძლება ითქვას, ის ძირითადად უახლოვდება ს. დოდაშვილის პროზაიას. ეს გარემოება, უდავოდ, იმისი მაჩვენებელია, რომ სოლ. დოდაშვილი მრავალმხრივ განათლებული, ალღოიანი და ნიჭიერი კაცი იყო და საკითხების გარკვევას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

7

სოლ. დოდაშვილი, როგორც მოჭირანხელე მოქალაქე თავისი ეპოქისა, კარგად ხედავდა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში საჭიროა და გადაუდებელიც ქართული აზროვნების მრავალი მიმართულებით ამოქნელება. ის ისწრაფოდა თავისი სამშობლოს ცხოვრების ვითარება მოწინავე ერების ცხოვრების მაღალ საფეხურზე მდგომი ენახა. ყოველ შემთხვევაში ქართველი ხალხის განვითარების ისტორიული გეზის იქითკენ მიმართვაში ენერჯის მაქსიმალური დაქიმივით ხელს უწყობდა. ამ მიზანს ხომ ის თავისი ჟურნალსაც „სალიტე-

რატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ უსახავდა. სოლ. დო-
დაშვილს კარგად ესმოდა, რომ აწმყოსა და მის საფუძველზე მომა-
ვლის გეზის სწორი გაგნება შეიძლება მხოლოდ წარსულის საღი
შესწავლის საფუძველზე. საჭიროა წარსულის უგულებელყოფა კი
არა, რასაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ქართველ საზოგადოების საგრ-
ძნობ ნაწილში, არამედ მისი ცოდნა, შესწავლა. ამიტომ ის ქურნალ-
ში ათავსებს ნარკვევებს საქართველოს ისტორიიდან.

პირველ რიგში ის ერეკლე II დროს იხილავს (№№ 3,4). ამ ისტო-
რიული ნარკვევით ვფიქრობთ, სოლ. დოდაშვილი, უთუოდ შეთქ-
მულთა დაკვეთას ასრულებდა—მკითხველში გაედვივებინა პატრიო-
ტული განწყობილება, მკითხველთა ტვინი მიემართა აჯანყებისაკენ.
როგორც ეს შეთქმულებს სწადნათ, რაც 1832 წლის შეთქმულთა სა-
გამომძიებლო მასალებიდანაც გარკვეულად მოსჩანს. ერეკლე II
პიროვნება და მთელი მისი მოღვაწეობა ამ ნიზნისათვის მეტად ხელ-
საყრელი ობიექტი და მასალა იყო.

სოლ. დოდაშვილმა ქურნალი სხვა მიმართულებითაც გამოიყენა.
მას კარგად ჰქონდა ვათვალისწინებული, რომ საზოგადოებრივი
ცხოვრება არ შეიძლება წინ წავიდეს, ცხოვრება უეჭველად დაგუბ-
დება და აშმორდება, ყოველ შემთხვევაში, თვითკმაყოფილებას ან
მოღუწება-თვლემას მიეცემა, თუ მოურიდებელი, სამართლიანი სა-
ზოგადოებრივი კრიტიკა განუდმებით არ იქნება გამამფხიზლებელ
სადარაჯოზე. სოლ. დოდაშვილმაც საჭიროდ დაინახა ქართული სა-
ზოგადოებრივი კრიტიკული აზროვნებისათვისაც გზა გაეკათა —
შინაური თუ უცხოური მოვლენების საღი და სწორი შეფასება მიე-
ცა მკითხველისათვის. და, ვინც ამას ღირსეულად ვერ ან განსაკუთ-
რებით განზრახ არ აკეთებდა, მათი დასაბუთებული განქიქება, მათი
ყალბი გაშუქება სააშკარაოზე გამოეტანა.

ქართული კრიტიკის აღორძინება-მიმართულებას დიდი პატრიო-
ტი-მოქალაქე სოლ. დოდაშვილი სათავეს აძლევს ქურნალში „სა-
ლიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ შემდეგი დასა-
ბუთებული კრიტიკული წერილით — „შენიშვნა დამარხვის წესსა
ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსათა, რომელიც დაბეჭ-
დილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-ს ამასა
წელსა“ (№ 3).

ეს კრიტიკა თუ შენიშვნა სოლ. დოდაშვილისა გამოწვეული იყო
ვინმე გორდევის უმართებულო წერილით, ვინაიდან ნასში მის მიერ
მოცემული ცნობები ქართველთა მეფეთა დამარხვის წესის შესახებ
სიმართლეს არ შეეფერებოდა.

სოლ. დოდაშვილი გაბედულად წერდა, რომ ერთ-ერთი უდიდესი

შეცდომა გორდევისა ისაა, რომ ის „არაა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა“, რის გამოც ის „ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა“. სოლ. დოდაშვილი, როგორც თვითონვე ხაზგასმით ამბობს, იმიტომ უფრო სთვლის საჭიროდ ამაზე ილაპარაკოს, რადგანაც მკითხველს გორდევის მიერ ეწოდებული ცნობები ჭეშმარიტი ჰგონია, ეს კი სოლ. დოდაშვილს საზოგადოებისათვის მავნებლად მიაჩნია.

ამას გარდა, სოლ. დოდაშვილი გორდევეს მიუთითებს მეორე დიდ შეცდომაზე, რომელიც შედეგია მისი (გორდევის) არამართებული დამოკიდებულებისა აღებული საკითხისადმი (რა თქმა უნდა, სოლ. დოდაშვილს აქ უფრო აწუხებდა გორდევის არაკეთილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი, რასაც ის თავისი წერილით აგებინებს მკითხველს). სახელდობრ, სოლ. დოდაშვილის მოურიდებელი მზილებით, გორდევემა „წესი მეფეთა დამარხვისა აღწერა ისტორიიდან მეფის ძის ვახტანგისა, რომელიცა დაწესებულყო უწინარეს ათას ხუთასისა წლისა და გამოსცა თავის სახელით“ (იქვე). მაგრამ ეს კიდევ არაფერი, დანაშაულს გორდევეს სოლ. დოდაშვილი უფრო იმაში სდებს, რომ ვახტანგის ცნობები გორდევემა არა მართო მიითვისა, არამედ თვითნებურად გადააკეთა, დაამახინჯა და ისე მისცა მკითხველს: „ყოველი განსხვავება, — აღელვებით წერს სოლ. დოდაშვილი, — მას შინა მდგომარეობს, რომელ მან წარმოადგინა მოგონილის სიტყვებითა და მოქმედებითა, რომელნიცა არა ეკუთვნიან არცა ძველსა და არცა ახალსა დამარხვისა წესსა“ (იქვე).

სოლ. დოდაშვილი ქართველ მეფეთა დამარხვის წესთა გორდევის მიერ ამ დამახინჯებას, ქართველ მეფეთა დამარხვის ცერემონიის ზეტად გაუბრალოებას ხსნის მისი (გორდევის) სურვილით—დაბლა დასწიოს, მეტად პრიმიტიულად გამოაჩინოს სახელწიფოებრივი ცხოვრება საქართველოსი.

გორდევის ცნობების გაბათილების მიზნით, სოლ. დოდაშვილი დაწვრილებით აღწერს ქართველ მეფეთა დამარხვის, ქართველი ხალხის ზნეჩვეულებათა მიხედვით ისტორიულად გამომუშავებულ რთულ ცერემონიალს. გორდევის მიერ მდაბალი ზრახვებით გამოწვეულ დამახინჯებულ ადგილებსა და მის მიერვე გამოგონილი ცნობების სიყალბეს ის გზადაგზა ასწორებს, ავსებს და აღნიშნავს გორდევის უვიცობას ქართველი ხალხის ისტორიისა და ზნე-ჩვეულებათაში.

დასასრულ, სოლ. დოდაშვილი დიდი გაბედული და აღელვებული პოლემიკური ჟინის გამომხატველი წყრომით ასე ათავებს თავის შე-

ნიშნას: „ფრიად სასირცხვილო არს უფ. ღარდეივისათვის დაბეჭ-
 და ტბილისის გაზეთთა შინა ესრეთისა წესისა და განოცემაცა სახე-
 ლითა თვისითა, ეგრეთვე არცა შეენდობის გამომცემელსა გაზეთ-
 თასა ესე ვითართა სიცრუესა მიღებისათვის“. სოლ. დოდაშვილი:
 აღელვებული და გაკვირვებული გორდეივის ასეთი უპასუხისმგებ-
 ლობითა და მდაბალი გრძნობებით, აგრეთვე ამათრახებს მათაც;
 ვინც გორდეევსა და მის გვართ ხელს უწყობდა ასეთს ზრახვებში.
 და ასე ამთავრებს თავის კრიტიკას: „გამომცემლნი რუსულისა გა-
 ზეთისანი, არა მკოდნენი ნამდვილთა ზნეობათანი, თვინიერ ყოვლი-
 სა განილვისა ჰბეჭდენ თვისსა გამომცემასა შინა ყოველსა უგვანსა
 უ. ღარდეივის მიერ შედგენილსა“ (იქვე).

ტონითაც, მეთოდითაც სოლ. დოდაშვილის ამ წერილით ქართუ-
 ლი კრიტიკის განვითარებას, უდავოდ, საღი მინართულება ეძლეოდა

8

სოლ. დოდაშვილი კარგად ითვალისწინებდა, რომ ქართული
 მწერლობის აღორძინება არ შეიძლება მოხდეს თავის ნაჭუქში ჩაკე-
 ტილი მდგომარეობით. საჭიროა ფარგლების გაფართოება-გაცნობა
 უცხოური, პირველ რიგში მეზობელ ერთა, ლიტერატურული პრო-
 ლექციისა.

თვით ქართველი მკითხველი საზოგადოება XIX საუკუნის 20—30
 წლებში დიდ ინტერესს გამოხატავდა მეზობელი ერების, განსა-
 კუთრებით რუსული მწერლობისადმი. ცნობილია, რომ XIX საუ-
 კუნის 20—30 წლებში ლიტერატურის მოყვარული ქართული სა-
 ზოგადოების ის ნაწილიც კი, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა,
 დაინტერესებული იყო რუსული მწერლობით და თარგმანებსღა
 ეტანებოდა. მოიგონეთ ცნობილი მანანა ორბელიანის წერილი გრ.
 ორბელიანისადმი: „ახლა გთხოვ, გრიგოლ შეასრულე ჩემი თხოვნა
 „რუსლანისა ანუ ლიუდმილასი“ წიგნი მითარგმნე შენი ჭირიმე ისე
 კარგად და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი“. ასევე
 ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანთან: „ჩვენმა ლი-
 ტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიპიანმა გადმოთარგმნა
 Ромео и Джульета, შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე Юлий
 Тарентский, ტრალედია ლეიზევიცისა: თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთე-
 კაში იყო დაბეჭდილი: მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლე-
 ბულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“*

XIX საუკუნის 20—30 წლებში მთარგმნელობას ეწეოდნენ ისეთი

* ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანთან, 1841 წ. 28 მაისი.

ცნობილი პოეტები როგორც იყვნენ—ალ. ქავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიხ. თუმანიშვილი, სოლ. რაზმაძე და სხვანი.

ეურნალში „სალიტერატურონი ნაწილი“... (№ 5) სოლ. დოდაშვილი ათავსებს თარგმანებს რუსული მწერლებიდან: სოლ. რაზმაძის მიერ ა. ს. პუშკინის „ლიშპანური სიმღერისა“ და „ლხინის-თარგმანს. ეურნალში (№ 4,5) დაბეჭდილია მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფის დ. მაჩაბელის თარგმანი რუსულიდან „ალელორია—ალექსანდრე სარკე. ყრმებრივი უმანკობა“. ეს ნაწარმოები ზღაპრის ენარისაა, სანტიმენტალურ-რომანტიკული მიმართულებისაა. მისი შინაარსი მოკლედ ასეთია: ჯვარედინ გზაზე ფეიამ ნახა უპატრონოდ დატოვებული უსუსური ჩვილი. რომელიც შიმშილითა და წყურვილით არტახებში ჩაქედილი იტანჯებოდა. ფეიას შეეცოდა ის, დარჩა მასთან, სიყვარულით შეილივით გამოზარდა ბავშვი. ბავშვი როცა გაიზარდა, ფეიამ იგი დაუბრუნა „თავის სოფელს“. ჯილდოდ მისცა სარკე და უთხრა, თუ ახალგაზრდა იცხოვრებს ისე, როგორც მან მას ასწავლა, სარკე ყოველთვის წმინდა იქნება, ხოლო თუ დაარღვევს მღვდელს ჩვეულებას, მაშინ სარკე დაითალხება. ახალგაზრდა ადვილად წიგნად დიდი ქალაქის ვნებიანობასა და კმაყოფილებას, „უზრუნველად ვიდოდა სოფელსა შინა ესრეთ მსუბუქი და მხიარულ, მიეცა პატივმოყვარეობასა... დაეცა, დამძიმდა სულითა... მცონარად მივიდოდა გზასა ზედა სიცოცხლისა“.

ასეთს მდგომარეობაში მყოფმა ჰაბუკმა მოიგონა „ალექსანდრისა“, მოინდომა მისი დანახვა, მაგრამ თილისმას (სარკეს) მოაკლდა ძალა. სარკე ბნელი აღმოჩნდა. ჰაბუკმა სარკე ვერაფრით გაწმინდა. შეწუხდა, დრტყინავდა და „მალალის ხმით მოსთხოვდა სოფელსა წარგებულსა თვისსა ბედნიერებასა“.

ერთხელ იგრძნო ჰაბუკმა სუბუქი შეხება ფეიასი. ამან ააღელვა ყრმა. მის თვალთაგან ცრემლმა იქუხა. ერთი ცრემლი დაეცა სარკეს და განცვიფრებულმა მასში დაინახა თავისი განვლილი ცხოვრებას გზა. იხილა მან თავისი მშობლები და ყოველივე „მშვენიერი და კეთილშობილი“, რამაც მისი სული აიყვანა „პირველისავე მისსა უბიწოებასა და სიახლისადმი“, თითოეული შეხედვა მისი იყო დღესასწაული სულისათვის განახლებულისა, არცა ვნება, არცა ბიწნი აღარ შეეხებოდნენ მას უმეტეს. ამის შემდეგ, როცა ჰაბუკი მოინდომებდა, სარკეში ხედავდა თავის ნუგეშის ნიმცემელს ფეიას, რომელმაც „აკურთხა ცრემლი ღმობიერებისა“.

ამ მოთხრობას, აშკარაა, დიდაქტიკურ-აღმზრდელი ხასიათი აქვს. მოთხრობა ახალგაზრდა გამოუცდელ მკითხველს აფრთხილებს ცხოვრებაში წინდახედული იყოს, არ გაჰყვეს ვნებათა ღელვას, ვი-

ნაიდან მას შეუძლია ის სრულ დაცემულობამდე მიიყვანოს. დედობილი—ფეიას ზრუნვა უპატრონო ბავშვის მიმართ—ეს ჰუმანური გრძნობის გავლიძების პროპაგანდაა, რაც ეპოქის მოთხოვნილება იყო და ჟურნალის ხელნაწილი სოლ. დოდაშვილისათვისაც დამახასიათებელი, წამყვანი ცხოვრებაში. დედობილი — ფეიას მიერ აღზრდილისადმი საუნჯის — სარკის მიცემა — ეს ცხოვრებისადმი გონიერული დამოკიდებულების, საღი ადამიანური გრძნობის შენახვის დარიგება—მოთხოვნილებაა, რაც ადამიანისათვის ცხოვრების წამყვან ძალად უნდა შეიქმნას. ახალგაზრდის მიერ თავისი უარყოფითი ქცევის მწვავე შეგნება და მისი მონანიება, საწინდარია მისი კვლავ კეთილი ცხოვრებისადმი დაბრუნებისა. ეფექტობთ, სოლ. დოდაშვილს ეს მოთხოვნაც გარკვეული საზოგადოებრივი მიზანდასახულობითა აქვს მოცემული, რაც მას საერთო საზოგადოებრივ მიზანდასახულობას შეეფერებოდა და რომლის გატარებასაც ჟურნალის საშუალებით ფიქრობდა.

ასეთივე დიდაქტიკური საზოგადოებრივი მიზანდასახულობითაა ანონიმურად მოთავსებული „სამი ინდის ხურმა“ ჟურნალში (№ 5) ვითომც გასართობი, სინამდვილეში კი სერიოზულად დამაფიქრებელი დარიგება საზოგადოებრივ ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. ამ იგავში თუ ზღაპარში „სამი ინდის ხურმის“ ანონიმური ავტორი (ვფიქრობთ ესეც სოლ. დოდაშვილს უნდა ეკუთვნოდეს) ამ ნაწარმოებით ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ მბრძანებელმა, ბატონმა, უფროსმა (რა ხარისხისაც არ უნდა იყოს) თავის მონაში, ყმაში, ხელქვეითში უნდა იცნოს კაცი, პატივი სცეს მას და უაზროდ არ შეავიწროოს, თორემ იცოდეს, რომ გაწვალებული მონაც კი საშუალებას გამოიხატავს, რომ სამაგიერო გადაუხადოს, როგორც მონამ იბადიმ გადაუხადა დიდს ხალიფა ჰარუნ-ჰალი-რაშიდს („სამი ინდის ხურმა“).

სოლ. დოდაშვილს, ალბათ, ამ ნაწარმოებით უნდოდა მკითხველთა ყურადღება გაემახვილებინა ბატონყმობის ნიუღებელ ურთიერთობაზე, რაც 30-იან წლებში საქმარისად გამწვავებული იყო საქართველოში. ამ ნაწარმოებით სოლ. დოდაშვილი მოუწოდებდა ბატონებს ყმებისადმი ადამიანური მოპყრობისაკენ—ყმაც ადამიანია და გულისხმიერ მოპყრობას ითხოვს, თორემ, ამბობს ავტორი, გეშინოდეთ სამაგიეროსი, რაც არასასიამოვნო იქნება თქვენთვისო.

ამ ზღაპრით—„სამი ინდის ხურმა“ სოლ. დოდაშვილმა თავისი ჟურნალში მართალია ანონიმურად, ქარავმით, მაგრამ მაინც დასვა თავისი დროის უმწვავესი საკითხი.

ეჟურნალის № 3-ში აგრეთვე ანონიმურად მოთავსებულია ამბავი: ვითომც გართობის მიზნით, მაგრამ სინამდვილეში მასში მეტად საზოგადოებრივი მტკივნეული საკითხია დასმული, სახელდობრ გადაჭარბებული ღვინის სწის შესახებ, რასაც, ალბათ, ადგილი ჰქონდა მაშინდელი ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. რომელიც „მტვერწყარილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი; უზღუდონი, გზამუდონი არ გამტანნი და ცბიერნი; მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი. შინ ქლიერი; არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშვიერი“ უდარდელად და უმიზნოდ სტეკნიდა ცხოვრების გზას და ღვინოში ჰკლავდა თავის დროსაცა და ჯანსაც.

ეჟურნალის „ნარევი“ აღნიშნულია, რომ ეჟურნალის რჩევა ღვინო დალიოს მხოლოდ, როდესაც სადილობს, ლოთმა გამოიყენა და გადაწყვიტა „დილით საღამომდე იჯდეს სუფრაზე და სვამდეს ღვინოსა“. და როგორც აუცილებელი შედეგი ასეთი ცხოვრებისა, ნათქვამია ეჟურნალში, იმ კაცს წარსულ კვირას „სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება, ახლა ეძებს და ვერ უპოვია“-ო. ასეთი მოქარბებული დამლუპველი ქეიფი ხომ მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხი იყო ქვეყნის აღორძინების გზით მიმართვის მისწრაფებით შებოჰილ მოქალაქისათვის, როგორადაც გვევლინება სოლ. დოდაშვილი 20—30 წლებში!

ასეთი გაბედული გულისხმიერი იყო სოლ. დოდაშვილი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, ასეთი აქტიური საკითხების გარკვევა და საღი მიმართულების მიცემა დაუსახა მან მიზნად ეჟურნალსაც. მაგრამ, სანწუხაროდ, როგორც სოლ. დოდაშვილის განცხადებებიდან და მის კერძო პირებისადმი წერილებიდანაც ჩანს, ეჟურნალის გამოცემა უსახსრობისა და ხელისმომწერელთა სიმცირის გამო 1832 წლის მარტში შეწყდა. ხოლო 1832 წლის დეკემბერში, „საიდუმლო შეთქმულების“ გამოაშკარავებასთან დაკავშირებით სოლომონ დოდაშვილის დაპატიმრების შემდეგ, გაზეთი „ტფილისის უწყებანიც“ და ეჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანიც“ სამუდამოდ დაიხურნენ.

სოლ. დოდაშვილის წინაწილეობა 1832 წელს გახსნილ „საიდუმლო შეთქმულებაში“ სრულიად ბუნებრივია და მოსალოდნელი იმ განწყობილებისა და მსოფლმხედველობისა გამო, რომელიც მას ახასიათებდა ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისა და ცხოვრების დროს.

ცნობილია, რომ სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში ჩასვლისთანავე იონა ხელაშვილის საშუალებით გაეცნო იქ მყოფ ბატონიშვილებს, მათ უკმაყოფილო განწყობილებას, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულს. უთუოდ, სოლ. დოდაშვილმა მათგანაც ზიილო საგრძნობი შთაგონება ხელისუფლების წინააღმდეგ ზუშაობა გაეშალა, სამშობლოში რომ დაბრუნდებოდა. ამის გარდა, სოლო-მონი უშუალო მოწმე შეიქმნა 1825 წლის ე. წ. დეკაბრისტების აჯანყებისა პეტერბურგში სენატის მოედანზე. მისთვის, რა თქმა უნდა, უცნობი არ იყო მათი მისწრაფებები იქვე პეტერბურგში ყოფნის დროს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როგორც ირკვევა, ის უახლოვდება გადმოსახლებულ დეკაბრისტებს, მიჰყავს კიდევ ქართველთა ოჯახებში (მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის მელიტონის ოჯახში). ნიუხედავად ამისა, სოლ. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიის დაკითხვის დროს მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობის ბრალდების თავიდან აცდენას ცდილობს. მაგრამ სოლ. დოდაშვილის დაპატიმრებისას, მისი სახლი რომ გაჩხრიკეს, აღმოჩნდა არა ორაზროვანი საექვო დოკუმენტები, სახელდობრ: კონდ. რილევის ლექსი „Исповедь Наливайки“-ს თარგმანი გრ. ორბელიანის მიერ, რომლისთვისაც, მთარგმნელის თხოვნით, გ. დ. ერისთავს სათაური შეუტვლია და უწოდებია „გივი ამილახვარის აღსარება“*. ამის გარდა, იქვე სოლ. დოდაშვილის ქაღალდებში აღმოჩენილია მისი საექვო ლექსი:

აღვიპყრათ ხელთა მახვილი,
 მივცეთა მტერთა შიში ძრიალი,
 შემოვიკრიბოთ გულით მხურვალნი,
 ეეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი,
 განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
 ჩვენ მამულისა მათხრებელნი **...

იქვე აღმოჩნდა პროკლამაცია, ალბათ. სოლ. დოდაშვილის მიერვე დაწერილი, რომელიც ასევე არა ორაზროვნად გამოხატავდა შეთქმულთა განწყობილებას და თვით სოლ. დოდაშვილის განწყობილებასაც. აი ეს პროკლამაცია: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე

* გ. გ. ო. ზ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 96.

** იქვე, გვ. 95.

ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, წხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენ-
თა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარა-
დის მოწყულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხო-
ბასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა?! ჰგრძნობთ შეიწროებასა
ყოვლისა კაცისასა?! რაისათვის არს ესე ესრეთ?! ნუ უკვე ჩვენ არა
ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?! ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს
შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმ-
ხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა
მსგავსთა კაცთა. მაშა რაისთვის ვცოცხალვართ?*

აღნიშნული დოკუმენტები საგამოჩიებლო კომისიისათვის სრუ-
ლიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ სოლ. დოდაშვილი მიეჩნია „საი-
ღუმლო შეთქმულების“ ერთ-ერთ, შესაძლებელია, ყველაზე საშიშ
და აქტიურ ხელმძღვანელად. ამიტომ გამოძიების დამთავრების შემ-
დეგ მას მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება ერთ-ერთ ჩრდილოეთ
გუბერნიაში კანცელარიის დაბალი მოხელის თანამდებობაზე წოდე-
ბის ჩამორთქვეით.

სოლ. დოდაშვილი გადასახლებულ იქნა ქ. ვიატკაში, სადაც ის გა-
ამგზავრეს 1834 წლის 24 ივნისს. ვიატკაში ის ჩავიდა 31 ივლისს. იქ
სოლ. დოდაშვილი მიიღეს საგუბერნიო სამმართველოს კანცელარია-
ში გადამწერის თანამდებობაზე. ვინაიდან სოლ. დოდაშვილმა სამ-
სახურშიც გამოიჩინა მუყაითობა, ცოდნა და პასუხისმგებლობა, მა-
ლე ის გადაიყვანეს სათემო გადასახადების მაგიდის უფროსად ვიატ-
კის გუბერნიის კომიტეტში.

მაგრამ ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა, ეკონომიური გაჭირვება
(მასთან ცხოვრობდა მისი ცოლშვილი მცირე ჯამაგირზე), ისედაც
დაქანცული მრავალმხრივი საზოგადოებრივი და მეცნიერულ-პედა-
გოგიური მუშაობით, შემდეგ ციხეში ჯდომითა, მკაცრი გამოძიებითა
და მძიმე მგზავრობით (ეტაპით), სოლ. დოდაშვილი მალე მძიმედ
(ტუბერკულოზით) დასნეულდა.

1835 წელს 12 ივნისს წძიმე მდგომარეობაში მყოფმა სოლ. დო-
დაშვილმა, ექიმების რჩევით აღძრა შუამდგომლობა გადაესახლები-
ნათ ის რომელიმე სამხრეთ თბილ გუბერნიაში, სადაც მისი ავად-
მყოფობა ისე მძვინვარედ არ გაძლიერდებოდა. ამასთანავე სოლ.
დოდაშვილი თხოულობდა საკლასო წოდების დაბრუნებას, რაც მას
თბილისის გიმნაზიაში ექვსი წლის სამსახურის გამო ჰქონდა მიცე-
მული.

* გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 95—96.

მიუხედავად ვიატკის სანოქალაქო გუბერნატორის ტუფიაევის შეამდგომლობისა, რაც სანხედრო მინისტრმა პირადად მოახსენა იმპერატორს ნიკოლოზ I, უკანასკნელმა უარი უთხრა:

ერთი წლის შემდეგ, როცა სოლ. დოდაშვილის ავადმყოფობა კატასტროფულად განვითარდა, კვლავ აღძრა დოდაშვილმა შეამდგომლობა იმავე სანოქალაქო გუბერნატორის საშუალებით რომელიმე სამხრეთ თბილ გუბერნიაში გადაყვანისა. თხოვნას დაერთო ექიმთა კომისიის შემდეგი დასკვნა: „თვალეზი ამღვრეული და ღრმად ჩაცვივებული; სახე გაყვითლებული, ტყვიის ფერი, ცხვირი წაწვეტილი; ხორციანი ადგილები იმდენად გაწვრილებული, რომ ზოგიერთ ადგილზე ძვლებზე მარტო კანიღაა გადაკრული: ნოკლე სუნთქვა ყელში ხიხინით, რომელსაც (სუნთქვას) ხშირად აჩერებს ხველა, რის შედეგადაც ბლომად ამოინთხევა სქელი, ჩირქოვანი და მყრალი ნახველი; ხმა მილეული; სიტყვის გამოთქმა უჭირს; ხველას, საუბარსა და მოძრაობას თან სდევს გულის წასვლა; ამგვარი ნიშნები აშკარად მოწმობს ფილტვების დაჩირქებაზე ანდა მათ ჩირქოვან კლექზე (Phtysis pulmonalis purulenta) და აგრეთვე იმაზე, რომ მედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული ხანდაზმული სენის განსაკურნავად, განსაკუთრებით აქაური ჩრდილოეთის ჰაერის პირობებში. აგვისტოს 10, 1836 წ.“* ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

სწორედ ამ ხანებში ქ. ვიატკაში იყო თავის პირველ გადასახლებაში ცნობილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ალექსანდრე გერცენი, რომელსაც სცნობია სოლ. დოდაშვილი. ავადმყოფობის დროს მასთან ბინაზეც ყოფილა, რასაც ის იგონებს თავის „Былое и думы“-ში. სოლ. დოდაშვილი, წერს ა. გერცენი — „...не выдержал сурового климата и впал в злейшую чахотку; я посетил его за несколько дней до смерти, он был едва жив, но с видом глубокого убеждения сказал: — „Лишь бы весной не было хуже, а то пожалуй сделается чахотка“**.

ექიმთა ამ დასკვნის საფუძველზე ვიატკის სანოქალაქო გუბერნატორმა ტუფიაევემა კვლავ აღძრა შეამდგომლობა ნება მიეცათ გადაესახლებინა სოლ. დოდაშვილი რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში მისი ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო, რასაც მოჰყვა 1836 წლის 19 სექტემბრის ბრძანება გადაეგზავნათ სოლ. დოდაშვილი ხერსონის გუბერნიაში, მაგრამ სიკვდილმა დაასწრო, სოლ. დოდაშვილი გარდაიცვალა იქვე ვიატკაში 1836 წ. 20 აგვისტოს.

* გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 516.

** Герцен, Полное собрание сочинений, т. III, стр. 19.

ასე უდროოდ და უდიერად დაიწვა და დაიფერფლა თავისი ეპოქის ერთი საუკეთესო შვილი, ნიკიტ, ენერჯითა და პატრიოსანი საზოგადოებრივი შრომის უნარით აღჭურვილი, დიდი პატრიოტი სოლ. დოდაშვილი, რომელიც თავისი მოქმედებითა და მისწრაფებით მოსჩანს, როგორც წინამორბედი 60-იანი წლების ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი ინტელიგენციისა. ასეთადაც თვლიდა სოლ. დოდაშვილს, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩვენი 60-იანი წლების თერგდალეულთა საუკეთესო წარმომადგენელი დიდი ილია ჭავჭავაძე.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

1786 — 1846

1

XVIII და XIX საუკუნეთა უღელტეხილზე ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ვამჩნევთ მთელ რიგ მეორეხარისხოვან, თუმცა საკმარისად პოპულარულ მწერალთ, როგორც არიან: ძმანი გიორგი და დავით თუ მანიშვილები, დიმიტრი თუ მანიშვილი, იოსებ მელიქიშვილი, ოთარ და თამაზ ქობულაშვილები, ზაალ და საამბარათაშვილები, ქეთევან და თექლე ბატონიშვილები, დიმიტრი ბატონიშვილი და მრავალი სხვა. მაგრამ მათი შემოქმედების ყველა მოტივი: პატრიოტული გრძნობა, სიყვარული, საწუთროების სიმუხთლით გამოწვეული კმუნვა-ნადველი „სისხლი სისხლითაა და ხორცი ხორციითა“ ჩვენი აღორძინების ხანის ლიტერატურისა როგორც შინაარსის, ისე გარეგნული ფორმის მხრით. „ზემოხსენებულნი მგოსანნი, — სამართლიანად ახასიათებს ამ მწერლებს გ. ჭავჭავაძე, — ტუჩთა, ბროლ-მკერდთა, თმა-გიშერთა, გიშრის ტბათა მოისართა, ჯარსავით გამწკრივებულის წამწამების და შვილდსავით მოკაკულის წარბების, ალვის ხესავით და ლერწამსავით აყვანილის საროს ტანის ქებაში იყენენ, საყვარლის მიერ დაკოდილნი ველად გაიჭრებოდნენ, განელდებოდნენ, დანას იკრავდნენ გულში და სხვ... არსებობდა ერთგვარი წარმოდგენა, როგორი უნდა ყოფილიყო ლამაზი ქალი და ამ ყალიბით, ამ კანონით ასწერდნენ ხოლმე თვის სატრფოს ძველის მიმართულების მგოსანნი. ეს იყო ცრუ მიმბაძველობა და არა სინამდვილის აღწერა. შემდეგ ახალი მწერლები და წათ შორის ნ. ბარათაშვილიც ხორციელ სილამაზეს მარტო იმდენად ასახელებენ, რამდენადაც ეს საჭიროა თვით გრძნობის დასასაბუთებლად, როგორც ამ გრძნობის აღმძვრელი, თორემ გარეგნულ სილამაზის მაგიერ, ეძებდნენ მის სულიერ ღირსებასა“*.

* გ. ჭავჭავაძე, ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში, „ნ. ბარათაშვილი“, 1922 წ., გვ. 167—170.

დაახლოებით, ასეთივე პარალელი შეიძლება გავატაროთ მათ სხვა შესაბამ მოტივთა შორისაც. ამიტომ ამ ჩამოთვლილ მწერლებს ჩვენი ძველი ლიტერატურის დასასრულს, ე. წ. გარდამავალი პერიოდის წწერლებს მივაკუთვნებთ. მათ ჩვენი ახალი ლიტერატურის დასაწყისად ვერ მივიჩნევთ. ჩვენი ახალი ლიტერატურა, როგორც ზევეითაც უკვე მოვიხსენიეთ, თუმცა მკვიდრად და დაკავშირებული აღორძინების ხანის მწერლობასთან და ბევრში ამ უკანასკნელის მოტივებსაც ავითარებს, მაგრამ ახალი ლიტერატურის თავისებურება როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით აშკარად შეაქვს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად და ბუნებრივადც მიგვაჩნია ჩვენი ახალი ლიტერატურის დამწყებად და ევროპული რომანტიზმის დამმყნობად ქართულ ლიტერატურაში.

2

შთამომავლობით დიდგვაროვანი ალექსანდრე ჭავჭავაძე, შვილი საქართველოს დესპანისა რუსეთში, გარსევან ჭავჭავაძისა, ნათლული რუსეთის მეფის ეკატერინე II-ისა, მამის სამსახურის გამო, რუსეთში დაიბადა. იქ ალექსანდრე ჭავჭავაძე ბავშვობიდანვე პრივილეგიური მდგომარეობის გამო რუსეთის არისტოკრატიულ წრეებში იზრდებოდა და ტრიალებდა და, ექვს გარეშეა, მის უშუალო ლიტერატურულ და კულტურულ გავლენასაც განიცდიდა.

XVIII საუკუნეში რუსეთში, რასაკვირველია, მის მაღალ წრეებში, უკიდურესად გაბატონებულია საფრანგეთის კულტურა როგორც გარეგნული მოდის მხრით, ისე ენისა და ლიტერატურისა. ყოველი ახალი ევროპული, განსაკუთრებით ფრანგული, რუსეთის არისტოკრატის იტაცებდა, რაც ასე ნიჭიერადაა ასახული რუსულ ლიტერატურაში (დ. ფონვიზინის, ა. გრიბოედოვის და სხვათა შემოქმედებაში).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, როგორც ვიცით, განვითარდა და XIX საუკ. დასაწყისშივე გაბატონდა ახალი ლიტერატურული მიმართულება — სანტიმენტალიზმ-რომანტიზმი.

რუსეთშიც ეს ლიტერატურული მიმართულება მალე აღმოცენდა. რუსეთის ლიტერატურაში ახალ მიმართულებასა და ლომონოსოვ-დერჟავინ-სუმაროკოვის კლასიციზმს შორის ფიცხელი ბრძოლა დაიწყო. ბრძოლა რუსეთშიც, როგორც დასავლეთ ევროპაშიც: სასტიკი, დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ჩნდება. იბრძვის ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა;

ორი სხვადასხვა სტილი. სხვადასხვა მოწინააღმდეგე სოციალური კლასის, თუ ფენის შეგნების გამომხატველი.

რუსეთის იმ დროის არისტოკრატის ლიბერალურად განწყობილი ნაწილი ზოგი შეგნებულად და, შესაძლებელია, ზოგიც შეუგნებლად ახალ ლიტერატურულ მიმართულებას — სანტიმენტალურ-რომანტიკულს გაჰყვა. ახალი ლიტერატურული მიმართულება მას იტაცებდა, როგორც ერთგვარი ახალი ოპოზიციური, ახალი ჰორიზონტების მაჩვენებელი მსოფლმხედველობა.

მართლაც, როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ. რომანტიზმს არა მარტო ლიტერატურული ხასიათი ჰქონდა. არამედ იგი XIX საუკუნის განთიადზე ფართო საზოგადოებრივ მსოფლმხედველობად გადაიქცა.

ალექსანდრე ჰავჭავაძემაც რუსეთში ცხოვრებისა და სწავლის დროს (1795 წელს ალ. ჰავჭავაძე მიაბარეს ბამანის პანსიონში პეტერბურგში, სადაც ის სწავლობდა 1799 წლამდე) რუსეთის არისტოკრატულ საზოგადოებასთან ერთად, რასაკვირველია, განიცადა გავლენა როგორც რუსული, ისე ფრანგული ენისა და კულტურისა, აგრეთვე ევროპული ლიტერატურის ახალი ნიმართულებისა.

ალექსანდრე ჰავჭავაძეს, როგორც რუსეთის არისტოკრატის იმ ნაწილს, რომელთანაც ის, მდგომარეობის გამო, გამუდმებით ურთიერთობაში იყო, ფრანგული ენა საკმაოდ კარგად უნდა სცოდნოდა და ევროპის ლიტერატურას ამ ენის შემწეობით უშუალოდ უნდა დასწაფებოდა.

ეს ასეც იყო. ამ გარემოებას ალ. ჰავჭავაძეზე დიდი გავლენა მოუხდენია კიდევ. ამ გზით რომანტიზმის გადმომხერგავი ქართულ ლიტერატურაში ალ. ჰავჭავაძე შეიქმნა.

ნაგრამ ალ. ჰავჭავაძის პოეტური შემოქმედების შესწავლის დროს მკვლევარი ვერ დაკმაყოფილდება მარტო რუსულ-ევროპულის უშუალო, ძირითადად რუსეთის გზით, გავლენით. მისი ყურადღება, უდავოდ, მეორე გარემოებამაც უნდა მიიპყროს. ალ. ჰავჭავაძე არა მხოლოდ ახალი ლიტერატურული მიმართულების, რომანტიზმის, გავლენას განიცდის, არამედ ის აგრეთვე კლასიციზმის კორიფეების შემოქმედებითაც ყოფილა დაინტერესებული და საკმარისად სერიოზულადაც. რასინი, კორნელი, ლაფონტენი და ვოლტერი მის საყვარელ მწერლებად მოჩანან. ნათი შემოქმედებიდან რამდენიმე ნიმუში ზოგი თუ რუსულით, ზოგიც უშუალოდ ფრანგულით მას ქართულად უთარგმნია.

მაგრამ ამ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის ალექს. ჰავ-

კავკაზის შემოქმედებაში რომანტიკულმა უფრო არსებითი ადგილი ღაიჭირა და უფრო მკვეთრი განსახიერებაც ჰპოვა. და ეს, ჩვენი გავებით, ბუნებრივია. ალ. ჭავჭავაძე ძირითადად ფეოდალური არისტოკრატის ფსიქოლოგიის გამომხატველია. ქართველი ფეოდალური კლასი XIX საუკუნის დასაწყისიდანვე განიცდის აჩქარებულ რღვევას. კლასიციზმი კი სტილია ფეოდალური კლასისა ჯერ კიდევ მის მყარ მდგომარეობაში. ამიტომ ალ. ჭავჭავაძის მსოფლგაგებამ შესაბამისი გამოხატულება რომანტიზმის სტილში ჰპოვა.

ალ. ჭავჭავაძეს თარგმანები რუსი მწერლებიდანაც აქვს.—ა. ბუშკინიდან, ი. კრილოვიდან, მაგრამ მისი პოეტური ნიჭი და შემოქმედება რუსეთში ყოფნის დროს მარტო რუსეთისა და ევროპული ლიტერატურისა და ცხოვრების ატმოსფერით არა სუნთქავდა, არა საზრდოობდა.

იქ, რუსეთში, ალბათ, მის საკუთარ ოჯახშიც და წის გარეშეც, რუსეთს გადახვეწილ და გადასახლებულ ქართულ ოჯახებში, არსებობდა მეორე — ქართული, ეროვნული, აქედან, საქართველოდან გადატანილი კულტურა, რომელიც, განსაკუთრებით მწერლობის სახით, რაღაც სასოებითი მოწიწებით და სიყვარულით ჩაუქრობელი ინახებოდა, როგორც ღვთაებრივი ცეცხლი, გაღვივებული — ქირში, გაკაეებული — მუხთალ საწუთროსთან ბრძოლაში.

იქ, რუსეთში, ქართველ გადახვეწილთათვის დაუვიწყარნი და ერთგვარი შვეების მიმცემნი, სევდის გამქარვებელი ქართველი ძველი და ახალი მწერლები იყვნენ: შოთა რუსთაველი, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკი და სხვანი. გარსევან ჭავჭავაძის ოჯახშიც, რომელიც ექვს გარეშეა, ქართულ მწერლობას მისდევდა, ეს ლიტერატურული გავლენა გაბატონებული იყო.

ცნობილია, რომ გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ალ. ჭავჭავაძის დედა, მათა ავალიშვილი, ღვიძლი და იყო ცნობილი ქართველი დრანატურგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ავალიშვილისა. მათ იყო განათლებული, გონიერი და კეთილი აღმზრდელი, თანაც იშვიათი სილამაზისა და დიდი ტაქტის მქონე. ის დიდ გავლენას ახდენდა თავის მახლობლებზე და ნაცნობებზე. ცხადია, მათა ჭავჭავაძის ოჯახი ხელს შეუწყობდა ლიტერატურული ტრადიციის გაძლიერებას, რასაც სათანადო გავლენა ექნებოდა ახალგაზრდა ალ. ჭავჭავაძეზე. ოჯახისა, ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის გავლენა ალ. ჭავჭავაძეზე განსაკუთრებით გაძლიერდა 1799 წლიდან, როცა

:3 წლის ალექსანდრე მაიამ წამოიყვანა საქართველოში და მის აღ-
ზრდას ხელმძღვანელობა თვითონ დაუწყო. გარსევან ქავჭავაძე,
როგორც ჩანს, შვილს დიპლომატიური მოღვაწეობისათვის ამზადებ-
და (ალ. ქავჭავაძეს სათანადო ნიჭი და უნარი ამისათვის, უდავოდ,
მოსდევდა), ამიტომ მას რუსულ და ევროპულ ენებთან ერთად ას-
წავლიდნენ აღმოსავლურ ენებსაც.

უნდა ვიფიქროთ, ამ ეროვნული ლიტერატურის გავლენა ალ.
ქავჭავაძეზე ბავშვობიდანვე, თუ ევროპულ-რუსულზე უფრო
ძლიერი არაა, სუსტი არ შეიძლება ყოფილიყო. და სინამდვილე-
შიც ამას ალ. ქავჭავაძის პოეტური შემოქმედების გულდასმითი შეს-
წავლა მკვერმეტყველურად გვიმტკიცებს.

აი ამ ორი ლიტერატურული მიმართულების, ორი ლიტერატუ-
რული ატმოსფეროს — რუსეთის, დასავლეთ ევროპის,
რასაკვირველია, რუსეთის გზით გადმოტანილის და შეთვისე-
ბულის, და ქართულის, ეროვნული გავლენის ქვეშ ალ. ქავჭავაძე
და მისი პოეტური ნიჭი გაიზარდა, დავაჟიკადა, შეივსო და შეიქმნა.

ალ. ქავჭავაძის ცხოვრება დამახასიათებელი და მდიდარი ფურ-
ცელია ქართველი განათლებული მოაზროვნის ცხოვრებისა მე-19
საუკუნის პირველ ნახევარში. ის სავსეა საწინააღმდეგო პერიპეტი-
ებითა, შინაგანი ეკვით, ყოყმანით, ტკივილებით, ძიებით, ბრძოლით,
სევდით, ალ. ქავჭავაძე კაბუკობიდანვე, 17—18 წლიდან, იწყებს
შეგნებულ მრავალმხრივ მოღვაწეობას საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ფართო ასპარეზზე.

ალ. ქავჭავაძე, მამის მდგომარეობის გამო, 1804 წლის 3 სექტემ-
ბერს ჩარიცხეს კამერპაყად რუსეთის მეფის კარზე, ხოლო იმავე
1804 წლის 14 სექტემბერს, ის, როგორც თვითონვე წერს პატიმრო-
ბის დროს ჩვენებაში, მიემხრო ფარნაოზ ბატონიშვილს და შეუერთ-
და მთიელთა აჯანყებას, რომელიც ცარიზმის კოლონიური პოლიტი-
კის წინააღმდეგ იყო ანხედრებული. აჯანყების მეთაურებთან ერთად
ალ. ქავჭავაძე შეიპყრო ხელისუფლებამ და 1805 წ. 30 ნოემბერს
გადასახლებულ იქნა ქ. ტამბოვში საში წლის ვადით. მაგრამ ამავე
წელს ის, იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით, გაწვეული
იქნა პეტერბურგში და ჩაირიცხა პრივილეგიურ სასწავლებელში—
პაეთა კორპუსში, რომელიც მან დაამთავრა 1809 წელს პოდპორუჩი-
კის ჩინით. აქედან იწყება მისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერა.
1811 წელს ის ბრუნდება საქართველოში პორუჩიკის ჩინით და ინიშ-
ნება მთავარსარდლის მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

მარკიზ პაულუჩი ალ. ქავჭავაძის ნიჭს, ცოდნასა და უნარს აფა-
სებდა და მეტად რთულ და სერიოზულ დავალებებს აკისრებდა,

რომელთაც ალ. ჭავჭავაძე ღირსეულად ასრულებდა. 1812 წ. იანვარში პაულუჩიძე ალექსანდრეს დაავალა მოლაპარაკება შარვანელ მუსტაფა ხანთან, რომლის გადაბირებაც პაულუჩის თავის მხარეზე უნდოდა. ალექსანდრემ ეს დავალება ჩინებულად შეასრულა, რისთვისაც ის ბრილიანტის ბეჭდით იყო დასაჩუქრებული. ამავე 1812 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ მონაწილეობა მიიღო კახეთის აჯანყების ჩაქრობაში. მართალია, იგი შეეცადა დაემშვიდებინა აჯანყებულები, რათა მსხვერპლი არა ყოფილიყო, „მაგრამ, — როგორც წერს იონა ბეუნარგია, — რომ ვერა გააწყო რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიდგა“. სროლის დროს ალ. ჭავჭავაძე „ერთმა გლეხკაცმა დაქრა ფეხში“. ამ კრილობამ პოეტი კინაღამ არ იმსხვერპლა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, როცა გამორჩა, პოეტი წავიდა რუსეთს. 1813 წ. 21 სექტემბრიდან ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ მოქმედ არმიასი მთავარსარდალ ბარკლაი დე ტოლისთან ბრძოლებში. პარიზში შესვლისას ალ. ჭავჭავაძეს ბარკლაი დე ტოლის აღიუტანტის თანამდებობა ეჭირა.

საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნებული სახელმწიფო ექილი ალ. ჭავჭავაძე გადაირიცხა ადგილობრივ კორპუსში. 1822 წ. 18 თებერვალს, ერმოლოვის ბრძანებით, ალ. ჭავჭავაძე დაინიშნა ნიჟეგოროდის პოლკის უფროსად. „ამ დროს, — წერს ი. გრიშაშვილი, — მოხდა ფრიად დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც ალ. ჭავჭავაძის პატიოსნებას და პოლიტიკას სულ სხვაგვარ იერს აძლევს. როდესაც თბილისში ბრძანება მოვიდა დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრების და მისი სალდათად ჩამოქვეითების შესახებ, ამის შესრულება ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაევალა. მაგრამ ჭავჭავაძემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და ეს უმართებულო განკარგულება სისრულეში არ მოიყვანა“*.

ამავე დროს, 1822 წ. 3 მარტს, ალ. ჭავჭავაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამბოხებული ჭარელი ლეკების დამშვიდებაში. მაგრამ ამ ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ის იძულებული იყო პოლკის უფროსობის თანამდებობა დაეტოვებინა, რადგანაც ის ამ თანამდებობაზე ვითომც ახალგაზრდობის გამო არ დაამტკიცეს, სინამდვილეში კი მასზე ახალგაზრდა დანიშნეს ამ თანამდებობაზე. ალ. ჭავჭავაძემ დასტოვა ნიჟეგოროდის პოლკი და ქართველ გრენადერთა პოლკში გადავიდა.

1826 წ. ალ. ჭავჭავაძემ მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. მას გა-

* ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, წინასიტყვაობა წიგნისა „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, 1940 წ., გვ. 26.

მუდმებით ეკისრებოდა მთავრობის მიერ რთული დავალებანი. 1828 წ. 17 თებერვალს ის დაინიშნა მთლიან სომხეთის ოლქის მმართველად და ამ მხარის ჯარების სარდლის თანამდებობის ამსრულებლად და ერევნის საოლქო მმართველობის თავმჯდომარედ. ყველა დაკისრებულ მოვალეობას ალ. ჭავჭავაძე წარჩინებით ასრულებდა და დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თავისი გულადობით, სტრატეგიული, ორგანიზაციული და დიპლომატიური ნიჭით. ხელისუფლება კარგად ხედავდა ალ. ჭავჭავაძის ნიჭს, სარგებლობდა მისით და გავლენიანი ავტორიტეტით, როგორც მეზობლისა, ისე დიპლომატიისა სხედასხვა ამბოხებულ პატარა ერების დამშვიდებაში.

1832 წ. 15 ივლისს ალ. ჭავჭავაძე დაინიშნა უფროსად იმ რაზმისა, რომელსაც დაევალა კახეთის დაცვა ლეკების თავდასხმებისაგან.

1832 წ., როდესაც გამოაშკარავდა ქართველ თავადაზნაურთა საიდუმლო შეთქმულება, ალ. ჭავჭავაძეც ეჭვის ქვეშ დააყენა ხელისუფლებამ და დააპატიმრა. საქმის დაწთავრების შემდეგ მასაც მიესაჯა ოთხი წლით ტამბოვში გადასახლება. მაგრამ ნიკოლოზ I-მა გადასახლების შემდეგ მალე დაიბარა ის პეტერბურგში, როგორც ი. გრიშაშვილი ამბობს, „დაუყვავა და ნაპატიები პოეტი თბილისს დააბრუნა“. კვლავ განაგრძო ალ. ჭავჭავაძემ სამხედრო სამსახური ჩვეულებრივი დიდი წარმატებით. კვლავ მას ნიშნავენ საპასუხისმგებლო ადგილებზე, კვლავ მისი ავტორიტეტი ბრწყინავს. დიდი ღირსებით უჭირავს თავი როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებაში. მისი ოჯახი, ე. წ. ჭავჭავაძის სალონი, როგორც თბილისში, ისე წინანდალში (თავის ნამულში, რომლის გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას აქცევდა), კვლავ ღიაა, როგორც ქართველი წარჩინებული პირებისათვის, ისე რუსებისა და უცხოელთათვის.

მთავრობა იყენებდა ალ. ჭავჭავაძეს, აძლევდა ჩინებასა და ორდენებს, მძიმე და რთულ დავალებებს აკისრებდა, თუმცა ერთგვარი ეჭვი მისდამი, როგორც ქართველი დიდი პატრიოტისადმი, რომელსაც შეეძლო მთავრობისათვის ზიანი მოეტანა, გამუდმებით ჰქონდა.

ალ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ჯანითა და უნარით საესე დიდი ავტორიტეტით მოხვეჭილი ფართო საზოგადოებაში 1846 წ. ნოემბრის 6-ს მოულოდნელად გარდაიცვალა. ვორონოვთან სადარბაზოდ მიდიოდა, ახლანდელ ალ. ჭავჭავაძის ქუჩის დაღმართზე ეტლში შებმული ცხენები დაფრთხნენ; მეეტლემ ცხენებს თავი ვერ დაუჭირა, ალ. ჭავჭავაძე მიშველების ნიშნით წამოდგა, მისი შინელი დაეხვია ეტლის თვალს, ალექსანდრე ეტლიდან გადმოვარდა, თავი დააკრა ქუჩის ფილაქანს და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ასეთია მოკლედ, მხოლოდ რამდენიმე ხაზში. მდიდარი და აზრიან-
ცხოვრების გზა ალ. ჭავჭავაძისა.

მაგრამ ეს ერთი მხარეა ალ. ჭავჭავაძის მიმზიდველი ცხოვრებისა.
მეორე მხარე, რომლითაც მან თავი ისახელა და შთამომავლობათა
მეხსიერებაში ცოცხალია, ესაა მისი პოეტური შემოქმედება. მისი
სევდიანი და მგრძობიარე პოეტური ნიჭის გამონაშუქი, თავისი
ეპოქის ნიჭიერი ასახვა.

3

ალ. ჭავჭავაძე, ლიტერატურული მიმართულებით, უდავოდ რომან-
ტიკოსი, კლასიკური მწერლობის შემოქმედებითაც დაინტერესებუ-
ლი, ვერ თავისუფლდება ბესიკისა და სხვა ჩვენი მწერლების გავ-
ლენისაგან, რომელთა ნიჭი და შემოქმედება საუკუნეთა განმავლობა-
ში სპარსულ ლიტერატურასა და მის ფორმებს ისე შეუსისხლბორ-
ცდა, რომ თავის საკუთარ ეროვნულ ფორმად და ჰანგად გადააქცია.
ეს გავლენა განსაკუთრებით ამჩნევია ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო
ლექსებს, რომელთა რიცხვი მის შემოქმედებაში დიდია. ამასთან
ერთად უნდა ჩსიც აღინიშნოს, რომ ამ ლექსთა პოეტური ღირსე-
ბაც საგრძობლად დიდია.

ალ. ჭავჭავაძე სიყვარულის გრძობის განსახიერებაში მეტად
მძლავრი, დახელოვნებული მრავალფეროვანი ოსტატია. თუმცა მისი
გრძობა-შეხედულება სიყვარულზე ცალმხრივია, ხორციელია,
მწველია, როგორც ეს დამახასიათებელი იყო კერძოდ ჩვენი აღორ-
ძინების ხანის მწერლობისათვის და სპარსელი პოეტებისათვის.

სიყვარული ალ. ჭავჭავაძისათვის რაღაც დაუძლეველი ძალაა.
მისი შეხედულებით, სიყვარული ცხოვრების ტრიალს ღერძადა აქვს
გადებული. სიყვარული ადამიანის ცხოვრებას თავისებურად აბრუ-
ნებს. ყველას განურჩევლად „ბერს, ერს, მეფეს, ყმას“ ერთგვარად
მყის იმონებს. სიყვარული ხელმწიფეა, თვითმპყრობელი, წას ტახტი
მზად აქვს, სადაც კი მოისურვებს:

ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს*.

აი ასე მიმართავს ვნებიანი გულის მესაიდუმლე პოეტი სიყვარუ-
ლის გრძობას. სიყვარული თვითნება მბრძანებელია ადამიანისა.
მაგრამ მიუხედავად ამისა, პოეტის რწმენა, გამოცდილებითა და

* ალ. ჭავჭავაძე, „სიყვარულო ძალსა შენსა“, გვ. 10.

დაკვირვებით წიღებული. ისეთია, რომ სიყვარულის უღლისაგან გამოსვლა „ნეტა უნდოდეს რადმე ვის, თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის“ — ეკითხება სიყვარულის ნექტარ-საწამლავით შეზავებული შარბათით დამთვრალი პოეტი.

სიყვარულის დიდი უშუალო და დამმორჩილებელი ძალის გამო-მხატველია ალ. ჭავჭავაძის ლექსი „მე შენ არ გეტყვი“, რომელიც ნიჭიერადაა აკინძული ყარაჩოღლური პოეზიის სტილის პოეტის მიერ თავისებური ათვისების საფუძველზე. მოუსმინოთ რამდენ სიღ-რმეს, ძალას, უშუალობას, თავდავიწყებით გატაცებას გამოხატავს ეს ლექსი:

მე შენ არ გეტყვი: გეტრფი! ვით სხვანი გეტყვიან.
ბუერი გარწმუნებს—გეტრფი; გულით კი სხვაგან რბიან.

მხოლოდ ეს ლექსი—გეტრფი! ნეტა რა ძალსა მქონობს?
კულ არს: გეტრფი და გეტრფი, თუ გულიც არ მიმყოლობს.

ასეთი გეტყვის: გეტრფი, რომ ტრფობა არ იცოდეს;
სხვამ ნუ თუ ვერ გრქვას: გეტრფი, და გულში კი იწოდეს.

ნუ ელი, მეც გრქვა: გეტრფი! დუმილს ვრაცხ უმჯობესად,
მარამ მერწმუნე, გეტრფი საზოგის უაღრესად!

იშვიათი სიცოცხლითაა გადმოცემული ყარაჩოღლურ-აშულურ-პოეზიის, საიათნოვასა და მის დოსტოა შემოქმედების სტილის გან-წყობილება, რიტმი, რითმა და სხვა დამახასიათებელი ნიშნები. ნი-მუშისათვის, თუ ალ. ჭავჭავაძე როგორ თავისუფლად იყენებს აშუ-ლური პოეზიის სტილურ ნიშნებს, მოვიტანთ კიდევ ამ უანრის ერთ ლექსს „როს არშიყი“...

როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
რაკი ნახოს მეყვსეულად გრძნობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!

არა ვგონებ ორთაშუა მოხვდეს იქაც ღალატი,
ოდეს სული გულსა ტრფობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!

რაცყფნი განფიცულან, ვცან მათნი განზრახვანი,
გვედრებ, არ დაიჭერო მათნი კულნი თქმანი:
მიყვარხარ!

ვიცი, ჩემო სიცოცხლევ, მრავალნი შემოგტრფიან,
მაგრამ ჩემებრ ეშხითა ვერ გეტყვიან:
მიყვარხარ!

როცა პოეტიკე შენთვისა, მომიგონე სულითა
ჩემსა შემდეგ გვედრებ. არვის უთხრა გულითა:
მიყვარხარ!

თუ დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკვდარი მომიგონო,
მოდი, ნახე საფლავი, რომ იქაც გაიგონო:
მიყვარხარ!

აღ. ჭავჭავაძის ძველი ფორმის საარშიყო, თუ სატრფიალო ლექსების წერის მანერაში. უდავოდ, ახალი ნაფუნსებიც მოჩანს. იგი თუმცა ხორციელი, ეშხიანი. მწველი სიყვარულის მგოსანია, ძველი პოეტური ფორმებით სარგებლობს ამ გრძნობის სიძლიერის დახატვაში და დიდ ვირტუოზობასაც იჩენს. პოეტის ამ ლექსებსაც სიყვარულის სულიერი ნაღალი გრძნობის სიფაქიზე, რომანტიზმს რომ ახასიათებდა, თითქოს შეუმჩნევლად, მცირედად, მაგრამ მაინც აქვს ჩაქსოვილი. ამიტომ აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსები სიყვარულის გრძნობის ამ ორი — ხორციელისა და სულიერის გრძნობის განცდებითაა შეზავებული, აკინძული. დასამტკიცებლად გავაგრძელოთ აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსების გარჩევა.

სიყვარულის ალით მოდებული პოეტის გული და გონება ასე მიმართავს თავის სატრფოს:

სახე შენი მემახევა, მეზადა,
სრულ განმძარცვა რაცღა ცნობა მეზადა.
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
მღერად ოხრვა, ლხინად გლოვა მეზადა*.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის „გული ტრფობდა,“ სატრფო კი „მახვილი ახალა“, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის გული სიყვარულმა ჰკოდა ესდენ ძნელად, ჰყო „მღერალი საუკუნოდ მკვნესელად“, ამ გრძნობის განცდით პოეტის გული ახალ საცეცხლურად გადაიქცა და სიყვარულის „სურვილს აკმევს“.

მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს,
შენ წამლის წილ მყის მომაპყარ დანა გულს,
ზილფნი რყევით უარის თქმის მსახენი,
მიჩვენებდნენ ბალახშის კარს დანაგულს.

* აღ. ჭავჭავაძე, „სახე შენი“, გვ. 3.

გული ჩემი მუჯამარი ახალი,
სურვილს აკმევს სიყვარულის, ახ, ალი!
არ ვიკვირვო, მაშა რა ვპყო ბედ-კრულმან,
იგი გტრფოდა, შენ მახვილი ახალი!*

მიუხედავად ასეთი მტანჯველი გრძნობისა, სიყვარული რომ აჩენს შეყვარებულში, შეყვარებულში, პოეტის განსახიერებით, მაინც დაუძლეველი მიზიდულობით განიცდის სიყვარულის ძალას, მის განცდის რაღაც გამოუთქმელ სიტკბოებასა და დაბეჯითებით მოუწოდებს ყველას, ვინც თავისუფლად ატარებს დროს, ნუ ეტრფიან „ვარდსა გარშემოვლებით“, მიუახლოვდნენ „გულისა ხლებით“. სიყვარულის აღმაფრენი ძალის გაგებით პოეტი ლექსში „ელების კარი გაზაფხულისა“ ასე მიმართავს მათ:

ელების კარი გაზაფხულისა,
ღროთა ცვალებით დანაგულისა.
მოგივალსთ ჟამი სიხარულისა,
თვისთანა მქონე შეება სრულისა:

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!

მწარე თუ ტკბილი გამოცდილებით პოეტი გაფრთხილებისა თუ დარიგება-რჩევის მიზნით ყველას ასე წიმართავს ლექსში „თავსა უფლად“:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ყოველთ ესრეთ გაიგონეთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.
მეცა ვიყავ მოქადული,
ვიდრე ჩემად მქონდა გული;
ჰირი ვერად შემიპყრვიდა!
აწიყთ მტანჯვი სიყვარული.

მაგრამ, მიუხედავად დიდი ნებისყოფისა, სიამაყისა და თვითგაფრთხილებისა არ დამორჩილებოდა სიყვარულის გრძნობას, შეყვარებული მაინც ვერ უძლებს მასთან ჰიდლის და გულახდლილად აღიარებს:

მაგრამ ჩემიც სულის ძალა
ერთმან წამმან სრულად ჰსცვალა:
გნახე, და მყის შენმა სახემ
შემიპყრა და შეცამსჭვალა!

* ალ. ჰ ა ე კ ა ვ ა ძ ე, „სახე შენი“, გვ. 3.

პოეტის დაკოდირებული გულს არ ძალუძს დამალვა თავისი სისუსტისა სიყვარულის გრძნობის წინაშე და გატეხილი, დამონებული თავი გრძნობას ასე გადაგვიშლის:

მ:თ მოსისხლეთა ჩემთა, ოდეს განვიციდი თვალით,
მ:ზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით.
ხან აღმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალით,
უწარავად ვმდუმარეობ და ვიწვი წელილის ალით.
ოხვრა-და მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.
უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად;
რისთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესელად?*

აქ ალ. ჭავჭავაძე უფრო სიყვარულის გაგების აღმოსავლურ ხა-სიათს გვაძლევს. „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ე ბ შ ი“ ალექსანდრე ჭავჭავაძე უდა-ვოდ განიცდის გავლენას იმ აშუღური პოეზიისას, რომელიც უშუა-ლოდ აღმოსავლეთის კულტურისა და პოეზიის გავლენით გაიშალა თბილისის მოქალაქეებში. შემდეგ კი ქართული ენისა და ლიტერა-ტურის საფუძველზე გადამუშავდა. მალე ამ აშუღებმა მეფის სასახ-ლეშიც ამოჰყვეს თავი და აქედან უკვე მთელ საქართველოს მოედ-ვნენ ფეოდალთა სასახლეების მეოხებით, რომელნიც ამ მხრით ხანდახან მაინც, როგორც დასავლეთ ევროპაში, მეფეებს ჰბაძავდ-ნენ.

„ბოლო დროს, — წერს ი. გრიშაშვილი, — ხალხის ერთი ნაწი-ლის მოთხოვნილებაც გაიზარდა. მგოსნისაგან მოითხოვდნენ, ლექს-თა ტრადიციულ ელემენტს გარდა, ცოტა მეტსაც: ორიგინალობას, ფორმის სიფაქიზეს და შინაარსის სიღრმეს. აი ამ დროს გაჩნდნენ სასახლის აშუღები, სასახლის პოეტ-მგოსნები. რომელნიც ქართველ მეფეთა სასახლეში ჰმღეროდნენ. თვით მომღერალთა და ხალხის კულტურულად ზრდის გამოისობით შეიქმნა ტიპი აშუღ-პოეტისა, რომლებმაც განავითარეს და ახალ გზაზედ დააყენეს შუა საუკუნე-ების ლირიკა... მაგრამ მიუწვდომელ სიმბოლეზე აიყვანა აშუღთა პოეზია საფათნოვამ თავისი პოეტური შემოქმედების წყალობით. მან სახალხო მომღერლის ხელობა გადააქცია პოეტის უნაღლეს მოწო-დებად... საფათნოვამ... გვაჩვენა და დაგვიმტკიცა... რომ აშუღი არამც თუ მარტოოდენ გამართობი იყო სხვადასხვა ლზინ-მეჭლისში ლალის ღვინით შეფერიანებულ და შხიპ-შხიპა მწვადით დაოკებულ

* ალ. ჭავჭავაძე, „უწყალო სიყვარულო“, გვ. 19.

ხალხისა, — არამედ ხალხის ფეხამბარი და მუყაითი დამრიგებელ-
მასწავლებელიც“*.

ეს პოეტი-ამუღლები მომღერალნი თუ მთქმელნი იყვნენ სან ენაზე:
ქართულზე, სომხურზე და აზერბაიჯანულზე.
ცნობილი იყვნენ ამუღლები: თბილისელები, ერევნელები, განჯელები,
შემახელები, აშტარხნელები.

ამ ამუღლების მთელი პლეადა იყო თავისი სკოლით, მიმართულე-
ბით, ლიტერატურული ტრადიციებით. აი ზოგიერთის სახელები:
სტეფანოსი, დოსტოია, საჯათნოვა, ყალოიანთ
ბაღდასარა, თუჯარ, შამჩი მელქო, ბუდატ ოდ-
ლანი, ბეჩარა, სტეფანე მკერვალი, გიგუცაქამ-
ბეჩუაშვილი და მრავალი სხვა**.

„მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს და მეჩვიდმეტე საუკუნის
განმავლობაში, — წერს ამ ამუღების ცხოვრებისა და შემოქმედე-
ბის მკვლევარი ი. გრიშაშვილი, — საქართველო სპარსეთის გავლენ-
ას სრულიად დაემორჩილა. საბერძნეთის ზედმოქმედება შესუსტდა
კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ აღების შემდეგ 1453 წ. მისვლა-
მოსვლა ათონს, პალესტინას და საქართველოს შუა გაძნელდა, შე-
წყდა დასავლეთის გავლენა, ვიდრე კვლავ იგი არ გააცოცხლეს კა-
თოლიკეთა მისიონერებმა. ამ დროს საქართველოს მეფენი იწვრთ-
ნებიან შაჰის კარს. თვით მე-17 საუკუნიდან, როცა მაჰმადიანობა
ფენს იკიდებს საქართველოს დიდებულთა შორის, ასე რომ ქართვე-
ლი მეფეები სამეფო ტახტზე ვეღარ აღიოდნენ, თუ არა მაჰმადიან-
ობის მიღების შემდეგ — გავრცელდა საქართველოში სპარსული
ჩვეულება, ადმინისტრაციული წყობილება, ლიტერატურული
ნაწარმოებნი და მასთან ერთად სპარსული მუსიკაც. სპარსელი მწერ-
ლების ქართულად გადმოღებას ხელმძღვანელობდნენ გვირგვინოსა-
ნი მეფენი და მმართველნი საქართველოსი, რომელნიც ბავშვობიდან-
ვე ითვისებდნენ სპარსულ ენას, როგორც ჩვენ რუსულს“***.

ამუღლთა ლიტერატურამ ამ გზით მოიპოვა საშუალება ოფიცია-
ლურ ლიტერატურაში შეჭრისა და მის საერთო ნაკადში თავისი გავ-
ლენის შეტანისა. ბესიკი ერთი უდიდესი წარმომადგენელია ქარ-
თული ოფიციალური ლიტერატურისა, რომელზედაც ამ მუხამბაზ-
ამუღლურმა ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინა. ბესიკის პოეზი-

* ი. გრიშაშვილი, საჯათნოვა, გვ. 16—17.

** იქვე.

*** იქვე. გვ. 19; პროფ. ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერებას
ისტორია, წიგნი I, გვ. 441.

ამი, როგორც დიდი ოსტატის შემოქმედებაში, იშვიათი ხელოვნებით გადადულდა ოფიციალური ლიტერატურის ცხოვრება ყარაჩოლლურ-ჩუხაპბაზურში და ერთი მთლიანი, ძარღვიანი პოეზია გამოქანდაკდა, რომელიც არა მარტო თანამედროვეებს აღფრთოვანებდა და ავსებდა. არამედ, რომელსაც დღემდისაც არ დაუკარგავს თავისი დიდი მიმზიდველობა, თავისი დიდი პოეტური სურნელოვნება, ძალა, მნიშვნელობა.

ასეთსავე მაგალითს ჩვენს ოფიციალურ ლიტერატურაში წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძე.

იშვიათია ისეთი მკვეთრი და მრავალფეროვანი პოეტური სახეებით გამოთქმა სიყვარულის გრძნობისა, როგორც ეს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვაქვს მოცემული. მგრძნობელი სიყვარულის დახატვაში ის, როგორც მოტანილი ნიმუშებიდანაც ჩანს, დიდი ვირტუოზია.

მოვეუსმინოთ რა მაქსიმალური სიძლიერით გამოთქვამს პოეტი სიყვარულის ალით განოწვეულს მგრძნობელობას, წვას, რომელსაც პოეტი თითქოს პალუცინაციაში გადაჰყავს.

გზის გუშავად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთუნებენ,
ხან ფოთელნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზუნას;
ზოგჯერ ღამის სიწველიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გავლევბა ბროლის ფიცრით შუქთა ფენას.
თვით ნიავეთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლ მოდებულს ლალით გამო მბერდა ლხენას!
მ. ხსოვს, ოდეს ტრფობის წინდად შეიწირე სული ჩემი,
ამა ბავით შენსა ბალახშს გადმოვიდა... კმაღლა ზენას!

პოეტი გრძნობს თავის სისუსტეს სიყვარულის წინაშე. გრძნობს, რომ სიყვარულმა მთელი მისი არსება დასძლია, დაიმონა, მასზე გაბატონდა. გრძნობს, რომ ის, როგორც აშუღი პოეტი, სიყვარულის ხელში რაღაც უნებისყოფო ინერციით მოსიარულე შეიქმნა. ის თითქოს თავის გამართლებასაც კი ცდილობს და ასე ამბობს:

ნუ თუ დაკვამო შენსა პერობილს თვისთა გრძნობათ ლაღად მოთქმა?
რა ვჰყო, ენა აშვიკისა არ ჰგავს სხვისა გრილთა ენას.

პოეტისათვის გრძნობა უძლიერესი ნიჭია ადამიანის ტანჯვაში გამოტარებული ბედნიერების შესაგრძნობლად. ალ. ჭავჭავაძე, რომელმაც XVIII საუკუნის რაციონალისტების გავლენაც განიცადა, სხვა რომანტიკოსებსავეით რაციონალიზმს უპირისპირებს გრძნობის

* ალ. ჭავჭავაძე, „სიკვრის გლახ-გული...“, გვ. 24.

კულტს და უპირატესობას, როგორც მოსალოდნელიცაა, უკანასკნელს -- გრძნობას ანიჭებს:

შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
შეენებაც გინა არა გქონდეს, მით იმნათობებ;
შეენება შენი ესრედ მძლეველობს ამ ქვეყნიერად.
რომე გონების უმწეოდაც ნამღვილ იმფლობებ!
მარამ რას ხელ-პყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს?
მგრძნობელობა სსჯობს ყოველ თვისებათ, ცით მოვლენილთა,
შეენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს!*

აღ. ქავჭავაძე გრძნობის ასეთ გაგებაში გავლენას განიცდის როგორც რომანტიზმისას, რომლისათვის მაღალი გრძნობის განცდა, ადამიანის ბუნების გამახვილება, გამძაფრება და გამდიდრება დამახასიათებელი იყო, აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობაში განმტკიცებული მგრძნობელობის მოტივისაც.

აღ. ქავჭავაძე აღმოსავლური მგრძნობელობის ბრძანებლობის გამოხატვაში ხომ დიდი გრძნეულია! ის, როგორც აღზრდილი ძველ ქართულ მწერლობაზე, რომელმაც სველიდგანვე აღმოსავლური პოეზიის ელენენტები ხარბად შეისუნთქა, ხარბად ითვისებს ამ პოეზიის ფორმებსაც, საერთოდ მისი წერის მანერასაც, მსოფლმხედველობასაც. მისი შეხედულებითაც, როგორც ეს ბესიკსა და სხვა პოეტებს სჩვეოდათ, გრძნობის ძლევა მოსილებას ვერც სიბრძნე და ვერც გონება ვერ გაუმაგრდება:

სიბრძნე და გონიერება რა გინდ მარად ფხოზლად გვეფლობდნენ.
სიკაბუკეს და სიყვარულს რაცა უნდათ, იმას ჰყოფდნენ**.

აღ. ქავჭავაძის სიყვარული, როგორც ძველ ქართველ მწერლებს ახასიათებს, გარეგნულ სახეში, ხორციელ სილამაზეში პოულობს თავის განსახიერებას. ვნების და ეშნის აღძქერელი „ღაწვ-ბაგე ვარდთა“, დაუთვალავი ჯარი „შავთა ჰინდთა“, საკვირველი „თმათა სიგრძე, სიბნელე და ლამაზ წყობა“ თვალთ უბნელებს, მის გულს იზიდავს, მის გულისყურს ანდამატისებრ იპყრობს, მთელს მის არსებას იმონებს:

აღვისა ტანი, მალოვანი ვერ ვიცანია
ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია,

* აღ. ქავჭავაძე, „შენი გონების“, გვ. 86.

** მისივე, „წვრილი ლექსები“, გვ. 100.

ლაშ-ლოყა ლბილნი, მკლავნი წვრილნი, შენი თმანია,
სადაჲ მჩავერელად ფერი ვლიან ბროლ-ფიქალნია.

ან კიდევ:

ტანად სარო ხარ, ვარდებრ ლაწვნი შენნი ლბილობენ,
დალალ თმაშია გიშრის ბეწვნი ხშირად ყრილობენ,
ვაჲ, ჭუჭუ-მკერდი, კოკობ-ვარდი ნახად შლილობენ...*

ან კიდევ:

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს
ოჲ, სპეტაკო ზამბახთ ველო! **

ერთი და იგივე გრძნობა—ხორციელი, ვნებიანი სიყვარულ-, მთავარი თემა აშულ-პოეტებისა, ალ. ჭავჭავაძეს ინდენი სხვადასხვა ვარიაციითა აქვს წარმოდგენილი და ისეთი მრავალფეროვანი, არა-ჩვეულებრივი ვირტუოზული ასახვით, რომ პოეტებს არა მარტო დიდს მეტოქეობას უწევს, არამედ ხშირად ჩრდილავს, მკითხველი განცვიფრებაში მოჰყავს და მას დიდის ინტერესით ამ გრძნობების ქაოტური თუ კანონზომიერი სამყაროსაკენ გრძნეულად იზიდავს.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამ მგრძნობელობის სამყაროს თავისებურ გამოხატვაში თანამედროვე მწერლობაში ნიჰიერი მოწაფე-მეტოქე ჰყავს იოსებ გრიშაშვილის სახით. ამ უკანასკნელის შემოქმედების სათავეც იქ, აშული პოეტების უშუალო სტიქიაში იყო. ამ მწერალთა მიერ დატოვებულ მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუქარგავს ძალა, ძარღვიანი ენა და შემოქმედებითი ფორმა — აი აქ გამონახა და იპოვა ი. გრიშაშვილის ნიჰეც თავისი ნდიდარი პოეტური საბუღარი.

ცხადია, სიყვარულის გრძნობის ასახვაში ალ. ჭავჭავაძე ჭეშმარიტად აღმოსავლური პოეზიის, ქართულ სინამდვილეზე და ლიტერატურაზე დამყნობილისა და შესისხლხორცებულის გავლენას განიცდის, მაგრამ როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მის შემოქმედებაში ამ გრძნობის განსახიერებაშიც, ასეთს, ჩვენი ძველი მწერლობისათვის ჩვეულ და დამახასიათებელ ფერებში და ფორმებშიაც კი, მოჩანს

* ალ. ჭავჭავაძე, „შენს ღირსებას ნატრულობენ“. გვ. 11.

** მისივე, „ეჰანი რბიან“, გვ. 21.

ახალი ლიტერატურული მიმართულების — რომანტიზმის ელემენტი.
გარდა ზემომოტანილი ნიმუშებისა, რომელთა რიცხვის გადიდებ-
ა შეიძლებოდა, მოვიტანთ ნიმუშებს, რომლებშიც უფრო მკაფიოდ
გამოსჭვივის ალ. ჭავჭავაძის რომანტიკული გაგება სიყვარულის
გრძნობისა.

მაგალითად, ლექსში „უამნი რბიან“... მართალია, ალ. ჭავჭავაძე
აქაც ვერ განთავისუფლდა ხორციელი სიყვარულის გავლენისაგან,
აქაც უგალობს მას, მაგრამ ამასაც კი ამბობს:

ჰგავს ნამდვილი ტრფიალება
წოშორებით არ განჭრება;
რაზომ მელტვი, უფრო გეტრფი
სახილველად სასურველო!*

ან კიდევ ლექსში: „უწყალო სიყვარულო“...

ოდეს ვჭორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკედრების;
ეპრბი და მსდევენ დასები სეველის და მწუხარების.
მასვე საგანს ვეძიებ, გარნა ვერსადა მხედების:
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემეკმნების ბნელად**.

თუმცა სიყვარულის ასეთი გაგება საკმარისად სუსტადაა ასახუ-
ლი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ხორციელი სიყვარულის განც-
დაში ასეთი გაგება თითქოს სავსებით ინტენსივობა, მაგრამ მკითხველი
მას მაინც გრძნობს და ამ ორი გაგების სინთეზშია ალ. ჭავჭავაძის
შემოქმედების თავისებურება და ორიგინალობა.

4

შესაძლებელია, ალ. ჭავჭავაძის ასეთი დიდი ოსტატობა სიყვარუ-
ლის გრძნობა აღწერა-ასახვაში და მისი ამ ლექსების მის თანამედ-
როვეთა შორის დიდ გავრცელებაში იმარხებოდეს მიზეზი მკით-
ხველთა ერთი ნაწილის შეხედულებისა მასზე, როგორც „ვარდ-
ბულბულის“, მოტრფიალე, მოქეიფე, ანაკრეონტულ მწერალზე, რო-
მელიც ისწრაფვის სიამოვნება-სიხარულისაკენ, რომელსაც სურს
დარდიც და სიხარულიც მხოლოდ ჩაღლევაში და ვნებიან ეშში
ჩაეკლას.

მკითხველთა ეს ნაწილი ვერ ამჩნევდა და ზოგჯერ ვერც ახლა

* ალ. ჭავჭავაძე, „უამნი რბიან“... გვ. 21.

** მისივე, „უწყალო სიყვარულო“, გვ. 19.

ამხნევს იმ ნაღვლიან კოლორიტს, რომელშიც გამოქედლია ალ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება და კერძოდ მისი სატრფიალო ლექსებიც კი. ალ. ჭავჭავაძის მკითხველთა ეს ნაწილი პოეტის მიერ გარეგნულად ტრფიალებს-ვნებიანობაში ასახულ გრძნობაში ვერ ამჩნევდა და ზოგჯერ ახლაც ვერ ამხნევს იმ წწავვე განცდას, რომელიც „ვით მგესლი გველი“ შესჯდომია პოეტს და გულს უწყალოდ უღრღნის.

მკითხველთა მეორე ნაწილი, თუმცა შეიძლება მცირე, დასაბამიდანვე სულ სხვანაირად სცვრეტს და აფასებს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას. ამ შეხედულების მკვეთრი და გარკვეული გამომხატველია ილია ჭავჭავაძე თავის 1860 წელს დაწერილ ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“.

ვინაიდან ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი პოეტური და მასთან ერთად ფრიად სწორი დახასიათება და დაფასებაა ალ. ჭავჭავაძის მთელი პოეტური შემოქმედებისა, მოვიტანთ მას:

მისი ლექსი შეებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოჭფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს.
გამღერებს და ამღერდება.

ხან ბუჩქებში მიმალული
ჰზის მარტო. ვით იადონი,
შეჰყევს სატრფოს გულსაკედავად
ტრფობის ისრით განაწონი.
ხან პრბის ველად, მარტოდ ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკენესს შავ-ბედს ქვეყნისასა
ქვეყნისათვის ანატირი.
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგნის ტბასა
და ემღურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

დაახლოებით ასეთივე აზრისაა ალ. ჭავჭავაძეზე XIX საუკუნის ლიტერატურის ნეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი აკაკი წერეთელი.

რა იყო ალ. ჭავჭავაძის ამ „დაუდგრომელ დროთა ბრუნვის“ მომღურებისა და მისი „მწვავის მოთქმის“ მიზეზები? ვხედავთ თუ არა მართლა ამ მოტივებს და ხასიათს მის შემოქმედებაში, როგორც დამახასიათებელს? თუ პოეტი „გონიერებისა გამო“ გაუბრბოდა ამ მოტივებს, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია.

ამ საკითხის ახსნა-გარკვევა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების „საიდუმლოებრივი“ გამოურკვევლობასაც ფარდას ახდის. ამ საკითხის გასაღები უნდა ვეძებოთ ალ. ჭავჭავაძის აღზრდის პირობებში, მისი პიროვნების თავისებურებაში და განსაკუთრებით კი მაღალი წოდების, რომლის მსოფლმხედველობას ის გამოხატავს, საზოგადოებრივ, სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში რუსეთის შემოსვლით ქართველმა მაღალმა წოდებამ თავისი მმართველი როლი გაბატონებული კლასისა დაჰკარგა. აშკარა და აუცილებელი შეიქმნა, რომ თავადაზნაურთა წოდება სამოქმედო ასპარეზს თანდათან საკმარისი სისწრაფით უნდა ჩამოსცილებოდა.

ამ გარემოებამ პრივილეგიური წოდების ყველა ფენა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. იმედგაცრუებულობამ, უიმედობამ და უილაჭობამ მოიცვა ის. მის ფსიქოლოგიაში, როგორც ბუნებრივი შედეგი ასეთი მდგომარეობისა, უიმედობა-ნაღვლიანობა ხშირად ნისული პესიმიზმამდე, გამეფდა.

ალ. ჭავჭავაძე, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ თავადაზნაურთა წოდების კლასიფიკაციის მიხედვით, მეორე ჯგუფს ეკუთვნის. ეს ის ჯგუფი იყო ჩვენი მაღალი წოდებისა, რომელიც შეეგუა საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას, ვინაიდან ეს გამოსავალი, მათი შეხედულებით, აუცილებელი და ერთადერთი გონიერი გამოსავალი იყო.

ალ. ჭავჭავაძემ, რუსეთის მეფის ეკატერინე II -ის ნათლულმა, აღზრდილმა რუსეთის მეფის ტახტის მახლობელ არისტოკრატიულ წრეებში, გაზრდილმა პაეტა კორპუსში, „დიდი ნიჭი“ და გამჭრიახობა გამოიჩინა რუსების სამსახურში. მთავრობამ, მიუხედავად მისი ახალგაზრდობით გამოწვეული ურჩობისა, იგი მაინც დააფასა და ძალიანაც დააწინაურა.

კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის ბიუროკრატია სამსახურში ბუქთანდ არავის და განსაკუთრებით „ინოროდცებს“ არ აწინაურებდა. ალ. ჭავჭავაძემაც ასეთი დაწინაურება რუსეთის ტახტისადმი თავისი ერთგულებით იყიდა. ის ერთგული მომხრეა რუსეთის საქართველოში დამკვიდრების. ამის მჭევრმეტყველური დამამტკიცებელი საბუთია მისი ისტორიული ნონოგრაფია „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1501-დან 1831 წლამდე“ და მთლად მისი კერძო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ალ. ჭავჭავაძე მოსჩანს როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი —

მოქალაქე. თავის აღნიშნულ მოხსენებაში ის მეტად გაბედულად აუწერს ნიკოლოზ I-ს საქართველოს მდგომარეობას მეფის მოხელეების უხეში და არამიზანშეწონილი მმართველობის ქვეშ, — აჯანყების გამომწვევ მიზეზებსა და ქართველი ხალხის კეთილ დანოკიდებულებას რუსეთისადმი. თავის მოხსენებაში ის წერს: ლეკების შემოსევებმა „მეფე გიორგი დაარწმუნა, რომ შეუძლებელი იყო (შექმნილ ობიექტურ პირობებში — მ. ზ.) დამოუკიდებლობის შენარჩუნება გარეშე ძალის დაუხმარებლად. ნიზნად ისახავდა რა თავისი ხალხის სახელისა და სარწმუნოების დაცვას, გიორგისათვის ძნელი არ იყო გადაწყვეტა იმისი, თუ რომელი თავისი მეზობელი სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელი იყო ჩაებარებინა თავისი ერის მომავალი. ნან მიმართა რუსეთს, იცოდა რა ქართველების ძველთაგანი მისწრაფება მისდამი და არც შემცდარა არჩევანში. მის განზრახვას ხალხი ერთსულოვანი სიხარულით შეხვდა“*. მართლაც ალ. ჭავჭავაძე შეგნებულად იყო რუსეთთან შეერთების მომხრე და ერთგულადაც ემსახურებოდა.

რუსეთის ნთავრობაც ალ. ჭავჭავაძეს „შესანიშნავ მმართველად სთვლიდა“ და საკირო კაცად სახავდა სხვადასხვა აღელვების დასაწყენარებლად**. რუსეთს მან ხელი შეუწყო არა მარტო მეზობელ ხალხთა დამორჩილება-დაწყენარებაში, არამედ ქართველთა აჯანყების დამშვიდებაშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა. კიდევ სხვა მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ალ. ჭავჭავაძე ერთგული იყო რუსეთის საქართველოში განმტკიცების საქმისა, მაგრამ ფეიქრობთ ნათქვამი ექვს არ იწვევს.

მიუხედავად ამისა, ალ. ჭავჭავაძე, როგორც პატრიოტი— მოქალაქე არა თუ ვერ ურიგდებოდა მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც არამცთუ ხელს არ უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობას შეგუებოდა, შეზრდოდა რუსეთს, არამედ აშორებდა კიდევ. ალ. ჭავჭავაძე სამართლიანად აკრიტიკებს მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთა ბეც, შეუფერებელ, მავნებლურ პოლიტიკას, როგორც იყვნენ გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი, ზოგიერთი კაპიტან-ისპრავნიკი და მრავალი მათგანი. აი ალ. ჭავჭავაძე როგორ ახასიათებს

* ალ. ჭავჭავაძე. „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე“. თხზულებანი, გვ. 234—244. ი. გრიშაშვილის რედაქციით.

** პროფ. ალექს. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია XIX საუკ. გვ. 19.

მათ მოღვაწეობას: „ზოგიერთი პოლკების მოურიდებელი თვითნებობა აპარტახებდა არა მარტო იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც ისინი იდგნენ, არამედ მომიჯნავეებსაც, რომელთათვისაც ამის გამო უკვე აღარავითარი საკუთრება აღარ არსებობდა. შინაური ფრინველი, ლინო, ბოსტნები, ცხენები, ურმები, მთელი მათი ქონება ჯარისკაცთა განკარგულებაში იყო; ვენახების ღობეებსა და სარებს ჩვეულებრივად ყაზარმების გასათბობად ხმარობდნენ; და ყველაფერი ეს ზღბოდა აშკარად, ყოველი წინააღმდეგობის გარეშე, უფასოდ და პატრონები ვერ ჩიოდნენ, ვინაიდან პასუხად, მუქარისა და დასჯის გარდა, ვერას მიიღებდნენ. მრავალმა თავადმა და აზნაურმა. რათა თავი გადაერჩინა შევიწროებისა და უფრო კი პირადი შეურაცხყოფისაგან, მიატოვა ნამული და მიდიოდა სპარსეთს ალექსანდრე ბატონიშვილთან“*.

ალ. ჭავჭავაძე, უდაცოდ, დიდი მოქალაქის პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელიც ნებას არ აძლევდა გაჩუმებულყო, მოხსენებაში საკითხის კარგი შესწავლის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მოხელეთა უგზო-უკვლო, არასახელმწიფოებრივი ინტერესით გამოწვეული განკარგულებანი იწვევდა რუსეთის ძალა-უფლების დამკვიდრების მომხრე ქართველ ხალხში არეულობას მის წინააღმდეგ. ალ. ჭავჭავაძე, რეალურ ფერებში აღწერს რა მოსახლეობის შევიწროებას, აცხადებს: „ადვილი წარმოსადგენია. თუ რანაირად მოექცეოდნენ გლეხებს ჯარისკაცები, რომელნიც მათთან იყვნენ ჩაყენებულნი და ნაბრძანები ჰქონდათ: ძალა დაატანეთ და განოართეთ მათ (გლეხებს) ვითომდა უკვე ნაყიდი სურსათი, რომელსაც ისინი განძრახ მალავენო. ამას გარდა, ჯარისკაცებს ნება ჰქონდათ საკვებად გლეხებისათვის, რაც სურდათ, ის წაერთმიათ“**. ალ. ჭავჭავაძის სამართლიანი გაგებით და განცხადებით, მოხელეთა ასეთმა დამოკიდებულებამ მოსახლეობისადმი გამოიწვია ერთგვარი იმედგაცრუებულობა, სევდა, მწუხარება.

ფაქტია, რომ ალ. ჭავჭავაძე რუსეთის საქართველოში დამკვიდრების მომხრეა, ისიც ფაქტია და უტყუარი ფაქტიც, რომ ალ. ჭავჭავაძე ქართველი ხალხის, მისი თავადაზნაურობის განუყრელი ნაკვთია, მისი მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის დამახასიათებელი თვისების მატარებელი და მისი ტიპიური ამსახ-

* ალ. ჭავჭავაძე. „საქართ. მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე“. თხზულებანი, გვ. 248—249, ი. გრიშაშვილის რედაქციით.

** იქვე. გვ. 250.

ველი ქართულ პოეზიაში. აი ამიტომ ჩვენ პრივილეგიურ წოდებაში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამეფებულმა კავშირმა სევდისა. უნდობლობისა, სომუხთლისა და უკმაყოფილები-სამ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც მძლავრად დაისადგურა.

როდესაც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ეცნობით, აშკარად ხე-დავთ იმ უკმაყოფილება-სევდა-ნალველს, რომელმაც ასეთ ჭმუნვის ალში გაახვია იგი. პოეტის სატრფიალო ლექსებშიც კი კვნესა გვეს-მის. კვნესის პოეტი, როცა კი საწუთროებას ჩაუკვირდება. ალ. ჭავ-ჭავაძის შემოქმედება, შეიძლება ითქვას, მთლიანად სევდის ქსელშია ამოქსოვილი.

ეს ჭმუნვა და კვნესა ნაწილობრივ წარმოშობილია გავლენით იმ ნაღვლიანი კილოსი და შინაარსისა, რომელიც XVII და XIX საუ-კუნეთა უღელტეხილზე თანამედროვე ევროპის ცხოვრებასა და ლი-ტერატურას უღინთავდა. ეს ის სევდიანი პოეზიაა, რომელიც საერ-თო საკაცობრიო ცხოვრების ატმოსფეროს ავსებდა, ჩაილდ-ჰა-როლდის ქურქში ნრავალს ახვევდა, „მსოფლიო გოდ-ების“ მძლავრ ნაკადს ყველგან უხვად უშვებდა. ამ პოეზიის გავლენის ქვეშ, როგორც ვიცით, ალ. ჭავჭავაძეც აღიზარდა.

მაგრამ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების სევდიანი ხასიათის ახსნა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ გავლენით დიდი შეცდომა იქნებოდა, გავლენა მხოლოდ მაშინ იკიდებს მაგრად ფესვს და დამახასიათებ-ლად გადაიქცევა ხოლმე, როცა მას მისაღებად სოციალურ ცხოვრე-ბაში სათანადო ნიადაგი დახვდება.

ამიტომ ალ. ჭავჭავაძის სევდა-ჭმუნვის დასაბამი უმთავრესად სა-ქართველოსა და მისი ნაღალი წოდების მაშინდელ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ.

მართალია, პოეტმა გარკვევით, აშკარად, ვერ გამოხატა რა აკვნე-სებდა ქართველ ხალხს; მართალია, გარკვეულად ამაზე თავისი აზრი-სა და გრძნობის გამოხატვას პოეტი თითქოს გაურბოდა „გონიერე-ბით“, თუ, შეუძლებელი შეიქმნა იმ პოლიტიკურ პირობებში, მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს, როგორც ნიჭიერ პიროვნებას, დაჯილდოებულს, უდავოდ, დიდი პოეტური ნიჭითა და ალღოთი, არ შეეძლო სავსე-ბით გარეშე დარჩენილიყო იმ პირობებისა, რომელთაც ქართველი ხალხი ასე მტკივნეულად განიცდიდა რუსეთის დამკვიდრებით და იმ უთანასწორო ბრძოლით, ქართველი ხალხი დიდი რუსეთის მეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ რომ ეწეოდა. მას არ შეეძლო არ განეცადა ის კავშირი, რომელმაც ქართველი ხალხის გულში დაისადგურა მეფის რუსეთის მოხელეების სუსხიანი მოპყრობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ალ. ჭავჭავაძეს არ შეეძლო არ განე-

ცადა ის კაეშანი, რომელმაც მოიცვა ქართველი ბრწყინვალე წოდება ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ. ამ კაეშანს არ შეეძლო პოეტის გული და გონება გამუდმებით არ ეღრღნა. ასეთ გარემოებას არ შეეძლო პოეტის გულის სიღრმეს, მის შეუცნობელ სამყაროსაც კი ფსიქერამდე არ ჩასწვდომოდა, მისი მუზა შესაბამისად არ აემოქმედებინა და მისი ქნარი სევდიანად არ აეფლერებინა.

აღ. ჭავჭავაძე დაუყუჩებელ ტკივილებში, როგორც დიდი შვილი მალაღობისა, რწმუნდებოდა, რომ რუსეთის შემოსვლამ განწირული პრივილეგიური წოდება ვერ იხსნა. პირიქით, მისი დაღუპვა დააჩქარა, ხალხი ამბოხებათა ცეცხლში გაახვიდა. ამ განცდამ მასში კენესა გააღრმავა. ამას ამტკიცებს მთელი მისი შემოქმედების ხასიათი.

რომ ასეთი ახსნა და გაგება უნიადაგო არ არის, ეს თვით ალ. ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს:

როს ბულბული საამოვნოდ აღიმალღებს ხმას და მღერობს,
გრწამდეს. იგია ესრედ ტკბილად სიყვარულით
ეს არს მისი ხელოვნება, გრძნობისაგან უშუაღლ
თვარა ჩემი გულის გრძნობა მის ყბელესაც გარდამეტოს*.
არა მკვერობს. ყბედობს;

აი სწორედ ეს „გრძნობისაგან უშუაღლ ყბედობაა“ მიზეზი, პოეტის ჩანგს ასე ნაღვლიანად რომ მართავდა.

ალ. ჭავჭავაძის ასეთი სულიერი განწყობილება მშვენიერ ნიადაგად შეიქმნა დასამყნობად იმ ახალი ლიტერატურული მიმართულებისა, რომელსაც ის რუსეთში ყოფნის დროს ხარბად ეცნობოდა ახალი რუსული ლიტერატურის შემწეობით და ხანდახან უშუაღლდაც ევროპულის (განსაკუთრებით ფრანგულის) და როღელსაც რომანტიზმი ეწოდება.

სწორედ ამ საერთო უკმაყოფილებაზე განეთარდა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ყველა მოტივი, თვით ეშხითა და ვნებით საესე. სატრფიალო ლექსებიც კი.

აქედან ლოგიკურად ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ალ. ჭავჭავაძისათვის იმ მძლავრ პოლიტიკურ გარდატენას ქართველი ხალხის ისტორიაში უმნიშვნელოდ და უშედგოდ არ ჩაუვლია. პირიქით, გულის სიღრმეში დაბუღებული, თუნდაც შეუცნობელი, გრძნობა და დამოკიდებულება საერთო მდგომარეობისადმი, რუსის დიდი მოხელე ალ. ჭავჭავაძისაგან ერთგვარ კომპენსაციას ითხოვდა, და პოეტი „გრძნობისაგან უშუაღლ ყბედობაში“ ამ ტკივილების გამოსავალს და დაკმაყოფილებას პოულობდა.

* ალ. ჭავჭავაძე, „როს ბულბული...“ გვ. 81.

ამიტომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ მთავარ მოტივად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული გრძნობა, რომლის ნიადაგზედაც ასე მკვეთრად გაიშალა ქართული რომანტიზმი.

თვითონ პოეტი თავის დამოკიდებულებას თანამედროვე მდგომარეობისადმი გამოხატავს ლექსში „კავკასია“.

ალ. ჭავჭავაძე აღწერს რა კავკასიას (იგულისხნება საქართველო) მდიდარ, ლალი ბუნების მიმზიდველ ფერებში, აღნიშნავს რა, რომ ის თუმცა იყო „დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად“, ახლა ბოლოს „როსთ მხედარად აღზრდილი“, „მამაცი ციციშვილი“, რომ მოადგა მის საზღვრებს, თერგმა და მისმა საღმა კლდეებმა მას ფართოდ გაუღეს კარი. შეიჭრნენ „ჩრდილოს ვაშტნი“ კავკასიის მიუვალ წიაღში:

არ პრიდეს დეღეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მათასა;
ფოლანნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი. მედგრად მხენელნი ცეცხლთა
ჰსეებდენ, ჰგლეჯდენ, ჰუხობდენ, — და კავკასი მკვენსარედ
ეხთთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!

ამ გარემოებას ალ. ჭავჭავაძე დადებითად ხედება, რადგანაც, მისი რწმენითა და იმედით, —

გინიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

მაგრამ პირველი ათეული წლების განმავლობაში მტკიცენულმა შეზრდისა და შეუფერებელ მოხელეთა არასწორმა პოლიტიკამ, კოლონიური პოლიტიკის უხეშმა ბრკეალებმა მას იმედები გაუცრუვა და მწარედ ააკვნესა. პოეტი ამ ნიადაგზე გამოწვეულ ტკივილებს ასე გამოხატავს:

წყვეულ არს ის დრო. როს სამკვიდრო დაეკარგეთ კრულნი,
გვძლივა სოფელმან ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი...*

სინამდვილის ნახვის სევდით შემსჭვალული პოეტი საქართველოში ახლადშემოჭრილ ძალას, მის მოხელეთა მოქმედებას. ხალხისადმი მოპყრობას ასე ახასიათებს:

ვინც ჰხელა მათ მახეს, კირთა სახეს, არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება.

მუხთლად გვაწუებს. დაგვახვიებს თავს ბნელნი ბურნი, —
გვძლივა სოფელმან ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

* ალ. ჭავჭავაძე. „ისმინეთ მამენო!“, გვ. 67.

გაშმაგებული პოეტი ასეთი უდიერებით და დაუნდობლობით გამოწვეულ ბოლმას ვეღარ იტყვის, ფიალა მოთმინებისა ევსება და გულის სიღრმიდან ამოსთქვამს:

სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
დაკარგეს ყოვლი ჭირნახელი გულთ-უმხნესია,
ჭკნენს საეანენი საუქუნოდ ვით უდაბურნი, —
გაძლიერა სოფელმან ხელმეფაჯღმან. აჲ გვაგო შერნი!.. *

„ურვისაგან გულშეპყრობილ“ პოეტს ქმუნვა ერევა და ჭირში ფლობილი, გულდაკოდილი მგოსანი თავის ურვის მიზეზს ასე ხსნის და სთხოვს ვისაც სურს მისი „ჭირში ფლობილის ამბავთ ცნობა“ გაიგოს, უსწინოს:

მას ვსკვრეტ პატიმრად, ვის მონგვს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მებახლვის წყლული **.

აღ. ქავკავაძე, როგორც ეს ზევეითაც ხაზგასმით აღვნიშნეთ, ახალი ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცების წინააღმდეგ კი არ იყო, არამედ ამ ხელისუფლების მოხელეებისა, რომელთა, პოეტისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „მოუურიდებელი თვითნებობა აპარტახებდა არა მარტო იმ სოფლის მცხოვრებთ, სადაც ისინი იდგნენ***, არამედ მომიჯნავეებსაც, რომელთათვისაც „ამის გამო უკვე აღარავითარი საკუთრება არ არსებობდა“.

აი სწორედ მეფის ეს ნოხელენი არიან, სევდით რომ უვსებენ პოეტს გულს და მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ხმასა და კალამს აღებინებდნენ. აი ამათმა მოპყრობამ გაუტეხა პოეტს გული, მათში მაცდური „გველი“ დაანახვა და მწარედ შემდეგი ამოაკენესებინა:

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვეყვან ნების წარმტაცველად,
ხეალ სხვანი მოვლენ მათს გამომცველად,
გველივე შთება გველად ****.

* აღ. ქავკავაძე, „ისმინეთ მსმენნო“, გვ. 67.

** მისივე, „ვისაც გსურთ“, გვ. 34.

*** პოეტს მხედველობაში აქვს სამხედრო ძალები.

**** აღ. ქავკავაძე, „ვისაც გსურთ“, გვ. 34.

ასეთია ალ. ჭავჭავაძის მიერ თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, როს ის უყურებს წარმავალ ცხოვრებას. ასეთია მისი განცდა, რომელიც მთელ მის არსებას საწამლავსავეით შხამავს და აღნის მას „ცრემლთა ღვართა“.

ამიტომაა ალ. ჭავჭავაძე გარეგნულად ბედნიერი, „ვით მწირი შე-
ჰკენესს შავ-ბედს ქვეყნისასა, ქვეყნისათვის ანატირი“, და აწმყოთი უკმაყოფილო, უნუგემო, ნალვლიანად, როგორც ეს ერთი წყების რომანტიკოსებს სჩვეოდათ, ასე მიმართავს ოცნებას—მისი „ზრახვა და გონება“ წარსულში, ეროვნულ წარსულში გადაიტანოს.

ნუ მითევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც შე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;
წარსულისა სიციცხლის ნიავე კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე*.

დაქანცულს, მოტყუებულს პოეტის „წყლულ გულს“ სიტკბოებას მხოლოდ წარსულის ხილვა-ლა აძლევს:

გედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული*.

ლექსში „უწყალო სენმან“ პოეტი მიზეზს თავის სევდისას და ნწუხარებისას საკმარისი უშუალობით და გულწრფელობით გვაძლევს:

ჩვეულნი ღბინსა მიგვცა ჰირსა უბედობამან,
მოგვკალო შეება, გვმატა ვება შავ-სევობამან,
გვიტევა ყოვლმა განსაცხრომმა, თანაზრობამან,
მოგვიცვა აღმან, შეუწყალმან, გვალმო გრძნობამან,
გვეკეთა სასო დაუფასო, ვშთომილუართ კრულნი,
რომ ბანოვანი, მუნ მავანი, ჰყო დაბზარულნი**.

5

მუხთალი აწმყო და სოფელი თავისი დაუდგრომლობით პოეტის შეგნებაში ცხოვრების აზრისა და დანიშნულების, მის დასაბამისა და დასასრულის საკითხს აღძრავს. და როგორც რომანტიკოსს სჩვეოდა, ალ. ჭავჭავაძეც ამ საკითხის ახსნა-გარკვევაში საშინელ პესიმიზმამდე მიდის.

ჩვენ ზევით უკვე განვმარტეთ საფუძველი ალ. ჭავჭავაძის პე-

* ალ. ჭავჭავაძე, „ეპა ჩემო ოცნებავ“..., გვ. 72.

** მისივე, „უწყალო სენმან“, გვ. 17.

სიმიზმისა. პესიმიზმიც ხომ ერთ-ერთი ძირითადი მოტივია რომანტიზმისა საერთოდ და კერძოდ გარკვეული ცხოვრების ობიექტურ პირობათა გამო ალ. ჭავჭავაძის მელანქოლიური პოეზიისა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ალ. ჭავჭავაძის სამი ელეგია: „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“, „ვაჰ სოფელსა“ და „გოგჩა“.

ელეგიაში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ ალ. ჭავჭავაძე, დაინტერესებული ცხოვრების რაობით, მისი დანიშნულებითა და ადამიანის მისდამი დამოკიდებულებით, დაყუჩებული, სევდისა და მწუხარების ქვეშ დაღლილი, დათენთილი გონებით, ადამიანის ცხოვრებას ანალიზს უკეთებს. პოეტს უნდა გაერკვეს თავის დაუკმაყოფილებლობისა და სევდის ბუნებაში, ჩასწვდეს მის არსს ანალიზის თუ თვითანალიზის საშუალებით. უნდა გაერკვიოს, ადამიანის ცხოვრებაში თუ არის ისეთი პერიოდი, რომელშიც ის ბედნიერია, კმაყოფილია, ტანჯვითა, სევდითა და უკმაყოფილებით არაა შებოჭილი. ამ მიზნით პოეტი ადამიანის ცხოვრებას ხუთ ძირითად პერიოდად ჰყოფს. ყოველი პერიოდის ცალკე ანალიზის შემდეგ პოეტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანის ცხოვრებაში არ არის არც ერთი პერიოდი, როდესაც ის თავს ბედნიერად გრძნობდეს. „ამ სოფლის ჭმუნვის ალი“ საშინელი უკმაყოფილების ბეჭედს ასვენებს და მონობის უღელს აღგამს ადამიანის სიცოცხლეს დასაბამიდან. ადამიანი დაბადების მომენტში მყის ტირის, „ვით წინად მგრძნი მომავალთა“. ასეთი დასაწყისი თითქოს ბუნებრივი და სწორი გამომხატველია მისი მთლიანი ცხოვრებისა. და მართლაც, პოეტის გაგებით, ადამიანი მთელ თავის ჟამს ტანჯვაში ატარებს და ბოლოს მისი ცხოვრების დასასრულს, როდესაც ყველას მოვდაგდებოთ და „ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით“, რომელიმე სენი „სიკვდილის წინამძღვრად“ მოვლინებულს, დაჰკრავს „შვილებერ მოხრილ“ კაცს და შეუბრალებლად, თითქოს რაღაც გულცივი დაცინვით, ეტყვის: „ახით ნაშენო, მოკვდით ვებით!“

ყველაფრის წარმავლობა, ცხოვრების ამაოება. სიცრუე, სიფუჭე პოეტისათვის გულის მწველი ფაქტია. პოეტის გამოუვალი ნალველი აშკარადაა ასახული ამ ელეგიაში.

ამ ელეგიაში, ჩვენი გაგებით, იხატება არა მარტო ალ. ჭავჭავაძე, არამედ უფრო მეტად განწირული ბრწყინვალე წოდება, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუმცა ძალაუფლება სავსებით არ დაეკარგა, მაგრამ რომლის მდგომარეობა, ხავსს რომ წყალწალბებული ეკიდება, იმ მდგომარეობას მოგვაგონებდა. აქ

ალ. ჭავჭავაძე ნიჭიერი გამომხატველია დარღვეული კლასის განწყობილებისა.

მეორე პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში ეს ის ასაკია, როდესაც სწავლაა საჭირო ჭაბუქისათვის და როდესაც „არ გავვიშრობა მწვრთნელი თვალთა“. ამის გამო სწავლა — ტ ა ნ ჯ ვ ა ა. ამიტომ ამ ასაკშიც ადამიანი არ არის ბედნიერი.

რომ ხსენებულ ელეგიაში ალ. ჭავჭავაძე წარმავალი კლასის ფსიქოიდეოლოგიას გამოხატავს, ამის დამამტკიცებელია კიდევ სხვა შეხედულება, ამ ელეგიაში გამოთქმული: ასაკს რომ შევა ახალგაზრდა, ჭირი უფრო ემატება, რადგანაც ტრფობის გრძნობის მსხვერპლად იქცევა, თითქოს ამ გრძნობის გარეშე ცხოვრება და სიცოცხლე, ინტერესი არავითარი აღარ არის; სხვა დამაინტერესებელი საგანი ამ ასაკში ადამიანისათვის არ მოჩანს, ყოველ შემთხვევაში ეს მთავარია. ეს ალფა და ომეგაა მისი ცხოვრებისა.

არის კიდევ ამავე ელეგიაში ჩვენი დებულების დამამტკიცებელი ხაზები.

ოდეს შევალ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:

არა ვკმაობთ საქმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,

გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა:

რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექნების შურით კმუხვა.

ასევეა დახასიათებული ადამიანის განცდები მისი მოხუცებულობაში შესვლის პერიოდშიც. ამ განცდასაც მაღალი წოდების ფსიქოიდეოლოგიის განცდის ბეჭედი აზის. ვისთვის არის დამახასიათებელი ჩვეულებრივ ცხოვრებაში პრეტენზიები დიდებისა, პატივისა, სახელის განთქმისა, ზშირად უსაფუძვლო პრეტენზიებიც, რომელთა მიუღწევლობა შურით „კმუხვას“ იწვევს? რასაკვირველია, პრივილეგიებს შეჩვეული წოდებისათვის და როდესაც, დაშლის პერიოდში, ეს წოდება თუ კლასი შემოქმედებითს ძალას და საზოგადოებრივ როლს ჰკარგავს, ეკონომიური და მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ნიადაგი ცხოვრებისა ხელიდან ეცლება, დაძაბუნდება, მაშინ მხოლოდ ცარიელი სურვილები და პრეტენზიები—ლა ამოძრავებს მას. ამ მდგომარეობაში ის გრძნობს, რომ ცხოვრება მას რიყავს, ამიტომ სასოწარკვეთილებას და შურით „კმუნვას“—ლა ეძლევა.

ასეთივე უნუგეშო, დაძაბუნებულია ადამიანის ცხოვრების მეხუთე — სიბერის პერიოდი; როდესაც ორად მოხრილს მოსეულ სენთაგან ერთი რომელიმე ჩაჰკრავს თავში მძიმე, განაჩენით: „ახათ ნაშენო, მოკვდით ვებით!“

ასევე მწარე სევდით და პესიმიზმით არის მოცული ალ. ჭავჭავაძის მეორე ელეგია „ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“.

ეს ელეგია დაწერილი უნდა იყოს ახალი ხელისუფლების დამყარების პირველ ათეულ წლებში. სანამდე ამ ელეგიის განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა ორიოდე სიტყვით განვიხილოთ ალ. ჭავჭავაძის მიერ პატიმრობის დროს (მთიულეთის აჯანყების გამო) 1804 წელს 8 დეკემბერს თარგმნილი ნაწარმოები „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, თხზულება „რომლისამე ფრანცუზისაგან, ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად“. აღნიშნული ნაწარმოები გამოხატავს როგორც ამ უცნობი ავტორის, ისე მისი მთარგმნელის ალ. ჭავჭავაძის პესიმიზმურ განწყობილებას: უნდობლობას კაცისადმი და კაცთა შორის უსამართლო ურთიერთობის არსებობას. „ვხედავ კაცსა გაბმულსა უბედურებისა ბადეთა შინა, და მწუხარებითა მისითა გარდმომედინებთან ცრემლნი“ * — ამბობს ავტორი და იზიარებს მისი მთარგმნელიც. მაშინ, როდესაც, მათი შეხედულებით, ბუნება ადამიანს ქმნის განცხრომისა და სიამოვნებისათვის, მაგრამ კაცი მას „ძალით ჰრთავს მწუხარებას“.

კაცი გაუმაძღარია, უწყალო, უსამართლო, სულ თავისკენ მიითლის, არავითარ საშუალებას არ ერიდება, რომ თავისი დაუოკებელი ბუნება დაიკმაყოფილოს, თავისი მოძმე დაიმონოს, რკინის საგებელი დაადგას. „ბედნიერო ცხოველნო, თქვენ არა უწყით დამამხობელნი ესე განჩხრეკანი, რომელთა მიერ კაცი იძულებულ არს კვნესად ძმისა თვისისა მონებითა შობითვე... ბულბულსა არა ოდეს უთქვამს თვისთა მობუდართა სხვათა ბულბულთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი არიან და ყოველნი მათ ზედა მბუდარნი მფრინველნი ჭერარს დამემორჩილენ მე! ჭია, დაბადებული ფურცელსა ზედა, სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოებს თავისუფალსა ადგილსა!“

„ახლოით განჩხრეკილი კაცის“ ავტორს კაცის ეს ავი ბუნება განჭვრეტილი აქვს უფრო ფართო გაგებით. „აღვირუსხმელთა ვნებათა მქონებელნი კაცნი, მოშურნე მეზობლისა თვისისა, რომელსა ჰყავნ მისგან უმეტესნი ყმანი და აქენ უმჯობესნი მამულნი, შეიტანს იგი საჭურველსა და ცეცხლსა ქვეყანასა შინა თვისისა... საჭიროება კაცისა მდგომარება ნაყოფთა, რძესა და წყალსა შინა. შემუშაკებული მიწა გამოჰსცემდა მისთვის სიუხვით ამა პირველთა უმანკოებისა საქონელთა... გარნა იგი გამოიზარდა ცხოვართა სისხ-

* ალ. ჭავჭავაძე, „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, გვ. 170 და შემდეგ.

ლითა და ხორციითა. მან დაფარა გვამი თვისი ჳრელთა სამოსელთა ჳვეშე. და დაიდვა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და ჳსთჳკვა ამჳარტავნებით: მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ მუნთა ყოველსა კაცსა, რომელსა არა ექნება საკმაო ძალი, გინა მხეცებრიობა თავისა თვისისა იანსარინებლად დაეჳსდებ მათ ჳაჳკესა რკინისასა“... აჳ იგრძნობა ავტორზე ფრანგი რომანტიკოსი ფილოსოფოსი-სოციოლოგის ე. ე. რუსოს და სხვათა გავლენა. ესენი მორალური თვალსაზრისით სჩხრეკენ ადამიანს და მის ბუნებას. ადამიანთა თანასწორობას მორალური თვალსაზრისით აღიარებენ. მათი შეხედულებით, არსებული ადამიანთა უთანასწორობა სამწუხარო და სავალალოა, უსამართლობაა, მაგრამ ის ჩვენებითი არის. არაფერია ეს ყველა მორალური თანასწორობის წინაშე.

საგულისხმოა დასასრული ავტორის მისტიკური ხასიათის მსჯელობისა: „რანი არიან ყოველნი იგი არსებანი, რომელნი სტანჯვენ, ჳხოცენ, ჳგლეჯენ და ჳსჳამენ ურთიერთსა? ივინი არიან იოტნი და ჳინჳველნი, მოძრავნი კორახსა ჳედან ამა სფეროსასა, რომელთა ცხოვრებაი დასრულდება მალიად, ხოლო ივინი შეიქმნებიან კორახისა მის ნაწილად... მათ შორის ეამი მოიწევის მომუქართა სახითა, მოხვევს ბადესა თვისსა ამჳარტავანთა მათ ჳინჳველთა სასაცილოსა ხორასა. ხელმწიფენი, თავადნი, ტირანნი, მონანი, ჳალაქნი, სამეფონი, ყოველივე განურჩევლად წარიღებიან, ყოველივე განქრების, არღარა ჳრჩების კაცსა შეცოდებათა თვისთა სახისა კიდე, რომელსაცა უგდებს შემდგომად თავისსა მომავალთა მაგალითად“.

„ახლოთ განჩხრეკილი კაცის“ თარგმნას პატიმარი ალ. ჳავჳავაძე უძღვნის პატიმარს ფარნაოზ ბატონიშვილს ერთგვარი მიმართვით, რომელშიც შემდეგსაც ვკითხულობთ: „უმოწყალესო ხელმწიფეო!.. აწმყონსა მდგმობისა თქვენისა სუბუქად და განუკვირებლად განტარებისათვის საჳირო არს თქვენდა განწვლილვით ცნობა კაცთა ბუნებისა, რომელსაცა ცხადჳყოფს წიგნაკი ესე წოდებული ესრეთ: „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“.

რომ ეს ნაწარმოები ალ. ჳავჳავაძეს გარკვეულმა გარემოებამ, ეროვნული ჩაგვრის განცდამ, გადმოათარგმნინა და ძლიერი კაცის მიერ სუსტი კაცის ჩაგვრაში, რაც ლეიტმოტივია „ახლოთ განჩხრეკილი კაცისა“, ალ. ჳავჳავაძემ დაინახა როგორც უსამართლოდ ძლიერი ერის მიერ სუსტი ერის ჩაგვრა, შევიწროება, ეს დასტურდება ჳერ ერთი ამ თხზულების გარკვეულ მომენტში თარგმნითა და მიძღვნით დაპატიმრებულ ფარნაოზ ბატონიშვილისადმი; ამას

გარდა, თვით ნაწარმოებშიც მოცემულია ისეთი მსჯელობანი, რომელშიც ეროვნულ ჩაგვრასაც გულისხმობს თვით ავტორი, როგორც ერთ-ერთ უსამართლო გამოვლინებას გაზვიადებული კაცის ხარბი, უსამართლო ბუნებისა.

„იქმნების, — ვკითხულობთ „ახლოთ განჩხრეკილ კაცში“, — უწყალომან დედამან მიგცეს შენ სხვასა გამოსაზრდელად, შენ აღავსებ დედა მძუძვისა შენსა ტკბილითა ალერსითა, რომელ არს საამო ჯილოდ განწყესებული დედობრივისა ზრუნვისათვის; გული შენი შეეკერის სიყვარულისა და მადლობისა კავშირებითა მომვლელსა შენსა, ხოლო შემდგომად... წარმოჰსდგების უკვე შენს წინაშე ახალი ვინმე მშობელი და ითხოვს შენგან: სიყვარულსა, რომელი არა თვის ეყვის მას, ვინაითგან არა არს მოჭირანახულე შენი, შენ დაგარღვევინებენ ბუნებისა პირველთა კავშირთა, და გასწავლიან ამით შეურაცხებასა საღმრთოისა ჰსჯულისასა; იქმნება ოდესმე შეიქმნა შენ მძსხვერპლად ბარბაროსებრისა მოქმედებისა; რა უამს ხარ შენ ჰმთაკრულ არტახებით იწროსა საპატიმროსა მას შინ. ჰსცდილობ გარნა არა ძალგიძს განძრვა სხეულთა შენთა, ჩხავილნი შენნი არა განადვიებენ უგრძნოისა დედა მძუძვისა შენისა სასმენელთა, რომლითა უფროს განმრავლდებიან შენ შორის მწუხარებანი, და უმეტესად ჰგრძნობ ტყვეობასა შენსა“.

იმავე მდგომარეობამ, ეროვნულმა ტკივილებმა, იმავე დროს დააწერინეს ალ. ჰვაჭავაძეს ხსენებული ელეგია „ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“.

ეს სოფელი, პოეტის შეხედულებით, ერთი რომელიმე პიროვნების ცხოვრების გარეშეც რომ განვიხილოთ, დავრწმუნდებით მის უარყოფით და ვერაგულ ხასიათში. როცა პოეტი ამა სოფლის „მდგმურთ“ და მათ ცხოვრებას უკვირდება, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ისინი არიან „ბოროტებისა და სიცრუის ჰურნი, კეთილმოყვარეობის დამთრგუნველნი, მძრახველნი კეთილმოქმედთა, შემკულნი შურით, სარგებლის საპოვნელად დაუყოვნელად დამრღვეველნი სჯულისა, არ დამზოგნი მსგავსთა თვისთა საკვლელად — გამდიდრებულნი, რომელნიცა „მძლეობენ და ყვაელოვნებენ, ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვითა“. ყველა ამას ჩაღიან პირადი კეთილდღეობისათვის — სუსტის დაჩაგვრით, „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“.

ეს ელეგია, გარდა პესიმიისტური მიმართულებისა, შეიცავს კიდევ სხვა მოტივებსაც: აქ თითქოს დაპირისპირებულია ცხოვრებაში ორი მოქმედი კლასი: გაბატონებული და დაჩაგრული. პირველის ბედნიერება დამყარებულია „მდაბალთ ჩაგვ-

რაზე, მტაცებლობაზე და ხვეჭაზე“. აქ თითქოს კლასთა გამწვავებულ ბრძოლაა დაპირისპირებით ასახული, თითქოს, ალ. ჭავჭავაძის მიერ საკმარისად სწორი გაგებითა და განსახიერებითაც.

იანსაკუთრებით მკითხველის ყურადღებას იქცევს შემდეგი აზრი ამ ელევგისა:

გარნა მძლეა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის,
ყველაკი წარუვალს, განელევის,
რაც ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორებას!
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

ასეთი გამძაფრებული კლასობრივი მსოფლმხედველობა სავსებით ეწინააღმდეგება ალ. ჭავჭავაძის ცნობილ და მის შემოქმედებაში აღბეჭდილ მსოფლმხედველობას და იდეოლოგიას. ჩვენ როგორღაც დაუჩერებლად მიგვაჩნია, რომ ალ. ჭავჭავაძეს ასეთი გარკვეული სოციალისტური იდეები გამოეტარებინოს და ასე გამოესაზრდობებინოს თავის შინაგან სამყაროში და ასეთი ფარკვეულობით განესახიერებინოს პოეტურ შემოქმედებაში დაჩაგრული კლასის აუცილებელი სამართლიანი გამარჯვება.

ჩვენი აზრით, ალ. ჭავჭავაძეს ამ ლექსში ასახულ დაპირისპირებაში კლასობრივი თვალსაზრისი კი არ უნდა ამოძრავებდეს, არამედ ეროვნული. ჩვენი შეხედულებით, ამ ელევგის ეროვნული ჩაგვრის იდეა უნდა ედოს სარჩულად. მხოლოდ ასეთი გაგება გამოგვიყვანს ჩვენ იმ გაუგებრობიდან, რომელშიც ყოველი მკითხველი მოექცევა, თუ მასში კლასობრივ თვალსაზრისს დაინახავს.

ცნობილია, ეროვნულ ჩაგვრაზე აშკარად, პირდაპირობით წერა იმ პირობებში შეუძლებელი იყო, იანსაკუთრებით ისეთი დიდი მოხელისათვის, როგორც იყო ალ. ჭავჭავაძე. ამიტომ მან მიმართა ჭარაგმას, გამოიყენა იმ ეპოქაში სანტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელი იდეა — მორალურად ადამიანები თანასწორნი არიან. ეს მორალური თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი ხელოვნური სოციალური უთანასწორობა. სინამდვილეში რომ ალ. ჭავჭავაძე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას, ამაა ლექსში ჩაქსოვილი ადგილებიც ამჟღავნებს. მაგალითად:

სამეფონი ურთიერთსა მქცეულობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეულობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლეულობენ
და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხეკით.

ან კიდევ:

ხელმწიფენი, რომელთ სევსაც ვეშურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,
ატარებენ უამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხეკით.
მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,
ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი,
კეკლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომრჩომელნი
და შეეკევიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხეკით.

ამასთან, ამ ლექსის სწორი გაგებისათვის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის, როგორც „ახლოით განჩხრეკილი კაცის“ თარგმანი, შესრულებული უნდა იყოს თუ 1804 წელს პოეტის პატიმრობის დროს არა, იმის ახლო ხანებში მაინც.

აწმყოთი მაშვრალ პოეტის გონებას აზრთა სრბოლა წარსულის საიდუმლო სივრცეში გადააქვს. პოეტი, როგორც ეს რომანტიკოსებისათვის იყო დამახასიათებელი, „ღრუბლიანი დაჰყურებს გოგჩის ტბას“, მის ნგრეულ მიდამოებში ლამობს ცხოვრების საიდუმლოება ამოიკითხოს.

გოგჩის ტბის ნაპირების ნანგრეენი აღ. ჰავკავაძის რომანტიკული აღმაფრენით აღგზნებულ ფანტაზიას ცოცხლად წარმოუდგენს სურათს წარსულის ფეოდალური დიდებული ცხოვრებისას ამ ნანგრევთა ადგილზე:

ესე კამარა ძვილ საცნობო ყოფილ ტაძარად
სად კვლავ მეფენი მოწინებით იღრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გვრგვინიდიან ხმანი ფსალმუნთა,
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოღენ პირუტყვთა...
აქაცა მჭდარა ძალი მაალას ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა:
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად:
ტრფიანნი აქაც შემსკველვიან კვლავ ერთმანერთთა.

რომანტიკოსებასათვის დამახასიათებელი ავადმყოფური სიცხო-ველით წარსულის აღდგენა და მისი ბედის წარმავლობის გათვა-ლიწინება აი რა დასკვნამდე მიიყვანს ჩვენს მგოსანს:

აჰა პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლასაც ნამდვილი ხატი,
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, სედევ
ბრმობილო!*

აი ტიპიური შეხედულება რომანტიკოსებისა „ამა სოფლის“ წარმავლობისა, სიფუქისა, არარაობის შესახებ. ამ დასკვნაში პოეტს ეხატება უღმობელი ცხოვრების განაჩენი მისი კლასის მიმართაც! აი აქ არის უშუალო საფუძველი პოეტის პესიმიზმისა. ცხადია, ალ. ჭავჭავაძის ეს გაჰანადგურებელი პესიმიზმი, „მწვავე მოთქმა დაუდგრომელ დროთა ბრუნვისა“, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აღმოცენებულია იმ საერთო ეროვნულ, პატრიოტულ უმაცოფილებაზე, რომელიც ასე მწვავედ აკვნესებდა ქართველ ხალხს, და ნიჭიერი პოეტიც ხომ ცოცხალი ნაკეთია ხალხის ცხოვრებისა, მისი სულისკვეთებისა! ხოლო ალ. ჭავჭავაძის პესიმიზმი, რომელსაც აგრეთვე ზოგადი ხასიათი აქვს, განვითარებული და გაძლიერებულია ლიტერატურული რომანტიზმის საერთო გავლენითაც.

6

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში თითქოს განცალკევებულად მოჩანს მისი ლექსი „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი ლ ა თ ა ი უ რ ი“.

მუხამბაზური ლექსები, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჩვენი პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი პოეტური ქანრია. ამგვარი ლექსი მას ბევრი აქვს. მაგრამ „მუხამბაზი ლათაიური“ მკითხველის ყურადღებას იპყრობს თავისებური ხასიათით, „ძმა-ბიჭური“, უდარდელი დაუდევარი ტონით.

ამ ლექსმა ხელი შეუწყო გამეტყიციებინა ალ. ჭავჭავაძის თაყვანისმცემელ მკითხველებში და აქედან ჩვენ კრიტიკულ ლიტერატურაშიც შეხედულება პოეტზე, როგორც მხოლოდ „ვარდ-ბულბულის“, მოქეიფე, დარდიმანდ ეპიკურელ მგოსანზე.

ამ ლექსის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში ერთი გარკვეული შეხედულება არ არსებობს.

ზოგს ჰგონია, რომ ალ. ჭავჭავაძემ ამ ლექსში გამოთქვა თავისი

* ალ. ჭავჭავაძე, „გოგჩა“, გვ. 92.

კრედო. განასახიერა სავსებით უშუალოდ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც თვით პოეტი ეკუთვნოდა და რომელიც ტრადიციულად ქეიფსა და დროს გატარებაში ზედაედა ცხოვრების მიზანსა და დანიშნულებას. „მუხამბაზი ლათაიური“, მათი შეხედულებით, ალ. ჭავჭავაძის გულწრფელი და ბუნებრივი ჰიმნია უზრუნველი, სასიამოვნო ცხოვრებისადმი.

ზოგიერთები ცდილობენ ამ ლექსის ახსნაში სხვანაირი გაგება შეიტანონ. ეს ლექსი მათ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას დამახასიათებელ ნაწარმოებად. და უფრო მეტი — მის მსოფლმხედველობის, მისი მორალური კრედოს გამომხატველად მიაჩნიათ.

ჩვენ გვგონია, რომ „მუხამბაზი ლათაიური“ ალ. ჭავჭავაძის მორალური კრედოს დანახვა არ არის სწორი და მართებული გაგება ამ ლექსისა. ასეთი გაგება ამ ნაწარმოებისა ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მთლიან მიმართულებას ეწინააღმდეგება. ეწინააღმდეგება აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის მთლიან პიროვნებას, როგორც ის გამოვლინდა პრაქტიკულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ „მუხამბაზი ლათაიურის“ შინაარსის ასეთ განმარტებას.

განა იმ პოეტისათვის, რომელიც თავის ჩანგს ასე მწვავედ აკუნესებდა, რომელმაც ასეთს მძიმე პესიმიზმში გამოსჭედა თავიანი შემოქმედება, თვით სატრფიალო ლექსებშიც კი სევდა-ნაღველი დაქმუნვა უხვად ჩააქსოვა — „მუხამბაზი ლათაიური“ შეიძლება მისი მორალური კრედოს გამომქლავნება-გამოაშკარავებად მივიჩნიოთ?!

„მუხამბაზი ლათაიური“ მართლაც მშვენიერი ჰიმნია „ძმა-ბიჭების“, „ლოთი-ფოთების“ გიჟური თავდავიწყებისა ღვინოში, „ძმა-ბიჭებისა“, პირად ცხოვრებას რომ უწყალოდ სწვავდნენ.

ლოთებო, ნეტავი ჩვენა. არიალალი,
დღეს მოგვეცა შეება-ლხენა,
თარიალალი!

შემოდგომამან ბახუსი
საწნახელში ჩააყენა!
რა გინდ ზამთარი ჰყინავდეს,
გინდ ყვავიცი ველარ ჰფრინავდეს,
ვერ შეგვაშინოს სიცივემ,
თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.
მინდა ვსვა — საღვინე მამე,
მოძღვარო, დასტური დამე!
წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,
წარღვნაა ამის მოწამე...

ნუთუ ასე მწვავედ მკენესარე, სოფლისგან ხელ-მყოფი, დაძლეული პოეტის ალ. ჭავჭავაძის ჰიმნია ეს?! ვფიქრობთ, არა.

თუ, სამწუხაროდ, დაწვრილებით არა, ზოგადად მაინც ვიცით პოეტის ბიოგრაფია. ის იყო გონიერი, წინდახედული, მშრომელი, მაქსიმალურად პირნათლად აღმსრულებელი თავისი მოვალეობისა, ცხოვრებაში შეძლებისდაგვარად გამტარებელი მეცნიერების მონაპოვართა: განსაკუთრებით ცნობილია მისი წამოწყებული რაციონალურ-ინტენსიურ მეურნეობაში (ნაშთი ამ მეურნეობისა დღემდე დარჩენილი და გამოყენებული სოფელ წინანდალში). განვიხილეთ მისი შემოქმედებაც და განა შესაძლებელია შევათავსოთ ყველა ეს იმ შეხედულებებს, რომელთაც პოეტი ამ ლექსში ასეთი ირონიით გამოთქვამს? განა შეიძლება მივაწეროთ ალ. ჭავჭავაძეს სარწმუნოების გამასხარავება, ან შეეძლო მას, რომელსაც მწიფნობრობა უყვარდა (მისი ბიოგრაფიიდან კარგად ვიცით, რომ ცოდნის შექმნაში, ევროპის კულტურის გადმოღებაში, გაევროპელებაში ხედავდა საქართველოს ხსნას, როგორც ჩანს, ბევრი უკითხავს, ბევრი უფიქრია. ბევრი უწერია), ცოდნის ასეთი დამცირება?

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ლეინო სჯობს ყოველ მცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს,
და ლოთი გამარჯვებასა.
აქიმო, თუ გაქვს ქამალი,
ჰსცადე ეს ჩემი ნასწავლი:
რაც სენი უკურნალ იყოს,
ლეინო იმის წამალი!

ან კიდევ, განა შეიძლება ალ. ჭავჭავაძის კრედიტ მივიჩნიოთ ქადაგება ცხოვრების გაუფრთხილებლობისა და ლეინოში გაფლანგვისა, რომელსაც, ამ, მართლაც, ლოთების ჰიმნში ვკითხულობთ, ალ. ჭავჭავაძისა, რომელიც თავის ჯამაგირსაც მამულის გაუმჯობესებას ახმარებდა, რათა შემოსავალი ფაედიდებინა, სხვებისათვის მაგალითი მიეცა!?

ჩვენი შეხედულებით და გაგებით, ალ. ჭავჭავაძემ „მუხამბაზი ლათაიურში“ თავისი საკუთარი მორალური კრედიტ კი არ მოგვცა, არამედ ძლიერი და ნიჭიერი სატირა მაშინდელი თავადაზნაურობის იმ ნაწილზე, რომელიც საზოგადოებრივად ნიადაგგამოცლილი, როგორც ილია ჭავჭავაძემაც თქვა, — „თვალაბმული, თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი, არ გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობა, მოყვრის მგმობა, სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშვიერი“ — გულგრილად უყურებდა

თავის პირად, საზოგადოებრივი ცხოვრების საბედისწერო მდგომარეობასაც კი, უსაქმოდ დაეხეტებოდა, ქეიფში და „ჩაღლევაში“ ჰკლავდა არა დარდს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ დროს და თავის ძალას. ასეთთა რიცხვი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებში პოეტის დროსაც და მთელი XIX საუკუნის მანძილზეც საკმარისად დიდი იყო.

აღ. ჭავჭავაძეს, თუ ვფიქრობთ, რომ მისი შემოქმედების ნაღვლიანი კილო საზოგადოებრივი ცხოვრების ნიადაგზე გაიშალა და გაღრმავდა, არ შეეძლო საერთო უბედურებისა და უილაჯობის დროს, თუნდაც შეუცნობლივ განსახიერებაში, არ დაეხატა მის ლოთიფოთ შვილთა ლეგიონი, რომელიც ხორცმეტყვიით ამოსულიყო ქართველი ხალხის ორგანიზმზე, უაზროდ წვავდა თავის ცხოვრებას და ჰფიტავდა ისედაც დაუძლურებულ ქართულ საზოგადოებრიობას.

ამიტომ „მუხამბაზი ლათაიურში“ სევდით დასერილი აღ. ჭავჭავაძე, რომელსაც რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდების შემდეგ საქართველოს ხსნა მის გაევროპელებაში, ზომიერ, აზრიან-მოქმედებიან ცხოვრებაში მიაჩნდა, ქართველი პრივილეგიური წოდების ამ გზააბნეული ნაწილის მიმართ ისერის დროზე მოხდენალ სატირას. ამ ლექსში ის თავის მაღალ, საზოგადოებრივ, მორალურ კრედოს გამოხატავს და არა მაღალი წოდების იმ ნაწილისას, რომელიც სათანადო სიფხიზლით ვერ შეხვდა დიდ პოლიტიკურ მომენტს.

და თუ აღ. ჭავჭავაძემ ასე მკვეთრად შესძლო ამ ნაწილის მორალური კრედოს გამოხატვა, ეს იმიტომ, რომ ეს ნაწილი, შესაძლებელია უფრო დასნეულებული, მაგრამ იმავე წოდების ნაკვთი იყო, რომელსაც თვით პოეტი ეკუთვნოდა. და ამიტომ ამ ნაწილის ფსიქოლოგია პოეტისათვის ახლობელი და გასაგები იყო.

იღ. ჭავჭავაძე, რომ მართლა საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა, ვიდრე ეს „მუხამბაზი ლათაიურშია“ განსახიერებელი, რომ მისი პოზიცია მართლა საქმიანი, შორსმჭვრეტელი, მყარი ნიადაგიანი მოქალაქისა იყო, ეს მკვერამეტყველურად ჩანს აგრეთვე მის ლექსში „შექცევათათვის“:

თქვენ, რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და უძლურ ქმნილნი,
უგონობას სიამედ რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი,
სიამოვნე თუცა გწადისთ ჭერარს გქონდეთ მისი ცნობა,
იგი მუწით გარდევების, საღ იხმარვის უზომობა.

აღ. ჭავჭავაძე ამ ლექსში ამგვარ მოღბინეთ უხსნის, რომ სიამოვნება, შექცევა კარგა და აუცილებელია. სიამოვნება „აჲა სოფლის ეკალთ შორის ყვავილებად ამცენარებას“; მაგრამ მათ აქვთ თავისი დრო და არე. თუ ყვავილთ მოკრეფას, სიამოვნების მიღებას მოვექცევით „ბრძნულად, წყნარად“, მაშინ ჩვენ შევძლებთ მათ „დაუმკნარად“ შენარჩუნებას „ზამთრამდეცა“, ე. ი. სიბერემდე.

პოეტის გაგებითა და რჩევით, საჭიროა კაცმა თავისთავზე იმუშაოს; საჭიროა კაცმა შემდეგი რჩევით ისარგებლოს:

გულს აცალე თვით მოსწყურდეს, ნუ აძალბე ლხინის შესმას.
ზოგჯერ განგებ მოაშორე და უძვირე, რომ დაუტკბეს,
თვარა სურვა სად არ იყოს, სიამოვნე მუნ გაუღდეს.
სიბხნე არის სიამეთა განმაახლი, მაგრძნობელი,
ვი მისდა, ვინ უქმობით დღე ღამეთა წოლით მთვლელი
იწვეს ლხინსა და ვერ იგემს, ვით ბრმა მდღლოთ ფერთა მზირე.
სოფელს შინა უსყიდველი არაა არს არცა მცირე.
განცხრომაცა სავაჭროა ბუნებისგან განაჩენი,
მას აქვს ფასად გასჯა... მოღით, ვინც ხართ შრომის გამომჩენი.

აი აქ, ამ ლექსში „შექცევათათვის“ მოცემულია ნამდვილი კრედიო აღ. ჭავჭავაძისა — შრომის, წინდახედულობის, შეგნებულ მოქმედების აუცილებლობა, ვისაც სიცოცხლე და ცხოვრება უნდა.

7

აღ. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ მისი ორიგინალური შემოქმედებით. აღ. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ ყოველი ერის ლიტერატურა მდიდრდება და ვითარდება არა მარტო ორიგინალური, თავისი საკუთარი შემოქმედებით, არამედ აგრეთვე ივსება და იხვეწება უცხო ლიტერატურიდან თარგმნებით. ეს ტრადიცია ხომ ქართულ ლიტერატურაში ძველიდგანვე იყო ცნობილი — აღმოსავლურ-ბერძნული ლიტერატურის მრავალი შედეგრი ხშირად დაწერის უმაღვე ითარგმნებოდა ქართულ ენაზე.

ახალ პირობებში საქართველოს, ქართულ მწერლობას რუსეთის მეშვეობით ახალი, რუსულ-ევროპული წყაროებიდან უნდა ესარგებლა, გაემდიდრებინა ეროვნული ლიტერატურის სალარო, რაც ხელს შეუწყობდა ქართველ მკითხველსაც ახალი ცხოვრების პირობებში გათვითცნობიერებას.

აღ. ჭავჭავაძეც არ დალატობს ამ გონიერ ტრადიციას. მას აქვს მრავალი კლასიკოსის ნაწარმოები ნათარგმნი. მაგალითად: ფრანგული მწერლობიდან: კორნელის — „ედიპი“, „სინა“, „სიდი“; რასინისა — „ესთერი“; ვოლტერისა — „ალზირა“, „ზაირა“, „ტრაქტატი“, „ადსარება“; ლაფონტენისა — „ჭრიჭინასათვის“, „თხისა და მელისათვის“, „მგლისა და კრავისათვის“; ჰუგოსი — „მეფე რომეიო“.

აღ. ჭავჭავაძემ აგრეთვე თარგმნა რუსული მწერლობიდან: ალ. პუშკინისა — „ყვავილი“, „ანჩარი“, „სიზმარი“, „კავკასიის ზვავი“, „ვიდრემდის ჯქონან“, „სპილენძის მხედარი“; ოდოევსკისა — „ვარდი და ბულბულნი“ და სხვა*.

ამრიგად, აღ. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება, როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარა უნდა იყოს, მართლაც თავისებური შეზრდაა ორი კულტურის, ორი ლიტერატურული ცხოვრებისა — ქართულისა და რუსულ-ევროპულისა.

აღ. ჭავჭავაძის შემოქმედება, თუ ერთი მხრით ევროპულ-რუსული რომანტიზმის გადმომწერავია ჩვენს ლიტერატურაში, მისი ძირითადი მოტივების განმავითარებელი და ამით დამწყები ახალი მიმართულებისა, სამაგიეროდ ჩვენი ძველი ლიტერატურის პირდაპირი და ღირსეული მემკვიდრეც არის: ლიტერატურული ქანრი „მუხამბაზი“, „მუსტაზადი“, „გაფი“, ფავრცელებული ჩვენს ძველს ლიტერატურაში, როგორც შემთხვევა გვქონდა დაგვენახვებინა, ჩვეულებრივი და მისი შემოქმედებისათვის ბუნებრივი პოეტური სახეა. თვითონ მანერა წერისა, საგნის აღწერისა, პოეტური საშუალებანი: შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა, დამაზასიათებელი რეფრენი და სხვა. თვით რიტმი, საერთო ტონიც მას ნიჭიერად აქვს შესისხლხორცებული ძველი მწერლებისაგან, არა მარტო ბესიკისაგან, არამედ მთელი პლედის — აშული მწერლებისაგან. ამის მავალითები მოყვანილი იყო ამ ნაწარმოებთა განხილვის დროს. თვით პოეტური ლექსიკა აღ. ჭავჭავაძეს უფრო მეტად ძველი მწერლობიდან აქვს შეთვისებული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიჭიერი მემკვიდრეა ჩვენი ძველი ლიტერატურისა ლექსის წერაშიც. მას ნიჭიერად აქვს გამოყენებული XVIII საუკუნის ლიტერატურის საკმარისად დიდი მიღწევები ამ დარგში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩვენ გვაქვს ჩვენი ძველი მწერლობის ლოგიკური დაჯამება და ახალი

* ი. გ. რ. შ. ა. შ. ე. ლ. ი., „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, გვ. 137 — 140.

ლიტერატურის — რუსულ-ევროპული ლიტერატურის სათანამგზავ-
როდ განმზადებულის დასაწყისი. ალ. ჭავჭავაძემ ჩვენს ლიტერატუ-
რაში მოათავა ძველი ქართული ლიტერატურის განვითარება და და-
იწყო ახალი — რომანტიკული, რომელიც ახალი დროის გა-
მოძახილი იყო. მას მალე თანამედროვეებში გამოუჩნდნენ მიმდევ-
რები და მიმართულებების გამორმავებელნი, განსაკუთრებით გრ. ორ-
ბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით, ყოველი მათგანი და-
მხასიათებელი თავისებურებით, რომელთა შემოქმედებაში გაიზარ-
და, გაიშალა და დასრულდა ქართული ლიტერატურული რომან-
ტიზმი.

გრიგოლ ორბელიანი

1804—1883

1

გრიგოლ ორბელიანი ახალი ქართული ლიტერატურის ერთი უდიდესი წარმომადგენელია. იგი შეტად დამახასიათებელი დასაინტერესო ფიგურაა ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში.

გრიგოლ ორბელიანი ალაქსანდრე ჰავჭავაძის თანამედროვეა, მისი შემოქმედების მიმდევარი როგორც ახალი ლიტერატურული მიმართულების რომანტიზმის გაღრმავება-გაფართოებაში ჩვენი ლიტერატურისა და ცხოვრების ნიადაგზე, ისე ძველი ქართული ლიტერატურის ხარკის მიმცემი, საიათნოვაბესიკის ჩანგის ჰანგთა დროდადრო კვლავ ძალუმად ამქლერებელი.

გრ. ორბელიანის შემოქმედებას ისეთივე სათავე, ნიადაგი დასაწყისები აქვს, როგორც ალ. ჰავჭავაძისას, მაგრამ, როგორც რომანტიკოსი, იგი უფრო ტიპიურია. ის თავისი მსოფლმხედველობით საშუალო საუკუნეების ფეოდალური რაინდობის წარმომადგენელია. მისი იდეალი იქ, წარსულშია. სადაც, წინაპარნი-მეომარნი „ქუხილის მსგავსი ხმით, ქვეყანას სჩრავდნენ“ და მტრის ქალაქებს „ხელს ბაირალით ძირს სცემდნენ“. ასეთი სახე გრ. ორბელიანისა აშკარად ჩანს მთელ მის ცხოვრებაში, პრაქტიკული მოღვაწეობა იქნება ეს, თუ პოეტური შემოქმედება ან კერძო მიწერ-მოწერა. ახალმა კულტურამ და ცხოვრებამ გრ. ორბელიანს მხოლოდ გარეგანი შესამოსელი შემოახვია, მაგრამ გარდაქმნა და, მით უმეტეს, გამოცვლა მისი ვერ შესძლო.

ამასთან ერთად, საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ თავისებურად აამოძრავა, ააქლერა და აამეტყველა ჩვენი მწერლობის ჩანგი. „კარგის არმთქმელი და არც მომასწავებელი“ აწმყოთი უქმაცყოფილონი, „ძველის დიდების“ დამკარგველნი, ისტორიული „ნაშთის“ მზერის მეო-

ხებით წარსულში გადადიოდნენ და იქ ეძებდნენ დამამშვიდებელს, სასაამოვნოსა და საიმედოს. ოცნება „ძველს დიდებაზე“ ავსებდა აწმყოში მათ ცარიელ ცხოვრებას და ეს წარსული მათთვის რაღაც რეალურ სამყაროდ გადაიქცა. ამ წარსულს ისინი მეტად მწვავედ გრძნობდნენ. ეს ერთი უდიდესი დამახასიათებელი თვისებაა საერთოდ რომანტიკოსებისა, ხოლო კერძოდ, და ვიტყვით, განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ პირობათა გამო, ჩვენი რომანტიკოსებისათვის.

სხვათა შორის ამით აიხსნება, რომ ჩვენი რომანტიზმი, რომელიც დამკვიდრდა და ძალუმი ელფერით და ნაკადით ქართულს ლიტერატურაში განვითარდა არა მარტო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მთელი XIX საუკუნის მანძილზე და თითქმის XX საუკუნეშიც კი, სხვადასხვა ვარიაციით გადმოვიდა, უმთავრესად ეროვნულ ნიადაგზე გაიშალა.

ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის რომანტიზმი დასავლეთ-სლოვიანების — ჩეხებისა და პოლონელების ლიტერატურას ძალიან წააგავს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ მათი ისტორიულ-პოლიტიკური ცხოვრების პირობები საქართველოსას ბევრში ემსგავსება.

მაგრამ როდესაც ქართული ლიტერატურის რომანტიზმის ეროვნულ ხასიათზე ვლაპარაკობთ და გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ამ თვალსაზრისით გვინდა შევფასოთ, საჭიროა გავარკვიოთ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ეს მოტივი რა ხასიათისა და ძალისაა.

ამ საკითხის გარკვევა იმიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება გრ. ორბელიანის გაორების შესახებ, ვინაიდან მის შემოქმედებაში გამოხატულ მძლავრ პატრიოტულ მოტივსა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში სრულ წინააღმდეგობას ხედავენ. „მისი ბიოგრაფია, — წერს კიტა აბაშიძე, — არავითარ ნათელს არა ჰფენს მის მწერლობას, და წინააღმდეგ ეს მისი ცხოვრების მათიანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ეს ჩვენი მწერლების ისტორიაში (რადგანაც, სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობის ისტორია და ჩვენი მწერლების ბიოგრაფია ჯერ კიდევ მეტად სუსტადაა შესწავლილი — მ. ზ.) მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრებას შორის ხილია ჩატეხილი და გარდაუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც, რაც უნდა ვთქვათ, ძალიან მძლავრად ააუღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის,

რომელსაც დედამიწაზედ ერთად-ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთად-ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა“*.

ამ აზრს შემდეგში იმეორებდა მრავალი. ზოგიერთი მათგანი ამ აზრს უფრო აზუსტებდა: „გრ. ორბელიანის ხანგრძლივი სიცოცხლე სავსეა შთაბეჭდილებებით, განგაშით და შინაგანი თუ გარეგანი დიდებით. მაგრამ ამასთანავე გაორებული პიროვნებაა: საქართველოს უდიდესი პატრიოტი და რუსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი, 1832 წ. შეთქმულების მონაწილე და 1865 წელს თბილისის აჯანყების („ბუნტის“) იარაღით ჩამქრობი (კიდევ შეიძლება ამ მხარის გაძლიერება — 1841 წლის გურიის ამბოხების ჩაქრობის მონაწილე—მ. ზ.), თავისუფლების დიდი მოტრფიალე, „ნალივკოს აღსარების“ მთარგმნელი, „იარაღის“ ავტორი და შამილის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, ტლანქი მეომარი, რომელიც სისხლიანი ხელებით თავმოძრონე წერალებს სწერს თავის მახლობლებს“...

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ გრ. ორბელიანის ცხოვრებას, მის პიროვნებას (როგორც ეს არსებული დოკუმენტების მიხედვით დასტურდება), ერთი მხრით, ხოლო მის პოეტურ შემოქმედებას, მეორე მხრით, სათანადო გულისხმიერებით ჩაუვყვირდებით, დავრწმუნდებით. რომ ზემომოყვანილი შეხედულება და საბუთიანობა სწორი და მისაღები არ არის.

მართალია, არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც მწერლის პოეტური შემოქმედება არ ეთანხმება მის მსოფლმხედველობას, სცილება მას, მაგრამ გრ. ორბელიანის მიმართ ეს არ ითქმის.

ჩვენ, პირიქით, აშკარად გვეხატება გრ. ორბელიანის პიროვნების, ცხოვრებისა და პოეტური შემოქმედების შეთანხმება, იგივეობა და მთლიანობა.

გრ. ორბელიანის მთელი ცხოვრება თავისი დიდებით, პატივით, ბრძოლით, თავისი ბუნების დიადობით და წერილმანობით ტიპიური, ბუნებრივი და დამახასიათებელი მოვლენა იყო იმ ობიექტური პირობებისა, რომელშიც ის დაიბადა, აღიზარდა, შეივსო და მოქმედებდა.

გრ. ორბელიანი წარმომადგენელი იყო ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით მძიმე ცვლილებას განიცდიდა, მაგრამ ქვეყნის

* კიტა აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. I, გვ. 33.

გადარჩენისათვის უკეთეს გამოსავალს ვეღარ ხედავდა, და ახალ ხელისუფლებას ურიგდებოდა. ამასთან ერთი კი უნდა აღინიშნოს: ამ ჯგუფის მოღვაწეთა დასახასიათებლად: როდესაც მეფის რუსეთის უხეში კოლონიური პოლიტიკის უხეში გამტარებელი -- მუხენი თავისი ანგარიან და, თვით რუსეთისათვისაც, მიზანშეუწონელ მოქმედებაში ყოველსავე საზღვარს სცილდებოდნენ, ხალხს ავიწროებდნენ უფრო პირადი ანგარების მიზნით, მაშინ ეს ჯგუფი აიმაღლებდა ხოლმე ხმას უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც კრძალვით იცავდნენ ქართველთა შელახულ ინტერესებს, სინამდვილეს ისინი ხშირად არბილებდნენ კიდევ და ამასთან ერთად ხაზგასმით ისწრაფოდნენ ფულწრფელი უქვეშევრდომესი გრძნობები გამოეცხადებინათ.

აი ამ ჯგუფის წარმომადგენელი იყო ჩვენი სახელოვანი პოეტი გრ. ორბელიანი თავისი გარეგანი თუ შინაგანი წინააღმდეგობით.

ამიტომ ახლო გავეცნოთ მას მისი ცხოვრების ძირითადი ხაზების აღნიშვნით მაინც.

გრ. ორბელიანის დედა იყო მეფე ერეკლე მეორის ქალის ელენეს შვილი ხორეშანი, რომელიც, ი. მეუნარგიას ცნობით, „თვით განხორციელებული სიკეთე და სინაზე იყო“, ძველ ქართულ დარბაისელ ოჯახში კარგად აღზრდილი. მამა გრიგოლისა, დიმიტრი (ზურაბი). ერეკლესთან დაახლოებული კარისკაცი, ჩინებული სარდალი, რუსების შემოსვლისთანავე დაწინაურებული იყო რუსსა სამსახურშიც. მალე იგი უზენაესი სასამართლოს „ზასედატლადაც“ იყო დანიშნული. ის, როგორც ერეკლე მეფის ერთგული კაცი, საკმარისს ერთგულებას იჩენდა ახალი ხელისუფლების განმტკიცებაში. რუსის სამსახურში ყოფნა და რუსეთის ტახტის ერთგულება მის თავმოყვარეობასა და პატივმოყვარეობას საკმარისად აკმაყოფილებდა.

გრ. ორბელიანის აღზრდისა და ცხოვრების პირობები ბავშვობიდანვე სავსე იყო ფრიად მწვავე და მღელვარე მოვლენებით. ამ გარემოებამ პოეტის ბუნებასა და მოღვაწეობას, რა თქმა უნდა, თავისებური გეზი და ხასიათი მისცა: „ეს იყო, — აგვიწერს იონა მეუნარგია, — თბილისის აოხრება აღა-მაჰმადისაგან. მეფე ერეკლეს გარდაცვალება... რუსის ჯარის ჩამობარგება ქალაქში... მეფე გიორგის უდროოდ სიკვდილი... ბატონიშვილთა ყურთაგლეჯა... მანიფესტი... ოთხი ათასი ეგზემპლარი კნორინგის განცხადებინა ხალხში გავრცელებული... ლაზარევი, დედოფლის ხელით მოკლული... დაჭრილი დედოფალი, ტროიკით რუსეთში გაგზავნილი... თავურელების მეცადინეობა დედოფლის განთავისუფლებისათვის და-

რეალის ვიწროებში... დედოფალი, მონასტერში ჩამწყვდეული... მკამდიანთა პროვინციების შემოერთება... ჭირი, ქალაქში გაჩენილი... სამეგრელოს გაქვეშევრდომება... იმერეთის მეფის გაქცევა... კახეთის „ბუნტი“ და სხვ.“ *

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენებზე გამუდმებით ესმოდა საუბარი პატარა გრიგოლს როგორც მშობლებისაგან და მახლობელ ნათესავ-ნაცნობებისაგან ყოველდღიურად მრავლად რომ დაიარებოდნენ მისი მამის ოჯახში, აგრეთვე გამდელსა და მოსამსახურეებისაგან. გრ. ორბელიანის ოჯახი ნათესაურად რომ იყო დაკავშირებული ქართველი პრივილეგიური კლასის იმ ნაწილთანაც, რომელიც უკმაყოფილო. იმედგაცრუებული შეიქმნა ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ და ამბოხების რკალში გაეხვია, — გულგრილი არ იქნებოდა. აღნიშნული გარემოება, ცხადია, თავისებურ გავლენას ახდენდა გრ. ორბელიანზე. მაგრამ ყველა ამასთან ისიც ცხადია, რომ გრ. ორბელიანი, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, შეიქმნა ერთი უერთგულესი მოხელე რუსეთის ტახტისა და ერთი თავდადებული ნაამაგდარი მეომართაგანი, რომელმაც თავისი ნიჭით, მოქმედებითა და ერთგულებით ხელი შეუწყო რუსეთის ძალაუფლების მთელ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიც განმტკიცებას.

მიუხედავად აღნიშნულ მოვლენათა წინააღმდეგობისა, გრ. ორბელიანში ჩვენ მაინც არ ვხედავთ „გაორებულ“ პიროვნებას. აღნიშნულმა პირობებმა მის პოეტურ შემოქმედებაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში დასტოვა მხოლოდ კვალი, რის გამოც ორი პერიოდი შეიმჩნევა როგორც მის პოეტურ მოღვაწეობაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ამიტომ გავყვეთ გრ. ორბელიანის ცხოვრების მთავარ ხაზებს:

ოჯახში გრ. ორბელიანი იზრდებოდა კეთილი და გონიერი დედის—ზორეშანის ხელმძღვანელობით. სწავლის დრო რომ მოუვიდა, ის მისცეს ანჩისხატის სასწავლებელში, სადაც მას წერა-კითხვა ასწავლა დეკანოზმა ალექსი-მესხიშვილმა. ქართული წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მშობლებმა გრიგოლი მიიბარეს ახლად გახსნილ კეთილშობილთა სასწავლებელში. ამ სასწავლებელში მას ქართულ ენას ასწავლიდა კარგი ქართულის მცოდნე მღვდელი ხელაშვილი. სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები გრიგოლის სკოლაში სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ სასწავლებელშიც ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და ბეჭითობით. ამას დამაჯერებლად ადასტურებს ი. მეუნარგიას მიერ პოეტის ბიბლიო-

* ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 40.

თეკაში ნახული წიგნი—„Начальные основания сельского домо-
водства, В. К у к о л ь н и к а“, რომელიც სწავლისა და ბეჯითობი-
სათვის საჩუქრად მიუღია გრ. ორბელიანს წარწერით: „Сия книга,
по случаю публичнаго испытанія, бывшаго в 1817 году, 3-го
июня, пожалована за прилежание и успеха ученику — князю
Григорию Орбельянову и во время публичнаго испытанія вру-
чена за подписание правящаго должность Грузинскаго граж-
данскаго губернатора на правах и военнаго. 19 ноября 1818
года. Генерал-майор Ховен»*.

გრ. ორბელიანმა კეთილშობილთა სასწავლებელი არ დაასრუ-
ლა, რადგანაც თბილისში გაიხსნა არტილერიის სასწავლებელი და
გახსნისთანავე გრიგოლი იქ გადავიდა. როგორც ჩანს, სამხედრო სამ-
სახური მას ყრმობიდანვე იზიდავდა. 1821 წელს ის განწესდა პორ-
ტუპეი-იუნკრად საქართველოს გრენადერთა პოლკში. 1822 წ. მან
მონაწილეობა მიიღო გენერალ-ლეიტენანტის, თავადი ერისთავის
რაზმში, რომელმაც დაამარცხა და ციხე წაართვა ქარის ლეკებს. ამ
ბრძოლაში წარჩინებით მონაწილეობისათვის გრ. ორბელიანს მიე-
ცა პრაპორშჩიკობა. აქედან იწყება გრ. ორბელიანის ბრწყინვალე
სამხედრო მოღვაწეობა და კარიერა. მაგრამ 1832 წელს მას დაბრ-
კოლება შეემთხვა, რამაც მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა, მაგრამ
მან თავი მალე გაართვა.

ცნობილია, რომ თუ ადრე არა, 1828 წლიდან თბილისში ქართ-
ველ თავადაზნაურთა ვიწრო წრეში გაჩნდა ფარული საზოგადოება,
რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფ-
ლებას. ამ საზოგადოების მოთავენი იყვნენ: ალექსანდრე ორბელი-
ანი, ელიზბარ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი,
ა. ფალაენდიშვილი, ფილადელფოს კიენაძე, სოლომონ დოდაშვი-
ლი და სხვანი. ამ ფარულ საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონ-
დათ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს. ყველა მონაწილე ამ
ფარული საზოგადოებისა, რა თქმა უნდა, ერთნაირ მიზანს არ ისა-
ხავდა, ზოგი მათგანი (მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი), საფიქ-
რებელია, ოცნებობდა განთავისუფლებული საქართველოს პროგ-
რესულ საფუძვლებზე აღორძინებას, მაგრამ უმრავლესობა, რო-
გორც ზევეითაც აღვნიშნეთ, ძველი ფეოდალური ყოფის აღდგენას
ლამობდა.

შეთქმულების გამომყდენება მოხდა 1832 წ. 11 დეკემბერს, იგი
ი. ფალაენდიშვილმა გასცა. ყველა მონაწილე უმალ დააპატიმრეს.
ეკვი, სხვათა შორის, მიიტანეს გრ. ორბელიანზედაც, რომელიც ამ

* ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 42.

დროს ნოვეტოროდში მსახურობდა. გრ. ორბელიანი ნოვეტოროდში გაჩხრიკეს, გენერალ-ადიუტანტმა ორლოვმა ჩამოართვა ხელნაწერები, დააპატიმრა და ბრძანებისამებრ თბილისში გადმოგზავნა.

არსებული დოკუმენტების მიხედვით გრ. ორბელიანი შეთქმულების აქტიური წევრი არ ყოფილა. ეჭვს გარეშეა, მან იცოდა შეთქმულების არსებობა. როგორც თვითონ გრ. ორბელიანი განუცხადებს გენერალ-ადიუტანტს ორლოვს, მისი ახლო ნათესავი და მეგობარი იყო თითქმის ყველა მონაწილე შეთქმულებისა. ცხადია, ის მათდამი თანაგრძნობით იყო გამსჭვალული.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გრ. ორბელიანს ამ საქმეში მცირე დანაშაული ჰქონდა. აი საგამომძიებლო კომისიას როგორ ცნობას აძლევს პოლკოვნიკი სუმბათაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გრ. ორბელიანის ხელნაწერების შესწავლა: „პორუჩიკი თავადი გრ. ორბელიანის ქაღალდები საგამომძიებლო კომისიის დავალებით განვიხილე. იმ წერილებსა და ადგილებს, რომელთაც შესაძლებელია რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს საქართველოში აღმოჩენილ შეთქმულებასთან, ამასთანავე ვუდგენ გადათარგმნილს (იგულისხმება ქართული ენიდან რუსულ ენაზე — მ. ზ.) კომისიას, ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ჩემ მიერ განხილულ ქაღალდებში არავითარი საეჭვო არ არის“ *.

პოლკოვნიკ სუმბათაშვილის ასეთს დასკვნაში, რა თქმა უნდა, გრ. ორბელიანის დანაშაული შერბილებულია; ამას, როგორც ჩანს, გრძნობდა სუმბათაშვილიც და სამომხსენებლო წერილში ცოტა ქვემოთ ამატებს: „ვინაიდან პორუჩიკი გრ. ორბელიანი თავის განმარტებებში აღნიშნავდა, რომ სხვა მისი ნაწარმოებნი დაამტკიცებენ მისი აზრების კეთილმონდობილებას, ამიტომ ამ მიზნით ისინი განხილულნი იყვნენ და მის დღიურში აღმოჩნდა შემდეგი გამოთქმები, რომლებიც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს“ (იქვე, ფურცელი 3745—3746). აღნიშნული ქაღალდებიდან პოლკოვნიკ სუმბათაშვილს მოჰყავს გრ. ორბელიანის მიერ მათში შეტანილი პარტიისციემისა და ალტაცების გამომხატველი შთაბეჭდილება და განცდა რუსი იმპერატორების და მათი წმინდანებრივი ცხოვრების შესახებ (მაგ., პეტრე I, პავლე I და ზოგიერთ სხვათა შესახებ).

გამოძიებამ, მართლაც, გრ. ორბელიანს მცირე დანაშაული წარუდგინა და ის დამნაშავეთა მეშვიდე კატეგორიაში ჩარიცხა (სულ იყო ათი კატეგორია). გამოძიების შემდეგ გრ. ორბელიანი გათავისუფლებულ იქნა მთავარმართებლის მიერ გამოძიების დამთავრე-

* 1832 წლის შეთქმულების საქმე, რვ. XIX, ფურც. 3734, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.

ბამდე და გაგზავნილი სამსახურში „ლინიაზე“. აი რასა წერდა თავის მოხსენებაში მთავარმართველი: „პორუჩიკი თავადი გრ. ორბელიანი, რომელმაც სთარგმნა ქართულ ენაზე „ნალივიაკოს აღსარება“, თხზულება რილევეისა, გაგზავნე მე კავკასიის ლინიაზე და სასარგებლოდ ვრაცხ, რომ იგი განწესებულ იქნას შიდა რუსეთის რომელსამე პოლკში იმ პირობით, რომ რამდენიმე წელი აღეკრძალოს საქართველოში დაბრუნება“ *.

როგორც ჩანს, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით დაპატიმრებამ, ვფიქრობ, შეთქმულების დამარცხებამ გრ. ორბელიანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, საბოლოოდ შეაფასა ასეთი შეთქმულების უნიადაგობა. ამ ხანში მის შეგნებაში ზღვება ფარდატება. ამას აშკარად ადასტურებს მრავალი მისი კერძო წერილი და მთელი მისი შემდეგი ხანის მოღვაწეობა.

გრ. ორბელიანი ერთ-ერთ თავის წერილში აი რასა სწერს საქართველოს დედოფალს: „ჩემს გასამართლებლად მხოლოდ იმას მოგახსენებთ მოკლედ, რომ მართლ-მსაჯულებმა სრულებით გაამართლეს მე... ასე რომ თვით ჩემს ფორმულიარშიაც არა სწერია, რომ იყო ჩემზე სლედსტვიე. უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობის გამო“ **.

გრ. ორბელიანი რომ 1832 წლის შეთქმულებას თავის მიმართ „უბედობის გრიგალად“ სთვლიდა, ეს მშვენივრად აღბეჭდილია პოეტისათვის ჩვეულებრივი ნიჭიერებითა და ღრმა ლირიზმით აღსავსე ლექსში — ელეგიაში „ჩემს დას ეფემიას“.

უცებ გრიგალმა უბედობის დამჭროლა ესრედ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის, ჰფარა ღრუბელთ ქვეშ;
სიტკბოს ფიალი წარითაცეს მის წყეულთა ფრთეთ,
და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ,
სადაც ოხურანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!
სადაცა ჰსწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ღაწვთ ცრემლნი დენით.
და მათ არ ჰსწყეუტდა არავისი ხელი ნუგეშის;
სად ვერა ვჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ქამსა,
სად ღლე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკვლავ,
და სად სიკვილისა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების სადაც: ვიყავ ***.

ძლიერი და დამახასიათებელი რომანტიკული ლექსიკითა და განწყობილებითაა აღსავსე ეს ლექსი.

* ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. „ქართველი მწერლები“, ტ. 1, გვ. 48.

** გრ. ორბელიანის წერილი 1835 წლის 25 დეკემბრისა.

*** გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1951 წ., გვ. 45-46.

განთავისუფლებისთანავე გრ. ორბელიანი აი რასა სწერს თავის ქმას ზაქარია ორბელიანს 1833 წლის 11 სექტემბერს: „საშინელია უბედურებისაგან, რომლის გამო ვიყავ აქამომდის შეპყრობილ, თუმცა განვთავისუფლდი, მარამა მთავარმართებლის ბრძანებით „ლინიაზე“ უნდა წავიდე რომელსამე პოლკში პ რ ი კ ო მ ა ნ დ ი - რ ო ვ ა დ დრომდის. მთავარმართებელი ფრიად კეთილი და მზრუნველია საქართველოსათვის“.

აქედან გრ. ორბელიანი შეგნებულად ურიგდებოდა რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში და მთელი თავისი დიდი ნიჭით ერთგულად ემსახურებოდა მისი ძალაუფლების განმტკიცებას როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში. აქედან იწყება მისი ცხოვრების მეორე პერიოდი — პერიოდი შეგუებისა. შეზრდისა. აქედან გრ. ორბელიანი საბოლოოდ დააწმუნდა და შეითვისა, რომ საქართველოს ისტორიული გზა ამიერიდან რუსეთთან განუყრელაა. ამიტომ რუსეთის მეფეს ის უნდა ემსახურებოდეს ერთგულებით. მისი რწმენით, რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შეუძლიან „აღსდგეს“. აქედან გრ. ორბელიანი მთელი თავისი დიდი ენერჯითა და გამპირიახობით შეუწყვეტლივ განაგრძობდა რუსეთის მოხელის კიბეზე საკმარისი სიმტკიცითა და წარმატებით ასვლას და ყოველივე დამსახურებული დიდებისა და პატივის მოპოვებას. გრ. ორბელიანმა, გარდა რუსეთში არსებული სამხედრო ყველა ჩინისა და ორდენისა, დაიმსახურა აგრეთვე მთავრობის დიდი ნდობა. ასე რომ, 1863—1865 წწ. ასრულებდა მეფისნაცვლის თანამდებობას.

ასეთი წარმატება სამსახურში გრ. ორბელიანს უდიდეს სიამოვნებასა და ბედნიერებას ანიჭებდა, რაც უხეადაა შემონახული როგორც ოფიციალურ, ისე მის კერძო წერილებში მახლობლებთან.

სჯობია თვით ფაქტიური მასალა დავიმოწმოთ:

1843 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ავარიის ხანად (მმართველად). ეს თანამდებობა იმ დროს მეტად საშიში და საპასუხისმგებლო იყო. მას უნდა დაემთავრებინა ავარიის შემოერთება და იქ რუსეთის მმართველობა გაემტკიცებინა. ასეთს მდგომარეობას თვით გრ. ორბელიანიც კარგად გრძნობდა. ამის შესახებ პოეტი თავის ძმა ზაქარიას სწერდა: „ვიცი ეს ისეთი ადგილია. რომ ან ამწვეს მალდა, ან სრულიად ძირს დამცემს“ (გრ. ორბელიანის წერილი ზაქარია ორბელიანთან 1843 წ. 28 მარტს).

ხანგრძლივი, დაუზოგველი და ნაყოფიერი-ერთგული სამსახურისათვის 1849 წელს გრ. ორბელიანს გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა. თავის კმაყოფილებას ის აი როგორ გადასცემს თავის ძმა ილია ორბელიანს: „იარანალიც შევიქენ! მე და გადლევსკი, სულ ვაშე

პრევოსხიდიტელსტვოს ვეძახით ერთმანეთს და გვაქვს დიდი ყოფა“ (გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანთან 1849 წ. 3 ივნისს).

როდესაც მთავრობამ გენერლობის პირველ ხარისხს სტანისლავიც ზედ მიაყოლა. გრ. ორბელიანი ასეთივე აღტაცების კილოთი სწერს თავის ძმას ილია ორბელიანს: „მომივიდა ვარსკვლავი, რასაკვირველია, შეიტყობდი — მინდა ერთი ქირმალამის ხალათზე დავიკერო და კნიაზ პატემკინისავით დიდკაცურად, ნებიერად გავწვე დივანზე“ (გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანთან 28 ოქტომბერს 1849 წ.).

ასეთსავე განწყობილებას გამოხატავს გრ. ორბელიანი მეფისნაცვალთან მიწერილ წერილში 1851 წ. 3 აგვისტოს: „სამსახურის გამო ვიყავი „ლინიაზე“, როდესაც ზაქათალაში დავბრუნდი, მოულოდნელად გაბედნიერებული ვიყავი მონარქის წყალობით წმ. ანას პირველი ხარისხის ბოძებით. ეს ახალი ნიშანი თქვენი კეთილი განწყობილებისა ჩემდამი მაკისრებს წმინდა მოვალეობას მთელი ჩემი სიცოცხლე შევსწირო დიდებული მეფის სამსახურს. არ ვიცი ჩემი დამსახურება ღირს თუ არა მონარქის ამ დიდ წყალობად, მაგრამ ვიცი კი, რომ თავი ჩემი, ცხოვრება ჩემი ხელმწიფის სამსახურს ეკუთვნის“ (გრ. ორბელიანის წერილი ვორონცოვთან 1851 წ. 3 აგვისტოს).

გრ. ორბელიანს არა მარტო პირადი წარჩინება, ჩინების, ორდენებისა და დიდი თანამდებობის მიღება ჰგვრის დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას, არამედ თავისი მახლობლებისაც. 1844 წ. 26 აგვისტოს ის სწერს თავის ძმა ზაქარია ორბელიანს, რომელმაც იმ ხანებში მიიღო პოლკოვნიკის ჩინი: „ჩემო პოლკოვნიკო ძმაო ზაქარიავ! ზურაბიანნი წავიდნენ წინა. ყაფლანის სიტყვა — მომლოცავს ხელმწიფის წყალობა, ღმერთმა კიდევ და კიდევ მომლოცვინოს. ეს კარგად დაგვართო ბედმა... მეც წარდგენილი ვარ და ვნახოთ, რას ინებებს ღმერთი. ინვალიდში * ახლა ილიას რიგია“.

1871 წელს 7 ივლისს გრ. ორბელიანის ოფიცრად ნამსახურობის ორმოცდაათი წლისთავი ილღესასწაულეს. ამ დღესასწაულს მოულოდნელად დაესწრო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც ამ დროს ბორჯომში იყო. ამ გარემოებამ გრ. ორბელიანი დიდ აღტაცებაში მოიყვანა და თავის სამადლობელო სიტყვაში, სხვათა შორის. თქვა: „გამოგიტყდებით, მუდამ მსდევნიდა საიდუმლოებრივი კითხვა — გამოიღო რამ სასარგებლო ჩემმა სამსახურმა

* „Русский инвалид“, ჟურნალი, რომელშიც იბეჭდებოდა ცნობები სამსახურში მოხელეთა წინწაწევის შესახებ.

მეუკი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულის ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი“. შემდეგ ამისა მეფემ მოისურვა გრ. ორბელიანის ორმოცდაათი წლის ერთგული და მეტად სასარგებლო სამსახურის აღსანიშნავად მისთვის პირადად, საკუთარს ხელით გადაეცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი. ასეთი დაჯილდოების მომენტში პოეტის ბედნიერებას საზღვარი აღარა ჰქონდა. აი ი. მეუნარგია, პირადად ავტორისაგან მიღებულ ცნობასა და შთაბეჭდილებას, როგორ გადმოგვცემს: „ის წამებ-, რომელიც პოეტმა გაატარა ხელმწიფესთან, შეადგენს, სასიხარულო წამებს პოეტის ცხოვრებაში“². გრ. ორბელიანის ასეთს ქცევასა და სიტყვებში პოეტის გაორებას კი არა აქვს ადგილი, პოეტის ასეთი დამოკიდებულება პირადი კარიერით კი არაა გამოწვეული (ეს არ იქნებოდა მართებული შეფასება მისი), არამედ აქ ვლინდება მისი რწმენა, რომ საქართველოს აღდგენა-აღორძინება, როგორც ეს გრ. ორბელიანს ესმოდა, შესაძლებელია ქართველების მხრით ერთგულებითა და მუყაითი შრომით რუსეთის ტახტის განმტკიცებისათვის.

საგულისხმოა გრ. ორბელიანის 1878 წ. 27 მარტს მიწერილი წერილი ვანო ორბელიანთან. „ჩვენს ველაჟი კნიაჟს, — სწერს გრ. ორბელიანი, — წამოსვლის დროს მოვახსენე ჩვენის თავადების მდგომარეობა და იმანაც დიდის ყურადღებით მომისმინა და თავგამოდებით აღმითქვა შუამდგომლობა წინაშე ხელმწიფისა... რომელსაც ზედმიწევნით ვიცით უყვარს საქართველო და არარას დაიშურებს მის კეთილდღეობისათვის“.

გრ. ორბელიანი არა მარტო გაბედული, ნიჭიერი სტრატეგი მეომარი იყო, რომელმაც ღირსეულად ისახელა თავი ბრძოლებში, განსაკუთრებით შამილის წინააღმდეგ, და დამსახურებულად მიიღო იშვიათი წარჩინება სამხედრო სამსახურში (ის ხშირად ინიშნებოდა ხოლმე მთავრობის მიერ მმართველის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე — ახლად შემოერთებული ავარიის მმართველად, გუბერნატორისა და მეფისნაცვლის თანამდებობის აღმსრულებლადაც და სხვ.).

შესაძლებელია ვისმე ეგონოს, რომ ამგვარ თანამდებობაზე გრ. ორბელიანს ნიშნავდნენ მხოლოდ სამხედრო წარმატების გამო. მაგრამ ასეთი შეხედულება არ იქნებოდა სწორი. გრ. ორბელიანი აგრეთვე დაჯილდოებული ყოფილა გონიერი მმართველის ნიჭითა და უნარით.

² ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 93.

ამ მიპართულებით აღვნიშნავთ რამდენიმე ამბავს:

გრ. ორბელიანი მთავრობამ 1843 წელს დანიშნა ჯერ კიდევ ნახევრად შემოერთებული ავარიის მმართველად. ეს მეტად მძიმე და სახიფათო მოვალეობა იყო. ამბოხებული, დაუშოშმინებელი ხალხის დამორჩილება, მოთვინიერება გრ. ორბელიანისაგან, როგორც მმართველისაგან, მოითხოვდა არაჩვეულებრივ ტაქტს, შორსმჭვრეტელობას, მდაბიო ხალხთან მისვლის თავისებურ ნიჭსა და უნარს. და გრ. ორბელიანი ამას ჩინებულად ასრულებდა. საგულისხმო ცნობას იძლევა პოეტის კერძო წერილები თავის ძმებთან.

1843 წელს 6 მაისს გრ. ორბელიანი სწერს თავის ძმა ილია ორბელიანს: „ამ თვის ორსა მოველ ჩემს სატახტო ქალაქსა ხუნძახს. რვა ვერსზე მომეგებნენ ყადიები, ბეგაულები და სხვანი ამათში ჩინებულნი, ესე იგი ყაფლანიანნი, ციციანნი, მეითარი, მელიქი და მიკირტუმა ნაცვალი. ორისავ მხრით დიდი მისალმება. ამაობაში ცხენდაცხენ ერთი დიდად გრძელი рехи ვჰსთქვი მაღალის ხმით, აღარ გავათავე, შევიქენ სწორედ ჩვენი აბრამა. ვიცი, რომ მთის ხალხი პატიესა ჰსცემს მოლაპარაკეს. ამ დროს მე რომ აქ ვლაპარაკობ, ხუნძახში ერთი ვიდაც ხანის ნოქართაგანი გამოსულა და ლაპარაკობს. რომ ჩვენ ორბელიანი არ გვინდაო, ჩვენ ჩვენი ხანი აღისულთან გვინდაო. რუსებო! რა გინდათ ჩვენგანაო, განა ავარია იმიტომ მოგეცითო, რომ ფეხქვეშ გაგვსრისოთ? ამ დროს, სწორედ ამ დროს მე ჩემის დასტით შემოველ, უკანაც კარტეჩით გატენილი ზარბაზანი როტით მომდევეს. იმ ნოქარს ენა მუცელში ჩაუვარდა, გაერია სხვა ხალხში და მოვიდა ჩემთან სალაშში... მეც, რასაკვირველია, ბევრს დავპირდი. . . რაღა გავაგრძელო, ისე კარგად ფორმით შევედი და ახლა ვნახოთ. . . როგორც გამოვალ აქედამ“.

სულ რამდენიმე კვირის შემდეგ გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარია ორბელიანს ატყობინებს: „მე და ავარელები ერთმანეთს ნელნელა ვეჩვევით და მგონია კი ახლა მოვწონდე იმათაც, რომელნიცა იყვნენ ლოთის, სულელის აღისულთანის პარტიისანი“*.

რით აღწევდა გრ. ორბელიანი ასე ადვილად მოთვინიერებას ავარიელებისას ან სხვათა? ამის გასაღებს გრ. ორბელიანი იძლევა ზაქარია ორბელიანისადმი იმავე წერილში: „მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა — მოწყალება. მასუკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი“. აქ, უდავოდ, მოსჩანს გონიერი, გამჭრიახი მმართველის გამოცდილებით მიღებული ცხოვრების ბრძნული გზა. მოვიტანთ მცირე ნაწყვეტს გრ. ორბელიანის მიერ გამოთქმული აზრისა, როგორი უნდა იყოს მმართველი. 1879

* გრ. ორბელიანის წერილი ზაქარია ორბელიანთან, 1843 წ. 3 ივნისი.

წელს. როდესაც ყარსიდან და აჭარიდან ხალხმა ოსმალეთში გადასახლება იწყო, ამ ამბით შემფოთებული გრ. ორბელიანი თ. მირსის სწერდა: „Из Аджарии и Карса продолжается переселение жителей во внутрь Турции. Чему приписать это неизменное явление — бегство иноверцев от владычества русских? Крым опустел; черкесы, более 200 тыс., выселились из Кубани; Абхазия осталась без населения. Теперь жители Аджарии и Карса, даже армяне бегут от нас, точно от чумы! Неужели всё это объясняется фанатизмом? Конечно, отчасти влияет и фанатизм, но существуют и другие, не менее важные причины. По моему убеждению, где правители пекутся о благосостоянии населения, там не проявляется фанатическое чувство против правительства, разве в единичных случаях, потому что человек, к какой бы религии он ни принадлежал, прежде всего желает и ищет себе жизни спокойной, безтревожной, жизни без обид, без притеснений и безропотно покоряется справедливым законам, на каком бы то языке не было написанным. И совершенно в этом духе правды желает действовать наше правительство. Но где же корень зла? — კითხულობს ვინები მმართველი და თვითონვე აძლევს სწორ პასუხს: — „Он находится в выборе второстепенных правителей сомнительного происхождения, не подготовленных ни наукою, ни воспитанием“... აქ გრ. ორბელიანი ნიჭიერად ანეითარებს ამ დავის აზრს, რომ ასეთი მოხელეები არ არიან დანიტერესებულნი ხალხით, ქვეყნით, ისინი, ამბობს გრ. ორბელიანი, — „отравляют лучшими намерения правительства ядом ненасытной жадности нажить себе деньги всеми неправдами. Следствием чего, естественно, в жителях рождается чувство неудовольствия, недоверия, тайной злобы, проявлением, которых бывают взрывы народных волнений“*.

ჩანს ასეთი მოსაზრებით, ასეთი ყურადღებით მოსახლეობისადმი ხელმძღვანელობდა გრ. ორბელიანი თავის მმართველობაში და ამიტომაც ადვილად იხვეჭდა ხალხის ნდობას. მეტად საგულისხმოა გრ. ორბელიანის აზრი სოფლის სასამართლოს შესახებ, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებას უნდა ეყრდნობოდეს. ის 1865 წლის 15 სექტემბერს სწერდა ა. პ. პრინცს: „Недавно я возвратился из Коды, где провел лето у Сагиновых в тишине, в мире, часто в обществе бывших моих крестьян, попрежнему почтительных, попрежнему услужливых, весьма хорошо понимающих и приходящих добрые советы. Надо видеть их гласный суд на площади, у церкви, или у родника, чтобы вполне оценить то благо, которое происходит от введения нового сельского управления на началах самоуправления. Сегодняшняя жалоба

* ი. მეუზარგია, „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 152—153.

разрешается сегодня же. Что может быть благотворнее такого суда?*" ამიტომაც გრ. ორბელიანი მოიაზრებდა მხარის, ქვეყნის. ხალხის თავისებურებების, ზნე-ჩვეულებების შესწავლას, მათთან ახლო მისვლას. „კანცელარიის შემოქმედება ყოველთვის არ არის სახარების ქეშმარიტება“, გონივრულად სწერდა გრ. ორბელიანი მირსკის. ეს საკითხი გრ. ორბელიანს, როგორც ჩანს, ძალიან აღელვებდა, თვითონ თავის მოღვაწეობაში მრავალ შემთხვევაში გონივრულად სწევებდა და დადებით შედეგებსაც იღებდა, მაგრამ ამასვე ვერ ხედავდა მოხელეების მოქმედებაში და ხშირად ცდილობდა მათთვის შთაეგონებინა. აი რასა სწერდა 1865 წ. 26 მაისს ის მირსკის: „Убеждение министров в непризнании особенностей Кавказского Края есть величайшее несчастье для спокойствия здешнего населения, отличающегося разнообразием религий, языков, обычаев, понятий; а между тем без признания присущих им особенностей не могут понять нужды и потребности населения и, следовательно, не могут достигнуть своей благотворной цели и самые мудрые, благия распоряжения правительства, направляемые к благоденствию края. Ну, что общего между Петербургом и Запгеуром, лежащем на берегу Аракса?“

გრ. ორბელიანის, როგორც მმართველის, თვალი, ყური და გონება უფრო ფართოდ და შორს იხედებოდა. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, 1875 წელს, როდესაც მთავრობამ გადაწყვიტა გაეხსნა კადეტთა კორპუსი—სამხედრო გიმნაზია, ხოლო კავკასიაში—სამხედრო პროგიმნაზია, გრ. ორბელიანი მეტად საგულისხმო აზრს გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების შესახებ ვანო ორბელიანთან მიწერილ წერილში: „Конечно правительство делает великое благодеяние краю, привлекая тысячи праздных молодых людей к образованию: но, по моему мнению, здешний край и даже вся Россия в настоящее время более нуждается в политехнической школе, недостаток которой с каждым днём становится более обязательным“.

აღნიშნულ წერილში გრ. ორბელიანი თავის აზრს უფრო კონკრეტულად ასაბუთებს. ეს იმდენად საგულისხმოა, რომ ადგილები ამ წერილიდან კიდევ მინდა მოვიტანო, ვინაიდან ეს დეტალები მიმზიდველად ავსებს გრ. ორბელიანის დიდ ბუნებას: „Гимназии, университеты, академии доставляют людей только для государственной службы и этих людей увидишь только в канцеляриях или на плацу. Все они живут на счёт правительства и всётаки масса их умирает в бедности, не принеся никакой пользы своими познаниями сельскому хозяйству, цветущее состояние

* ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 157.

которого составляет единственную основу благоденствия и для населения и для государства. Вызгалов, великий математик — магистр, сидит в канцелярии у губернатора и вместе с Кола Эрнстовым нумерует текущие бумаги. И сколько, таким образом, погибает в канцеляриях умственных и нравственных сил! Для чиновников весьма достаточны существующие учебные заведения. Нам нужны теперь люди иной науки, которые возделывали бы землю, извлекая из недр ее сокрытые сокровища, и тем обогащали бы и себя и весь край! Чего нет здесь? Железо, медь, свинец, сера, мрамор, нефть, уголь, шёлк, хлопчатная бумага, марена, виноград, фрукты всякого рода, скотоводство, овцеводство, шерсть, табуны лучших в мире лошадей; в лесах — орехи, каштаны, пальма, всё, всё, а между тем население бедно, бедно! Вот здесь-то единственной помощью может явиться только политехническая школа, а не преческий язык: она в скором времени изменила бы вид всего края, разлив бы знание полезного труда, результатом которого везде и всегда — довольство и благоденствие... Те же самые расходы, ассигнованные ныне заботливым правительством на содержание военной гимназии, принесли бы иную великую пользу, употребив их на учреждение политехнической школы^{4*}.

აქ, მიუხედავად გრ. ორბელიანის ფეოდალური მსოფლმხედველობისა, უდავოდ მოჩანს მისი, როგორც ქვეყნის მმართველის ფართო ნიჭი, გონიერება, წინ ხედვის, ცხოვრების მიმართულების სწორი აღლოს კარგი გაგება ქვეყნის საჭიროების თვალსაზრისით. გრ. ორბელიანის ეს შეხედულებები ათეული წლებით წინ უსწრებს მთავრობის წამოწყებას ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა ფართო საზოგადოების მოთხოვნილება სწავლა-განათლების ფრონტზე რეფორმის მოხდენისა — რეალური გიმნაზიების გახსნით. გრ. ორბელიანის მიერ წამოყენებული გარკვეული მოთხოვნილება პოლიტექნიკური სკოლის შექმნის სარგებლობისა და აუცილებლობისა დღესაც აქტუალურად დგას ჩვენს წინაშე.

გრ. ორბელიანის აი ასეთი მრავალწახნაგოვანი ნიჭითა და ბუნებით აიხსნება, რომ ის სიკვდილის დღემდე აქტიურად ეხმარებოდა საზოგადოებრივ მოვლენებს.

გრ. ორბელიანის ცხოვრების, მისი წერილების ერთი თვალის გადავლება გვარწმუნებს, რომ ის გამუდმებით დიდი გულისყურით, წინათმგრძნობი შიშით ეკიდება თავისი წრის — ყაფლანიანთ გვარისა და საერთოდ ქართველ თავადაზნაურობის მდგომარეობას. ეს გრძნობა მასში განსაკუთრებით მწვავე ხდება 70—80 წლებში. ახლა

⁴ ო. მ. ე. უ. ნ. ა. რ. ი. ა., „ქართველი მწერლები“, ტ. I გვ. 158.

გარკვეული ობიექტური პირობების გამო უფრო აშკარად ხედავს ამ წოდების საბედისწერო მდგომარეობას. მწვავე ტკივილებში რწმუნდებოდა, რომ ეს წოდება, მისი გაგებით, საქართველოს ცათსხივმოძენი დიდების შემქმნელი ახლა წრიოკდება, სამოღვაწეო ასპარეზი ეკარგება თუ უკვე არ დაეკარგა, ეკონომიურად დაირღვა, გადატყადა, ფიზიკურადაც კი გადაშენდა. ი. მეუნარგია, გრ. ორბელიანის უკანასკნელ პერიოდში ახლო მცნობი და მისი ბიოგრაფი, უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ წერს: „წარსულ დროებზე სევდას ზედ დაერთო ესლა აწმყოზე მწუხარება. სულ ყველაფერი იცვალა პოეტის გარშემო: თავად-აზნაურობა დაემხო; ქართული წირვა-ლოცვა და გალობა შემცირდა; ძველებური კარგი ზნე და ხასიათი ქართველის კაცისა და ქალისა დაიკარგა; რუსთველის ენას ჩირქი წაეცხო: მისნი ახლო ნათესავნი და მოგვარენი დაღარიბდნენ და შემცირდნენ; მეგობრები, გულის ნაცნობნი განშორდნენ. დაიხოცნენ... სულ ყველა ამაებზე ორბელიანი ჰგოდებდა განუწყვეტლად; ეს იყო მისი წერილების მუდმივი შინაარსი ათი წლის განმავლობაში, ამაებზე შესჩიოდა იგი თვისთა ნაცნობ-მეგობართა, თუ მინისტრებთა, თუ დიდმთავართა და ამ მწუხარებით გულში ჩავიდა იგი თვით სამარეშიც. მეტადრე თავად-აზნაურობაზე შეჭმნა პოეტმა იერემიას გოდება“*.

საკითხის ოდნავი სისრულით მაინც გაშუქებისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს გრ. ორბელიანის 1875 წლის 26 იანვრის კერძო წერილიდან დიმიტრი ორბელიანისადმი: „ნეტაი შენ, დიმიტრი, რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოვლის მხრით ამათი (თავად-აზნაურთა) კვნესა სიღარიბისა გამო! მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არსადა სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაც შევაფართოთ თავი ჩვენი, არსადა ჩჩანს გამოძხენელი! ვითხოვეთ მილიონი სესხად ხაზინისაგან სამის პროცენტით, როგორცა ისესხა პრიკაზმა; ეს იყო უკანასკნელი ჩვენი იმედი და ღონისძიება და მინისტრმა გვითხრა უარი. და ან მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავად-აზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა, რომლისა სახელი პატივისცემით იხსენიებოდა თვით ინდოეთშიაცა...“

აი ამ დაუყუჩებელი ტკივილებით უკმაყოფილო, იმედდაკარგულია ფრიად ნიჭიერი და ენერგიით აღსავსე გრ. ორბელიანი. მშვენიერად გამოჰხატავს პოეტის ამ სასოდაკარგულ, უკმაყოფილო განწყობილებას მისი შიძღვნა „თ. ალექსანდრე ვახტ(ანგის) ძეს ორბელიანს“.

* ი. მეუნარგია. „ქართული მწერლები“. ტ. I. გვ 99—100.

ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი?
და ვერ ვსთქვი რაცა. ის წყულად გულს დამთა და მით ვიტანჯი!...

ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარია. რა მინდა?
რაც ვიყავ. იგი აღარ ვარ. ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა?
დღე ყოველ, ეამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.
ვმზერ მწუხარებით მომავალს და ვსწყველი ფუქად წარსულსა.

ასეთი მძიმე ტკივილებით გრ. ორბელიანი ღრმა მოხუცებულობის ასაკში 1883 წ. 21 მარტს გარდაიცვალა.

„პოეტის გარდაცვალების ამბავი, — წერს ი. მეუნარგია, — მოეთინა მსწრათლ მთელს კავკასიას... თვითონ ქალაქში (თბილისში. — მ. ზ.) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პოეტის გარდაცვალებამ. სამხედრონი, სამოქალაქონი, სასულიერონი, რუსნი, ფრანგნი, ქართველნი, სომეხნი, ყოველი წოდება, ყოველი ხელობა შეაწუხა მისმა სიკვდილმა...“* გრ. ორბელიანი დასაფლავებულია ქ. თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში.

2

ახლა ჩვენთვის საინტერესოა და საჭიროც გამოვარკვიოთ: გრ. ორბელიანში ეს ხილული ხახე, პრაქტიკულ მოღვაწეობაში და ნაცნობ-მეგობართა ურთიერთობაში გამოვლინებული, მისი „გაორებული“ პიროვნების ერთი მხარეა. თუ პიროვნების გაორებას მასში ადგილი არა აქვს და მისი პოეტური შემოქმედება მისი რეალური ცხოვრებისა და მისი რეალური პიროვნების ქეშმარიტი ამსახველია, „ზორცი ზორცთაგან და სისხლი სისხლთაგან“ მისი.

გადავხედოთ მის პოეტურ შემოქმედებას.

სიყვარულისა და ეროვნულ მოტივზე აღმოცენდა და გაიშალა გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი. ამ მოტივმა მას საშუალება და საზღვარი მისცა გაეღრმავებინა და გაეთართებინა რომანტიკული მიმართულება შემოქმედებაში და საერთოდ ქართულ ლიტერატურაში. ამიტომ მისი პოეზიის სწორი გაგებისათვის საჭიროა გავარკვიოთ, ეს ეროვნული მოტივი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რა თვისებისა, ან რა წარმოშობისაა.

ეროვნული გრძნობა საერთო უიმედობით, უილაჯობით, სასოწარკვეთილებით. იმედგაცრუებულობით შეზავებული და გამოწვეული ქართველი ხალხის XIX საუკუნის ისტორიის მსვლელობით (განსაკუთრებით მისი პირველი პერიოდის განმავლობაში), როგორც ზევითაც აღვნიშნეთ. მთელს ჩვენს ცხოვრებას მძიმედ ეღინთავდა.

ასეთმა გარემოებამ მასში უიმედობა გააღრმავა. იმედი და სა-

* ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 146—147.

სოციალური მხარე მას მხოლოდ წარსულში-ლა ჰქონდა. ის წარსულით-ლა ცხოვრობდა, მასზე-ლა ოცნებობდა, მომავალიც, როგორც წარმტაცი ოცნება, წარსულის სახით ელანდებოდა.

მართალია, გრ. ორბელიანის პირადი ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური როლი არ იყო უნუგემო, მაგრამ შეუძლებელია გრ. ორბელიანისათვის, როგორც ჩვენი მაღალი წოდების განწყობილების გამომხატველისათვის, ამ საერთო უკმაყოფილებას თავისი ბასრი კბილი არ გაეკრა.

ეროვნული ტრაგედია იმდენად ღრმად და მწვავედ იყო ჩაგუბებული ქართველ ხალხში, განსაკუთრებით ფეოდალურ არისტოკრატიაში, იმდენად მტანჯველი იყო იმისთვის, რომ გრ. ორბელიანსაც, როგორც ამ წრის შვილს, ამ ეპოქაში მცხოვრებ პოეტს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ გარემოებისათვის, არ შეეძლო დროადადრო მაინც მწვავედ არ განეცადა ის კატასტროფა, რომელიც ქართველ ხალხს, განსაკუთრებით ფეოდალურ არისტოკრატიას თავს დაატყდა.

გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მას სარჩულად უღევს პირადი განცდაც ავტორისა (ამას ჩვენ ქვევით აშკარად დავინახავთ). ეს გარემოება მისი პოეზიის შესწავლისა და სწორი გაგებისათვის ერთგვარ გასაღებს გვაძლევს.

1832 წლის კატასტროფამდე გრ. ორბელიანის შემოქმედება განიცდის ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის და სხვა ქართველი პოეტების გავლენას და ავითარებს სამ მთავარ თემას: 1. ოპოზიციური განწყობილება საქართველოში მეფის რუსეთის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ; 2. ტრფიალება-ეროტიული ჰანგები და 3. მსუბუქი ნაღველი-სევდა.

ამავე პერიოდში გრ. ორბელიანი განიცდის დიდ გავლენას რუსული სანტიმენტალიზმ-რომანტიზმისა. რუსი მწერლები — კარამზინი და ჟუკოვსკი მისთვის ამ დროს კარგად ნაცნობი და მახლობელი ყოფილან. ამის კვალი აშკარად ატყვავს გრ. ორბელიანის ნაწარმოებს „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდანამ პეტერბურგამდის“. ვისაც კი წაუყითხავს სანტიმენტალური მიმართულებისათვის დამახასიათებელი კარამზინის „Письма русского путешественника“, ის ადვილად დაინახავს მის აშკარა გავლენას გრ. ორბელიანის „მოგზაურობაზე“. დასამტკიცებლად მოვიტანთ ორ ნაწყვეტს:

„აჰა მოვიდა დღე იგი განყრისა ჩვენისა, — ვუბნობდი ხშირად გულსა შინა ჩემსა და ვემზადებოდი წასასვლელად შორს... გულითაღნი, ჭეშმარიტნი მეგობარნი ჩემნი შეიკრიბენ ჩემად, რომელთა-

კა გამომაცილეს ვერამდის. აქ გადმოხტნენ დროშკით და გამომე-
სალმნენ. — გული ჩემი შეიწროვდა, თვალნი აღმევსნენ ცრემლითა,
რა მესმა მეგობართაგან ჩემთა უკანასკნელი სიტყვა მშვიდობით: რა
მოვიხილე და ვიხილე თავი ჩემი მარტოდ დაშთენილი. — ახ! ამ უ-
პითგან თვითთვეული დღე, თვითთვეული ბიჯი განმამორებს მე ყოველ-
თა მათგან, რანიცა იყვნენ საამო სატრფიალოდ გულისა ჩემისათვის...
განმამორებს ადგილსა, სადაცა აღენთო ლამპარი სიცოცხლისა ჩე-
მისა და სადაცა სიყმაწვილე ჩემი რბიოდა ნათლად მხიარულებით. —
რომელმან ბოროტმან სულმან ალაგზნო ჩემ შორის სურვი-
ლი ძიებად ბედნიერებისა იმიერ მათა, მხარესა უცხოს? **.

ეს ნაწყვეტი აშკარად გვაგონებს კარამზინის 1789 წ. 18 მაი-
სის წერილს ქ. ტვერიდან: ზედმეტი მგრძნობელობა, გრძნობათა გაშ-
ლის და ასახვის მანერა, ლექსიკა სავესებით კარამზინისებური სან-
ტიმენტალიზმისაა. შეიძლება ითქვას, მცირედი ცვლილებით სიტყვა-
სიტყვითა აქვს გრ. ორბელიანს კარამზინის ხსენებული წერილი გან-
მეორებულნი.

ამ წერილებს მთლიანად სანტიმენტალიზმის დაღი ამჩნევია. ამ
თვალსაზრისით ეს ნაწარმოები დიდ ინტერესს წარმოადგენს. საერ-
თო სანტიმენტალურ მანერაში ჩართულია გრ. ორბელიანის შემოქ-
მედებისათვის დამაზნასიათებელი მოტივებიც — მაგ., ეროვნული
გრძნობა. ამ თვალსაზრისით მოვიტანოთ ერთი ნაწყვეტი:

„დაფიქრებული მოვედ მცხეთას. დღე იყო მოღრუბლუ-
ლი, ვითარცა გული ჩემი, რომელიცა გამოფხიზლდა, ვიხი-
ლე რა შორითა მცხეთისა მონასტერი... უნებლიეთ გარდმომცვივდნენ.
თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა,
რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოვე-
ლი კეთილი ივერიისა... გარდმომცვივდნენ ცრემლნი, რო-
მელნიცა იყვნენ ტკბილ გულისა ჩემისათვის, რამეთუ იყვნენ უკანასკ-
ნელ ხარკად საქართველოს განმადიდებელისა მიმართ“ **.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული
უკმაყოფილება გამომჟღავნებული აქვს გრ. ორბელიანს 1832 წლამ-
დე დაწერილ ლექსებშიც, რომელნიც საქართველოს ცენტრალური
ისტორიული არქივის 1832 წლის საქმეების ხელნაწერებში საკმარის-
სად მრავლად მოიპოვება***.

* გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის,
„მნათობი“, 1940 წ., № 2.

** იქვე.

*** გრ. ორბელიანის აღნიშნულ ხელნაწერებში არსებული ლექსების
უმეტესი ნაწილი ეურნალ „ქართული მწერლობის“ 1928 წლის

ხსენებული ხელნაწერების X X I რვეულში არსებული ლექსები აიროგორ გვიხატავენ გრიგოლ ორბელიანის პატრიოტულ მოტივს, მის ოპოზიციონურ განწყობილებას ახლად დამყარებული ხელისუფლების მიერ კოლონიური პოლიტიკის მიმართ:

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს,
და ვინცა მისსა ტყვეობას გულ სიგრილითა ჰხედავდეს
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს კი ჰზოგავდეს.
მტერსა ხანჯალზედ აღებულს ვინცა სიამით არ ჰსჭკრეტდეს
და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არა უტკობდეს!*

აი ასეთი შურისძიებითაა აღსავსე ახალგაზრდა პოეტი მამულის სიყვარულით აღელვებული. ის მამულისათვის, მტერთან სასტიკო ბრძოლისათვის გამზადებულია.

პოეტი არსებული მდგომარეობით გულდაკოდილი თვით თანამედროვეებითაც, მათი დაკნინებით, დაწვრილმანებით უქმაცოფილო ტყვილით მოთქვამს:

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განჭრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!**.

გრძნობს პოეტი, რომ ცხოვრება წაგებულია, ჩიხში მომწყვედებულია და გაცრუებული და გაწბილებული ნადველითა და შურით სავსე ასე მოსთქვამს:

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას...
მოყვრულად გვმტერობს, გეტაცებს ყოველს, გვიქმს აღერსობას...

დროთა ბრუნვით სამშობლოს მოშორებული (1832 წ. ნოვგოროდში სამსახურის გამო) პოეტი წარსულის მოგონებით-და იბრუნებს სულს. წარსულმა, პოეტის მტანჯველი განცდით, მისი სამშობლოს „დიდების დროთა ყოველი კეთილი თანა წარიღო“. ამგვარი განცდებით აფორიაქებული პოეტი დაუძლეველი შურისძიებით წამოიძახებს ლექსში „იარალის“:

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

პ. 6—7 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ გამოაქვეყნა „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ლექსების“ სათაურით.

* გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , „მისი სახელი კიცხვითა...“, გვ. 28, 1951 წ. გამოცემა.

** ი ქ ვ ე , „ჰე, ივერიავი“, გვ. 29.

რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?

მაგრამ სასოწარმთეული პოეტი თვითონვე გრძნობს, რომ მისი ნატვრა როტვია მხოლოდ, თვითონვე გრძნობს, რომ ამგვარი მოთქმით „ნუგეშ ეცემის და ჭმუნვა მითცა შემციირდებისა“.

მეტად საგულისხმოა ჩვენთვის გრ. ორბელიანის მიერ ამ პერიოდში კონდრატი რილევიჩის ლექსის „ნალივიაკოს აღსარებიანი“ თარგმანი. გრ. ორბელიანის ეს ლექსი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ამ თარგმანის გამომქვეყნებელი პავ. ინგოროყვა, „არ წარმოადგენს უბრალო თარგმანს, არამედ ჩვენ პოეტს ის გადმოუყეებია, შეფარდებით საქართველოს პირობებთან“-ო. მართლაც, ეს არ არის თარგმანი.

გრიგოლ ორბელიანის ლექსში ვიწრო პატრიოტული; საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილია ასახული. პოეტი „ძველ ქებულ სამეფოს“ მისტირის, მასზე ოცნებობს. ვალაპარაკით თვით პოეტი:

ჯოჯობეთი მტანჯს მაშინ მე, ვხედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა.
როს ვნახო თავისუფლებით, ვპხვდე მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო;
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!

პოეტი გულნაკლული იგონებს ძველ ვაჟაკათა „მამაცურ სიკვდილს“ თავისუფლებისათვის. მისი შეხედულებით, სწორედ ამიტომ:

მაშინა აქვნდათ ივერთა რა სიყვარული კავშირად,
აღვსილი მათი სიამით ცხოვრება ჰრბიოდა ნათლად.

ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეთ*.

ყოველ შემთხვევაში ამ ლექსებიდან გრ. ორბელიანი მოჩანს როგორც გულდაწყვეტილი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით, მისი პოლიტიკური სახის აღდგენის მოტრფიალე და დიდებული წარსულის დაკარგვით მკმუნვარე.

ასეთი მოტივით, თუ განწყობილებით ხასიათდება გრ. ორბელიანის მრავალი ლექსი, 1832 წლამდე (ჩათვლით) დაწერილი, და აგრეთვე მისი „მგზავრობა“ ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. ამ განწყობილებამ დაახლოვა ის 1832 წ. საიდუმლო შეთქმულებასთან.

* გრ. ორბელიანი, „აღსარება“, 1951 წ. გამოც., გვ. 111.

პარალელურად ამ მოტივისა, რომელიც ამ პერიოდში უდავოდ საკმარისად მძლავრი არის პოეტისათვის, იმს შემოქმედებაში აგრეთვე მძლავრადვე ჟღერს ტრფიალების — სიყვარულის მოტივი. ამ გრძნობის განცდაში პოეტი ჰპოებს სიცოცხლის შინაარსს, სიყვარული მისთვის სიცოცხლეზე უტკბესია.

ამ ჟანრის ლექსში გრ. ორბელიანი აშკარად განიცდის ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის დიდ გავლენას. ნიმუშისათვის მოვიტანოთ:

შენცა მიმუხთლე, გონებაო, და მას ემონე,
ვინც მტაცა გული, მოსვენება და სიამოვნე.
ვისიცა სახე მარადეამსა თვალთ ფოცნების,
მღვენის და ხარობს, რომ ისმენს ჩემს ხმას მწუხარების,
ცრემლნი საამოდ. კვნესა ლხინად ვის ეჩვენების *.

სიყვარულის ეშხით აღტაცებული პოეტი, თითქოს დაუოკებელი სურვილით ასე მიმართავს თვით ამ გრძნობას:

ისმინე ჩემი, ჰე, სიყვარულო!
ტრფობისა ცეცხლი გულს არ განმიქრო
გული სურვილით მარად დამითრო
და ტრფობით მთვრალი არ გამაფხიზლო!

ამ პერიოდში გრ. ორბელიანისათვის დამახასიათებელია ლირიკული ჟანრი — მიძღვნა, ლექსი ალბომში. მათში პოეტი დიდი პოეტური ზემოქმედებითა და ძალით გამოხატავს სიყვარულის გრძნობას, რომელიც, მისი განცდით, გონებაზე გაცილებით ძლიერია. ამ პერიოდში მას იზიდავს სიყვარულის გრძნობა. მისი სიყვარული აქაური, მიწიერი, ადამიანური გრძნობაა. მას გარკვეული ობიექტები ჰყავდა ამ მაღალი პოეტური აღმაფრენით გრძნობის გამომწვევი: ნინო ჭავჭავაძე, ეკატერინე ჭავჭავაძე, სოფიო ორბელიანი და შესაძლებელია სხვანიც. აი უკვე სიბერეში იყოფი პოეტი 24 აგვ. 1879 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიწერილ წერილში როგორ იგონებდა ამ ქალთა შორის გატარებულ დროს: „მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთან საითაც შევხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს, სა-

* გრ. ორბელიანი, „სატრფიალო ლექსები“, 1951 წ. გამოც., გვ. 33.

ვანავას ლექსს: „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა ჩამდენი თავი მაქვს!“ ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის აწ დაბერებულის გულისა გასამზიარულვებლად, გასაყმაწვილებლად! ღმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ახლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი“*.

მართლაც, მშვენიერი პოეტური განცდით აკინძული მრავალი მიძღვნა აქვს გრ. ორბელიანს ტრფიალების ამ პიროვნებებისადმი, რომლებშიც სიყვარულის გრძნობას პოეტი დიდი ვირტუოზული ხელოვნებით გამოჰხატავს: ლექსში „ნ-დმი“ (იგულისხმება ნინო ჭავჭავაძე) გრ. ორბელიანი შემდეგი სინაზით და უშუალოდით გამოთქვამს ტრფობის გრძნობით წვას:

მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვკრძნობ,
როს გხედავ, რადა ვჭწითლდები, რად ვკრთები, ვჭშიშობ და ვჭხარობ?
მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვკცილობ,
და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხრვითა ვმეტყველობ?

მრავალგზის ვფიქვავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გეძიებ,
როს გხედავ. გულსა სახმილსა მღუმარედ მყოფსა აღმიგზნებ.
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;
ხანა ვქსწყევ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ.

მოუსმინოთ, როგორი მაღალი, ფაქიზი გრძნობითა და როგორი კეთილმსურველი თავყვანისმცემლის ენით ამეტყველებს ეკატერინე ჭავჭავაძის მომხიბლავი სილამაზე და გრაცია ჭავჭავაძის პოეტს ლექსში „ეკატერინა ჭავჭავაძისას“:

წინანდლის ვარდო!
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!
ვითა ცისკარი,
ხარ მოციანარი,
რომე მხილველის გული ახარო.
იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენიერებს, ვით ყვავილთ ჭაჭვი.
.....
ჭმუნვის ღრუბელი,
გულ-ღამაბნელი,

* ი. შეუნიარგია, „ქართული მწერლები“, ტ. I, გვ. 182.

ვიდრე მხიარულს არ შეგებია;
ვიდრე ამ სოფლის
დაუდგრომელის,
ვარდნი ეკლავა არ გარდაცვლია!

მოუსმინოთ კიდევ ჩვენ პოეტს, როგორ გადმოგვცემს აღძრულ სიყვარულის გრძნობას სოფიო ორბელიანისადმი, რომელზედაც ის დანიშნული ყოფილა აკვანშივე და რომლისადმიც ეს გრძნობა სინამდვილეში მასში ხანგრძლივად გაღვივებულა. აი 1835 წლის 23 მარტს რასა სწერს ალექსანდრე ჰავკვავაძის მეუღლეს, სალომეს, რიგიდან გრ. ორბელიანი: „ახ! ჩემო სოფიკო! სად არის, ნეტავ ვახსოვარ, თუ შარშანდელს თოვლსავეთ აღარა ვპყყოფობ იმისათვის. — ბედს უყურეთ, მე ვარ დასაველეთს, ის აღმოსაველეთს; როდის და უნდა შევიყარნეთ!“... აი მისდამი მიძღვნილი ლექსიცი:

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს.
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხრვით მღუშარებს.
ესე არს საშიშ შემქმელი, ცეცხლი უხილავ, უალო,
არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს, ჰე, გულო.
ტრფობა უძღურთ გულთ წყაროს ჰგავს, შთათავან გადმოქანებულს,
რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძღურებულს*.

მიუხედავად ასეთი წვისა, ტანჯვისა, პოეტი მაინც გამოცდილი გონებითა და გრძნობით აფრთხილებს ჰაბუკთ დღენი თვისნი სიხარულით გაატარონ, იმხიარულონ, შეექნენ, ილხინონ და შეიყვარონ; სიცოცხლითა „აწვე დასტები, მხიარულობს ვიდრე გული“, ურჩევს მათ, რადგანაც —

ულმობელ დროს მიაქვს იგი (სიჰაბუკე. — მ. ზ.), მასთან ყოვლი სიხარული,
სიტკბობება სიცოცხლისა, არცლა გვრჩების სიყვარული,
ფრიალ მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შემქმუნენი...**

პოეტისათვის ტრფობა, ტრფობით გულისძგერა უდიდესი სიტკბობებაა, ურომლისოდაც მისთვის ცხოვრება ფუჭია, არარაა. პოეტი სიყვარულის მორევში გრძნობს სრულ დატკბობას; მის გარეშე, მისი გაგებით, აღამიანისათვის არ არის ბედნიერება და გამოცდილი კილოთი ასე ჰადაგებს ამ გრძნობის კულტს:

გრწამდეთ, ვის გული არ უძგერს ტრფობით,
ვითა სიზმარი მის დღენი განჰქრეს...
ვერცა სიამით, ბედნიერებით
ამა სოფელსა ვერა რით დატკბეს***.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „გამოსალმება ს-ს“, გვ. 20.

** მ ი ს ი ე ე, „ანტონს“, გვ. 3.

*** მ ი ს ი ე ე, „გრწამდეთ, ვის გული...“, გვ. 32.

თვით პოეტი სიტყბოების მორევისადმი გამზადებული შენატრის მას, ვინც „ამა სოფელს იგრძნო სიყვარული“... ასეთი ხასიათი და მიმართულება გარკვეულადაა გატარებული გრ. ორბელიანის შემოქმედებაში 1832 წლამდე დაწერილ ლექსებში. მგოსანს ასეთი თავისი სულიერი განწყობილება მშვენივრად და გულახდილად აქვს გამოთქმული ლექსში — „ჩემს დას ეფემიას“, რომელშიც ის ახასიათებს თავის ცხოვრებას. 1833 წლამდე.

სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ,
ძლივ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინებული,
მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ,

მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად
და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!

უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრეთ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის, ჰფარა ღრუბელთ ქვეშ,

და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ...

3

1832 წლის კატასტროფამ, საპყრობილემ დასჯილ მგოსანს უფრო მწვეველ აგრძნობინა ცხოვრების ჩარხის უკუღმართობა, უფრო მტკივნეულად განაცდევინა სამშობლოს სიყვარული და მისი თავისუფლების დაკარგვით საბედისწერო შედეგები. ცხადია, ამ მომენტმა „ექვით აღვისილსა, უსასოდ ქმნილსა, გულ-უიმედოს, გაუხარებელს“ პოეტს თანამედროვე ცხოვრებისადმი ნდობა დააკარგვინა. მისი ერთგული სამსახურიც ფუჭი გამოდგა. მაინც არ დაზოგეს: გაუგებრობასა და „გამოუცდებლობაზე“, როგორც თვით პოეტი ამბობს, აშენებული უბედურება საკმარისი იყო, რომ ისიც დაესაჯათ. წარმავალი პრივილეგიური წოდების საერთო უნუგეშო ჭულიერ განწყობილებას, რომლის გამომხატველიც გრ. ორბელიანი უდავოდ არის, დაემატა პირადი მდგომარეობაც. აქედან იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი.

აი სწორედ ამ პირადმა განცდამ პოეტის გულში არსებული აწმყოთი უკმაყოფილება უფრო გააღვივა, „უბედურებამ“ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ის თავის თანამოძმეებს, მასში წოდებრივი ფსიქოლოგიური ნათესაობა უფრო გაამახვილა და გააღრმავა.

კმუნვა და ნაღვლიანობა გრ. ორბელიანისათვის არც 1832 წლამდისაა მაინცდამაინც სრულებით უცნობი. ამ პერიოდში დაწერილ ლექსებშიც გვხვდება ეს ჰანგები.

ოდეს ოხრვით მაგონდების სანატრელი დღე წარსული,
გონება ვერ მიპოვნია სანუგეშად, ვერცა ცრემლი*

ამბობს კმუნვით მოცული პოეტი.

მეორე ლექსში — „გაზაფხული“ უფრო მკვეთრად გამოხატავს მგოსანი თავის ნაღველს, სოფლის ურწმუნობას. აი როგორ ჩივის ჭაბუკი პოეტი:

ამა ურწმუნო სოფლისა
ადრე ვისწავე მუხთლობა.
მისსა ყოველსა კეთილსა
აქვს მხოლოდ წაში მყოფობა**.

1832 წლის კატასტროფის შემდეგ ეს კმუნვა-სევდიანობა პოეტ-ში უფრო გაღრმავდა, ნაღველიანი მგოსანი ასე მიმართავს წუთი-სოფელს:

ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?

პოეტი ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოების მაგიერ, ლექსისათვის „ი ა რ ა ლ ი ს“, რომელშიც მისივე გულწრფელი განმარტებით გენერალ-ადიუტანტის ო რ ლ ო ვ ი ს ა დ მ ი — „ქართული შექცევა და ლხინია გამოხატული“ — დასჯილი, აწმყოთი უქმაყოფილო და უნუგეშო, როგორც რომანტიკოსებს სჩვეოდათ, გადადის წარსულში. იქ, წარსულში, ეძებს სულის სიმშვიდეს, ნუგეშს. შესცქერის ბეთანიის ტაძარში თამარ მეფის სახეს და ნაღველიანი ამბობს:

მიხარის—გიმზერ, ვჰსწუხვარ და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოეფხიზლდე, რომ აღარ ვჰგრძნობდე.
ჩემი საშობლოს სულით დაცემას...***

იქ, წარსულში, როგორც ჩვეულებრივ რომანტიკოსებში, გრ. ორბელიანი პოულობს სურათს და ძლიერ პიროვნებებს, რომელთაც შექმნეს „დიდება ჩვენი, ცად სხივ მომფენი“, იგონებს ძველ დროს — თამარის დროს.

„ვით განვლილსა სიზმარსა, მზეს დიდებულად ჩასვენებულს“, რათა გული გაიმეგრავს, „სრულად არ წავჰსწყდეთ ცას შემარისხავ-

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ოდეს ოხრვით“, გვ. 33.

** მ ი ს ი ე ვ ე, „გაზაფხული“, გვ. 19.

*** მ ი ს ი ე ვ ე, „თამარ მეფის სახე...“, გვ. 76;

ნი!“ „ბედდაკარგულის ივერიის ძეს“ პოეტს „ექვით აღვსილსა, უსასოდ ქნნილსა, გულუიმედოს, გაუხარელს“ ყველაზე მეტად აწუხებს, რომ საუკუნოებით, წინაპართა თავდადებული მოღვაწეობით შექმნილი ცხოვრება ილახება, ირღვევა, იღუპება. დამწუხრებული პოეტი ღრმა ტკივილით ასე კენესის ლექსში „თამარ მეფის სახე ზეთანის ეკლესიაში“:

ვამ თუ რაც წახდეს,
ველარა აღპსდგეს,
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი!

გრ. ორბელიანი ჩვენს წარსულს აღადგენს თავის უდიდეს თხზულებებში „ს ა ღ დ ე გ რ ძ ე ლ ო“.

უნდა ითქვას, რომ „საღდეგრძელოს“ პირველი ვარიანტი, რომელიც პოეტს 1827 — 1832 წწ. აქვს დაწერილი და, რომელსაც თავდაპირველად ჰქონია სათაური:

„ტოლუმბაში
ანუ
ომის შემდეგ ლხინი
და
საღდეგრძელო“.

შედარებით ცნობილ დაბეჭდილ ვარიანტთან დიდ განსხვავებას წარმოადგენს. პირველ ვარიანტში გრ. ორბელიანის რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ი აღმ ა ფ რ ე ნ ი ს მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა უ ფ რ ო და ც უ ლ ი ა. აქ არ არის გაჭიანურებული ადგილები, დიდაქტიზმი, შემთხვევითი ჩამატებანი, რომლებითაც ასეა დამძიმებული ცნობილი უკანასკნელი რედაქცია. მხატვრულობისა და რომანტიკული სტილის დაცვის თვალსაზრისით ეს პირველი ვარიანტი უფრო ძლიერად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე უკანასკნელი რედაქცია. პარალელური ადგილებიც პირველ ვარიანტში რომანტიზმის თვალსაზრისით უფრო მეტის მთლიანობითა და პოეტურის აღმაფრენით არის შესრულებული*

პოეტი მიმართავს დამსწრეთ:

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,

* საღდეგრძელოს დაწერაში, გარეგნული ფორმის მხრით მაინც, გრ. ორბელიანი რუსი მწერლის ვ. ე. უკოვსკის „Певец во стане русских воинов“-ის გავლენას განიცდის. აგრეთვე ალაგ-ალაგ ბუნების, სიყვარულის, მეგობრობის მო-

პოეტი ცდილობს დიდის აღფრთოვანებითა და მოწიწებით, ლამაზი მხატვრული ენისა და პოეტური ექსპრესიის დაცვით მკითხველს წარმოუდგინოს ჩვენი წარსული თავისი გმირებით, მათი ვაჟკაცობით, მხნეობით.

ენი გვიბოხას, ვინა გვიჩვენოს, სადა ჰცხოვრებდნენ ძველ-გმირნი?
ღრომან შემუსრა, აღგავა მიწით მათნიცა საფლავნი;
მარამ, ჰსცოცხლან ჭერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!

ამ წარსულში გრ. ორბელიანს იდეალად ეხატება ძველი ფეოდალური საქართველო თავისი დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებებით. მასში მთელი გალერეაა მოცემული ქართველ გმირ მეფეთა და წარჩინებულ კარისკაცთა საარაქო მოქმედება-მოღვაწეობისა, რომელმაც, მწერლის ღრმა რწმენით, შექმნა საქართველოს „ცათ სხივნომფენი დიდება“. გრ. ორბელიანი, აღზრდილი „ქართლის ცხოვრებაზე“ ქება-დიდებას შეასხამს ღირსშესანიშნავ ქართველ მეფეებს, „რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად“, დაწყებული ფარნაოზით და გათავებული ერეკლე II-ით, რომელთანაც, პოეტის განცდითა და თქმით, — „დიდება ივერიის მარხია სამარეს“.

მაგრამ მეტად საგულისხმო და გრ. ორბელიანისათვის დამახასიათებელი ის არის აქ, რომ საქართველოსათვის, „ძველი ივერიისათვის“, როგორც იტყოდა პოეტი, თავგანწირულ და სასიქადულო გმირთა შორის, „რომელთა სახე დიდების სხივს მოგვეფენს გასამხნევებლად“, და „სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად“, იმავე საერთო აღფრთოვანებული ტონით რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I-საც შემდეგ ქება-დიდებას ასხამს:

გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ შესაწირავად:
ტაძარი შენი დგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საქმეად.

* ტივის გაგებაშიც შეიძინევა მსგავსება (იხ. ჟ. კუმბურიძე, „გრ. ორბელიანის „საღღერძელო“ და ვ. ყუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“). მაგრამ ძირითადში მათ შორის არსებითი განსხვავებაა—ვ. ყუკოვსკი ხობტას შეასხამს 1812 წლის სამამულო ომის სარდლებს — გმირებს, გრ. ორბელიანი კი აღტაცებულია წარსულის გმირთა ვაჟკაცობით, რომელთაც შექმნეს საქართველოს დიდება: რაც უკვე გაქრა, რაცაა პოემის ძირითადი იდეა. ამიტომ გრ. ორბელიანის „საღღერძელო“ ძირითადში ორიგინალურია.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „საღღერძელო“, გვ. 90.

გრ. ორბელიანი ნიკოლოზისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოს ასე ათავებს:

ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰყინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩენდა დიდებად,
ბედნიერებად —
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ქამიერ!

და, რაა ძირითადი მამოძრავებელი გრ. ორბელიანისათვის ნიკოლოზ I-სადმი ამ წარმოთქმულ სადღეგრძელოსი, ამასაც პოეტი არ აყოვნებს და იქვე ამბობს:

ძველი ივერი,
შენი ივერი,
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა;
შენგან მოელის,
ვით გაზაფხულის
ყვავილი მზისგან აღმოცენასა!
განახლებული,
განათლებული,
ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა!
თამარის დღენი,
დიდების დღენი
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!

ამ სადღეგრძელოში მთლიანადაა გამოვლინებული გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობაც, მიმართულებაც, განწყობილებაც. ის ერთგულია ძველი, ფეოდალური ივერიისა, მას სიამოვნებით ხედავს პოეტი წარსულში და ასევე უნდა მისი ხილვა მომავალშიც. ამიტომ ოცნებობს საქართველოს „ფენიქსებრ აღმაფრენას“, „თამარის დიდების დროს“ აღდგენას. მას სწამს, რომ ეს მოხდება რუსეთის მეფის ტახტის შემწეობით და ამიტომაც უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებს ნიკოლოზ I-ს სრულიად გულწრფელად და არა მოჩვენებით. ეს რწმენა, როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, გრ. ორბელიანში განმტკიცდა 1832 წლის შემდეგ.

ნიკოლოზ I-სადმი ეს ოდა ავტორმა პოემაში „სადღეგრძელო“ შეიტანა 1854 წელს. „სადღეგრძელოს“ პირველ და მეორე ვარიანტებში ნიკოლოზისადმი ეს მიძღვნა არ არის. მაგრამ ნიკოლოზისადმი ოდის ქარგა პოეტს 1832 წელს უკვე მზადა ჰქონია—ლექსის სახით,

რომელიც პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა და რომელიც მისი შეხედულებით, თავისუფლების ოდაა.* მოვიტანოთ ეს ლექსი:

გულნი ივერთა აქვთ მსხვერპლად მზათა, შენდა შესაფერ-შესაწირაად,
ტაძარი შენი არს გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საქმევად!...
კმა არს, რაც ეკარგეთ აქამდის... აწ შენში ვპოოთ კარგული,
ამაღლდეს ქელი ივერის შაგბელით დამიწებული!
მტერთა შემუსვრით შენის მხნეობით, კეთილდღეობით აღგვაყვავილე!
სწავლათა პპონ აქ თვის სადგური, მისისა ნათლით ჩვენ განგვანათლე!
მტერი შეძრწუნდეს, რა მოახლოდეს შენსა საზღვარსა მხნეობით მცველსა,
თამარის ღლენი, ღიღების ღლენი, უკ-მოუქციე ივერისა.

მეტად თავისებური განმარტება იქნებოდა, ეს ლექსი რომ მივიჩნიოთ, როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს, თავისუფლების ოდად. მართალია, ეს ლექსი დაწერილია 1832 წელს და დანოუქიდებლივ პოემისა „სადღეგრძელო“, მაგრამ ამ ლექსის გაცნობის უმაღ ჩვენში ბუნდოვანი ეჭვი დაიბადა — ეს ლექსი ხომ არ არის ნიკოლოზ I-სადმი ოდის შავი? ეს ეჭვი ჩვენში შემდეგმა გარემოებამ შექმნა: ნიკოლოზ I-სადმი სადღეგრძელოსათვის გრ. ორბელიანს სწორედ ეს ლექსი აქვს გამოყენებული, როგორც შინაარსეულად, ისე ფორმითაც, ლექსიკითაც. ამის შემდეგ კვლავ გადავიკითხეთ „1832 წლის საქმეების“ მე-19 ტომი და გამოძიების საქმეში 3742 ფურცელზე — გენერალ-მაიორი ვოლხოვსკის ხელით მიწერილია: „ეს ლექსი („გულნი ივერთა“...) რომ წარუდგინეს პორუჩიკ გრ. ორბელიანს, მან განაცხადა, რომ ეს ლექსი შევა იმ მიძღვნაში, რომელიც მას განზრახული აქვს იმპერატორისადმი დასწეროს“.

გრ. ორბელიანის ეს განცხადება სრულიად გულწრფელად მიგვაჩნია. ასეთი რწმენა და იმედი — საქართველოს „ფენიქსებრ“ აღორძინების ნიკოლოზ I-ის მიერ ისეთივე ხასიათის მოვლენაა გრ. ორბელიანის ფსიქოლოგიაში, როგორც ძველი ივერიის მეფეთა და მათდამი ერთგულების შეცვლა რუსეთის ტანტის მპყრობელით და მისდამი ერთგულებით. ვფიქრობთ, რომ კერძოდ ამ ლექსისა და „სადღეგრძელოს“ ცნობილი ადგილის მსგავსება და გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობა და მოღვაწეობა ამის დამადასტურებელ საბუთს აშკარად იძლევა. გრ. ორბელიანის ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხა-განწყობილებაშია მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გა-

* პ. ინგოროყვა, „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, ქართული მწერლობა, 1928 წ., № 6—7.

მართლებაც; მისი პიროვნების არა გაორება, არამედ მთლიანობა, შინოლითურობა.

მიუხედავად იმისა, რომ „სადღეგრძელოს“ უკანასკნელი რედაქცია გრ. ორბელიანმა დაანთავრა 1870 წელს და კიდევ უკანასკნელად რედაქცია თავის შემოქმედებას მან გაუკეთა 1879 წელს, ეს იმ დროს, როდესაც ძველი, ფეოდალური საქართველოს დრომოქმულობა უკვე მრავალთათვის ცხადი იყო, როდესაც ახალი საქართველოს სახე და მისი მომავალი ბევრად თუ ცოტად გარკვეულად ეხატებოდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს მაინც და ამ მომავალს ხალხური, დემოკრატიული მოტივები ასაზრდოვებდა, — გრ. ორბელიანი მაინც ძველ, ფეოდალურ საქართველოს მისტირის. მისი ხილვა და მზერა მას „სურს სიკვდილამდე“. პოეტი ხშირად ამ უკმაყოფილებას იმით ჰკლავს, რომ რუსეთის ტანტს ისეთსავე, თუ შეტს არა, გუნდრუქს უკმევს.

განხილული, ვფიქრობთ, საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების მიხედვით, მისი პატრიოტიზმა თუმცა ძლიერია, მაგრამ ცალმხრივია, ვიწრო წოდებრივი. ამიტომ იყო, რომ გრ. ორბელიანისათვის ხშირად ქართველი მაღალი წოდება და საქართველო სინონიმებია. ამიტომ იყო, რომ პოეტის შეგნებაში ზ უ რ ა ბ ი ა ნ თ ო ჯ ა ხ ი ს და ც ე მ ა საქართველოს და ც ე მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ და. და ეს მაშინ, როდესაც ახალი საქართველო თავისი ტკივილებითა და იმედებით ქართველ მოწინავე მაჰულიშვილებს ამოძრავებდა. გრ. ორბელიანში კი „წარსულ დროებაზე სევდას, — როგორც წერს ი. მეუნარგია—ზედ დაერთო ესლა აწმყოზე მწუხარება, სუყველაფერი იცვალა პოეტის გარშენო: თავად-აზნაურობა დაემხო, ქართული წირვა-ლოცვა და გალობა შემცირდა, ძველებური კარგი ზნე და ხასიათი ქართველის კაცისა და ქალისა დაიკარგა, მისი ახლო ნათესავეები და მეგობრები დაღარიბდნენ და შემცირდნენ... მეტადრე თავად-აზნაურობაზედ შეჰქმნა პოეტმა იერემიას გოდება“ (ი. მეუნარგია — „ქართველი მწერლები“).

პოეტს უკმაყოფილება თანდათან უჭდებოდა ძვალსა და რბილში, როდესაც „გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ“ განშორდნენ. ამ უკმაყოფილებაზეა აღმოცენებული გრ. ორბელიანის შემოქმედება და, კერძოდ, მისი რომანტიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

ასეთი სულიერი განწყობილებისა და მსოფლმხედველობის მატარებელ პოეტს, ბუნებრივია, ძველს ფეოდალურ საქართველოში

უნდა მოენახა და ეპოვა დაკმაყოფილება. ეს ასეც იყო. ამიტომაც, რომ პოეტი მძიმე ტკივილით გვეუბნება:

წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიდეს*.

პოეტი გატაცებით და აღფრთოვანებით აღწერს ძველად „ჭაბუკ-მხედართა შექცევას ყაბახსა ვრცელსა“ და აი ამ „საამო სანახავს“ როგორ გადმოგვცემს:

ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი,
ჭირით სრიალი, ყურთ-მაჯთ ბრიალი,
ცხენით ქვეხტომა, კვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა და ხმალთ კრიალი*.

და ასეთი წარსულის ხილვით, მისი დიდებითა და მამაცობით, სილამაზითა და მიმზიდველობით დამთვრალი პოეტი, თუმცა ცოტა ხელოვნური, მაგრამ აღფრთოვანებული გავლენის მოხდენის მძლავრი კილოთი წარმოთქვამს:

მამულისათვის ფიალა სავსე ვსკათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქელი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი ვხარობდეთ გულსა აღგზნებით!

სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს ეამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევჰხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვჰკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვაღიღებთ მისსა სახელსა**.

„სადღეგრძელო“ საგრძნობლად რ ი ტ ო რ ი კ უ ლ ი ა, მას ს ე ნ -
ტ ე ნ ც ი ე ბ ი ს ა და მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ხასიათი აქვს, როგორც
მთლიანს, ისე კერძოდ ამ მოტანილს ადგილს: პოეტი თითქოს ძალ-
დატანებით მსჯელობს, ამას თვითაც გრძნობს და ამბობს: „კმარა
მოდღერება“-ო, მაგრამ ნაწარმოების პოეტური ენა და მრავალი მხა-
ტვრული ადგილი, მათი განვითარების მძლავრი ექსპრესია ამ ნაკლს
საგრძნობლად ანელებს და ამ პოემას ერთ საუკეთესო ძეგლად ხდის
XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

4

გრ. ორბელიანის შემოქმედებას ძლიერი ბეჭედი აზის რომან-
ტიზმის საერთო სტილისა, რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „იარალის“, გვ. 16.

** მ ი ს ი ე ე, „სადღეგრძელო“, გვ. 100—101.

განცდათა განსახიერებისა და ლამაზი პოეტური რომანტიკული ენისა, სავსე პოეტური ფიგურებითა.

ძლიერი რომანტიკული ლირიზმის ელფერიტ მეტად საინტერესოა და მდიდარი გრ. ორბელიანის შემდეგი ელუგიები: „ჩემს დას ეფემიას“, „მიბაძვა პუშკინისა“ და „საღამო გამოსალმებისა“. მათში მკვეთრად და რომანტიკული ნიჭიერებითაა განსახიერებული პოეტის თავზე გრივალისებურად მოვლინებული უბედურებით გამოწვეული უნუგეშობა, ჰმუნვა, სევდა, შინაგან განცდათა ანალიზი. ერთი სიტყვით, აქ რომანტიზმი თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებითაა წარმოდგენილი.

მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, იმედგაცრუებული და უნუგეშო პოეტი, აი, როგორ აუწერს დას, ეფემიას, თავის სულიერ განცდას:

უცებ გრივალმა უბედობის დამქროლა ესრედ,

და დამცა უფსკრულს ვაებისას, უმწედ, უნუგეშ,
სადაც ოხრვანი აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!
სადაცა ჰსწევდნენ, ვითა ცეცხლი, ღაწვთ ცრემლნი
დენით

და მათ არ ჰსწყვეტდა არავისი ხელი ნუგეშის!

და საღ სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავი!*

უნუგეშო, სასოწარკვეთილებით აღსავსე პოეტი მართობას განიცდის, აფორიაქებული სულის დასამშვიდებელს ეძებს, როგორც ეს რომანტიკოსებს სჩვეოდათ, ეძებს მეგობარს, რომ თავისი ტანჯვა გაუზიაროს, და მასვე ასე მიმართავს:

მაგრამ ნუგეშად, ჩემდა შვებად. სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამკენარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმისვენე კვეთებათაგან ბოროტ მხედრისა!*

ასეთს მდგომარეობაში მყოფი რომანტიკოსი მწერლებისათვის ჩვეულებრივ და ბუნებრივადაც ისმოდა საკითხი ცხოვრების აზრისა და მნიშვნელობის შესახებ. ასეთსავე რკალშია მომწყვედული გრ. ორბელიანიც. არც ის ასცდა ამ ტკივილებს. და მისი შეხედულება ჩვეულებრივი შეხედულებაა რომანტიკოსისა საერთოდ: ცხოვრება-

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ჩემს დას ეფემიას“, გვ. 45.

-ფუჟია, ადანინის გონებას ღრღნის ექვი, კმუნვა,
-ამაოება.

აი გრ. ორბელიანი თავის ამ განცდას როგორ გადმოგვცემს:

სიცოცხლე ფუჟო,
უბრალოვ ნიჟო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა.
და თუ მიწოდა
არსით სოფლადა,
არისათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?
რად მომცა სული,
ვნებით აღვსილი,
გონება ექვით შეშფოთებული,
და აწყო არად,
წარსული სიზმრად
და მაცოუნებლად ზვით მომავალი?
ანუ საგანი
რა არს, ვერ ვქსცანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?
და გულუგრძნობით,
უსასოებით,
ვალ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის *.

აი ჩვეულებრივი დამახასიათებელი ლექსიკა რომანტიკოსი მწე-
-რლისა — ზენა, ფუჟი ცხოვრება, ტანჯვის მსხვერპლი, ვნებით აღვ-
-სილი სული, ექვით შეშფოთებული გონება და სხვა. აქვეა მოცემუ-
-ლი ჩვეულებრივი სახე ექვითა, კმუნვითა და უიმედობით საესე
უნიადაგო რომანტიკოსისა, რომელიც აწყოში სანუგეშებელს ვე-
-რას ჰხედავს, მომავალიც იმედს არ აძლევს და წარსულით-ლა იო-
-ხებს გულს! ცხოვრება მათთვის მძიმე ტვირთადაა გადაქცეული.

ამგვარი განცდის ჟამს რომანტიკოსებს ჩვეულებრივ აღედგებო-
-დათ ხოლმე იმ სოფლის რწმენა, როგორც სანუგეშებელი რამისა.
იქით, იმ ქვეყნისაკენ ფრენა მათ აფორიაქებულსა და შინაგან განცდა-
-თა თვითანალიზით გაწამებულს სულს სიმშვიდეს აძლევდა ხოლმე.
ასეა დიდი რომანტიკოსები: ტ ი კ ი, ნ ო ვ ა ლ ი ს ი, ყ უ ჯ ო ვ ს კ ი.
ასევეა გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც.

აი ამ განცდას პოეტი როგორ გვიხატავს:

მაგრამ მახსოვს-კი, ერთ გზის მესმა ჰიკიკი მერცხლის,
და სწორედ ვიტყვი, მრწამლა იგი ხმად მეგობრისა,

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „მიბაძვა პუშკინისა“, გვ. 120.

იმეორ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,
და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!*

აი ჩვეულებრივი სახე რომანტიკოსისა, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ნიადაგი დაკარგული აქვს, სააქაო ცხოვრებასთან კავშირს წყვეტს, რადგანაც აქ ყველაფერი დროულია, წარმავალია, მის საწინააღმდეგოა. პოეტი იმ ქვეყნისაკენ, უმოქმედო ქვეყნისაკენ მიილტვის, რათა იქ სიწყნარეში, რომელსაც ის ეძებს, მოიპოვოს მარადიული სიმშვიდე და დაკმაყოფილება.

იმედგაცრუებულობა, ცხოვრებისაგან მოტყუება, ცხოვრების გარეშე განდგომა, მარტოობა, დუმილი — აი დამახასიათებელი თვისებანი რომანტიკოსების განცდათა და რომანტიზმის სტილისა, როგორც ლიტერატურული მიმართულებისა.

ასეთივეა გრ. ორბელიანის სულიერი განწყობილება:

ან მე უგუნურს, რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
აწ დაეპოთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
ჰჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულწყულსა?***

საუცხოო და მეტად დამახასიათებელი გოდებაა, რომლის ნიჭიერი გამომხატველია პოეტი. უნიადაგო, უმოქმედო, ცხოვრებიდან განმარტოებულ რომანტიკოსებს ცხოვრებისა და სულიერი ტანჯვის სიმძიმეს ხშირად უმსუბუქებდა, უქარვებდა ცრემლი. ნოვალისი, ყუკოვსკი და სხვანი ცრემლს ისე უყურებენ, როგორც ჰმუნვის გაქარვებულ ნუგეშს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ცრემლს გრ. ორბელიანისათვის:

ჰმუნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი:
შემამრენ ცრემლნი და ესეცა შვება მომაკლდა***.

ამავე უკმაყოფილების, უიმედო და უნუგეშობის შევების ძიების ნიადაგზეა აღმოცენებული გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რომანტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებათაგანი — ბუნების კულტი.

გრ. ორბელიანი ქართულს ლიტერატურაში ბუნების კულტის შემომტანია. ცხოვრებისათვის ბრძოლის უნარს მოკლებული რომანტიკოსებისათვის ბუნება ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ) ნავთსაყუდრად გადაიქცა, სადაც ნიადაგდაკარგული, აფორიაქებული და გაწა-

* გრ. ორბელიანი, „ჩემს დას ეფემიას“, გვ. 47.

** მისივე, „სალამო გამოსალმებისა“, გვ. 59.

*** მისივე, „ჩემს დას ეფემიას“, გვ. 47.

მებულო რომანტიკოსების სული უიალქნო ძიებაში სიმშვიდესა და სიწყნარეს პოულობდა. ბუნებას რომანტიკოსებმა სული ჩაუდგეს, გააკაცეს, აამეტყველეს, თავიანთი მკმუნვარე ნალველის თანამოზიარედ გახადეს, მისი თავისადმი განჭვრეტილ თანაგრძნობაში აწმყოთი დაუკმაყოფილებელ სევდიან გრძნობას აქსოვდნენ და ამ გზით იქარვებდნენ. ბუნება ერთგვარი ტაძარი იყო, რომელშიც ცხოვრების გარეშე ბედნიერებისა და დაკმაყოფილების მაძიებელი რომანტიკოსები გუნდრუქს აკმევდნენ.

ერთი უდიდესი დამსახურება გრ. ორბელიანისა, როგორც რომანტიკოსი პოეტისა, ის არის, რომ მან პირველმა დიდის ნიჭითა და მხატვრულობით ბუნების ასეთი გაგება მოგვცა მაგალითად:

მზე ჩავსვენა: მის შუქი გამოსალმის უამს კავკასსა
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით ღვენი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზე დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას წარდენითა ემუქრებიან*.

ან კიდევ:

ილევა** ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავეც გულისა მაგრილებელი;
ფშინვავა დაიწყეს ყვავილთა და ბალში ფოთოლთ შრიალი
ოჰ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებულო
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით ჰგალობს ბულბული?***

ეს მოტანილი ნაწყვეტები, ისე როგორც გრ. ორბელიანის მთლიანი შემოქმედება, სავსეა მდიდარი რომანტიკული პოეტური ლექსიკით — შედარებით, ეპითეტით, განპიროვნებით, ჰიპერბოლით.

რომანტიკოსები ბუნების წილში, მისი სილამაზის და უშუალო შეხებისა და განცდის პროცესში უახლოვდებოდნენ იმ პირველ მიზეზს, რომელსაც ღვთაებას, აბსოლუტს ეძახდნენ და რომლის ძიება უდიდესი განცდა და განსახიერება იყო მათი აღგზნებული აღმაფრენისა: ბუნება რომანტიკოსებს ერთგვარ გზად და ხიდად ეხატებოდათ ამ აბსოლუტის შესახებად და განსაცდელად. ეს ხომ

* გრ. ორბელიანი, „სილამო გამოსალმებისა“, გვ. 58.

** ზოგ გამოცემაშია ილევა — ეს გაუგებრობაა, ილევა უადგილოდ არს აქ ნახმარი. უნდა იყოს ილევა. ამ გარემოებას ჩვენი ყურადღება პეტრე მირიანაშვილმა მიაქცია.

*** გრ. ორბელიანი, „საღლეგრძელო“, გვ. 105.

რომანტიკოსებისათვის უდიდესი ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდა იყო!

ასეთივე გაგება და განცდა ახასიათებს ჩვენს პოეტსაც:

ვიმ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა კმუნის გამჟარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..
ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერს უთვალავს შენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას*:

გრ. ორბელიანი, როგორც საერთოდ რომანტიკოსები, ბუნებასთან შეხებაში გრძნობს გამაფაქიზებელ, განმწმენდ საშუალებას რეალური ცხოვრების ყოველდღიური ბიწიერებისაგან, პოეტი განიცდის რა ბუნების ძალას, მაღალი რომანტიკული პოეტური ნიჭით და აღმაფრენით აღბეჭდილ გულუბრყვილობით კითხულობს:

„ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა“.

გრ. ორბელიანის პოეზია საინტერესოა აგრეთვე რომანტიზმის სხვა მოტივის — ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს : გ რ ძ ნ ო ბ ი ს ა ხ ა ლ ი გ ე გ ე ბ ი ს შემოტანითაც ჩვენს ლიტერატურაში.

სიყვარულის მოტივის განსახიერება ჩვენი ლიტერატურისათვის უცხო და ახალი არ იყო. სატრფიალო ელემენტი, როგორც გამომხატველი პირადი განცდისა, ჩვენი აღორძინების ხანის მწერალთა შემოქმედებაში უხვადაა გაშლილი. საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც მინზიდველობა დღესაც არ დაუჟარგავს, არის ბესიკი. მის ლექსთა დიდი ნაწილი თანამედროვეთათვის სასიმღერო რომანსებად გადაიქცა და თითქმის XX საუკუნის კარამდე ვრცელდებოდა.

სიყვარულის მოტივი მეტად მრავალმხრივ და მრავალფეროვნად განავითარა და განსახიერა გრ. ორბელიანის წინამორბედმა ალ. ჭავჭავაძემაც. სიყვარულის მრავალფეროვნების განსახიერების მხრით, როგორც ბესიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე ისეთ ვირტუოზობამდე მივიდნენ, რომ გრ. ორბელიანი ამ მხრით მათ მეტოქეობას ვერ გაუწევს.

მაგრამ, როგორც ბესიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე, ძველი ქართული მწერლობის გავლენის გამო ხორციელ, ფიზიკურ სიყვარულს უგალობენ**, მხოლოდ მას უთმობენ თავის გულს ტახტად, მონად მას უხდებიან! მათთვის მეორე, სულიერი მხარე სიყვარულისა მიჩქმა-

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სადღეგრძელო“, გვ. 105.

** როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში აღმოსავლური ხორციელი, ფიზიკური გაგება და ასახვა სიყვარულის მოტივისა შენე-

ლულია, არც კი ჩანს. გრ. ორბელიანს კი ახალი გაგება სიყვარული-
სა, მისი სულიერი მხარის სიძლიერისა და უპირატესობის შეგნება,
წმინდა რომანტიკული გაგება სიყვარულისა, როგორც მარადიული
გრძნობისა, შემოაქვს ჩვენს ლიტერატურაში:

რაა გინდ მოვკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა წარჰყვება..
არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა ექმნება;
ნამ სახე სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ განგვმორღების,
და სიყვარული, სულის მაშენი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყვარულს თუ დაჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?*

გრ. ორბელიანს, როგორც ნამდვილ რომანტიკოსს, არა მარტო
სიყვარულის სულიერი მხარე სწამს, მისი გაგების უნარი აქვს,
მის მარადიულობას განიცდის, არამედ, როგორც რომანტიკოსებს
სჩვეოდათ, გრძნობს, რომ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გ ა ნ ც დ ი ს ს ა შ უ ა -
ლ ე ბ ი თ ა დ ა მ ი ა ნ ი კ ა ვ შ ი რ ს აბამს ღვთაებასთან.
ასეთს ღრმა რომანტიკულ-ფილოსოფიურ გაგებას სიყვარულის
გრძნობისას გრ. ორბელიანი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:

ძმანო, იგიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება;
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკება,
რომლის შუქი აღგვამალღებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!***

სიყვარულის გრძნობა, როგორც ბუნებისა, ადამიანს არა მარტო
ღვთაებასთან აახლოებს, ნუგეშს აძლევს, არამედ „უკვდავებასაც“
განაცდევინებს:

რომ სახე მისი, თვალთა დაზულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს,
მუნ საშეგებლად, მუნ სანუგეშოდ და რათა მითვე ვსცნა უკვდავება.

სიყვარულის გრძნობის ასეთი გაგება გრ. ორბელიანს მოცემული
აქვს ერთ თავის ადრინდელ პატარა ლექსშიც:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,
თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული***.

ლებულია. სიყვარულის სულიერი, მარადიული მხარის გაგება ალ. ჰავჭავაძისათ-
ვის არ არის უცხო. სიყვარულის ასეთი გაგება ალ. ჰავჭავაძის შემოქმედებაში
შერეულია ეშხიან-ენებიანი სიყვარულის განცდაში.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სადღევრძელო“, გვ. 104.

** მ ი ს ი ვ ე, ი ქ ვ ე, გვ. 102.

*** მ ი ს ი ვ ე, სატრფიალო ლექსები, გვ. 34.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ძალუმი გაგება და განსახიერება სიყვარულის გრძნობისა და განცდის სულიერი მხარისა ქართულ ლიტერატურაში პირველად გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გვხვდება. ასეთი მძლავრი და მკვეთრი ტიპიური რომანტიკული ასახვა სიყვარულისა ბევრ დიდ რომანტიკოსსაც კი გაუჭირდებოდა.

ამგვარად, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, სიყვარულის რომანტიკული გაგება მთლიანადაა განვითარებული.

5

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გრ. ორბელიანის შემოქმედებაში სიყვარულის მხოლოდ სულიერი მხარის განსახიერება დაგვენახა და აღგვენიშნა.

გრ. ორბელიანი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ხარკს აძლევს ძველ ქართულ პოეზიას, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილ მეფის, ბესიკის და ალორძინების ხანის სხვა ლირიკოსთა შემოქმედებას. აგრეთვე და განსაკუთრებითაც ეგრეთწოდებულ ყარაჩოღლურ-აშულურ პოეზიას, რომელიც, როგორც ზევითაც გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, ქალაქ თბილისის მცხოვრებთა — ყარაჩოღელთა შორის დიდი თავისებურებით განვითარდა. შეიქმნა მთელი პლუადა აშულ-პოეტებისა, რომელთა ლექსები და სიმღერები გამუდმებით გაისმოდა მეფისა და ფეოდალების სასახლეში.

ეს ყარაჩოღელი, მიუხედავად ჟამთა და პირობათა ცვლილებისა, თითქმის დღემდე ტიპიურ მატარებლად დარჩა ძველი თბილისის თავისებური ცხოვრებისა, მისი სპეციფიკური განცდებითა და კოლორიტით. ყარაჩოღელები და მათი პოეზია, როგორც უკვე გავარკვიეთ, გავლენას ახდენდა ჩვენს ოფიციალურ ლიტერატურაზე და მის წარმომადგენლებზე. გრ. ორბელიანიც, როგორც მისი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს, ყარაჩოღელთა პოეზიის, განსაკუთრებით მისი საუკეთესო წარმომადგენლის საიათნოვას, გავლენას მძლავრად განიცდიდა.

ამ ყარაჩოღელის გული გრ. ორბელიანმა დიდი ოსტატობით, გაგებითა და შეთვისებით, ამასთან ერთად არაჩვეულებრივი სიმპათიითა და თანაგრძნობით გადახსნა მკითხველის წინ თავის მშვენიერ ლექსთა მთელ რიგში. ამ ლექსებში მან უმთავრესად ამ ყარაჩოღელის სიყვარული და ამ გრძნობით გამოწვეული მისი ცხოვრების წვა, რომელსაც გარეგნულად უდარდელი ხასიათი აქვს, ცოცხლად დაგვანახვა.

თავისებურია სიყვარული ყარაჩოღელისა, მეტად მარტივი, პრიმიტიული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტად უშუალო, მწვავე და ძალუმი. ყარაჩოღელის სიყვარული დიამეტრულად განსხვავდება კულტუროსანი ევროპელის სიყვარულისაგან. უკანასკნელის სიყვარული რთულია, განვითარებული, მაგრამ მასთან ერთად ხშირად ანგარიან-ანგარიშიანი და ხელოვნური, და ეს ბუნებრივია: ყარაჩოღელი და მისი ფსიქოიდეოლოგია ნატურალურ მეურნეობაზე განვითარებული, ხოლო ევროპელი და მისი ფსიქოიდეოლოგია — ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურზე. ამიტომაც, რომ გრ. ორბელიანი, როგორც ნატურალურ მეურნეობაზე აღზრდილი, ასეთის გაგებითა და სიტბოთი ხატავს ყარაჩოღელს, მისი სპეციფიკური, პოეტისათვის გასაგები, თვისებებით.

გრ. ორბელიანის მიერ დახატული ყარაჩოღელი ასე მიმართავს თავის სატრფოს:

ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, —
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა.
ესღენ ხანს კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა*.

ევროპელი კი, ცხოვრების პირობების გამო, ისეა გაწვრთნილი, რომ მას ასეთს შემთხვევაში ენა არასოდეს არ „უმუხთლებს“, არასოდეს „ყველაფერს“ უნებლიედ არ ათქმევინებს და სიყვარულის „კრძალვით“ დაფარვას ის არასოდეს არ ცდილობს. ევროპელი ყოველ შემთხვევაში ასე გამოუცდელად და გულუბრყვიოდ არ შექმნის პირად ტანჯვას, ის ეცდება თავის გრძნობაზე ილაპარაკოს, ანეტყველდეს, ხშირად პათოსშიც ვადავიდეს, რომ სატრფოს გული დააყუჩოს, მოალბოს, მოათბოს, მოიგოს, დაიმორჩილოს. ევროპელი სიყვარულის გრძნობაშიც გარკვეულ ანგარიშს ხედავს, ყარაჩოღელი კი გრძნობის უშუალო, უანგარო მონა-რაინდია.

აი ყარაჩოღელი როგორი უშუალობით გაუმხელს თავის სატრფოს თავის გრძნობას:

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი, — შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ.
გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ!

* გრ. ორბელიანი, „მუხამბაზი“. გვ. 9.

რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმაღ ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ*.

ასეთი დამატყვევებელი, მწველია სიყვარულის გრძნობა ყარაჩო-
ღელისათვის. ეს ჩვეულებრივი აღმოსავლური გაგებაა სიყვარულის
გრძნობისა. საკვირველი ის არის, რომ ყარაჩოღელისათვის ძალიან
ცოტაა საჭირო, რომ მასში ასეთმა დამატყვევებელმა მწვავე გრძნო-
ბამ იფეთქოს და, ამასთანავე, ძალიან მცირეა საჭირო, რომ ნან ასეთი
მწვავე და ძლიერი გრძნობა დაიყუჩოს:

გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემჩრომიო-ლა და მისიცია გსურს დაბნელება!
ძის დასამონად იცი, კმარა შენი შევენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ ყურადღება!

ნაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოთ ვარ მთვრალ შენის ეშხით***

ყარაჩოღელი უშუალო ბუნების პატრონია, ის ვერც სიყვარულს
და ვერც სიძულვილს ვერ მალავს. მას სიხარულისა და მწუხარების
შეკავება, გულში ჩამარხვა, გამოუთქმელობა არ ეხერხება. თუ ის
ბედნიერებას განიცდის, მას უნდა ის ყველამ იცოდეს, ყველამ გაი-
ზიაროს. ის მაშინ თავის სიხარულზე ღიღინებს, მღერის, ხითხითებს,
მას უნდა ყველას ამცნოს, რომ ცოტათიც არის განიტვირთოს ამ
ბედნიერების სიმძინისაგან. ის ასეთს შემთხვევაში გულუბრყვილოა,
თი თქოს უზრუნველი გულუბრყვილობა ვევი ია.
ის ამ დროს არ ფიქრობს, რომ

(მის) დარდება ვინ ინაღლის ვინ არის?
ვის რათ უნდა. ლობიანა ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?!***

ყარაჩოღელი ამ მომენტში მძლავრადა გრძნობს თავის სიცოცხ-
ლის მაჯისცემას, ის გრძნობს, რომ ცხოვრობს, რომ არ იყინება, იწ-
ვის, იხარის, „ამ წუთისოფელს სქამს“ და ამისათვის მას გესლი უი-

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „მუხამბაზი“, გვ. 65.

** მ ი ს ი ვ ე, „მუხამბაზი“, გვ. 69.

*** ი ქ ვ ე, გვ. 66.

მედობისა, კაეშნისა არა ხვდება. ის თავისი ბედნიერებით დამოფრ-
ლა და გადამღები სიხარულით მოიმღერის:

არავისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად შეძახიან!
ამას ვამბობ მე, ბეუანა მკერვალი,
ქალებისა ლხინი და თაიგული.
შვენებითა, საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული.
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული.
მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად შეძახიან!

• •

მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი;
„ჩემო ბეუან!“ — მისგან სინაზით თქმული;
როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული,
ესდენ ხანი მისთვისა დადაგული?
ამიტომ დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად შეძახიან *.

ყარაჩოლელის ბუნების უშუალოება და პრიმიტიულობა გამოიხა-
ტება მის გულწრფელობაშიაც, რომელიც ასე უცხოა ევროპელისა-
თვის. ყარაჩოლელს, აღზრდილს აღმოსავლეთის ტრადიციებზე,
ცოდვად თავისათვის და შეურაცხყოფად სატრფოსათვის არ მიაჩნია
გულახდილად უთხრას მას:

ნუ გწყინს ვარდო, ყვავილთ მეფევე,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ!..

• •

რა ვქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს!***.

აი ამით აიხსნება ბეუანას გრძნობის გულწრფელი გადმოცემის
გაგრძელება.

მაგრამ რაყიფთ ემზერ შენთან როს,
მწვენ, გულს მისმენ ცეცხლის უთოს!...***.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „მუხამბაზი“, გვ. 38.

** გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სალომეს ბეუანა მკერვალის მაგიერ“, გვ. 42

*** ი ქ ე ე, გვ. 43.

მიუხედავად ასეთი მსოფლმხედველობისა, ბეჟანას სიყვარული-
როგორც თვითონ მას ესმის, უდიდესია, უცვლელია, ერთგულია. ის
მზადაა მსხვერპლი გაილოს, სატრფოს თავს შემოეცლოს, მისთვის
დაიწვას:

შენ სანთელი, მე ფარვანა,
დაე დაიწოს ბეჟანა!

სიყვარული ყარაჩოღელისათვის მამოძრავებელი, ცხოველმყო-
ფელი განცდაა. ეს ცენტრია, რომლის გარშემო ტრიალებს მისი
მწვავე, თუმცა პრიმიტიული ბუნება და ტემპერამენტი. ეს გრძნობა.
რალაც მუდმივ, სასიამოვნო სიმთვრალეში ამყოფებს მას, მის აღმა-
ფრენას ძლიერი ოცნების ფრთას ასხამს, პოეტური განსახიერების
უნარს აძლევს:

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია;
ეგ თვალები—ცაში ეღვა მგონია;
ვარდის სუნთქვა—შენი სუნთქვა მგონია;
როს მეღირსოს, ვჰსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ.
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!



ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოღას!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოღის!
მინდა რამ ვჰსთქვა. — შენი სახელი მოღის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოღის?
ეგრე მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ.
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!*

ან კიდევ:

სიყვარული არს თავის დავიწყება!
ვას უფსკრულს ვგდივარ, — მაგრამ გონება
მაინც მასვე შორით ეტრფიალებს!
ხინიკო ხინიკო!***

აი ჩვეულებრივი სახე აშუღლური, ყარაჩოღლური პოეზიის სიყ-
ვარულის გრძნობის ასახვისა. და გრ. ორბელიანი მას მოხერხებულად.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „მუხამბაზი“, გვ. 65—66.

** მ ი ს ი ვ ე, „საათნოვას მიბაძვა“, გვ. 41.

იყენებს: თავის მასწავლებელს საიათნოვას, რომელსაც ხშირად იგონებს, უდავოდ მეტოქეობას უწევს, და უნდა ითქვას, სჯობნის თავისი ვირტუოზული ლექსით.

ყარაჩოღელთათვის სიყვარული ინდენად, ძლიერია, იმდენად გულწრფელი გრძნობაა, რომ მას—უტყვს, უბრალო ადამიანს ამპერმეტყველებს, ამგონებს, ლექსსაც კი აწერინებს:

სიყვარულმა მათქმევინა,
თორემ მე ვინ, — ლექსი ვინა?*

გულახდილად, თავის თავის მიმართ ერთგვარი ირონიითაც კი განაცხადებს ყარაჩოღელი.

ყარაჩოღელთა წრე მეტად თავისებურია **, მას თავისებური ზნე-ჩვეულება და მსოფლმხედველობა აქვს. გრძნობის გამოთქმისა და განხორციელებისათვის, ჩვეულებრივ ლაპარაკშიც კი, თავისებური ენა, სტილი მეტად მკვეთრი და ძარღვიანი; ანასთან ერთად თითქოს რაღაც მოთამაშე, მომღიმარი, ბავშვური, გულუბრყვილო. უზრუნველი.

ნიმუშისათვის:

ჭიანურო! მალად, ტკბილად დაუკარ!
ვინცა გაქოს, თავი მდაბლად დაუკარ,
შენსა მტერსა კბილის კრიჭა აუკარ!
ხინიკო, ხინიკო!
აეი კაცის წვერი წვევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ ღვინით აივსოს;
ჩემი გული კვალად ღვინით აივსოს!
ხინიკო, ხინიკო!***

ქეიფი და ღვინი ძმა-ბიჭებთან ერთად საუკეთესო და ერთადერთი საშუალებაა, სადაც ყარაჩოღელს შესაძლებლობა ეძლევა მთელი თავისი ორიგინალური ბუნების გადაშლისა, აზრისა თუ გრძნობის გამოხატვისა და გაზიარებისა, მწუხარებისა თუ სიხარულის თანაგრძნობისა, ძმა-ბიჭობის, დარდიმანდობის გამოჩენისა. აქ სწავლობენ ისინი ამ „ძმად-ბიჭობის“ მორალსა და ეტიკეტს. აქ მათ ჰყავთ ღირსეული მასწავლებელიც:

* გრ. ორბელიანი, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, გვ. 43.

** ყარაჩოღელთა თავისებური ცხოვრების შესახებ დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება იოსებ გრიშაშვილის საინტერესო გამოკვლევებში „სააფთხოვა“ და „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა“.

*** გრ. ორბელიანი, „სადათნოვას მიბაძვა“, გვ. 40.

ლხინის პაპა სახით არაბისტნელ,
ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი.

რომლის სკოლაშიც „ვინ არა ვართ ნასწავლი“. აქ იქმნება მკიდ-
რო წრე ძმა-ბიჭებისა ნტკიცე ჩვეულებებით. და ამ ჩვეულებების
შესრულებას ავალბენ ჭაბუკს, როგორც უფრო გამძლეს, რომელიც,
„ორმოცი წლის რომ შეიქმნეს“, უნდა გააგდონ. აი როგორია ამ
ძმა-ბიჭების ძახილი:

სულით ერთნო, მოლხინენო. აწ შეკრბით
თასით, ჭამით, ყანწით, აზარტეშებით!
ლხინის სუფრა მოპფინეთ ყვაილებით;
ალავერდა დასვით თარით ნაქებით.
ყოჭა ბულბულ ტუბილი ხმით აღულუნეთ,
დიმპლიბიტო დაქარ-დაარაკუნეთ!..*

აი ეთიკა, აი ესთეტიკა ყარაჩოღელისა, რომელიც ასე უშუალოდ
და მიმზიდველად მეღვენდება მასში. ეს ჩვენ გვაგრძნობინებს, რომ
ამ ყარაჩოღელს აქვს თავისი გამახვილებული გემოვნება, მარტო
წითელი ღვინო, შიშხინა მწვადი-კი არ იზიდავს, არამედ მისი ლაზა-
თიანად დაღევა, მწვადის ლაზათიანად აქრა; ტუბილი ხმით დუდუკის
„დულუნი“, სუფრაზე წესიერება და, რაც ყველაზე გასაკვირველია,
დავიწყებული არ არის ლხინის სუფრის ყვაილებით მორთვა. აქ,
უდავოდ, განვითარებული ესთეტიკაა — მოძრაობისა, სმენისა,
ხედვისა.

და ეს ხალხი, რომელიც „კულტურული“ ცხოვრების გარეშე
დგას, რომელიც თითქოს ცხოვრების სარბიელზე არც კი ჩანს,
მკვდარია თუ ცოცხალია არავინ იცის, თითქოს „ქვეყანაში“ გამოსა-
ჩენი არც კი არის,—თავისებურად ცხოვრობს, მან თვითონ იცის,
სად არის ის გამოსაჩენი, სადა გრძნობს ის თავის თავს კაცად:

ორთაქალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჭამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ —
მაშინ შეგყვარდე, მსთქვა: „ძვირფასი ხარ!“**

ან კიდევ:

ქულ-ჩაკეცით, ყელზე ჩითმერდინითა,
რა ქვექვევით გავსწევ ორთაქალისკენ.

* გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „მუხამბაზი“, გვ. 49.

** მ ი ს ი ე ე, „მუხამბაზი“, გვ. 66.

მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
სუფრა გაშლით დამხედნენ იქ დარდიმანდნი:
იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ,
რა მადანი მიპოვნია ბედისა!*

უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი, რომელიც უდავოდ, დიდი იყო, მეტად მძლავრად და მკვეთრად ამ ყარაჩოლელთა ცხოვრების პოეზიის ასახვაშიც გამოემჟღავნა.

ყარაჩოლლობა პირადად გრ. ორბელიანისათვისაც ნაცნობი და მახლობელი განცდა იყო. ყარაჩოლლობა ძველი საქართველოს ნატეხია, იმ ძველი საქართველოსი, რომლისკენაც ჩვენი პოეტი თვალცრემლიანი იყურებოდა, რომელიც მისთვის შეუწელებლივ მომხიბვლელი და მიმზიდველი იყო და რომელსაც თავისი დამახასიათებელი თვისებებით მომავალშიც სჭვრეტდა, ყოველ შემთხვევაში, უნდოდა დაენახა. გრ. ორბელიანი, თუმცა ერთგვარად ზევიდან ირონიით, მაგრამ გულნატყენი, რაღაც სიახლოვიდა და სითბოთი უყურებს ბუეანა მკერვალს და მისთანებს, „რომელთაც დარჩათ ბურთი და მოედანი“, „რა ბედმან დაამხო რაყიფნი დიდკაცი“ (შეთქმულების გამო), მაგრამ მაინც მათი ცხოვრება პოეტისათვის გასაგებია, ძვირფასია, სასიამოვნოა, მისია.

აი ამით აიხსნება, რომ ის ამ ყარაჩოლელთა ცხოვრებას და მათ ცოცხალ სახეს ასეთი ძლიერებით აქანდაკებს. ყარაჩოლური ცხოვრება, დარდიმანდობა, „ლოთი-ფოთობა“ გრ. ორბელიანისთვისაც ნამდვილი თავისი სტიქია იყო. ამ მხრით მეტად საინტერესოა მისი 1875 წლის 13 იანვრის წერილი ტასო აგლობეიოსთან:

„ამას წინათ, — რაღაც არაჩვეულებრივი სიამოვნებით წერს გრ. ორბელიანი, — შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები: მე, ჩილავეი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ ჯორჯაძე, სულთანგირეი, სოსიკო, ალააროვი და სტაროსელსკი, — ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლისა ზაინც იყო. წავედით სალამოზე ორთაქალას და მტკვრის პირზე ჩავსხედით ზურნით, ქიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერალითა. და იყო ჰაერო მშვენიერი, ღამე მთვარიანი. ამ დროს სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა. მოთავემ დაიძახა: „წმინდა სანთლები აანთეთ!“ და აენტო ნავის გარშემო სანთლები ჩირადდნა. დაიძახა: „გაშალეთ სუფრა!“ მოართვეს მოთავეს თეფში ოთხი სტაქნით და გაიშალა სუფრა და

* გრ. ორბელიანი, „ლიბიტრი ონ-ის დარდები“, გვ. 64.

დალია ოთხივე დიდის მოხდენით; მერე თვითონ აავსო ოთხივე და ჩაურთა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩაღდა ლზინი, ჩვენი აქედამ, იწათი შუამტკვრიდამ. გამოჩნდა რომ ნავის აღმირალი იყო კუნძუას ძმა, ყსაბი. შუა ლზინში რომ შევიდნენ, დაიბარა აღმი-ჩალმა — ასე დავარქვით მოთავეს — „ეხლა მწვადები მოვიდეს!“ ამ სიტყვებზე ერთი ნავიდან გადმოვიდა მალაყსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვრით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტ-ველი მიკიტნის ღუქანთან, საიდასაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნალლით გაიტანა ნავში და შეიქმნა კვლავ ახალი ჩამორიგება ოთხ-ოთხი სტაქნებისა ერთად. ჩვენი საზანდრების სინღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ: „ერთი კიდეც, გეთაყ-ვა, ჯანუმ! გაოზუმ!“ პირველ საათზე ჩვენ აქედამ ავიყარენით და იქიდამაც იმათი ნავი ნელ-ნელა ცურვით წვიდა ზევით ხიდისაკენ“.

ამას მოგვითხრობს 75 წლის დამჯდარი მოხუცი. დამსახურებული გენერალი, მეფის მოადგილის თანამდებობის აღმსრულებელი, სამე-ფო და არისტოკრატთა სასახლეებსა და სალონებში გამობრძმედი-ლი გრ. ორბელიანი! ეს იმის მაჩვენებელია, რომ მასში ყარაჩოლე-ლის ბუნება ან ხანშიც ძლიერია, მიმზიდველი! აი, ამით აიხსნება, რომ ყარაჩოლელთა და მათი ცხოვრების დახატვაში გრ. ორბელიანი თავის მასწავლებელ საიათნოვას არამც თუ არ ჩამოუვარდება, არამედ გაცილებით სჯობნის კიდეც. ლოპიანასი, დიმიტრი ონიკოვის, მკერვალი ბეჟანას განცდანი პოეტისათვის გასაგები და ღვიძ-ლი განცდანი იყო. აი სწორედ ამიტომ შესძლო მან ასეთის ოსტატობით განეკვირბა ყარაჩოლელთა გულის მოძრაობა. შესული-ყო იმათ კანში, თავისი ენის მაღალი შტილი უკუეგდო და ლოპიანას და მკერვალი ბეჟანას ჩვეულებრივი ენით ასე ამეტყველებულიყო!

ყარაჩოლელთა ბუნებრივი დასურათბატებით რომანტიკოს გრ. ორბელიანს თავის შემოქმედებაში უნებლიეთ შეაქვს რეა-ლიზმი. თუ აქ მაინცდამაინც ცოტა იდეალიზაციას აქვს ადგილი, ეს იმდენად მხოლოდ, რამდენადაც ეს „ლოთი-ფოთი“, „დარდი-მანდი“ ყარაჩოლელი მგოსანს მოაგონებდა ძველს მამა-პაპურს დროს, ხალხს — „გულადს, პურადს, მებრძოლსა შავის ბედისა“, საიათნო-ვას და ბესიკის ხანასა და მისი პაპის ერეკლე მეორის მეფობას.

ყარაჩოლელური მანერა გრ. ორბელიანის პოეზიაში იმდენად ძლიერია, რომ ყარაჩოლელთა ცხოვრების ასახვაში და მათი ენის კოლორიტის დაცვაში მას ალ. ჭავჭავაძესთან ერთად ახალ ქართულ

ლიტერატურაში ნიკიერი ნიმღევარნი ჰყვანან: ა. ახნაზაროვი და ი. გრიშაშვილი.

6

გრ. ორბელიანის შემოქმედების მთავარი ხაზის აღნიშვნა შეიძლებოდა აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ მისი სახე, როგორც მწერლისა და მოღვაწისა არ იქნება მთლიანი, თუ არ განვიხილავთ მის ცხოვრებასა და პოეტურ შემოქმედებას 60-იანი წლებიდან სიკვდილამდე.

ცნობილია, რომ 60-იანი წლები მძლავრი გარდატეხის, დაძაბვისა და ინტენსიური მოქმედების ხანაა რუსეთში და აქედან, როგორც ანარეკლი, ჩვენს ცხოვრებაშიც. ეს ის ხანაა, როდესაც ჩვენში „თერგდალეულთ“ ახალი ცხოვრებისა და ახალი გზის მაჩვენებელი დროშა აშკარადა და მძლავრად ააფრიალეს და ზედ დააწერეს:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს*.

გაჩაღდა თაობათა ბრძოლა, გაღრმავდა „გ ა ყ რ ის“ პ რ ო ც ე-ს ი *². ახალი თაობა მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდის აღფრთოვანებით, ენერგიითა და, უნდა ითქვას, გაბედულადა და კარგი მომზადებითაც ქვეყნის მომავლის ახალი საფუძვლების გამონახვას შეუდგა. მან ეს საფუძვლები გამონახა კიდევ. მისი გაგებით მომავლის მომცემ თაობას უნდა ამოძრავებდეს: „ძმობა-ერთობა-თავისუფლება, რომ სიმართლისათვის გული უთრთოდეს და მომავლისათვის ბედ-აჲა ბრძოდეს“.

ახალმა თაობამ თავისი თავი გამიჯნა ძველი თაობისაგან, რომელსაც, ახალი თაობის შეხედულებით, სწამდა: „ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის, ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის, ღმერთი უქმობის, ღმერთი ხარბობის და მძარცველობის“. ეს ღმერთი ახალმა თაობამ ძველს დაუთმო, ხოლო სამაგიეროდ მან, მისივე თქმით, იწამა ღმერთი—„უქმთა წარმწყნედი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი, ყოველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული, ძლიერთ დამბმელი.

* ილია ჭავჭავაძე, „ქართლის დედა“.

** ამ საკითხის დაწვრილებითი განხილვა მოცემულია ჩვენს წიგნში „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში“. გამოცემულია 1928 წ.

უძლურთ ამხსნელი“ *, რომელიც გმობილი და დევნილი იყო ძველი თაობისაგან. შეიქმნა „მამათა“ და „შვილთა“ მებრძოლი ბანაკები. „მამათა“ ჩივილი და საყუევდური „შვილებისადმი“ გრ. ორბელიანმა გამონახა თავის ლექსში „პასუხი შვილთა“.

ცნობილია, „მამათა“ და „შვილთა“ შორის პირველი ბრძოლა გაჩაღდა XIX საუკუნის 60-იან წლებში (1861—1863). გრ. ორბელიანი მაშინ ამ ბრძოლაში არ ჩაება. ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ის მაღალი თანამდებობის აღმასრულებელი იყო (ამ წლებში მეფისნაცვლის თანამდებობას ასრულებდა). მაგრამ როცა 1871—1872 წლებში „მამათა“ და „შვილთა“ შორის ხელშეორედ გაიშალა ბრძოლა, დაიწერა და ხელიდან ხელში გადადიოდა ილ. ჭავჭავაძის ცნობილი სატირა — „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანი ამ „გამოცანებში“ არ იყო მკაცრად გაკიცხული, შედარებით სხვებთან, პოეტი ახლა კი ჩაება ამ ბრძოლაში ნევილებთან ანგარიშის გასწორების მიზნით. მან საკმარისი მკვახე, მოურიდებელი და გაღიზიანებული ტონით მიმართა შვილებს თავისი „განოცანების პასუხი“-თ, რომელიც მან შემდეგში გადაამუშავა და დაბეჭდა „პასუხი შვილთა“-ს სათაურით.

გრ. ორბელიანის ამ „პასუხის“ დამახასიათებელი ადგილებით ჩვენ ვისარგებლებთ პირველი ვარიანტიდან, ვინაიდან ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და აკ. წერეთლის „ხარაბუზა ღენერალს“, როგორც მათი ანალიზიდან ჩანს, სწორედ გრ. ორბელიანის „პასუხის“ პირველი ვარიანტითაა გამოწვეული.

გრ. ორბელიანი, აქამდე თავშეკავებული შვილთა გაბედული, მოურიდებელი, ახალი მიმართულებით, მოქმედებით აღშფოთებული, საკმარისად უხეშად მიმართავს მათ:

კოლო-ბუზებო,	მობრძანდით ისევ უანბანონი;
ლიბერალებო,	ვირი წავედა,
ბკუთ გლახებო, პატრიოტებო.	ვირი მოვიდა,
გზა დაკარგულნო,	კაცად ვერ იქცა თვით ქაბის მადლით...
წყალწაღებულნო,	თქვე ცრუ მარაბო,
კატის კნუტებო, სიდგანა კნავით?	შინ დიდგულეობო,
მოვლეთ რუსეთში,	გარეთ კი მხდალნო, მოკუნტულეობო**.
აფრიკაშია,	

* ილია ჭავჭავაძე, „პასუხის პასუხი“.

** გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“-ს ვარიანტიდან „გამოცანების პასუხის“ სათაურით. ეს ვარიანტი შემხვდა გრ. ორბელიანის ხელნაწერებში. საქართველოს ცენტრ. არქივში რომ ინახება. ეს ვარიანტი დაბეჭდილია გრ. ორბელიანის ლექსების 1935, 1951 წლების გამოცემებში.

გრ. ორბელიანი თავის „გამოცანების პასუხში“ აღნიშნავს შეი-
 ლებთან შედარებით „მამათა“ უპირატესობას, რომელთაც „დაიფა-
 რეს სისხლ-შემოსილი მამული თვისი“ და „სასო ღვთისა, მცველი
 ერისა, ენა, საყდარი, სარწმუნოება!“ ახალ თაობას კი, მისი შეხედუ-
 ლებით. „ხრწნის უსასოება, ურწმუნოება“, „მამის გალანძღვა“ და
 ამ გრძნობებისა და აზრების სხვებზე გავრცელება. პოეტი ახალი
 თაობის იდეებსა და მოძღვრებას ეკვისა და უარყოფითის თვალით
 უყურებს და „გულით ოხრავს, რადგანაც ჰხედავს (მის) სიცოცხლეს
 ფუჟად მიმავალს... უქმობას, არარობას და უმეცრების ამაცობას!“
 ბოლოს პოეტი დაცინვის კილოთი აცხადებს: ახალი თაობისათვის
 დაცლილია დიდებისა და სახელის მოსახვეჭი ასპარეზი და დეე მან
 გვიჩვენოს თავისი ნიადაგიანობა და ცხოველმყოფელი ძალა.

გრ. ორბელიანის მწარე დამცინავი დახასიათებით, შვილები არი-
 ან ცრუ პოეტები, ცრუ პატრიოტები და ამასთან ერთად „სუსტნი
 სულით, გონებით, ღონით“. თავისი პირადი და საერთოდ მამათა
 უპირატესობის შეგნებით, პოეტი თავშეუკავებელი თავის „გამოცა-
 ნების პასუხში“ შვილებს ასე შეუტევს:

თქვე ქაჩუბო,
 კიანჭველებო,
 ხელს ბაირაღით ვერ დასცეთ ყარსი.

ვაი საბრალოს,
 ჩვენს საქართველოს,
 თქვენ დაებადეთ მას სადიდებლად!

შვილებმა თავისი ღირსებისა და მოვალეობის შეგნებით ილია
 ჭავჭავაძის „პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ ი თ“ შესაფერი და ღირსეული პა-
 სუხი გასცეს გრ. ორბელიანს. ისინიც მოვალედ არ დარჩნენ და მოუ-
 რიდებლად ასე უპასუხეს:

იქიდან კენავით,
 სად თქვენის მადლით,
 ხაფანგებ ქვეშე დამწყვდელი ვართ.
 ჩვენ ვლეთ რუსეთი,
 მაგრამ არც ერთი
 ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
 ჩვენი ქვეყანა,
 მკვდარი თქვენგანა,
 თქვენებრ ჩინებზე არ გავვიცვლია.
 ლიბერალობა,
 პატრიოტობა

სალანძღავ სიტყვად არ გავვიხდია.
 თქვენგან ჩაგრული,
 დაბრმავებული
 ერი ჭრებზე არ გავვიყლია.
 ქვეყნისა ბედი
 და ხსნის იმედი
 თქვენებრ ხელში ჩვრად არ გავგზდომია;
 კაცის მხნეობა,
 კაცის ზნეობა
 თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია...

„მამათა“ და „შვილთა“ მრწამსის პოზიციების სხვაობა ილია ჭავ-
 ჭავაძემ ხსენებულ „პასუხის პასუხში“ მისთვის ჩვეულებრივი მკვეთ-

რი და სარკასტული ტონით უფრო კონკრეტულად დაახასიათა და სათანადოდაც გააღრმავა:

ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას.
ღმერთი მზაკრობის
და თვალთმაქცობის,

ღმერთი უქმობის უარუყვია.
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ილია ჭავჭავაძემ, მთელი სიცხადითა და სიმწვავეთ დაახასიათა რა „მანათა“ მოქმედებისა და შეხედულების ამორალური, მიუღებელი, ხალხისათვის დამჩაგვრელი, გამყვეფელი ბუნება, მას დაუპირისპირა ახალი თაობის მიერ აღებული მშრომელი, დაჩაგვრული, შებორკილი ხალხის მხსნელი შემდეგი რწმენა:

ხოლო გვწამს ღმერთი უქმთა წარმწყმედი ტიერთმძიმეთა და მავრალთა მხსნელი, მოძღვრობისათვის ქვეყნად ჭვარცმული.	ყოველთა ძმობის თანაწორობის ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი, თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-ღვენილი.
--	---

ასევე მოიქცა ენის სიწმინდის დაცვისა და მისი მდგომარეობის საკითხის გარკვევა-განმარტებაში. აქაც ხალხის სასარგებლო პოზიციიზე დააყენა ახალი თაობა:

ენა მდიდარი, თქვენ ხელში მკვდარი, ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად.	თქვენგანით ღტოვილი ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ; კარგად თუ ავად, ჩვენ მას ვინახავთ და მის სიკვდილით არ გავახარებთ.
---	--

და ბოლოს, სახელოვან პოეტს რომ არ აპატიოს მიუღებელი საპოლემიკო ტონი, ვალად არ დარჩენ და უფრო მეტად დაამციროს მოწინააღმდეგე, ასე ათავეებს თავის ისტორიულ „პასუხის პასუხს“:

უგზოდ მგელნოო, უსწავლელნოო, ისეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს, რომ ჩვენზედ ბევრსა თვით იწველიდეს. — ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!	ვინა ყრინართო, ვირები ხართო; — მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?! მაგრამ შოთამ სთქვა, — რაც კოკაში სდგა, იგივე თურმე წარმოდინდება“.
---	---

მაგრამ ახალი დროის ქროლვანი მეტად ძლიერი იყო. ასწლოვან მუხას, გრ. ორბელიანსაც, ძალაუნებურად ამ ქროლვათა გავლენა

უნდა განეცადა. თვით „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა, რომელშიც გრ. ორბელიანი ასეთი დაუზოგველობით ჩაება, წაჩვენებელია იმისა, რომ ხელშეუხებელი არც ის დარჩა.

გრ. ორბელიანი 60-70 წლებში კარგად მიხვდა, რომ ახალი თაობის გამარჯვების მიზეზი ახალ რადიკალურ, დემოკრატიულ იდეებშია. როგორც ცნობილია, ის ყოველთვის აქტიური და ავტორიტეტული პიროვნება იყო საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე და, შესაძლებელია, მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, მოინდომა ახალი იდეების გამოყენება თავის შემოქმედებაში. მაგრამ მან ვერ შესძლო ეს იდეები ბუნებრივად ჩაექსოვა თავის პოეტურ შემოქმედებაში, ამ იდეების შესისხლხორცება მისთვის ძნელი აღმოჩნდა. ამიტომ, სადაც კი ამ რადიკალური იდეების გამოყენება მოიწადინა, ყველგან მან მშრალი სენტენციის, ან, როგორც თვითონვე პოეტი აზრობს „კმარა მოძღვრებაო“ — მოძღვრების ხასიათი მისცა.

გრ. ორბელიანი, როგორც პოეტი, დიდად საინტერესო ფიგურას წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ის, უდავოდ, ჩვენს ლიტერატურაში თავის დიდ კვალს სტოვებს. მან ჩვენს ლიტერატურაში გააღრმავა და განავითარა ალ. ჭავჭავაძის მიერ დაწყებული ახალი ლიტერატურული მიმართულება—რომანტიზმი. მან პირველმა შემოიტანა და ძლიერი პოეტური ნიჭით აღბეჭდა ჩვენს ლიტერატურაში რომანტიკული გაგება ბუნებისა; სიყვარულის სულიერი მხარის გაღრმავება-განსახიერება წმინდა რომანტიკული გაგების სიმალლეზე აიტანა: თავის შემოქმედებაში მან უხვად განავითარა და რომანტიკულ ფერებში მძლავრად ააფერადა რომანტიკული მოტივები (კმუნვა, სევდა, უკმაყოფილება, ძიება, იმ სოფლის რწმენა და სხვა). მან პირველმა მოგვცა, შეიძლება ითქვას, მთლიანი ევროპული რომანტიკული სტილი და მით რომანტიზმი განამტკიცა ჩვენს ლიტერატურაში. მან აგრეთვე უმაღლეს მწვერვალებამდე მიიყვანა ელეგიის განვითარება. სანიმუშო ელეგიაა ჩვენს ლიტერატურაში მისი „ჩემს დას ეფემიას“, „მიბაძვა პუშკინისა“ და სხვა. აღსანიშნავია გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გამოყენება თეთრი ლექსისა („მუშა ბოქულაძე“), რომელიც დიდი პოეტური ნიჭითაა აღბეჭდილი; მანვე ნიჭიერად გამოიყენა ჟანრები—მიძღვნა, ეპიტაფია.

ამას გარდა, გრ. ორბელიანმა ალ. ჭავჭავაძესთან ერთად კვლავ აამეტყველა ჩვენი აღორძინების ხანის ლიტერატურის ჟანრი—„მუხამბაზი“, მის შექმნაში მან დიდი ოსტატობა, პოეტური ალლო და ძალა გამოიჩინა. ამასთან ერთად მან განცდანი ხშირად გასაკვირველი და წარმტაცი ოსტატობით გამოსქედა ლამაზი და ძლიერი

პოეტური ენისა და პოეტური ხერხების საშუალებით. მის შემოქმედებაში პოეტური ექსპრესია, განპიროვნება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, რეფრენი, მეტაფორა, პარალელიზმი. მიმართვა და სხვა უხედაა, რაც აშკარად იგრძნობა შრომაში გზადაგზა მოტანილი ნიმუშებითაც. ეს პოეტური ხერხები ისეთის სიმძლავრით არის დაცული, ისეთის სიძლიერით და მასთან სისწრაფითა და სიმკვეთრით, ერთი ან ორი სიტყვით იხატება მთელი დიდი სურათი, რომ ამ მხრით გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი დიდ სიმაღლეზე დგას. მოვიტანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში:

დავით ქსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განპეღე უდაბნო ოხერი, — სავსედ დაბეზთ შექქენი!
დაჰკარ წერაქვი — და აღნდნენ ტაძარი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

ხმა ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!...
აღმხედრდი ლაშქარად—და ილტვის სულთანი შეძრწუნებული,
შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენის ხმლით შემოხაზული.
(„საღლეგრძელი“)

ან კიდევ:

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვსთქვა—შენი სახელი მოდის!
(„მუხამბაზი“)

რტო ალეისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა—ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები— ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა—შენი სუნთქვა მგონია.
(„მუხამბაზი“)

ბუმბერაზ მთანი მღუმარედ ცათამდის აყუღებულნი
ჰსხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი.
(„საღამო გამოსალმებისა“)

მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.

წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცივიან,
თერგი რბის. თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!
(იქვე)

ავი კაცის წვერი წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ ღვინით აივსოს,
ჩემი გული კვალად ღვინით აივსოს,
ხინიკო, ხინიკო!
(„საუათნოვას მიბაძვა“)

ამგვარია პოეტური ენა გრ. ორბელიანისა. ეს პირდაპირ შედეგ-
რია პოეტური ენისა, სურათოვნებისა და ექსპრესიისა. გრ. ორბე-
ლიანის შემოქმედებიდან სურათოვანი ენის მაგალითების გამრავ-
ლება შეიძლებოდა, მაგრამ მისი შემოქმედების გზადაზნა გარჩე-
ვის დროს ჩვენ მიერ მოტანილი ნიმუშებიც ჩვენს ამ აზრს საყ-
მარისად ამტკიცებს. ამისათვის მოტანილით დავკმაყოფილდებით.

გრ. ორბელიანის ენა, მართალია, ჭერ კიდევ საგრძნობლად ატა-
რებს ძველი, ხშირად საეკლესიო ენის გავლენას, მაგრამ თანდათანო-
ბით მისი გასადავების ტენდენცია გარკვეულად ემჩნევა. ეს მოვლენა
შესაძლებელია პოეტის უნებლიედაც ხდება ლიტერატურული ცხოვ-
რების ცვალებადობის გამო.

გრ. ორბელიანს აგრეთვე ნიჭიერადა აქვს გამოყენებული ქარ-
თული ლექსის ზომა და სტროფიკა თავისი მრავალფეროვნებით,
რასაც ნჭევრმეტყველურად ადასტურებს ზემოთ მოტანილი ნიმუ-
შებიც.

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანის შემოქ-
მედებაში ყარაჩოღელთა ცოცხალი დასურათხატებით შეიძლება გან-
ვკვირითოთ რეალიზმის შთასახვის ელემენტები ჩვენს ლიტერატუ-
რაში.

ასეთია პიროვნება და პოეტური შემოქმედება გრ. ორბელიანისა,
ასეთია მისი პოეტური მემკვიდრეობა და ადგილი ქართული ლი-
ტერატურის ისტორიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

1817 — 1845

1

ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის შემოქმედება მხოლოდ დასაწყისია ახალი ქართული ლიტერატურისა. მათი პოეტური შემოქმედება, განსაკუთრებით კი მათი რომანტიზმი თავისი დამახასიათებელი თვისებებით, წარსულის ღიღების დაკარგვით გამოწვეული, უკმაყოფილებითა და სევდით აღსავსე ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ნიადაგს უმზადებს არა მარტო პირველი პერიოდის, არამედ მთელი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდ მგოსანს, მაღალი პოეტური ნიჭის შარავანდედით მოცულს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც გამომხატველი იყო ქართული რომანტიზმის მეორე ნაკადისა — ბრძოლისა და ახალი გზის ძიებისა, იმ განწყობილებისა, რომელიც ნ. ბარათაშვილის ცხოვრების პერიოდში ასე ნიჭიერად გამოავლინა ქართველმა ხალხმა „არსენას ლექსში“.

ნ. ბარათაშვილი უდიდესი წარმომადგენელია ქართული რომანტიზმისა, მისი მძლავრი გამღრმავებელი, გამფართოებელი და უმაღლეს წერტილამდე ამყვანი. და არა მარტო ამითაა ნ. ბარათაშვილი შესანიშნავი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის შესანიშნავია მთელი თავისი შემოქმედების თავისებურებითა და სიძლიერით. მისი სევდა-კაემნიანი მკენესარე ჩანგი არა მარტო თანამედროვეებს. არამედ მთელი XIX საუკუნის მანძილზე აღაგზნებდა ქართველ მკითხველს. მას ღღემდე არ დაუკარგავს და, ვფიქრობთ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შემდეგშიც არ დაჰკარგავს თავის მიმზიდველობას, მომზიბველობას, მნიშვნელობას და ადგილს.

მთელი მისი შემოქმედება — კერძო წერილია იგი, ლექსი თუ პოემა, — ერთი მთლიანი, გულის სიღრმიდან ამონახეთქი ელევგიაა, რომელშიც მკვეთრად იხატება პოეტის „მე“ და მთელი მისი ეპოქის „შავბედითი ცხოვრება“.

ნ. ბარათაშვილის მწუხრი სულის ტანჯვა და ბორკვა, მისი „თავ-

განწირული“ ძიება, მისი „თავდავიწყებითი“ ბრძოლა ბედთან, — ცოცხალი გამოძახილია იმ ობიექტური პირობებისა, რომლებშიც საქართველო და მასთან თვით მგოსანიც მოექცა. ნ. ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი სარკეა იმ უილაჯობისა და უიმედობისა, იმ სევდა-ნაღველისა და გაუნელებელი კაემნისა, იმ სიცარიელისა და დაცემისა, რომელთაც ქართველი ხალხის იმ პერიოდის სინამდვილეში დაისადგურეს. ნ. ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი და მკვეთრი განსახიერებაა მთელი მისი ეპოქის ტრაგედიისა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება უაღრესად სუბიექტურია, ის თავის სევდა-კაემანს ქართველი ხალხის იმ ეპოქის ცხოვრების სევდად გარდაქმნის. ამიტომ მისი პოეზია უშუალო, საშინელი ტკივილებით აღსავსე აღსარებაა არა მარტო პოეტისა, არა მარტო მისი ვიწრო წრისა, არამედ მთელი ეპოქისა.

და დიდი ბუნება ჩვენი მგოსნისა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ის ველარც ამ ეროვნულ ფარგლებში ენათესდა: პირადი სევდა ეროვნულში, ეროვნული კი საერთო საკაცობრიო ნაღველში გალესა და თავის შემოქმედებას საერთო საკაცობრიო ხასიათი და სახე მისცა. ნ. ბარათაშვილის სევდა და გოდება მსოფლიო სევდაში, მსოფლიო გოდებაში გადადის.

ამაშია არაჩვეულებრიობა და სიძლიერე ბარათაშვილის შემოქმედებისა, ამაშია მისი „უკვდავების“ დასაბამიც.

ხშირად და განსაკუთრებით ნიჭიერი მწერლის ბუნების, მსოფლმხედველობისა და შემოქმედების გაგება ნეტად რთულ დაკვირვებას და კვლევის გზას თხოულობს. „ლიტერატორი, — სამართლიანად აზნობს ა. ლუნაჩარსკი, — შესაძლებელია იმყოფებოდეს რამდენიმე კლასის და ჯგუფის ჯვარედინზე, ის რთულია“*. ამისათვის ხშირად მწერლის შემოქმედების გაგება თხოულობს საზოგადოებრივი ცხოვრების რთული სტრუქტურის, რომელშიც რამდენიმე კლასი, თუ წოდება და ფენები მოქმედებენ, გათვალისწინება-გაგებას რთული ანალიზის შემწეობით. აი, ამ კლასთა თუ წოდებათა და ფენათა აუცილებელი აქტუალური ურთიერთობის შედეგად ვიღებთ ეპოქის რთულ სოციალურ არეს, რომლის ატნოსფეროსაც ხარბად ისუნთქავს და ისრუტავს ჩვეულებრივ მწერალი და განსაკუთრებით კი ისეთი ნიჭიერი მწერალი, როგორც ნ. ბარათაშვილი იყო. „საზოგადოება, — წერს ა. ლუნაჩარსკი, — ხანდახან მეტად რთულია თავისი სტრუქტურით; ამიტომ დიდი ცოდვა იქნება ნამდვილი მარქსიზ-

* А. Луначарский, История западно-европ. литерат. в ее важнейших моментах, ч. I, стр. 24.

მის წინაშე, ტლანქი მარქსიზმი გამოვა, რომ იდეოლოგიური მოვლენები უბრალოდ დაეუკავშიროთ რომელსამე ძირითად კლასს. იდეოლოგიის ისტორია მთლიანად საზოგადოებრიობის ისტორიას ემყარება; და როგორც ადამიანთა საზოგადოება თავის ევოლუციაში კრელია და რთული, ისევე კრელია და რთული იდეოლოგიაც“^{*}.

მართლაც, დიდი ადამიანი, დიდი მხატვარი, თუმცა, უდავოდ. ისტორიულად განსაზღვრულია, კლასი თუ წოდება, რასაკვირველია, მასაც ამოუშლელ დაღს ასვამს და მწერლის შემოქმედების ძირითადი კლასობრივი ფსიქოიდეოლოგიის ხაზით ავითარებს, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, მის შემოქმედებით ალღოს ფართოდ აქვს ფარგლები გაწეული რთული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების დასანახავად, გასაგონად, შენაგარძნობად.

ნ. ბარათაშვილი, ჩვენის აზრით, მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის პანთეონის მწერალთა რჩეულ გუნდს, როგორც არიან: გოეთე, შილერი, ბაირონი, პუშკინი, ტოლსტოი, შოთარუსთაველი და სხვა. ესენი ეკუთვნიან იმ „უკვდავ“ გენიოსთა რიცხვს, რონელნიც არა მარტო კლასიკური გამოძახტველნი არიან თავისი კლასისა და თავისი ეპოქისა, არამედ ზოგჯერ თ შემთხვევაში „წინ უსწრებენ თავიანთ საუკუნეს“, გამახვილებული და ფართო შემოქმედების ალღოთი რთული ეპოქის ცხოვრებას, განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდების დროს, აწესრიგებენ არა მარტო მის სტატიკაში, არამედ უფრო მის დინამიკაში, მის პოტენციაში: ეს მწერლები ჰქმნიან თავიანთ შედეგებს, შეთანხმებულს არა მარტო თავის ეპოქასთან, არამედ, აგრეთვე „საუკუნეებთან“.

ნუთუ მხოლოდ „ამოვარდნილი კლასის მონაკვდაობა“ გამოხატული ნ. ბარათაშვილის „თავგანწირულის“, „მოუთმენელი“ მხედრის კაეშნიან სურვილში გადაიაროს „ბედის სამზღვარი“, „თუ აქამომდე არ ემონა მას (ბედს), არც აწ ემონოს (მისი) მხედარი“ რათა გადაიაროს „კლდენი და ღრენი“, გამონახოს ახალი უცნობი პორიზონტები ცხოვრებისა, ხარბად დაეწაფოს მას? ნუთუ მხოლოდ „მონაკვდავი, ამოვარდნილი კლასის ურვა და წუხილი, გრძნობის კრულვა და წყევლა“ ადანიანის სულის სიღრმემდე ჩამწვდომი და ამფორიაქებელი მწუხარების ზარი „სულო ბოროტო“-სი?

ჩვენ გვგონია ბარათაშვილის კაეშნიანი ჩანგი მარტო მომაკვდავი, ამოვარდნილი კლასის ტრაგედის გამომქლავნება კი არ არის, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრების მთელი ეპოქისა, რომელიც სიცოცხლეს მოწყურებული „განწირულის“ სულისკვეთებით შერჩენილი

* А. Луначарский, Очерки марксистской теории искусства, стр. 11.

შინაგანი რწმენითა და იმედით ახალ გზას ეძებდა, „ბედს“ ებრძოდა.

ჩვენის ფიქრით, ბარათაშვილის მძიმე ტკივილებში შექმნილი ელევგია მკითხველს ახლაც აგრძნობინებს არა მარტო ქართველი ხალხის რთულ მდგომარეობას, არამედ აგრეთვე იმ ღრმად ჩადედებულ ნაღველსა, რომელიც ბარათაშვილის დროს შედეგი იყო საკაცობრიო ცხოვრების ცის ტატნობზე ტყვიისფრად მძიმედ ჩამოწოლილი ღრუბლებისა, რაც გამოწვეული იყო ადამიანის მიერ ადამიანური ცხოვრების მოპოვების ხარბი სურვილით.

აი, რატომ ვხედავთ ნ. ბარათაშვილში საერთო-საკაცობრიო გადადების ერთ ნიჭიერს და ძლიერ გამომხატველს, გაცილებულს პირადს, წოდებრივსა და ეროვნულ ფარგლებს.

შემოქმედების ასეთ მწვერვალზე ავიდა ნ. ბარათაშვილი, მიუხედავად მისი ხანმოკლე სიცოცხლისა და არახელსაყრელი პირობებისა.

ასეთია გენიოსური ნიჭის განვითარების გზა. დაიწყებს პოეტის ნიჭი ინდივიდუალური სამყაროს გამომჟღავნებით, რომელიც პირად და იმ წრის, რომელსაც პოეტი ეკუთვნის, განცდათა გამომხატველია, გადადის საერთო ეპოქის ეროვნული ცხოვრების გადამუშავებაში, ხოლო შემდეგ მისი პოეტური ინტუიცია ველარ ეტევა ამ ფარგლებშიც კი და საერთო-საკაცობრიო მთლიანი ეპოქისათვის დამახასიათებელი საკითხების გადაწყვეტისა და განსახიერების სფეროში შედის, თუმცა, რასაკვირველია, ძირითადში პოეტის შემოქმედება გადატეხილია მისი ეროვნული ცხოვრების პრიზმაში და გარკვეული ეროვნული სპეციფიკურობის ბეჭდის მატარებელია.

ასეთია ნ. ბარათაშვილის ნიჭის განვითარების გზაც. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მის პიროვნებასა და ცხოვრებასთან ახლო მივიდეთ, აღვნიშნოთ ის ძირითადი მოვლენები, რომლებმაც მისი შემოქმედებითი ნიჭის განვითარებაზე გავლენა მოახდინა. ეს გარემოება საშუალებას მოგვცემს ნ. ბარათაშვილის გიგანტური პოეტური ნიჭის თანდათანობითი ზრდაც გავიგოთ.

2

ნ. ბარათაშვილი ღვიძლი შვილია იმ უღრობის ხანისა, როდესაც მთელი ქართველი ხალხი უილაჯობისა და იმედგაცრუებულობის ბურანში იყო გახვეული. ნ. ბარათაშვილი ოჯახური მდგომარეობის გამო ახლო იდგა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ე. ი. თავადაზნაურთა ცხოვრებასთან, რომელიც თუმცა თითქმის დარღვეული იყო, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე

ჯერ კიდევ ბატონობდა, ვინაიდან მას მძლავრი მეტოქე ჯერ კიდევ არა ჰყავდა.

მამა ნიკოლოზისა—მელიტონ ბარათაშვილი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ დროის თავადაზნაურთა. აი როგორ ახასიათებს მას ნიკ. ბარათაშვილის მეგობარი და ცხოვრების გადმომცემი კონსტანტინე მამაცაშვილი: „მელიტონი იყო ქართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე. ზედმიწევნით ნცოდნე ქართული ლიტერატურისა; იმის სახლში ნახავდით ძველ ჩვენს სწავლულს ქართველებს. იმათ შორის თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდნენ მღვდელი ეგნატე იოსელიანი. პოეტი ალ. ჭავჭავაძე, ძმები ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი—თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები—დისწულნი მელიტონისა და ბევრი მაშინდელ დროის განათლებული ქართველი“.*

აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად, მელიტონს, როგორც მრავალი მისი ნაცნობი გვიდასტურებს, უარყოფითი თვისებებიც ახლდა: ის მეტისმეტად ანჩხლი, გულფიცხი და მყვირალა იყო თურმე. მელიტონი რუსეთის შემოსვლის შემდეგ მთავარმმართველების ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს მთავარსამმართველოს თარჯიმანი იყო. იმ დროს თარჯიმანს დიდი მნიშვნელობა და პატივი ჰქონდა. შემდეგ ის ერთხანად თავადაზნაურთა წინამძღვრის მოვალეობასაც ასრულებდა, ხელგაშლილ, შეძლებაზე გადამეტებულ ცხოვრებას მისდევდა, რამაც მისი ეკონომიური მდგომარეობა მალე დაარღვია. მელიტონი ახლო იდგა მაშინდელი საზოგადოების თავადაზნაურთა ცხოვრებასთან, როგორც მდგომარეობის, ისე წარმოშობის გამო.

ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა-მელიტონი—„პურმარილის დიდი მოყვარული იყო. მას წვეულება დიდად უყვარდა, მის სახლში (ანჩისხატთან) მუდამ დღე განუწყვეტლად თონეში პური ცხვებოდა! ორი ყმა კაცი მიჩნეული ჰყავდა ყოველდღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეჭირნათ ნტკვარში. სტუმრებად სულ წარჩინებულ პირებს იწვევდა, როგორც მაგ., თავის ცოლის ძმას გრიგოლ ორბელიანს და სხვა ბევრ მსწავლულს. ნახავდით ტფილისში მცხოვრებ დასჯილ პოლონელ პროფესორებსაც, რომელთაც შეილი იმისი, ნიკო ბარათაშვილიც გაეცნო. ეს ძვირფასი სტუმრები მელიტონის ოჯახში მოჰყავდა სოლომონ დოდაშვილს. თვი-

* კ. მამაცაშვილი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის)“, „დროება“, 1881 წ., № 206.

თონ სოლომონიც აქ იყო ხოლმე სადილზე და მას დიდი კამათი უხდებოდა პოლონელ პროფესორებთან“ *.

როგორც ირკვევა, მაშინდელი თავადაზნაურობის ფარული წრის (1832 წ.) საქმიანობის საიდუმლოება ნ. ბარათაშვილისათვის და მისი ოჯახისათვის დამალული არ ყოფილა. და ეს არ არის გასაკვირველი. ამ ფარული წრის წევრების უმეტესი ნაწილი მისი ნათესავები იყვნენ — ან ზამის, ან დედის მხრით.

დედა ნ. ბარათაშვილისა — ე ფ ე მ ი ა „მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად აღზრდილი“, და იყო გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა. მისი წყნარი, გონიერი და სათნოებით აღსავსე ბუნება ბრწყინვალედ მოიხანს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებში, უფრო კი და მკვეთრადაც გრ. ორბელიანის საუკეთესო ელეგიაში „ჩ ე მ ს დ ა ს ე ფ ე მ ი ა ს“.

ნ. ბარათაშვილის ბუნება ს ი ნ თ ე ზ ი ა მშობლების მემკვიდრეობისა. ნიკ. ბარათაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1817 წლის 22 ნოემბერს. გულფიცხი, ანჩხლი, დაუდგრომელი, ცხოვრების მოყვარული და საერთო-საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდევარი, თუნდაც ინერციით — ეს ერთი მხარეა პოეტისა, მამისაგან მიღებული, ნეორეზინაგანი მხარე — ნალვლიანი, გონიერი, ნაზი, მგრძნობიარე, ალღოიანი, შინაგან სამყაროსაკენ მომზერალი — დედისაგან მიღებული თვისებანია. ამ ორივე კატეგორიის თვისებები პოეტში საკმარისად მძლავრად იყო მოცემული და მასში საკმარისად მჭიდროდ გადახლართულნი გამახვილებულადაც ვითარდებოდნენ.

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა, როგორც ყველამ იმ დროს, სწავლა ჭერ თავის ოჯახში დაიწყო, დედამ დააწყებინა და მისი შემწეობით ქართული წერა-კითხვისა და მწერლობის სიყვარული ოჯახშივე ჩაენერგა. შემდეგ პატარა ტატო (ასე ეძახდნენ ნ. ბარათაშვილს მახლობლები) შეიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც გახსნილი იყო ახლად შემოსული ხელისუფლების მიერ 1802 წლიდან, ხოლო 1829 წლიდან ის გადაკეთდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიად. აქ ამ გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილმა კურსი 1835 წელს დაამთავრა.

სკოლის ამხანაგების: ლევან მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს, კონსტანტინე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს და სხვათა მოგონებით ნ. ბარათაშვილი იყო ცელქი, ნხიარული, მკვირცხლი, მოუსვენარი, ანჩხლი, დამცინავი, ნერვიული. ამასთანავე ის ყოფილა კეთილი, ჰკვიანი, გულისხმიერი ამხანაგებისადმი და მათი მოყვარული, მათი სული და გული.

* ზ. კ ი ჯ ი ნ ა ძ ე. „სოლომონ დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე...“, 1919 წ.

ნიკ. ბარათაშვილის დამცინავი მოუსვენარი ხასიათი და მწარე ენა-
ზახვილიანობა შეიქმნა მიზეზი მეტად სახიფათო მოვლენისა, მისი
ღუელი თავის ბიძა ილია ორბელიანთან, — რომელიც გონიერი და
მოსიყვარულე მეგობრების მიერ კეთილად დამთავრდა. მუდამ მოუ-
სვენარმა, ჩქარმა ბარათაშვილმა სასწავლებელში ფეხი მოიტეხა და
ბოლომდე ფეხი დაშავებული დარჩა.

გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილი კარგად სწავლობდა. ის დაახლოე-
ბული იყო გიმნაზიის მასწავლებელ-აღმზრდელეზთან, განსაკუთრე-
ბით სოლ. დოდაშვილთან, რომელსაც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა.
ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ვახტანგ ორბელიანის აზრს: „ნიკოლოზ
ბარათაშვილი გამოიწვრთნა სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ
პროფესორებთან შეიგნო წმინდა მამულიშვილური მიმართულება“.
ალბათ, სოლომონ დოდაშვილიც და სხვებიც ჰხედავდნენ და გრძობ-
დნენ ბარათაშვილის ნიქს და ცდილობდნენ მისთვის გზა მიეცათ.

გარდა სოლ. დოდაშვილისა, ნიკ. ბარათაშვილზე დადებითი გავ-
ლენა ჰქონდათ გიმნაზიის მასწავლებლებს: ეფრემ ალექსი-მესხი-
შვილს— „ზედმიწვევით მცოდნეს ქართული ენისა, რომელმაც უფრო
განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგი ქართულისა“ (ი. მეუ-
ნარგია); რუსული ენის მასწავლებელს დემენტეევს, რომელიც ნი-
ქიერად კითხულობდა პოეტებს, განსაკუთრებით კი მიწნიდველად—
მიცკევიჩის „ფარისს“; ამასთანავე დემენტეევი კარგად, დალაგებითა
და მონდომებით უხსნიდა მოსწავლეებს ვაკვეთილებს. მან, შესაძ-
ლებელია, ნიკ. ბარათაშვილს განუვითარა სიყვარული რუსული ლი-
ტერატურისა.

ბარათაშვილი სკოლაშივე ყოფილა დაინტერესებული კით-
ხვით. პოეტური ნიქი მან გიმნაზიაშივე გამოიჩინა. აქვე აღეძრა სიყ-
ვარული და ინტერესი პოეტური შემოქმედებისადმი.

არსებობს ცნობა, რომ 1832 წელს ნ. ბარათაშვილს ჰქონდა საკ-
მარისი რიცხვი საკუფარი ლექსებისა მეფის რუსეთის მთავრობის
წინააღმდეგ დაწერილი. ის, როგორც ასეთი, ცნობილიც ყოფილა.
ვინაიდან, როგორც ზ. ჭიჭინაძის* მიერ მოტანილი გრიგოლ გური-
ელის მოწმობა გვეუბნება, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1832 წ. შეთ-
ქმულება რომ გამომქლავნდა, გაუჩხრეკიათ. ეს ნ. ბარათაშვილს წი-
ნადღეს გაუგია, გაქცეულა გრ. გურიელითურთ სახლში, ლექსები და
საექვო ქაღალდები დაუწვავს.

აგრეთვე ცნობილია, რომ გიმნაზიელთა წრემ მიხეილ თუ მან ი-
შვილის თაოსნობით და რედაქტორობით განიზრახა ხელნაწერი

* ზ. ჭიჭინაძე, „სოლომონ დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარ-
ლი საზოგადოების“ წინაშე...“, 1919 წ.

ქურნალის — „Цветок Тифлисской Гимназии“-ს სახელწოდებით გამოცემა. ხუთი ნომერი ამ ქურნალისა წრემ კიდევ გამოსცა.

ნ. ბარათაშვილი რომ გიმნაზიაში უკვე წერდა: ეს მტკიცდება ს. გო რ გ ა ძ ი ს მიერ აღმოჩენილი კრებულთა ც, რომელიც, აღმომჩენის აზრით, უნდა შედგენილი იყოს არა უადრეს 1832 და არა უგვიანეს 1835 წლისა.

აგრეთვე ირკვევა, რომ ამავე გიმნაზიის მოსწავლეთა თაოსნობით ყოფილა გამოცემული ეს ალმანახი, რომელშიც, გარდა გიმნაზიის მოსწავლეთა — ნიკ. ბარათაშვილის, მიხ. თუმანიშვილისა და დავ. მაჩაბლისა, მონაწილეობა მიუღიათ — გრ. ორბელიანს, გ. დ. ერისთავს, ალ. ორბელიანსა და დ. ყორღანოვს. ეს ხელნაწერი ალმანახი შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს 1833 წლისა. ნ. ბარათაშვილი როგორც დასახელებული ქურნალის, ისე ამ ალმანახის აქტიური თანამშრომელი ყოფილა *.

ყველა ცნობა გარკვეულად გვეუბნება, რომ ნ. ბარათაშვილი სკოლიდანვე, მოწყურებული აქტუალურ მოქმედებასა და შემოქმედებას, ასპარეზს გამშაგებით ეძებს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ბარათაშვილმა სამხედრო სამსახურში შესვლა დააპირა. მაშინ სანხედრო სამსახური საუკეთესო ასპარეზი იყო ვაჟაკობის გამოჩენისა და საერთოდ მოქმედებამოდვაწობისათვის. ასეთი შეხედულება იმ დროს გავრცელებულ იყო რუსეთის მოწინავე საზოგადოებაშიც. სამხედრო სამსახურში იყვნენ: დეკაბრისტები, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ჰლეშჩევი, პეტრაშევესკი და მრავალი სხვა. განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა ნიკოლოზ I-ის საშინელი, სულსშემხუთავი რეაქციის ხანაში, როდესაც რუსი მოწინავე-მოაზროვნე საზოგადოება, სავსე ნიჭით, უნართა და სურვილით საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება-განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად, სინამდვილეში კი ამგვარ შესაძლებლობას მოკლებული, თავისში უხვად დაგროვილი ენერჯის გამოსავალს სამხედრო სამსახურშიდა ეძებდა. ეს სამსახური განსაკუთრებით ხელსაყრელი შეიქნა ჩვენი დეკადანსის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობისათვის. ამიტომ ყველა იქ მიიწვედა, ყველა ამ ასპარეზზე თავის ბედს სცდიდა. სამხედრო სამსახურში მიდიოდნენ ნიჭიერნიც და უნიჭონიც. ამ ასპარეზზე დიდებით შეიმოსნენ: ბარათაშვილის ბიძა გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და სხვა მრავალი მისი ნათესავი და ნაცნობი. მაგრამ ეს სურვილი ნ. ბარათაშვილისა

* პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. XVII—XVIII; მ. გ ო ც ა ძ ე, „ქართული ქურნალისტიკის ისტორია“, ტ. I, გვ. 248—252.

თაშვილს ვერ განუხორციელდა, რადგანაც ფეხები დაშავებული კქონდა და სამხედრო სამსახურში ის არ გამოდგებოდა.

ამის შემდეგ პოეტმა მოინდონა სწავლის გაგრძელება, უნივერსიტეტში შესვლა. მაგრამ მშობლების ხელმოკლეობის გამო ვერც ეს მოახერხა და ნ. ბარათაშვილი, ეკონომიურად უკვე გაღარიბებული და შევიწროებული, იძულებული შეიქმნა შესულიყო მოხელედ კავკასიის უზენაეს სასამართლოში, რომელსაც ერქვა — „Экспедиция суда и расправы“.

აი აქ ჩაება ცხოვრებას ასე მოწყურებული ახალგაზრდა პოეტი კანცელარიის მუშაობაში. წრე, რომელშიაც მას მუშაობა მოუხდა, მისივე მოწმობით, „не выгоден для образования нравственности“. რასაკვირველია, ასეთი საქმიანობა პოეტის მაღალ სურვილებს გასაქანს ვერ მისცემდა. მისი ნიჭი სამოქმედოდ უფრო ფართო ასპარეზს ეძებდა.

1837 წელს თებერვალს პოეტი თავის მდგომარეობას ასე აუწერს ბიძას — გრ. ორბელიანს:

„საყვარელო ძიავ! გთხოვთ მომიტევეთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია... აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა; თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს რომ კოჭლი ხარო... რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს... დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწყესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჭავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება... ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჭავრება. ჰეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გავწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!“...

ასეთია ახალგაზრდა, სრულიად ჰაბუყი პოეტის სულიერი განწყობილება, ასეთია მისი მწარე ჰვედრი, ასეთია ის წრე, რომელშიც ნ. ბარათაშვილს ცხოვრება და ზრდა მოუხდა. ცხადია ასეთი ჰვედრი მის

მკვირცხლსა და მუდამ მაძიებელს ბუნებას ვერ დააკმაყოფილებდა, სავსებით ვერ დაიმორჩილებდა, და ამიტომაა, რომ უილაჯობით დამორჩილებული პოეტი ხანდახან მაინც ლამობს მას ურჩობა გაუწიოს.

მიუხედავად ნიკ. ბარათაშვილის კანცელარიაში მუშაობისაღმე ასეთი მტანჯველი განწყობილებისა, გაწამებული პოეტი, როგორც მოხელე, მაინც ბეჭითი და აღმსრულებელი იყო თავისი მოვალეობისა. ამის დასადასტურებლად ი. მეუნარგიას მოჰყავს ორი მეტად დაძახასიათებელი შემთხვევა, ლევან მელიქიშვილისაგან გავონილი: 1842 წელს სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა მოახდინა თბილისის სამოქალაქო დაწესებულებათა რევიზია. პოზენმა, მინისტრ ჩერნიშოვს რომ ახლდა რევიზიის მოხდენისას, ნიკ. ბარათაშვილის საქმის წარმოება ისე მოიწონა, რომ ამის გამო გამოიცა ბრძანება სამსახურში ქართველობას უპირატესობა მისცემოდა. გრ. ორბელიანის ნაამბობი: „პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი სტოლონაჩაღნიკი ასე ბევრს დარბოდა და ერთხელ რევიზია უყო. მაგრამ რა დანახა ყველაფერი სწორად ჰქონდა, უთხრა: В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно“. ეს კაცი ისეთი დიდი აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურმე: „Баратов на моем месте будет сидеть“*.

არც თვით საზოგადოებრივი ცხოვრება იყო იმ დროს რაიმე სიკეთის, სარგებლობისა და ზნეობრივი დაკმაყოფილების მომცემი. გარშემო არარაობა, სიცარიელე, უგზოუქვლობა იყო გამეფებული; ამ დროს, როგორც ზევითაც გვქონდა შემთხვევა შევხებოდით, არც ქართული საზოგადოებრივი აზრი, არც თეატრი, არც გაზეთი, არც ყურნალი არ არსებობდა. ნ. ბარათაშვილის დროს ქართული საზოგადოება გზააბნეული, თითქოს, მოწყვეტილია ყველა იმ საშუალებას, რაც ადამიანს ასაზრდოებს, რაც მის გონებას ზრდის, ზნეობას აფაქიზებს, ამტკიცებს; რაც მასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის მჭიდრო კავშირს აბამს, რაც ადამიანს აზიარებს ცხოვრებას და მის შინაარსს, სიტკბობასა და სიცოცხლის აზრს აგრძნობინებს.

ასეთს მპარჩობელა ატმოსფეროს ყველაზე მწვავედ თვითონ ჩვენი პოეტი განიცდის. მოიგონეთ პოეტის 1841 წლის 28 მაისის ზემოთ მოყვანილი წერილი გრ. ორბელიანთან ქალაქის (თბილისის) ფუქსავატი, უაზრო, ჭორიანი ცხოვრების შესახებ. ასეთსავე აზრს პოეტი იმავე გრ. ორბელიანისაღმე შემდეგს წერილშიც იმეორებს: „ტფი-

* ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, გვ. 208.

ლისი, — წერს ნაღვლიანად პოეტი, — ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულსათვის“*.

აი როგორ აგვიწერს ნ. ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგი კონსტანტინე მამაცაშვილი მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ცხოვრებას: „იმ დროს ტფილისში, — ამბობს ის, — არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არ გვქონდა: არც თეატრი, არც კონცერტები, არც კლუბები, — ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან საღამოზე ერთად ყრილობა. ხშირად შევეყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში.

ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სწვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა ქალაღდს თამაშობდა, ნარდს, კადრაკს... ქალაღდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილი მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას. მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც“**.

თუ ასეთ ცხოვრებას ეწეოდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, როგორი უნდა ყოფილიყო დანარჩენისა?! ამ საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ცხოვრებაც ხომ ზერელეა! ასეთს ცხოვრებასაც ხომ ვერ შეეძლო დაეკმაყოფილებინა არაჩვეულებრივად მოქმედებას მოწყურებული პოეტი, რომელსაც სიყრმიდანვე რაღაც იღუმალი ძალა თანსდევს და დემონური მ. რ. მ. ზ. ი. დ. ვ. ე. ლ. ი. ძ. ა. ხ. ლ. ი. თ. ი. წ. ვ. ე. ვ. ს: „ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშენი“, რომელიც მუდამ გაშმაგებით მიისწრაფოდა ახალი, ჯერ უცნობი და უხილავი უკეთესი სამყაროსაკენ.

აი თვითონ ნ. ბარათაშვილი როგორ გადაუშლის თავის მწველ განცდას ბიძას გრ. ორბელიანს: „ახლა მე იმას ვამბობ, — წერს პოეტი, — რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დაედგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზს!“***.

* ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი 1841 წ. 18 ოქტ.

** ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, გამოცემა 1922 წ., ასეთსავე აზრს გამოთქვამს დიძ. ყიფიანი „მემუარებში“.

*** ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანთან 1843 წ. 21 აგვ.

პოეტი მთელი თავისი დაუდგრომელი ბუნებით მიიწევდა იქით, სადაც ცხოვრების მაჯისცემა უფრო ძლიერი, აქტიური უნდა ყოფილიყო. სინამდვილემ კი ის კანცელარიასა და ოფიციალურ ქალაქდთა შორის ამოამწყვდია.

პოეტის ცხოვრების სინამდვილე სრული წინააღმდეგობა იყო იმ საოცნებო სამყაროსი, რომლისკენაც იგი მთელი თავისი არსებით და წეგნებით მიისწრაფოდა. საშინელს, მტკივნეულს კონტრასტს ხედავდა და გრძნობდა პოეტი თავის მისწრაფებათა და გარემო მდორე საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის.

ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ნ. ბარათაშვილის შეგნებაში გაღრმავებულიყო უკმაყოფილება, უიმედობა, მოწყენილობა, მარტოობა.

კანცელარიაში გამომწყვდეული, დაუკმაყოფილებელი ნიკ. ბარათაშვილი მწვავედ ბორგავდა და კენესოდა. ვერც გრ. ორბელიანი-სადმი რამდენჯერმე მორიდებულმა მიმართვამ უშველა მას. სასურველად ვერა და ვერ დააღწია თავი კანცელარიას. ბოლოს, 1844 წელს მან გადაწყვიტა მიეღო ლევან მელიქიშვილის წინადადება; ლევან მელიქიშვილი ამ დროს ნახჭევანში მიდიოდა მაზრის უფროსის თანამდებობაზე და ნიკ. ბარათაშვილიც წაიყვანა მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილზე. იქიდან ნიკ. ბარათაშვილი 1845 წელს დაბრუნდა, უნდოდა იმავე თანამდებობაზე ქ. თელავში წასულიყო; გაემზადა კიდეც, რადგანაც მთავრობამაც ის იქ დანიშნა. მაგრამ სწორედ ამ დროს მამუკა ორბელიანმა, რომელიც დანიშნული იყო განჯის მაზრის უფროსად, წინადადება მისცა ნიკ. ბარათაშვილს განჯაში წასულიყო თელავის მაგიერ იმავე თანამდებობაზე.

იქ განჯაში, მთაში წასულა ყაჩაღების დასაპერად, გაციებულა, ერთხანად მორჩენილა, მაგრამ გაუფრთხილებლობის გამო ხელახლა გამზდარა ავად და 9 (21) ოქტომბერს 1845 წ. გარდაიცვალა. იქვე განჯაში დაასაფლავეს, ხოლო 1893 წელს ქ. შ. წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით, პოეტის დებისა და ბიძაშვილების შუამდგომლობით, რათა მთავრობას ნება დაერთო პოეტის წეშტის თბილისში გადმოსვენება, გადმოსვენებულ იქნა თბილისში და დასაფლავებული დიდუბის ეკლესიის გალავანში, ხოლო 1938 წელს 15 ოქტომბერს დიდუბიდან გადაასვენეს მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.

3

ნ. ბარათაშვილის დაუკმაყოფილებელმა სულიერმა განწყობილებამ, ერთი მხრით, და საერთო ობიექტურმა მდგომარეობამ ქარ-

თველი ხალხის ცხოვრებისამ, მეორე მხრით, ნოციერი ნიადაგი მის-
ცა რომანტიზმს მის შემოქმედებაში ღრმად განვითარებისათვის.

ნ. ბარათაშვილის პოეზია მთლად აგებულია ტიპიური რომანტიკუ-
ლი მსოფლმხედველობის საფუძველზე. რომანტიკული სტილი მშვე-
ნიერ საშუალებად მოეკლინა პოეტს მდიდარი შინაგანი სამყაროს გა-
მოსამჟღავნებლად, პოეტურ სახეებში ასახავდა.

რომანტიზმი რუსეთის ლიტერატურაში ამ დროს უკვე გაბატო-
ნებული იყო. დასავლეთ ევროპის დიდი რომანტიკოსების შემოქ-
მედება რუსულ ენაზე ამ დროს უკვე გადმოთარგმნილი იყო. უნდა
ითქვას, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან და
შემდეგ რუსეთის ლიტერატურული ცხოვრება, როგორც მისი სო-
ციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარების გზა, ცდილობდა
დასავლეთ ევროპას კვალდაკვალ მიჰყოლოდა, ყოველ შემთხვევაში,
ლიტერატურული შედეგების გადმოთარგმნის მხრით მაინც: რო-
გორც სანტიმენტალური განწყობილების ადამიანები, ისე რომანტი-
კულისა XIX საუკუნის დასაწყისში მეტად მრავლად იყვნენ არა
მარტო რუსეთის მწერლებში, არამედ საერთოდ რუს მკითხველებ-
შიც.

აი ამ ლიტერატურულ ატმოსფეროს ნ. ბარათაშვილი, უდავოდ
დაწაფებული იყო რუსი მწერლების შემოქმედებისა და ეჭრნალების
საშუალებით და აგრეთვე იმ რუსთა და უცხოელთა შემწეობით,
მთავრობის მიერ თბილისში რომ იყვნენ გადმოსახლებულნი.

შებრძოლ რომანტიზმში ნ. ბარათაშვილმა სტიქიური განსახიე-
რება ჰპოვა თავისი ურჩი, მემამბოხე სულითა. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი-
ს ე ბ რ ნიკ. ბარათაშვილსაც შეეძლო თამამად ეთქვა:

არა, არა ვარ მე ბაირონი,
ჩრეთ უცნობი მე ვარ რჩეული.
ვით ის ცხოვრებით მეც გარყეული,
მაგრამ კი სული მაქვს ქართველური*.

შეიძლება ითქვას, ქართული ლიტერატურა რუსულ-ევროპულ
ლიტერატურას ასე მკიდროდ პირველად ბარათაშვილის შემოქმედე-
ბაში დაუახლოვდა.

ნიკ. ბარათაშვილი თანამედროვე ცხოვრებაში, დაძაბულსა, გახ-

* თექვსმეტი წლის მ. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ბაირონის შემოქმედებით გატაც-
ბული წერს თავის დღიურში:

Нет, я не Байрон, я другой,
Еще неведомый избранник,
Как он, горимый миром странник,
Но только с русской душой.

რწინილსა და შეგინებულში, ვერაფერს სანუგეშებელს ვერა პოულობს და კაეშანს ეძლევა, როგორც ეს საერთოდ რომანტიკოსებს სჩვეოდათ.

თითქოს ყველა და ყველაფერი ნიკ. ბარათაშვილის მიმართ (როგორც ეს ბაირონისა და ლერმონტოვისათვის იყო დამახასიათებელი) ერთ მხარეს მოექცა, მეორე მხარეს კი თვით პოეტი თავისი მოწინააღმდეგე, შეურიგებელი მისწრაფებით, მწველი განცდებით და კაეშანით. პოეტის შინაგან სამყაროსა და ობიექტურ ცხოვრებას შორის იმდენად ძლიერი კონტრასტია, რომ სინამდვილესთან შეხება პოეტში მის უარყოფას, სულიერი ტკივილების გამწვავებასა და გამახვილებას იწვევს.

აი პოეტი რასა სწერს ერთ-ერთ თავის მეგობარს—მაიკო ორბელიანი: „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჰად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლაისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიდრიკო თავი?“*.

მგოსანმა ამ „საძაგელ ცხოვრებაში“, როგორც საერთოდ რომანტიკოსებმა, სულის განსასვენებელი ვერაფერი და ვერაფერ იპოვა. ამიტომ საშინელ მოწყენილობასა და სიმართოვეს განიცდის: „კიდევ მომნახა, — შესჩივის პოეტი მაიკო ორბელიანს, — ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ; ვისაც საგანი აქვს, იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულეობია ამდენის მართობითა“**.

აი ნამდვილი სახე რომანტიკოსისა. ასეთი მოწყენილობისა და მართობის დაღით არიან დადაღულნი ნოვალისი, შატობრიანი, ჟუკოვსკი, ლერმონტოვი, ბაირონი და სხვანი.

ასეთსავე განცდას ნ. ბარათაშვილი მწვავედ აღბეჭდავს თავის ლექსში „სული ობოლი“.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი.
ძნელდა ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი!

* ნ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანთან 1842 წ. 31 ოქტ.

** იქვე.

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული
ისევ ჩქარად კპოეებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

და ასე ათავეებს რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ ამ მოწ-
ყენილობისა და მარტოობის ტიპიურ ზარს პოეტი:

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა.

მგოსანი არა მარტო მოღრუბლული, მოწოლილი, აშლილი
გრძნობის ღელვით განიცდის ცხოვრებით უკმაყოფილებას, „საძაგელ
ცხოვრების“ უაზრობასა და სიფუჟეს, არამედ მაშინაც კი, როდესაც
ის ცდილობს ცხოვრების მსვლელობის მთლიან პროცესს ჩაუკვირ-
დეს, ადამიანთა ურთიერთობა ცხოვრების მსვლელობაში სიგრძე-სი-
განით გააანალიზოს — მაშინაც პოეტს აშკარად ეხატება ჩვენი ცხოვ-
რება როგორც „ფუჟი და მხოლოდ ამოება“.

ლექსში „ფიქრი მტკვრის პირას“ ცხოვრების ყოველ მოვ-
ლენათა და ადამიანის ყოველ „კეთილ“ და „ბოროტ“ ზრახვათა გა-
ნალიზების შემდეგ პოეტს ასეთი მწარე დასკვნა გამოაქვს:

შინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ყოველივეს წარმავლობა ამ წუთისოფელში და ცხოვრებით დაუ-
კმაყოფილებლობა, რაც რომანტიკოსებისათვის ასე დამახასიათებ-
ელი იყო, ჩვენი პოეტისათვისაც მძიმე, მაგრამ უდავო და უტყუარი
განცდაა.

ასეთს აზრს პოეტი თავის წერილში მაიკო ორბელიანთანაც გა-
მოთქვამს: „შენი ავადმყოფობა შევიტყვევ, რა დაგემართა? თუ ფიქ-
რობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ასეთს რას მიი-
ღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუ-
თის სოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გუ-
ლისა, აი ჰქმნარიტი ბედნიერება, უმალღესი სიამე, რომელსაც კი
კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა
უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი
არიან“*. აი ჩვეულებრივი შეხედულება რომანტიკოსისა. მოვიგო-

* ნ. ბართაშვილის წერილი მაიკო ორბელიანთან 1842 წ. 31 ოქტ.

ნოთ „ამ სოფლის“ ბედნიერებასა და სიამოვნებაზე შეხედულება ტოკია, უუკოვსკისა და სხვათა. ისინიც ხომ სწორედ ამგვარად განიცდიან.

ნ. ბარათაშვილის მდიდარი რომანტიკული სტილი სწორედ ამ განცდის საფუძველზე აღმოცენდა და გაიშალა, ხოლო შემდეგში გამდიდრდა ახალი ელემენტებით.

ნ. ბარათაშვილი ცხოვრების სიფუქეს, ამაოებას ვერ ურიგდება, მას უნდა გამოახოს გზა, შესაძლებლობა, რომელიც ამ ცხოვრებას — წარმავალს, დროულს, შეაერთებს იმ მარადიულ ცხოვრებასთან. რომლისკენაც მისი ინტუიცია შეუცნობლად მიისწრაფვის. რომანტიკოსებს უყვარდათ ისეთი განცდების გაღრმავება, გამაზვილება და გაძლიერება, რომლებიც მათ ექსტაზში მოიყვანდა. ასეთი განცდის მომენტში რომანტიკოსების აღგზნებული ფანტაზია ამ „საძაველ ცხოვრებას“ ადვილად სცილდებოდა, ოცნების საშუალებით სხვა მის ფანტაზიით შექმნილს სამყაროში გადადიოდა. ეს სამყარო მათთვის გაცილებით უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე რეალური. ეს ოცნების სამყარო მათ ატყვევებდა, სიტკბოებასა და სიამოვნებას განაცდევინებდა, გატაცებით იზიდავდა.

ასეთი მდგომარეობის შესაქმნელად რომანტიკოსებს საუკეთესოდ შიანდათ სიყვარულის გრძნობა. სიყვარულის გრძნობა რომანტიკოსების შეგნებაში მარადიული ძალაა, რომელიც აღმინანს სიცოცხლის მთლიანობას, უკვდავებას განაცდევინებს, ღვთაებას უახლოებს.. ასეთი გაგება სიყვარულის გრძნობისა ჩვენს ლიტერატურაში. როგორც უკვე დავინახეთ, საკმარისად მკაფიოდ გრ. ორბელიანმააც ასახა. ასევე ესმის სიყვარულის განცდის მნიშვნელობა ნ. ბარათაშვილს და ამიტომ, ჩაღრმავებული ამ გრძნობის სიამოვნო ბურუსში, ასევე მიმართავს თავის სატრფოს:

არ უკიენო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა
გრძნობათ გამოთქმა*

თუმცა ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილიც ერთგვარ მოგვიანებულსა და სუსტ ხარკს აძლევს ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების გავლენას, ისიც ხანდახან უმღერის ვნებიან-ეშხიან სიყვარულს, გარეგნულ, ხორციელ სილამაზეს. მაგალითად:

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., „არ უკიენო სატრფოო...“, გვ. 25

მიყვარს თვალები მიზნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები,—
მაგრამ, როს ეუკვრეტ ზამბახ-ვარდთ ველად.
განეწონვიან მათი ისრები
მიეხვდი, თვალებო, ჩემო მყელელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას*

ან კიდევ:

ოდეს ნიავე ლამაზ დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს!***

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ლექსებშიც ვნებიანობასთან ერთად რამდენი სინაზე, ძალა, სისპეტაკე, ტემპერამენტი იხატება!

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ღიმილით გეცხარ მაისის ღღესა,
მე შენს თვალებში ვსჭკრეტ სამოთხესა,
და მათი მჭკრეტი ვიწვი ცეცხლითა.
არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჭერებ, არ დაიჭერებ, არ დაიჭერებ,
თუ ვით სატრფო ხარ!***

ეს ლექსები რომანტიკოსი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი არ არის. ეს ლექსები, ალბათ, მომენტითაა გამოწვეული, ან ერთგვარი ხარკია ძველი ქართული ლიტერატურისადმი, თუ გნებავთ ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის პოეზიისადმი.

ამ ლექსებზე პარალელურად შეუდარებელი სიძლიერით ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში სიყვარულის სულიერი მხარის ძალუმი, მწველი, მაღალი, ფაქიზი განცდა და მისი განსახიერება მოსდევს და თითქმის სავსებით ჩრდილავს პირველს. და ეს მოვლენა ბუნებრივია არის.

ბარათაშვილს, მართალია, დიდი პოეტური ინტუიციით დაჯილდოებულს, არ შეეძლო არ განეცადა გავლენა არსებული ლიტერატურული ტრადიციისა, მაგრამ ეს გავლენა მისი ბუნების შესაფერ 'ლი-

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „მიყვარს თვალები...“, გვ. 25.

** მ ი ს ი ე ვ ე, „შენი დალაღნი...“, გვ. 31.

*** მ ი ს ი ე ვ ე, „როს ბედნიერ ვარ“, გვ. 48.

ტერატურულ მიმართულებაში, რომანტიზმში უნდა შთანთქმულიყო და ასეც მოხდა.

ნ. ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობაში და მის განცდაში ორ მხარეს ხედავს: „სილამაზეს“ და „მშვენიერებას“. ეს ორი თვისება, პოეტის გაგებით, ერთი გრძნობის — სიყვარულის ორი მოპირდაპირე მხარეა: „სილამაზე“ — ეს გარეგნული, ხორციელი სიყვარულია, ეს დროულია, წარმავალია, ზერელეა. ის ადამიანის „მე“-ს ვერ გამოხატავს, ის მას ვერ დააკმაყოფილებს, ჰუმბარტ სიხარულს, ბედნიერებას ვერ გააცდევინებს. აი რას ამბობს პოეტი:

სილამაზე ნიჟი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰქვნიბის.
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსკვეალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები*
*

„მშვენიერება“ კი (ეს თითქოს, პოეტის შეხედვით, ნამდვილი სიყვარულის სინონიმი), ნ. ბარათაშვილის განცდით, „ზეცით მოსული ნათელია“, რომლით „ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული“. ამიტომ დასაჭერებელია, რომ ადამიანში, როგორც ღვათეზის „კერძში“ (ტიპიური რომანტიკული გაგება და შეხედულება ადამიანზე) საუკუნო მადლი ტრფობისა იყოს. უკვდავება და მშვენიერი სული განუყრელი და დაუშრეტელი ნაწილებია ადამიანის მთლიანი ცხოვრებისა. აი რას გვეუბნება ამ გრძნობის შესახებ ჩვენი მგოსანი:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მღგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს,
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუნსნელად დამტკიცებულსა!*

ასეთ სიყვარულს, პოეტის გაგებით, „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჰუმბარტებას!“.

პოეტმა დიდი ძიების შემდეგ, თითქოს, იპოვა „ტაძარი შესაფერი, უდაბნოდ მდგარი“, სადაც ერთო „მარად უქრობელი წმინდა ლამპარი“, სადაც იკვროდა „დავითის ქნარი“ და „გაისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი“. გატანჯულმა პოეტმა თითქოს აქ იპოვა სულის სიმშვიდე, იგრძნო ბედნიერება. პოეტი ასე გადმოგვცემს თავის განწყობილებას:

მუნ გუნდრუკის წილ შეესწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;

* ნ. ბარათაშვილი. „რად ჰყვედრი კაცსა“, გვ. 32, დაყოფა ჩვენია.

მა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღესებულს,
მეგონა. ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს *.

მაგრამ სიყვარულის ღელვით „დამაშვრალი მწირი“ პოეტი, „კაცის სიავითა და ბედის ბრუნვით“ დაქანცული, ამოდ ეძებს „ცრულა მუხთალ ამა სოფელში“ „წრფელითა ზრახვით“ განსვენებას. ასეთი სიყვარულის გრძნობაც პოეტისათვის ამ „საძაგელ ცხოვრებაში“ მხოლოდ წამიერი აღმოჩნდა. ასეთმა სიყვარულმაც ვერ მოუპოვა მას სიმშვიდე. „საწუთრო“ განა დიდხანს „ვისმე ახარებს!?“ პოეტისათვის ამ სიყვარულის ნაშთი და კვალი „მოსიპო მსწრაფლად“. მას დაშთა „მხოლოდ მის ლამპრისაგან ცეცხლი დამქრალი“. გაწვალე-ბული პოეტი მწარედ ჩივის:

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხზო უკულმართმა ნუგეშის კარი.
და დავალ ობლად. ისევ მწირი, მიუსაფარი! **

ცხოვრებაში გაწამებული, უთვისტომო, ყარბად მოსიარულე, დამაშვრალი პოეტი ვერ პოულობს სულის სიმშვიდეს, ნიადაგს, მიზანს. თვით მაღალმა სიყვარულმა ვერ შესძლო პოეტის დაკავშირება ცხოვრებასთან, იგი ამ სოფლიდან გარიყული დარჩა, რაც მას აუტანლად ტანჯავს.

ამ მდგომარეობაში მყოფი რომანტიკოსები გამოსავალს ბუნებაში ეძებდნენ, ბუნების წიაღში მიდიოდნენ, იქ ბუნების კალთებზე ყუჩდებო მათი აფორიაქებული შინაგანი ცხოველმყოფელ ძალაგამოცილილი სამყარო, იქ ეძიებდნენ მათი აღელვებული ფიქრთა შლა „ნაცნობს ადგილს განსასვენებლად“.

ბუნება ბარათაშვილისათვის ცოცხალი არსებობდა: მკაცრი და ულმობელი ადამიანისაგან გარიყული, მიუღებელი პოეტი, აქ ბუნებაში პოულობს თანაზიარს, თანამგრძნობს, აშლილ გრძნობათა დაყუჩებას. ბუნება, მისი განცდით, „ხან მცინარი, ხან ცრემლიანი“, „გულ-დახურულთა მეგობარია“. მხოლოდ აქ შეუძლია პოეტს ჩამოყაროს „სანუგეშებელი ცრემლი“, — ეს ჰმუნვანადველის გაქვარვებელი საშუალება რომანტიკოსებისათვის. აქ ბუნების თანაგრძნობაში, ბუნებასა და მის განცდათა შორის პოეტი კონტაქტს სჭვრეტს. იქაც, მტკვრის პირას „ყოველი არემარე იყო მოწყენით“.

* ნ. ბარათაშვილი, „ეპოვე ტაძარი...“, გვ. 26.

** იქვე.

როგორც აქ, ისე პოეტის მთელ შემოქმედებაში პოეტური ლექსიკა, მოტივები, ემოციონალობა, მთლიანად წერის მანერა ტიპიური რომანტიკულია.

ასეთსავე განცდას და რომანტიკულ სტილს ნ. ბარათაშვილი გამოხატავს ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“.

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრივიც იყო მწუხარ და სევდიანი*

აქ ბუნების წიაღში, ბუნებასთან იდუმალ, ინტიმურ კავშირში ნიკ. ბარათაშვილი, როგორც სხვა ბევრი ნიჭიერი რომანტიკოსი, პოულობს მეგობარს, თანამგრძობს, თანაზიარს, პოულობს შვებას. ბუნების წიაღში დამშვიდებული პოეტი ასე მიმართავს მთაწმინდას:

მთა ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაჰხნას გულსა ვაება,
გულდახტრულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ნ. ბარათაშვილის ბუნების შეგრძნობა წმინდა პანთეისტურია. ის ბუნებას განიცდის, როგორც მთლიან, ცოცხალ არსებას. სული მგრძნობიარე აქვს ყოველივე საგანს: მცენარეს, მდინარეს, ქვას, ყვავილს და სხვას და ყველა ესენი სამყაროში ერთდებიან ერთს საერთო უნივერსალურ ცხოვრებაში. აი ასეთს განცდას პოეტი როგორ გადმოგვცემს:

მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიაფი და შრიალითა არხევს ჩინარსა.
და გამოსცემენ სახიობასა, ტბილის ოცნებით დამაძინარსა
მრწამსს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსააკოთაც
და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა
მათის საუბრის!***

ადამიანი მხოლოდ ერთი ნატეხია ამ მთლიანი ცხოვრებისა, უნივერსალისა. და როდესაც ადამიანი მთელი თავისი არსებით შეერთვის ამ საერთო უნივერსალურ ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ შეუძლია განიცადოს სულის სიმშვიდე, ჩასწვდეს და გაიგოს ის პირველყოფილი მიზეზი დასაბამისა, რომლის საიდუმლოება ტან-

* ნ. ბარათაშვილი, „შემოღამება მთაწმინდაზე“, გვ. 6.

** მისივე, „ჩინარი“, გვ. 44.

ჯავს კაცობრიობას საერთოდ და ასე მტკივნეულად იზიდავს რომანტიკოსებს, კერძოდ კი ნიკოლოზ ბარათაშვილს, ახალი ცხოვრების ცისკარზე.

პოეტი, როცა ბუნების წიაღში უშუალოდ შედის, მხოლოდ მაშინ სცილდება უსიამოვნო სინამდვილეს, იქ პოულობს სულიერ სიმშვიდეს.

პოეტის განცდით, ბუნებაში „ყოველი ლამაზია, მინაზებული“. აქ მისი თვალნი, რა იხილვენ ცისა ლაქვარდს, მისი ფიქრი მყის ცისკენ მიისწრაფვიან; პოეტი, თითქოს გარემო ცხოვრებას ვეღარ ამჩნევს, ლამობს აქ დასტოვოს „ამაოება“, იქ, ცის იქით, ლამობს იპოვოს, რასაც ის ასე დაუცხრომლად ეძებს აქ. მოვუწმინოთ თვით პოეტს:

მე შენსა მკვრეტელს მავიწყდების საწუთრობა!^{*}

განა ასეთსავე გრძნობას არ განიცდის ლერმონტოვი? ისიც ხომ, როცა ბუნების უშუალობაშია, როგორც თვითონ ამბობს:

Тогда смирятся души мои тревога,
Тогда расходятся морщины на челе,
И счастье я могу постигнуть на земле,
И в небесах я вижу бога!^{**}

მაგრამ რომანტიკოსებისათვის საერთოდ და ნ. ბარათაშვილისათვის კერძოდ დამახასიათებელი ისაა, რომ ასეთი განცდა მათთვის წუთიერია. მისი ფიქრით, როგორც ნიჭიერად გამოხატავს ჩვენი რომანტიკოსი პოეტი, „ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს“.

რომანტიკოსების აღზნებული ფანტაზიისათვის, რომელიც სინამდვილეს გაუბრბოდა, ბუნება საყვარელი და სისიამოვნო იყო ბინდისას, მთვარიან ღამეს, როცა ყველაფერი მიყუჩებულა, სიცოცხლის ჩამიჩუმიც არ ისმის, მაშინ, საერთოდ რომანტიკოსებისა და კერძოდ ჩვენი პოეტის განცდითაც, ბუნება მიმზიდველია, მომზიბველია. ამიტომ რომანტიკოსებს უყვართ ბინდისას, მთვარიან ღამეს, მივარდნილ ადგილებში, ხშირად სასაფლაოზეც კი, ოცნება, სადაც ისინი, თითქოს, ამ „საძაგელი ცხოვრების“ საზღვარს სცილდებოდნენ, იმ სამყაროს უახლოვდებოდნენ და უნივერსალური სამყაროს შეგრძნობას ლამობდნენ. ყოველ შემთხვევაში ამ ორი ქვეყნის ზღვარზე გრძნობდნენ თავს. ასევე განიცდიდნენ და ასახვდნენ ტიკი,

* ნ. ბარათაშვილი, „შემოღამება მთაწმინდაზე“, გვ. 7.

** Лермонтов, „Когда волнуется желтеющая нива...“

ნოვალისი. უუკოვსკი და სხვანი. ასეთსავე სტილს ვხედავთ ბარათა-შვილის შემოქმედებაში.

აი ერთს თავის 1838 წ. 6 აგვისტოს წერილში მიხეილ თუმანი-შვილს რასა სწერს პოეტი:

„Я оживляюсь только по вечерам луным, так прекрасным в Тифлисе! Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе: вдруг я очутился на кладбище. При-знаюсь, немного смутился, когда я взглянул на это онемение: 11-ть часов ночи. Ни души. Кругом пустота вечная; луна тус-кло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире... не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь“.

ყოველი სიტყვა, ყოველი ხაზი, ყოველი მოძრაობა აქ დამახასია-თებელია რომანტიკოსისათვის.

ჩვენი მგონისათვის ჩვეულებრივია „დაფიქრებული სერზედ“ სიარული. იქ რეალურ ცხოვრებას, რომლითაც ის უკმაყოფილოა, მოცილებული, იმ ქვეყნის ზღვართან მიახლოებული, გარშემორტყ-მული მაისის მწუხრით, როდესაც გარშემო „იდუმალობა დაისადგუ-რებს“, „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნობს (თავის) გულის საიდუმლოს“. იქ, „ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავენი“ პოეტის „გულსა ეთანხმებთან“. იქ, საიდუმლოებით მოცული ბუნების წიაღ-ში, პოეტი შვებას პოულობს და ექსტაზში მოსული წამოიძახებს:

გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ვძიებს სადგურს
ზენაარსთ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამათობა...*

ამ სიტყვებში იშვიათის სილამაზით და სიმკვეთრით, სიღრმით და სისწორითაა გადმოცემული არამარტონ ბარათაშვილის რომანტიკუ-ლი ძიება იმ ქვეყნისა, ტრანსცენდენტალური სამყაროს ხილვის სურ-ვილით აღგზნებული, არამედ მთელი რომანტიზმისა და ყველა რომ-ანტიკოსისა! არა გვგონია ყოფილიყოს ისეთი რომანტიკოსი, თუნ-დაც უდიდესი წარმომადგენელი, როგორც რუსო, ბაირონი, შა-ტობრიანი, ტიკი, ნოვალისი, უუკოვსკი, ლერმონ-ტოვი, რომელსაც ამ სიტყვებში არ დაენახოს მკვეთრი განსა-ხიერება იმ აღმაფრენისა, რომელიც ასე სტანჯავდა მათ, ერთს ალა-გას არ აყენებდა, ცხოვრებასთან შერიგების ხიდს ანგრევიანებდა.

* ნ. ბარათაშვილი, „შემოღამება მთაწმინდაზე“, გვ. 6.

საღლაც წინ თუ უკან, მომავლისა თუ წარსულისაკენ, დაუდგრომლობით, თუ განწირულის დაძაბულობით ამოძრავებდა და მიაქროლებდა.

მაგრამ ჩვენი პოეტი მწარედ გრძნობს, რომ ეს ოცნების ქროლოვაც მიზნის მიმღწევი და ყოვლის შემძლებელი არ არის. გრძნობს, რომ ძნელია ცნობა „ციურ განგების“, კარგად გრძნობს, და ეს მტკივნეულად სერავს მის ისედაც დაკოდილ გულს, რომ მისი მუდამ ლაყვარლი ცისაკენ მიმსწრაფი ზრახვანი სასურველი ქვეყნის საზღვრამდისაც კი „ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“. ესეც ზომ რომანტიკოსების საერთო განცდაა. ეს გარემოება უფრო აღრმავებდა იმ პესიმიზმს, რომელიც ასე მწვავედ ღრღნიდა ყველა დიდ რომანტიკოსს და კერძოდ ნ. ბარათაშვილსაც.

ამ მიზნის მიუღწევლობაშია მთავარი წყარო რომანტიკოსების პესიმიზმისა და კერძოდ ნ. ბარათაშვილის უიმედობა-სევდის მოტივისა. მართლაც რომ ბარათაშვილისთანა ბრწყინვალე წარმომადგენელი ქართულ რომანტიზმს არა ჰყავს. მისი შემოქმედება უაღრესად სუბიექტურია, სავსე მელანქოლიით, სევდა-მოწყენილობით, აფორიაქებული სულიერი განცდით, ზშირად მისტიკური აღმაფრენით მიმსწრაფვი მიწის ზემყოფი ქვეყნისაკენ, ბუნების განკაცებით და მასში თანაგრძნობის გამონახვით დამახასიათებელი იყო რომანტიზმისათვის.

ნ. ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებით, შეგნებით, ოცნებით. ისიც, როგორც ყველა დიდი რომანტიკოსი, მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის განუსაზღვრელობისაკენ, გაუჩვეველი ბედნიერების, სილამაზისა და ქეშმარიტების ძიებით. ნოვალისის ჰენრიხი („ჰენრიხ ფონ-ოფტერდინგენ“) ხელავს „ცისფერი ყვავილი“ „ცისფერი ყვავილი“ გადაიქცა სიმბოლოდ ბედნიერების, სილამაზისა და ქეშმარიტებისა, რომლისკენაც რომანტიკოსები თავიანთი აღზნებული ფანტაზიით მიისწრაფოდნენ.

„ცისფერი ყვავილი“ რომანტიკოსებისათვის არა მიწიერი. იდეალური ბედნიერებაა, რომელსაც ადამიანის სული ამაოდ ეძებს. „ცისფერი ყვავილი“ სიმბოლოა მარადიული ქეშმარიტებისა, რომლისკენაც დაუკმაყოფილებელი ადამიანის აზრი მიისწრაფვის. „ცისფერი ყვავილი“ არაა აქაური, არაა ამ სოფლის სილამაზე, რომლის განსასახიერებლად რეალური სამყარო საკმარისს ფერებს ვერ იძლევა, საკმარისად ჰარმონიულ ხმებს მის ასაკინძავად ვერ ჰქმნის. „ცისფერი ყვავილი“ — რწმენაა უმაღლესი, ღრული ცხოვრების არსებობისა და მასთან ერთად მწუხარება რეალური ყოფის მოუწყვრის-

გებლობისა. „ცისფერი ყვავილი“ გამოურკვეველი სიმბოლოა, როგორც გამოურკვეველია ყველაფერი, რაც არის დროულის, წარმავლისა და მარადიულის, უსრულის ზღვარზე.

ნ. ბარათაშვილიც სიყრმიდანვე თურმე ეტრფოდა რომანტიკული აღვზნებით „ცის ფერს“.

„ცის ფერი“ ჩვენს ლიტერატურაში პირველად ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში გვხვდება. მაშინ როდესაც ალ. ჭავჭავაძე „მარად ყამს“ შესტრფის „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“, ნ. ბარათაშვილი „ლურჯი ფერის“ მშვენიერ ჰიმნს გვაძლევს. ამასთან ერთად ეს ლექსი დაწერილია მაღალი ნიჭიერებით დახვეწილი, სანიმუშო რომანტიკული ლექსიკის მთლიანი სტილით.

მოვიტანთ ამ ლექსს მთლიანად:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.

და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ მე — არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.

მოეკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

თვალეში მშვენიერს
ვეტრფო მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
ვაპოკრთის სიამით.

სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცავს,
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

ამრიგად, ბარათაშვილის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ რომანტიზმის თითქმის ყოველ ტიპიურ თვისებას. ჩვენი მგონის შემოქმედებაში ქართული რომანტიზმი უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი მის შემოქმედებაში ქართულმა რომანტიზმმა თავისი თავისებურებანი ამოსწურა როგორც შინაარსისა. ისე ფორმის მხრით.

4

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილი საინტერესოა არა მარტო იმისათვის, რომ მან არაჩვეულებრივი სიმკვეთრით აგვისახა ჩვენი ცხოვრების 30—40 წლების იმედგაცრუება, მისი რღვევა, არამედ იმიტომაც, რომ მიმართულება, გაგება, ფორმა, ტონი, რომელშიც მან თავისი ხალხის განცდა აახა, საერთოა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი ყველა ხალხის ფსიქო-იდეოლოგიის გასაგებად და შესაგრძნობლად. ამას გარდა, ნ. ბარათაშვილმა, როგორც ფართო პოეტური ამპლიტუდით დაჭილდოებულმა, შეიქსოვა

ქართველი ხალხის სხვა ფენების მძიმე, შევიწროებული ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული სევდა-ნაღველიც თავისი შემოქმედება, გაამდიდრა სხვა კლასების თუ ფენების მონათესავე განცდებითაც, მან ყველა ეს დიდი ოსტატობით შეასისხლხორცა ერთმანეთს და ამ გზით მთელი ეპოქის განცდათა მგრძობიარე და მკვეთრ რეზონატორად გადაიქცა.

მაგრამ ამითაც არა კმაყოფილდება მისი პოეტური შემოქმედების მდიდარი დიაპაზონი. პოეტმა თავისი შემოქმედების ფორმითა და ემოციონალობით მოგვცა მკვეთრი სურათი სინთეზური შემოქმედებისა, რომელშიც გამოიხატა ტანჯვა ყველასი, ვინც ცხოვრების მოუწესრიგებლობას, მის შეუფერებლობასა და შეუთანხმებლობას ადამიანის მისწრაფებასა და ბუნებასთან ხედავს, ვინც გრძნობს ამ ნიადაგზე აღმოცენებულს ადამიანთა უკმაყოფილებას, სევდას, მათს ცხოვრებიდან გარიყულობას. დაუკმაყოფილებელი პოეტი აქანდაკებს ამ განცდებს ისეთს ფორმებში, რომლებიც ყველა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, მიუხედავად ეროვნებისა და შესაძლებელია დროსიც, მტანჯველი, გასაგები, მისი იქნება.

აი ამ თავისებურებითაა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება მკვეთრად აკინძული და ამიტომ მას შეუძლია საპატიო ადგილი დაიჭიროს „სოფლიო გოდების“ მწერალთა პანთეონში.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედება საგულისხმოა აგრეთვე სხვა თავისებურებითაც, რითაც ის განსხვავდება ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებათაგან და თავისთავად ადგილს იჭერს ქართული ლიტერატურის რომანტიზმის განვითარების ისტორიაში.

5

ნ. ბარათაშვილის მწუხრი სული და უნდობი გონება, გაღრმავებული პოეტის შეხედულებით, რომ ცხოვრება ამაოებაა და ფუჭი, რომ „წუთისოფელი ოდენ საწყაულია აღუვსებელი“, გამოუვალ, ჯადოსნურ რკალში უნდა მომწყვდეულიყო, პოეტს, უსაზღვრო სასოწარკვეთილებამდე მიხულს, ცხოვრებაზე ხელი უნდა აეღო, როგორც მრავალი რომანტიკოსი იქცეოდა, და იმ სოფლის პასიურ მზერასა და მტანჯველ ლოდინში უნდა დაეღია თავისი ცხოვრება.

მაგრამ ჩვენი მგოსნის სიღიადე და თავისებურება სწორედ იმამა, რომ ის ამ წყვილიადისა და უფსკრულის წინაშე არა ტყდება, არ იკარგება, არც იღუნება და მთელი მტკივნეულობითა და შეგნებით, სხვათა გასამაგრებლად, გამოსაფხიზლებლად, წარმოსთქვამს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

აქ ნ. ბარათაშვილის სევდიან, დროდადრო მაინც პესიმისტურ მსოფლმხედველობაში ერთგვარ გარდატეხასა ვხედავთ. აქ ისახებო-
თუმცა ჯერ მეტად მკრთალად, ის მებრძოლი ძალა და განწყობილე-
ბა. რომელიც ზოგიერთ რომანტიკოსს (მაგ., ლერმონტოვს, ბაირონს)
ახასიათებდა და აგრეთვე დამახასიათებელი იყო ჩვენი მგოსნისათვის
მისი შემოქმედების მეორე პერიოდში, რომელიც, ჩვენი შეხედულე-
ბით, 1839 წლიდან ამკარავდება პოეტში და სიკვდილამდე გრძელ-
დება.

ეს ის პერიოდია, როდესაც პოეტში ამოძრავდება საღი მაჯისცე-
მა, მასში ილვიძებს აქტიური მოქმედების, ბრძოლის განწყობილება.
როდესაც მან იგრძნო სინამდვილესთან თვალდია მისვლის მოთხოვ-
ნილება, იგრძნო აზრიანი ცხოვრების გზის გამონახვის აუცილებლო-
ბა. ეს ის პერიოდია, როდესაც ნიკ. ბარათაშვილმა დაწერა პოემა „ბე-
დი ქართლისა“, როდესაც მან, გამსჭვალულმა ბრძოლის ჟინით, იმე-
დიანად თქვა ლექსში „არ უკიეინო სატრფოო“:

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდნი.
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო...

და მართლაც, ნ. ბარათაშვილი სინამდვილეში გახდა წინამორბედი
ქართული კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებისა მე-19 საუ-
კუნეში, ის ნიჭიერი წინამორბედია ჩვენი 60-იანი წლების ლიტერა-
ტურული ცხოვრებისა.

ეს ის პერიოდია პოეტის ცხოვრებაში, როდესაც ამდენი ხნის
დაუქმავოფილებელი მოქმედების წყურვილით დატანჯული მგოსანი
ცდილობს გაექცეს „თვალბედითს შავ ყორანს“, გაკვეთოს ქარი,
გააპოს წყალი, გარდაიაროს კლდენი და ღრენი: როდესაც მზადაა მო-
შორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობართა, ველარ იხილოს
მშობელი და სატრფო ტკბილ-მოუბარი. თანახმაა არ დაიმარხოს
თვისსა მამულში, თავის წინაპართა საფლავებს შორის, ნუ დაიტეროს
სატრფომ გულისა, ნუ დაეცეს ცრემლი მწუხარის; დეე, ყორანმა
გაუთხაროს საფლავი მდელთა შორის ტრიალის მინდვრის და ქა-
რიწხალმა ძვალთა შთენილთა ღრიალით მიწა მიაყაროს — ოღონ-
დაც კი „ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნოს პოეტმა თავისი „გულის
საიდუმლო“.

ნ. ბარათაშვილის „მერანი“ რაღაც დამატყვევებელი, მძიმე ტანჯ-

ეს სიმფონიაა თავგანწირული პოეტისა არსებულთან შეგნებული შეურიგებელ ბორგვისა და ბრძოლისა სიმწვეავითა და შთამაგონებელი სიძლიერით გამოხატული. მკითხველის გულსა და ტვინს სიღრმემდე სწვდება პოეტის მერანისადმი მიმართვა:

გაჰკეთე ქარი, გააჰე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი. გაჰკურცხლე და შემომოკლე მოთმენელსა საეალნი ღღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა აედარსა,
ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა*.

ესეც ხომ ძლიერი და რომანტიკული აღმაფრენის მიმზიდველი ძალის განაახიერებაა! მაგრამ არა პასიური, წყნარი, ნაღვლიანი, როგორც ამას პოეტის შემოქმედების პირველ პერიოდში ეხედავთ, ე. ი. 1839 წლამდე, არამედ აქ პოეტი მძლავრია, დაუდგრომელია, ბაირონისებურია, ლერმონტოვისებურია.

მ. ლერმონტოვი, ნ. ბარათაშვილის თანამედროვე, ისეთივე გარდამავალი პერიოდის პოეტი, როგორც ჩვენი მგოსანი, ამგვარსავე განცდას იძლევა თავის ლექსში „Парус“:

Под ним струя светлей лазури,
Над ним луч солнца золотой,
А он мятежный просит бури,
Как-будто в бурях есть покой.

როგორც ნ. ბარათაშვილის, ისე რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ასეთი განწყობილებით უნდა აიხსნას რომანტიკული თანაგრძნობა დაახლოებით ამავე გარდამავალი ეპოქის ძიების განწყობილების გამოხატულების ნაპოლეონისადმი ჩვენი პოეტის ლექსში „ნაპოლეონ“. ნ. ბარათაშვილი კმაყოფილებისა და თანაგრძნობის ტონით, გვაძლევს რა ნაპოლეონის შინაგან ტიტანურ რწმენას თავისი ნამოქმედარის სისწორესა და გამარჯვებაში, სიტყვებით —

რა, არა მწამს, რომე ბედმა მე შიორგულოს;
მე მან გამზარდა და თვის გაწრთენილს რაღა მიხეობს? —

თვითონაც თანხმობისა, კმაყოფილებისა და თანაგრძნობის გამოხატვით დაასკვნის:

ბევრი დღე გაეა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვჰსენათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მის ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირვებებს!••

* ნიკ. ბარათაშვილი, „მერანი“, გვ. 36.

•• მისივე, „ნაპოლეონ“, გვ. 18.

„მერანში“ ასახული განცდა ხომ უარისყოფაა როგორც არსებული ყოფისა და მისი წმინდათა-წმინდისა, ისე ძველისაც! „მერანში“ ხომ ვგრძნობთ რაღაც ახალის ძიების უფრო მწვავე ტკივილებს, ვიდრე წინა პერიოდში!

ნ. ბარათაშვილის „მერანს“, ექვს გარეშეა, ადამ მიცკევიჩის „ფარისის“* ზეგავლენა ამჩნევია. უნდა ითქვას, რომ „ფარისის“ გავლენა ჩვენს მგოსანზე მხოლოდ გარეგნულია. ბარათაშვილს მხოლოდ „ფარისის“ ფორმა აქვს აღებული (შესაძლებელია სრულებით შეუტყობლადაც იყო ეს გადმოღება), თვით შინაგანი აზრის განვითარება და დაბოლოება ამ ორ ნაწარმოებში განსხვავებულია. „ფარისში“ მხედარი მიზანს აღწევს, თუმცა დიდი ბრძოლისა და წვალების შემდეგ, „მერანში“ კი მხედარი მიზნისაკენ თავდავიწყებით მისწრაფებაში არაჩვეულებრივ კოშმარულ ტკივილებს განიცდის. „ფარისში“ მიზანმიღწეული მხედარი შერაგებულია და დამშვიდებული, „მერანში“ კი ყვავე-ყორნით გულმკერდნაგლეჯი მხედრისათვის მიზანი და იმედი წყველიად ბურუსში იმალება.

როგორც ადამ მიცკევიჩს ვაცლავ რევესკის ბედმა, შესაძლებელია, სრულებით შემთხვევითი საბაბი მისცა „ფარისში“ პოლონეთის ცხოვრების აპოთეოზი მოეცა, ისე ილია ორბელიანის ტყვედ წაყვანამ ნიკ. ბარათაშვილს საბაბი მისცა (უდავოდ, ესეც შემთხვევითია) მის შემოქმედებით ლაბორატორიაში დადებული ტკივილები, თავის ეპოქისა და კერძოდ საქართველოს მდგომარეობით გამოწვეული, „მერანში“ ასე მძლავრად აესახა.

ასეთი მსგავსება სრულებითაც არ ამცირებს ბარათაშვილის „მერანის“ არც დიდ პოეტურ ღირსებას, არც მის ორიგინალობას და არც მკითხველის დიდს შთაბეჭდილებას ანელებს. „მერანი“ მკვეთრი გამომხატველია ჩვენი პოეტის შემოქმედებისა და განწყობილების მეორე პერიოდში, ე. ი. 1839 — 1845 წწ.

გავერკვიოთ პოეტის სულისკვეთებაში, როგორც ეს ამ პერიოდის განმავლობაში მის შემოქმედებაში ისახება.

როგორც დავინახეთ, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას დასაწყისიდანვე ახასიათებს რომანტიკული მიმართულების ძირითადი თვისებანი: ჭმუნვა, სევდა, მარტოობა, უიმედობა, უკმაყოფილება, ძიება. მაგრამ მისი შემოქმედების პირველ პერიოდში მათ გამოხატვას პასიური ხასიათი აქვს. შემოქმედების პირველ პერიოდში პოე-

* ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ ქართულად თარგმნილია სოლ. რაზმაძის მიერ. თარგმანი ს. რაზმაძეს გრ. ორბელიანისათვის გაუგზავნია გალას-

ტი მხოლოდ თავის შინაგან გრძნობათა და სულიერ განწყობილებათა ანალიზშია; თავისი უღონობის მაღიარებელია.

მეორე პერიოდში კი, თუმცა პოეტის შეგნებაში „შავი ბედის ლახვარნი“ უფრო მსწრაფლნი არიან, მაგრამ ის პასივობას აღარ იჩენს. ჭმუნვა-მწუხარების, „სულის ობლობის“ და უიმედობა-უილაჯობის განცდათა ანალიზი მის ნებისყოფას ვეღარ აღუნებს. პირიქით, პოეტი აქტივობას ხატავს, პროტესტს აცხადებს, არ უნდა დაემორჩილოს ცხოვრების ჩარხის ტრიალს:

არ დაიჩნოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარისოცეთ ცრემლიცა მწარნი*,

მიმართავს მეგობრებს 1841 წელს თავის გრძნობებზე გამარჯვებული პოეტი ლექსში „ჩემთმეგობართ“.

აქედან უკვე მგოსანი აქტიური სურვილის, ბრძოლის გამომხატველია.

პოეტი ახლა უფრო მწვავედ და მკვეთრად გრძნობს, თუ „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთმა სულმა ბოროტმა“, როგორ „წარუღო სულის მშვიდობა და მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. პოეტი ამ „სულსა ბოროტსა“ ახლა გაბედულად და გამომწვევი კადნიერებით ჰკითხავს:

მარკვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალება,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?*

და აფორიაქებული, მოტყუებული პოეტი ძლიერი გულისწყრომით შესძახებს:

წყუელიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მიეანდობდი, ეუმსხვერპლიდი ჩემთ გულის თქმათა!
მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა!
და ვერც ლელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

სინჯავად, ასე, რომ „ფარისის“ თარგმანი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ცნობილი იყო. „ფარისის“ ბარათაშვილი, ალბათ, რუსული თარგმანიტაც იცნობდა. გიმნაზიაში სწავლის დროს მოსწავლეებს მასწავლებელი დემენტრევი გატაცებით აცნობდა მიტკევიჩს.

* ნ. ბარათაშვილი, „ჩემთმეგობართ“, გვ. 27.

** მისივე, „სულსა ბოროტსა“, გვ. 40.

და ბოლოს აღშფოთებული მგოსანი, თითქოს მას თვალი აეხილა, სინამდვილე თვალშიამ დაინახა. შეურიგებელი, კატეგორიული ტონით მიმართავს:

განვედი ჩემგან. პოე მაცთურო, სულო ბოროტო!

მიუხედავად პოეტის ასეთი აწეწილი, აფორიაქებული ცხოვრებისა, მოქმედებისა, განცდისა: მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების სიცარიელე და ამაოება შრეტს მის ცხოველმყოფელ ძალას; მიუხედავად იმისა, რომ მას „წარღებული აქვს სულის მშვიდობა“, მოკლეული ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება, დარჩენილია „აწ სოფლად უსაგნოდ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“: მიუხედავად იმისა, რომ „ბოროტის სულის“ მსახვრელი ხელი დაუნდობლად ღრღნის მის გაშმაგებულ გულსა და გონებას, — მაინც ახლა უნუგეშო და უკუღმართი ცხოვრება, თვით „თვალბედითი შავი ყორანი“ პოეტს ველარ იმორჩილებს, მას ის გადაჭრილ შეურიგებლობას. ბრძოლას უცხადებს და მტკიცედ თავის მერანს ასე მიმართავს:

i

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი.
თუ აქამომდე არ ემონა მას. არც აწ ემონოს შენი
მხედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი!

ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!*

ახლა თვით პოეტია „ბედის“ „მოსისხლე მტერი“. პოეტი მას გადაწყვეტით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს. მაგრამ ეს ბრძოლა პოეტის მხრით რევანში არ არის. ეს ახალი ბრძოლის დასაწყისია. პოეტს წარსულის აღდგენა კულტად არ გაუხდია. ამაშია ნ. ბარათაშვილის უდავო განსხვავება სხვა ქართველი რომანტიკოსებისაგან. წარსულის ნაღველი მას იარაღით, მართალია, აღბეჭდვია, მაგრამ მწველ ტკივილებში პოეტის შეგნება ახალი რჩენის გზას და საშუალებას ჰკვანძავს. ის უკან კი აღარ იხედება, საიდანაც „თვალბედითი შავი ყორანი მოსჩხავის“, არამედ წინ ისწრაფვის თავისი დაუღვრომელი ნიჭისა და ბუნების მთელი გაქანებით.

ჩვენი მგოსანი თავისი მდიდარი ინტუიციის საშუალებით ამ სოფელს იქით გრძნობს სხვა, ახალ ქვეყანას, ახალ ცხოვრებას, მისაღებს, სასურველს, აწინდელის გამგრძელებს.

* ნ. ბარათაშვილი, „მერანი“, გვ. 33. დაყოფა ჩვენი.

ბელს. ამ ახალ ცხოვრებას მისი „განწირული სულისკვეთება“ ერთგვარ მსხვერპლად, „გზად და ხილად“ უნდა დაედოს. მას სწამს, რომ „გზა უვალი“, მის მიერ ასეთი მსხვერპლით „თელილი... მოძმეს სიძნელეს გზისას გაუადვილებს“ და მოუძმადებს მას ნიადაგს „შავს ბედთან“ საბრძოლველად.

ამაში ჩანს დიდი რომანტიკოსის ფართო ბუნება და ორიგინალობაც. ის ვერ დაკმაყოფილდა ცხოვრების გარეშე სრბოლით, ვერ დაკმაყოფილდა ცხოვრების ყოველმხრივი გამანადგურებელი ანალიზის გაკეთებით, როგორც ბევრი დიდი რომანტიკოსიც... პირაქით, მან ცხოვრების თავისებურ უარყოფაში დაგვანახვა რაოდენ დიდი და ძლიერი იყო მისი მიზიდულობა ცხოვრებისადმი.

ნ. ბარათაშვილის ეს მწვავე უარყოფა ცხოვრებისა, უდავოდ, გვაჩვენებს პოეტის მისადმი დიდსა და განუსაზღვრელ სიყვარულს, რომლის დაკმაყოფილებასაც თანამედროვე ცხოვრებაში ვერ პოულობდა და ასე თავდავიწყებით ეძებდა ლაგამშიშვებულ მერანზე მჭდომი შეუპოვარი და თავგანწირული მხედარი. ბარათაშვილის ცხოვრების უარყოფაში ვხედავთ მის დაუკმაყოფილებელ სურვილსა და სიყვარულს ცხოვრებისას.

დიახ, ნიკოლოზ ბარათაშვილის კაეშნიან მუზას თითქმის სავსებით ასაზრდოებს მისი ცხოვრებისადმი დაუძლეველი სიყვარული. სწორედ ამით აიხსნება, რომ მეორე პერიოდის შემოქმედებაში პოეტი ლამობს ობიექტური ცხოვრების, მასთან დამოკიდებულების განსახიერებას.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მეორე პერიოდში ჩვენ ვხედავთ იმ დრამასა და დიდ გარდატეხას, რომელიც ამ დროს ისახება ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში.

ჩვენმა მგოსანმა თავისი გენიოსური ინტუიციით შესძლო ამ გარდატეხის აუცილებლობის გაგება, რომელიც მან შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

უდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს!*

* ნ. ბარათაშვილი, „მერანი“, გვ. 33. დაყოფა ჩვენია.

ბარათაშვილის ახალი ცხოვრების წინაგრძობით გამოწვეულ აფორიაქებული მისწრაფებების უფრო გარკვეული განსახიერება, მართალია, ცოტა მოგვიანებით შესძლო ჩვენმა მეორე დიდმა მგოსანმა, ბარათაშვილის ნიჭიერმა მემკვიდრემ, ილია ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით:

მას ნულარ ვსტირიოთ, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს ღრით ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ნ. ბარათაშვილი, ჩვენის ფიქრითა და რწმენით, მომავლის ამ გზის გამონახვისა და განმტკიცების ატმოსფეროში უნდა შესულყო მთელი თავისი მოუსვენარი, ძლიერი და ცხოველი ტემპერამენტით. ფართო და გამახვილებულად მგრძობიარე ინტუიციით, რომ უღროოდ სიკვდილს არ მოესპო მისი სიცოცხლე, მისი ჩანგის ქლერა. ეს მისია 60-იანი წლებიდან ღირსეულად შეასრულა ილ. ჭავჭავაძემ.

6

ნიკოლოზ ბარათაშვილი, შემოქმედების მეორე პერიოდში რომ ლამობს ობიექტური ცხოვრების მსვლელობის საიდუმლოება გაიგოს და მასთან თავისი დამოკიდებულება განასახიეროს, გასაგებსა ხდის ჩვენთვის იმ გარემოებას, რომ შემოქმედების პირველისა და მეორე პერიოდის უღელტეხილზე უილაჯო, უიმედო, გაწვალებული პოეტი გადადის ჩვენი ისტორიის წარსულში, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში თავისი შედეგებით სინამდვილე იყო. პოეტი ცდილობს თავისი პირადი და აგრეთვე მთელი ქართველი ხალხის ტრაგედიის გასაღები მოგვცეს პოემაში „ბედი ქართლისა“.

ნ. ბარათაშვილი ამ ნაწარმოებში რომანტიკული აღმაჯურენა: რკალიდან გამოსვლას ლამობს, თანამედროვე ცხოვრების უღროობის მიზეზთა გამონახვას ცდილობს. ამ მიზნით ჩვენი უახლოესი წარსულის სურათს შლის, თავს უყრის და ანალიზს უკეთებს ამ ფაქტებს, რომელთაც ქართლის ბედი გადასწყვეტეს.

რომანტიკოსები ჩვეულებრივ არასოდეს არა ცდილობდნენ ტუპის შექმნას, ძინი ჩვეულებრივ განსაკუთრებული ხასიათის გმირებს ხატავდნენ. რომანტიკოსების შემოქმედების გეზი მიმართული იყო არა სოციალურ-ტიპიურისკენ, არა სინთეზური ხასიათისაკენ, არამედ ინდივიდუალურ-გამონაკლისისაკენ.

ამ გამონაკლის პიროვნებას რომანტიკოსები ჩვეულებრივ ის-

ტორიის სინამდვილის გარეშე ავითარებდნენ: ეს პიროვნებები არ ხასიათდებოდნენ სოციალურ-ტიპიური. კონკრეტულობით, ისინი აბსტრაქტული იყვნენ მაშინაც კი, როდესაც ფორმალურად გარკვეულ სოციალურ-ისტორიულ გარემოში იყვნენ ჩაყენებულნი. კონკრეტული ისტორიული მეზობლის, მეამბოხის მაგიერ, მაგალითად ბ ა ი რ ო ნ ი ს შემოქმედებაში, მოცემულია სიმბოლო მეზობლისა, ან მეამბოხისა (აგრეთვე დემონი, მწირი — ლერმონტოვისა).

ბარათაშვილი კი ისტორიიდან იღებს კონკრეტულ მომენტს და კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებას (ერეკლე II, სოლომონ მსაჯული). მართალია, არაჩვეულებრივ პიროვნებებს ჰხატავს პოეტი, მაგრამ მათი სახით, უდავოდ, მოჩანს ტიპიური წარმომადგენელი ორი მოწინააღმდეგე მიმართულებისა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში XVIII საუკუნის მიწურულში რუსეთის ორიენტაციის საკითხის გარშემო. ამაშია ბარათაშვილის ცდა რომანტიკული რკალიდან გამოსვლისა.

ქარგა პოემისა ასეთია:

ალა-მაჰმად-ხანი მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოს სამხრეთით მოადგა. ქართველობა პატარა სამხედრო ძალით მეფე ერეკლეს მეთაურობით მტერს კრწანისში შეხვდა. ძლიერია სიყვარული ქართველთა მამულისადმი და თავისუფლებისადმი. ძლიერია სიყვარული ხალხისადმი მხედრული ნიჭის შარავანდედით მოცული მეფე ერეკლე მეორისა. დიდია აგრეთვე სიყვარული ჯარისაც ერეკლესადმი. საკმარისია პატარა კახის გამოჩენა, რომ ჯარი გამხნევდეს, გალომკაცდეს: „ოდეს ქართველი ირაკლის ნუგეშად ჰხედავს, მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს“. მეფის გამხნევებაზე ბრძოლის ველზე მას ხალხი სიყვარულით შესძახებს:

შენი გამჩენის ქირიმე, შენი!

რომ გავვაგონე კელავ ხმა სალხენი!..

ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხრცებით.

ოღონდ შენ იყავ, მეფევე, დღევგრძელი!

და მართლაც, მტერს ქართველნი კრწანისის ველზე გულდაგულ დაერივნენ, „შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი“. ქართველები „ვითა ნადირსა მშვიერი ლომი“ ეკვეთნენ სპარსთ. ორივე მხარემ გამწარებული ბრძოლა დაიწყო. „მტკვარს შერთეს სისხლისა ღვარნი“. მხოლოდ ბინდმა გაყარა მტერნი. გამარჯვებულნი დარჩნენ ქართველნი.

მაგრამ ეს გამარჯვება ქართველებს ძვირად დაუჯდათ. ბრძოლის ველიდან ბევრი ცოცხალი ველარ გამოვიდა. შემციირდა ქართველთა ჯარი. მეფე ერეკლემ დაინახა, რომ ალა-მაჰმად-ხანის უპარავ

ძალას პირდაპირ ველარ გაუმკლავდება. არჩია ციხეში გამაგრება. მაგრამ აქაც უმუხთოლა ბედმა. „მუხთლისა ანგართა ხელთა აპყარეს მამულს სიმტყიცის ბჷენი“ და მით „მტერს უმსხვერპლეს თვისი მამული“. აღა-მაჰმად-ხანმა ციხე მოსყიდვით აიღო. თბილისი ხელში ჩაიგდო და ააოხრა. მეფე ერეკლე ტყვედ რომ არ ჩაეარდნოდა მტერს, ძალით მთიულეთისაკენ, არაგვის ხეობაში წაიყვანეს.

ამ უკანასკნელმა დამარცხებამ, შინაური ურთიერთქიშპობით დამძიმებულმა, გატეხა ნიჷიერი მხედარი — მოხუცი მეფე ერეკლე. ეს დამარცხება თითქოს უკანასკნელ წვეთად შეიქმნა, რომელმაც აავსო მოთმინების ფიალა შეუპოვარი და გულგაუტეხელი ერეკლესი.

ამ ბრძოლის შემდეგ, აქ არაგვის ხეობაში, ერეკლე თავის ბრძენსა და ერთგულ მსაჯულს სოლომონს (ლიონიძეს) უმხელს თავის საიდუმლოებას რუსეთთან შეერთებისას*, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გარეშე და შინაურ მტერთან ბრძოლით გამოწვეულ უბედობაში და მწუხარებაში იქსოვებოდა.

შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება,

აწ ჩემ სულის ტვირთს, ჩემს გულის წაღილს,
შენ გაგიმჷლავნებ, ვით საყვარელს შეილს!

მეფე ერეკლესა და მისი ერთგული მსაჯულის სახით ნ. ბარათაშვილი ცდილობს დაგვიხატოს ის ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც საქართველოში, ქართველ პრივილეგიურ კლასში რუსეთთან შეერთების საკითხის გარშემო არსებობდა. ეს საკითხი მწვავე და ძნელი იყო ქართველთათვის არა მარტო საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ, არამედ თვით ნ. ბარათაშვილის დროსაც. განსაკუთრებით მაღალი წოდებისათვის ეს საკითხი მეტად მტკივნეულად იდგა.

ერთი მომხრეა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, მეორე კი წინააღმდეგი**.

პოეტი თავის პოემაში ცდილობს ობიექტური ანალიზი გაუქყ-

* აქ ისტორიული ლაფსუსია დაშვებული. აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება მოხდა 1795 წელს. რუსეთთან ხელშეკრულება ერეკლე II-მ ოფიციალურად უკვე 1783 წელს დადო. ანუ რომ, 1795 წელს სოლომონისათვის არ უნდა ყოფილიყო ახალი ერეკლეს გადაწყვეტილება.

** უფრო დაწვრილებით ეს საკითხი ზევით გვაქვს განხილული.

თოს როგორც ისტორიულ ფაქტს, ისე მოსაზრებებს, როგორც შეერთების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ.

მეფე ერეკლე, რომელიც რუსეთთან შეერთების მომხრეა, აი როგორ ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას:

ერეკლე აღნიშნავს, რომ მისმა გამუდმებულმა ცდამ — შეედუღებინა და შეეერთებინა ქართველობა, — სამწუხაროდ მისდა, უნაყოფოდ ჩაიარა. ამის შედეგად მას და მით ქართველობას სამკედრო-სასიცოცხლო მომენტში, გამძვინვარებულ ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლაში შვილებმაც კი უღალატეს. ეს ღამთავრდა თბილისისა და საქართველოს აოხრებით.

აი როგორ შეათვასებს ამ ისტორიულ ფაქტს მეფე ერეკლე (და ეს შეფასება ხომ თვით პოეტისაა!):

ამიერთგან გაქეზებული
მაჰმადხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა;
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა:
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს.

ასეთი სურათი და მდგომარეობა ეხატება ერეკლეს გარედან. რა მდგომარეობაა შიგნით? არის საშუალება, რომ ყოველი მხრივ მოწოლილ მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს? ამის პასუხიც მეფის შეგნებაში აშკარაა და სამწუხარო.

და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა ჰკვლენ...
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახვივარ.
აბა რომელ შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
...

ერეკლეს სწორედ ეს მეორე გარემოება უფრო აწუხებს და ძალას აცლის. სწორედ ეს შინაურული უწყესრიგობა და გაუტანლობა, შედეგი აშლილი ფეოდალური წყობილებისა, სტეხს საქართველოს ცხოვრებასაც და მის შეუპოვარ გულსაც. პოეტს უნდა ერეკლეში „თავის დიდებისათვის სისხლთა ამჩქეფი“ მეფე კი არ დაგვანახოს, არამედ ადამიანური ვრძნობა კეთილი მამისა, რომელსაც ნადაგი შერყეული აქვს, მყარი მდგომარეობის უქონლობა-უიმედობით აქვს გული დასერილი, რომელსაც ჰსურს შვილი სიცოცხლეშივე დაასახლკაროს და ერთგვარი კრძალვით, თითქოს რცხვინოდეს თავისი ადამიანური სისუსტისა. ზრახვათ გაუმქლავნებს ჰკვიანსა და ერთგულს მსაჯულს:

აბა, რას მიჩნევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შეილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი..
დიდიხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება,
მას შინდა მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა.

სოლომონი განცვიფრებულია და აღშფოთებული გაგონილით. მას არა სჭერა, რომ ერეკლეს გულის ასე შეცვლა შეიძლება. საერთო მდგომარეობა საქართველოსი მას ჯერ კიდევ არ მიაჩნია ისე სავალალოდ და მძიმედ, „რომ განვისუილოთ თავისუფლება“ და კაღ-ნიერებით მეფეს მოახსენებს საწინააღმდეგო მოსაზრებას:

იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწუნაროს რუსთ მეფობამა.
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენტ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ?

ასეთისავე აზრისაა სოლომონის ცოლი სოფიოც. ქმარი მას გაუმხელს მეფის გადაწყვეტილებას. თითქოს, გამოსაცდელად ეუბნებოდეს, ეტყვის, რომ ქალებისათვის ბედნიერი და სასიამოვნოდრო დადგება. რუსთ ხელმწიფის კარზე ფუფუნებასა და განცხრომამში იცხოვრებენ. ამის გაგონებაზე ცოლიც აღშფოთდება და თავის განცდას მკვეთრი და მშვენიერი შედარებით გამოხატავს:

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?

სოლომონის ცოლის სოფიოს დახატვით და ჯარის ერეკლესადმი დამოკიდებულებით — „ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხო-

ცებით, ოღონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგრძელი!“ — პოეტს უნდა სოლომონის პოზიცია გაამაგროს, უნდა დაგვანახვოს, რომ „თავისუფლების გაყიდვით“ ქართველობა მშვიდობას მაინც ვერ იპოვებდა. მოწინააღმდეგეთა ბანაკი პოემაში არც ისე მცირეა, მათი საბუთიანობა არც ისე უსაფუძვლოა.

მაგრამ სოლომონის დასაბუთებულ პასუხს ერეკლე შემდეგ მოსაზრებას დაუპირისპირებს:

მე ეგ ყოველი არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჭობეს ამის?

ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უპკრეტდეს იგი ომსა დღე-ღლითი!

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველოჲა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჭაერი სპარსეთის...

ხედავს სოლომონ მსაჯული მეფის მტკიცე და ურყევე გადაწყვეტილებას და აღშფოთებული კვლავ ჰკადრებს:

განზრახვა შენი, მეფევე, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება.
თუ აქვთ თვისთ ქერთ-ქვეშ თავისუფლება!

სოლომონის ეს პასუხი მეფეში მხოლოდ საშინელ ტკივილებს აშლის და თითქოს სურს სოლომონი თავის გულწრფელსა და უანგარო ზრახვაში დაარწმუნოს და მწუხარებით უპასუხებს:

სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ, აბა, სთქვი, ქარლველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?

აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა და იცავს რუსთ-ხელმწიფება!

ეს არგუმენტი ერეკლესი, უდავოდ, დიდია. პოეტს კარგად და სწორად ესმის, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი პოლიტიკური აუცილებლობის საკითხია — რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრე-

ბის ზრდასა, ხოლო საქართველოსი, პირიქით, დაკნინებისა. ამიტომ — რომ პოეტი სოლომონის პოზიციას, შემოყვანილი მოქმედი პორით — სოფიოთი და ჯარის განწყობილებით მეფისადმი, აძლიერებს. არ უნდა მისი საკითხის გადაწყვეტილება ცალმხრივი, სუბიექტური გამოვიდეს.

ასეთია მამულისათვის მსჯელობა. ქართლის ბედის გასამართლება ორი ტიპური მამულიშვილის მიერ. მათში, როგორც ზევითაც ვთქვით, ქართველი საზოგადოების ორი სხვადასხვა მიმართულებაა მთელი თავისი საბუთიანობით მკვეთრად გამოქანდაკებული.

რომლისკენაა საბოლოოდ ავტორის თანაგრძნობა, ძნელი სათქმელია. ისეთის ობიექტურობითაა გადმოცემული, გაშიშვლებული და გადაშლილი ორივეს გული, ისეთის ცოდნითაა გათვალისწინებული ამ საკითხის სირთულე და სიძნელე, რომ ამგვარი ასახვა რეალისტ მწერალსაც კი გაუძნელდებოდა. ავტორი თითქოს ამ ორი მოწინააღმდეგე ხასიათის საბუთიანობას სდებს სასწოროზე და თანასწორობა განსაცვიფრებელია. თვით ავტორს წარბეუხრელს, მაგრამ დასევდიანებულს, სასწოროს ყური ხელშეუტოკებლივ ხელთ უჭირავს. საკითხის გადაწყვეტა ავტორისათვისაც კი ძნელი შეიქმნა. დიდმა რომანტიკოსმა ნ. ბარათაშვილმა პოემაში „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ რეალისტი მხატვარივით ორივე მიმართულების წარმომადგენელთა ცოცხალი და მკვეთრი სახე მოგვცა, როგორც ეს სინამდვილეში იყო. საკითხის გადაწყვეტა თვითონ არ იკისრა და არ იკისრა იმისათვის, რომ თვითონაც, როგორც მაშინდელი ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა, ჯერ არ იყო სავსებით გარკვეული. „ბედი ქართლისაში“ ნ. ბარათაშვილმა დაგვიხატა ამ საკითხის გარშემო შექმნილი გამწვავებული და გამოურკვეველი ტკივილები. თვითონ ჩვენ ასე გვეხატება: როდესაც პოეტი ამ ისტორიულ ფაქტს ანალიზს გონებით გაუკეთებს, ის ვფიქრობთ, ერეკლეს მხარესაა, მისი ნაბიჯი მას სწორად და აუცილებლად მიაჩნია; მაგრამ გრძნობა სხვას ეუბნება, გრძნობა სოლომონისავე იხრება. აი ეს ბრძოლა გონებასა და გრძნობას შორის აწონასწორებს სასწოროს და პოეტს გამოურკვეველს მდგომარეობაში სტოვებს.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსი-დილოგი „სუმბული და მწირი“ ამავე მოტივზეა გაშლილი. სუმბულის სახით მოცემულია ეროვნულ წიადაგს ჩამოშორებულის უკმაყოფილო სულისკვეთება: მწირის სახით თვით პოეტია. მწირის შეკითხვაზე —

ნუთუ ვერ პოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს,
რომ მზე ვერ გაჰქნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

სუმბული უკმაყოფილო გაკვირვებით და მასთან დამაჯერებლად უპასუხებს, რომ მისთვის დიდსა და მშვენიერს სახლს არა აქვს ღირებულება, რადგანაც, „ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი“, როდესაც ის მოკლებულია თავის ბუნებრივ გარემოს, რაც აძლევდა მას სიცოცხლეს, სიმშვენიერეს, ძალას, ხალისს:

არა მევლება გარე წყარო ცივი. კამკამი;
არა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიაფი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
და მაველის ბუტყი მზისა სხივთა არა უჩრდილებს?

მწირი მოაგონებს სუმბულს, რომ მზრუნველმა კაცის ხელმა ის მკაცრი ზამთრისაგან იხსნა, ზამთრის სუსხი მას უწყალოდ მოჰკლავდა, მაგრამ სუმბული მაინც ღრმად დარწმუნებულია თავისი სულისკვეთების სიმართლეში. ის გრძნობს, რომ მას „უქამოდ ეღება ბოლო“. მისი რწმენით, ზამთარი არაა საშიში, რადგანაც

ზამთრით ბუნება არა კვდება, — სევდით იმოსვის.
რომ თავის სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!
და მუის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცელის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ენახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

სუმბული ეძებს თავის მშობლიურ ნიადაგს, რადგანაც მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მისი ბუნებრივი განვითარება, ზრდა და სიხარული.

მწირიც თავისი მდგომარეობით შეშფოთებულია. ისიც ეძებს თავის ყვავილს (იგულისხმება პოეტური შემოქმედების სწორი, გამართლებული გზა), რომელიც სუმბულისათვის „განაშორეს სამშობლო ველსა“. მწირი შიშობს, რომ ისიც უღროოდ არ დააქნოს უწყალო ხელმა და არ დაუკარგოს მას სუნი „ქირთუქუმყარელი“. მწირი (პოეტი) შიშობს, რომ ამგვარ პირობებში ვაი თუ მისმა ნიქმა დაკარგოს თავისი გზა და ის ღირსეულად მან ვერც გამოიყენოს.

აქაც, თითქოს ნიკ. ბარათაშვილის შეგნებაში აღგილი აქვს მერყეობას, მდგომარეობით უკმაყოფილო გრძნობა სჭარბობს, ექვი, უკმაყოფილება ძალუმად ღრღინის პოეტის გულსა და გონებას.

მაგრამ ცოტა მოგვიანებით, იმავე 1842 წელს, ნ. ბარათაშვილი წერს ლექსს „ს ა ფ ლ ა ვ ი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა“, რომელშიც პოეტი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში თითქოს უფრო ერკვევა. თანამედროვე ცხოვრება თითქოს მას ნუგეშს აძლევს.

და მიზეზს ამ თანამედროვეობისას, მეფე ერეკლეს, აღფრთოვანებული ასე მიმართავს:

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ესკამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა, აწ
შენნი ძენნი.

ეამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო,
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ლელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა
მოსისხლე მტერთა
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა
მოძმეთა*.

და ბოლოს პოეტი ამ ოდას, რომელიც მოგვაგონებს ა. პუშკინის „Полтава“-სი და „Медный Всадник“-ის შესავალში ოდას პეტრე დიდისადმი მიმართულს, ასე ათავებს:

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

როგორ უნდა ავხსნათ ეს ლექსი? ბარათაშვილმა ამ საკითხში შესძლო თუ არა გამორკვევა? გვგონია, რომ ეს ლექსი დაწერილია რომელიმე შემთხვევის გამო, რუსის „ძღევამოსილი“ ჯარის დახმარებით მეზობელ, ქართველთა ისტორიულ მტერზე გამარჯვებით გამოწვეული. თუ გნებავთ, ეს პოეტში გაღვიძებული ერთგვარი შურისძიებაა. ეს ერთი მომენტია მის ცხოვრებაში და ამ ლექსში განსახიერებული.

მაგრამ არის სხვა მომენტებიც. ამ ლექსს ნიკ. ბარათაშვილი, როგორც სათაურის მინაწერიდანაც ჩანს, უძღვნის „კნიაზს მ... პ... ბარათაევს“. ეს ბარათაევი-ბარათაშვილი ცნობილი მეცნიერი-ნუმისმატიკოსი იყო, რომელიც ირკვევდა და აწავლობდა ქართულ ფულებს და დასწერა ამ საკითხის შესახებ მშვენიერი გამოკვლევა. ეს ბარათაშვილი იყო რუსეთში გადასახლებულ ქართველთა შთამომავალი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უბნის მეცნიერი-მკვლევარი. მისმა კვლევა-ძიებამ პოეტს იმედი მისცა ქართული კულტურის მოწინავე ერების მსგავსად შესწავლისა, ქართველი ხალ-

* დაყოფა ჩვენია.

ხის მოწინავე ერების ცხოვრებისა და განვითარების ფერხულში ჩაბმისა, რასაც ასე ოცნებობდა ქართველი ხალხი და რასაც ხელს უწყობდა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ამიტომ ნ. ბარათაშვილისათვის ახალ ისტორიულ მდგომარეობასთან შეგუების გზის გამონახვა სასარგებლო და აუცილებელი შეიქმნა. პოეტი, ჩვენის ფიქრით, ამ მიმართულებით უნდა წასულიყო. ამის დამამტკიცებელია ჩვენ მიერ მოტანილი განხილვა პოეტის შემოქმედებისა 1839 წლიდან დაწყებული, განსაკუთრებით პოემა „ბედი ქართლისა“. მაგრამ ამ საკითხში გარკვევა პოეტისათვის შემდეგშიც მეტად ღრმა და ფართო რომანტიკულ წყვილიაღშია გახვეული.

7

ნ. ბარათაშვილი რომ საბოლოოდ ყოფილიყო გარკვეული თანადროულობის მდგომარეობაში, კერძოდ პოლიტიკურ საკითხში ისე, როგორც ჩვენ ეს მოცემული გვაქვს ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“, მაშინ, ალბათ, მისი საუკეთესო ლექსები — „მერანი“ და „სულო ბოროტო“ სხვანაირების შემცველი იქნებოდა. მაშინ პოეტი სხვაგვარად შეებრძოლებოდა „ბედს“ და ასეთი „თავგანწირულის სულისკვეთება“ უფრო გარკვეულად გაიტაცებდა მას ბედის სამზღვრის გადასალახავად. მის „თავგანწირულ“ სულისკვეთებაში სასოწარკვეთილება კი არ იქნებოდა, თუნდაც დემონური, არამედ აღფრთოვანება.

„ბედი ქართლისა“ ჩვენს ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მეტად საგულისხმო გარემოებით. სოლომონ მსაჯული მეფე ერეკლესთან საუბრის შემდეგ მარტო დარჩება. იგი, მეფის ასეთი გადაწყვეტილებით შეძრწუნებული, საგონებელში ჩავარდება. ვერ ურიგდება მეფის ასეთს აზრს და წამოიძახებს:

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამლერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევე, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის ვულის თქმა მეფისი..

მართალია, თავბრუდღასმული სოლომონი, სულიერი ბრძოლას შემდეგ მისტიკურ გამოსავალს პოულობს მეფის გადაწყვეტილებას ასახსნელად: „მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეპირვება: ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიხვდების“. მაგრამ ეს ხომ რეაქციაა საშინელ ტყვილთა, ეს ხომ ბრძოლის შემდეგ ნებისყოფის მოდუნებაა, გრძნობის მოჩლუნგება!

ასე თუ ისე რესპუბლიკური იდეების თესლი, მართალია, სუბტია, გაურკვეველი, მაგრამ მაინც ფაქტია. ეს ადგილი პოემისა აშკარად გვეუბნება განმათავისუფლებელ მოძრაობათა ქროლის გავლენას ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ზ ე .

ეს გავლენა ნ. ბარათაშვილზე შეიძლება აიხსნას დასავლეთ-ევროპის რევოლუციათა ტალღების შორეული პკურებით — რუსეთის გზით. მართალია, ადგილობრივი პრესა თითქმის არ არსებობდა, მაგრამ ბარათაშვილმა რუსული კარგად იცოდა და, ალბათ, თვალყურს ადევნებდა რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურას.

მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი და მართებული იქნება ეს მოვლენა დეკაბრისტების გავლენით აიხსნას. დეკაბრისტებს ნ. ბარათაშვილი იცნობდა იმდენად, რამდენადაც მათ შესახებ მთელი რუსეთი ლაპარაკობდა. ამას გარდა, ნ. ბარათაშვილი დაახლოებული იყო სოლომონ დოდაშვილთან. ეს უკანასკნელი პეტერბურგში სწორედ ამ წლებში ცხოვრობდა და უმადლეს სასწავლებელში ამ წლებში სწავლობდა: ცხადია, დოდაშვილი დეკაბრისტებს, ყოველ შემთხვევაში, მათ მისწრაფებებს, კარგად იცნობდა და თავის ახალგაზრდა ნიჭიერ მეგობარს მათ იღებდაც გააცნობდა. ცნობილია, რომ დეკაბრისტებში იყო ორი მიმართულება: კონსტიტუციური და რესპუბლიკური. შესაძლებელია ამ რესპუბლიკური იდეების გავლენა ნ. ბარათაშვილმა სხვა რომელიმე გადმოსახლებული-დასჯილი დეკაბრისტის უშუალო გავლენითაც მიიღო. მისი ბიოგრაფები ხომ გვიმოწმებენ. რომ მისი მამის სახლში შეხვდებოდით გადმოსახლებულ დეკაბრისტებსო. სამწუხაროდ, ამ მეტად საინტერესო ფაქტის ფამოსარკვევად შესაფერი ბიოგრაფიული ცნობები და მასალები ჯერ არ მოგვეპოვება. ამ საკითხის გამორკვევი-

სათვის საჭიროა სათანადო მასალის შეკრება და შემდეგ გულდასმით მისი შესწავლა.

შესაძლებელია, სხვათა შორის, ამ განმათავისუფლებელი და რესპუბლიკური იდეების გავლენით აიხსნებოდეს ბარათაშვილის ზოგიერთი, იმ დროისათვის, ახალი ცხოვრებისა და დროის მიერ წამოყენებული იდეა.

ჩვენში, როგორც ზევითაც საკმარისად გარკვევით იყო ნათქვამი. ნ. ბარათაშვილის დროის საზოგადოებაში მოწინავე აზროვნება არ მოჩანდა. ნიადაგამოცლილი ქართველი თავადაზნაურობა გაფანტული იყო. ნაწილი ბრძოლის ველზე შამილის წინააღმდეგ მეფის სამსახურის ერთგულებაში გულ-მკერდს ჩინითა და მელ-ლებით ივსებდა; ნაწილიც შეკუთვლილი იყო თავის მამულში და ძველ დროზე მწარედ მოსთქვამდა. საზოგადოებრივ საკითხებზე, ცხოვრების პროგრესზე, მისი ფორმების გარდაქმნაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ამ დროს ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებულია არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიც. აკად. ი. ჯავახიშვილი გადმოგვცემს: „თავის მოხსენებაში, გენერალ ალუტანტ სტრეკალოვისადმი ზავილისკი აღნიშნავს გლეხკაცობის მძიმე მდგომარეობას, მემამულეების მიერ მათს ექსპლოატაციას: ამისათვის, ამბობს ის, მართლადაც, გლეხკაცობა არამც თუ კეთილად არ არის განწყობილი მემამულეებთან. არამედ ხშირად უარსაც კი ამბობენ მათს დამორჩილებაზე, განსაკუთრებით შეძლებული გლეხები. მემამულენი, რადგანაც მდიდარ გლეხებს ვერ იმორჩილებდნენ, გადასახადების, ბეგარისა და ხშირად თავიანთ თვითნებობის მთელი სიმძიმით ღარიბებს აწევებოდნენ... გლეხკაცობა მასიურად ცდილობდა ბატონყმობისაგან განთავისუფლებას“ *.

გლეხკაცის ასეთსავე მდგომარეობას ასახავს ილია ჭავჭავაძეც თავის ნიჭიერ სატირაში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“

როცა დიდი და პატარა
გალარბდა, გალატაკდა, —

თვით შევსხელით მალა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.

ასეთსავე ცნობებს იძლევა დიმ. ყიფიანიც: „ბატონსა და ყმას შორის უწინდელი სიამტკბილობა სიმძულვარედ გადაექცათ, ისე რომ ბატონის მოკვლაც ხშირი გახდა, ხანდახან მთელი ოჯახობითაც“ **.

* ივ. ჯავახიშვილი, Политическое и социальное движение в Грузии. в XIX в., გვ. 28—29.

** დიმ. ყიფიანი, „მემუარები“, გვ. 125.

მიუხედავად ამისა, ბატონყმობის ინსტიტუტის მოსპობაზე მსჯელობა რუსეთშიც, მისი საზოგადოების მოწინავე ნაწილშიც კი კანტიკუნტად ისმოდა. საქართველოში ამ მხრით სრული იგნორირება იყო. ნ. ბარათაშვილის დროს ბატონყმობის უარყოფის შესახებ მაღალ წრეებში ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაშიც ეს საკითხი ხელუხლებელია. მაგრამ აწ არსებული ცნობილი დოკუმენტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, ის პირველია, რომელიც გლეხკაცის საკითხს, მართალია მეტად ბუნდოვანად, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ეხება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე შორეული ზრუნვა მას აფიქრებს და სტანჯავს. აი რასა სწერს ის ზაქარია ორბელიანს: „*Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к большей деятельности, сценам более сильным, более патетическим. И пока он достигнет своего назначения, ему скучно, грустно!.. Углубись в себя и тогда, — уверившись, что гром славы и звук оружия не имеют уже для твоего слуха магического значения, — оставь службу, займись именем. И это другая слава—сделать счастливыми своих крестьян, оставленных до сих пор без попечителя. Иначе, Захарий, помни, что и в жизни счастливого земледельца нет для тебя покою*“*.

ფრიად საგულისხმო წერილია. აქ ნ. ბარათაშვილში ჩვენ ვკვრეტთ, მართალია, მეტად მკრთალს, გაურკვეველს, მაგრამ მაინც „მონანიე აზნაურის“ ტკივილებით შემსჭვალულ მოქალაქეს, რომელმაც იგრძნო ვალდებულება „უმცროსი ძმისადმი“ და ამ ვალდებულების მოხდის გარეშე სულიერი სიმშვიდის მოპოვება შეუძლებლად მიაჩნია.

ასეთი ტკივილების აშლა 40-იან წლებში რუსეთის საზოგადოებ-

* ნ. ბარათაშვილის 1844 წ. 15 აპრილის წერილი: „შენი სულ ახალ საზრდოს ეძებს, შენი სული მიისწრაფვის უფრო დიდი მოღვაწეობისაკენ, უფრო ძლიერი, უფრო პათეტიური სცენებისაკენ. და სანამღე ის თავის დანიშნულებას მიაღწევდეს, ის მოწყენილია, დანაღვლიანებული... ჩაღრმავდი შენს თავში და მაშინ, დარწმუნებული, რომ დიდების განგაშსა და იარაღის ჩხარუნს შენი სმენისათვის უკვე აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, — დაანებე სამსახურს თავი და მამულის მოვლას მიჰყავი ხელი და ეს სხვაგვარი დიდებაა — გააბედნიერო შენი გლეხ-კაცობა, რომელიც აქამდე დატოვებულია უზრუნველად. სხვაგვით, ზაქარია, გახსოვდეს, რომ შენს მიწადმოქმედის ბედნიერ ცხოვრებაში შენთვის სიმშვიდე არ იქნება“ (დაყოფა ჩვენია. მ. ზ.).

რაც აზროვნებაშიც უკვე აქა-იქ ისმის. ამ მხრით საკვირველი მსგავსებაა ნ. ბარათაშვილის განცდასა და დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის განცდას შორის. ლევ ტოლსტოი ასეთსავე აზრს გამოსთქვამს 1852 წ. თავის ნაწარმოებში „Утро помещика“. ის ნეხლუდოვის სახით რუსულ ლიტერატურაში იძლევა პირველ სახეს „მონანიე აზნაურისას“, რომელმაც რუსეთის ცხოვრებაში 70-იან წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო და რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი როლიც ითამაშა.

„საყვარელო დეიდავ! — წერს ნეხლუდოვი, — მე მივიღე გადაწყვეტილება, რომლისაგანაც დამოკიდებული იქნება მთელი ჩემი ცხოვრება. ვტოვებ უნივერსიტეტს, რომ სოფელში ვიცხოვრო, ვინაიდან ვგრძნობ, რომ მე მისთვის ვარ დაბადებული! ღვთის გულისათვის, საყვარელო დეიდა, ნუ დამცინებთ. თქვენ იტყვიით, რომ მე ახალგაზრდა ვარ. შესაძლებელია, მე, მარალაც. ბავშვი ვარ ჭერ. მაგრამ ეს მე არ მიშლის ვიგრძნო ჩემი მოწოდება, სიკეთის ვაკეთების სურვილი და მისი სიყვარული“. წერილში ნეხლუდოვი აღწერს, რომ ის ზაფხულში სოფელში ყოფნის დროს გაეცნო გლეხკაცობის ცხოვრების საშინელ პირობებს, რამაც გადააწყვეტინა ცხოვრების ახალი გზის გამონახვა. „განა ჩემი პირდაპირი მოვალეობა არ არის, — განაგრძობს შემდეგ ნეხლუდოვი, — ვიზრუნო ბედნიერებაზე შეიდასი კაცისა, რომელთა შესახებ ღვთის წინაშე პასუხი უნდა ვაგო? განა ცოდვა არ არის ისინი უხეში ქვეხისა და მოურავის თვითნებობის ამარა დავტოვო სიტყბოებისა და პატივმოყვარეობის ანგარიშით? რისთვისაა საჭირო სხვა ასპარეზზე ვეძიო შემთხვევები სასარგებლო ვიყო და კეთილი ვაკეთო, როდესაც ჩემ წინ იშლება ასეთი კეთილშობილი, ბრწყინვალე და მახლობელი მოვალეობა? მე ვგრძნობ, რომ შემძლია კარგი მეურნე ვიყო. და ამისათვის კი, როგორც ეს მე მესმის, საჭირო არ არის არც კანდიდატის დიპლომი, არც ჩინები, რომლებიც თქვენ ასე გინდათ ჩემთვის“ *.

ქართველი და რუსი მწერლების ასეთ ანალოგიურ ტკივილებში ჩვენ ვხედავთ მათი საზოგადოებრივი სოციალური ცხოვრების ანალოგიურ პირობებს. ამ დროისათვის საქართველოს საზოგადოებრივი, როგორც ეკონომიური, ისე კულტურული ცხოვრება რუსეთისას უკვე უახლოვდება და საერთო, შეგუებული გზით სიარულის აუცილებლობა ფაქტად ხდება.

აქეთკენაა მიმართული, როგორც მოცემული მოკლე ნარკვევიდან ჩანს, ნ. ბარათაშვილის „ფიქრი და გონება“.

* ლევ ტოლსტოი, „Утро помещика“.

ამრიგად, ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედება მთლიანად ნიჭიერ განსახიერებაა უაღრესად მდიდარი და ღრმა ლირიზმისა ნიჭიერ და მომხიბლავ ელემენტთა ში. პოეტის მიერ განცდათა ასახვა მოცემულია თავისებურს, მაგრამ, მასთან ერთად, რომანტიზმის სტილისათვის უაღრესად დამახასიათებელ სახეებში. როგორც ჟანრის (ელეგია, რომანტიკული პოემა). მოტივებისა (მელანქოლია, სევდა, უკმაყოფილება, სიყვარულისა და ბუნების კულტი, მებრძოლი ძიება და სხვა), ისე პოეტური რომანტიკული ლექსიკის გამოყენების მხრივ, რაც გზადაგზა წინამდებარე ნარკვევებში ჩვენ მიერ იყო ნაჩვენები. ენა ბარათაშვილისა ჯერ კიდევ ძველი, მაღალი სტილის ენაა, რომელიც საეკლესიო ენის გავლენისაგან ჯერ კიდევ სავსებით ვერ გათავისუფლებულა, მაგრამ მინც ხალხურ ენასაც ახალ დროსთან ერთად დიდი გავლენა მოუხდენია და ნებისთ თუ უნებლიეთ მძლავრად შექრილა. ენის გასადავების მხრით ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, უდავოდ, გახალხურების გზით მიდის.

ნ. ბარათაშვილი, ერთი მხრით, აჯამებს ახალი ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის პოეტურ შემოქმედებას — რომანტიზმს, მას ჩვენს ლიტერატურაში მთლიან სახეს აძლევს. ქართულმა რომანტიზმმა მის შემოქმედებაში მთელი ძალა და შესაძლებლობა გაშალა და ამოწურა. მის შემდეგ რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში დეკადანსს განიცდის. ჩვენი ლიტერატურის განვითარების ერთი ნაკადი ნ. ბარათაშვილის შემდეგ მიდის ახალი მიმართულებით, რომელიც შეიძლება ითქვას, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ვითარდება არა უჩინარი ძალითა და რომელსაც რომანტიზმის დეკადანსი შეიძლება ვუწოდოთ. ამ ლიტერატურული მიმართულების არსებობას ქართული ცხოვრების სინამდვილეში, რასაკვირველია, თავისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები აქვს.

მეორე მხრით, ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებაში მოცემულია, როგორც ეს ზევით, თავის ალაგასაც აღვნიშნეთ, რეალიზმის გარკვეული ნიშნებიც. ჩვენის გაგებით, როგორც ეს ზევით მოვიხსენიეთ, ნ. ბარათაშვილისათვის სიკვდილს რომ ხელი არ შეეშალა, მის შემოქმედებაში ქართული რეალიზმი თავის ერთ-ერთ მძლავრ წარმომადგენელს იპოვიდა, როგორც ეს რუსი მწერლებს პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში მოხდა რუსული ლიტერატურის განვითარებაში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ და სამწერლო ასპარეზზე სოლომონ რაზმაძეც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. ის ტიპური ნიმუშია ქართველი მოაზროვნე-მოქალაქისა საქართველოს XVIII და XIX საუკუნეთა უღელტეხილზე შექმნილი ტრაგიკული მდგომარეობის პირობებში, რომელსაც მოღვაწეობის დასაწყისშივე დაუნდობლად ფრთები შეეკვეცა, გზა მუშაობისა გადაეღობა და მძიმე მორალურ-დაუკმაყოფილებელ ტკივილებში გაატარა 30 წელი სამშობლოდან ძალით განდევნილმა.

სოლომონის მამა, ივანე რაზმაძე, იყო ერეკლე მეფის მიერ პატარაობაშივე ყაბარდოდან გადმოყვანილი, რომელსაც შემდეგ ვაჟაკობისა და სიმხნევისათვის ერეკლესაგან მიღებული ჰქონდა აზნაურობა. ივანე რაზმაძე სასახლის მახლობელ კაცად ითვლებოდა. 1797 წელს * მას მიეცა ვაჯიშვილი — სოლომონი.

სოლომონს მამა ადრე გარდაეცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ სოლომონზე მზრუნველობა და მისი აღზრდა თეიმურაზ ბატონიშვილმა მიიღო და როდესაც 1810 წელს 15 სექტემბერს სპარსეთიდან თავის ნებით მობრუნებული თეიმურაზი ახალი ხელისუფლების წინადადებით რუსეთს — პეტერბურგს (ახლანდელ ლენინგრადს) გაემგზავრა, 13 წლის სოლომონი დედითურთ თან წაიყვანა თავის ამაღაში. აქ თეიმურაზმა სოლომონი თავისი ხარჯით გაზარდა და მშვენიერი სწავლაც მიაღებინა.

პეტერბურგში სოლომონმა 22 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ის მახლობელ ურთიერთობაში იყო არა მხოლოდ თეიმურაზ

* პოლ. კარბელაშვილი თავის წერილში „სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე“ („ლორეა“, 1882 წ., № 259) აღნიშნავს, რომ სოლომონი დაიბადა 1798 წელს. ენაიდან თვითონ სოლომონი წერს, რომ 1832 წელს ის 35 წლისაა, უფრო სამართლიანი იქნება მას დაუუჭეროთ, რომ ის დაიბადა 1797 წელს. სოლომონ რაზმაძის შესახებ იხ. მიხ. გოცაძის წერილი — „სოლომონ რაზმაძე“ („სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1949 წ., № XXXV b.).

ბატონიშვილთან, არამედ პეტერბურგში მცხოვრებ სხვა ბატონიშვილებთანაც, რომელთა გავლენის ქვეშ იზრდებოდა და რომელთა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილო გრძნობის დიდ გავლენას განიცდიდა.

გასაგებია, ასეთს პირობებში აღზრდილი სოლომონი, ბუნებით ნიჭიერი, ცოცხალი მოაზროვნე, აღჭურვილი ცოდნითა, ცხოველ განწყობილებით და მომზადებული სამოქმედოდ, ასპარეზს მოდუწეობისას ეძებდა უპირველესად თავის სამშობლოში. ეს სურვილი მას განუხორციელდა 1832 წელს. მაგრამ ეს სურვილის განხორციელება მისთვის ხანმოკლე და საბედისწეროც შეიქმნა.

1831 წლის დამლევს სპარსეთში გარდაიცვალა რუსეთის ელჩი შტაბსკაპიტანი ა შ ი. მთავრობამ მის მაგიერ ელჩად დანიშნა გენერალ-მაიორი ს ი მ ო ნ ი ჩ ი, რომელსაც ოთარ: რევაზის ძე ამილახვარის ქალი ჰყავდა ცოლად და ქვისლი იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა.

თეიმურაზმა სიმონის სთხოვა სპარსეთში საელჩოს თანამშრომლად წაეყვანა სოლომონ რაზმაძეც, ვითომც იმ მიზნით, რომ სოლომონს მიეღო ჩინი*, რაც მას გაუადვილებდა სამსახურის, „არსებობის პურის“ შონას. ვფიქრობთ, ჩინის მიღება სოლომონის მიერ ერთგვარი თვალის ახვევა იყო. თეიმურაზი და სხვა ბატონიშვილები სოლომონის სპარსეთში გამწესებას გარკვეული მიზნით აწყობდნენ. ამით აიხსნება რომ, როგორც ჩანს, ბატონიშვილები თეიმურაზის პროტექციით არა კმაყოფილდებიან და თამარ ბატონიშვილსაც იშველეებენ. 1832 წ. 26 იანვ. დიმიტრი ბატონიშვილი თმარ ბატონიშვილს სწერს:

„Любезная сестрица! Податель сего письма, знакомый Вам человек, Соломон Ивапович Размадзе, едет с графом Симоничем в Персию; он просил меня рекомендовать его милостивой благосклонности графини и самого графа Симонича; он этого заслуживает своими добрыми качествами“**.

სოლომონს თეიმურაზი და სხვა ბატონიშვილები, ალბათ, გარკვეულ დარეკტივებს აძლევენ შეთქმულებთან საქართველოში და, აგრეთვე მისი შემწეობით, ალბათ, ცდილობდნენ ადვილად ფარული კავშირის გაბმას სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან.

* ვინაიდან სოლომონს არ აღმოაჩნდა აზნაურობის დოკუმენტები, ის დარჩა რუსეთის ხაზინის დახმარების გარეშე. ამიტომაც სოლ. რაზმაძე 1832 წლის საქმეში იხსენიება როგორც აზნაურობის მაძიებელი.

** გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, I, 1935 წ.

სიმონიჩი სიამოვნებით დათანხმდა, რადგანაც სოლომონი თავისი მომზადებით (განსაკუთრებით ენების ცოდნის მქრევ) მისთვის ფრიად ხელსაყრელი თანამშრომელი იქნებოდა.

სიმონიჩი პეტერბურგიდან გამოემგზავრა 1832 წლის მარტში. თბილისში გაჩერდა და ოთხნახევარი თვე დარჩა. სოლომონი აქ შეხვდა თავის ნაცნობებს, პეტერბურგში ბატონიშვილებთან რომ ხვდებოდა, ესენი იყვნენ ელიზბარ და გიორგი შანშეს ძენი და დიმიტრი ერისთავები, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები, ჯორჯაძე, იერომონახი ტარასი ალექსი-მესხიშვილი*. მათი საშუალებით თბილისში სოლომონმა სხვა შეთქმულებიც გაიცნო: ალ. ორბელიანი, თეკლე ბატონიშვილი, თამარ ბატონიშვილი, დ. ყიფიანი, ზ. ავთანდილოვი. სოლომონმა ჩამოსვლის უმაღლესი კავშირი გააბა ფარულ საზოგადოებასთან, რომლის საჭირო და სასურველი წევრი თვითონაც შეიქმნა.

ამავე დროს სოლომონი აქ, თბილისში, გამოდის სამწერლო ასპარეზზეც, თანამშრომლობას იწყებს სოლ. დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ამავე დროს აქვე ის წერს მძაფრი პოლიტიკური ხასიათის იგავს „დათვი და ცხვარი“, რომელიც მკვეთრად გამოხატავდა შეთქმულთა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გაგებას. ეს იგავი შეთქმულთა შეკრებებზე ხალისით თურმე იკითხებოდა.

სიმონიჩის თავრიზში გამგზავრების დღეც ახლოვდებოდა. შეთქმულებიც სარგებლობდნენ და სათანადო დირექტივებს აძლევდნენ სოლომონს ალექსანდრე ბატონიშვილთან მოსალაპარაკებლად. წასვლის წინ ელიზბარ ერისთავმა სოლომონს გაუმართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ შეთქმულნი. სადილის შემდეგ ალ. ორბელიანმა შეკრებილნი იგადიწვია თავის ბაღში, სადაც ისაუბრეს შეთქმულებაზე: „აქ სოლომონს დაავალეს გაეცნო ალექსანდრე ბატონიშვილი, აგრეთვე თავრიზში მყოფი ინგლისელები, სპარსეთის დიდუკაეები და შეთქმულებისათვის ხელი მოემართა“**.

სოლომონ რაზმაძე სიმონიჩს გაჰყვა თავრიზში. ის, სიმონიჩის დახასიათებით, როგორც საელჩოს თანამშრომელი, შესაფერი და ბეჯითი აღმასრულებელი იყო თავისი სამსახურისა. მაგრამ 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გამოამჟღავნეს. შეთქმულები დააპატიმრეს და მოათავსეს თბილისის ავლაბრის ყაზარმებში. მალე გამოირ-

* პოლ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე“, „დროება“, 1882 წ., № 259.

** ი ქ ე ე .

კვა სოლ. რაზმაძის მონაწილეობაც. სოლომონი დააპატიმრეს თავ-
რინში და 1833 წლის თებერვლის დასაწყისში ჩამოიყვანეს თბილის-
ში და აგრეთვე ავლაბრის ყაზარმებში მოათავეს.

შეთქმულთა საქმის გამოძიება დამთავრდა 1834 წლის 10 თებერ-
ვალს. სოლომონი ცნობილი იქნა დამნაშავედ და ათ ბრალდებულთა
შორის მასაც მიესაჯა უმაღლესი სასჯელი — „Яко оскорбителн
его Величества, четвертованы быть“...

მაგრამ, როგორც სხვებს, მასაც შეუცვალეს სასჯელი სამუდამო
გადსახლებით ქ. პენზაში საქართველოში დაბრუნების აღკრძალ-
ვით. 1834 წლის 24 ივნისს სოლომონ რაზმაძე და სოლომონ დო-
დაშვილი ყარაულის ქვეშ გაგზავნეს — ს. რაზმაძე — ქ. პენზაში,
ხოლო ს. დოდაშვილი — ქ. ვიატკაში. სოლ. რაზმაძე ქ. პენზაში
ჩაიყვანეს აგვისტოს თვეში.

სოლომონს საშინელ მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება
მისთვის უცხო, უთვისტომო ქ. პენზაში. მძიმე ეკონომიური პირო-
ბების შემსუბუქების მიზნით, ის ცდილობდა აღედგინა აზნაურო-
ბა, რათა სამსახური უფრო ადვილად ეშოვნა. მართლაც, თეიმუ-
რაზ და თამარ ბატონიშვილების დახმარებით 1835 თუ 1836 წელს
სოლომონმა ამ მიზანს მიაღწია. დაიწყო მან ქ. პენზაში სამსახური.
იქვე შეირთო ცოლი. 1845 წელს მას მიეცა ვაჟიშვილი ალექსანდრე
(1846—1896), რომელიც შემდეგში ცნობილი იყო, როგორც კომპო-
ზიტორი და მუსიკალური კრიტიკოსი*.

სოლ. რაზმაძეს ქ. პენზაში ცხოვრება უჭირდა. ვერ მოახერხა
თავისი ცოდნის სათანადო გამოყენება. დედა და ბატონიშვილება,
რომლებთანაც ის ასე მახლობელი იყო, პეტერბურგში იყვნენ. მა-
ნაც არა ერთხელ სცადა მიეღო ნებართვა პეტერბურგში ცხოვრე-
ბისა, მაგრამ ნიკოლოზ I უარს ეუბნებოდა. „ეს დიდხნის სურვი-
ლი, — წერს პოლ. კარბელაშვილი, — მხოლოდ მაშინ აღსრულდა,
პეტერბურგში ცხოვრების ნება მაშინ მისცეს, როცა იგი უკვე მი-

* ალექსანდრე რაზმაძე სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და ლიპეი-
ვის კონსერვატორიაში; იყო მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი; დასწერა
რამდენიმე პიესა ფორტეპიანოსათვის და სიმღერისათვის, პოპულარობით სარ-
გებლობდა „კობზარული სიმღერები“ („Кобзарские песни“). გამოსცა „შე-
ნიკის ისტორიის ნარკვევები“ (1888 წ.), რაც კრიტიკამ დიდი თანაგრძნობით მი-
იღო. 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში ხელმძღვ-
ნელობდა მუსიკალური კრიტიკის განყოფილებას, რედაქტორობდა მოსკოვში
„Музыкальный Вестник“-ს (Брокгауз и Эфрон — „Большой энциклопедиче-
ский словарь“, т. 51).

იკვალა 1862 წელს და გამოესალმა მოქულებულ საწუთრო სოფელს“ *.

2

როგორც პოეტი სოლ. რაზმაძე აღიზარდა, ერთი მხრით, ქართულ შწერლობაზე (რუსთაველი, ბესიკი, თეიმურაზები და სხვანი), მეორე მხრით, ვინაიდან ის თორმეტი წლისა თეიმურაზ ბატონიშვილმა წააყვანა რუსეთს და იქ იზრდებოდა, რა თქმა უნდა, რუსულმა ლიტერატურამ მისცა საზრდო მის გაღვიძებულ ნიჭს (ფონვიზინი, კრალოვი, ა. პუშკინი და სხვ.). ორივე ამ ლიტერატურას გავლენა, უდავოდ, აჩნევია სოლ. რაზმაძის პოეტურ შემოქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სოლ. რაზმაძეს მეტად არახელსაყრელ პირობებში მოუხდა მწერლობა: ჭაბუკობა პეტერბურგში, სულ რაღაც ოთხთვეწანევიარი თბილისში სპარსეთისაკენ რომ მიემგზავრებოდა გრაფ სიმონიჩთან ერთად, სულ ხუთიოდე თვე სპარსეთში, წელიწადზე მეტი პატიმრობაში და შემდეგ გადასახლებაში პოლიციის გამუდმებული მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ სიკვდილამდე; ამასთან გადასახლებაში მეტად მძიმე მატერიალური პირობები. ყველაფერი ამის მწარე ბეჭედი აზის სოლ. რაზმაძის პოეტური შემოქმედების იმ მცირე ნაშთს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

სოლ. რაზმაძის ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდი ხასიათდება მეტად რთული სოციალურ-პოლიტიკური გარემოებით როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც: ეს იყო ძველი ყოფას, ძველი წესწყობილების სიმაართლეში მძლავრი დაეჭვიანების ხანა, ეს იყო დიდი გარდატეხის, დიდი სოციალური ძვრების ხანა, ეს ხანა 1812 წლის სამამულო ომის ძლევამოსილი გადანდისა, გარკვეული წრის მიერ ხალხის შემოქმედებითი ძალის გაგება-დაფასებასა და ახალი ისტორიული გზის ძალების ხანა, რაც ცხოვლად გამოვლინდა როგორც საზოგადოებრივ აზროვნებაში (უძმძლავრესად დეკაბრისტების აჯანყებაში), ისე ლიტერატურაშიც (ა. გრაბოედოვი, პუშკინი და სხვანი). საემარისი სისწრაფით ირღვევა ძველი და თანდათან მძლავრად უშვებს ახალი მოთხოვნილებები ფესვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეს გარემოება თანდათან ახლად შეერთებულ საქართველოზეც ახდენს გავლენას, საქართველოშიც ვლინდება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ძველის ნგრევა საგრძნობი სისწრაფით ხდება, რასაც

* პოლ. კარბელ-შვილი, „სოლომონ ივანეს-მე რაზმაძე“, „ბრობა“, 1882 წ., № 259, ს. რაზმაძე ნამღვილად 1860 წელს გარდაიცვალა.

ხელს უწყობს როგორც შინაგანი ბრძოლა, ისე ახლად დამყარებული ხელისუფლება (ეს უკანასკნელი ცალმხრივად, რამდენადაც მისთვის ხელსაყრელია).

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდება გარკვეულ ძალა, რომელიც გრძნობს ახალი ისტორიული გზის გამონახვის აუცილებლობას. ამ ნიადაგზე როგორც რუსეთში, ისე აქედან საქართველოშიც ერთი-ერთმანეთს ებრძვის ორი ლიტერატურული მიმართულება თუ სტილი — რომანტიზმი და რეალიზმი, წარმავალი და აღმავალი კლასების განწყობილების — მსოფლმხედველობის გამომხატველი.

ასეთ ლიტერატურულ ატმოსფეროში იზრდებოდა და საზრდობდა სოლ. რაზმაძის პოეტური ნიჭი. ამიტომ აღნიშნული ეპოქის მწერლობის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია ის. ძირითადად კი სოლ. რაზმაძის ლიტერატურული ნიჭი რეალიზმის მ. მართულებით გაიშალა.

ცნობილია, ქართულ ოფიციალურ ლიტერატურაში XIX საუკუნის პირველ მესამედში მაინც ფეოდალური ლირიკის დამახასიათებელი ჟანრები და მოტივები (მიძღვნა, ალბომში ჩაწერილი ლექსი, ვნებიანი სიყვარულისა და ამასთან დაკავშირებით ეშხისა და ქეიფის გამომხატველი ლექსები) პოპულარული იყო. სოლ. რაზმაძეც თავის ხარკს აძლევს ამ მწერლებს; მას აქვს რამდენიმე ლექს-ალბომში ჩასაწერი, მიძღვნა, რომლებშიც ის აღნიშნულ განწყობილებას საგრძნობი სიმახვილით გამოხატავს. როგორც ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და სხვანი, სოლ. რაზმაძეც თავის ლექსში „სიტკბოება“ რაღაც დაუძლეველი სიცოცხლის წყურვილით დაბეჭითებით მოუწოდებს თავის მკითხველს:

დასტკბი სიცოცხლით, განაგდე ურვა,
მოგცეს ზევსმან სიხარულის გზა*.

ახალგაზრდა პოეტიც, როგორც ჩანს, მიჰყოლია პირად ვნებათა ღელვას, მასაც უგრძნვია სიტკბოება სიყვარულისა, ისიც ცხოველი ტენპერამენტით მისცემია ამ გრძნობას და ასე გვაჩვენებს თავის აღელვებულ გრძნობას „ალბომში ე. ი. მ.“:

შენით აღმევსო ტბილის გრძნობითა
და ზეციერის მიჯნურობითა
მოკლული გული...

* სოლ. რაზმაძის პოეტური ნაწარმოებნი სოლომონ ხუციშვილის შეკრებილი და გამოსაცემად დამზადებული აქვს. მან საშუალება მოძცა სოლ. რაზმაძის ნაწარმოებთა ტექსტების გამოყენებისა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

როგორც ირკვევა, პოეტს ამ გრძნობამ ბევრჯერ უმტყუნა, ბევრჯერ გაუცრუვა წრფელად აღელვებული გული, სიტკბოების მაგიერ ბევრჯერ პოვა მწარე, სიამოვნების მაგიერ შხამი ჩაუშვა მის გულს, ნდობის მაგიერ უნდობლობა გაამტკიცა მასში. ამიტონ გამოცდილი და უნდობი გონებით პოეტი ასეთს დარიგებას აძლევს „თექვისმეტის წლის ქალს ალბომში“ ჩაწერილ ლექსში:

ერიღე სოფლის ამოებას,
მას შინა ტურფავ. ახლად მოსულო,
ერიღე სოფლის მოთნობასა,
უმანკოვ ტრედო, უმანკოვ სულო.

ოღეს ანაზღად სვემან მრუღემან
მოგბეროს რისხვით ურვის ღრუბელი,
მამინ ზენაართ ნუგემის მცემმან
მეის მოგივლინოს მცველად ანგელი.

მოტყუებულ, გაწბილებულ, ურვა მორეულ პოეტს თავისი მწუხარება „მოდრუბლული განწყობილება“ უნდა გააქარვოს ქეიფით, ღვინით. ის ამგვარ მდგომარეობაში მყოფთაც ურჩევს ან გზას მიმართონ. და გარეგნულად მაინც, ნალველზე მორეენის ჩვენებით, ლექსში „რისთვის მარტოებ“... ასე მიმართავს „ერთ ბედში“ (მარტობაში, უთვისტომო მწუხარებაში) მყოფთ:

რისთვის მარტოებ დაღონებული,
ზიხარ და ჰფიქრობ გოაცებული,
გიღელავს გული ურვის სიხმილით,
ხედავ ფილას, სავსეა ღვინით,
შეჰსვი — მოგვეცს ღომისა ძალი,
და დაგიშრიტოს შემწველი ალი.

კმარა, ნუ აფრენ გონებას შორად,
ვახოთ ბაგენი ჩიხვებსა ხშირად,
აჰა ჩონგური, დაუკარ რაჰე.
მით მოგვეცემა გულის სიამე;
კახური მოჰფენს სიხარულს პირსა,
მივსკვდოთ სევა ქვევრების ძირსა.

ეს სევდა-ურვა, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი აღორძინების (XVII—XVIII საუკუნეების) ხანის მწერლობისათვის და შემდეგ (XIX საუკუნეში) არა ნაკლებ რომანტიკოსი მწერლებისათვის, სოლ. რაზმაძესაც რომ უშფოთებს გულსა და ტვინს, არა მარტო პირადი ხასიათისაა (პირადს ამ შემთხვევაში—ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა), არამედ მომეტებულად საზოგადოებრივი, ეროვნული ხასიათისა იყო.

სოლ. რაზმაძეც მძიმედაა დაკოდილი ეროვნული ტკივილით; ისიც აწმყოთი უარყოფილი, ქართველი რომანტიკოსი მწერლებისა-მებრ, წარსულს დიდებულს „ცათ სხივმომფენს“ სევდიანი გასცქერის და, გადაშლის რა ახლო წარსულის რვეულს, ლექსში „შენაგფერობს...“, აღტაცებით ჩერდება ღვაწლმოსილ ერეკლე II-ის პიროვნებაზე (ერეკლე II და მისი ეპოქა ქართველი რომანტიკოსებისათვის ხომ ერთ მიმზიდველ თენად გადაიქცა XIX საუკუნის მანძილზე). აღნიშნული თემის გაშლით, თითქოს სოლ. რაზმაძეს სურს მკითხველში მოღუნებული პატრიოტული გრძნობა გააღვიძოს,

გალევივოს და გაამახვილოს. ხალხური კილოს მოხდენილი დაცვით სოლ. რაზმაძე ასე აფასებს ერეკლე II-ის ღვაწლს სამშობლოსადმი:

შენა გფერობს სპარსთა ქება მალალიო,
მე ვით გავბედავ შესხმის თქმას კაცი
სოფლელიო,
შენ გავვიზარდე ირაკლი მტერთა გამქლევით,
მზეებრ ქართლსა მოეფინა მისი მშობელიო.
ცეცხლებრ მოედო ირგვლივ მტერთ, მოყმეთა
მცველიო,
თავის სისხლითა შეღება მთა, გორი, ველიო;
მტერნი განსდევნა საზღვართ, ვით ლომმან
მელიო,
ლექებს შეასვა სამსალა გულისა მწველიო,
მისის ხმის სმენით დნებოდნენ, ვით მზისგან
თოვლიო;
აწცა ოსმალა აჩნევით მისი ხმლის პირიო,
აღმოსაულეთშია გრგვინავს მისი სახელიო,
იგი ქებას გარდაევლო, ვით მთას მერცხალიო.

ამგვარი პატრიოტული მოტივი ძირითად ხაზად გასდევს სოლ. რაზმაძის პოეტურ შემოქმედებას. ეს გრძნობა პოეტში, უდავოდ, გაღვივებული იქნა როგორც მისი ღრობის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით, ისე ბატონიშვილების, განსაკუთრებით კი თეი-ნურაზის, — რომელნიც მას ზრდიდნენ, პატრონობდნენ და რომლებთანაც მას 12 წლის ასაკიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, — ზეგავლენით.

ამგვარმა პატრიოტულმა გრძნობამ სოლ. რაზმაძეს დააწერინა იგავი „დათვი და ცხვარი“, რომელშიც მან მაქსიმალური სიზუსტითა და სიმკვეთრით გამოხატა არა მარტო პირადი თავისი შეხედულება საქართველოს ცხოვრების პოლიტიკურ მომენტზე, არამედ მთლიანად შეთქმულთაცა. ამიტომაც ეს იგავი შეთქმულთა ხელიდან ხელში გადადიოდა, მათ შეკრებებზე იკითხებოდა; საგამომძიებლო კომისიამაც დიდი სიფხიზლით გაამახვილა ამ იგავზე თავისი ყურადღება.

იგავში „დათვი და ცხვარი“ მეტად გამკვირვალედ, ადვილად მი-სახვედრადაა მოცემული ცხვრისა და დათვის ურთიერთობაში, ს. რაზმაძისა და შეთქმულთა გაგებით, საქართველოსა და რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობას შორის შექმნილი მდგომარეობა. საწყალი და მოხუცებული ცხვრის სახეში იგულისხმება საქართველო, რომელსაც მტრები—„ტურა და მგელი, ვერაგი მელა არ ასვენებდნენ არც ერთსა წამსა“. ცხვარი იძულებულია მიმართოს „ძლიერ დათვის“

(რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობას), რომელსაც „ეპყრა დიდი ველი ტყიანი, მორჩილებდა მას ტყის ნადირი და განთქმული იყო ვით შახნავაზი“.

აი ამ ნადირთ მეფეს ცხვარნა გულმტკივნეულად შესჩივლა თავისი შევიწროებული მდგომარეობა და სთხოვა:

მიშველე რამე, დიდი გაქვს ძალი,
ლამის დავიქცე შე შესაბრალო,
შენ დაიფარე ჩემი ცოლ-შვილი...

ცხვარი ამ ნაბიჯს დგამს იმ იმედითაც და პირობით, რომ დათვი ცხვრის მტერთ რისხვას დასცემს და მისი აკლებისათვის სამაგიეროს გადაუხდის.

„პირად მზიანმა, მცირე ჭკვიანმა, ბრკყალებიანმა“ დათვმა მოისმინა რა ცხვრის ჩივილი, „დალუნა თავი, შეუდგა ფიქრსა“ და ბოლოს გაჯავრებულმა (როგორც გამოიჩვენა ცბიერებით) შეჰყვირა:

შე ცოცხალი ვარ, როგორ თუ მოხდეს უსამართლობა,
ანას არ დაეთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღვთობა!

დათვმა დაამშვიდა ცხვარი, გაგზავნა ის სახლში და აღუთქვა, რომ მის მტრებს, „წუწკის შვილებს“, მზეს დაუბნელებს, აღარ აცოცხლებს „არც ერთს წამს“. ცხვარი იმედითა და სიხარულით გაიმსჯელა. მართლაც მალე მის საზღვარს მოადგება ნადირთა ჯარი წინამძღოლი „მრისხანე აფთარით“ და მოახსენებს ცხვარს „სიტყვებსა ცბიერს“:

ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვავლინა
შენის საზღვრისა დასაცველად,

აწ შენი მტერნი ჩვენგან მოისრნეს,
მათთა სიცილთა ვაქცევთ ხველათა.

გახარებულმა ცხვარმა „სწრაფლ გაულო კარი, შეიწვია ჯარი, გამუშასპინძლდა“. მაგრამ ნალე ცხვარი გარდაიცვალა. აფთარმა დრო იხელთა, შემოერტყა ცხვრის ცოლშვილს. მოხვიეს ხელი და გადააკარგეს „ერთობ ყოველი“. შევიწროებულებმა მოახსენეს დათვს თავისი მდგომარეობა. მაგრამ დათვმა გაბრაზებულმა მრისხანედ შესძახა:

მაგ წყალობისაც არა ხართ ღირსნი!

რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ,
რომ თქვენის ქვეყნით გადაგასახლეთ?
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ
და ამისთვის თქვენ შემოგიერთეთ.

ცხვის ცოლშვილის ჩივილს, რომ, „რაც მათ გადარჩათ“, სულ ყველაფერი წაერთო, დათვი ყურადღებას არ აქცევს, აფთარი ქედმალლობით განაგრძობს მათ შვეწროებას, დათრგუნვას, დატყვევებას.

ასეთი მდგონარობის მნახველი — მოწამე, მოუწესრიგებელი ცხოვრების სუსხის, რომ „ამა სოფელში ძლიერი სთრგუნავს, მარად საწყალსა“, მწვავედ გამცდელი პოეტი მტკივნეული უკმაყოფილებითა და საყვედურით ათაგებს თავის იგავს:

როდის იქნება განათლდნენ კაცი ქრისტიანულად
და აღსრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად, —
არ ეკირვებათ მკურნალი მრთელთა.
არამედ სნეულთ და დავრდომილთა.

ახლად დამყარებული ხელისუფლების ასეთმა შეფასებამ და ან საფუძველზე შექმნილმა განწყობილებამ ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მიიყვანა სოლომონ რაზმაძეც შეთქმულებთან. ამ შეთქმულების გამომყდენებას მოჰყვა სოლ. რაზმაძის სამუდამოდ გადასახლება ქ. პენზაში.

3

საყვარელ სამშობლოსა და მშობელ დედას იძულებით მოწყვეტილი, ზოღვაწეობის ასპარეზდაკარგული სოლ. რაზმაძე, ყოველი მხრიდან შვეწროებული, პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, ლუკმა პურის შოვნისათვის ბრძოლით გაწვალებული, დელვისა და მწუხარების თავისში ჩამკვლელი უნუგეშო პოეტი თავის მძიმე განცდებს დროგამოშვებით ქალაქს ანდობდა ხოლმე. შემორჩენილია სოლ. რაზმაძის რამდენიმე ორიგინალური ლექსი, გადასახლებაში დაწერილი.

არაა გასაკვირვალი, რომ სოლ. რაზმაძე გადასახლებაში ურვასა და მწუხარებას მიეცა. სიცოცხლემ—ცხოვრებამ ზისთვის მიმზიდველი ძალა დაკარგა. აღნიშნული მძიმე მორალური და ეკონომიური ზღგომარეობა ტყვიისფერ ღრუბლებსავეთ დააწვა მის გულსა და გონებას, სევდის გრძნობამ შეიპყრა ის, თავის ასეთს გრძნობასა და განწყობილებას და მათ გამომწვევ მიზეზსაც სოლ. რაზმაძე მკვეთრად გამოხატავს ამ პერიოდის ლექსში „სოფელს“.

გადასახლებაში მყოფნა სოლ. რაზმაძემ, თუმცა იცის, რომ სოფელი — ცხოვრება მშვენიერია, მიმზიდველია, მაგრამ მას ისიც მტკიცედ შეუთვისებია, რომ ყველაფერი ეს არაა მისთვის, რომელიც უცხო, „ცივ ადგილას აჩრდილის დარად ლასლასებს“, რომლის

გული მოკლულა, ამიტომ მას ვერც სინათლე და ვერც ცხარე მზის სხივი ვერლა გაახარებს“. გარდახვეწილი პოეტი მწარედ კვნის:

რას ვაქნევ სოფლის მშვენიერებას, ძვირფასი დედის ანგელოს სახეს, *
ან სიცოცხლისა ბედნიერებას! ვისის კვრეტითა ვერ განსძღუნ თვალნი!
თუ ვეღარ ვნახავ გულის სინათლეს, უშენოდ, დედავ, მიღწების ძვალნი.

სოლ. რაზმაძის დედასთან დაშორების მწუხარებას უფრო აღრნა-
ვებს და ამძაფრებს მოშორება საყვარელი სამშობლოსი, რომლის
ბუნების ხილვა მისთვის ძალისა და სიცოცხლის მიმცემია.

სამშობლოს ხილვას მოწყურებული პოეტი ასე ნიმართავს მას
იმავე ლექსში:

მაცოცხლებელნო, წყარო სპეტაკნო,
მთანო და ბორცვნო, ნათელნო ველნო,
ნაყოფიერნო, ჩემთვის ხართ მკვდარნი.

აი ასეთმა გრძნობებმა დათენთა და დააძაბუნა გადახვეწილი პოეტის
გული და სული, გონება დაუღრღნა. სასოებამიხილი სოლ. რაზმაძე
მწარედ ასე ჩივის:

დაცალიერდა ჩემთვის საწუთრო,
სისხლისა ცრემლნი სიკვდილმე ვღვარო,
ეს ხვედრი ჩემი ვერვინ შესცვალოს,
გულზედა მაწევს ურვა ვით ლოდი;
მისმან შახვილმან მგმიროს და მგმიროს
პოი სიკვდილო, რას ლამი, მოდი!
(„სოფელს“).

სოლ. რაზმაძის ლექსი „სოფელს“ რომანტიკული ელეგიაა, პოე-
ტის შემფოთებული, მწუხრი განწყობილების მკვეთრი ამსახველი.

ეს მარტობა, მოწყენილობა, დარდი სამშობლოსი და მშობლისა
იძულებით განდევნილობაში ჩანს გამუდმებით უსერავედა გულს
სოლ. რაზმაძეს. მისი დასევდიანებული გულისყური და გონება გა-
მუდმებით ამ ობიექტების გარშემო ტრიალებდა. ლექსში „მამულს“
პოეტი ასე გადმოგვცემს თავის დაუქნაყოფილებელ და დაუოკებელ
პატრიოტულ გრძნობას:

ნეტამც, მამულო, არ მამდებოდა ურვის სახშილში არ დადნებოდა
შენის ხილვისა სურვილის ალი, ეს ჩემი გული, მამაკლდა ძალი.

მამულისადმი — სამშობლოსადმი ასეთი ტრფობა, მისი ბედის
ტრიალის უკეთესობისაკენ მიმართვის ნდომაა მიზეზი ამ დიდი
მსხვერპლისა, რომელიც მან მამულის სიყვარულის სამსხვერპლოზე

მიიტანა — გარდა თავის ქვეყნის მოშორებისა. დიდი შევიწროებისა, ღან საყვარელი, „მისი სიცოცხლე“ დედა მარტოდ დატოვა, რითაც მას „შვების დღე დაულამა, მზე ბნელად გადაუქცია“.

აი ამ გაწვალებულ მშობლიურ გრძნობას როგორ აგვიწერს პოეტი.

მოხუცი ლაწენი მას დაულარეს გული და სული მას დაულალეს
მრავლისა დენით სისხლისა ცრემლთა. მწუხარებისა ულმო მახვილთა.

პოეტი მწვავედ გრძნობს დედისადმი თავის დანაშაულს, მაგრამ ეს დანაშაული თუმცა გამართლებულია მამულისადმი წრფელი სიყვარულითა და პირადი მწუხარებით, მაგრამ დედისადმი თავის განწყობილების გადმოცემის მიზნით ასეთ მძაფრ რეფერენს აქსოვს ამ ლექსში:

ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ!
ვგოდებ ნიადავ, რომ ვერა გხედავ!

მიმართვა, მეტაფორა, პიპერბოლა და რეფერენი, როგორც დამახასიათებელი პოეტური ხერხები, უხვად აქვს გამოყენებული სოლ. რაზმაძეს როგორც ამ, ისე სხვა ლექსებში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოლ. რაზმაძის შემოქმედების ენა გახალხურების გზაზეა შენდვარი. როგორც ჩანს, ანტონ კათალიკოზის გრამატიკასა და თეორეტიკას ვერ მოუხდენია მასზე თავისი უარყოფითი გავლენა. ენის მხრივ სოლ. რაზმაძე, თითქოს, აგრძელებს დავ. გურამიშვილის გზას.

4

სოლ. რაზმაძის ლიტერატურული მოღვაწეობა არ ამოიწურება ზარტო ორიგინალური შემოქმედებით. მას დარჩა თარგმანები რუსი მწერლებიდან. საგულისხმოა, რომ სოლ. რაზმაძე რუსული ლიტერატურიდან თარგმნიდა როგორც სანტიმენტალურ-რომანტიკული მიმართულების მწერლებს, აგრეთვე რეალისტ მწერლებსაც. მაგალითად: მან თარგმნა მიცკევიჩის „ფარისი“, ა. ს. პუშკინიდან: „წინასწარმეტყველი“, „გალვიძება“, „ლხინი“, „ღამის ნიავი“, „ევგენი ონეგინიდან“ „ასტრახანის ახლო“. სოლ. რაზმაძეს აქვს თარგმანი დენის ფონვიზინიდანაც და ეს არაა გასაკვირველი. დ. ფონვიზინი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საკმარისად პოპულარული ოპოზიციონერი მწერალი იყო რუსეთში. მისი ლიბერალურ-პროგრესული შეხედულებანი განსაკუთრებით გამახვილდა XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან—პუგაჩოვის აჯანყების შემდეგ, რის

შენდეგაც მთავრობამ თანდათან რეაქციული კურსის გაძლიერება იწყო. აქედან დ. ფონვიზინმა რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებასა და მისი ცხოვრების სინამდვილეს ფხიზელი, კრიტიკული თვლით დაუწყო სინჯვა. მან თავისი უარყოფითი კრიტიკული დამოკიდებულება მისდამი გამოავლინა, როგორც თავის ნიქიერ სატირულ კომედიებში — „Бригадир“ და „Недоросль“, ისე ცნობილ სატირულ ლექსებში. ფონვიზინმა მისთვის დამახასიათებელი პოეტური ნიშნების — სიმკვეთრის, ბრწყინვალე გონებამახვილიანობის, ნათელი, დამაჯერებლობით და ფორმირებული სხარტი დებულებების, მდიდარი რუსული ცოცხალი მეტყველების გამოყენებით სააშკარაოზე გამოიტანა იმდროის რუსეთის მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში გაბატონებული მლიქვნელობა, ბოროტმოქმედება, ანგარიანობა, უსამართლობა, ცხოვრების მოუწესრიგებლობა და სხვ. მან არ დაინდო არც მეფე, არც წოხელე, არც სამღვდელოება.

ფონვიზინის ერთი ასეთი ლექსთაგანი იყო მისი „Послание к слугам моим Шумиллову, Ваньке и Петрушке“, რომელიც სოლ. რაზმაძეს უთარგმნია რატომღაც „პეტერბურხის“ სათაურით. შესაძლებელია ამ სათაურით სოლ. რაზმაძეს უნდა თქვას, რომ ლექსში მოცემული უსამართლობა ყველაზე მეტად და დამახასიათებლად მოცენულია პეტერბურგში, სატახტო ქალაქში.

სოლ. რაზმაძის თარგმანში — „პეტერბურხი“ დაცულია დედნის შინაარსი, მისი მიზანდასახულობა. თარგმანიც იძლევა სოციალური ცხოვრების უსწორ-მასწორო, უსამართლო, ერაიის მეორისაგან ჩაგრა-დაბეჩავეების საფუძველზე არსებობას.

ბატონიშვილი ოსტატს თევდორეს ეკითხება—რადაა ცხოვრება ამგვარად მოწყობილი და როგორ უნდა იცხოვროს კაცმა? ოსტატი თევდორე ვერა ხსნის, არც შეუძლია და არც ძალას ატანს თავს, რადგანაც როგორც გულუბრყვილოდ ამბობს, მან მხოლოდ ის იცის, რომ ის ერთგული უნდა იყოს თავის ბატონისა. თევდორე უჩივს ბატონიშვილს, ჰკითხოს მან ვანკას, პეტრუშკას.

მეეტლე ვანკა, ალბათ, მწარე ცხოვრების სინამდვილის კარგი ცოდნისა და განცდის შედეგად, მოურიდებლად და დიდი სიზუსტითაც ასეთს დახასიათებას აძლევს ადანიანთა ცხოვრებას:

ამ სოფელს ცრუთა ვხედავ, თუნდა დამარტყა ცული

აქ ვხედავ სიძუნწესა და სხვაგან გაბნევისა,
კულავ აქ სისულელესა და მუნ ცუდსა ქცევისა.
უსამართლოებითა ბევრსა ცრემლის ფრქვევისა,

მოხუცებულ კაცთაგან ამა სოფლის წყევასა,
ვერ კპობ ხუცს კაცსა, ჰყოფდეს მართლის ხსოვასა.
კრებულსა ატყუებენ მამანი სულიერნი,
ბატონებსა ნაზირნი და ნაზირთა მსახურნი,
ხელმწიფესა თავადნი. თავადთა აზნაურნი
და მსაჯულნი არიან სრულად ეშმაკის ჭურნი.

სინამდვილე ვანკას მიერ, უდავოდ, საგრძნობი სიცხადითა და სიმკვეთრითაა გაშიშვლებული.

ასეთსავე ახსნა-განმარტებას იძლევა პეტრუშკაც, რომლის გაგებით, სოფლის ტრიალი ჰგავს ვაჭრის ხელში „გროშის ტრიალს“. პეტრუშკას წრფელი თქმით, ის სიამოვნებს ცხოვრებაში, ვინც ხვევს „ყოვლგნით საუნჯეს“, სადაც კი მას „მიუწვდება ხელი“.

ზოგნი მზიარულებენ. როკვენ და იცინიან.
ზოგნი კმუნვენ და ოხვრენ და თავს კეტი იციან,
ესრეთ ბრუნავს სოფელი, მაგრამ რისთვის ტირიან,
აბა უწყის სოფელმან, არცა ჰკვიანთ იციან!

ასე სკვრეტენ სინამდვილეს ვანკა და პეტრუშკა, ასე სკვრეტს ცხოვრებას დენის ფონეზინიც და სოლ. რაზმაძეც. ამიტომაც სოლ. რაზმაძესაც რომ ძალუმაღ აწვალეზდა ეს მოუწესრიგებელი, უსამართლო ცხოვრება. რა თქმა უნდა, ამ უსამართლობას სოლ. რაზმაძე პირველ რიგში განიცდიდა პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ახლად დამყარებული ხელისუფლების მიერ კოლონიური პოლიტიკის გატარებით, რამაც ის მიიყვანა მისთვის საბედისწერო 1832 წლის შეთქმულებასთან. ამ შეთქმულებამ შეიწირა როგორც სოლ. დოდაშვილის ნიჭი და ენერგია, ისე სოლ. რაზმაძისაც და ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას მოაცილა ისინი. ამ გარემოებამ, უდავოდ, ხელი შეუშალა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.

ახალი ქართული ლიტერატურის პირველი

პერიოდის მიღწევა

ახლა, მოკლედ რომ გავითვალისწინოთ ქართული ლიტერატურული ცხოვრების განვითარების გეზი და მისი მიღწევანი პირველი პერიოდის ნანძილზე, ჩვენ წინაშე სქემატურად ასეთი სურათი გადაიშლება.

სწორედ ახალი ისტორიის ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი მტკივნეულ მომენტს გარდატეხისა საქართველოს ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოში მოდის ჯერ კიდევ ფეოდალურ-აღმოსავლური კულტურის მქონე რუსეთი თავისებურად გადამუშავებული ევროპული კულტურით.

დარდვეული ქართველი პრივილეგიური კლასი, შეიძლება ითქვას, მცირედი ბრძოლის შემდეგ ადვილად მორჩილდება რუსეთის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ მმართველობას. ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან პერიოდის დამლევისათვის აშკარად იგრძნობა, რომ ის ისტორიული განვითარების ასპარეზზე რუსეთთან ახალი, შეგუების გზით უნდა წავიდეს.

ამ პერიოდში საქართველოში რუსეთის საშუალებით ევროპის ცხოვრებისა და კულტურის გავლენაც დენას იწყებს.

რუსეთი ცდილობს აღმოსავლეთთან თავისი ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების საქმისათვის საქართველო ხიდად განადოს, თბილისი აღმოსავლეთთან ვაჭრობის ბაზად გადააქციოს.

უდავოა, რუსეთის შემოსვლით ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალი კულტურის საფუძველი ეყრება. იწყება ქვეყნის თანდათანობითი გაბედული კაპიტალიზაცია. მართლაც, რუსეთის შემოსვლიდან მალე საქართველოს, კერძოდ თბილისის ცხოვრებას, ფერის ცვლა დაეცყო, ცხოვრება გამოცოცხლდა, აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობა გაიბა.

ამ პერიოდის ნანძილზე ქართველი ხალხი თუმცა აჯანყებათა ცეცხლსა და კორიანტელში გაეხვია, მაგრამ ახლად შემოტანილ ცხოვრებას ხარბად დაეწაფა. კალაპოტიდან გამოსული ცხოვრება აჩქარებული ნაბიჯით ვითარდება. ჩვენი ცხოვრება ძლიერ და მტკივნეულად

ნეულ პროცესს განიცდიდა და, ცხადია, ამ მდგომარეობაში ნორმა-
ლური მდგომარეობა დარღვეული იქნებოდა.

სოციალურ ცხოვრებაში აჩქარებული გადაჯგუფება ხდება. ბა-
ტონსა და ყმას შორის ურთიერთობა მწვევადება. სამოქმედო ასპარეზ-
ზე გამოდის ახალი ფენა — ვაჭარი.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დარღვეულია, მაგრამ
მაინც წინ მიდის.

ლიტერატურულ ცხოვრებაშიც ასეთივე მდგომარეობა გვაქვს.
ლიტერატურის განვითარებაც ჩქარი ნაბიჯით წინ მიდის. ქართული
ლიტერატურა ძველ გზას ტოვებს. ახალს მძლავრად ისუნთქავს.
თუმცა სევდა-ნალველი, გოდება აღორძინების ხანაში ქართულ
წიწერლობას რომ ახასიათებს, XIX საუკუნის პირველ პერიოდშიც
ვითარდება, როგორც პრივილეგიური კლასის წარმავლობისა და
ნიადაგ-გამოცლილობის მდგომარეობის და მისი იდეოლოგიის ამ-
სახველი, მაგრამ ახლა ეს მოტივები ახალი ლიტერატურული მიმარ-
თულებების — რომანტიზმის პრიზმაშია გატარებუ-
ლი. ამ ახალმა ლიტერატურულმა მიმართულებამ და მის წარმომად-
გენელთა გავლენამ დაუახლოვა ქართული ლიტერატურა რუსულ-
ევროპულს და პირველი გაამდიდრა ახალი მოტივებით, ახალი იდეე-
ბით და მისწრაფებებით, ახალი ლიტერატურული სტილით.

ასეთი სურათი ოფიციალურ ლიტერატურას უფრო
ატყვია.

არ არის გაყინული ამ პერიოდში სხვა ფენების ლიტერატურუ-
ლი ცხოვრებაც. ხალხი, მდაბიო ხალხიც განაგრძობს
თავის ცხოვრებას, ახალი დრო მის ცხოვრებაშიც დიდ გარდატენას
ახდენს. ამ მოვლენებს ხალხის შემოქმედებითი ძალა, როგორც
მგრძნობიარე ბარომეტრი, ასახავს. თავის სიტყვიერი შემოქმედების
ტრადიციას (როგორც ფორმისა, ისე შინაარსის მხრით) ავითარებს,
ახალ ცხოვრებას აგუებს: ბატონისა და ყმის ურთიერთობა, ნატურა-
ლური მეურნეობის რღვევა, ახალი კულტურა და მისი უხეში გატა-
რება — აი მთავარი საკითხები ხალხური შემოქმედებისა ამ პერიოდ-
ში, რაც ასე ნიჭიერად ასახა ხალხმა „არსენას ლექსში“.

ამ პერიოდში თუმცა შენელებული ტემპით, მაგრამ მაინც ვი-
თარდება აგრეთვე, ე. წ. ყარაჩოღლური ლიტერატურა — ეს
მოქალაქეთა ლიტერატურა, XVIII საუკუნეში ასე რომ იყო განვო-
თარებული. ჩვენი ლიტერატურის ამ მიმართულებამ, რა თქმა უნდა,
ამ პერიოდში ფერცვლილმა, შესუსტებულმა, შეიძლება ითქვას.
შეინარჩუნა თავისი სპეციფიკური ფორმა, ჟანრი, თემა, საერთოდ

თავის სტილი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (სკანდაროვი და სხვანი).

ქართველი ხალხის ახალი ცხოვრების გზის ძიების საფუძველზე XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართულ ლიტერატურაში გზას იკაფავს ახალი მიმართულება — რეალიზმიც იოანე ბაგრატიონის, სოლ. დოდაშვილისა და სხვათა შემოქმედებაში. ამ მწერლების შემოქმედებაში გამოვლინება ჰპოვა ეპოქის მტკივნეულმა საკითხებმა. მაგალითად: ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობა, ბატონყმობის მახინჯი მხარეები, ეროვნული მთლიანობისა და კულტურის დაცვა და სხვა; ამავე პერიოდში ფეხს იდგამს ეროვნული პრესაც.

ლიტერატურის ამ მთავარ მოქმედ ნაკადთა შორის ახალი ლიტერატურის ისტორიის პირველი პერიოდის მანძილზე, უდავოდ, ურთიერთობაა, ერთმანეთისაგან ისინი იღებენ, სესხულობენ ელემენტებს. როგორც ენისა, ჟანრისა და საერთოდ ფორმისა, ისე შინაარსისა (სამწუხაროდ წინამდებარე ნაკვეთში ეს ურთიერთობა ჯერ მეტად სუსტად არის წარმოდგენილი, ვინაიდან ეს საკითხი ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში შესწავლილი არ არის) და ჰქმნიან საერთო ლიტერატურულ ცხოვრებას ამ პერიოდში.

ამ პერიოდში რომანტიზმი თავისებური მოტივებით (ეროვნული და ამაზე განვითარებული უკმაყოფილება, სევდა-ნაღველი, წარსულის გაიდევლება) გაბატონებული მიმართულებაა ჩვენს ლიტერატურაში მთელი ამ პერიოდის მანძილზე. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში მეტადმოლი მოტივების შემცველი რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში თავის განსხვავებულს დამთავრებულ სახეს იღებს.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება დაჯამებაა მთელი ეპოქისა. მასში ასახულია ქართველი საზოგადოების ის მტკივნეული ძიებანი ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად, რომელიც ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში იდგა და გამოსავალს ეძებდა.

ამ ნიადაგზეა ნ. ბარათაშვილის უაღრესად პესიმისტურ შემოქმედებაში დაბუდებული აგრეთვე გამოსავალი, პოეტის სურვილი ცხოვრებასთან კავშირი არ გასწყვიტოს, მომავლისაკენ წავიდეს, რომ მსხვერპლის განწირვით, „თვისა მოძმეს სიძნელე გზისა გაუადვილოს“. ამით არის გამოწვეული ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ტენდენციები რეალიზმისა, სინამდვილეში შეიქრას, გაიგოს მისი გეზი.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფერისცვალება მიზეზი ჩვენი ოფიციალური ლიტერატურის ენის

ცვლისაც. ანტონ კათალიკოსის მიერ დამყარებული კატეგორიები ახალი ცხოვრების გავლენით თანდათან ძალას ჰკარგავს, ლიტერატურული ენა, საეკლესიო ენით რომ ასე უხვად საზრდოობდა, თანდათან მისი გავლენისაგან თავისუფლდება, სალაპარაკო ენასთან დაახლოების გზით მიდის. ჩვენი ოფიციალური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებაში მძლავრად შეჭრილია ხალხური ენა და „კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“.

თვით პოეტური შემოქმედების ფორმა ელეგია და განსაკუთრებით მუხამბაზი, გავრცელებული რომ არის პირველი პერიოდის ლიტერატურაში, აშკარა მაჩვენებელია სხვადასხვა თანაარსებულ ფენათა ლიტერატურულ ნაკადთა ურთიერთგავლენისა. ევროპულ რომანტიზმთან ერთად ჩვენს ლიტერატურაში ყარაჩოლდუნი პოეზიისა და ხალხური ენისა და შემოქმედების გავლენაცაა შექსოვილი. ამაშია თავისებურება ქართული ლიტერატურისა პირველ პერიოდში როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით.

პირველი პერიოდის დასასრულს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი გავლენით თავმოყრილი მოვლენები ნეორე პერიოდის დასაწყისშივე შედგენდება და ახალ, შესაბამ მიმართულებას აძლევს როგორც ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, ისე ლიტერატურასაც.

XIX საუკუნის 60-იანი წლები, როგორც ცნობილია, დიდი სოციალური ძვრებისა და ეკონომიური გარდატეხის პერიოდია როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც (საქართველოში, რა თქმა უნდა; ნაკლები ინტენსივობისაა, ვიდრე რუსეთში, მაგრამ აქაც ის კარგა საგრძნობი მნიშვნელოვანი ძალისაა).

რუსეთში კაპიტალიზმის ძლევამოსილმა განვითარებამ მნიშვნელოვანი სისწრაფით დაარღვია იქაური ძველი ნატურალური ფეოდალური მეურნეობა და საზოგადოებრივი ყოფა; მან თანდათან დაიპყრო შინაგანი ბაზრები და ყოფილი იმპერიის განაპირა ქვეყნებში ჩაითრია კაპიტალისტური განვითარების პროცესში.

აი როგორ ანასიათებს რუსული კაპიტალიზმის ამ პროცესს ვლ. ლენინი: „კაპიტალიზმს არ შეუძლია წარმოების ერთი და იგივე პროცესები გაიმეოროს წინანდელ ფარგლებში, უცვლელ პირობებში (როგორც ეს იყო წინაკაპიტალისტური რეჟიმების დროს), რომ ის აუცილებლად იწვევს წარმოების უსაზღვრო ზრდას, რომელიც ვეღარ თავსდება წინანდელი საშეურნეო ერთეულების ძველ, ვიწრო ფარგლებში... რეფორმის შემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდად მოჰყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან. მეორე მხრით, თანდათან იღვენებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი შინამრეწველური სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აკრთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება

ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნაღიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიურ-კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევების წარმოება ადგილობრივი ლენინისათვის, რომელიც პირველად გამოქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა შეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევედა საქონლის მხოლოდ ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავიებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს — ჰქმნიდა ბაზარს თავის ფაბრიკებისათვის¹.

საქართველოც, ნებით თუ იძულებით ჩაება ამ პროცესში. კაპიტალიზმურმა განვითარებამ საქართველოშიც მძლავრად დაუწყო დარღვნა ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობასა და საგრძობლად დარღვია ფეოდალური კლასის ეკონომიური მდგომარეობა. 60-იანი წლებიდან საქართველოში სწრაფი დეგრადაციის გზაზე მყოფ ფეოდალურ კლასში უფრო გარკვეულად შეიქმნა შინაგანი ფენები: შეცლებულნი, საშუალო შეძლებულნი და გაღარიბებულნი.

საშუალო შეძლებისა და ღარიბი თავადაზნაურობის ფენიდან გამოსულმა ქართველმა ინტელიგენციამ, ე. წ. თერგდალეულებმა ალღო აუღო ქვეყნის განვითარების ახალ ბურჟუაზიულ გზას და ცხოვრებასთან შეგუების გზი აიღო. თერგდალეულებმა თავიანთი განწყობილება და გადაწყვეტილება ჩამოაყალიბეს შემდეგი ლოზუნგის სახით თავიანთი ბელადის ილია ჭავჭავაძის ლექსში: „ქართველის დედას!“:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალის დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..

თერგდალეულებმა ლიტერატურაშიც ბრძოლა გამოუცხადეს დრომოკმულ რომანტიკულ მიმართულებას და მთელი ენერგიით ქართულ ლიტერატურაში განავითარეს და დაამკვიდრეს კრიტიკული რეალიზმი. გამარჯვებაც და წამყვანი ხაზიც როგორც პრაქტიკული ცხოვრების ასპარეზზე, ისე ლიტერატურაშიც 60—80-იან წლებში მათი შეიქმნა².

¹ ე. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ტ. 3, გვ. 701. 703—704, გამოცემა 1948 წლის.

² მის. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II.

თერგდალეულებმა, დემოკრატიულ-რადიკალური მისწრაფებებით აღჭურვილებმა, მედგარი ბრძოლა გამოუცხადეს დაზავებულ, დრომოკმულ ტრადიციებს, პოლიციურ-კოლონიურ პოლიტიკას, მძლავრად გაშალეს ეროვნულ-გამათვისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და ახალგაზრდა რუსეთის რევოლუციონურ-დემოკრატიულად განწყობილ საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში შეუდგნენ ახალი, სამართლიანი „ძმობა, ერთობა, თავისუფლების“ გზის გაქრას.

ფეოდალური კლასის შეძლებული ნაწილი, ე. წ. ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც არსებულ ეკონომიურ რღვევის პროცესში ჯერ-ჯერობით კიდევ შერჩა ეკონომიური დოვლათი (ტყე და მამულის სახით), ახალ ცხოვრებას, მის მოთხოვნილებებს და მიმართულებას ვერ უღებს ალღოს, ვერ აფასებს თავისი ეკონომიური ცხოვრების რღვევის მიზეზებს, ჰკარგავს პერსპექტივას; ხშირად ბრმად სარგებლობს შერჩენილი დრომოკმული პრივილეგიებით და ვერ გრძნობს, რომ ეს პრივილეგიები მათთვის დროულია, წარმავალი, ის ვერა ხედავს, ყოველ შემთხვევაში სათანადო ალღოს ვერ უღებს, მშრომელთა მასების დაწყებულ აღმავლობას, იმის ძალასა და ისტორიულ მნიშვნელობას. მართალია, ფეოდალური კლასის ეს ფენა ეკონომიური მდგომარეობის შერყევასთან ერთად შინაგან ფსიქოლოგიურ მერყეობასაც განიცდის, აწმყოთი ის უკმაყოფილოა, ძველს ებოტინება, ძველს მიჰტირის, წარსული მდგომარეობის მძლავრი შერყევით თუ სრულიად დაკარგვით გამოწვეული დარღები ღია იარასავით მასში დარჩენილია და საშინელ ტკივილებს განიცდის.

მას მაინც არ უნდა შეურიგდეს, რომ მისი მდგომარეობა ბეწვზე ჰკიდიდა; კვლავ განაგრძობს ძველის დაბრუნებაზე ოცნებას და თითქოს სწამს კიდევ, რომ მისი „სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება“ — ეს წყალწაღებულის იმედი თუ ნაძალადევი რწმენაა, მის „მოკლულ გულს“ რომ ჰფენდა „ნათელსა და სიცოცხლეს“.

ამ სოციალურ ფენას XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰყავდა მისი აღნიშნული განწყობილების გამომხატველი პოეტებიც. ეს პოეტებია, რომელთა ცხოვრებაში, როგორც ამბობს ილ. ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ მწვავე და მტკივნეული იყვნენ „წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა“. ხოლო „მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება“.¹

¹ ილ. ჭავჭავაძე, მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა, თხზულებანი, ტ. III, გვ. 232.

ეს პოეტები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ მხატვრულ მწერლობაში ანვითარებენ თავისებურ ლიტერატურულ მიმართულებას.

ცნობილია, რომ რომანტიზმმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში უმადლეს საფეხურს ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებაში მიაღწია. ნ. ბარათაშვილმა თავის შემოქმედებაში გაუმეორებლად ამოწურა და ასახა ყოველი შესაძლებლობა რომანტიზმის სრულყოფისათვის ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ, ამასთანავე, მის შემოქმედებაში გარკვეულად ვამჩნევთ რომანტიზმის, როგორც მთლიანი ლიტერატურული სტილის, რღვევის დასაწყისსაც; სინამდვილესთან — თანადროულობასთან მისვლის, ცხოვრების სინამდვილის მტიკვენულ საკითხებში გარკვევის ნდომას; რეალიზმის ელემენტების შემოტანის ტენდენციას, როგორც თემატიკის, ისე პოეტური სტილის თვალსაზრისით.

ნიკ. ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რეალიზმი გაბედული ნაბიჯით იჭრება ქართული ლიტერატურის განვითარებაში (გ. ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ლ. არღანიანი, დ. ჭონქაძე), ხოლო 60-იანი წლების დასაწყისიდანვე ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მეთაურობით ქართულ ლიტერატურაში მტიკედება კრიტიკული რეალიზმი.

სინამდვილე თავისი ისტორიული გზით მიდიოდა; თანდათან ანგრევდა ძველი ცხოვრების საფუძვლებს; ფეოდალური კლასის კეთილდღეობა თანდათან ნიადავს ჰკარგავდა, კნინდებოდა. დაიკვალა ცხოვრების ახალი გზები. საზოგადოებრივი ცხოვრება, ყოფაც ამ მიმართულებით ამოძრავდა, ამოქმედდა. ამ ფენისათვისაც ნებსით თუ უნებლიედ ამ ახალი გზით სიარული აუცილებელი შეიქმნა. ამიტომ ეს ფენა, ერთი მხრით, განიცდის ძველის აშკარა წარმავლობით, ძველის დაკარგვით ტკივილს, ძველის დაბრუნების დაუძლეველ სურვილს, მეორე მხრით, გრძნობს, რომ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებში არის, რის მიღება და ცხოვრებაში გატარება აუცილებელია; ამიტომაც ამ ფენის საუკეთესო წარმომადგენელნი ცდილობენ ცხოვრების სინამდვილესთან ახლო მისვლას, ცხოვრების სინამდვილის ხმის თუ ძახილის მოსმენას, გაგებას. მაგრამ მხატვა და არასწორი, არაჯანსაღი მათი ალღო და უნარი ცხოვრების ნამდვილი მდინარების გაგებაში. ამ ფენის ამგვარი ორმაგი განწყობილების გამომხატველნი არიან XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოეტები: ვახ. ორბელიანი, მამია გურიელი, ბარბარე ჟორჯაძისა, გრ. აბაშიძე და სხვანი.

ამ მწერლების შემოქმედება, უდავოდ, მატარებელია თავისებუ-

რი სპეციფიკისა. ისინი წარსულსა და აწმყოს შორის მერყევ პოზი-
ცაზე დგანან. მათი ლიტერატურული სტილიც სიცხადით ამ გან-
წყობილების გამომხატველია. ეს მწერლები დეკადანსის გზაზე დამ-
დგარი კლასის ფსიქოლოგიის, უდავოდ, მკვეთრი გამომხატველნი
არიან: წარსულის იდეალიზაციისა, სევდისა, მისი წარმავლობით გა-
მოწვეული მოწყენილობისა და მისტიკური განწყობილებისა. ესენი
ანვითარებდნენ ან, უფრო სწორი იქნება, აგრძელებენ ქართველი
რომანტიკოსი მწერლების — ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის
რომანტიზმის სტილს. მაგრამ ამასთან ერთად ისინი სინამდვილის
ასახვის — თანადროულობასთან მისვლის სურვილსაც საგრძნობ-
ლად ამჟღავნებენ. სინამდვილის ასახვის ტენდენციის გამოვლინება-
ში ეს მწერლები, უდავოდ, განიცდიან თერგდალეული მწერლე-
ბის — ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის დიდ გავლენას როგორც
თემატიკისა, ისე ენისა და პოეტური ხერხების გამოყენებით.

ამიტომ ეს მწერლები არც წმინდა რომანტიკულ მიმართულებას
მიეკუთვნებიან, რადგანაც რომანტიკული სტილის მთლიანობა მათ
შემოქმედებაში დარღვეულია რეალისტური მიმართულების ელემ-
ენტების შეტანით და არც რეალისტურ სკოლას, — ვინაიდან მათ
მხატვრულ სტილში უხვადაა ჩაქსოვილი რომანტიზმის სტილის
ნიშნები.

ამ მწერალთა ლიტერატურული სტილი აშკარად გვაძლევს სა-
ფუძველს დავასკვნათ: რომანტიკული სტილი 50-იანი წლებიდან ქარ-
თულ ლიტერატურაში იწყებს რღვევას: დასახელებული მწერლების
შემოქმედებაში არც რომანტიკული სტილია თავისი მთლიანობით
შემონახული, დაცული და არც რეალისტურია გარკვევით, სწორი
გაგებით გამოყენებული.

ამ მიმართულების პოეტებს განსაკუთრებით კი — ვ ა ხ ტ ა ნ გ
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ს ა და გ რ ი გ ო ლ ა ბ ა-
შ ი ძ ე ს მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ჰყავდათ
საკმარისად მრავალრიცხოვანი მკითხველი. ამიტომაც ამ მწერალთა
ჯგუფსაც თავისი ადგილი აქვს ქართული ლიტერატურის განვითარ-
ების ისტორიაში.

ამ მწერალთა ლიტერატურულ მიმართულებას, სანამ უკეთესი
ტერმინი იქნება შემოღებული, შეიძლება პირობით ვუწოდოთ. რ ო-
მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს დ ე კ ა დ ა ნ ს ი, ვინაიდან რომანტიზმის სტილი
მასში უფრო სჭარბობს.

ვახტანგ ორბელიანი

1812 — 1890

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი ერთ-ერთი ტიპიური და თვალსაჩინო წარმომადგენელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის იმ განშტოებისა, რომელსაც ჩვენ პირობით „რომანტიზმის დეკადანსს“ ვუწოდებთ. თუ მწერლის სულიერი სახისა და მისი პოეტური მოღვაწეობის სათავისა, ჩანგის სიმთა ძვრისა და მიმართულების მიზეზთა გამოკვლევაში, ჩვეულებრივ, დიდი ყურადღებით გათვალისწინებული უნდა იყოს მწერლის ეპოქა, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება, ქვეყნის ჭირ-ვარამი და ლხინი, პოეტის ოჯახი, მისი მახლობლები და ნაცნობები, განსაკუთრებით ვახ. ორბელიანის ცხოვრებისა და პოეტური მოღვაწეობის შესწავლისას უნდა მიექცეს ყურადღება ყველა შემოაღნიშნულ პირობებას.

ვახ. ორბელიანი დაიბადა და აღიზარდა ქართველი ხალხის რთულ ისტორიულ პირობებში. ცნობილია, რომ XIX საუკუნე ქართველი ხალხის, მის ეკონომიურ, პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხის, დიდი სოციალური ძვრების ხანაა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში არაჩვეულებრივი სისწრაფითა და ტკივილებით ერთი მოვლენა სცელის მეორეს. მეორეს მესამე და ასე ცხოვრება ხდება ფერცვლილი, აქრელებული, როგორც იტყოდნენ თანამედროვენი. ეს ის ხანაა, როცა, ილ. ჭავჭავაძის დახასიათებით, „მეთვრამეტე საუკუნის დაჯივრება და მეცხრამეტის პირველი წლების წიწვავა-გლეჯამ საქართველოს ერთი მოღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედიც კი დააკარგვინა... მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუდამხმულსა-ვით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია არც უკან მიხედვისათვის. არც წინ დანახვისათვის, თითქოს დიდი ნისლი მოხვევიათ და ელიან, აცა გადაიყრისო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუტრავსო“.¹

აი ასეთ პირობებში იზრდებოდა და სრულდებოდა ვახ. ორბელიანის ნიჭი და მსოფლმხედველობა.

¹ ილ. ჭავჭავაძე, „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“, ტ. III, გვ. 237.

ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1812 წელს 5 აპრილს დიდი ფეოდალისა და ნიჟიერი სარდლის, ვახტანგ ორბელიანის ოჯახში. დედამისი თეკლე იყო ერეკლე II უმცროსი ქალი, გონიერი, მხნე, გამჭრიახი, საზოგადოებრივი გრძნობითა და მიმართულებით აღსავსე, ნიჟიერი, თავისი დროისათვის ნაკითხი, განათლებული და აღჭურვილი პოეტური ნიჭით. მამა პოეტისა ვახტანგი გარდაიცვალა იმავე 1812 წელს. ამიტომაც ახლად დაბადებულ ბავშვს მისცეს მამის სახელი — ვახტანგი.

ბავშვობიდანვე ვახტანგი იზრდებოდა ნიჟიერი დედის ხელმძღვანელობით. ვახტანგის ოჯახი, მისი დედის თეკლეს ზეგავლენით, ცხოვრობდა წარსული თუ მიმავალი დროის დიდ მწვავე ტყვილებში. მასში ცოცხალი და ცხოველი იყო კულტი მეფე ერეკლე II-ისა, რომელიც დიდი პატრიოტის, გენიალური, გამჭრიახი და თავდადებული მმართველისა და სარდლის შარავანდელით იყო მოცული. მის მტერზე საარაკო გამარჯვებებზე გადმოცემები და ხალხის მიერ შექმნილი ლექსები-ლეგენდები კვლავ ასაზრდოებდა როგორც მახლობლებს (განსაკუთრებით კი ბატონიშვილ თეკლესა და მის ოჯახს), ისე ხალხსაც.

დედა პოეტისა, თეკლე გულმხურვალე მოწმე იყო მამის დროისა, მისი საზღაპრო გამარჯვებებისა და აგრეთვე ქვეყნის საზედისწერო დამარცხებნა. ის შემდეგშიც განაგრძობდა ძველის მოგონებებით ცხოვრებასა და შვილებსაც (ალ. ორბელიანს, დიმიტრი ორბელიანსა და ვახ. ორბელიანს) ამ ამბების ზეგავლენით ზრდიდა. აღზრდის ამ ატმოსფეროს დიდი უშუალობითა და დამაჯერებლობით ადასტურებს ვახ. ორბელიანი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „იმედი“.

სული მიყენესი. გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება. რასაც დედა შორჩს მომიბორობდა.
ის ეამი იყო საქართველოს სული ხდებოდა.

მაგრამ ვახტანგის დედამ თეკლემ ამ განწყობილებასთან ერთად კარგად გაითვალისწინა, რომ ახალი დრო უკვე დადგა და ეს ახალი დრო აუცილებლივ და დაყინებით თხოულობს ახალგაზრდობის აღზრდას ევროპულ-რუსული განათლების მოთხოვნილებათა მიხედვით. ამიტომ ის შეეცადა იმ დროისათვის შესაფერი განათლებაც მიეცა შვილებისათვის.

ვახტანგი ცამეტ წლამდე იზრდებოდა ოჯახში უშუალოდ დედის ხელმძღვანელობით. შემდეგ, 1825 წელს, დედამ თბილისის კეთილ-

შობილთა სასწავლებელში მისცა, სადაც ის 1827 წლის დეკემბრამდე სწავლობდა; ხოლო 1828—1829 წლებში ვახტანგი სწავლობს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. აი თვითონ ვახ. ორბელიანი რა ცნობას გვაძლევს ამის შესახებ თავის პასუხებში 1832 წლის შეთქმულთა საქმის გამოძიებელი კომისიის კითხვაზე: „სწავლა დაიწყო პირველად შინ, დედაჩემთან, შემდეგ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი, 1827 წელს 26-ს დეკემბერს კი გავემგზავრე პეტერბურგში და 1828 წელს პაჟთა კორპუსში შევედი, საიდანაც ავადმყოფობის გამო 1829 წელს მივიღე შევბუღება ჩემი სენის განკურნებამდე... პეტერბურგში 1828 წლის თებერვლიდან 1829 წლის 6 სექტემბრამდე ვიმყოფებოდი, ხოლო სექტემბრის 6-ს გამოვემგზავრე იქიდან ექიმების რჩევით... მოსკოვში გამოვიარე, იქ ხუთ დღეს გაეჩერდი და თბილისში 1829 წლის ოქტომბრის 6-ს ჩამოვედი“. აქედან იწყება ვახ. ორბელიანის საზოგადოებრივი ცხოვრება-მოღვაწეობა.

როგორც ირკვევა ოჯახშიც, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელშიც და პეტერბურგის პაჟთა კორპუსშიც ვახ. ორბელიანს სერიოზულად და ხალისით უმუშავია თავის თავზე, გულისხმიერებით აუთვისებია მიცემული როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი აღზრდა. „მისი ტოლ-ამხანაგები ამბობენ, — წერს ილ. ჭავჭავაძე, — რომ თერაპეტი წლის ყმაწვილ კაცს თავ. ვახტანგს, თუმცა მხიარულება და საზოგადოებაში ყოფნა ჰყვარებია, მაგრამ ამაზე მეტად უფრო ჰყვარებია წიგნების კითხვა, ნამეტნავად საფუძვლიან და გამოჩენილ წიგნებისაო. ამას უნდა მივაწეროთ ის ამბავიც, რომ, მის სწორ-ამხანაგთა სიტყვით, იგი ყოველთვის ირჩეოდა თურმე მაშინდელ ყმაწვილ-კაცთა შორის თავისი ცოდნით და გონება-გახსნილობით. ეს სიყვარული წიგნთა კითხვისა არ მოჰკლებია სიკვდილამდე“.¹

ილ. ჭავჭავაძის მიერ ვახ. ორბელიანის ცხოვრების აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელია აგრეთვე თვით პოეტის გულწრფელი აღიარებაც ლექსში „ძ ვ ე ლ ს მ ე გ ო ბ ა რ ს“, რომელიც მიმართულია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პოეტის სიყრმის მეგობრის — დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა დ მ ი.

„უკუღმართობით“ გაწამებული, დაბერებული ვახ. ორბელიანის ფიქრი და გონება ძველის, ახალგაზრდობის მოგონებითა ცხოვრობს. პოეტი ძველის ტკბილი მოგონებით ლექსში „ძ ვ ე ლ ს მ ე გ ო ბ ა რ ს“ ასე მიმართავს ყრმობის მეგობარს:

¹ ილ. ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 262.

მოდო. ა. მძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქმნილება,
იმის ფურჩგნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ;
გეტე. შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ.
გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული,
სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რვეული.

აღნიშნული ლექსის მოტანილი ნაწყვეტი საგულისხმოა არა მარტო იმით, რომ ის ცნობას გვაძლევს, რა წიგნებს, რომელ პოეტებს ეტანებოდა ჰაბუკი პოეტი, რით იყო ის დაინტერესებული, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ჩვენი „ისტორიის დიდი რვეულის გადახსნა“ მისთვის, როგორც მისი ყრმობის მეგობრისათვის — დიმიტრი ყიფიანისათვის, ძირითადი იყო და ამგვარი მუშაობა-დაინტერესება თხოულობდა „მინდობით საუბარს“. მოხუცებაში შესული პოეტი ამით, რა თქმა უნდა, თავისი ყრმობის მეგობარს მოაგონებს იმ ისტორიულ ფაქტს (ფარული საზოგადოების საიდუმლო მუშაობას), რომლის მონაწილენიც ისინი იყვნენ ჰაბუკობაში.

ვახ. ორბელიანი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ შეიქმნა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე 1832 წლის ფარული საზოგადოებისა. და ეს ბუნებრივიცაა. ამ ფარული საზოგადოების დიდი უმრავლესობა მასთან ნათესაური კავშირით იყო დაახლოებული. როგორც ირკვევა, ოპოზიციური განწყობილება ვახტანგ ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროსვე მიუღია. აი რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს საგამომძიებლო კომისიისადმი მისი ჩვენება: „პეტერბურგში რომ ვცხოვრობდი, — წერს ვახტანგ ორბელიანი, — ხშირად გამიგონია დიმიტრი ბატონიშვილისაგან შემდეგი: „როგორ არა გრცხვენიათ, ქართველებო, რუსები როგორ გავიწროვებენ? რატომ ისინი პოლონელებს არ ექცევიან ასე? იმიტომ, რომ თქვენ მშისრები და ფლიდები ხართ...“ და ამის მსგავსი საუბრები“.¹

ცხადია, ვახ. ორბელიანი ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს შეთქმულთა ზრახვათა კურსშია და, ვფიქრობთ, საკმარისად მოხიბლულიცაა. ამიტომაც დაბრუნებისთანავე ის ფარული საზოგადოების აქტიური წევრი შეიქმნა. შეთქმულება რომ გამოაშკარავდა, ვახ. ორბელიანიც დაპატიმრეს და ის წელიწადზე მეტი დატუსაღებული იყო სხვა შეთქმულებთან ერთად ავლაპრის ყაზარმებში. სასამართლომ 1834 წლის თებერვალში შეთქმულების ამ მთავარ ხელმძღვანელს და მათ შორის ვახ. ორბელიანს მიუხაჯა სიკვდილით დასჯა (ე. წ. четвертованне-ს წესით, ე. ი. ჯერ ხელ-

¹ ს. ქილია, ვახტანგ ორბელიანი, დამატება. ვახტანგ ორბელიანის ჩვენება, გვ. 113.

ფეხისა და შემდეგ თავის მოკვეთა). მაგრამ შემდეგ ეს სასჯელი შე-
თქმულების ათივე მონაწილეს შეუცვალეს პატივის აყრითა და სა-
ქართველოდან გადასახლებით რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

ვახ. ორბელიანი 1834 წელს გადასახლეს ქალ. კალუგაში. აი-
როგორი განწყობილებით სტოვებს ის თავის ქვეყანას:

მშვიდობით, ჩემო გამოზრდელო, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირთ ძეთ სამარევე. იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო. ვარ შენი შვილი!

ექსორიაში მყოფი ჭაბუკი პოეტის განცდები, ძალით სამშობლოს
მოშორებით გამოწვეული, ასეთივე ეროვნული ტკივილებით არის
გამსჭვალული:

სამშობლო ქვეყნით გადახეწილს, გულსა დამშრალსა
სწყურსარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელს თვალსა,
ეით ვანდეწილთა თვის ქვეყნითა მის მღერა ტკბილი,
ვით უდაბურშო, მზით დამწვარში, მგზავრს წყარო ჩრდილი?²

ასეთი განცდებითაა ვახ. ორბელიანი ქალ. კალუგაში. იქ ის 1836
წლიდან გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობდა, ხოლო 1837
წელს ნაპატიები და შენდობილი სამშობლოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი თავის დაწყულულებული
გულის ნაჟონს მკვეთრად გამოხატავს ლექსში „მ ო გ ო ნ ე ბ ა“.

ღღე და ღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა
ჩენი მამული, მშვენიერი ჩენი ქვეყანა.

მესია სეედა, ლოდინითა დაბერდა გული;
მაგრამ სამშობლოს მოველ ტკბილის ოცნებით სრული:
აქ არის ჩემი მარგალიტი, ტკბილი ოცნება,
ენახავ და გული დაჩაგრული გამიილდება.

1838 წლის 1 ივლისიდან ვახ. ორბელიანი „დამშვიდებული“ და
„შერიგებული“ შევიდა სამხედრო სამსახურში და 1858 წლამდე
ჯარში იყო. მან მრავალ ლაშქრობაში შიილო მონაწილეობა. 1858
წლიდან 1863 წლამდე ჩრდილო კავკასიაში ის ასრულებდა სხვადა-
სხვა საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ თანამდებობას — ჯერ
ყუბანის მაზრის მმართველად, ხოლო შემდეგ თერგის მხარის უფ-

¹ „გამოსალმება“, 1928, გვ. 3.

² „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“. 1928, გვ. 4.

როსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად. 1864 წ. ის დაინიშნა ჯერ გლეხთა საკრებულოს წევრად, ხოლო შემდგომ სხვადასხვა ადგილას ასრულებდა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას.

ვახ. ორბელიანი ამ თანამდებობაზე მყოფი გარდაიცვალა 1890 წლის 29 სექტემბერს ქალ. თბილისში.

ვახ. ორბელიანის პოეტურ კალამს ფეხი აადგმევინა და მის პოეტურ აღმადგინას ფრთა შეასხა ქაბუკი პოეტის — პატრიოტის საშობლოდან გადასახლების მწარე ფაქტმა.

ვახ. ორბელიანს 1834 წლიდან 1857 წლამდე დაწერილი აქვს სულ ცხრა მცირე მოცულობის ლექსი, ხოლო 1857 წლიდან 1866 წლამდე სამი, ორი მცირე მოცულობისა და ერთიც პოემა „იმედი“. პოეტის ყველა ლექსს, 1834—1866 წლებში დაწერილს, უდავოდ, მიეხება, ქართველ და უცხო მწერალთა გავლენის კვალი ატყვია.

ვახ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობა, როგორც აღნიშნულია ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში, იწყება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. აი რას წერს ვახ. ორბელიანის ლექსთა კრებულის პირველი გამოცემის რედაქტორი პეტრე უმიკაშვილი თავის წინასიტყვაობაში: „როგორც მკითხველი დაინახავს ქრონოლოგიურის მაჩვენებლიდან, უმეტესი ნაწილი ლექსებისა დაწერილია 1879 წლის შემდეგ“.¹ ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამს პროფ. ა. ხახანაშვილი: „ვ. ორბელიანის სალიტერატურო მოღვაწეობა იწყება 1857 წ., როცა იგი 45 წლისა შეიქმნა. ამ დროს მას დაუწერია უზრუნველი ანაკრეონტული „ბულბული“ („ცისკარი“, 1857 წ., № 1), 1858 წ. დასწერა „მიმსგავსება ვ. ჰუმოსი“, 1859 წ. „იმედის“ ნაწყვეტი და ამით თავდება მისი შემოქმედება 1866 წლამდე, როდესაც დაიბეჭდა მისი „ძველი დმანისი“. დანარჩენი ლექსები მან დაწერა 1879—1890 წ.“².

სწორედ ამ გარემოებით, რომ ვახ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება გაიშალა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, აიხსნება ის, რომ ვახ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა უნდა ზღებოდეს არა უშუალოდ ნიკ. ბარათაშვილის შემდეგ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერსპექტივაში, როდესაც გარკვეული ცნობილი ობიექტური პირობების საფუძველზე ქართულ ლიტერატურაში განვითარდა რომანტიზმი, როგორც ეს ჩვენ მწერლობაშია აქამდე მი-

¹ პეტრე უმიკაშვილი. ლექსები ვახტანგ ორბელიანისა. „წინასიტყვაობა“. გვ. 111.

² ა. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (XIX ს.). გვ. 120—121.

დებულა. არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, რომელთაც მძლავრი გარკვეული გავლენა მოახდინეს ვახ. ორბელიანის შემოქმედების როგორც შინაარსზე, ისე ფორმაზე.

ვახ. ორბელიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, შეიძლება ითქვას, მთელი XIX საუკუნის (1812—1890) მანძილზე; ამიტომ მის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებასაც ამ ცხოვრების ღრმა ბეჭედი აჩნევია. ჯერ კიდევ პროფ. ალ. ხახანაშვილმა აღნიშნა, რომ „ვახ. ორბელიანი სდგას რომანტიული და რეალური პოეზიის შუა“¹.

მართლაც, ვახ. ორბელიანი, ერთი მხრით, იმავე ჰანგზე მღერის, რომელზედაც ქართველი რომანტიკოსები — სტირის, „რაც დამარხულია, რაც უწყალოს ღრთ ხელით დანთქმულია“; მეორე მხრით, 60-იანი წლების საგრძნობ გავლენასაც განიცდის, ეძებს ცხოვრების ახალ ვარსკვლავს და ლამობს მისდიოს მას. ამაშია ვახ. ორბელიანის თავისებურება, რის გასაღებიც მის თუ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ცვალებადობაშია.

ძირითადი მოტივი ვახ. ორბელიანის შემოქმედებისა არის მწარე გაუნელებელი ნაღველი ძველი დიდების დაკარგვით — სამშობლოს დარღვევითა და მისი უილაჯო-უნუგემო მდგომარეობით გამოწვეული. ძირითადად, ამ მოტივის განვითარებით ვახ. ორბელიანი მძლავრად ეხმაურება ქართველ რომანტიკოს მწერლებს, განსაკუთრებით გრ. ორბელიანს.

ვახ. ორბელიანი, აღზრდილი ძველის დიდების ტრადიციებზე და მის დაკარგვის გოდება-წუწუნის ატმოსფეროში, აწმყო მდგომარეობით შებღალული და უკმაყოფილო, დამაშვრალის განწყობილებით სუნთქავს ძველის დიდებით, რომელსაც გმირი წინაპარნი ჰქმნიდნენ საარაკო თავდადებულობით ქვეყნისათვის.

ვახ. ორბელიანი ერთგვარი კმაყოფილებითა და მასთან შერეული ნაღველით ასეთ, უდავოდ, მკვეთრ შეფასებას მისცემს ქართველი ხალხის ისტორიასა და მის ბედს: პოეტის დახასიათებით საქართველოს ისტორია — ეს არის — „ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი“ („იმედი“), ზოლო თვითონ საქართველო კი „სისხლის კალო, გმირთა აკლამი, გულთ საქლავი და სავალალო“ (იქვე). პოეტის შეგნებაში მტკივნეული სიმკვეთრით იშლება ერთიმეორეზე ამაღელვებელი წარსულის ცოცხალი სურათი, წინაპართა ქვეყნისათვის თავგანწირული ვაჟკაცობისა, რომელთაც დედა მას — „ნოჩის მოუთხრობდა“ —

¹ ა. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (XIX ს.), გვ. 122.

სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!
აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა პატარა დასსა,
როგორ იღწვიან და ებრძვიან სამოც ათასსა!

ვახ. ორბელიანი ქართველი ხალხის ისტორიას რომ გადახედავს საუკუნეებში, ტკივილითა და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კერა თუ შენახულია, თუ საბოლოოდ არაა ქართველი ხალხი და ქართული კულტურა განადგურებული, თუ ქართველ ხალხს დღემდე შერჩა სამშობლო ტერიტორიით, ეს მხოლოდ საარაკო თავდადებით წინაპართა, რომელნიც ქვეყნისათვის არაფერს ზოგავდნენ. თავის სიცოცხლესაც ისე სწვავენ, როგორც ჩაასა.

აი, როგორ ეხატება პოეტს გმირ-წინაპართა ცხოვრება პოემაში „ირაკლი და მისი დრო“:

ნიაღვრით სისხლის
მთა-ბარი ირწყვის:
მამულს შეიღნი იხოცებიანი
მტერი აწვება,
ერი მტირდება,
მაგრამ მის შთენნი მაინც იბრძვიან.

ვახ. ორბელიანის, როგორც სხვა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაშიც, დიდი სიმკვეთრითაა აღბეჭდილი სახელი ერეკლე მეორისა, როგორც დიდი პატრიოტისა, მზრუნველი მმართველისა და შეუღარებელი მხედართსარდლისა, გენიალური სტრატეგისა, რომელიც უანგაროდ იწვის ქვეყნის დაცვისა და წარმატების სამსხვერპლოზე.

ერეკლე მეორეს შემდეგი ნათელი ფერებით გვიხასიათებს ვახ. ორბელიანი „იმედში“:

აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!“
იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ;
ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჰავს თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!

ვახ. ორბელიანი მადლიერი გრძნობით გადახედავს რა ერეკლე

¹ „იმედი“, გვ. 21.

მეორის მოუსვენარ, განუწყვეტელ ბრძოლებში მუდამ მტერთან
მებრძოლს, მას ასე ეხატება იგი, რომელიც

ებრძვის დაღესტანს,
ებრძვის აზათ-ხანს, —
ზედ ეფერატზედა დგას და გზას იქერს,—
ოსმალებს მარჯენი,
სპარსელებს — მარცხენი...
აღტაცებით მას ევროპა უმზერს!

ითვალისწინებს რა ერეკლე მეორის საარაყო ნაამაგდარს მისი
ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე („ირაკლი და მისი დრო“,
„ირაკლი და კოხტა ბელადი“, „იმედი“), ვახ. ორბელიანი ასეთ აღ-
ფრთოვანებულ მკვეთრ შეფასებას აძლევს მას თავის „იმედში“:

გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი!

წარსულში ქართველი ხალხის მიერ ასეთი აურაცხელი და საარა-
ყო მსხვერპლის გაწირვა სამშობლოსა და საუკუნეობით გამომუშა-
ვებული კულტურის დაცვისათვის პოეტს აღელვებს, ის ღრმა აღ-
ფრთოვანების, მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით თავს იხ-
რის გმირ წინაპართა აჩრდილის წინაშე. სამაგიეროდ პოეტი აღშფო-
თებულია თავის თანამედროვე ქართველთა „გაყინულის, გაქვავებუ-
ლისა და უგრძნობელის გულით“, რომელთაც „მოთხრობა წარსულ
დროთა“ არ აღელვებს, არ აცხოველებს. ასეთი საყვედურით მიმარ-
თავს პოეტი მათ:

ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსკამოთ
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ-ძმათ ცილი ვწამოთ;
ოღონდ კი ჩვენთვის მზე მნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენადვლება, რაც რომ მოხდა მაშინ საღანლულს...

ვახ. ორბელიანი შეძრწუნებული ქართველი ხალხის მიერ სამშო-
ბლოსა და სარწმუნოების დაცვისათვის განწირული საარაყო მსხვე-
რპლით, როცა ერთი ქართველი ოც მტერზე მიდიოდა, მოწინავე
კაცობრიობასაც ადანაშაულებს გულგრილი დამოკიდებულებისა-
თვის ამ გმირი ხალხის გმირული ბრძოლისადმი. აღშფოთებული
პოეტი მათაც მიუტევებელი გულგრილობისათვის ასეთი საყვედუ-
რით მიმართავს:

1 „ირაკლი და მისი დრო“, გვ. 104.

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შერებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ-წინა თქვენს კარს ვწყდებოდით?
თქვენ ირაკლისა ღმირითა თავსა უკრავდით.
რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით!

და თითქოს ევროპისადმი შურისძიებით აღელვებული პოეტი მას
შემდეგს უწინასწარმეტყველებს:

არ დაიღუპებს ისტორია, ნუ გაქვთ იმედი
მართლმადიდებელთ წმიდა სისხლი კისერს გედებათ,
მაგრამ მოკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!

მორწმუნე პოეტი ამ წარსულის სინამდვილის დანახვით, მისი გა-
აზრებით შეძრწუნებული, ღვთაებისადმი, მისი კეთილი და სამართ-
ლიანის ბუნების არსში რწმენასაც კი ჰკარგავს. წონასწორობადა-
კარგული, შავ გრძნობამორეული პოეტი ასე გამოხატავს თავის მწა-
რე — ურწმუნო განწყობილებას:

გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის კმუნვის ძალა ერევა.
მაშინ მოყვანსო, შუა ვარ გკითხვით, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?

საქართველოს წარსულის გადახედვით, ქართველი ხალხის თავ-
დაცვისათვის უსწორო ბრძოლით შეძრწუნებული პოეტი დაექვე-
ბით მოშხამულივით წამოიძახებს:

თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი კეშმარიტების, —
მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!

ესაა პოეტის აღშფოთების, შეძრწუნების — ბოლშევიკური უკმაყოფილების აპოგეა, სადამდისაც მიიყვანა ის ეროვნულმა ტკივი-
ლებმა.

* * *

ვახ. ორბელიანი დიდი სასოებით თავდახრილი, მწუხარე ფიქ-
რით მოცული უყურებს დიდებული წარსულის ძეგლებს, რომელნიც
დამაჯერებლად ღაღადებენ წინაპართა დიად-შემოქმედ ცხოვრებას.
შეპყურებს ძველ ღმანისს, სასოებით უმზერს მის ციხეს, კოშკებს,
ტაძარს, რომელნიც „როსმე მაგარნი და ამაყნი, ღღეს დარღვეულ-
ნი“ და უსარგებლონია. მაგრამ პოეტისათვის ისინი მაინც ძვირფა-
სი არიან, რადგანაც ისინი „ისტორიის წმინდა რვეულებია“ („ძვე-
ლი ღმანისი“), რადგანაც ძველი ღმანისი თავისი ისტორიითა და აწ-
ინდელი მდგომარეობით პოეტს საქართველოს სიმბოლოდ ეხატება.

დიდებული წარსულის ასეთსავე გრძნობას იწვევს პოეტში, მართლაც. საქართველოს წარსულის დიადი ძეგლი — გელათის ტაძარი („არის ადგილი“), რომელიც „თუმცა ათასის წლის ხანსითაა შებურული“, დგას მარტოდ, მაგრამ, პოეტის განცდით, მაინც „დგას დიდებულად, გულამყად, მტკიცედ და მაგრად“, თითქოს ამყად ეუბნებოდეს გარემოს — „მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი!“...

პოეტს გული სტკივა, მას მწარედ სტანჯავს წარსულის დიდებული ძეგლების დარღვევა, დახვეწება, სავალალო, გაპარტახებული მდგომარეობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მზადაა მათ ხანგრძლივად უშინროს, რათა ამ გზით—წარსულის ხილვით მოიკლას დაუქმყოფილებელი სურვილი, ვინაიდან ამ ძეგლებს აქვთ „წარსული დიდი, გრძელი, და ისტორია, იმის წარსული მის კედლებზე სისხლით სწერია“ („ორი შენობა“).

წარსულის ასეთი იდეალიზაციით ვახ. ორბელიანი, რა თქმა უნდა, ენათესავება კიდევ ქართველ რომანტიკოსებს, განსაკუთრებით კ. გრ. ორბელიანს, რომელიც დარღვეულ ბეთანიის ეკლესიაში, იხილავს რა თამარ მეფის სახეს, მწუხარებისა და სიამოვნების გაერთიანებული სასოებრივი გრძნობით წამოიძახებს ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:

მიხარის, გიშურ.
ვწუხვარ და გიშურ
და ესრე მზერა მსურს სიკვდილამდე...

მაგრამ ვახ. ორბელიანის პატრიოტულ მოტივსა და ამ ნიადაგზე მის პოეზიაში გაშლილ ძველის იდეალიზაციას, უდავოდ, საგრძნობი და მნიშვნელოვნად განმასხვავებელი ნიშანიც ახლავს, რაშიც მკლავდება მასზე თერგდალეულთა გავლენაც.

ვახ. ორბელიანი ეროვნული გრძნობის გაღრმავების, წარსულის სიდიადის გახაზვის მიზნით მომარჯვებულად სარგებლობს პოეტური კონტრასტის ხერხით („ორი სიზმარი“, „ორი შენობა“). პოეტის დავირვებითა და გაგებით, თანადროული საქართველო და ქართველი ხალხის ცხოვრება, რაც მას ახალი შენობის სახითა აქვს წარმოდგენილი („ორი შენობა“) „ახალთ დროთ ტურფად ნაგებია“; ეს შენობა პოეტის რწმუნებით

მგზავრად მიმავლის თვალს იზიდავს მისი შეენება;
წალკოტი ყვავის მშვენიერად მის კედელთ გარე,
ზურმუხტ მდელით მოსილია იმისი არე,
გარეთ და შიგნით მის კედელი არის მორთული,
როგორც რომ სასძლო მშვენიერი ტურფა ასული.

პოეტის გაგებით, ეს მშვენიერება მხოლოდ გარეგნულია, ეს შენობა მხოლოდ შემთხვევით გამვლელს მოეჩვენება ასეთად. პოეტი რომ შეფასების თვალთ გაითვალისწინებს ამ შენობას, ღრმად დარწმუნდება, რომ

...მის კედელს, ამ ღრთ ნაშენს, მის კირსა და ქვას,
ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი და არც ღონე აქვს.

დაუკმაყოფილებელი პოეტი აწმყოს წარსულს უპირისპირებს. ეს დაპირისპირება მას გარკვეულად შემდეგ გაგებას აძლევს: საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებით, რაც მას წარმოდგენილი აქვს ძველ შენობათა ნანგრევების სახით, დღეს მართლაც, დარღვეულია, დაკნინებულია:

კოშკნი მაღალნი, ციხე ვრცელი, წმინდა ტაძარი,
დიდი პალატი, დიდი არე, რასმე მდიდარი,
დღეს კი უპერო, უპატრონო, აოხრებული,
გრძელ წელთ მოხუცი, დაჩაგრული, დახავსებული!

მაგრამ, პოეტის ღრმა რწმენით, წარსულის, „ძველ წინაპართა სადგურის“ ეს ნაშთნიც კი მჭევრმეტყველური მაჩვენებელია მშენებელთა ვაჟკაცობისა, „სავსე ღონითა, ღონით სავსით ხელით ნაშენი“ არიან:

ვახ. ორბელიანის გაგებითა და განცდით, ამ ნანგრევთა დანახვისას ყველა, როგორც ის, „დაფიქრდება და შეიბრალებს“ მათ, ვინაიდან მათი დანახვა გულს, როგორც პოეტისას, „აწუხებს, თვალთ არ ახარებს“. პოეტს მხოლოდ ერთი რწმენა ასულდგმულებს და სასოებას ჰკვრის, ეს ის, რომ ახალ შენობას „არა აქვს გრძელი დგომისა ღონე საკმარი“, მას ადვილად დაანგრევენ „სამოციან წლის სეტყვა და ქარი“, რის შედეგადაც —

განჭრება მასთან მისი კვალი და მის ხსენება,
არ აქვს წარსული, მომავალი მას არ ექნება.
(იქვე).

სამაგიეროდ, მეორე შენობა — „მოხუცი შვიდასის წლია“, რომელსაც არ აშინებს არც „ღრთ დინება და არც ქარიშხალი“, მართალია, ის მტრის ხელით შეგინებულია, მაგრამ „მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული!“ პოეტის რწმენით, რაც არ უნდა მოხდეს, მისი კვალი მაინც დარჩება, არ წაიშლება, ვინაიდან —

მას აქვს წარსული დიდი, გრძელი, და ისტორია,
იმის წარსული მის კედლებზე სისხლით სწერიან
(იქვე).

ეს სასოება-იმედი ვახ. ორბელიანს უფრო მეტი სიმკვეთრითა აქვს ვამოხატული ცნობილ პოემა — ლექსში „იმედი“, ჩვენება, ტურფა ასულის სახით, სასოებადაკარგულ პოეტს მტკიცედ შთააგონებს:

გწამდესო. ღვაწლი მამა-პაპათ არ განჰქრებთან,
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებთან.

და თქვენი „ერი წამებული კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება“. თუ ვახ. ორბელიანის მიერ თანადროულობისადმი — ახალი შენობისადმი — ნეგატიური დამოკიდებულება პოეტის მიერ თანადროულობის ვერ გაგებას, მის პერსპექტივის უქონლობას გვიჩვენებს, თუ მისი დაყენებითი მზერა წარსულისაკენ, ძველის უპირატესობის ხაზგასმით აღნიშვნა დამახასიათებელი იყო რომანტიზმის სტილისათვის, სამაგიეროდ ასეთი იმედიანი განწყობილება, გამოთქმული „იმედში“ ქართველი რომანტიკოსებისათვის არ იყო დამახასიათებელი (ნ. ბარათაშვილის გამონაკლისით). მათ, პირიქით, უსასოება, უიმედობა, სასოწარკვეთილება გამოუვალ მწუხარებაში მყოფთ სამარეს და უტოვებდა სანუგეშოდ.

ასეთი იმედიანობის ხმა და ძახილი ქართულ ლიტერატურაში განვითარდა 60-იანი წლებიდან ცხოვრების ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში, როდესაც საქართველოს განცალკევებული კუთხეები კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე გაერთიანდა და მთლიან ერად ჩამოყალიბდა. იმედის მოტივი ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს სამოციანელებმა, მათმა ბელადებმა — ილ. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა, სიახლითა და მიმზიდველობით გაისმა იმედიანი ძახილი ილ. ჭავჭავაძისა:

„ჩემო კარგო, ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია! აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია“ — („ჩემო კარგო ქვეყანავ“) და აკ. წერეთლის — „არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!..“ („ავადმყოფი“).

* * *

ვახ. ორბელიანი ახალი ცხოვრების პირობებისა და მათ საფუძველზე განვითარებული ახალი ლიტერატურული მიმართულების — რეალიზმის გავლენით რომანტიზმის პოზიციებიდან ლამობს რეალიზმის პოზიციებზე გადასვლას, ცდილობს საღი თვალთ შეხედოს სინამდვილეს და საქართველოს ბედი პერსპექტივაში განსჭვრიტოს. ამ მიმართულებით ვახ. ორბელიანი თერგდალულ მწერლებს ეხმაურება, მაგრამ სავსებით კი მათთან ვერ მიდის, რადგან მისი მსოფლ-

შედგელობა შეზღუდულია, ის ძველის, წარსულის უპირატესობის მალიარებელია. ამით აიხსნება, რომ მის ლიტერატურულ მოღვაწეობაში რომანტიზმისა და რეალიზმის თავისებურ შერწყმასა აქვს ადგილი.

გავარკვიოთ რომანტიზმის კიდევ რა მოტივები გამომედევნდა გახ. ორბელიანის შემოქმედებაში:

ვახ. ორბელიანი, შევიწროებული, შებღალული პირქუში აწყყოთი უკმაყოფილოა. ამ უკმაყოფილებაზე აღმოცენებული სევდა, უნუგეშობა, გარიყულობა — მარტობა დამახასიათებელი იყო საერთოდ რომანტიკოსებისათვის და კერძოდ, ქართველი რომანტიკოსებისათვის. ესევე ახასიათებს ვახ. ორბელიანსაც. ის ლექსში „ბ. ე. შ-ს“ შემდეგნაირად გამოხატავს ჭმუნვა-სევდიან განცდებს:

განელს წელთა, რაც იყო, არს წარსული,
ცა ნათელი ჩემს გულს ველარ ახარებს;
ცოცხალი ვარ, მაგრამ გაციებული,
გაზაფხული მე ველარას მახარებს.

პოეტი იქვე ხსნის ფრჩხილებს და გვამცნობს ამ სევდის მიზეზს, რაც მას ანათესავებს რომანტიკოს პოეტებთან:

რაც ოდესმე მტანჯავდა, მახარებდა,
რაც ჩემთვისა მაშინ იყო ნათელი,
რაც ჩემს არსსა სიხარულით ავსებდა, —
აღარ არის იგი ჩემთვის ცხოველი.

რა სტანჯავდა და რა ახარებდა პოეტს, რაც მას ახლა აღარ ახარებს და ასე აციებს? ესაა გმირული წარსული. პოეტი რომ გადაჰხედავს საქართველოს ისტორიას, გმირულ ღვაწლს წინაპართა, რომელთაც შექმნეს საქართველოს „დიდება ცათ სხივ მომფენი“, და მათ შორის განსაკუთრებით ერეკლე მეორის ცხოვრებას, სავსეს საარაკო ბრძოლებითა და აქედან სინამდვილეს — თანადროულობას რომ შეხედავს, სასოებაშიმდელი, მწარე ეჭვით აღსავსე, გულდაკოდილი წამოიძახებს: „ნუთუ დაინთქას და არ დაიხსნას ეგოდენ მსხვერპლმა ივერი ძველი?!“ („ირაკლი და მისი ღრო“).

ასეთ ეჭვსა და წვაში მყოფი რომანტიკოსები ჩვეულებრივ, გარემო ცხოვრებაში ვერაფერს სანუგეშებელს ვერა ხედავდნენ და სულიერად და ზორციელად დაქანცულნი, გაწამებულნი რელიგიურ გრძობაში და პოულობდნენ ტკივილების დაყუჩებას, სულიერ დამშვიდებას. ცნობილია, რომ რელიგიური გრძობა, მისტიკა, იმ ქვეყნის რწმენა, დაწყნარების ძიება იქ — ირქალურ სამყაროში, დამახასიათებელია დეკადანსის გზაზე დამღვარი კლასისათვის, რომ-

ელსაც პერსპექტივა დაკარგული აქვს, აწმყოთი შეშფოთებულთა მისი გონება და უილაჯო იმ ქვეყანაში და ეძიებს ნუგეშს. ამით აიხსნება რელიგიური მოტივი ქართველ რომანტიკოსებში და, კერძოდ, ვახ. ორბელიანის მრავალ ლექსში.

ვახ. ორბელიანს ნამდვილ კაცის ღირსებად და ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია რელიგიური რწმენა. მასაც „მოწყალე ღვთის“ რწმენა მტკიცედა აქვს „გულს დანერგილი“. პოეტის გაგებით, ნამდვილი კაცი ის არის —

ვინც საქმით ქველით,
გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალ ღვთაებას;
ვინც ცდილობს მისწვდეს
და ქუთით მიხედეს
სალმართო განგების იღუმალ ნებას, —
გამოიძიოს,
გამოიკვლიოს
დიდი უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
და ჰპოვოს მასში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში
მის საიდუმლო: ქეშმარიტება.
(„კაცი ის არის“).

ვახ. ორბელიანის გაგებით, ქალისათვისაც ასევე აუცილებელ ღირსებად უნდა ჩაითვალოს რელიგიური გრძნობის ქონება, რწმენა ღვთაებისა, გაგება-შეგრძნება მისი საიდუმლოებრივი ქეშმარიტი ძალისა. პოეტის დახასიათებით, ლექსში „ქ ა ლ ი ის ა რ ი ს“, ისაა ღირსეული ქალი, რომელსაც —

აქვს გული წრფელი,
სული ნათელი,
ვის მზაკვარ თვალი ვერ შეხებია,
და სათნოება,
სარწმუნოება
მთლად თავის არსში ღრმად უმარხია.

პოეტი თვით თავის თავზეც განიცდის მხურვალე ლოცვის კეთილმოქმედ, დამამშვიდებელ და შვების მომცემ გავლენას; მხურვალე ლოცვისთანავე ის განიცდის „ღვთაების მაღლს“, მის თავზედ გადმოსულს, გრძნობს — მას არსი მთლად სისრულით ევსება. ლოცვის მეშვეობით განტვირთული მძიმე უნუგეშო სევდიანი განცდებისაგან, პოეტი ასე აგვიწერს თავის მდგომარეობას ლექსში „ლოცვა“:

და გამოვალ ტაძრით გაახლებული;
გულს მეგზვნება კვლავ ნაპერწკალი ცისა;
და მეგზვნება კვალად ძმათ სიყვარული,
და ამ სოფელს ვრაცხ სახედ სამოთხისა.

ვახ. ორბელიანს რელიგიური გრძნობა დიდი უშუალოდობითა აქვს გამოხატული ლექსში „დი დ ი ს კ ა რ ი ს წ ი ნ“. დაუქმყოფილებელ განცდებში მყოფი 77 წლის მოხუცი პოეტი, დამძიმებული განვლილი „გრძელი, ძნელი და ბნელი“ ცხოვრების ვზით, ქედმოხრილი დგას „დიდი კარის“ (სიკვდილის) წინ და სოფლისაგან, — რომელმაც ის, მისივე თქმით, გატანჯა, დასაჯა — „გულით დაწყულულებული“, ცხოვრებასთან ანგარიშგაუსწორებელი, უქმყოფილო, მაგრამ დაყუჩებული ასეთი უპერსპექტივო გრძნობით ათავეებს თავის სიცოცხლეს:

სხვას არას ველი;
არავის ვწყველო,
თუმცა ამ სოფელს არცა რას ვლოცავ;
მაგრამ კი შენთვის
და სამშობლოსთვის
იმ დიდს კარს წინა ცრემლით ვილოცავ.

ასეთია რომანტიკული მოტივები ვახ. ორბელიანის შემოქმედებაში. აშკარაა ვახ. ორბელიანის რომანტიკულ განწყობილებას ძირითადად ასაზრდოებს ეროვნული გრძნობა, რაც იწვევს მის შემოქმედებაში უქმყოფილებას, სევდას ცხოვრების წარმავლობით, თუ დაკარგვით გამოწვეულთ, ძველის იდეალიზაციას, ძველის უპირატესობის აღიარებას, ძველის აღდგენის გარდუევალ სურვილს, რაც საერთო საფუძველია და რაზედაც განვითარდა ქართველი რომანტიკოსების პოეტური შემოქმედება.

• • •

ვახ. ორბელიანის შემოქმედების ამ რომანტიკულ სტილიურ ნიშნებში საგრძნობლადაა ჩაქსოვილი რეალისტური მიმართულების სტილიური ნიშნებიც, რაც გამოწვეულია პოეტის სურვილით, ცხოვრებას კი არ გაეჭქვს, რაც ასე ახასიათებდათ რომანტიკოსებს, არამედ მასთან ახლო მივიდეს, გაუგოს მას მდინარება და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცხოვრების მის მოთხოვნილებათა მიხედვით მიმართვას, გარდაქმნას. ეს მიმართულება კი, ვფიქრობთ, ვახ. ორბელიანში განვითარდა როგორც გარემო ცხოვრების ფერისცვლით,

ისე, განსაკუთრებით, თერგდალეულთა პოეტური შემოქმედების დიდი ზეგავლენით.

პოემაში „გ ა ნ კ ი თ ხ ვ ა“ ვახ. ორბელიანი გვაძლევს ადამიანის დანიშნულების არა რომანტიკულ გაგებას, არამედ რეალისტურს ახალგაზრდა დიდგვაროვანი ქალის შეყვარებული ჭაბუკი მოჰკლავს თავის რაყიფს. გონიერი მეფის სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან დიდგვაროვანი ქალიცა და მისი შეყვარებული ჭაბუკიც. მათი დაკითხვით მეფე დარწმუნდება, რომ მკვლელობა დიდმა გრძნობამ — უმწიკვლო სიყვარულმა ჩაადენინა ახალგაზრდას. მეფე გადაწყვეტს გმირი ჭაბუკი, შეყვარებული-მკვლელი სასჯელისაგან გაათავისუფლოს ცხოვრების შემდეგი მიზნის დასახვით:

იყავ ამ სოფლის კვალადცა მგზავრი,
წადი და მოძმის სისხლს ნულარ დაღვრი!
მამულისათვის შენ ხარ საჭირო,
შენს მამულს თავი უნდა შესწირო!

და მართლაც, პოეტის გაღმოცემით, ჭაბუკი გმირი გამუდმებით იქ არის, „სადაც არს ბრძოლა მწარე, სად მამულისთვის გმირნი იბრძვიან... რომელს მხარესაც არს გაჭირვება, იქ თავის რაზმით დაიბადება“. „მიაწვა მტერსა, — აგვიწერს პოეტი, — სადღა არს მტერი? მტრის ნაცვლად არის კომლი და მტვერი!“... და ასე გმირი—ჭაბუკი მამულისათვის ბრძოლაში შეეწირა სამშობლოს. რა თქმა უნდა, აქ ისმის პოეტის ეპოქის ძღვევის ზმა, ადამიანი ფასობს მისი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით, რასაც ასე მძლავრად მოითხოვდნენ 60-იანი წლების მოღვაწეები რუსეთშიც და ჩვენშიც, რაც თერგდალეულების შემოქმედებაში წამყვანი მოტივი იყო. ამ მიმართულებას აძლევს ვახ. ორბელიანიც ხარკს.

ვახ. ორბელიანს უკვე კარგად ესმის, რომ ახალ დროში, რომელმაც ასე დაუნდობლად შესცვალა ძველი ყოფა, ხმალი და თოფი ისე ველარ მოქმედებს და იმდენს ვერ აკეთებს, რაც შეუძლიან გააკეთოს „კალმის პატარა წვერმა“, როგორც იტყოდა ილ. ჭავჭავაძე. დრო თხოულობდა ცოდნის შექმნას. 60-იანი წლების განმანათლებელთა მოწოდება — სწავლას მოჰკიდონ ხელი, სწავლა გაუხსნის ხალხს ცხოვრების, სასურველი, შეგნებული ცხოვრების გზას, ვახ. ორბელიანსაც კარგად აქვს გაგებულთ. ისიც ენერგიულად მოუწოდებს თავის მკითხველს სწავლას, ცოდნას, როგორც აუცილებლად საჭირო იარაღს ახალი ცხოვრების პირობებში, მიაქციოს დიდი ყურადღება.

ვახ. ორბელიანმა ლექსში „ტფილისის პირველის კლასიკურის გიმნაზიის 50 წლის იუბილეს დღესასწაულობაზედ 1881 წ. სექ-

ტემბრის 27-ს“ სხვათა შორის ასე მიმართა დამსწრე საზოგადოებას
და მოსწავლე ახალგაზრდობას:

სწავლა კაცს აძლევს მისს უმაღლეს საჭიროებას:
პურს — უპუროსა და მონასა თავისუფლებას.

სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური:
სწავლული იყოს თუმცა ღონით, ძალით უძლური,
მაინც მისია ეს ქვეყანა და მის დიდება;
ვით მზე ნათელი ნათელია სწავლის უფლება.
თქვენის სამშობლოს თქვენსკენა რბის გული და თვალი;
ისწავლეთ, ძენო, თქვენ ხელთ არის მის მომავალი!

აქაც იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა და მისი მოთხოვნილება. სწავ-
ლა, ქვეყანაზე, მოძმის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა
თხოულობდა საზოგადოებრივს შრომას, მოძმის, ღარიბის, დავრდო-
მილის დახმარებას. ეს მოტივები ქართულ ლიტერატურაში 60-იანი
წლებიდან მნიშვნელოვნად განვითარდნენ, მომხდარი სოციალური
ძვრებისა და სოციალური გადანაცვლების საფუძველზე. საზოგად-
ოებრივი ცხოვრება ვითარდებოდა შემდეგი ლოზუნგის მიხედვით:
„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოც-
ხლის მომცემი“. ამიტომ კაცი შრომითა და სასარგებლო საქმით
ფასდებოდა და იზომებოდა. შრომა არა მარტო პირადი კეთილდღე-
ობის შესაქმნელად, არამედ მოძმის, დავრდომილის „უმცროსი
ძმის“, გაჭირვებულის დასახმარებლად.

„ძმობა, ერთობა, სიყვარული“, სამოციანელების მოთხოვნა-ქა-
დაგება, ვახ. ორბელიანსაც აუცილებლად მიაჩნია ცხოვრების სწო-
რი და სამართლიანი მიმართვისათვის. ამიტომ, ვახ. ორბელიანის
გაგებითაც, ისაა ღირსეული კაცი —

ვინც ოფსს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
დედამიწასა და მის წიაღსა...
აპობს და არღვევს,
დალაღვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს
და იმ ტკბილ ნაყოფს
ჭერივ-ოხერთ უყოფს
და უშრობს მშვირთ ობოლთა ცრემლებს.

ან კიდევ:

კაცი ის არის,
ვისაც გულს ესმის

ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა“
და სიყვარულით
ადვსილის გულით
დავრდომილ ძმათა მოეხმარება.
(„კაცი ის არის“).

რა სიცხადით ეხმაურება ვახტანგ ორბელიანის ეს სიტყვები ილ. ჯავჭავაძის მიერ 60-იანი წლების დასაწყისშივე გაბედულად და შთამაგონებლად გადმოძახილს:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის შენ ის გიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ვახ. ორბელიანი გრძნობს, რომ ქვეყანას ახალი ცხოვრების პირობებში ესაჭიროება ეკონომიური აღორძინება, გამტკიცება. ეს კი მოითხოვს ენერგიულ რაციონალურ შრომას. მანაც იგრძნო, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ამოქმედება-გამოყენება. ის ხედავს, რომ მისი ქვეყნის ბუნებრივ ძალებს სხვანი ეპოტინებიან, პოეტის მოძმეების უმოქმედებით, სიზარმაცით, უვიცობით ისინი სარგებლობენ.

პოეტი სამშობლო მიწის სახელით მოუწოდებს თავის თანამემამულეებს:

მაშ რაღას ელით?
მაგარის ხელით
ჩემი წიაღი აღმოიკვლიეთ;
ნუ გეძნელებათ,
ნუ გებრკოლებათ,
ყოველს სიძნელეს შრომითა სძლიეთ!

ტკბილი ნაყოფი
ჩემს მკერდში მყოფი
თქვენთვის არს იგი, სხვას ნუ დარჩება!

ცხადია, უცხო ვაჭრების მიმართ ვახ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს დარღვეული ფეოდალური კლასის პოზიციებიდან.

სუსტზე, დაბეჩავებულზე ზრუნვა 60-იანი წლებიდან ჩვენშიც დამახასიათებელ და აქტუალურ მოთხოვნილებად გადაიქცა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაშიც. გლეხის, მშრომელის და მუშის საკითხიც კი ქართულ ლიტერატურაში მწვავედ დაისვა 60-იანი წლებიდან. თვით ცხოვრება დაყინებით და კატეგორიულად თხოულობდა ამ საკითხების დაჩაგრულის სასარგებლოდ გადაწყვეტას. დაიწყო ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამომკლავლება, კრიტიკა. ამ მოთხოვნილებებზე გაიშალა თერგდალუ-

ულთა მწერლების — ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის კრიტიკული რეალიზმის განმტკიცება, და კერძოდ მათი სატირული ნიჭი დემოკრატიული მოტივების განვითარებით.

ვახ. ორბელიანი თავის შემოქმედებაში ამ დემოკრატიულ მოტივებსაც ეხმაურება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ეხმაურება მათ თავისი მოლიბერალო პოზიციებიდან. პოეტის ასეთი შეხედულება ყველაზე მკვეთრადაა გამოვლინებული მის პოემა-ლექსში „დ ე დ ო ფ ა ლ ი“.

ახალგაზრდა მეფის წინ დგას ვინმე მშვენიერი, ტურფა ასული, რომლის დანახვითაც ჭაბუკი მეფე „მშვენიერ არსში თვის არსით არს მთლად დაკარგული“. პირველი სიყვარულით მძლავრად აღელვებული მეფე ასე მიმართავს მშვენიერ ქალს:

...რა გსურსო? შენი არის ჩემი ღიღება,
ჩემი სიმდიდრე და საუნჯე შენ ფეხთ ოქნება
ღიღსა პალატსა, თვალთ-წარმტაცსა, მე შენ ავიგებ,
ვერცხლით, ოქროთი, წალკოტებით მას გავაბრწყინებ,
მოგრთავ ძვირფასის ძოწუელით, ძვირფასის თვლებით,
რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდნენ შურის თვლებით,
მარგალიტებით, ღიბით მორთულს მშვენიერს ტახტზედ
შენ დაგაძინებ, გაგალიტებ ჩანგის ტკბილ ხმაზედ,
ოლონდ გიყვარდე... შემიყვარე! ოლონდ ნუ მომკლავ!

მაგრამ უცნობი ტურფა ასული თავდახრილი, სევდით მოცული დგას მეფის წინ, არ აძლევს პასუხს. განცვიფრებული და აღელვებული ჭაბუკი მეფე კვლავ ეკითხება ქალს — რა სურს მას? მეფე განუცხადებს, რომ ის მზადაა აისხას აბგარ-აბჯარი, წავიდეს სხვა სამეფოზე ლაშქრით და ბრძოლის ველზე მოიპოვოს გმირის სახელი, ოლონდ კი ამის შემდეგ მან მიიღოს მისი თანხმობა. მაგრამ ტურფა ასული კვლავ უპასუხოდ დგას მეფის წინ „თავდახრილი და სევდიანი“.

ჭაბუკი მეფე კვლავ განაგრძობს თავის გრძნობების გამოაშკარავებას. ის აღტაცებით აღიარებს, რომ მას ტურფა ასული წინათაც შეხვედრია, როცა მშვენიერი ასული ობოლს აკვანს ურწევდა, ან სადმე მივარდნილ ქუჩაში როცა ობლებს, მშვივრებს ბროლის თითებით პურს უყოფდა, უშრობდა ცრემლებს. ჭაბუკი მეფე აღიარებს, რომ ის ტურფა ასულისადმი დიდხანია განმსჭვალულია ნაზი, მძლავრი, უმწიკვლო სიყვარულის გრძნობით. მეფე ასე მიმართავს ქალს:

კმარა! შენია ჩემი სკიპტრა, ჩემი პორფირი,
სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ვრი!..

ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მაკლია თვალი,
შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი!

მშვენიერმა ქალმა მშვიდის თვალებით შეხედა მეფეს და ღიწმინდად უთხრა, რომ მისთვის არავითარი ფასი არა აქვს მეფის ღიდ საუნჯეს.

თუ გსურს, ის იყოს სასყიდელი ჩემის სიწმინდის,
მეფე, საუნჯე მთლად ქვეყნისა მას ვერ იყიდის!

ქალი ერთგვარი სიამაყითა და თავის ღირსების შეგნებით მეფეს ეუბნება, რომ ის მშობლებმა სულ სხვანაირად აღზარდეს. მას არაფრად არ მიაჩნია არამც თუ მეფის საუნჯე, არამედ მის ტანტუხედაც. კი ჯდობა, „თუ მის სიმაღლით არ გამოდის მაღლი ერზედა“. მან შეიძლება თანაუგრძნოს ჭაბუკ მეფეს და გახდეს მისი მეუღლე მხოლოდ შემდეგი პირობით:

მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია — ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფე, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ.
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმდიდრე,
იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახმარე.
ქვრივი, ოხერი, შეიწყალე და შეიბრალე
და დაერდომილი სახლი-არე მას გაუახლე;
მშვიერის ობლის ცრემლთან, მეფე, ცრემლი აფრქვიე,
და ის ობოლნი გულს ჩაიკარ და მოეხვიე.

.....
ეშურე, მეფე, მანამ ერი შენ შემოგცქერის,
მანამ მის გული შენთვისა სძგერს და შენთვის არის,
ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოვლე!
მაშინ შენი ვარ...

ჭაბუკი მეფე განცვიფრებაში მოიყვანა ქალის ასეთმა აზრმა. მისი წრფელი, ჯერედ ნორჩი და წმინდა გული ახლა მიხვდა თავის, როგორც მეფის, მოვალეობას, „მიხვდა თავის ტანტის ღიდებულის ტვირთსა და ვალსა“. სიამოვნებით მიიღო ტურფა ასულის რჩევა-პირობა. შეუღლდნენ.

კარგადაა და ბუნებრივად მოცემული ვახ. ორბელიანის მიერ, რა ნებივრობასა და ვნებიანობას მიეცემიან შეუღლებულნი ბედნიერი მეფე-დედოფალი. მაგრამ როგორ ანხორციელებს მეფე თავის მოვალეობას მმართველისას ტურფა ასულის რჩევა-პირობის თანახმად, სამწუხაროდ, მოცემული არ არის. და ეს ბუნებრივიც არის. ვახ. ორბელიანი, როგორც დეგრადაციის გზაზე მყოფი ფეოდალური

ფსიქოიდეოლოგიით აღქურვილი, ვერ სცილდება განათლებული აბსოლუტიზმის გაგების საზღვრებს. მეტიც, ისიც ვერა აქვს ნათლად წარმოდგენილი აღნიშნულ ნაწარმოებში. განათლებული აბსოლუტიზმი ქადაგებდა, რომ განათლებულ და ჰუმანურ მონარქს ჰუმანური პოზიციებიდან შეუძლია სისწორითა და გონიერულად მართოს ქვეყანა და ქვეშევრდომნი და მიანიჭოს მათ ბედნიერება. მაგრამ არც ეს ჰუმანური პოზიციებია ნაჩვენები და არც ის, თუ რა გააკეთა მეფემ დაპირებისამებრ პრაქტიკულად ერის — ხალხის საბედნიეროდ, სასარგებლოდ, რომ მას ერის ნდობა შეენარჩუნებინა. აქ ბუნდოვანია პოეტის სოციალური და პოლიტიკური კრედო. პოეტი აქ უფრო ფეოდალურ-მოლიბერალო პოზიციებიდან იყურება და მოწყალებით უყურებს თავისზე დაბლა მდგომს — გაჭირვებულს, დავრდომილს.

ასეთივე ფეოდალურ-მოლიბერალო პოზიციებიდან ეხმაურება ვახ. ორბელიანი ილ. ჭავჭავაძეს თავისი ლექსით „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, რომელიც გამოწვეულია ილ. ჭავჭავაძის ოპტიმისტური განწყობილებით აღსავე ლექსით „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“

ვახ. ორბელიანი აღნიშნულ ლექსში ილიას ოპტიმიზმის საპასუხოდ გამოხატავს უიმედობას, სევდა-ნაღველს თავისი ქვეყნის დაქვეითებული, სავალალო მდგომარეობით დადუღებულს მასში. პოეტი საქართველოს ისტორიას გადაავლებს თვალს; იქ ის ხედავს გარშემორტყმულ მტერთა — არაბთა, სპარსთა, ოსმალთა, ლეკთა უხეშ ნავარდობას; მათ მიერ „ტაძარ-პალატთა ნგრევას“, მათ წინააღმდეგ სისხლის ღვრას ქართველთა გმირ წინაპართა მიერ, რომელნიც „ერთის ხელით ზრმლით მდგარან, ერთით უმუშავნიათ, ისე თავის სამშობლო მტრისაგან გადაურჩენიათ“. ასეთია მწარე გრძნობებისა და ფიქრების აღმძვრელი საქართველოს და ქართველი ხალხის ცხოვრება წარსულში, რაც განჭრა კირთების ქვეშ.

მაგრამ მართო წარსული არ უსერავს პოეტს მწვავედ გულს. ის მწუხარებით დაყურებს აწმყოსაც, რომელიც არამც თუ სასიხარულო და საიმედოა, არამედ, უფრო მეტად სავალალოა და გულისგამტეხი. პოეტის სანუკველი მოლოდინი, რომ წინაპართა ღიდ ღეაწლს შვილნი გააგრძელებენ, „შრომას, ძმობას, ერთობას, სწავლას დააარსებენ, მუშაობით, ოფლის ღვრით“ დანგრეულ ქვეყანას აღადგენენ და აყვავებულსა და მთელს ახალთაობას ჩააბარებენ (რაც, რა თქმაუნდა, თერგდალეულთა გავლენითაა გამოწვეული), არამცთუ არა სრულდება, არამედ მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება. აი. ვახ. ორბელიანი თანადროულობის (რა თქმაუნდა, დარღვეული

ფეოდალური ყოფის) როგორ სავალალო რეალურ სურათს იძლევა, მოლოდინის მაგიერ, აი ის რას ხედავს: „შრომის წილ ზარმაცობა, სწავლის წილ — სმა და ძილი, ძმობის წილ — დავა, მტრობა“. ამ უარყოფით თვისებებზე შექმნილ საზოგადოებრივ ყოფას (რა თქმა უნდა, პრივალეგიური კლასის) პოეტი ნატურალისტური სინამდვილით შემდეგნაირად გვიხატავს:

ზოგთა თვისი ცხოვრება ბითურ ცხრაში წააგეს
და თავისი ცოლშვილი მშიერ გლახად დაადგეს
ზოგთ დავა-დარაბაში დალუპეს, რაც ებადათ,
რაც ქველ მამა-პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად!

* * *

ვახ. ორბელიანი კარგად იცნობს პრივილეგიურ კლასს, მის ბედ-ოვლათ-უანგარიშო ცხოვრებას, რომელსაც ის ასე საბედისწეროდ ეწეოდა ეკონომიურად და მორალურად დაკნინების მდგომარეობაში მყოფი მთელი XIX საუკუნის მანძილზე. პოეტს კარგადა აქვს შენიშნული დარღვეული თავადაზნაურობის კლასის ყოფაში მისი ეკონომიურად გამანადგურებელი მოვლენა, რაც ხელს უწყობს მის მორალურ დაკნინებასაც. ახალი ცხოვრება თხოულობდა ფულს. ფული ფეოდალურ კლასს არა ჰქონდა; ნატურალური მეურნეობა ვეღარ აკმაყოფილებდა მის ახალ მოთხოვნილებებს. ერთადერთი საშუალება ფულის მისაღებად იყო მამა-პაპით დარჩენილი მამული, რასაც ის უანგარიშოდ აგირავებდა და ყიდდა. გირაობისა და ყიდვის უნარი გააჩნდა მხოლოდ ახლად ფეხადგმულ ვაჭარს, რომელიც ძირს უთხრიდა ფეოდალურ კლასს; მამული მის ხელში გადადიოდა, ის ეპატრონებოდა მამულსაც, ცხოვრებასაც.

ვახ. ორბელიანი, როგორც ფეოდალური კლასის ინტერესებისადმი არაგულგრილი, მტკივნეულად ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებას ვაჭრებისადმი. პოეტი კიცხავს თავის მოძმეთ — თავადაზნაურობას, რომელნიც:

ჩარჩებს ფულებს ართმევენ, შერე ევალებიან
და ან ვალის დაცლასა ცრემლით ევედრებიან
მთელი წლის შემოსავალს ერთს-ორს კვირაში სცლიან.

ვახ. ორბელიანი ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა ასეთ დაუდევარ, უპერსპექტივო ბედოვლათურ ცხოვრება-ქცევაში ხედავს მათ საბედისწერო მდგომარეობას და ამით, მისი გაგებით, ქვეყნის დაღუპვასაც. შეშფოთებული პოეტი მათდამი თავის საყვედურს სამ-

შობლო ქვეყნის პირით ასე გამოსთქვამს: „ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაქერ-ნაქერ მყიდნიან“. ვახ. ორბელიანს მხედველობაში აქვს XIX საუკუნის 80-იანი წლები, როცა ფეოდალურმა კლასმა საეხებთო დაკარგა თავისი როლი წამყვანი კლასისა, სრულიად დაირღვა, დაკნინდა, გამოიფიტა, საზოგადოებრივი ცხოვრების ხორცმეტად შეიქმნა და მისი ნაშთი საქართველოს ყიდდნენ „ბითუმადაც და ნაქერ-ნაქერადაც“.

თერგდალეულთა გავლენით ვახ. ორბელიანს ეროვნული გრძნობა აღაპარაკებს ქვეყნის მთლიანობაზე იზრუნოს, ისიც იზიარებს მათ შეხედულებას — გლეხზე ზრუნვის აუცილებლობას. ამიტომ ვახ. ორბელიანი მიმართავს თავის თანამემამულეებს — სინამდვილეს თვალია შეხედონ, ცრუ ოცნებას თავი დაანებონ და ძირს მიწაზე დაიხედონ. სინამდვილე გაითვალისწინონ:

შეხედეთ თქვენ უმცროს ძმათ, ჩემს უმცროს ძეთ—გლეხებს,
როგორც თქვენ. ისინიცა ჩემის გემის სახსრებსა.
რატომ ვერ მოუარეთ? რად ჩაუგდეთ ჩარჩებსა?
ავაჯათ, სისხლის მსმელთა, მყარას, ავშანს და ღეთის მტრებსა..

ვახ. ორბელიანი ამ შემთხვევაშიც გლეხობას ფეოდალური პოზიციებიდან აწვდის ხელს წინააღმდეგ ბურჟუაზიისა. რომელიც თანდათან აღიერდებოდა საქართველოს ისტორიის ასპარეზზე. ამიტომ ამ ლექსის დაბოლოებაში გამოთქმული აზრი, მწარე განცდით მუქად დაფერილი, სრულიად ბუნებრივია ვახ. ორბელიანისათვის:

ტკბილის ლექებისათვის ჩემა გელს აღარ სცალიან:
ჩემს ბატონად, პატრონად ძენწნი ჩარბნი ღებთან.

ასეთივე რეალური სინამდვილის ხელვაა განსახიერებელი პოეტის პოემა-ზღაპარში „რა ნახა ლაზარემ საიჭიოს“. ლაზარემ ნახა სიზმრად ჯოჯოხეთი. ცეცხლის ზღვის აღში გაბვეული. მან მოესმა საზარო წყევლა. ღრიალი, ეშმაკთ ხარხარი, მხეცთა გრილი. ლაზარემ გაბედა და ამ ჯოჯოხეთის ცეცხლის ზღვას ჩახედდა. და უკ. ჯოჯოხეთში, მან იცნო: „ნაცვალი ნოდა, ბევრის არყის სმით შარშან რომ მოკვდა. ეშმაკნი ხორცში უყრიან ბრქუალებს: „შეჩვენებულო, რად ყვლეფდი გლეხებს?“ ლაზარე განცვიფრებული უხილავი ქვეყნის ხილვით, განაგრძობს ნახულის გადმოცემას:

კიდევ ვინ ვიციან? ჩვენი პრისტავი.
ულმართო, უსჯულო, გლეხთ პირი შავი;
სცემენ ეშმაკნი ცეცხლის მათრახებს:
„შეჩვენებულო, რად ყვლეფდი გლეხებს?“

ვიცანი ბევრი: კინტო გასპარი,
პირქუში ბაღალა, ჩითის ვაქარი,
ფოდრიანი ტერ-არუთინა
და სეკლეტარი, იმისი სეინა.
ეშმაყნი ჰგლუჯდნენ. სცემენ მათრახსა...
ბევრს ვცნობილობდი, ვინ მოსთელის ყველას,
ტურა-სუდიებს, ჩინოვნიკ-მელას,
ამ ქვეყნის მცარველ ადვოკატებსა,
ცრუთ, უცოდინართ, მატყუებლებსა...

უდავოდ, ცოცხალი სურათია სინამდვილისა, განქიქებული ლიბერალ-
ლი ფეოდალის პოზიციებიდან, რომელიც თანადროულობას უარ-
ყოფითად ეკიდება, თუმცა მის მოვლენებში სათანადოდ ვერ ერკვევა,
ხედავს თავისი მსოფლმხედველობის პოზიციებიდან მხოლოდ მის
უარყოფით მხარეებს და მკვეთრად აველენს მათ თავის სატირში.

ამ პოემა-ზღაპარში თანადროულობისა და მასში მოქმედ ვაქარ-
თა და სხვადასხვა რანგის მოხელეთა მრუდე ცხოვრების საგრძნობ-
ლად ნათელყოფასა და განქიქებასთან ერთად არ არიან დავიწყებულ-
ნი ფეოდალური კლასის წარმომადგენელნიც. ლაზარემ (ლაზარეს
სახით, ექვს გარეშეა, თვით ვახტანგ ორბელიანი თავის შეხედულე-
ბას ააშქარავებს), სხვათა შორის, ჯოჯოხეთში აგრეთვე ნახა ნაცნობი
მემამულენიც, რომელთაც შემდეგნაირად ახასიათებს:

ორ-სამსაყ ვცნობდი ყმა-მიწის მფლობელთ,
იმ ორ-სამს ღეთისა და კაცთა მგმობელთ.
იქ მათ ბრძანება არ გადიოდა.
ერთი ცრემლის ღვრით მწარედ კიოდა:
„მამას მზემ, ჩემს ყმებს ვუყვარდი დიდად,
ვანიავებდი ხანდახან, ძვირად“.

ეს კრიტიკა ფეოდალური კლასის იმ ნაწილისაა, რომელიც ახალი
ცხოვრების მოწოლით გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ბევრი რამ მისი
ძველი ყოფიდან დატოვებული, განდევნილი უნდა იქნას, რათა თავი
გადირჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის აუცილებელი
დალუპვა. ასეთია ამ სატირის მნიშვნელობა, ასეთია ვახ. ორბელი-
ანის შეხედულება, გამომუშავებული გარემო ცხოვრებით და განმტ-
კიცებული თერგდალეულთა პოეტური შემოქმედებით.

ამავე გამოფხიზლებისა და მეფის რუსეთის მკაცრი, უხეში
კოლონიური პოლიტიკის დაწოლით შექმნილმა საქართველოსა და
ქართველი ხალხის ცხოვრების მძიმე, ერის განვითარებისათვის და
წინამსუღელობისათვის შემაფერხებელმა და, უცილოდ, გადაგვარე-
ბის გზაზე დამყენებელმა პირობებმა ვახ. ორბელიანს დააწერინა

მშენებელი ლექსი „გ ა ლ ი ა“, რომელიც თავისუფლების ტრფიალების ნიჭიერი და მოხდენილი გამომხატველია როგორც იდეურია, ისე პოეტური ფორმის მხრით:

ნუ დაატყვევებთ შრომანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია:
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია.
ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,
მის სანაჲარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.

ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა:
დე, მალლა თქვას, წარმოთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.
ღვთის ქმნილს გალია არ შეენის, რად იყოს ტყუობაშია?
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

ლექსში „გალია“, გარდა თავისუფლების კულტის მკაფიოდა და დამაჯერებლად გამოთქმისა და გაზიარებისა, მკაფიოდვეა გამომქ-დაენებული პოეტის იდეური პროგრესული განწყობილება, რომელიც ეხმაურებოდა ეპოქის მოწინავე მისწრაფებებს, ქვეყნის წარმატების გზით განვითარებას რომ უწყობდა ხელს. აქა ვახ. ორბელიანის განსხვავება რომანტიკოს მწერლებისაგან და დაახლოების ტენდენციები თუ გავლენა მასზე 60-იანი წლების განმანათლებლებისა და განსაკუთრებით კი ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისა. აგრეთვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლექსში „გალია“ ვახ. ორბელიანის თავის მიზანდასახულობას — თავისუფლების იდეის საპირობებას გამონათქვამს თერგდალეულების მიერ განმტკიცებული დაფარული პოეტური ხერხის — ალეგორიის საშუალებით.

* * *

თერგდალეულ მწერალთა გავლენა ვახ. ორბელიანის შემოქმედებაზე მარტო მოტივების მსგავსებით არ ამოიწურება, არამედ სხვა მიმართულებითაც ეს გავლენა მასზე აშკარაა, რითაც ის აგრეთვე განსხვავდება რომანტიკოსი მწერლებისაგან.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ვახ. ორბელიანის შემოქმედების ენა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მიერ მწერლობაში ახლად განმტკიცებული სახალხო სალიტერატურო ენის მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ მას არ უყვარდა მდაბიოთა — „კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“, რადგანაც, მისი გაგებით, პოეტს ამ კილოთი შეუძლიან უმღეროს მხოლოდ ღვინოს, ღუღუქს, დიპლიპიტოს, ზურნას — მათ უაზრო ლაზღანდარობასა და ყიყინს („პოეტს“). ვახ. ორბელიანის შემოქმედებაში შედარებით იშვიათია

რომანტიკოსი იწერლებიათვის დამახასიათებელი არქაული ენის ფორმები. ამას გარდა, პოემაში „რა ნახა ლაზარემ საიქიოს“ ვახ. ორბელიანი იყენებს არა მარტო ხალხურ სასაუბრო ენას. არამედ ხალხური შემოქმედების მასალას სიუჟეტ-სა და ჟანრის განვითარების მიმართულებით.

ვახ. ორბელიანის შემოქმედებაში თერგდალეულთა პოეტის (რაც დამახასიათებელი იყო ილია-აკაკისათვის) საშუალებების გამოყენებაც საკმარისად ნათლად იგრძნობა, მაგალითად:

1. ჟანრის მხრივ: 1. ისტორიული პოემა „ჭვარი ვაზისა“, „ობოლი“.
2. დრამატული პოემა: „მთის ქალი და მოგზაური“, „დედოფალი“.
3. ალეგორიული ლექსები: „ბედი“, „ქარიშხალი ჰბერავს“, „ძველი დმანისი“, „არის ადგილი“, „გალია“.

II. პოეტური ხერხები:

1. პ ი მ ა რ თ ვ ა : ..მაშა, დმანისო, არაფრისთვის არ ხარ სარგი“...
..მოგესალმები მამა-პაპის, მაგარ სადგურო“...
(„ძველი დმანისი“).
..ჯახეთო! ნუ თუ კელავ გითხრა...
(„ირაკლი და კობტა ბელადი“).
..ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენხედა“...
(„ჭვარი ვაზისა“).
..მგზავრო. რად მინდა მზე ცხოველი და ცა ნათელი“...
(„მთის ქალი და მოგზაური“).
 2. შ ე ე კ ი თ ხ ვ ა : 1) მკითხავ, ჩემო პოეტო, რაზედ მოგიწყენია?
ნება მძმეც მეც გკითხო: შენ კი მოგილხენია?
(„სამშობლო ქვეყნის პასუხი“).
 - 2) გავჩნდით რისთვისა?
ნუ თუ მისთვისა,
რაც ღმერთმა მოგვცა, რომ არ ვიკმაროთ
და ამ სოფელში,
სხიეთა ნათელში
ღაბნელებულის თვალთ ვიაროთ?
(„გავჩნდით რისთვისა?“).
 - 3) „რისთვის მიწოდებ მე შენ პოეტად“.
(„ბაქარ ქართლელს“) და სხვ.
3. ვ ა მ ე ო რ ე ბ ა : 1) რა ქვეყანაა, დაბურვილი თოვლით და ნისლით?
რა ქვეყანაა — ფრიალონი, ღრენი და კლდენი?
რა ქვეყანაა. სად ძლივს მნათობს მზე მნათის სხივით...
(„მთის ქალი და მოგზაური“)

2) ნანგრევთა შუა მდინარეებდა ჩვენი ცხოვრება,
ნანგრევთა შუა ივერიის ძე იზრდებოდა
ნანგრეკენი შთენნი იყვენნ მხოლოდ მის საკუთრება.
მ-თ შუა ქვეყნად მოდიოდა და მიდიოდა.

(„ნანგრევთა შუა ლამპარი“)

3) ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დღეს და ღელავს;
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისერის,
განრისხებული ღრიალებს, ყვირის...

(„ჩვეარი ვაზისა“).

4. გ რ ა და ც ი ა: 1) ქარიშხალი ჰბერავს, გრგვინავს, გრიალებს,
ცას აბნელებს, თოვლის ბუქს ატრიალებს;
ხან ზუზუნებს, ხან კნავის, როგორც ბავშვი,
ხან ვით ლომი, ვით ნადირი ღრიალებს.

(„ქარიშხალი ჰბერავს“)

2) კახელთ იგრგვინეს,
ხმალი იშიშვლეს.
როგორც არწიენი, მიჰფრინდნენ მტერსა!
დაიძრა მტერი,
მას ასდის მტვერი,
მირბის, მიარლევებს მთას, ტყეს და ღრესა.

(„ირაკლი და კობტა ბელადი“).

3) მზე ჩაესვენა დასავალს, ღამემ მოიცივა მთა-ბარი.
ღამეა ბნელი, წყველიადი, ღრუბლით მოცულა ცისკარი,
ცაში არ ბრწყინავს ვარსკვლავი, ძირს ველზედ — ცეცხლი
მწყემსიხა,
სიბნელე არის სოფლებში, არსად ჩანს კრაქი გლეხისა:
ნისლის სუდარას მოუცევამს ალაზნის ველი ზურმუხტ-
თითქო ღრმად სძინავთ კახელთა, თითქო ჰომკვდარა კახეთი...
(იქვე).

5. შ ე დ ა რ ე ბ ა: 1) ნავით გადმოხტა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება.

(„ჩვეარი ვაზისა“).

2) ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლას კალო. გმირთა აკლდაში.

(„იოქელი“)

3) ერთმანეთს ჰგვიანან. ვით ნამის ცეარნი..

(„ორი დახატული სახე“)

6. კონტრასტი — 1) ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი — აფრასა!

პარალელი ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი — ზღვასა

(„ჩვეარი ვაზისა“)

2) სწავლის წილ — სმა და ძილი, ძმობის წილ — დავა-მტრობა!

(„სამშობლო ქვეყნის პასუხი“)

3) შესტყერის ცასა ელვარესა, მზით ანთებულსა,
ზღვაზედ და ხმელზედ დიდებულად გადმოკიდულსა, —
ცას, გაბრწყინებულს მთვართა და ვარსკვლავებით.
ცას, დაბნელებულს და მგრგვინავსა ელვით და ქექით.

(„ობოლი“)

ვახ. ორბელიანს ეხერხება, როგორც ეს მაგალითად ილ. ჭავჭავაძისათვისაა დამახასიათებელი, მთლიანი ნაწარმოებების გაშლა კონტრასტების საფუძველზე, მაგ.: „ორი შენობა“, „ორი სიზმარი“, „მთის ქალი და მოგზაური“ და სხვ.

ვახ. ორბელიანის შემოქმედების ასეთი მოკლე განხილვაც კი გარკვევით გვიდასტურებს, რომ მისი შემოქმედების სტილი ხასიათდება რომანტიზმის სტილისტურ ნიშნებთან ერთად არანაკლებ რეალიზმის ნიშნებითაც.

პოეტი, გარემო სინამდვილით უკმაყოფილო, ძველი დიდების წარმავლობით მძიმედ დასევდიანებული, იქ, წარსულში მძივბელი სულიერი სიმშვიდისა, თანადროულობას მაინც არ გაურბის, როგორც ეს დამახასიათებელი იყო რომანტიკოსებისათვის, მასზე ხელს არ იღებს, ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას და მკითხველსაც მიუთითებს მათ მოწესრიგებისათვის ზრუნვაზე. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ვახ. ორბელიანის მიერ ამ საკითხებზე მითითებას მოძღვრების ხასიათი აქვს.

ვახ. ორბელიანის პოეტური ნიჭი, მართალია, რომანტიკული სინაზით უმღერის ბუნების სილამაზეს, სატრფოს ალერსს, ძველს საოცნებო დიდებას, მაგრამ როცა გარემო ცხოვრება თხოულობდა, პოეტის აღმაფრენა ხალისით და გაბედულად ეხმაურებოდა მას; მაშინ მისი ჩანგი შეწყობილად და ძალუმად ქლერდა ხოლმე და ქმნიდა საზეიმო კანტატებს, როგორცაა — „იმედი“, „დედოფალი“, „ქაცი ის არის“, „გალია“, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, „რანახალაზარემსაიქიოს“ და სხვ. ეს გარემოება მის შემოქმედებას თავისებურ ხასიათსა და ადგილს აძლევს ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში.

მამია გურიელი (ფაშელი)

1836—1891

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მამია გურიელი ერთი ტრაგიკული ფიგურათაგანია, რომლის პიროვნებაც და შემოქმედებაც გარემო ცხოვრების ტიპური და ცხოველი ნიშნების მკვეთრი მატარებელიცაა და მსხვერპლიც. თვითონ მამია გურიელი დიდი სისწორით აფასებს თავის არაჯანსაღად მიმდინარე ცხოვრებას ერთ-ერთ თავის წერილში თავის რძალ ელეონორასთან: „კაცი არ არის, თვინიერ გარემოებისა. გარემოება ისე ათამაშებს მას, როგორც ბუთოს ყმაწვილი. შეიკრიბება ერთნაირი ვარემოებები, გვამხიარულებს, გვაცინებს, გვატირებს, საცა გვინდა, აღგვივსებს გულს სიამოვნების გრძნობით, გვაძლევს ყველაფერს მზათ, რაც გვინდა, უსარჯელად და უზრუნველად, ასე რომ ხანდახან დავიქანცებით კიდევ მხიარულების სიმძიმის ქვეშ. შეიკრიბება მეორენაირი ვარემოებები და სულ წინააღმდეგი გვემართება ზემოთ აღწერილისა. მე, როგორც იცი, კარგა ხანია, რაც ვიმყოფები შემოზღუდული უკანასკნელ გვარის ვარემოებებით“¹.

მართალია, მამია გურიელი, როცა ამ წერილს სწერდა თავის რძალს, ელეონორას, 1877 წელს, სწორედ ამ მეორე კატეგორიის ვარემოებებით იყო შეზღუდული, მაგრამ 70-იან წლებამდე მას პირველი ხანიათის მოვლენებიც უზვად ეფინებოდა ცხოვრების გზაზე.

ამ ორივე ბასიათის მოვლენათა სიუხვემა და სიჭარბემ მამია გურიელი ტრაგიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა, დროზე ადრე დააბერა, შეიძლება ითქვას, მისი დიდი და მკვირცხლი ნიჭი შეზღუდა, დააკნინა; უკმაყოფილებისა და უზომო სიამოვნების განცდებმა გააწამეს, დაღრღნეს მისი გული და გონება, გაუკითხავად მოშხამეს მისი ცხოვრება.

დიდგვაროვანი, გურიის მთავართა შთამომავალი, შეიძლება ითქ-

¹ მამია გურიელის წერილი ელეონორა გურიელთან (მამია გურიელის ძმის ჯაბა გურიელის ცოლთან), 1877 წ. 17 თებერვალი. ქუთაისის არქივი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი.

ვას. გურიის უკანასკნელი მთავრის უფროსი შვილი, დაღვაროვან ფეოდალურ სასახლეებში გაბატონებულ ალვირმიშვებულ და ფუფუნება-ნებივრობაში აღზრდილი მამია ბუნებრივად და თანდათან საგრძობი სისწრაფით მიდიოდა იმ სულიერ და ფიზიკურ კატასტროფისაკენ, რომლითაც მთავრდება მისი ატეხილი, დაუდგროქელი ცხოვრება.

* * *

დავით (დათა) ვახტანგის ძე გურიელი (მამა მამიასი) იყო შვილიშვილი გურიის მთავრის გიორგი V და ბიძაშვილი გურიის უკანასკნელი მთავრის მამია სიმონის ძისა. გურიაში მთავრობა რომ არ მოსპობილიყო, რუსეთის საქართველოში განმტკიცების გამო. დავით მამიას ძის სიკვდილის შემდეგ დავით ვახტანგის-ძე (მამა მამიასი) უნდა ყოფილიყო გურიის მთავრად. მაგრამ გურიის ისტორია სხვა გზას იკაფავდა.

1828 წელს გურიის მთავრინა სოფიო წულუკიძის ასული, რუსეთის ხელიაუფლების მიერ დანიშნული გურიის მმართველად, უკმაყოფილო რუსეთის მმართველობით, გადავიდა ოსმალეთში იმ იმედით, რომ ახლად დაწყებულ ომში ხონთქარი რუსებზე გაიმარჯვებდა და მას მეტ უფლებებს მიანიჭებდა. მთავრინას გაჰყვა გურიის თავდაზნაურობის ერთი ნაწილი, მათ შორის დავით ვახტანგის-ძე გურიელიც. მთავრინა 1829 წელს გარდაიცვალა უპატრონოდ ანატოლიის ერთ-ერთ ქალაქში. ომში რუსეთმა გაიმარჯვა. გურული ემიგრაცია დარჩა თურქეთში გაჭირვებაში, ასეთაავე გაჭირვებაში ჩავარდა დავით გურიელიც.

1832 წელს, როცა ნიკოლოზ I ამნისტია მიანიჭა მთავრინას ამალის ემიგრანტებს და ქონება (მამული) დაუბრუნა, დავითიც დაბრუნდა. მან გურიელების ხვედრი მამული დაიბრუნა და განაგრძო მთავრისებური ტრადიციებით ცხოვრება.

დაბრუნების შემდეგ მან ცოლად შეირთო დიდი ნიკო დადიანის ასული ეკატერინე (შინაურობაში ბათუს ეძახდნენ). რომელიც ცნობილი იყო როგორც მწიგნობარი ქალი და მშვენიერი მესაუბრე. „ისეთი ტკბილი ქალი იყო, რომ შექარი ამოსდიოდა პირიდან“ — ასე ახაიათებდნენ მას მახლობელნი და ნაცნობნი, ასევე ახაიათებს მას მამიას ბიოგრაფი იონა მეუნარგია. ამასთან ის იყო ოჯახის წესრიგის მიმცემი, შვილებსათვის თავდაღებულ დედა, თუმცა არც ერთი შვილი თვითონ არ გაუზრდია; ყველა ძიძებსა და გამდელებს გააზრდევინა.

მამიას რძლის ელეონორა გურიელისა და მამიას ზისწულს ივლი-
თი თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ი ს მოწმობით, მამიას დედა შვილების ასეთი
გზით აღზრდაში ხელმძღვანელობდა შემდეგი გონიერი მოსაზრებით:
„დადიანის ქალმა შვილები ყველა ძიძებს დააზრდევინა. პირველად
ძიძებს საბავშვო მოაყვანივნებდა და რამდენიმე თვეს ბავშვს თავის
თვალწინ აზრდევინებდა, მაგრამ მერე კი ძიძას შინ გაატანდა და რამ-
დენიმე წლით დაარჩენდა მასთან იმიტომ, რომ ამბობდა: „გლები-
სას გაზრდილი დიდი კაცის შვილი ზომიერი ხასიათის კაცი გამოდგე-
ბაო, უფრო მრთელიც იქნება და კარგი მებატონეცაო. რადგან მისი
ძიძისა და ძიძის მეზობლის შვილებს ნახავს ღარიბებს, შიშვლებს და
გაჭირვებულებს და, ამით გამოცდილი, თვითონ გულმოწყალე მება-
ტონე შეიქნებაო“¹.

მაგრამ ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, იყო ოჯახის ხელგამოწევი
ცხოვრება: მუდამ სტუმრიანობა საშვეგრელო-იმერეთიდან, ქართლი-
დან; ნათესაენი: დადიანები, ორბელიანები, შერვაშიძეები, დადუმქე-
ლიანები და სხვანი და აგრეთვე ნაცნობნი, ხშირად უცნობნიც — შე-
მოსწრებულნი. დავით გურიელის ცხოვრებას ჩვეულებრივ² ჯროს-
ტარება იყო — განუწყვეტელი ნადირობა, ქეიფი უხვი ქართული
სუფრით, ყანწის ტრიალით. მოსწრებული ზმებით. ლექსებით, სიმღე-
რებით, ცეკვით, რაც მშვენივრადაა აღწერილი მამია გურიელის წე-
რილში „დედასთან მიწერილი თბილისიდან“. „ჩემო მწყალებელო
დედა ბატონო! — როცა ზღვას ვნახავ, რაღაც სიამოვნებასა ვგრძნობ
და თითქო ვცნობავ ჩემი სამშობლოს ჰაერს. მალთაყვა, იქაური
დროს გატარება ძველი, ირმები, ღაფობი, ბუმრობა, სიცილი, თამაში,
მხიარულება დახტიან ჩემ თვალ წინ. როგორც აჩრდილი. დაფიქრე-
ბული ამებებზედ არაერთხელ ამოვიოხრებ ხოლმე მწარედ. გარნა ის
ოხვრა ბევრად უტკებესია ზოგიერთს ძალით გამოწვეულს სიცილზედ.
ვინ იცის, რა დასტრიალებს ჩემს თავში ყოველ წამს. სურვილი,
ნდობა, ოცნება და მწუხარება არეული არიან ერთმანეთში...“².

დავით გურიელის ოჯახში „დღეში ორი ძროხა იკვლოდა და
ძლივს ყოფნიდა, იმდენი ხალხი ტრიალებდა სასაბუნღო“ — ადას-
ტურებს გურიელებთან დაახლოებული პირი მირიან ჭყონია. ასეთ
ოჯახს, რიგი, წესი სჭირდებოდა, რომ ოჯახის „პატივი“ შეენახათ. ეს
კი დიასახლისის დიდს დროსა და მზრუნველობას ითხოვდა. ბავშვე-
ბის აღზრდისათვის დიასახლისის დრო აღარ რჩებოდა. ასე იყო ჩვეუ-
ლებრივ დიდ ფეოდალურ ოჯახებში. ასე იყო გურიელებისასაც.

¹ ი. მ. ე. უ. ნ. ა. გ. ი. ა. „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. VII—VIII.

² ქუთაისის არქივი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი, № 34.

ასეთ დიდ ფეოდალურ ოჯახში 1836 წელს 16 იანვარს დაიბადა მამია გურიელი (მამიას ბებიას სურვილისამებრ მას დაარქვეს მამიკონ, რაც შემდეგ გადაკეთდა მამიად). ახლად დაბადებული მამიას აღზრდა თავს იღვა მისმა ბებიამ ზაალ ორბელიანის ქალმა და, სანამ ცოცხალი იყო, ბავშვი თავის მეთვალყურეობის ქვეშ ყავდა, თავისივე სადგომ ნაწილში. მამიას ბებიამ გამდელად მიუჩინა თავისი ნამზითვი კახელი ქალი ჭ ა ნ ვ ე რ დ ი, რომელიც მამიას მამის, დავითის, გამზრდელიც იყო.

მამიას ბებიის სიკვდილის შემდეგ, 1841 წელს, მამია გადაიყვანეს ჭანვერდის სადგომში და ბავშვის აღზრდაც მას დააკისრეს. ჭანვერდი და მამია ძლიერ შეეთვისნენ ერთმანეთს. ჭანვერდომ თავის წყნარი მოუბარი ენით, ზღაპრებით, არაკებით, თქმულებებით, რომელთაც ის პატარა მამიას უამბობდა და ასაზრდოებდა, დიდი დადებითი გავლენა მოახდინა ბავშვზე. სამართლიანად აღნიშნავს ი. მეუნარგია: „ჭანვერდის ამ პოეტის (მამია გურიელის. — მ. ზ.) ნიჭის დაბადებაში წილი აქვსო“¹.

ჭანვერდის კეთილი გავლენის პარალელურად პატარა მამიას აღზრდა მიდიოდა ფეოდალურ ოჯახებში მიღებულ ეტიკეტის თანახმად. პატარა მამიას თავისი დარბაზი ჰქონდა; საკუთარი ამაღაც ჰყავდა, რომელიც მის სურვილებს შთასახვისთანავე აპრულებდა, რითაც ბავშვის ნებევრობა, ეგოისტური გრძნობა, პატივმოყვარეობა და უინიანობა ვითარდებოდა. პატარა მამიას ცალკე კაცი ჰყავდა პირის დამბანი, ცალკე — ჩამცმელი, ცალკე — საუზმის მიმართვეი, სუფრის გამშლელი, ცალკე — მერიქიფე და ასე მოკაზმვა-ჭამით იწყებოდა ყოველდღიურად პატარა მამიას ცხოვრება. საუზმის გათავების შემდეგ ჩაქურ ტანისამოსში გამოწყობილი მამია მიჰყავდათ სადარბაზოდ ჯაბა-ივდითისთან, ან, პირიქით, ისინი მოჰყავდათ მასთან. შემდეგ იწყებოდა თამაში და დროსტარება ბავშვებისა, რომელშიც, ბატონიშვილების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ მხლებლები და გოგო-ბიჭები. მამია ყოველთვის ყურადღებისა და მოქმედების ცენტრში იყო.

მამიას, 6—7 წლისა რომ შეიქმნა, მასწავლებლად მიუჩინეს კარის ეკლესიის მღვდელი გიგინეიშვილი, რომელმაც მას ასწავლა წერა-კითხვა, ჯერ ხუცური, შემდეგ მხედრული და აგრეთვე ლოცვები. 14 წლამდე მამიას სკოლაში მიცემაზე არავინ ფიქრობდა. „მამია

¹ ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. X.

სოფელ-სოფელ დაარბენინებდა ცხენებს და გოგო-ბიჭებთან და შინაურებთან ლასლასით ღუპავდა სიყმაწვილას ღღეებს¹ -- წერს იონა მეუნარგია.

ასეთმა უზრუნველმა, მზიარულმა, ხშირად უშინაარსო დროსტაჩებამ მამიაზე, უდავოდ, თავისი დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა. სამართლიანია ი. მეუნარგიას შემდეგი აზრი: „სამწუხარო მარტო ის კი არ იყო, რომ სკოლაში დროზე შეუსვლელით მამიამ ცოტა ისწავლა, სამწუხარო ის იყო, რომ მამია ერთობ დიდხანს დარჩა „დარბაზის ერის“ და შინაყმების გავლენის ქვეშ და ამან ცული გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე... მამიამ ბევრი რამ ცული შეითვისა ამათ ხელში და ამ ცულმა... მისი კაცობა შუაზე გაჰყო“².

1848 წლის შემოდგომაზე მამია წაიყვანეს ოზურგეთს და პოლკოვნიკ არსენევთან დააყენეს, სადაც არსენევის განათლებულ ცოლს უნდა მოემზადებინა მამია სასწავლებელში შესასვლელად. არსენევებთან მამია დარჩა დაახლოებით ორ წელიწადს; საკმაოდ კარგად გაერკვა რუსულ ენაში, ასე რომ 1850 წ. 1 იანვარს, როცა ქუთაისში გაიხსნა გიმნაზია, მამია შევიდა გიმნაზიაში, სადაც 1853 წლამდე დარჩა.

1851 წელს მამიას მამას, დავით გურიელს, ეწვია მაშინდელი მეფისნაცვალის მ. ს. ვორონცოვი. მამია ჩაქურტანისამოსში გამოწყობილი წარუდგინეს მას. ვორონცოვმა არაჩვეულებრივი დახვედრისათვის მადლობის ნიშნად, და რათა დავითის გული შოგოვ, სთხოვა მას მამია მასთან თბილისში გაეგზავნა. დავითიც დასთანხმდა, რადგანაც თბილისში მას ეგულებოდნენ დედის ნათესავნი — ორბელიანები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მამიას მაღალ საზოგადოებაში ადვილად მიღებას.

* * *

1853 წელს მამია ჩამოდის თბილისში, მაგრამ მას თბილისში დიდხანს დარჩენა არ მოუხდა, რადგანაც 1853 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა ომი ოსმალეთთან და მამიაც გამწესებული იქმნა გრენადერების პოლკში უნტერ-ოფიცრად. მამია ჯართან ერთად გავიდა ომის ფრონტზე, მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში, 1855 წელს 17 სექტემბერს ყარსზე იერიშის მიტანისას ბრძოლაში დაიჭრა მარჯვენა ფეხში და სამი თვე მკურნალობდა.

პოლკში მამია ზრდილი, თავაზიანი და ყველასათვის საყვარელი

¹ ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XI.

² იქვე. გვ. XII.

ოფიცერი იყო. აქვე ჯარში ყოფნის დროს, 1860 წლიდან ფართოდ ვაჰმალურდა მისი პოეტური ნიჭი. აქ სალაშქრო კარვის ქვეშ მან დაწერა ლექსები — „ფარვანა“, „ჯაბას“, „სატრფოხსადმი“.

უნდა ითქვას, რომ სამხედრო სამსახურიც არ იყო მამიას ნიჭი და ხასიათის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მომცემი. სამსახური მას არ აძლევდა არც გონებრივსა და არც მორალურს საზრდოს. უაზრო, უშინაარსო დროსტარება მამიასათვის აქაც გრძელდებოდა. მამიამ თანდათან სამსახურზე გული აიკრუა და წყო ჩვეულებრივი დაუდევრობა სამსახურისადმიც. ამისი დამდასტურებელია მამიას სამსახურობითი სია, რომელშიც შემდეგაა ვაჰხულობთ: მამია 1858 წელს 28 დღით იყო დათხოვნილი შინ და დარჩა 6 თვე და 15 დღე; 1859 წ. თოთხმეტე დღის მაგიერ, — ერთი თვე და 5 დღე დარჩა; 1860 წ. 28 დღის მაგიერ — 5 თვე და 17 დღე¹.

მამიამ მალე, 1861 წელს, სამსახურს თავი დაანება. მართლაც, მამია შემდეგში 1876—1884 წლებში კვლავ დროგამოშვებით უბრუნდება სამხედრო სამსახურს, მაგრამ ეს არა მოწოდებით ან სურვილით, არამედ ეკონომიური სივიწროვის გამო. 1884 წელს დატოვა სამხედრო სამსახური და საბოლოოდ გადაირიცხა სათადარიგო ჯარში კაპიტანის ჩინით.

* * *

სამსახურის თავის დანებების შემდეგ 1870 წლამდე მამია ცხოვრობდა ხან თავის მამულში — გურიასში, ხან ქუთაისში და უუფრო ხშირად კი თბილისში.

თბილისის მაღალ საზოგადოებასთან დაახლოება მამიამ ადვილად შესძლო ნათესაური კავშირის გამო — ორბელიანებთან და აგრეთვე პირადი ღირსებით: მშვენიერი მიმზიდველი გარეგნობით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით, მოხდენილი სიტყვა-პასუხით, ზრდილობიან ქცევითა და ამასთან ერთად 1860 წლიდან პოეტური ნიჭის გამოვლინებით. ყველა ამან მამიას თბილისის ქართული საზოგადოების სალონების კარი ფართოდ გაუღო. მან მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და გასათხოვარ ქალთა შორის მას მრავალი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა.

1868 წელს მამიამ შეირთო იმ დროის ერთ-ერთი გარეგნობით, განათლებით, ნიჭით, ქცევით ცნობილი ქალი მარიამ მელიქიშვილი. მაგრამ მათი ოჯახური ცხოვრება არც ბედნიერი იყო და არც ხანგრძლივი. მამიას ოჯახური ცხოვრება გაგრძელდა ორი წელიწადი.

¹ ი. მ. ე. ნ. ა. გ. ი. ა., „მამია გურიელი (ფაზელი)“. გვ. XX.

რის შემდეგაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და მალე განქორწინდნენ.

ოჯახთან დაშორებამ მამიაში საშინელი მძიმე შთაბეჭდილება და განცდები გამოიწვია. მიუხედავად მრავალი ნათესაობისა და ნაცნობ-მეგობრებისა, მამია ცოლთან გაყრის შემდეგ დაობლდა. ცოლთან ერთად მან ფაქტიურად შვილიც დაკარგა. რადგანაც მისი ვაჟიშვილი კახაბერი, მისი ერთადერთი იმედი და მისი ათაყვანებელი წინაპრის „კახაბერის, სხვა კაცის“ მოსახელე, დედასთან რჩებოდა. ამ პერიოდის მამიას წერილებიცა და მისი პოეტური შემოქმედებაც ამის აშკარა გამომხატველია.

მამია გურიელმა, თითქმის ცხოვრების ყველა ფრონტზე დამარცხებულმა, მთელი თავისი დიდი მგრძობელობა დაშორებული შვილისადმი სიყვარულს ჩააქსოვა. ამას მოწმობს მისი შვილთან მიწერ-მოწერა. ამავე მოწმობს მისი შვილისადმი მიძღვნილი ლექსი — „ჩემს შვილს კახაბერს“:

ჩემო კახაბერ, ჩემო გელო, თვით ჩემო პაპო,
მთლად კახაბერსა დაემსგავსე, ღონე იმარე!
მეტი რა გითხრა, დაგარ იგო, თავი გაბეჭო.
სამშობლოსათვის სულ იბრუნე, სულ იმწეხარე.
მაგრამ ამაებს ყველა მამა თავის შვილს ეტყვის.
მე სულ სხვა მინდა გქონდეს ხვედრი და ბედის წერა:
მსურს ზედ დააკედე შენს მამულსა, რომ ის არ მოჰკედეს,
და შემდეგ ხალხმა ქართლისისამ გიწყოს სიძღვრა.

ასეთი სიყვარული მამიასი შვილისადმი არ შენელებულა პოეტის სიკვდილამდე.

ამ ხანებში მამია სასოწარკვეთილებას ეძლევა. მძიმე მწუხარებასა და მარტოობას განიცდის. მას თითქმის ყველა ჩამოშორდა, მანაც დაკარგა რწმენა და ნდობა ყველასადმი. იშვიათად თუ ის ვინმე გრძობს გულწრფელ დამოკიდებულებას. ისიც იშვიათად თუ ვისთანმეა ნდობითა და სიყვარულით. აი როგორ აგვიწერს თავის ასეთ ურწმუნო განცდებს მამია ერთ-ერთ თავი-წერილში ძმა ჭაბასადმი:

„როცა დაერწმუნდები, როგორათაც მაკვიაველი, რომ ყოველი კაცი ბილწია, უსინდისო და პადლეკი, რომ ისინი ღირსნი არიან მხოლოდ ზიზღისა და შეფუტრთხებისა, რომ არ არის სინდისი ბაღნებში და ქეშმარტი განწყობილება და რომ ამაებისათვის საჭიროა მეტად კარგი კაცი. არ ვიცი, რა მიზეზისა გამო, წარმომიდგები შენ.

„როცა ვფიქრობ, რომ ვარ მარტოდ-მარტო ამ სოფელში, შეუპოვარი უსიამოვნებისა და გარემოებისა ცივი, ამპარტავანი, უშიშარი და უკანასკნელ გამბედავი თავხედობამდის, მხოლოდ გაუცნობე-

ლი, უამხანაგო, უმეგობრო, ამ დროშიაც მაგონდები შენ, ჩემო ჯერ კიდევ მეგობარო...¹.

ასეთისავე შინაარსის წერილს სწერს მამია თავის რძალს, ჯაბას ცოლს, ელეონორას: „თუ ღმერთი გწამდეს, ელეონორა, შენ და შენს ქმარს გაყვარდეთ მაინც ყოველთვის, ნუ შემაძულებთ მთელს ადამიანობას, ნუ შემიყვანთ სრულს სასოწარკვეთილებაში. თუმცა დარწმუნებული ვარ და თქვენ ამაზე გაფრთხილება არ გკირდებათ, მარა, შემდეგ ამდენის სიმყრალისა, გული ვერ ითმენს არ გითხრას თავისე წუხილი“².

ამ მღვდმარებობაში მყოფი მამია, ნაკლები ცოდნის, ნაკლები შრომის უნარის, ნაკლები ნებისყოფის პატრონი დაეწაფა ღვინოს, რომ მის საშუალებით ჩაეკლა მწვავე გულისა და ტვინის მღრღნელე განცდები.

ი. მეუნარგია, რომელიც უშუალოდ იცნობდა მამიასა და ბიოგრაფიული ცნობებიც მის მახლობლებისა და მეგობრებისაგან შეკრება, შემდეგს წერს: „მამია სვამდა ღვინოს უზომოდ, ყოველთვის და ყოველგან, საცა კი შეეძლო, ან შეესწრებოდა, — სვამდა შინ, ნაცნობ-მეგობრებთან, სასტუმროებში, რესტორნებში, დუქანებში, ბნელსა და ნოტიო სარდაფებში... და ნელ-ნელად ყოველ დღიურის ხანგრძლივის სმით თავი მოიწამლა და დაღუპა თავისი ძლიერი ნიჭებულე...“³.

ნიჭისა და ჯანმრთელობის დაკარგვასთან ერთად მამიას, ანგარიშთან ცხოვრებას შეუჩვეველს, გამუდმებულმა ქეიფმა, ღვინოს სმამ, ცხოვრების ყოველი წყარო გაუშრო. მამია თანდათან სისწრაფით ეშვებოდა დაქვეითების გზით — მთავრის სასახლიდან და დიდ ფეოდალთა სალონებიდან მან გადაინაცვლა რესტორნებში, აქედან დუქნის ოთახში და ბოლოს თავისი სიცოცხლე დაამთავრა ოდესღაც დადიან-გურიელების ნამოახლარის ბაბაღე დედაკაცის ქონში, რომელშიც არც სინათლე და არც საკმარისი ჰაერი არ იყო. აი რასა წერს იგივე ი. მეუნარგია: „მე ის მინახავს ქუთაისში, ჯერ საუკეთესო „კოლხიდის“ სასტუმროში მცხოვრებად, მერე უფრო დაბალი ხარისხის „ბათუმის“ სასტუმროში, მერე ადნაიას რესტორანში, ან უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ადნაიას დუქანში, და ბოლოს ერთს

¹ წერილი უთარილო, ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XXVIII.

² წერილი უთარილო, ქუთაისის მუზეუმში, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი, № 24.

³ ი. მეუნარგია. „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XXX.

რალაც სოროში, რიონის პირად, ვილაც ბაბალე დედაკაცთან, რომელიც ოდესმე დადიან-გურიელების ნამსახურევი ყოფილა“¹.

მამია დაფერფლილი ნიჭით, დაფლეთილი გულით, დაჭიანებულნი ჯანით, დაღრღნილი ტვინით, გამარტოვებული, ყველასაგან, როგორც თვითონ ამბობდა კიდევ, დავიწყებული, უმიზნოდა და უსაქმოდ ლევდა თავის ულაზათო ცხოვრებას. გარემოებითა და შინაგანი მწვავე, მტკივნეული განცდებით დამძიმებული მამია თავის სიცოცხლეს აღარად სთვლიდა. სკეპტიციზმითა და ინდიფერენტიზმით შეპყრობილი მამია ერთ-ერთ თავის მეგობარს წერდა: „შეიძლება სასოწარკვეთილი ადამიანის შეშინება? ვისაც წარსულში ნაღველი უსვამს და მომავალში მოელის უარეს ნაღველსა და სამსალს? მე ვფიქრობ, ამ ნაირ ადამიანებს სიკვდილიც სასაცილოდ მიაჩნია“².

მამია არც ასეთ მდგომარეობაში იშლიდა ღვინის სმას, თითქოს ამით უნდოდა შეემოკლებინა თავისი გაწამებული სიცოცხლე, ერთხელ თავის დახრჩობაც კი სცადა რიონში, მაგრამ გადაარჩინეს.

* * *

ამ მდგომარეობაში მყოფი მამია ხანდახან გამოფხიზლდებოდა, გამოცოცხლდებოდა ზოლმე; მისი ნიჭი ამ მომენტებში ნაკვესებს ჰფანტავდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მამია თავისი ლექსების მოხდენილი კითხვით მსმენელთ იპყრობდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. აი როგორ გადმოგვცემს ი. მეუნარგია თავის შთაბეჭდილებას, მამიას ერთი ასეთი კითხვით მიღებულს ქუთაისის თეატრში: „მე თავის დღეში არ დამავიწყდება ეს მშვენიერი საღამო ხარაზოვის თეატრში. ზალაში ტევა აღარ იყო და ბალკონებზე კაცი კაცზე იჯდა, რადგანაც წარმოდგენას საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა და პროგრამაში მანძის სახელი იყო დაბეჭდილი. როცა მამია სცენაზე გამოვიდა, თეატრში სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე სწორედ ქარიშხლის მომასწავებელი იყო. პირველისავე ნახტომიდან მამიამ შეიპყრო საზოგადოების ყურადღება და ფრთები აუსხა მის ხელოვნურს გრძნობას. კარგი კითხვის მოყვარულნი ძლივს-ღა იჭერდნენ აღტაცებულთა, რომ ტამის ცემით და „ბრავოს“ ყვირლით არ შეეშალათ იმისათვის ხელი; მაგრამ, როცა მამია ჩავიდა „ჩემს ალავერდში“ იმ ადგილამდის, საცა ის ამბობს:

თქვენ, უებრო მებრძოლებო,
თქვენთ-ნა ვარ, ალავერდი!

¹ ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XXX—XXXI.

² „ივერია“. „თავ. მამია გურიელი (ფაზელი)“. 1891 წ., 3 აგვ., № 164.

ვერც იმათ დაიკირეს თავი და თეატრი კინალამ დაიმტვრა გარდამეტებულის ალტაცებისაგან. მამია გრძნობდა, რომ ამ დროს ის უფალი იყო მსმენელებისა და ლამაზი შესახელი“.

ალბათ. ასეთი მომენტები მამიას უბრუნებდა ხოლმე თავის ძალების. ნიკის რწმენას, თავის საზოგადოებრივ ღირებულებას განაცდევინებდა და ათქმევინებდა ლექსში „ნაძლევნი“ —

მეც ღმერთი ვარ ვიწრო წრეში —
გონებისა ნათლის სვეტი,
და ჩემი კი მხოლოდ შენში
არა მეტი, არა მეტი...

მიუხედავად ასეთი მძლავრი განცდის წუთებისა, მამიას დაქვეითების გზაზე დამდგარი ცხოვრების გზა არ იცვლებოდა.

მამიას ასეთ, შეიძლება ითქვას, განადგურებულ მდგომარეობას და სიცოცხლეს, სიკვდილის რამდენიმე თვის წინ თავს დაატყდა თავზარდამცემი ამბავი — მისმა შვილმა კ ა ხ ა ბ ე რ მ ა, რომელიც. მამიას ცოლთან განშორების შემდეგ დედასთან ცხოვრობდა და სწავლობდა და რომელიც მამიას, როგორც აღვნიშნეთ, გაგიჟებით უყვარდა. პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში) თავი მოიკლა. შვილსაც მამისადმი თბილი და ნაზი გრძნობები ჰქონია. რაც ირკვევა მისი წერილებიდან მამისადმი¹. ხელმოკლედ მყოფი მამია შვილს მატერიალურ დახმარებას სისტემატურად ვერ უწევდა, რაც მამიას საშინლად სტანჯავდა.

კახაბერის თავის მოკვლის ცნობამ ისედაც ტანჯული და გაცამტვერებული მამია საბოლოოდ გაანადგურა. მამია გარდაიცვალა 1891 წ. 25 ივლისს ქ. ქუთაისში გურიელების ოჯახში ყოფილი მოახლის ბაბაღეს ქოხში.

ასეთ უფერულ და უგემურ პირობებში დაამთავრა უდავოდ ნიჭიერმა მგოსანმა მამია გურიელმა თავისი მწუხარებითა და უკმაყოფილებით სავსე სიცოცხლე.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოებით დაბეჩავებული, დაქვეითებული პოეტი მამია გურიელი თითქოს საზოგადოების მიერ დაეწიებული იყო, როგორც ეს მასაც თვითონ ეგონა, მისმა სიკვდილმა ქართული საზოგადოების დიდი თანაგრძნობა და პატივისცემა გამოიწვია, რაც იმდროინდელ ქართულ პრესაშიც აღიბეჭდა.

გაზ. „ივერია“ ამ ცნობას მწუხარებით აღუწყებდა მკითხველ საზოგადოებას: „განსვენებული გარდაიცვალა უეცრად... ერთს

¹ იხ. ქუთაისის მუზეუმი. კირ. ლორთქიფანიძის ფონდი. კახაბერის წერილები მამიასთან.

წუთს მოეფინა მთელ ქალაქს სამწუხარო ამბავი საყვარელი პოეტის გარდაცვალებისა და მთელი საზოგადოება დაალონა. განსვენებულის ძმები ფიქრობდნენ მიცვალებულის ძვირფასი გვამი გურიაში წაესვენებინათ, პოეტის სამშობლოში, მაგრამ მეგობრებმა და მიცვალებულის სახელის პატივისმცემლებმა სთხოვეს და დაიყოლიეს, რომ პოეტის გვამი ქუთაისში დაესაფლავებინათ წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში... ექვს საათზე მიცვალებულის გამოსვენება იყო დანიშნული. ტაძარი და მისი მოედანი მთლად გაქედილი იყო ხალხით. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აქ მოიყარა თავი ყველა წოდებისა და შეძლების კაცმა, კუბო მიცვალებულისა მთლად ყვავილებითა და გვირგვინებით იყო შემკული“¹.

მამია გურიელის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას და ფართო საზოგადოების პოეტისადმი პატივისცემას ნათლად ადასტურებს გაზ. „ივერიაში“ მოთავსებული წერილები და საერთო ინფორმაცია: „ახლად განსვენებულის ჩვენის პოეტის თავ. მამია გურიელის გარდაცვალებამ ბევრი დაალონა, ბევრს გული მოუკლა. ყოველ-დღე წერილები მოგვდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და აცხადებენ თავიანთ მწუხარებას პოეტის უდროოდ დაკარგვის გამო. ამასთანავე პოეტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდს იხდიან“².

მამია გურიელის დასაფლავებაზე წარმოითქვა მგრძნობიარე სიტყვები — პოეტი გრიშა აბაშიძის, შავი ზღვის პოლკის ოფიცერი მენშიკოვის, პოეტი-პედაგოგის სილოვან ხუნდაძის და სხვათა მიერ. ამ სიტყვებში მკვეთრადაა მოცემული მამია გურიელის შეფასება როგორც ადამიანისა, როგორც პოეტისა. ნიმუშისათვის მოვიტანთ სილოვან ხუნდაძის სიტყვას, ლექსად თქმულს:

პოეტო! ზეცამ აგავსო
 ნიჭით და გრძნობით ძალზედა;
 ბნელს ანათებდი, ბრწყინავდი
 შენ საქართველოს ცაზედა!
 მაგრამ ცხოვრებამ დაგტანჯა,
 ძალა უდროოდ წაგართო:
 დიდებულ ნიჭის პატრონმა
 მით ვერ იპოვე გზა ფართო...
 რაც გსურდა, ყველა ვერა სთქვი, —
 საწუთრომ აღარ გაცალა:
 შენს გრძნობას მახე დაუგო,
 მოგწამლა, გასვა სამსალა...

¹ „ივერია“, 1891 წ., 1 აგვისტო, № 162.

² „ივერია“, 1891 წ., 9 აგვისტო, № 168.

ხოლო რაცა სთქვი, იმითაც
მსწრაფლ მოიხვეკე სახელი:
იყავ ღრმა გრძნობის პოეტი
და გონიერად მზრახველი.
ანგელოსებრივ ფრთებ გაშლით,
ცეცხლის მგზნებარე თვალებით —
ვინ გვითხრას შენებრ შაირი,
მოგვხიბლოს ციურ ძალებით?!
ჯერ კიდევ ხალხის ღვიძების,
გამოფხიზლების ჟამია, —
და ვაი, რომე აღარ გვეყავს
სიტყვით მხიბლავი მამია!

მამია გურიელის ცხოვრების ხაზი მეტად თვალსაჩინოა და სი-
მართლითაა ასახული მის პოეტურ შემოქმედებაშიც¹. მეტად მოხ-
დენილი და ზუსტი გამომხატველი ეპიგრაფი წაუშმძღვარა გაზ. „ივე-

¹ მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ მამია გურიელის შემოქმედების სრულ-
გამოცემა აქამდე არა გვაქვს. 1897 წელს ქუთაისის ამხანაგობისაგან გამოცემული
მამია გურიელის (მ. ფაზელის) ერთტომეული, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ერთად-
ერთია და ისიც ცენზორის მიერ ფრიად შემციირებული, შეცვლილი, დამახინ-
ჯებული.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების კირ. ლორთქიფანიძის
ფონდში შენახულია კირ. ლორთქიფანიძის მიერ დიდის გულმოდგინებითა და
პასუხისმგებლობით შედგენილი მამია გურიელის ნაწერები, გამზადებული გამი-
საცემად.

თხზულებანი

მამია გურიელის

(მ. ფაზელის).

ლექსები

ქუთაისი ნ. ი. გამრეკელის სტამბა

1895.

როგორც არქივის მასალებიდან ჩანს, კირ. ლორთქიფანიძეს შედგენილი კრე-
ბული წარუდგენია ცენზორისათვის. ცენზორს—რაფ. ერისთავს კრებული თითქმის
გაუნახევრებია, გარდა ამისა, კრებულში დატოვებული ნაწერების ნაწილები შეი-
დაშიგ წითელი ფანქრით გადაუხაზავს (აუკრძალავს), ზოგანაც თითო სიტყვაა შე-
ცვლილი. ცენზორს წარუდგენილი ხელნაწერი კრებულის ასეთი განხილვისა და
ოპერაციების შემდეგ ასეთი რეზოლუცია დაუდგია: „Дозволено цензурой 16
марта 1896 г. Тифлис — с исключением на страницах: 1—3, 4, 7, 17—19, 21,
23, 26—31, 33, 34, 36, 40—42, 46, 47, 49—51, 53, 54, 56—60; 62, 64, 65, 66,
69, 74, 76—79, 83, 85, 87—89, 91, 94, 96, 97, 99—107, 109, 111, 113—126,
128, 130, 132—134, 137, 139—156, 158, 161—163, 166—173, 176—178, 133,
185, 186, 188, 189—208, 210, 212, 214—217, 219—224, 227, 231—247, 253, 257—
259, 261, 264—268, 273, 274, 276, 278, 282, 283, 289—291, 293, 295, 303, 305,
306, 308—311, 314, 315, 321, 322, 324—330, 332—334, 336—338, 340—344.

რამ“ თავის სარედაქციო წერილს — „თავ. მამია გურიელი (ფაზე-ლი)“ — მამია გურიელის სიკვდილის გამო:

გულის საუნჯე მაქვს სავეს
საიდუმლოთა სპეკალთა.
მაგრამ ვერ გავხსნი, ვერ ვიტყვი
ენაზე მასვენ ეკალთა. (ვახტანგ VI)¹

უდავოდ, დიდი ნიჭის პატრონი, „სავსე საიდუმლოთა სპეკალთა“ მამია გურიელი, როგორც შეიძლება ბევრი სხვა მისი თანამედროვე ნიჭიერი კაცი, გარემო პირობებით ისე შეიბორკა, ისე დაჩაივდა,

346, 349, 351, 353, 355, 358—361, 363, 364, 369, 370, 372—376, 378—380, 382, 383, 390, 392, 394, 395, 398, 403, 406, 410. Цензор князь Р. Эрнстов.

როგორც ჩანს, მამია გურიელის ლექსთა კრებული მთლიანად გადაწერილია კ. ლორთქიფანიძის ხელით. შავი მელნით, კარგი ხარისხის, ჩვეულებრივი რვეულის ზომის ქაღალდზე, სულაა 412 გვერდი: აქედან 1—404 გვ. უჭირავს ლექსებსა და პოემებს (კრებულში ლექსები არ არის დალაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) და 405—412 გვ. სარჩევია, რომელშიც ნაწარმოებები ქრონოლოგიურადაა აღნიშნული.

კრებულის არეებზე კირ. ლორთქიფანიძის ხელით დაწერილია სიტყვები (თან გამოთქმებით), რომლებითაც მას სასურველად მიუჩნევია შეცვლილი ყოფილიყო მამია გურიელის ტექსტი. ეს ცვლილებები გამოწვეულია ზოგი ენობრივი სიწმინდის მიზნით, ზოგი რითმისათვის, ზოგიც შინაარსის გამაზვიებლისათვის. ცენზორს მრავალი მათგანი მიუღია და ამის მიხედვით შეუსწორებია.

როგორც კირ. ლორთქიფანიძის არქივის შესწავლით ირკვევა, ამგვარი რედაქტორული მუშაობა მას სხვა პოეტების შემოქმედების მიმართაც უწარმოებია.

ცენზორს მამია გურიელის აღნიშნული კრებულიდან ამოუღია ნაციონალურ-პოლიტიკური და გადაქარბებული ეროტული გრძნობის გამოხატველი ნაწარმოებები, ადგილები, სტრიქონები და სიტყვები. ორივე ამ მიმართულების მოტივები კი მამია გურიელისათვის ფრიალ დამახასიათებელია.

ცენზორის მიერ სრულიად ამოგდებულია შემდეგი ნაწარმოებნი: 1. „მეტს არ ვიტყვი“ (გვ. 87, დაწერილია 1876 წ.). 2. „ის ჩემია, ის ჩემია“ (გვ. 221, დაწ. 1860 წ.). 3. „ქალ-ვაჟიანი“ (გვ. 237, დაწ. 1880 წ.). 4. „ალბომში“ (გვ. 135, დაწ. 1889 წ.). 5. „ირმის ნამბობი“ (გვ. 193, დაწ. ?). 6. „დამესხენ წადი“ (გვ. 154, დაწ. ?). 7. „ჩემს სასურველს“ (გვ. 128, დაწ. ?). 8. „გონება და ხსოვნა“ (გვ. 2, დაწ. ?). 9. „კალმისა ჩემის საღმრთო ფეშქაში“ (გვ. 26, დაწ. 1860 წ.). 10. „მეტს არას ვიტყვი“ (გვ. 87, დაწ. 1876 წ.).

ადგილები ამოღებულია შემდეგი ნაწარმოებებიდან: 1. პოემიდან „რამიდ-ვარდან ოლი“. 2. „მოხუცი ბაასი“, გვ. 59. 3. „ქალები“, გვ. 65. 4. „რჩევა და დარიგება“, გვ. 99—100. 5. „ანდრძი“, გვ. 106. 6. „ფიჭრი ყრობისა“, გვ. 178. 7. „სასიმღერო შირები“, გვ. 212, 216. 8. „თეთრო ძაღლო“, გვ. 234 (იხ. ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი, მამია გურიელის კრებული).

ამჟამად რამდენად უსაზღვროდაა ცენზორისგან შელახული მამია გურიელის 1897 წლის გამოცემული კრებული ქუთაისის ამხანაგობის მიერ.

¹ გაზ. „ივერია“, „თავ. მამია გურიელი (ფაზელი)“, 1891 წ., 3 აგვისტო, № 164.

რომ თავის ნიჭისა და შესაძლებლობის მეთაველიც კი ვერ გაანაყოფიერა, ვერ განახორციელა. თვით ამ გზააბნეულობის შეგნება „დამწველ-მტანჯველი“ იყო პოეტისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე, რადგანაც მასთან ბრძოლაში ის ხშირად სუსტი, უძლური ხდებოდა, მარცხდებოდა. მიუხედავად ამისა, მამიას პოეტური ნიჭი დრო და დრო მაინც გაივლებდა ხოლმე და, გარდა მოხდენილი მხატვრული დეკლამაციისა, თავისი შემოქმედებითაც ეხმაურებოდა გარემოცხოვრებას, მკითხველთა წრეს იმ უღრობის ხანაში იზიდავდა და ხშირად რაზმავდა კიდევც.

ძირითადი მოტივი მამია გურიელის პოეტური შემოქმედებისა არის უკმაყოფილება, მოწყენილობა და სევდა-ნაღველი, რაც ასე დამახასიათებელი იყო მამიას თანამედროვე ქართველი საზოგადოების გარკვეული წრისათვის და რაც ასე მკვეთრად განავითარეს საერთოდ რომანტიკოსმა მწერლებმა და კერძოდ ქართული რომანტიზმის ყველა წარმომადგენელმა.

თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ მამიას ასეთ განწყობილებას, მის შემოქმედებაში ასე მკვეთრად ასახულს, გარდა საერთოსი, პირადი ცხოვრების მიზეზებიც (ეკონომიური გაწრიოკება, პრივილეგიების დაკარგვა, ბედუკუდმართი პირადი ცხოვრება) საკმარისად აძლიერებდნენ. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა პოეტი მამია გურიელი თავის პირველ ლექსში „ფ ა რ ვ ა ნ ა“ (დაბეჭდილი ჟურ. „ცისკარში“ 1860 წ. № 1) თავისი ბედით თუ მდგომარეობით უკმაყოფილო ასე წუწუნებს:

ყოვლის ლხინისგან მე დანაგდებსა
დარდები გულსა განმიალებდა;
კარავს ქვეშ ვსწერდი ჩემსა აზრებსა,
ფარვანა სანთელს დასტრიალებდა.

ეს რბილი მელანქოლია მამიას შემოქმედებაში მალე მუქი ფერებით შეიღება. პოეტი გვამცნობს, რომ მას „მწარე ფიქრები“ მტანჯველად შემოსწოლია, „როგორც მაღალ მთას დილით შავი ავდრის ღრუბლები“. ამ „მწარე ფიქრებს“ პოეტი დაუსუსტებია, დაუბნედა, თვალთ სინათლე დაუბნელებია. ის მწარედ ჩივის ამ მძიმე განწყობილებაზე ლექსში „შ ო შ ი ა“:

ჩვეულის სევდით აღმევსო გული,
მან დამაღონა,
უკურნებელი გამეხსნა წყლული
და მომაგონა:

ქარიშხლიანი ყმაწვილობა
ჩემი წასული,
სარწმუნოებით აღსავსე გრძნობა
მოტყუებული.

რით და როგორაა პოეტის „სარწმუნოებით აღსავსე გრძნობა მოტყუებული?“ მამია გურიელი ამავე ლექსში დატყვევებული შოშიას სახით საკმარისად გამკვირვალედ ამქვად ეხატება თავისი მწუხარების ერთ-ერთ ძირითად და უმტკივნეულეს მიზეზს — წყაროს. აი, როგორ თარგმნის პოეტი გალიაში დამწყვდეულ შოშიას გულსაკლავ სტვენა-გალობას:

ყმაწვილობილამ გალიაში
უხსნელ ტყვედ ვზივარ,
ჩემსა აღმომზრდელ სამშობლოში
შეპყრობილი ვარ!
თუმცა ხანდახან გამოშვებენ
ვითომც ნებაზედ,
მაგრამ მაშინც თვალს მადევნებენ
მციირეს ფრენაზედ.
მეუბნებიან ენა სთქვიო
ჩვენებურადა!

.
მე ამის გამო გავხდი ავად,
აგერ მოკვდები!

გარემო ცხოვრების პირობებით თვითონაც შევიწროებული და შეშფოთებული პოეტი შოშიას მდგომარეობაში თავის პირადი შინაგანი ტკივილების — მტანჯველი განწყობილების განსახიერებას ხედავს. პოეტიც, შოშიასავით შებოროტილი, არ და ვერ ეგუება ასეთ მდგომარეობას. ისიც მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, როგორც შოშია — ყვაველებით ათას ფერად შეღებილ ტყესა და ველზე. პოეტი-მძიმედ განიცდის, რომ ამგვარ მტანჯველ მდგომარეობაში მარტო ის კი არ არის, არამედ მასთან ერთად მთელი მისი ერი, და თავის და ამ ერის თავისუფლებისაკენ ლტოლვას გაწამებული პოეტი ასე გამოხატავს:

ოჰ, შემოქმედო, ჩანაირად
მაშინ დაგლოცავთ!
მე და მთლად ტომი ჩემი ხშირად
შენთვის მსხვერპლს დაესწავთ!²

¹ „შოშია“, გვ. 46—47.

² იქვე, გვ. 48.

ამ ეროვნულ-პოლიტიკური პირობებით შებღალული, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, პირადი ცხოვრების უკუღმართობით, ფიზიკურად დაავადებით შეღახული, გაქვქვილი, როგორც თვით მამია იტყოდა, პოეტი, როგორც ეს რომანტიკოსებს სჩვეოდათ, ცხოვრებიდან გარიყულობას განიცდის, მას მარტოობა სტანჯავს, უნდობლობა მის გულში მტკიცედ ისადგურებს. სულით დათენთილი და ფიზიკურად დაძაბუნებული, „გულდაწყვეტილი ათასჯერ მწარეთ“ პოეტი ასე ჩივის:

დიდი ხანია მე ჩემს ქვეშაგებს
რაც შევეჩვიე, აღარ ვშორდები;
არ შეუძლიან შველა აჭიმებს,
თითონვე ვატყობ, მეტად ვსუსტდები!.

ყოველი მხრიდან მოსეული უსიამოვნებით გაწამებული, ცხოვრებისათვის, მასთან საბრძოლველად სრულიად შეუიარაღებელი მამია გურიელი მეტად სუსტი აღმოჩნდა, ცხოვრების გზაზე მან ადვილად წაიბორძიკა, ის მალე დამარცხდა და დაქვეითების გზით ადვილად და სწრაფად დაეშვა. ცხოვრებაში მან ვერ შესძლო თავისი ნამდვილი გზა გამოენახა და მტკიცედ დამდგარიყო მასზე. მუდამ წინააღმდეგობაში იყო ის თავისი განწყობილებით, ზრახვითა და სურვილებით სინამდვილესთან; მუდამ შეურიგებელი იყო მასთან.

მამია მწარედ გრძნობს, რომ წაქცეულია, ის არა თუ ვერ მიდის თავისი გზით, დამარცხებულია ცხოვრებასთან ბრძოლაში. აი, როგორ იტანჯება ცხოვრებისაგან შეუწყნარებელი პოეტი:

პო, ღმერთო ჩემო! ნუ თუ სატანჯვლად
მხოლოდ შემქმენი და დამაარსე,
სიცოცხლე ჩემი განლიე სრულად
ისე, რომ ვერ მცან, ვერ დამაფასე!
რად გინდა ჩემი ქვეყნად ცხოვრება,
თუ თვით სიცოცხლე საწამლავს მასმევს
მაშორე ყველა მხიარულება,
რადგან ნატვრები სანატრს არ მაძლევს?.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი პოეტი, ნიადაგდაკარგული, დაექვიანებული თავის არსებობის აზრიანობა-სარგებლობაში, მწარედ ჩაფიქრებული ასე ეკითხება თავის თავს ლექსში „კითხვა“:

¹ „სნეული“, გვ. 49.

² იხ. ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი კრებული, გვ. 47.

ნეტავ რამ შემქმნა, რისთვის შემქმნა, რა სახმარი ვარ?
ჩემის ცხოვრების, მარქეთ, რა არს დანიშნულება?
მე სიკვდილამდის უსამართლოდ, უღვთოდ მკვდარი ვარ,
ეს არის მისი მიუმსგავსი განკარგულება!

მუდმივი წინააღმდეგობითა და უშედეგო, გაცრუებული ბრძოლით
გამოწვეული შინაგანი წვა პოეტს გამუდმებით სტანჯავდა, ხშირად
სასოებას აკარგვინებდა. გაწამებული პოეტი რაღაც ისტერიული
სიკერპით ამბობს თავის ლექსში „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“:

მოლით, დარდებო, აღმივსეთ გული,
უთქვენოთ ვსწუხვარ თქვენი ჩვეული;
თქვენ კარგად იცით, მხიარულება
არცა მქონია და არც მექნება.

აქ გარკვეულად ისმის მრავალი ქართველი მწერლისათვის
XIX საუკუნის განმავლობაში დამახასიათებელი სევდა, უიმედობა.
ასე ჩივიან ქართველი რომანტიკოსი მწერლები, ასევე ჩივის ზომ
აქ. წერეთელიც სწორედ იმავე პერიოდში თავის ლექსში „ა ხ ა ლ ი
წ ე ლ ი“ —

მაშ ნუ მილოცავთ მე ახალსა წელს!
ჩემთვის ერთია — „ახალი“, „ძველი“!
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

ასევეა მამია გურიელიც. მისი მისწრაფების გამუდმებულ, უშედეგო
წინააღმდეგობას გარემო სინამდვილესთან პოეტი მძიმედ დაუთენ-
თია; განურჩევლობის, გულგრილობის სენს შეუპყრია მისი გული და
გონება; მას აღარაფერი ახარებს; მას „ლხინის ხმებიც“ კი აღარ
ეამება. სევდამორეული პოეტი მწარედ კვნისის: „მე ცრემლები
მსურს, მხოლოდ ცრემლები, თორემ დარდებით გული გასკდება“.

თავისებურება მამია გურიელისა იმაშია, რომ მას არ სურს შე-
მოსალტულ სევდას მაინც მთლიანად დაემორჩილოს, ის, უბედურე-
ბასა და მწუხარებაში მყოფი, მაინც კერპობს, ის თვალლიად უყუ-
რებს მტანჯველ სინამდვილეს და ასე შემოსძახებს გარშემორტყმულ
თითქოს დაუფლებულ მტანჯველ ძალებს:

აღარ მწამს სჯული, არ ვიცნობ უფალს,
მე ჩემი თავი მომბეზრებია...

მაშ დამეხსენი, ზეციერებაჲ,
წადი, უფალო, მთლად დაიმსხვრევი,

არ შეგიძლიათ თქვენ ჩემი ვნება,
ჭია ვარ, მაგრამ მეტად ძლიერი! ¹.

მაგრამ ამასთან ის კარგად გრძნობს და ხედავს, რომ ის „ყველგან უარყოფილია“, რომ ის მსხვერპლია შურისა და მტრობისა, რომ ის თვით „საყვარლისგანაც მწარედ დასჯილია“, რამაც მას გული მოუწამლა, დაქანცა, გააწამა, ძალა გამოაცალა, იმედი დაუკარგა (ეს განწყობილება მამია გურიელში გაძლიერდა ცოლთან უსიამოვნებისა და შემდეგ განქორწინების ნიადაგზე).

ამგვარმა განცდებმა პოეტის გული და ტვინი გააცვივეს; ის განურჩევლობამდის მიდის, მისთვის ცხოვრებაში აღარაფერია აღარც საიმედო და აღარც მიშზიდველი. პოეტი წაქცეულია, სასოწარკვეთილებამდის მისულია, მაგრამ მაინც მაგრობს, იხტიბარს არ იტენს, იკრებს ძალას და მუხთალ ბედს ასე შესძახებს ლექსში „კითხვა“:

მაგრამ რაც უნდა დამემართოს, რაც უნდა მოხდეს,
ნურვინ მოელის თავმოდრეკით ვსთხოვო შენდობა:
მრწამს, მომავალი შემდეგათვის ისე არ წახდეს,
რომ ყოველს გულში არ დამკვიდრდეს ეს ჩემი გრძნობა.

ამიტომაა რომ მას აღარაფერი აშინებს, მისთვის ერთია ტანჯვა-ვაება, თუ სიხარული. ის შეეჩვია მწუხარებას და ასე შესძახებს მუხთალ ბედს ლექსში „ნუ შემობრალებ!“:

ნუ შემობრალებ, თუმცა დარღები,
ვით საფლავის ქვა გულზედა მაძევს;
ნუ შემობრალებ, თუმცა ვგიჟდები
და იმედს ტკბილსა არავინ მაძლევს!
ნუ შემობრალებ, თუმცა სიყრმიდგან
ჯერ არ მინახავს მხიარულება,
მსმენია ტყვილი მეგობრებისგან,
სატრფიალოსგან მოტყუილება!
ნუ შემობრალებ, თუნდა წამართონ
ღირსება, ჩინი და ორდენები,
ნუ სწუხ-ხარ, სულიც რომ ამომართონ, —
მე კვლავ ერთგული შენი ვიქნები.

ასეთია მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, მუდმივი შინაგანი წვა წაქცეული პოეტისა და, მიუხედავად ამისა, მისი გრძნობების მაღალი მისწრაფება.

¹ იხ. ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი, კრებული, გვ. 87.

მამია გურიელი, როგორც ფეოდალური არისტოკრატის პირ-
მშო, თითქმის, ყველა დამახასიათებელი ტრადიციების საფუძველ-
ზე აღვირმომშვებული აღიზარდა. მასში ბუნებრივად ჭარბად უნდა
განვითარებულიყო ფიზიოლოგიური გრძნობები; ის ვნებიანობას,
თავბრუდამსხმელ ეშხს უნდა გაეტაცა. ეს ასეც მოხდა. სამართლიანია:
მამიას ბიოგრაფის ი. მეუნარგიას შენიშვნა პოეტის აღზრდის პირო-
ბების შესახებ: „სამწუხარო მარტო ის კი არ იყო, რომ შკოლაში
დროზე შეუსვლელივით მამიამ ცოტა ისწავლა, სამწუხარო ის იყო,
რომ მამია ერთობ დიდხანს დარჩა „ღარბაზის ერში“ და შინაყმების
გავლენის ქვეშ და ამან ცუდი გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე. „მა-
მამიამ ბევრი რამ ცუდი შეითვისა ამათ ხელში და ამ ცუდმა.. შემდეგ-
ში... მისი კაცობა შუაზე გაჰყო“¹.

აღზრდის პირობების გამო მამია გურიელის ცხოვრებაში დიდი
ადგილი დაიჭირა ქალისადმი ვნებიანმა ლტოლვა-ტრფიალებამ, გან-
საკუთრებით კი ქალის მიმზიდველმა გარეგნობამ, მისი მოხდენილი
სხეულის ნაკვთიანობამ, მისი ეშხის მომგვრელი სიკეკლუცისა და
არშიყოების განწყობილების გამომხატველმა მოძრაობამ და ზმამ, რაც
ააღლეგებდა, ააჩქროლებდა პოეტის გულსა და სულს. ასეთი გრძნო-
ბები მამია გურიელს მკაფიოდ, დამახასიათებელი ნიშნებით განსა-
ხიერებული აქვს მრავალ ლექსში. ნიმუშისათვის ლექსში „ა რ მ ო მ-
წ ო ნ ს“ ასე გამოხატავს ის ამგვარ გრძნობებს:

ქალო, არ მომწონს შენი შვენება,
სახის სისწორე, მაღალი გული;
არც ტურფა ტანის ამპარტენება,
ნაკვთიანობა და წვლილი წელო.
არ მომწონს თეთრი თოვლივით მხრები,
და მანათობი მკერდის ფიცარი,
არც მაზედ ტურფა ორი კოკრები,
ამჟრქოლებელი, გასაოცარი!

აქ მამია გურიელი ჩვენებითი უარყოფითი ფორმით საკმარისი სიმ-
კვეთრით აგრძნობინებს მკითხველს სწორედ იმას, რაც ქალში მას
ჩვეულებრივ იზიდავს, იტაცებს. მაგრამ ამ მიმართულებით მოყირ-
ქებულ პოეტს აღარც უს აკმაყოფილებს, აღარც ეს იზიდავს; მას ქა-
ლის არაჩვეულებრივი ვნებიანობის გამომხატველი მომენტები-ლა.

¹ ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XII.

იპყრობს. პოეტი ვნებააშლილი აღტაცებით ასე მიმართავს უინმო-
რეულ ახალგაზრდა ქალს:

მე მომწონს მხოლოდ შენი სიცილი,
ის ყმაწვილური გაკასკასება,
თან ცრემლების ღერა, თრთოლა, წივილი,
მხიარულებით სახის აესება.

პოეტი ხშირად თავდავიწყებამდეა გადავარდნილი ვნებიანობის
ქაოსში, ის ხშირად ვნებიანობა-ეშხში პოულობს ცხოვრების არსს.

ამიტომ, როცა მის შინაგან სამყაროში ერთგვარი ბრძოლა ხდება
„ჭკუასა და გულს“ შორის, გონიერებასა და მგრძნობელობას შორის,
ის, რა თქმა უნდა, უპირატესობას „გულს“ აძლევს. აი, როგორი დას-
კვნა გამოუტანია პოეტს ცხოვრებიდან და როგორ გამოუხატავს
„ლექსში“ „ჭკუა და გული“:

ჭკვასა თუ მიჰყვე — გული ცივდება,
სიცოცხლე ჰკარგავს მშვენიერებას,
წუთისოფელი მთლად მოგძულდება,
იციობ რა კარგად ქვეყნიერებას.

სამაგიეროდ, პოეტის გაგებითა და განცდით, „გულის მიყოლა
ხშირად გვააშებს, გვალხენს, გვამღერებს; მისი მონება დაგვიტკობს
დღეებს“, თუმცა გონება „მაშინ მკვდარია“.

ამიტომ ახალგაზრდის ტიპიურ და ბუნებრივ განცდებად მამია
გურიელს შიაჩნია — ვნებიანობის, ეშხის, ფიზიკური და ზოოლოგიუ-
რი გრძნობების მწველი, თავბრუდამსხმელი განცდები, ახალგაზრ-
დას ფიქრებიც კი, პოეტის გაგებით, მხოლოდ ასეთი გრძნობების
გარშემოა გაალებული. მამია გურიელი აი როგორ გადააშლევინებს,
ახალგაზრდა ქალი იქნება თუ ვაჟი, თავის შინაგან დამატყვევებელ
ფიქრებს:

ყმაწვილი ვარ, ლამაზი ვარ,
სიყვარულით გული ხტება,
როცა მარტოთ მარტო ვზივარ,
ფიქრში რალაც მელანდება!
კოხტა ვაყსა რომ შევხედები
სისხლი თავში მივარდება,
ავთროლდები, გაეწითლდები,
მეტის მეთად მიპყრობს ვნება.

მამია გურიელის შემოქმედება ამ მიმართულებით უფრო ვაჟის
განწყობილებას გვიხატავს. ცნობილია, ქალის კულტი ფეოდალურ

კლასში დიდი იყო, განსაკუთრებით მისი დეკადანსის პერიოდში, როცა ფეოდალურ კლასს აღარც საზოგადოებრივი სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა, აღარც საზოგადოებრივი როლი და აღარც რაინდული ასპარეზი და ჩასიათი. ის ვნებიანობის ეშშილა ჰკლავდა თავის დარღსაც, ნიჰსაც, ძალასაც და გრძნობასაც. ის ეშხით, ვნები-
თა და ქეიფით — ღვინით, ყანწით ავსებდა თავისი ცხოვრების სი-
ცარიელეს. ასეთ პირობებში ქალის კულტი, როგორც მისი ვნებაშ-
ლილობის დამკმაყოფილებელი, ერთადერთი საგანი იყო.

მამია გურიელს აქვს ქალებისადმი მრავალი მიძღვნა, რომლებ-
შიც ის გამოხატავს ვნებაშლილობის ტიპიურ განწყობილებას ქა-
ლისადმი, რაც ასე ახასიათებდა დარღვეული ფეოდალური კლასის
წარმომადგენელთ. მაგ., ლექსში „ე. ბ. ვ. ქალს“ (ელენე პავლეს ასულ
ვარლამოვას ქალს):

მარტო ვგლიჯარ ჩემს ოთახში,
ფიქრები შენ დაგტრიალებს.
რად გაქვს ბინა ამ ჩემს თავში?
შენი ხსოვნა რათ მანვალებს?

დავიძინე, სიზმრივ გბედავ!
ოჰ... რა რივად მეფერები,
მაგრამ თქმას კი ვერ გიბედავ,
რა მსურს, რისთვის ვიტანჯები.

ასეთივეა მიძღვნა — „ღ ე ს პ ი ნ ე გ უ რ ი ე ლ ი ს ქ ა ლ ს“:

ირველივ ცეცხლი მომიგზენ. გულს მკარ ისრის წვერია,
ნათლად მყავ. მაგრამ ვა, არა დამიჭერია,
ენამ დაღუმებულმა რა სთქვას შენი ფერია,
პირმთვარეო აღსავსევ, ბულბულისებრ მღერია!

ან კიდევ — „ი ვ ლ ი ტ ე ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ქ ა ლ ს“:

ივერიის მნათობო, ქვეყნად შექ-მომფინეო.
ვარდისაებრ ფურჩქნილო, თხოვნა მომისმინეო!
ლახვარს მასობ გულზედა, დამწვი, შემაძრწუნეო,
იადონთა სადარო, ტკბილად მოდიდინეო!

მაგრამ ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრების პირობებში, ფულის
ძალის ბატონობის გამო, ქალი შეიქმნა ვერაგი, დაუნდობელი. ის
ჰკარგავს ძველ რაინდულ სახეს, ქალურ თავდაჭერილობას. ისიც ან-
გარიანი ხდება, გულს და გრძნობას იმას უთმობს, ვისაც შეძლება
აქვს. დეკადანსის გზაზე დამდგარი კლასის წარმომადგენელი მამაკა-

ცი ხშირად ახალი ცხოვრების პირობებში დაჩაგრული, დამარცხებული გამოდის. ის თავის სურვილებს, უნის ვერ ისრულებს, ვინაიდან ახალი ცხოვრების პირობებში ის ხელსაყრელი აღარაა: მას ქონება თუ არ გამოსცლია ხელიდან, ეცლება მაინც, ის კარგავს მატერიალურ კეთილყოფას, ის ახალი ცხოვრების პირობებისათვის არაა შეიარაღებული არც ცოდნით, არც უნარით.

ამიტომ ის ახალი ცხოვრების პირობებში ადვილად იბნევა, კნინდება; კნინდება გონებრივადაც, ზნეობრივადაც და ფიზიკურადაც. ამიტომაც, რომ ის ადვილად მარცხდება, იძულებული ხდება სხვას დაუთმოს ყველგან და ყველაფერში. ამის გამო დეგრადაციის გზაზე მყოფი, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ახალგაზრდა, აშლილი ვნებიანობით ხშირად გაცრუებული, უპასუხოდ რჩებოდა კეკლუცი ქალების მხრით, რაც უფრო მეტად აღიზიანებდა, ადევნებდა და აშფოთებდა დამარცხებულ, ისედაც დაჩაივებულ ახალგაზრდას.

აი, ამით აიხსნება, რომ მამია გურიელს, მიუხედავად აღნიშნული ლტოლვილებისა ქალისადმი, ადრევე დაუკარგავს ქალებისადმი ნდობა. მალე, ადრე და მწვავედ განუცდია მას ქალების ანგარიშობა, ცბიერება და ღალატი, რაც მამია გურიელში გაძლიერდა მისი ცოლთან უსიამოვნების და განქორწინების შემდეგ.

მამია გურიელი დიდი უშუალობითა და სიმართლით გვიხატავს დეგრადაციის გზაზე ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა ყოფას, განსაკუთრებით, მამაკაცთა მხატე, დაცარიელებულ შინაგან ცხოვრებასა და დაჩაივებულ ნებისყოფას. თვითონაც მამია გურიელი პირადი ცხოვრებით ხომ ტიპიური გამომხატველია ასეთი ბუნებისა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ, პოეტის გაგებითა, რწმენითა და სიტყვებითაც, ქალი დაუნდობელია, ვერაგია, რომ მას არ შეიყვარებს, ის მაინც ვნებააშლილი, დაჩაივებული ლექსში „ე ქ ს პ რ ო მ ტ ი“ (ე. პ. ვ.-ს) ქალს ასე მიმართავს:

მაგრამ ვინც არ შეიყვარო,
მე მას ღავსჭი, დაეკლავ დანით,
ჩემის გულის ვასახარო,
გემსახურო მინდა ამით.

ასეთია მამია გურიელის პირადი განცდა, რაც აგრეთვე საკმარისი ნიჭიერებით ამჟღავნებს დამახასიათებელ განწყობილებას დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასის გზაკვალაბნეული წარმომადგენლის უიალქნო და დამჩაბებულ ბოჰემურ ბუნებას.

ამით აიხსნება, რომ, მიუხედავად ქალისადმი პოეტის სკეპტიკუ-

რი დამოკიდებულებისა, მამია გურიელი თავგატეხილი მაინც ასე მიმართავს ქალს:

მეფე რომ ვიყო, ვუფლობდე
სრულიად ცისა ქვეშეთსა,
უსაზღვრო ნებით ვსუფუვედე.
გიბატონებდი შენ ერთსა.

ღმერთი რომ ვიყო, ერთს წამზედ
სრულ ვპყოფდი ყოველს შენს ნებას,
შენ გაუფლებდი ზეცაზედ
და თვით გიწყებდი ვედრებას¹.

აქაც მამია გურიელი შკვეთრად და ტიპიურად გამოხატავს თავის ვნებიანობის ქაოსში მყოფის განწყობილებას.

ცხოვრებაში გზააბნეული, ყველასაგან და ყველგან გაცრუებული, დაქანცული, იმედდაკარგული მამია გურიელი ჰკარგავს სულიერ წონასწორობას, ცხოვრებაში დასაყრდენ ნიადაგს. ყველა და ყველაფერი მის შეგნებაში ჰკარგავს მიმზიდველობას. მოვიგონოთ ზემოთ მოტანილი მამიას სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი ჯაბას ცოლის ელეონორასადმი: „თუ ღმერთი გწამდეს, ელეონორა, შენ და შენ ქმარს გიყვარდეთ მაინც ყოველთვის, ნუ შემაძულებთ მთელს აღმდინობას, ნუ შემიყვანთ სრულს სასოწარკვეთილებაში“². რა შკვეთრად გვიხატავს მამიას, მართლაც, სასოწარკვეთილების განწყობილებას!

ასეთ პირობებში თვით პირადი სიცოცხლეც კი პოეტს არაფრად, უმიზნოდ და უნაყოფოდ მიაჩნდა. ამიტომ მან თავის დახრჩობაც კი გადაწყვიტა მდინარე რიონში, მაგრამ გადაარჩინეს.

ილაჯ და იმედდაკარგული მამია ლექსში „კითხვა“ ასეთი მწვავე კითხვით მიმართავს თავის თავს:

ნეტავ რა მინდა, რას ველოდები,
რად ღელავს სისხლი, გული რად ზღტება?
რადას ვუყურებ, რად არ მოეკვდები,
ნუ თუ სოფლისგან კვლავ რამ გარდმდება!
ბრძოლას, ტრფილას, ლოთობას, ლხენას
გარდაუხადე საკმაოდ ვალო,
ტანჯვას, ნაღველსა, შურსა და წყენას
ვიპე ვემსახურე მათაც მრავალო.

¹ მამია გურიელი, თხზულებანი, გვ. 75.

² ი. მეუნარგია, „მამია გურიელი (ფაზელი)“, გვ. XVIII—XXIX.

რაც მისგან მქონდა ვალად დებულ
სულ მიუებრუნე მოუკლებელად.
მხოლოდღა დამრჩა სული ტანჯული
სოფლის მწიკელისგან შეუხებელად¹.

იმედგაცრუებული, დაქანცული, უპერსპექტივოდ დარჩენილი პოეტი, რაც ასე დამაზახსიათებელი სტილური ნიშნებია რომანტიკოსი მწერლებისათვის, აჯამებს რა თავის ცხოვრების განვლილ გზაზე, ასეთი სიკეპტიციზმით აღსავსე „ანდერძს“ უტოვებს შემდგომ თაობას:

მე თუ მოკვდი, შენ დარჩები,
და ერთს რასმე გიანდერძებ,
სულ ნურავის ნუ ენდობი,
ნურც შეგობრებს სოფლად ეძებ!
ყველა სტუჟის, ყველა ფლიდობს,
თავის თავსა ემოყვრება,
ბედკრულისთვის არვინ სცდილობს,
სურსთ კი ჩვენი მოტყუება².

პოეტი ასე გააშიშვლებს ცხოვრების უარყოფით მხარეებს, კაცის ანგარიხს და მდაბალი გრძნობებით აღსავსე ბუნებას. ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, მისი „უთავბოლოებისა“ და „მოუწყობლობის“ მწვავე შეგრძნება, რასაც მამია ასეთი სიმკვეთრით განიხდის და გადმოგვცემს თავის ლექსებში, უდავოდ, მასზე ეპოქისა და თერგდალეულ მწერალთა გავლენით აიხსნება. თერგდალეულ მწერალთა გავლენა მამიაზე საგრძნობლად მოჩანს მთელ მის შემოქმედებაში, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ.

* * *

მამია გურიელის სევდა-ნაღველის ძირითადი წყარო როგორც ქვეყნის მხაგვრელ კოლონიურ პოლიტიკაში, ისე ფეოდალური კლასის დარღვევა-დაკნინებაშია და ამ წინადაგზე კერძოდ პირადად მის შევიწროებაში.

მამია გურიელისათვის მუდამ მძიმე და მტანჯველი იყო ის განცდა, რომ ის აღარაა „მპყრობელი გურიისა, ჩაქვ-აჭარისა“, რომ მას აღარ „აქვს ბათომი, ზომალდთ საფარი“ და „არც პალო-რკინისა, მაჩვენებელი ოსმალთ ზღვარისა“. აი, როგორ გვამცნობს პოეტი თა-

¹ „კითხვა“, თხზულებანი, გვ. 122.

² „ანდერძი“, იქვე, გვ. 223.

ვის ყრმობიდან შეჩვეულ მძიმე ტკივილს ლექსში „ფიქრი ყრმობისა“, რომელიც მას მიძღვნილი აქვს თავისი ბიძის პეტრე დადიანისადმი:

მე სახელ-გვარად,
ვინ იყო მთავრად,
მპყრობი გურიის, ჩაქე-აქარისა,
ვგავარ მას, მარა
არეინ მამთავრა,
არცა ვარ მეფე ზღვა-ლაშქარისა.

მამია გურიელი ამგვარი განწყობილებით, ეროვნული საკითხის განცდაში ეხმაურება ქართველ რომანტიკოსებს, განსაკუთრებით გრ. ორბელიანს. მაგრამ აგრეთვე მამია გურიელზე თავისი დრო, ეპოქაში გაბატონებული და თერგდალეულთა მიერ აქტიურად გაშლილი ეროვნულ-გამანათვისებელ ფრონტზე ბრძოლის ხმა თავის დიდ გავლენას ახდენს. მამია განიცდის რა თერგდალეულთა, განსაკუთრებით ილია-აკაკის, დიდ გავლენას, ასე ათავენს თავის ამ მოტივს ლექსს „ფიქრი ყრმობისა“, რომელიც ცენზორს აუქრძალია დასაბეჭდად და წარდგენილ კრებულში წითელი მეღვინით გადაუხაზავს.

პოეტი უკმაყოფილოა თავისიანების — გურულებისა, რომელიც მას აღარ სცნობენ პატრონად, რომელნიც სხვა „არწივსა დიდსა, მძორთა მიმზიდსა“ „პატრონად ხმობენ“. მაგრამ მას სწამს, რომ მოვა დრო, როდესაც ყრმები გამოიღვიძებენ, ახლანდელი თაობების საქმეები „შეარცხვენენ მათ, შეეზიზღებათ“ და ახალი ზრახვით აღიქურვებიან, მაშინ —

დაეანგულს ხრმლებსა,
ქართველთ ქვის კედელს
მიმოსძებნიან, კვლავ აიღებენ,
მტერს განსდევნიან,
ერთობის მღევნელს
და ძველსავე სახელს დაიმკვიდრებენ.
ეს მრწამს, ეს მჯერა,
გულს ვაძლევ ლხენას,
მსოფლიო საქმეთ მოწმათა ეშთები,
სიცილით ვუცქერ
ყოველს მოვლენას,
ვაზრობ კიდევაც, ბედს შევესწრები!.. I.

I იხ. ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი, ხელნაწერი კრებული.

ასეთივე მებრძოლი განწყობილების გამომხატველია მამია გურიელის ლექსი „ჩ ე მ ს ძ მ ა ს ჯ ა ბ ა ს“. პოეტი, მართალია, ერთგვარი შიშვე ტკივილის განცდით გრძნობს, რომ ყრმობის ფიქრები, მისწრაფებანი „ფუქად წარხდნენ“, იმათგან ხელში მათ, თითქმის აღარაფერი შერჩათ. მართალია, მათ თავიანთ მისწრაფებათა თანახმად „სამშობლოს ვერ სდეს სამსახური“, მაგრამ მამულისათვის ზრუნვა მათთვის მინც ცხოვრების მამოძრავებელი ძალა იყო და არის კიდევ. მამია ძმასთან ერთად მოძმეთა გასამხნეველად ასე მიმართავს მამულს:

აღსდევ, მამულო, აყვავდი ახლად,
გაშალე ძველებრ შორად ხელები,
სიციცხლე ჩვენი იხმარე ნამგლად
და ზედ აღზარდე უცხო გმირები..

დაგლოჯე ჭაქვი ეგ გრძელ ხნიანი,
შემოხვეული ქედზედ ნებისა,
გა ასპარეზზედ მახვილ ხმიანი,
შენ წინამძღოლო ჭაბუკებისა!

ძველის ერთობით, თავისუფლებით
ღროა, საყვირსა თამამად სცემდე,
და მაგ გმირულის შემძლე მკლავებით
სახელსა რწყვიდე კიდის-კიდემდე! ¹

მამია გურიელის ამგვარმა განწყობილების გამომხატვამ საგრძნობლად აახმაურა მაშინდელი ჩვენი მკითხველი საზოგადოება. მამია გურიელის ერთ-ერთი პატივისმცემელი არტემ ახნაზაროვი, „ორანი“-ს ფსევდონიმით გაზ „ივერიაში“ ათავსებს ვრცელ წერილს „ორიოდე სიტყვა თ. მამია გურიელის გარდაცვალების გამო“, რომელშიც ავტორი პოეტის შემოქმედების ძირითად მამოძრავებელ მიმართულებას ასე აფასებს: „დიდად განათლებული გული უნდა იყოს, რომ ერის საერთო ტკივილით მოიწყლას, ერის საერთო ჭირი და ვარამი აიცრას და არ იხადოს კი, ვიდრე თვით ერი არ იხდის ამ ჭირს, თან ატაროს პირშეუკვრელად ეს ჭრილობა და უტყვი ტანჯვა, უტყვი წამება ერისა მეტყველი ჰქმნას და ენა ჩაუდგას თავისის ნადველის, თავისის ვარამის საღალადებლად. ასეთის კაცის მოღვაწეობა, — სულ ერთია, — სიტყვით გამოიხატება თუ საქმით... — ღროშა უნდა იყოს და გონებაზე მოსული ერი მხარ და მხარ უნდა მისდევდეს ამ ღროშას, რათა სიტყვით სულჩადგმული უსხეულო სიყვარული ქვეყნის

¹ „ჩემს ძმას ჯაბას“, თხზულებანი, გვ. 67.

საქმით ხორციელად საქმნელად განაძლიეროს და დიდისა და პატარის გულს შთაუნერგოს“¹.

მამია გურიელის ასეთი ტყვიელი მებრძოლი განწყობილებებით— ეროვნული გრძნობა ნიჭიერად, დიდი სიმკვეთრითა და სიძლიერითაა გამოხატული მის მეტად პოპულარულ ლექსში „ჩემი ალავერდი“. მამია გურიელი ამ ლექსს არაჩვეულებრივი გატაცებითა და მსმენელზე დიდი მომხიბვლელი შთაბეჭდილების მოხდენით თურმე კითხულობდა სცენიდან.

ამ ლექსში მამია გურიელი მთლიანად დგება თერგდალეულთა მიერ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პოზიციასზე და მათი მხატვრული სტილის დიდ გავლენასაც განიცდის. ისიც თერგდალეულთა მსგავსად ირიბი ქარაგმებისა და ალეგორიების საშუალებებით გამოდის საბრძოლველად „სარიზმის“ გამანადგურებელი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. პოეტი ამ ლექსში თანამომძიებებს მედგრად მოუწოდებს: „კმარა, რაცა გვითმენია, აწკი ნულარ დაეყოვნებთ, — სხვებისთვის თუ გვიბრძოლნია, სამშობლოსთვის ვერ ვიომებთ? ვაჩვენოთ, რომ ქართველობა ჯერ სულ მთლად არ გათელილა, გაგვიგია ცრუ მოყვრობა, თმენის ჯაჭვიც გაწყვეტილა“. პოეტი თანამომძიებებს მოუწოდებს შესვან სამშობლოს დღეგრძელობისათვის. პატრიოტულ ექსტაზში მოსული პოეტი მოუწოდებს თანამომძიებებს დამონებულ, დაბეჩავებულ სამშობლოს — საქართველოს ასე მიმართონ:

აღსდეგ, გახდი კვლავ თავზედი;
არა რა არს უსამველო,
ყმაწვილებო, ალავერდი!
მოგვაგროვე, მტრებს გვაჯახე,
დებსენ იყოს რამოდენი;
გვაბრძოლე, ნუ დაგვაგლახე,
შეიწიე ჩვენი დღენი.
ნურას ჰკრთები, ჩვენ გვარგუნე,
რაცა იყოს გასაბედი;
დრო წარსული მოკვიბრუნე,
შემოგვძახე ალავერდი!

პოეტი თანამომძიებების სახელით სამშობლოს მტკიცე სიტყვას აღლევს და ფიცს სდებს მტკიცედ დარჩნენ თავიანთი ღირსებისა და მოვალეობის სიმალღეზე: „ფიცსა გაძლევეთ, არ გიმტყუნოთ შენ შვილთაგან არცა ერთმა; რაც გვიბრძანო, აღვისრულოთ“.

¹ ო რ ა ნ ი, „ორიოდე სიტყვა თ. მამია გურიელის გარდაცვალების გაიო“. „ივერია“, 1891 წ., № 165.

მაძია გურიელისათვის დამახასიათებელია. ყველა გრძნობაზე, თვით „სიცოცხლეზეც კი მეტად“ სამშობლოსადმი სიყვარული, რაც მკვეთრადაა გამოვლინებული მის ფანტაზიურ პოემაში „პოეტის და ჩვენება“. ჩვენების მოთხოვნაზე — პოეტმა შეპფიცოს მას, „რაც სიცოცხლეზე მეტად უყვარდეს“, რომ პოეტი ჩვენების მიერ მითითებული — მოძმეთადმი დახმარების გზით ივლის ამიერიდან, პოეტადილის ექსტაზით, გადამდები გრძნობით ასეთ ფიცს აძლევს მას:

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, ჭაჭვებით შეკრულს
და წითლად ნაღებს მისსა მიწებსა.
ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჯილს
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა;
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით დაღვრილს,
და მათსა აღმზრდელთ მანდილოსნებსა;
ვფიცავ მათსავე განთქმულსა სახელს,
საერთო მტრების შემაშიშარსა!..

პოეტი დიდი აღელვებით, აღფრთოვანებითა და მოწიწებით შეპფიცავს ჩვენებას ქართველი ისტორიული გმირების სახელით, რომელთაც, მისი გაგებით, საქართველოს შეუქმნეს „დიდება ცათ სხივ-ზომფენი“. პოეტისათვის ძველ საქართველოს თავისი დიადი წარსულით არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელი მიმზიდველობა, ის თითქოს, ეკზალტირებული გატაცებით მოძმეებს უფრო ამ ძველის დიდების აღდგენისათვის მოუწოდებს „ჩემს ალავერდში“:

დავიხოცნეთ იმ რწმუნებით,
რომ შემდეგში აღვადგინოთ
ჩვენი ძველი არსებობა,¹
გორგასლანის განაჰელი,
და რა დავსცეთ ბრძივი მტრები²
ვიღრიალოთ — ალავერდი!

აქ მაძია გურიელი, რა თქმა უნდა, გადადის ძველი დროის იდეალიზაციაში, რაშიც მტლავნდება მისი მსოფლმხედველობის ნათესაობა ქართველ რომანტიკოს მწერლებთან, განსაკუთრებით კი გრ. ორბელიანთან. პოეტი თავის ფიცს აგვირგვინებს ასეთი შურისმაძიებელი მწვავე გრძნობების გამოხატვით:

¹ ეს სტრიქონი ცენზორის მიერ ამოღებულია. იხ. ხელნაწერი კრებულში გურიელის ლექსებისა, ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი.

² ცენზორს შეუეცლია — ბრძივი მტრები — სიტყვებით — ბრძივი თათრები.

ეფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ ახდილს, ჯაჭვებით შეკრულს
და წითლად ნაღებს მისსა მიწებსა.
ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჭილს
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა;
მათ სისხლსა წმინდას, უხვევით დაღვრილს,
და მათსა აღმზრდელთ მანდილოსნებსა.

თვით ჩემს უკვდავ შურს მიუძინებელს,
საშვილისშვილოდ გარდასაცემსა,
ჯავრის ყრის სურვილის გამაცოფებელს,
ტივილთა გრძნობას მტრისგან ნაცემსა.
კვლავაც ვიფიცებ ჩემს სულის ლტოლვებს,
გრძნობათა ნდომებს, გიჟურ აზრებსა...¹

მამია გურიელი, წინააღმდეგ რომანტიკოსი მწერლებისა, ხოლო ილ. ჰავეკავაძისა და აკ. წერეთლის შესაბამისად, ფარ-ხმალს კი არ ყრის, უიშვანოდ წუწუნით კი არ ამთავრებს თავის შურამორეულ ფიცსა და მოწოდებას, არამედ მკითხველთ თუ მსმენელთ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. პოეტი ცდილობს მსმენელამდე დამაჯერებლად დაიყვანოს თავისი მოწოდების სიმართლე, აუცილებლობა და მოძმეთადმი ასეთ შთამაგონებელ დასკვნას გაუკეთებს თავის მოწოდებას „ჩემს ალავერდში“:

მენდეთ, ძმებო, სჯობს საბლები
მონებისა ჩვენ დავგლიჯოთ;
მამა-პაპათ საქმეები
მოვიგონოთ, მტრები ველიტოთ.

ვინც არ მოკვდეს წინამბრძოლად,
დაიხაროს მტრის წინ ქელი,
მას შეერთოს დედა ცოლად,
ჩვენ კი შევსოთ — ალავერდი!

ამ ბრძოლისადმი მოწოდებაში პატრიოტი პოეტის იმედის განწყობაც ძალუმადაა ჩაქსოვილი. ასე ესმოდათ მამიას პატრიოტულ მოტივით გამსჭვალული ლექსები მკითხველთაც. აი, გაზ. „ივერია“ ფართო მკითხველთა სახელით როგორ აფასებდა პოეტის შემოქმედებას: „რითი იყო ძვირფასი მამია? იმითი, — იქვე იძლევა რედაქცია (წერილი სარედაქციოა) პასუხს, — რომ მეტად უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა; იმითი, რომ მზად იყო წვეთ-წვეთობით დაეჭვებინა

¹ „პოეტი და ჩვენება“, თხზულებანი, გვ. 199.

მისთვის სისხლი; იმითი, რომ ტანჯვა და წამება მისთვის ღმერთად უნდა, ქორწილი ეგონა; იმითი, რომ მის მტერს, მისს ავის მთქმელს ზედ შეაკვდებოდა; იმითი, რომ მის სიკეთეს თავის საკუთარ ბედნიერებად სთვლიდა; იმითი, რომ მის უბედურებას ისე ჰგლოვობდა, როგორც არც ერთს მიჯნურს არ შეუძლიან იგლოვოს თავისი სატრფო“¹.

ასეთივე შეფასება მისცა მამია გურიელს დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მისმა თანამედროვე პოეტმა გრ. აბაშიძემ: „...თუმც „ვაი“ და ცრემლის მეტი მის ცხოვრებაში თითქმის არა მოუპოვებია, მაგრამ მისი მადლიანი არსება პირადის მწუხარებით არ შემკრთალა, არად შეუმჩნევია და სასოწარკვეთილებას არ მისცემია! მისი ცრემლი, მისი გოდება იყო მხოლოდ გამომსახველი საზოგადო მწუხარებისა, მისი ავ-კარგიანობისა. თავის ჩანგით იგი სახადეა მამულის იმედებს, რომლისადმი სასოება გულში განსვენებულს არ ამოუშლია...“²

* * *

თერგდალეული მწერლების გავლენა მამია გურიელზე მარტო ეროვნული მოტივის გაშლაში არ მოსჩანს. თერგდალეულთა მოწინავე მოქალაქეობრივი, დემოკრატიული იდეები, რაც ასე დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში მრავალი მიმართულებით განაყოფიერებული, მამია გურიელზეც მრავალმხრივ ახდენს სათანადო გავლენას. თერგდალეულთა მიერ შემოტანილი მოქალაქეობრივი მოტივები და პირველ რიგში ლიტერატურისადმი მოქალაქეობრივი მოვალეობის დასახვა მამია გურიელის შეგნებაშიც მძლავრად და შექრილი. ისიც, როგორც თერგდალეული მწერლები, პოეტის ღირსებასა და დანიშნულებას აფასებს მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით.

მამია გურიელი პოეტის დანიშნულებას შემდეგნაირად განსაზღვრავს თავის „ფანტაზიურ“ პოემაში „პოეტი და ჩვენება“, რომელშიც რომანტიკული სტილის ნიშნებით დაძველებული მამიას პოეტური შემოქმედება, თერგდალეულ მწერალთა გავლენით, ლამობს მათ თავი დააღწიოს და სინამდვილეს, თანადროულობას ეხმაუროს.

აი, ჩვენება როგორ განუმარტავს პოეტს მის დანიშნულებას, რასაც პოეტი, ერთგულად, მთელი არსებით უნდა ემსახურებოდეს:

1 გაზ. „ივერია“, „თავ. მამია გურიელი (ფაზელი)“, 1891 წ., № 164, გვ. 3.

2 „მწყემსი“, 1891 წ., № 14.

კარგ პიროვნებას, კვეთა შემკულსა,
გრძნობით მოძმეთა, კეშმარტ ერთგულს,
სამშობლოს თვისის უმჯობეს შვილსა,
ხალხი მტრობს, სდევნის, ეზიზღება, სძულს
მისთვის, რომ ის მათ არ ემსგავსება,
კეთილსა სცდილობს, ავსა აძაგებს,
ძალადობასაც წინ აღუდგება,
მხოლოდ სიმართლეს სოფლად დაქმებს.

ამიტომაც მამია პოეტს მოუწოდებს იბრძოლოს „ამა ქვეყნიერ სენთა“ წინააღმდეგ, რადგანაც, ჩვენების გაგებითა და რწმენით, პოეტი მაღალი ნიჰით იმითმამა დაჯილდოებული, რომ ის „წინა მებრძოლად“ იყოს ხალხისათვის. ჩვენება პოეტს მოვალეობას შემდეგნაირად უხატავს და შთააგონებს:

როგორც რომ მთვარე ღამის მოგზაურს
ბნელსა უნათებს, აჩვენებს გზასა;

როგორათაც მზე გაზაფხულსა
ფაქიზსა სხივებს უხვებით აფრქვევს, —
ეგრევე შენც უნდა ხალხისა ჰიერი
შემოიკრიბო, კისრადა იდო.

აღუხსნა უნდა ბრმებსა თვალები,
თვით-არსებობის ძეგლით შეამკო.

მართალია, პოეტს ამისათვის ბევრი უსიამოვნება, მტრობა და შური შეხვდება, მაგრამ მან შეგნებულად, მტკიცედ უნდა გააწიროს „სული ხალხისა მსხვერპლად, იტვირთოს მათთვის ტანჯვა და ცემა!“ პოეტის მოქალაქეობრივი დანიშნულების დასახეაშიც მამია გურიელი მტკიცედ დგას ილ. ჰავჭავაძისა და აკ. წერეთლის მიერ ჩვენს ლიტერატურაში განვითარებულ პოზიციასზე.

• • •

პოეტისა და პოეზიის დანიშნულების ასეთი გაგებიდან გამომდინარე მამია გურიელი, თერგდალეულთა გავლენით, ცდილობს თანადროულობას თვალლიდამ შეხედოს, სინამდვილესთან ახლო მივიდეს. მართალია, ის სინამდვილის მართებულად, სისწორით დანახვასა და შეფასებას ვერ ახერხებს, ხშირად ის სინამდვილეს ცალმხრივად ხედავს და ცალმხრივადვე აფასებს, მაგრამ ტენდენცია სინამდვილის გაგებისა პოეტის შემოქმედებაში მაინც აშკარაა.

თანადროულობის პოლიტიკური და სოციალური პირობებით შევიწროებული, შელახული და უქმაცოფილო პოეტი საკმარისად უარ-

ყოფითად ახასიათებს სინამდვილეს. მკითხველს რომ უფრო მკვეთრად აგრძნობინოს არსებული ცხოვრების მუხანათობა, მამია გურიელი ლექსში პოემიდან „რა შიღვარდანი-ოღლი“ იძლევა ცხოვრების გაგება-შეფასებას ადამიანის ორ პერიოდში, — ახალგაზრდობისას, როცა მას ცხოვრება თავისი სინამდვილით, რა თქმა უნდა, უარყოფითი სინამდვილით, ჯერ არ განუცდია, როცა ის ნამდვილად სალი და შეუბღალავი გრძნობებით უყურებს ცხოვრებას, მასში კარგი უნდა დაინახოს და მას ასევე აფასებს:

ჯერ უდარღელნი დავსეირნობდით,
ჩვენ ხალხსა ვრაცხდით რალაც წმინდებად,
რასაცა ვგრძნობდით, ყველას ვამცნობდით
იმავ საათში დაუყოვნებლად!
ქვეყანა გვიჩნდა მაშინ, სამოთხედ,
კაცები მისად ანგელოსებად;
ქალები გვწამდა ღმერთად მეოთხედ
არ ეხლანდელად ჩვენ მეგობრებად¹.

ესლა კი, როცა ცხოვრებამ პოეტი დასუსხა, ნათელი ფერადი წარმოდგენები გაუქარწყლა, პოეტის გამოცდილ თვალს სულ სხვანაირად ეხატება ადამიანიცა და ცხოვრებაც. ესლა მწარე გრძნობებით აღვსილი, ბოღმამორეული პოეტი სულ სხვა თვალით უყურებს ხალხსაც, ცხოვრებასაც, სულ სხვანაირად აფასებს მათ. ის ასე გადმოგვცემს თავის განცდებს:

ვეტრფილებით, გვიყვარს მტერები,
ერთი-ერთმანეთს ორმოსა ვუთხრით:
თუ ჩაგვიცვივდა ხელში მოძმები,
შეუბრალებლად ტყავებსაც დავხდით!
ვინც გვეტყვის — ჩვენი ყოფა-ცხოვრება
ადამიანის ღირსებასა სერის,
ექნება სულელს 'მისი მხნეობა,
დაბლა მიწამდის თავს არ დაგვიხრის,
მას დავანახებთ, რომ თავხედობას
ჩვენს ახალგაზრდებს არ დავანებებთ:

ვასმენთ მთავრობას, ვგზავნით „დანოსებს“
არაფრით ვზოგავთ, ოღონდ რამ ვაენოთ;
მრავალს ვიგონებთ მათზე ტყვილებსა,
გესურს რა სიბირში მალე გავგზავნოთ!

¹ პოემიდან „რაშიღვარდანი-ოღლი“, თხზულებანი, გვ. 116.

მართლა სიბირსაც დაიმსახურებს,
კონც ფიქრობს ჩვენსა გამოღვიძებას;
ის სხვაგან ჭფრინავს, აქ არ გვიყურებს.
შორს წაულია თავის ოცნებას!

აქ პოეტი სინამდვილის მკაცრი გამჭიქებელია. ის, როგორც ადამიანთა გარკვეული წრის ყალბ ურთიერთობის განწყობილებას, მართალია, მკაცრ, მაგრამ მაინც რეალურ ფერებში იძლევა, ისე პოლიტიკურ მდგომარეობასაც, ხელისუფლების მიერ რეტროგრადული პოლიტიკის წარმოებასაც გაბედულად ურტყამს.

ადამიანებსა და მათ შორის ურთიერთობას მამია გურიელი პოეტის პირით უფრო მკაცრ ფერებში ახასიათებს, „ფანტაზურ“ პოემაში—„პოეტი და ჩვენება“. ჩვენების მოწოდებაზე: პოეტმა ხალხისთვის უნდა იზრუნოს, ეს უნდა იყოს მისი ცხოვრების არსი, პოეტი სარკასტული ტონით შეეპასუხება ჩვენებას, რომ უიმიოდაც ხალხს „შეტად მრავალი მომვლელი, მცველი და პატრონი ჰყავს“.

აბა ლაშქარი მოსარჩლეების
გველივით ბრძენნი, ენა-ჭრელები,
უკან მიმდევნი მათ საქმების,
როგორც მოგზაურს მგზიბებო;
პატრიოტები, გმირნი ლაქლაქით,
თბილ სოროების მომნახელები,
საპირო დროზედ სიტყვით და საქმით
მხნედ მეომარნი, სწორედ კურდღლები! 2

პოეტის სწორი გაგებით, ასეთი „მესვეურების“ ხელში, მათი ზეგავლენით ცხოვრება ირყენება, კნინდება, აუტანელი და მიუღებელი ხდება.

ესრედ იშვება. ესრედ წარწყმდება
ათასობითა ამ სოფლად ნიჭი
და მათ ღიღებულს ნამუშევარსა,
მზრის აღმამალებს, დაუვიწყარსა,
ჰქექს, ტალახში სვრის ვიღაცა ბიჭი.
ბიჭი. რომელიც მართო მუცელსა
სცნობს, სიბნელესა თავს აფარვინებს,
არაფრისათვის ის არ ღვრის ცრემლსა,
თვით ქურდობს, სხვებსაც მოაპარვინებს,
ოდონდ სტომაჭი თვისი გააძღოს.

1 პოემიდან „რამიდ ვარდან-ოღლი“, თხზულება-ნი, გვ. 118—119.

2 „პოეტი და ჩვენება“, იქვე. გვ. 202—203.

ზოგი აცდუნოს, ზოგი გაცარცოს,
ზნეობა მოჰკლას მასხარობაში,
ყველა ასმინოს, ყველასა ავნოს,
თუ მოახერხა, ყველა დაკარგოს,
დღენი დალიოს ჯაშუშობაში!

მართალია, მამია გურიელი ცხოვრებას ცალმხრივ ხედავს, მხოლოდ მის უარყოფით მხარეებს ამჩნევს, მაგრამ ცხოვრების ეს მხარეც ხომ სინამდვილე იყო. მაღალი მისწრაფების პოეტი აღშფოთებულია ცხოვრების ასეთი ყალბი, მავნე მიმართულებით და მოუჩინებელივ, მასთან შეუთრეგებელი არ ზოგავს არც ძალას, არც შხამს გამოავლინოს მისი უმსგავსობა, მისი ადამიანისათვის შეუფერებლობა.

მამია გურიელს თავის ცხოვრების გზაზე სხვადასხვა წრისა და მიმართულების ადამიანებთან მოუხდა უშუალო ურთიერთობა. ნიადაგშერყეულმა გულწრფელმა პოეტმა უკუღმართობა, უსამართლობა, სიყალბე ნახა, რომელთაც ის ვერ ურიგდებოდა.

განცდილმა მამია გურიელს მწარე ბევრი დააღუეინა, იმედები გაუცრუვა, ნიადაგი დააკარგვინა, დააჩივავა. გულდაკოდილს, ცხოვრებისაგან ნაძენძს, დაქანცულს, შეშფოთებულს პოეტს თავისი პოზიციებიდან უარყოფითი დასკვნა გამოაქვს მთლიანი ცხოვრების რაობის შესახებ. პოეტი თავის წმინდა ვალად მიიჩნევს თავისი მწარე გამოცდილებიდან გაბატონებული პირუთვნელი შეფასება ყურადსაღებად გადასცეს თანამოძმეებს. ლექსში „რ ჩ ე ვ ა-დ ა რ ი გ ე ბ ა“ პოეტი მათ ასე მიმართავს:

ნუ დაუჭერებთ ჩინოვნიკს
მამულის ერთგულებასა,
ნურც ნაბიჭვესა, ნათრევსა,
ხელთ ლოკვის დავიწყებასა².

ნუ დაუჭერებთ ქურდებსა
პარვისა შეძლებასა,
მეჭრთამეთ — პატიონებას,
მრეწველთა — უტყუერობასა.

ნუ დაუჭერებთ ორგულთა
მოყვრობას, შეთვისებასა,
მტერთა — მეგობრად გარდაქმნას,
სულელთ — გაჰკვიანებასა.

¹ „პოეტი და ჩვენება“, თხზულებანი, გვ. 206 — 207.

² ეს სტროფები ცენზორის მიერ არ იყო ნებადართული, გადახაზულია. იხ. კირ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ კრებულში (ქუთაისის მუზეუმი).

ნუ გჯერათ მოსამართლების
საქმეში გაუდრეკლობა,
ნურც დინჯად ჯდომა, გაბუტვა,
ოქრო-ვერცხლისა მტერობა¹.

გჯეროდეს მღვდელთა სიბილწე
გაუმადლობა, ხარბობა
უკაცურობა, უღრმობა
საზიზღი ფარისევლობა¹.

გჯეროდეთ ხელისუფალთა
მტარეალობა და მტერობა
მძულვარეობა ხალხისა,
ბარბაროსული მკვლელობა.

ხვეჭა, ცარცვა და მგლურათა
ხელქევეშით წნეხა, დევნანი,
ღვთად გახდა ბრიყვის თავისა,
ჯიბეთა გამოტენანი².

ასეთი რჩევით პოეტი მკითხველს აფრთხილებს ფხიზლად იყოს, რადგანაც ყველა ესენი აკეთებენ წინააღმდეგ იმისა, რაც უნდა გააკეთოს კაცმა — მოქალაქემ.

ასეა გაკიცხული, თუ ნათელზე გამოტანილი, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ძირითადი პროფესიის ადამიანების — ვაჭრების, ადვოკატების, ღენერლების, მმართველების, მღვდლების, დიპლომატებისა და სხვათა უსირცხვობა, გამცემლობა, გამყიდველობა, — „ხვეჭა, ცარცვა და მგლურათა ხელქევეშით წნეხა, დევნანი, ღვთად გახდა ბრიყვის თავისა, ჯიბეთა გამოტენანი“ — შწარედ გოდებს ნახულით შეძრწუნებული პოეტი. აი, სწორედ საზოგადოების ეს უდიდესი ნაწილი, პოეტის გაგებით მტრობს, სდევნის, ზიზღით, სიძულვილით ეკიდება სამშობლოს უმჯობეს შვილს — „კარგ პიროვნებას, ჭკუით შემკულსა, გრძნობით მოძმეთა ჭეშმარიტ ერთგულს“, ვინაიდან ეს უკანასკნელი მათ არ ემსგავსება,

კეთილსა ცდილობს. აესა აძაგებს,
ძალადობასაც წინ აღუდგება,
მხოლოდ სიშარტლეს სოფლად დაქცებს³.

მამია გურიელს განსაკუთრებით ნიშანში ჰყავს ამოღებული ვაჭ-

¹ ეს სტროფები ცენზორის მიერ არ იყო ნებადართული, გადახაზულია. იხ. კირ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ კრებულში (ქუთაისის მუზეუმი).

² „რჩევა და დარიგება“, თხზულებანი, გვ. 243 — 245.

³ „ჩვენება“, იქვე, გვ. 162.

რები, და ეს მისთვის ბუნებრივიც არის. დარღვეული ფეოდალური კლასი, რომლის ფსიქოიდეოლოგიის მკვეთრი გამომხატველიცაა მამია გურიელი, ვაჭარში ხედავდა თავის დამლუპველს, ძირის გამომთხრელს. მამია გურიელი კარგად ხედავდა, რომ ცხოვრების ასპარეზზე ბატონდებიან ვაჭრები — ფულიანები და იქიდან დაუნდობლად ერეკებიან ფეოდალურ კლასს, განსაკუთრებით ფეოდალურ არისტოკრატიას; ისინი უკანასკნელთა ადგილს „ვერაგულად“ იჭერენ. ეს გარემოება ფეოდალურ კლასში ვაჭრებისადმი უარყოფით, მტრულ განწყობილებას იწვევდა, თუმცა ფეოდალური არისტოკრატია, ვაჭრებს ზევიდან დაჰყურებდა, მაგრამ უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია მათთვის და თანდათან უილაჯო, ბოლმით სავსე უთმობდა მათ ცხოვრების მმართველ გზას.

მამია გურიელი თავის განწყობილებასა და შეხედულების ჩვენებას, ამ უმაღლესი ზნეობის განსახიერებას, როდესაც ის საყვედურით მიმართავს პოეტს, ხალხის ზრუნვაზე უარი რომ უნდა სთქვას, ვაჭრების ასეთ დახასიათებას წარმოათქმევინებს:

თუ მრეწველივით შენც გინდა ადლით
მიჰყიდო ხალხსა დამპალი ჩითი,
ანუ წყლიანი ღვინო ხელადით
შემოაპარო, ივაჭრო მითი?

მყველფავი ხასიათი ვაჭრებისა და საერთოდ უარყოფელი დამოკიდებულება მათდამი, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარებისადმი მამია გურიელს გამოვლინებული აქვს სხვა ლექსებშიც. რა თქმა უნდა, მამია გურიელი სათანადოდ ვერ აფასებს ბურჟუაზიის განვითარებისა და გაძლიერების მნიშვნელობას. ვაჭარს, ბურჟუას ის ხედავს და აფასებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ბურჟუა-ვაჭარი ავიწროებს, აღარიბებს, ნიადაგს უკარგავს ფეოდალურ კლასს, არღვევს ძველ მეურნეობას, ლამობს ქვეყნის ცხოვრება წაიყვანოს ახალი, თავისი გზით. ამიტომ მამია გურიელი, ვაჭარს აკრიტიკებს, მის მგლურ ბუნებას აშიშვლებს არა მარტო როგორც ფეოდალური კლასის მოწინააღმდეგეს, არამედ აგრეთვე ღარიბთა — გლეხთა ურცხვად მყველფელსაც.

ლექსში „ქობულეთური ყანის სიმღერა“ მამია გურიელი შელახული და შევიწროებული, როგორც კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლების — მოხელეების მიერ, ისე ვაჭრებისა, თანაგრძნობას უცხადებს მათგან საექსპლოატაციო საგნად გამზდარ გლეხობას და საქმარისად მუქ ფერებში გვაძლევს გლეხობის შევიწროებას ვაჭრებისა და „ჩინოვნიკების“ მიერ.

აი როგორ ახასიათებინებს გლახობას ვაჟრებს, რომელნიც, მართლაც, გაუმაძღარ წურბელასავეთ მოჰკიდებოდნენ მის ჭან-ლონეს:

ყველა ჩვენ გემარცვაეს საწყლებსა
ალა, მუღირი; „ვალიო“.
რაც რამ გაგვაჩნდა, დაჰყიდეს,
დაგველო კვლავაც ვალიო! ¹

ასევეა, თუ უფრო მეტად არა, გლახი შევიწროებული „ჩინოვნიკებისაგან“:

ჩიბუხი როცა მოესწიეთ,
იქ გაჩნდა ჩინოვნიკი,
ის ურცხვი კია ნეხვისა,
უპირწყლო, ვილაც ბრიყვიო ².
თუ რამ დავლაეთ ქციზია!
ვიყიდეთ ბაჟი-ბუეიო!
ისრე დაგვეუწუნეს. დაგვეალეს,
ვერ დაგვაძლება ბუზიო ³.

მამია გურიელი, როგორც მისი ეპოქისათვის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისათვის იყო დამახასიათებელი 60-იანი წლებიდან, ესარჩლება გლახს, როგორც დაჩაგრულს, დაბეჩავებულს. მამია გურიელის დახატვით, როგორც თერგდალეული მწერლების გაგებითაც, გლახი მშრომელია, გაუტეხელი; ის შრომაში პოულობს დაკმაყოფილებას, ძალას; შრომას არ გაურბის, თავის „უღვთოდ ჩაგვრას“, ექსპლოატაციას უჩივის, ეწინააღმდეგება. უილაჯო გლახი, მამიას გაგებით, თავის სიმღერაშიაც კი ღმერთს იმასა სთხოვს „გადაგვარჩინე მუღირსო, მაგ ჩვენს დამჩაგვრელს, დამწიხველს, გაუმაძღარსა დიდ ვირსო“ ⁴.

• • •

მიუხედავად ყოველი მხრიდან მოწოლილი მრავალი შევიწროებისა, მარცხისა, უსიამოვნებისა, რამაც მამია გურიელი დაქანცა, დააძაბუნა, შეიძლება ითქვას, გააცამტვერა, მისთვის მაინც როგორც

¹ „ქობულეთური ყანის სიმღერა“, იქვე, გვ. 228.

² ეს სტროფი მოგვაქვს კირ. ლორთქიფანიძის მიერ ცენზურაში წარდგენილი ხელნაწერი კრებულიდან, რადგანაც დაბეჭდილი ცენზორის მიერ შეკვეცილია, გადაკეთებული და დამახინჯებული.

³ „ქობულეთური ყანის სიმღერა“, გვ. 228.

⁴ კირ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ კრებულში ცენზურის მიერ ეს სიტყვები ამოღებულია.

ცხოვრებაში, ისე პოეტურ შემოქმედებაშიც დამახასიათებელია ერთგვარი, რა თქმა უნდა, თავისი გაგებით, სურვილი შეინარჩუნოს პირადი თავმოყვარეობა, პირადი ფიზიონომია. ეს განწყობილება პოეტში მტკიცდებოდა დროდრო, ხოლო განსაკუთრებით კი მისი სცენიდან კითხვის დროს თავისი შემოქმედებისა, როდესაც მისი ნიჭი მკაფიოდ, შეიძლება ითქვას, მიმზიდველად გამოვლინდებოდა ხოლმე.

მამია გურიელს ამ ნიადაგზე ბოლომდე შერჩა მაღალი წარმოდგენა ადამიანზე, მის პიროვნებაზე, მის მოვალეობაზე. სამართლიანი იყო დათიკო ვერმიცანაშვილი, რომელმაც მამია გურიელის პანაშვილზე ქუთაისში პოეტის ერთ-ერთ დიდ დამსახურებადა და ღირსებად აღნიშნა ისიც, რომ „ის (მამია გურიელი. — მ. ზ.) იყო არა მარტო მამულიშვილობის მქადაგებელი, არამედ ადამიანობისაც, კაცურის კაცობისაც. იმისი ნაღველით სავსე ლექსები მამულისშვილობასთან ერთად ადამიანობასაც გვასწავლის“¹.

მართლაც, მამია გურიელის ლექსების ყურადღებით გადაკითხვა მკითხველს ადვილად არწმუნებს, რომ მათ წითელ ზოლსავით გასდევს პოეტის ჰუმანური განწყობილება, მაღალი წარმოდგენა ადამიანზე. პოეტის გაგებით, არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია თავის თავს თამამად ადამიანი დაუძახოს. ასეთი ადამიანი, პოეტის დახატვით, გონიერია, ნიჭიერი, მაღალი ზნეობის მატარებელი; ის საზოგადოებისათვის მუდამ კეთილის მსურველია და კეთილის სარგებლობის მომტანიც. მაგრამ, პოეტის გამოცდილებით, დაკვირვებით, მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი ადამიანები უარყოფილნი არიან. ასეთ ადამიანებს ანგარებით აღსავსე საზოგადოებას უმრავლესობა არა და ვერ აფასებს, ვინაიდან საზოგადოების უმრავლესობა „ბრიყვია, უმადურია“, მას არა რა სწამს, რაც სხვისადმი კეთილის გაკეთებას მოითხოვს, „მისი სჯულია ანგარება“.

თუ რატომ სდევნის საზოგადოება ამისთანა ადამიანებს, რატომ მტრობს მათ, მამია გურიელი არაერთგზის მოუხრიდებლად ხსნის ამ გარემოებას, რითაც ის თავის მაღალ ჰუმანურ, საზოგადოებრივ განწყობილებას ააშკარავებს. ასეთ ნამდვილ ადამიანებს, პოეტის გაგებით, საზოგადოების უმრავლესობა იმიტომ სდევნის, რომ ის მათ არ ემსგავსება... „ძალადობას წინ აღუდგება“, „სიმართლეს დაეძებს“, მაშინ, როდესაც უმრავლესობას უნდა „პირმოთნეობა, თავის დახრა, ტყუილი, ფული; მას სწყლავს მეორის უმჯობესობა, შურით გავსილი აქვს იმას სული“ („ჩვენება“).

¹ ი. ნ-ლი, „მამია გურიელის გარდაცვალების გამო“ (წერილი ქუთაისიდან), „ივერია“, 1891 წ., 3 აგვ., № 164.

მიუხედავად ასეთი გარემოებისა, პოეტის გაგებით, ნიჭიერი, გონიერი კაცი მაინც უნდა დარჩეს სიმართლის გამტარებლად და „წინა მებრძოლად“. პოეტი გარკვევით და მტკიცედ ეუბნება ასეთ კაცს:

რადღენ ნიჭი გაქვსთ მომეტებულო,
იმდენ უმეტეს მოგთხოვს მამული
და არა ხალხის ¹ თქვენ თანასწორად 2.

მამია გურიელის რწმუნებით, ადამიანი, ამ სიტყვის სრული გაგებით, ასე უნდა მოიქცეს, იმიტომ, რომ ისტორია — „წიგნი მოთხრობის“ ბრბოს, ე. ი. საზოგადოების უმრავლესობას კი მიუტევენ ავსაქციელს, მაგრამ ნიჭიერ, ე. ი. ნამდვილ კაცს კი — არა. ამიტომ ის გამუდმებით ხალხზე ზრუნვაში უნდა იყოს. ნიჭიერ-ნამდვილ ადამიანს პოეტი ასე მიმართავს იმავე ლექსში:

და შენის სისხლით მათი ტანჯვები
მორეცხო, სრულად გაასპეტაკო,
აღუხსნა უნდა ბრმებსა თვალები,
თვით არსებობის ძეგლით შეამკო!

პოეტის მოღვაწეობის ასეთ შეფასებას ადასტურებს გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი, როდესაც მამია გურიელს შემდეგ დახასიათებას აძლევს: „მამია ვისაც კი შეამჩნევდა ადამიანობის ნიშანწყალს და, ხედავდა რა გარშემო დიდს სულით დაცემას, „ჩვენსა წამხდარს გმირობას“, ხედავდა რა საქმის გაკეთების მაგიერ დაბრკოლება-სიძნელის წინააღმდეგ პირდაპირ მებრძოლების ნაცვლად, გარშემო ყველა რალაც მიზეზებს იხვევდნენ ხელზედ... იმით უნდოდათ ვითომ თავიანთ ჩივილობა, გულის სინამცეცე და ლაჩრობა-სიმხდალე გაელამაზებინათ, ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, ცდილობდა თავი დაეიწყებინათვის მიეცა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა და მორალისტის კილოთი ჰქადაგებდა ისევ იმ მოძღვრებას, რომელიც უარყოფს კომპრომისს“ ³.

მაღალი წარმოდგენა ადამიანზე, მის მტკიცე ხასიათზე, მის განუხრელ კეთილ მიმართულებაზე მამია გურიელმა საკმარისი სიმკვეთრით, დიდი ჰუმანურობით გამოხატა ლექსში „ადამიანი“. „ვისაც წაუკითხავს და მოუხმენია, — სთქვა დ. ვერმიცანაშვილმა პოეტის პანაშვილზე ქუთაისში, — მისი „ალავერდი“ და „შოშია“,

¹ ცნება „ხალხი“ მამია გურიელს აქ ესმის, როგორც საზოგადოების უმრავლესობა.

² „ჩვენება“, თხზულებანი, გვ. 162.

³ „თავ. მამია გურიელი (ფაზელი)“, გაზ. „ივერია“. 1891 წ. 3 აგვ. № 164.

იმას, ალბათ, იმისი „ადამიანიც“ წაეკითხება, მოესმინება, რომელ-
შიც პოეტი გვეუბნება „ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს...“
ძალუმი სიტყვებია ეს სიტყვები და მასთან ზედ გამოჭრილი და შეუ-
ფერებელია ჩვენს აწინდელს გაუკუღმართებულ ცხოვრებასთან¹.

მართლაც, მამია გურიელის ლექსი „ადამიანი“ მეტად საგულის-
ხმოა. ამ ლექსს ავტორი აჰყავს მაღალ ეთიკურ სიმბოლურზე. გა-
რემოებისაგან უსაზღვროდ შეზღუდული, გზაარეული მამია, მაინც
დამაჯერებელი რწმენით, მკითხველთა შთაგონების მიზნით, იძახის,
რომ ადამიანმა არც დიდ გაჭირვება-სიღარიბეში, ბედის სიმუხთლეში
და არც დიდ ბედნიერებაში, კმაყოფილებაში, არც დაცემაში და არც
ამაღლებაში არ უნდა დაჰკარგოს წონასწორობა, არ უნდა უღალა-
ტოს აღებულ სამართლის გზას — თავის მოვალეობას; როგორ გარე-
მოებაშიც არ მოუხდეს ცხოვრება, მას არასოდეს არ უნდა დაავიწყ-
დეს, რომ ყველგან, ყოველ გარემოებაში ის მხოლოდ ადამიანია. ეს
შეგნება, როგორც წამყვანი ძალა, ისე უნდა მიუძღოდეს მას: მამია,
კარგისა და ავის, სასიამოვნო და სამწუხარო განცდებში, დაცემა-
აძაღლების ქართველში გამოვლილი, გამობრძმედილი, გაუტეხელი
ასე მიმართავს მკითხველს:

ოყავი ტურფა, იყავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჰკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი².

გარემოებამ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრების რაც უნდა
უმალღეს საფეხურზე აიყვანოს, აღკუთრვოს უსაზღვრო ძალაუფლე-
ბით, დოვლათით, მას მაინც გამუღმებით უნდა ახსოვდეს, რომ ის
მხოლოდ ადამიანია:

შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება.
ხელმწიფედ დაგსვა, გქმნა სრულ სვიანი?
მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი³.

ან შესაძლებელია, პირიქით, ბედმა უმუხთლა კაცს, „საითაც
გაიქცა, იქით წაიქცა“, ბედმა დასცა, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო,
ის მაინც არ უნდა დაეცეს, უნდა გამაგრდეს, მტკიცედ შეებრძოლოს

¹ ი. ნ.-ლი. „თ. მამია გურიელის გარდაცვალების გამო“ (წერილი ქუთაისიდან)
„ივერია“, 1891 წ., 3 აგვ., № 164.

² „ადამიანი“, თხზულებანი, გვ. 53.

³ ი ქ გ ე.

გარემოებას და გამუდმებით ახსოვდეს, რომ ის ადამიანია და უნდა იცხოვროს, როგორც ადამიანს შეეფერება.

მაშია გურიელი ურყევი და გამამხნევებელი კილოთი მოუწოდებს კაცს, რომ იგი არ დაადგეს კომპრომისს, არ დაუთმოს უკუღმართ ცხოვრებას ჭიდილში. პოეტმა კარგად იცის, რომ ერთ დათმობას მოსდევს მეორე და ასე, კაცი თუ ფხიზლად არა დგას თავისი ეთიკის სადარაჯოზე, შეუმჩნევლად დაეშვება ცხოვრების დაღმართზე.

მოვეუსმინოთ პოეტს როგორი სიმტკიცით აფრთხილებს და ამხნევენს მკითხველს:

დაე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმაჰაც მოგცეს ზიანი,
თვით ნუ იცვლები მოვა ღრობა,
გაცნობენ, რომ ხარ ადამიანი¹.

ასეთი გამამხნევებელი ჰუმანური ხმა პოეტისა იზიდავდა მკითხველთა ფართო წრეს პოეტის მძიმე უდროობის ხანაში. პოეტის შემოქმედებიდან ძალუმაღ ისმის გამამხნევებელი ხმა: ნუ ავყვებით გარემოებას, ნუ დავემორჩილებით მას, ნუ შევიცვლებით ჩვენც გარემოების მიხედვით, ჩავიდგათ მტკიცე, მხნე სული ნამდვილი ადამიანისა, შევებრძოლოთ ყოველ დაბრკოლებას, შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ადამიანისა — მოქალაქისა, ვეძიოთ სიმართლე და მივაღწიოთ ბედნიერი ცხოვრების პირობებს, როგორც ამას ნატრობს პოეტი:

ბუღბული სტვენით ჩამაბდეს მარად,
რაც გულისათვის უფრო ტკბილია,
რომ მთელ კავკასიში მტკიცედ და მყარად
კეთილდღეობა დადგენილია.
და გრგვინვა ფაზის, მარადის მწყრალის,
მიღუღუნებდეს ხმას საამურსა,
რომ ორთავ სქესის, კაცის და ქალის,
გული ერთგულებს ჩვენსა მამულსა;
რომ შეფობს მხოლოდ საერთო სჯული;
საერთო ნება — ეს ორნი თანხმად;
რომ კარგ სამართალს ქვეშ ყოველი სული
ლაპარაკობენ, სწერენ თამამად;
რომ კარგ სამართალს ქვეშ ყოველი სული
პლანტაციებად გარდაქცეულან,
და უვარჯისი გორები, მთები.
თვით უმჯობესის ყურძნით შემკულან:

¹ „ადამიანი“, თხზულებანი, გვ. 53.

რომ ფაბრიკები და მაშინები
დაუთვლელია ყოველ სოფელში;

მეზიკა, მღერა სხვა და სხვა ხმაზე
და თეატრები ხალხს აამებენ¹.

პოეტს მომავლის, ბედნიერი მომავლის სახე ფართოდა აქვს წარმოდგენილი. ის არაა არსებულით კმაყოფილი და ხაზგასმით აღნიშნავს რა ამას, ასე მიმართავს თავის მკითხველებს:

მე სულ სხვა მინდა სანახავეები:
მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,
დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,
მხოლოდ უფლებებს თვისას ჰგალობდეს.

მეგობრობასა. ძმობას, ერთობას
უშიშრად მაღლად განაცხადებდენ,
და სიყვარულსა, ამ წმინდა გრძნობას,
მოუფიქრებლად არ აძაგებდენ².

აი ასეთია „სნეული“ პოეტის ფართო საზოგადოებრივი ზრახვები. ასეთია ქვეყნის დემოკრატიულ საფუძვლებზე აყვავების მომავალი სურათი. აი აქეთკენ მიისწრაფვოდა მამია გურიელის გრძნობა და გონება, აქეთკენ მოუწოდებდა თავის მკითხველთ და მსმენელთ პოეტი. აი ეს განწყობილებათა სამართლიანობის ძიებისა და მიღწევებისა მამია გურიელს რომ აახლოვებდა მკითხველთა მასებთან და ახლაც რომ გვეხმაურება.

* * *

მამია გურიელი საგრძნობი ხალისით მისდევდა უცხო მწერალთა შემოქმედებიდან თარგმნასაც. ის ხშირად ისეთი მწერლის ნაწარმოებთ თარგმნიდა, რომლებიც მის შეშფოთებულ და დაუკმაყოფილებელ განწყობილებას, მის შინაგან მღრღნელ ტკივილებს შეეფერებოდა, ესიტყვებოდა. მაგ.: „ებრაული მელოდია“, „ბაირონის გიაურიდამ“ და სხვ. (ბაირონი), „ირლანდიულის მელოდიებისაგან“ (თომპს მური), „დემონი“ (ლერმონტოვი), „ილიადა“ — საგრძნობი ნაწილი (პომეროსი), „გრაფი სოლოგუბის ალავერდი“ (სოლოგუბი) და სხვ.

მამიას ძალიან უყვარდა სცენიდან კითხვა „ბ ა ი რ ო ნ ი ს გ ი ა უ-

¹ „ნატრა“, თხზულებანი, გვ. 216—217.

² „სნეული“, იქვე, გვ. 49.

რიდამ“ და ლერმონტოვის „დემონისა“. გიაურის, განსაკუთრებით კი „სულით შეწუხებულ, ზეცილამ ცოდვილს მიწაზე წყრომით გადმოგდებულ“ დემონის განცდებში, „უმინზოდ, უნავოსაყულლოდ“ ბორგვაში, მამია გურიელი თავისი განწყობილების განსახიერებას გრძნობდა და ზედავდა.

მამია გურიელს თავისი თარგმნილი „დემონი“ მოუთავსებია ჟურნალ „კრებულში“ 1872 წ. № 6-7. „კრებულში“ მოთავსებულია რეცენზია ვინმე ს. მ.-ის. რეცენზენტი თარგმანს დადებითად აფასებს. „დემონი“, — წერს ის, — მართლაც რომ ძალიან კარგად არის ქართულად გადმოთარგმნილი. ზოგიერთი ადგილები თარგმანისა ლექსის ძლიერებით და გამოთქმის სიმკვეთრით სრულიად არ ჩამოუდგებიან უკან თვით ორიგინალსა. განსაკუთრებით ბუნების სურათის დახატვაში ჩანს უფრო ფაზელის პოეტური ნიჭი და კალმის სიმარჯვე“. რეცენზენტი ამასთან ერთად აღნიშნავს მამია გურიელის თარგმანის ენის სისუსტეს, არამართებული ფორმების ხმარების მხრივ, რაც, რეცენზენტის აზრით, „წვრილმანია და არ აკლებს ღირსებას მთელი პოემის თარგმანს“.

მამია გურიელს აგრეთვე უთარგმნია ჰომეროსის „ილიადა“ რუსული გნედიჩის თარგმანიდან. მამიას ტონური ჰეგზამეტრის ზომა გადმოუცია თავის ქართულ თარგმანში შაირით.

მამია გურიელი წერს იმ ქართული სალიტერატურო (ხალხის სასაუბრო) ენით, რომელიც ილ. ჰავკვაძემ და აკ. წერეთელმა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაამკვიდრეს ქართულ მწერლობაში და ამ გზით გაიყოლიეს ქართველი მწერლების დიდი უმრავლესობა. ზოგიერთ შემთხვევაში მამია წერს მთელ ნაწარმოებს გურული ხალხური კილოთიც კი. მაგალითად „ქალ-ვაჟიანი“ (იხ. ქუთაისის მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი).

მაგრამ, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მამია გურიელის შემოქმედებაში საკმარისად ხშირად ვხვდებით არქაიზმებს, რომელთაც არა აქვთ პოეტური გამართლება, და აგრეთვე სიტყვათა არამართებულ წარმოებას. მაგალითად: „თვალყურს ვაძლემდი“ (გვ. 15) — ვაძლევდის მაგიერ; „მტერები“ (გვ. 118) — მტრების მაგიერ; „ერთბამ“ (იქვე) — ერთიანად-ის მაგიერ; „მწვანელით შეკაზმულია“ (გვ. 142) — მწვანელით შეკმაზულია-ს მაგიერ, „ნუ თუ ამოდნათ გამოიცვალე“ (გვ. 203) — ნუთუ ამდენად-ის მაგიერ და მრავალი სხვა¹.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი არამართებული ფორმები საკმარისად ნასწორებია, როგორც ხელნაწერი კრებულიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძის მიერ, თორემ უფრო მრავალი იქნებოდა.

მამია გურიელის ლექსების გაცნობა გვარწმუნებს, რომ პოეტი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება ენის დამუშავება-დახვეწა-გამოყენებას.

მამია გურიელის ლექსთწყობისათვის დამახასიათებელია გავრცელებული ზომა როგორც ძველსა და ახალ ქართულ მწერლობაში, ისე ხალხურ ზეპირ პოეზიაში — 16, — 8, — 10 მარცვლიანი.

მაგალ. 16-მარცვლოვანი:

მიიღე ესე ფეშქაში, საჭირო, სახმარებელი...

— აა — ა — აა// — აა — ა — აა

8-მარცვლოვანი:

დედავ! აწ მინდა გელალო...

— ა — აა// — ა

10-მარცვლოვანი:

ვტიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს...

— ა — აა/ — ა — აა

მამია გურიელი უპირატესად იყენებს სხვადასხვა ზომის ლექსის ოთხტაეპიან სტროფს.

მამია გურიელი ჩვეულებრივ სარგებლობს დაქტილური და ქალური რითმებით, იშვიათად ვაჟურითაც.

მისთვის დამახასიათებელია ჭვარდიანი რითმი, როცა 1—3, 2—4 ტაეპია გართმული:

მაგალითად:

რვა მარცვლოვანი ლექსი:

დედავ! აწ მინდა გელალო, ქალური
ვითომ წინ სკამზე გიზივარ, დაქტილური
ხან ბრძნულად პირი გავალო, ქალური
ხან მიცნობ, რომე გიფი ვარ, დაქტილური.
(„დედასთან მიწერილი წერილი“)

ათმარცვლოვანი:

ოხვრით, ვაებით და ცრემლებითა, დაქტილური
თავს ნუ იწუხებ, ნუ დამავალებ, ქალური
მხოლოდ კი მტანჯე მარად ვნებითა, დაქტილური
ნუ შემებრალებ, ნუ შემებრალებ. ქალური.
(„ნუ შემებრალებ“)

ათმარცვლოვანი:

როს ტურფა გული ტვირთს ველარ იღებხ, ვაჟური
თავი მზად მკერდზედ ჩამოშვებულა, დაქტილური

როს სული ქუის საზრდოს დაეძებს,
ვერას პოულობს, შეწუხებულა.

(№...ს)

თექვსმეტ და რვა მარცვლოვანი სტრიქონების მონაცვლეობით:

მოძულებულსა ჩანგურზე დაამღერებდა ლექსებსა, ქალური
არ მოსალხენად მორთულზე, ქალური
ის დამძახებდა აღმტაცსა სიყვარულისა რითმებსა
თავის განწირულ მამულზე...

(„ირლანდიელის მელოდიებისაგან“)

თექვსმეტ მარცვლოვანი:

ქართველთა ქალთა საამოდ არ ერთხელ მე მიწრომია,
მათთვის მიძღვნია გრძნობები, სიცოცხლეს მსხვერპლად მნდომია.
მათგანვე წყენა, ქეიფი, არევით შემომხდომია,
ეხლაც მას ვემსახურები, სჩანს ეგრე წილად მხდომია.

მამია გურიელის თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსის ოთხტაეპიან სტროფში (მცირე გამონაკლისის გარდა) მთლიანად დაცულია დაქტილური რითმა.

რვა მარცვლოვანში შედარებით იშვიათ შემთხვევებში დაცულია მთელ სტროფში ქალური რითმა:

მარტო ვგდივარ ჩემს ოთახში,
ფიქრები შენ დაგტრიალებს
რათ გაქვს ბინა ამ ჩემს თავში?
შენი ხსოვნა რათ მაწვალეებს?

(„ე. პ. ვ. ქალს“)

ათ მარცვლოვანში შედარებით იშვიათ შემთხვევებში დაცულია მთელ სტროფში ქალური რითმა:

აი ეს არის გულისა სანდო,
აზრითა იტყვი, ფიქრსაც დაიწყებ,
მხოლოდ ეს ერთი უნდა გავანდო,
ვერ დამივიწყებ... ვერ დამივიწყებ!

(„ე. პ. ვ. ქალს“)

ქანრის გამოყენების თვალსაზრისით მამია გურიელისათვის დამახასიათებელია როგორც რომანტიკული ქანრები: ელეგია, მიძღვნა, ალბომში, ისე რეალისტური ქანრებიც — ლექსი, პოემა (ისტორიული, დრამატიული).

მამია გურიელს აგრეთვე გამოყენებული აქვს ხალხური ლექსი

და ზღაპარიც; მაგ.: „ირმის ნამბობი“, „ქობულეთური ყანის სიმღერა“, „გურული ხალხური ლექსები“ და სხვ.

როგორც ჟანრებისა, ისე მოტივების, ლექსთწყობისა და პოეტური სახეების მხრივ მამია გურიელს არაფერი ახალი არ შემოაქვს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის მრავალ შემთხვევაში ნიჭიერად სარგებლობს როგორც ქართველი რომანტიკოსების, ისე თერგდალეული მწერლების მიერ დამყარებული პოეტური ტრადიციებით. ის ნიჭიერად ამტკიცებდა თერგდალეული მწერლების ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პოეტურ ხერხებს, იდეებს, მოტივებს, რითაც მათ პოპულარიზაციას მკითხველთა შორის ხელს უწყობდა და თავისი ეპოქის მაჯისცემის განწყობილებას ამჟღავნებდა.

ბრიგოლ აბაშიძე

1866 — 1908

გრ. აბაშიძე სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოდის. ეს დამთავრების ხანაა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისა ყმებჩამორთმეულ, მამულეზმეციკრებულ თავადაზნაურობასა და ახლად ფეხადგმულ და ფეხმოკიდებულ ბურჟუაზიას შორის. ამასთან ერთად ეს პერიოდი წთლიანად რუსეთში რეაქციის გაძლიერების პერიოდიცა, ხოლო განსაკუთრებით ჩვენში ამ საერთო სუსხიან რეაქციას ემატებოდა განაპირა ქვეყნების მცხოვრებთა, ე. წ. „ინოროდცების“ მიმართ გამძვინვარებული კოლონიური პოლიტიკა და მისი გამტარებლების უხეში თარეში როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

აღნიშნულმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა გარემომ მისცა საზრდო და ბიძგი გრ. აბაშიძის პოეტური ნიჭის თავისებურ განვითარებას და ამოქმედებას.

როგორც პოეტი, გრ. აბაშიძე აღიზარდა ქართველი რომანტიკოსი მწერლებისა და ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის დიდი გავლენის ქვეშ. მან მეტად თავისებურად აითვისა ქართული რომანტიზმისა და თერგდალეულთა მიერ განმტკიცებული რეალიზმის ძირითადი მოტივები და მათ მიმდევარ პოეტთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. ამას ხელს უწყობდა როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ცხოვრების გარემოება.

გრ. აბაშიძე დაიბადა 1866 წელს ყოფილი შორაპნის მაზრის სოფ. დილიკოურში, ხელმოკლე თავადის ოჯახში. მამამისი — დავით აბაშიძე იყო დარბაისელი და ნჭევრმეტყველი კაცი, ამასთან კარგი მცოდნე როგორც ქართული ენისა და ლიტერატურისა, ისე რუსული ენისა და ლიტერატურისაც. ის სწავლობდა კადეტთა კორპუსში, მაგრამ სამსახურს არ გაჰყვა. დაუბრუნდა სოფელს და თავისი მცირე ბამულის შემოსავლით ცხოვრობდა. დავით აბაშიძე თუმცა გრძნობდა სწავლის აუცილებლობას, მაგრამ, ხელმოკლეობის გამო, შვილებს სათანადო განათლება ვერ მიაღებინა.

ცნობილია, რომ გრიგოლი მამამ მოამზადა და ქუთაისის გინა-

ზიაში მიაბარა. გრ. აბაშიძის გიმნაზიის მახლობელი ამხანაგის, შემდეგ პოეტის, დუტუ მეგრელის მოწმობით, პატარა გრიშა აბაშიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს ცხოვრობდა გიმნაზიის პანსიონში, რისთვისაც მამა გრ. აბაშიძისა წელიწადში იხდიდა 200 მანეთს. იმავე დუტუ მეგრელის მოგონებით, გრ. აბაშიძე გიმნაზიაში კარგად სწავლობდა და ადრევე გამოიჩინა პოეტური ნიჭი. გიმნაზიის მესამე კლასში რომ იყვნენ, მათ დაიწყეს მოწაფეთა ჟურნალის გამოცემა. გრ. აბაშიძე ამ ჟურნალში ათავსებდა თავის ლექსებს. დუტუ მეგრელისვე ცნობით, გრ. აბაშიძე ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს სასკოლო მოწაფეთა ჟურნალებში ლექსებს ათავსებდა გ. თირელის ფსევდონიმით. ამავე ფსევდონიმით გ. აბაშიძემ დაიწყო თავისი ლექსების ბეჭდვა ჟურნალ „თეატრში“ 1885 და 1886 წლებში¹.

მაგრამ, როგორც დუტუ მეგრელი და სხვებიც გვიდასტურებენ, გრ. აბაშიძემ გიმნაზია არ დაამთავრა; მეექვსე კლასიდან გამოვიდა. დუტუ მეგრელის განმარტებით, ამისი მიზეზი შემდეგი იყო: გრ. აბაშიძის მამამ პანსიონში შესატანი 200 მან. ველარ გადაიხადა. მამამ გრიგოლი დააყენა ქუთაისში კერძო ბინაზე, სადაც გრიგოლს ვერ შეექმნა სწავლისათვის საჭირო პირობები, რანაც ის მალე კალაპოტიდან ამოაგდო. მან სწავლას გული ველარ დაუდვა და იძულებული გახდა 1886 წელს მეექვსე კლასიდან გიმნაზიისათვის თავი დაენებებინა. ამის შემდეგ იწყება გრ. აბაშიძის ცხოვრების მძიმე, ხშირად უგზო-უკვლო გზა².

მამის რჩევით, გრიგოლმა ჩააბარა გამოცდები კერძო ვეჟილის სახელწოდების მისაღებად, რის შემდეგაც დაიწყო მისთვის არასასიამოვნო ვეჟილის პრაქტიკა. სრულიად სამართლიანია ერთ-ერთი მისი ბიოგრაფი, კ. აბაშიძე, როდესაც წერს: „იგი (გრ. აბაშიძე, — მ. ზ.), უპირველეს ყოვლისა პოეტი იყო და თავის ახალ პროფესიაშიც შეიტანა სიწინდე და აღფრთოვანება შემოქმედებისა. მას უფრო შეურაცხყოფილთა და უფლებამწელებსა დაეცვა, სიტყვაში შეჭიბრება იტაცებდა, ვიდრე ხელფასზე, ჰონორარზე ზრუნვა და ფიქრი“².

პარალელურად გრ. აბაშიძე პოეტურ მოღვაწეობასაც გაპყვავ; განაგრძობდა ლექსების წერას და მალე ცნობილი პოეტი გახდა. თავის ლექსებს ის ათავსებდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში,

¹ დუტუ მეგრელი, „გრიგოლ აბაშიძე (მისი სიკვდილის გამო)“, გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 65.

² კოკი აბაშიძე, „გრ. აბაშიძე“, გვ. XI.

განსაკუთრებით გაზ. „ივერიაში“. 90-იან წლებში გრ. აბაშიძე მოწვეულ იქნა გაზ. „ივერიაში“, როგორც მულმივი თანამშრომელი. იქ მან დაპყრო ორი წელიწადი და ლექსებთან ერთად იქ ბეჭდავდა პუბლიცისტური ხასიათის წერილებსაც (კ. აბაშიძის მოწმობით, პუბლიცისტურ წერილებს გრ. აბაშიძე ბეჭდავდა „შრომანას“ ფსევდონიმით, ხოლო დღეებში მეგრელის ცნობით, — ფსევდონიმით — „მენავე“ და „ვინმე“).

გრ. აბაშიძეს პრაქტიკული საქმიანობა არ იზიდავდა, არ აკმაყოფილებდა. ის მთელი თავისი ბუნებით, ნიჭით, განწყობილებით, პოეტი იყო. ღისთვის ბუნებრივი და მიმზიდველი იყო ლექსების წერა — ლიტერატურული მუშაობა, მონაწილეობა სალიტერატურო საღამოებში, მოღვაწეობა სცენაზე, თავისი და სხვათა ლექსების კითხვა, მგრძნობიარე სიტყვის წარმოთქმა, მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა. აი მხოლოდ ეს იტაცებდა მის ყურადღებას; ამაში პოულობდა გამოხატულებასა და დაკმაყოფილებას მისი მუდამ „მოუსვენარი, ბავშვივით ცელქი და აღფრთოვანებული მისი სტიქიური ტენპერამენტრიანი ბუნება“.

გრ. აბაშიძე ლექსს თურმე რომ დასწერდა, ვერ ისვენებდა, მაშინვე სხვებისათვის რომ არ წაეკითხა. საზოგადოებასაც ის არაჩვეულებრივად უყვარდა. მუდამ ბავშვივით მოუსვენარი და აღფრთოვანებული, ის ყოველთვის სიამოვნებისა და ხალისის შემტანი იყო საზოგადოებაში როგორც თავისი თუ სხვათა ლექსების მოხდენილი დეკლამაციით, ისე მოსწრებული, მახვილი სიტყვითა, დიდი უშუალობით წარმოთქმული ექსპრომტებით. მას აუდიტორია ყოველთვის დამორჩილებული ჰყავდა.

გრ. აბაშიძის ცხოვრების მრავალი, მეტად დანახასიათებელი და საყურადღებო წერილმანი, როგორც მისი ბიოგრაფი კ. აბაშიძე აღნიშნავს, დავიწყებას მიეცა და სამწუხაროდ უკვალოდ გაქრა. მისმა მახლობლებმა და ნაცნობებმა, სამწუხაროდ, შთამომავლობას არ შემოუნახეს. შემონახულია რამდენიმე ეპიზოდი მისი საზოგადოებაზე გავლენისა, როგორც პოეტისათვის დამახასიათებელი. აქედან ჩოვიტანთ საზოგადოებაში გავრცელებულ სამს ეპიზოდს.

„ქუთაისის თეატრი. — გადმოგვცემს კ. აბაშიძე, — სცენაზე გამოდის შავს ჩოხაში საღად გამოწყობილი პოეტი. დიდხანს ვერ ახერხებს იგი ლექსების წაკითხვას — არაჩვეულებრივი ოვაციის გამო. არ მახსოვს, რა ლექსი წაიკითხა პოეტმა; არც მისი მანერა კითხვისა, არც ხმის ინტონაცია. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი ოვაცია, ვაშას ძახილი, საზოგადოების აღფრთოვანება“¹.

¹ კ. აბაშიძე, „გრ. აბაშიძე“, გვ. XII.

მჭევრმეტყველებისა და უდიდესი ტემპერამენტის გარდა, გრ. აბაშიძეს თურმე ახასიათებდა არაჩვეულებრივი მეხსიერება. პოეტის მეხსიერების შესახებ აი როგორ უცნაურ შემთხვევას გად-
ნოგვცემენ:

ბეჟან წერეთელთან მიწვეულნი იყვნენ სტუმრები, მათ შორის აკ. წერეთელი და გრ. აბაშიძეც. „აკაკისათვის უთხოვნიათ წაეკითხა რამე ლექსი. პოეტს საზოგადოების თხოვნა დაუკმაყოფილებია და წაუკითხავს იმ დღეს ახლად დაწერილი ლექსი, რომელიც, დაახლოებით, რამდენიმე სტროფს შეიცავდა. როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუსრულებია, სწორედ იმ დროს დარბაზში შემოსულა გრიშა აბაშიძე. საზოგადოებას მისთვისაც მიუმართავს თხოვნით ლექსის წაკითხვის შესახებ, რაზედაც პოეტი სიამოვნებით დასთანხმებია და დიდის პათოსით წაუკითხავს კიდევ ლექსი, რომელიც აკ. წერეთელს მის დარბაზში შესვლამდე წაეკითხა.

აკაკი გაოცებული, მაშინვე მივარდნილა გრიშასთან და აღელვებულს უკითხავს:

— ეს შენი ლექსია?

— დიახ, ბატონო, სწორედ დღეს დილით დავსწერე.

— როგორ თუ შენ დასწერე, როდესაც ეს ლექსი მე თვითვე დავწერე და ესეცაა მისი კითხვა დავასრულე.

გრიშა აბაშიძის მხიარულ სიცილს დაუსრულებია ეს ინციდენტი. პოეტს მაშინვე უამბნია შემდეგი: როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუწყია, ამ დროს გრ. აბაშიძე დარბაზის კარებთან ყოფილა მისული. ხელი რომ არ შეეშალა აკაკისათვის, იქვე ამოფარებია კარებს. დიდის ყურადღებით მოუსმენია ლექსი და მთლიანად აღუბეჭდავს იგი თავის მეხსიერებაში. როდესაც მისთვის მიუმართავთ თხოვნით ლექსის წაკითხვის შესახებ, პოეტს ხუმრობით განუმეორებია აკაკის ლექსი თავიდან-ბოლომდე“¹.

ასეთივე ეფექტური იყო გრ. აბაშიძის გამოჩენა პოეტ რაფ. ერისთავის იუბილეზე და იუბილარისადმი მიმართვა. იუბილარისადმი მისასალმებელ განყოფილების დროს დარბაზში შესულა პოეტი გრ. აბაშიძე. დამსწრე საზოგადოებას შეუნიშნავს. ის და არაჩვეულებრივი ოვაცია გაუმართია მისთვის. ამტყდარა ხალხში ყვირილი „გრიშა აბაშიძე, გრიშა აბაშიძე სცენაზე, გზა მიეციოთ“.

გრიშა აბაშიძე სასწრაფოდ გასულა სცენაზე და იუბილარისათვის წიუმართავს ექსპრომტით. წაუკითხავს რაფ. ერისთავის ცნობილი ლექსი „ს ა მ შ ო ბ ლ ო ხ ე ვ ს უ რ ი ს ა“, ხოლო ლექსი გადა-

¹ კ. აბაშიძე, „გრ. აბაშიძე“, გვ. XIV.

უკეთებია იქვე, პოეტისადმი შებრუნებითი მიმართვით. მოვიტანოთ ეს მშვენიერი გადაკეთებული ექსპროზიტ:

სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარი,
სად მამა-პაპა გეგულეს, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც ქაღარამ შეგმოსა — შენი სამშობლო ის არი.
არ გაგიცვლია სალი კლდე უკვდავებისა ხეზედა,
არ გაგიცვლია სამშობლო სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

ვაშა მოხუცი ნარნარებ თოვლივით სპეტაკიანი,
თითოეული ქაღარა გაქვს მტკიცე ნაშუსიანი,
ხარ ძმათა მოკირისუფლე, მგოსანი ამო ხშიანი.
ბევრჯელ გაგტყორცნა შავ-ბედმა ცხოვრების ტანჯვის ზღვაზედა,
მაგრამ ეს მხარე ღიღების არ გაგიცვლია სხვაზედა!

აქ აირჩიე შავი კლდე, თოვლიან-ყინულისანი
ორბი რომ ბუღობს, ჩანჩქერი გამოქუხს ბროლი-წყლიანი,
წარსული გასულდგმულზედა უკვდავი, დიად-მზიანი;
აქ დაიკენესა მაგ ჩანგმა იმა ქვეყნისა ხმაზედა,
მიგვასაკლდევა ჩვენს მხარეს, მას ჩვენც აღარ ვცვლით სხვაზედა!

„სამშობლო, დედის ძეძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“,
შენ გაგვახსენე, გვასწავლე, გგერჩივნოთ ორთავ თვალებდა,
სამშობლო, ვითა უფალი, ერთია ქვეყანაზედა!...“
ეგ შენი პანგი, ძველთ მცნება, აქ გვიწერია გულზედა,
ვლოცულობთ, ვმღერით, ვოცნებობთ სულ იმის სიყვარულზედა!..

მაგ მოხუც გულში იხატვის „წმიდა-წმიდათა“ ერისა,
წარსულით განდიდებულის, მომავლით ბედნიერისა.
ჩაგრულთ და ობოლთ ნუგეში და მათის გულის ძვარისა;
ცრემლი მუშაკთა, მამურალთა, გვირგვინსა გვიწავს თავზედა,
და უკვდავების საბოვნად კოშკს გიგებს ღმერთთა მთაზედა!..

აჰა, შემოკრბენ ივერნი სიამით, სიხარულითა,
გულს გიმხნევენ, გეტრფიან მადლობით, სიყვარულითა,
ერთობის გუნდრუქს გიკმევენ შეერთებულის სულითა...
მოხუცი, გაგილომკაცი, ჯერ არ სცნო დაძაბუნება.
შეგვაფოლადე სიმთ-ქღერით და კვლავ გვიდიღე ბუნება!..

ნიჭიერი და სწორი შეფასებაა რაფ. ერისთავის შემოქმედებისა და მოღვაწეობისა, ნიჭიერი გამოხატულებაა ამ გადაკეთებულ ლექსში თვით გრ. აბაშიძის სულისკვეთებისა და მისი პოეზიის ძირითადი მოტივისა. ამიტომ იყო, რომ, როგორც აკ. წერეთელი მოწმობს, რაფ. ერისთავის იუბილე გრ. აბაშიძისათვისაც ტრიუმფად გადაიქცა.

ან, უდავოდ, მრავალმხრივი ნიჭიერი ადამიანის ცხოვრება მეტად ხანმოკლე და ტრაგიზმით აღსავსე იყო. პოეტის „სიკვაბუქის-ვარდი“, როგორც თვით გრძნობდა და წერდა, უწყალოდ და მეტად

ადრე „დაქცნდა“. მან ადრე იგრძნო, ან როგორც თვითონვე ამბობს, მას მოესმა „მომავალი სიკვდილის ნალარა“.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იგი მძიმედ დასნეულდა. შეეტყო მას სულით ავადმყოფობის ნიშნები. საზოგადოებამ ის გაგზავნა პეტერბურგს სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც პოეტმა ჰპოვა უკანასკნელი თავშესაფარი. იქვე პეტერბურგს, 1903 წლის 9 მარტს, მან განუტევა თავისი აფორიაქებული, დაუცაყოფილებელი, გაწამებული შფოთიანი სული.

აი როგორ ცნობას აწვდიდა გაზ. „ცნობის ფურცელი“ გრ. აბაშიძის მდგომარეობით დაინტერესებულ საზოგადოებას და მის თაყვანისმცემლებს პოეტის სიკვდილის შესახებ: „პოეტი გრ. აბაშიძე... გარდაიცვალა 9 მარტს. მას კლინიკაში უვლიდა და პატრონობდა ექიმი ს. ვირსალაძე¹. არჩეული იქმნა განწესვენებელი კომიტეტი ნიკო თავდგირიძისა და ლავ. რევიშვილის მეთაურობით. აცნობეს ქუთაისში სიკვდილი, საიდანაც დეპეშით შეატყობინეს — მიცვალებული დროებით, სანამ სამშობლოში გადმოვასვენებთ, მანდ დასაფლავეთო. დაკრძალვა კომიტეტმა 13 მარტისათვის დანიშნა“².

პოეტი გრ. აბაშიძე დაასაფლავეს ქ. პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში), ვოლკოვის სასაფლაოზე. მის მივიწყებულ, მიტოვებულ საფლავს ეკეთა უბრალო რკინის ნოაჯირი, რკინისავე უბრალო მიკრული დაფა შემდეგი წარწერით: „Здесь покойтся грузинский поэт князь Григорий Давидович Абашидзе“.

პოეტის ცხედარს უპატრონა და დაიტირა მხოლოდ იქ, პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველობამ, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობამ.

დიდი უშუალობითა და გულწრფელობითაა აღსავსე ნიკ. თავდგირიძის შემდეგი უკანასკნელი გამოთხოვება გრ. აბაშიძის ცხედართან: „შენ ყველა ქართველისათვის შესამჩნევი ნიჭის პატრონი ადამიანი იყავი. შენი მკვერმეტყველება, შენი მახვილი გონება — მოსაზრება შესამჩნევი იყო ყოველ შენ მაყურებელ ქართველისათვის. რაოდენი სავარჯიშო ნასალა იყო შენში. რაოდენი ნიჭი, სულიერი ძალა ინახებოდა შენში და მხოლოდ ჩვენმა დაგუბებულმა საზოგადოებამ ვერ მიიღო ჯეროვანი ყურადღებით ის. ვერ გაუკვლია გზა, ვერ ისარგებლა მით. ამ წესით ჩვენ საზოგადოებაში ხშირად ყველა ნიჭი ჰქრება, იკარგება ისე, როგორც უნაყოფო ნიადაგზე დავარდნილი თესლი... ჩვენი ცხოვრება ამ უკანასკნელ ხა-

¹ შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

² დ. კ., „პოეტის გრიგოლ აბაშიძის დასაფლავება პეტერბურგში“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2107.

ნებში ისეა მოწყობილი, რომ საზოგადოებას კერძო პირზე ცუდი, მავნებელი გამხრწნელი გავლენა უფრო მეტი აქვს, ვიდრე აღმზრდელი, კეთილისაყენ მიმართული. ამიტომაც გასაკვირველი არ არის, თუ ჩვენში ბევრი სხვა ქვეყნისათვის სანატრელი ნიჭი უნაყოფოდ, თითქოს უსარგებლოდ ჰქარება, იკარგება“¹. დამწუხრებული ახალგაზრდა ნიკო თავდგირიძე ტკივილითა და ერთგვარი საყვედურით, ასეთი მწვავე გრძნობის განომხატველი სიტყვებით ათავენს თავის უკანასკნელ გამოთხოვებას უდროოდ დაკარგულ პოეტთან: „შენის შავ-ბედის, შენის უბედურების გასაძლიერებლად სამი წყდა მიწა დაზოგა იმ სამშობლომ, რომელსაც შენ ეკუთვნოდი ყოველისავე შენის სიკარგით, ყოველისავე შენის უბედურობით“².

პოეტი გრ. აბაშიძის საფლავიც მიივიწყა ქართველმა საზოგადოებამ, მხოლოდ ამ 45 წლის წინათ, პოეტის სიკვდილის ათის წლის თავზე, 1913 წ. პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველობამ, უფრო ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ, ერთხელ კიდევ მოიგონა იგი და მისი გამამხნეველი ბრწყინვალე, მაგრამ უდროოდ დამქანარი და დაღუპული ნიჭი. 1936 წ. აი როგორ იგონებს ამ გარემოებას კ. აბაშიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი: „1913 წელი. იგივე საფლავი, გარშემორტყმული პეტერბურგში მყოფ ქართველ საზოგადოებით და მოსწავლე ახალგაზრდობით. მგრძნობიარე სიტყვებით ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მესვეურთა, სურვილი პოეტის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებისა... ეს იყო უკანასკნელი გახსენება პოეტისა ქართველ საზოგადოების მხრივ“³, — ერთგვარი მძიმე ტკივილისა და, შეიძლება ითქვას, დამსახურებული საყვედურის კილოთი თავის და ქართველი საზოგადოების მიმართ ამთავრებს კ. აბაშიძე ამ თავის მწარე მოგონებას პოეტის შავბედითი ხვედრის გათვალისწინებით დამძიმებულს.

„გრიგოლ აბაშიძე სიყმაწვილითვე გრძნობიერი გულის პატრონი იყო და ამიტომ იმის ლექსებს იშვიათის გულწრფელობის და ბუნებრიობის ელფერი აქვთ... სიყალბე, რომელიც ჩვეულებრივი თვისებაა ნაძალადევის პოეტისა, გრ. აბაშიძისათვის არ არსებობდა“⁴... ასე ახასიათებდა გაზ. „ცნობის ფურცელი“—ს თანამშრომელი ზანგი პოეტს მისი სიკვდილის გამო დაწერილ წერილში.

¹ დ. კ., „პოეტის გრ. აბაშიძის დასაფლავება პეტერბურგში“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2107.

² იქვე.

³ კ. აბაშიძე, „გრ. აბაშიძე“, 1936, გვ. XVI.

⁴ „ზანგი“, „პოეტი გრიგოლ დავითის-ძე აბაშიძე“. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., 16/III.

მართლაც, ხშირი არ არის ისეთი გულწრფელობით, სიმკვეთრითა და სიმახვილით განსახიერება პირადი ბუნებისა და განწყობილებისა, როგორც ამას ჩვენ გრ. აბაშიძის შემოქმედებაში ვხედავთ.

გრ. აბაშიძე, ჭეშმარიტად, ბუნებით ლირიკოსი პოეტია, რომელიც დიდის უშუალოდობით გრძნობს და ნაგრძნობს დიდისავე უშუალოდობითაც გამოხატავს. ან გარემოებითვე აიხსნება ზანგის შემდეგი შენიშვნაც: „იმის (გრ. აბაშიძისა. — მ. ზ.) გულწრფელობა იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ ხშირად საჯაროდ ისეთ აზრებს გამოსთქვამდა, რომლებიც სულ ერთის ან ორის დღის წინად მისგანვე დაგმობილი და უარყოფილი იყო. განსვენებული მგოსნის მთელი არსება შეპყრობილი იყო თანამედროვე ქართველობის სულიერი სენით — გრძნობისა და აზრის უმტკიცობით“...¹ აღნიშნულ თვისებას — გრძნობისა და აზრის უმტკიცობას — ზანგი ქართველობისათვის (ალბათ, ქართველობის გარკვეული ნაწილისათვის უნდა თქვას ავტორმა) დამახასიათებელ თვისებად სთვლიდა გრ. აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროისათვის. რა არის ამის მიზეზი და კონკრეტულად ქართველობის რომელი ფენისათვისაა ეს თვისება დამახასიათებელი?

გრ. აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროისათვის, ე. ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მართლაც, ეს თვისება დამახასიათებელი იყო დეგრადაციის გზაზე მყოფი ქართველი მაღალი წოდებისა და ინტელიგენციის გარკვეული ნაწილისათვის, რომელიც ახალი ცხოვრების პირობებში ნიადაგდარღვეული, გარკვეული პოზიციის არმქონე და ამიტომაც მოკლებული იყო იდეურ მისწრაფებას. ამ მდგომარეობისათვის ის ჩვეულებრივ დაძაბულობას გრძნობდა და ერთგვარ უკმაყოფილებას, სევდას განიცდიდა. ასეთია გრ. აბაშიძეც თავისი დეკადანსური განწყობილებით, რომელშიც უკმაყოფილო და სევდიანი გრძნობის დაჩლუნგება ხანდახან ისპობოდა, ანუ ღროებით იმალებოდა და, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის გავლენით, მისი პოეტური ნიჭიც ძალუმაღ ახმაურდებოდა ხოლმე.

* * *

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა პოეტი 1884 წელს, გიმნაზიაში სწავლის დროსვე, სასტიკად მწვავედ განიცდის დროისა და გარე-

¹ „ზანგი“, „პოეტი გრიგოლ დავითის-ძე აბაშიძე“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., 16/III.

შოების ცვლილების სიმკაცრეს. ჰაბუკი პოეტი გარემოებისადმი თავის შინაგან დამოკიდებულებას თუ გამოხმაურებას ლექსში „ზანთარი“ ასე გამოხატავს:

ჰკივის და ჰკივის გრივალი, მხეცებრივ გაგიეხულა!
ბუკი ტრიალებს, სუსხს სტოვებს, გარშემო დაბნელებულა—
სითბო, ხალისი ზაფხულის უმჩნევლად განქარებულა —
ბუნება გამოცვლილია, ბუნება დაბერებულა!...

ჰაბუკი პოეტიც გარემოსთან შეხამებულად გრძნობს დროზე აღრე დაბერებას; გრძნობს, რომ ახალგაზრდული მაჯისცემა მასშიც მალე მოდუნდება და მისი ნაადრევი დამჰქნარი სიცოცხლე „სამუდამოდ განქრება“:

შენც ჩემო თავო, ეს გელის — შენი ზაფხულიც განქრება
სითბოს შეგიცვლის შენ ყინვა, სიბერე მოგეპარება;
კიდევ მოკვდები... ბუნება ხელ-ახლად აყვავილდება.
შენი სიცოცხლე დამჰქნარი, სამარადისოდ განქრება!

რა იწვევს ახალგაზრდა პოეტში ასეთს სევდიან განწყობილებას? რა თქმა უნდა, მისი დეკადანსური მდგომარეობა გარეწო ცხოვრებაში. პოეტის მკვეთრი გაგებითა და განცდით, ცხოვრება საშინლად „აშლილ-დაშლილია“, მისთვის გაუგებარი, უცნაური და მიუღებელი შექმნილა:

ყვავი ბულბულოს, ამაყობს,
ასკილი ვარდობს, გაშლილა;
წრფელის გრძნობების სანაცვლოდ
გული შხამ-გესლით აღვსილა,
ძველთა ანდერძი დიდების
იმათ ხსოვნაში წაშლილა.
(„ოპ, ღმერთო ჩემო, ცხოვრება“)

ცხოვრების ასეთ უარყოფით დამოკიდებულებაში გრ. აბაშიძე, როგორც პოეტი, ენათესავება და ეხმაურება როგორც ჩვენს რომანტიკოს მწერლებს (ალ. ჰავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და სხვათა), ისე თერგდალეულებსაც (ა. წერეთელს და სხვ.).

გრ. აბაშიძის განცდით, ცხოვრება ისეა გადაგვარებული, რომ თვით მესტირეც (იგულისხმება პოეტი) „ავსა და კარგსა ერთგვარად აქებს, აღიდებს“; მას თანამედროვე ხალხის ცხოვრება შეუსწავლია, მასაც მიუბაძია მისთვის და სტვირს ცბიერად უკრავს: აქებს ზტერსა და მოყვარეს, ყველასთან ცბიერია და მლიქვნელი. გრ. აბა-

შიდის გაგებით, მესტვირე მოქმედებს შეთანხმებულად აკრელებულ ცხოვრებასთან, სადაც „თაყვანს ვსცემთ ბოროტს, კერპს, მტარვალს და ყოველს საამგვაროსა“.

გრ. აბაშიძის დანახვით გარემო ცხოვრებაში „ძმა ძმას ჰკლავს, შვილი მამასა... მტერსა აღიღებს, მოყვრებზე ბოროტს აუბნებს ენასა, გადაჰყოლია ცხოვრების ნივთიერს მღვრიე ენასა“. ამიტომაც გრ. აბაშიძის დაკვირვებითა და გაგებით, თანამედროვე ცხოვრება ცბიერია, უსამართლო და ვერაგი. მისი განცდით ცხოვრებამ დაკარგა მიმზიდველობა, ცხოვრებას „აკრავს სამარის ბნელი“. პოეტი სევდითა და გულის ტკენით ასე ახასიათებს მას:

რასაც სხვას უთელის წმინდა ძღვნად,
მე მას მიბლალავს, მიგინებს,
სხვას რომ წყალობას პირდება,
მე წყვეა-კრულვას მივლინებს.
(„რა დაეუშავე სულმდაბალს“)

თანამედროვე ცხოვრების ასეთმა გარეწარობამ, გრ. აბაშიძის ჩვენებით, თვით პოეტიც — ეს ქვეყნის კეთილშობილი შვილი—მიიყვანა გადაგვარებამდე, ზნედაცემულობამდე; ცხოვრებამ პოეტსაც დააკარგინა თავისი ნამდვილი გზა და კვალი, მიმართულება მთლად შეუცვალა და ახლა —

მგოსანი სიტყვით კვლავ მგოსნობს
საქმით კრელ-კანა გველია.
(„ოჰ, ღმერთო ჩემო, ცხოვრება“)

პოეტის „ჯანდალეული გული“ ამის გამო სავსეა სევდითა და მწუხარებით. თითქოს გარემოსა და მის შორის მოურიგებელი, მკაცრი კონფლიქტია შექმნილი. პოეტი უნუგეშოა. მთელი მისი ბუნება, როგორც თვით პოეტი ჩივის, „სისხლის ცრემლებით ღნება“. ასეთმა დამოკიდებულებამ ცხოვრებისადმი პოეტი სასოწარკვეთილებებაში ჩააგდო, სევდის რკალში მოამწყვდია, დაღრღნა მისი გონება, დასერა მისი გული; პოეტის სულში შხამ-ნაღველში არეული სევდა დაასადგურა. გაწამებული, სასოებაწართმეული პოეტი მხოლოდ დროდადრო, წარსულის მოგონებასა და განცდაში პოულობდა შვებას. აი როგორ გვამცნობს იმ ნტანჯველ მდგომარეობას, პოეტი რომ გამუდმებით განიცდიდა:

ოდეს ცხოვრების უღმობელ ღელვამ
და უკუღმართმა ჩარხის ტრიალმა,
მუდამ ქუხილმა, წვიმამ და ელვამ,
გესლიან გველებს ბედის სრიალმა,

დამაძაბუნეს უდროთ, უღეთთ,
 უხვად მომიწყეს შხამი, ნალექი,
 დავებტები უგზოდ და უკვლოთ,
 ვითარცა გემი დასალუბველი, —
 ერთი და მხოლოდ ჩემს დატანჯულს სულს
 არ უსპობს სასოს და აძლევს ძალას:
 სრულ სიტკბოებით ვიგონებ წარსულს
 და ალტაცებით მას ვუძღვნი სალამს!...
 („ღელა“)

მაგრამ წარსულის მოგონებით ალტაცება, დატკბობა და მით-
 შვების მიღება პოეტისათვის მხოლოდ წამიერი იყო. სინამდვილეს-
 თან წინააღმდეგობით გამოწვეული მწუხარება, როგორც ღია იარა,
 განაგრძობდა მძიმე ტეხვას პოეტის შეგნებაში. სევდა კვლავ პოეტის
 გულსა და გონებას არა სტოვებდა. პოეტი ასე გვიხატავს თავის
 ბტანჯველ მდგომარეობას:

ესეც სევდები დღეს მეც მნახეს, ჭენჭა და მიწყეს,
 ცრემლი, ჭვითინი, შხამ-ნალექი უხვად მომიწყეს;
 ჰქრება იმედი ცხოვრებისა, გულს მიკოდს წყლული,
 დავსტირი ჩემს ბელს უნუგეშოს, გამწარებულნი!...
 („ჩანგის სიმები“)

უკმაყოფილებამ, გაუნელებელმა სევდამ, გარემოსთან შექმნილ-
 მა წინააღმდეგობამ, მასთან შეგუებისა და შეურიგებლობის შეუძ-
 ლებლობამ პოეტი, როგორც ჩვენი რომანტიკოსი მწერლებიც, და-
 ღალა, დაქანცა, ცხოველი გრძნობისა და განცდის ძალა წაართვა,
 გარემოს მოვლენებისაღმდეგ რეაგირების უნარი მოუღუვნა, განურჩე-
 ველ მდგომარეობაში ჩააგდო. გაწამებული პოეტი ასეთი მწუხარე-
 ბით მოსთქვამს:

ჩემთვის ერთია ტანჯვა და ღხენა:
 დრო ჩემი ცრემლთან შემაერთია,
 კვნესა-ტირილი, სიცილ-ვისკისი,
 ჩემთვის ერთია, ჩემთვის ერთია.

მე არ ვაფასებ ნობათს გულისას,
 აღარვინ მიყვარს—ხედავს ღმერთია,
 არც მე ვუყვარვართ, არც საჭიროა, —
 ჩემთვის ერთია, ჩემთვის ერთია!...

მე არ მაშინებს ბნელო სამარე,
 ვიცი სიკვდილი უკუნეთია,
 მკვირცხლი სიციცხლე და შავი მიწა
 ჩემთვის ერთია, ჩემთვის ერთია!...

(„ჩემთვის ერთია ტანჯვა და ღხენა“)

გრ. აბაშიძის ამგვარი ჩანგის ჟღერა მშვენივრად ეხმაურებოდა როგორც ჩვენი რონანტიკოსი მწერლების, ისე აკ. წერეთლისას. გრ. აბაშიძის ეს ლექსი ზედმიწევნით გვაგონებს შინაარსითაც და ფორმითაც აკ. წერეთლის ლექსს „ახალი წელი“:

სევდით, უკმაყოფილებით სასოწარკვეთილებამდე მისული პოეტი, უმიზნოდ, უხალისოდ, უინტერესოდ დაცარიელებული, უკულმართი ცხოვრების ასპარეზზე უიალქნოდ ნოძრავი, ვნებათა ღელვით დაძაბუნებული ტრფიალების გრძნობის განცდაში ეძებდა ხშირად შინაგანი წვის შენელებას, დავიწყებას, სიცარიელის შეესებას. ამ ნიადაგზე მას შექმნილი აქვს მაღალი ღირსების, უმწიკვლო უშუალო გრძნობის გამომხატველი სატრფიალო ლექსები, რომელნიც დაბეჭდვისთანავე სასიამოვნო რომანსებად გადაიქცნენ და ფართოდ გავრცელდნენ ქართველ საზოგადოებაში. ცნობილია სიმღერებად გადაქცეული და ფართოდ გავრცელებული გრ. აბაშიძის სატრფიალო ლექსები: „ოხ, მარგალიტავ“, „სიმღერა“ („როდესაც გიცქერ“), „სატრფოს“, „საამო მოგონება“ და სხვ.

გრ. აბაშიძის ლექსები საერთოდ, ხოლო განსაკუთრებით მისი სატრფიალო ლექსები, ფორმის მხრივ ვირტუოზულია, მდიდარი ნხატვრული გამოსახვის საშუალებით და მიმზიდველად მელოდიური. აღნიშნულ თვისებათა გარდა, გრ. აბაშიძის სატრფიალო ლექსებს აგრეთვე ახასიათებს შეუბოროკავი ალძრული ვნებიანობა, ეშხი.

ცხოვრების უკულმართობით დათენთილი, უკმაყოფილო პოეტი სატრფოს სიახლოვეში, მის ალერსში ეძებს საშუალებას ჩაჰქლას მტანჯველი ტკივილები, მოიშუშოს მტეხავი იარები, დაიყუჩოს მაშვრალი სულის ღელვა, წვა. გრ. აბაშიძე დაუფარავი გულით ასე მიმართავს თავისი ტრფობის საგანს:

როდესაც გიცქერ—ტბილად სძგერს გული,
შენდამი ტრფობით გატაცებული;
ოდეს გშორდები — მუდამ ვსტირი მე...
შენ შემოგველე, შენი ჰირიმე!

შენ მომივლინე შეება ნათელი,
შენ გამიქარწყლე კვნესა, ნაღველი,
ველარ მერევა ტანჯვა, ჰირი მე...
შენ შემოგველე, შენი ჰირიმე!

(„სიმღერა“)

პოეტი არა მალავს, რომ სატრფოს სიახლოვე და მისდამი ტრფობა მისთვის მიმცემია უმადლესი სიამოვნებისა, შევებისა. სატრფოს ალერსი მას ჰფენს ნათელს, უქარწყლებს კვნესა-ნაღველს,

არღვეს ლხინს. ნაშინ მას ტანჯვა და ვაება ველარ ერევა. ის ბედნიერების, კმაყოფილების, სიცოცხლის უმადლეს კამარაზეა ასული.

გრ. აბაშიძეს სიყვარულის გრძნობას აღუძრავს ქალის მშვენიერება: გარეგნული მიმზიდველობა, ბროლის თითები, ნაზი „სირინოზის ხმა“, სხეულის რხევადობა. ქალის ასეთ თვისებებს მგოსანი აღტყინებაში მოჰყავს, მას „ნეტარების ცრემლს“ აფრქვევინებს, მაშინ ის ვნებათა კოცონზე იწვის, ის ნებისყოფა დაკარგულია, აშლილ გრძნობებს დამორჩილებული. ექსტაზში მოსული პოეტი სატრფოს ასე ამცნობს თავის განწყობილებას:

შენი მონა ვარ, შენი ვარ მცველი,
შენი მგოსანი, შენზედ მლოცველი,
შენი ჩრდილი ვარ და თან გზირი მე...
შენ შემოგვეცი, შენი ჰირიმი!

(იქვე)

პოეტი სატრფოსადმი დამოკიდებულებაში ისეა გატაცებული, რომ ჰკარგავს თავის მე-ს. პოეტი სატრფოს ხელში გადაქცეულია იმ საგნად, როგორადაც სატრფოს სურს. პოეტზე სატრფოს გავლენა ძლევანოსილია. ეშხით დამთვრალი პოეტი ასე მიმართავს სატრფოს:

შენში ღმერთმა დამისაზა
სიამე და სიყვარული.
შენი გული ჩანგად მომცა
და ედგმად შენი სული,
ოცნებით გვარებ იქ ყვავილებს.
იქ არს ჩემი სიხარული.
მასთან ჩემის სულის ლოცე.
და სიცოცხლას ნაკადული.

(„სატრფოს“)

მაგრამ გატანჯულმა პოეტმა გრ. აბაშიძემ ვერც სიყვარულში ჰპოვა ნათესაყუდარი. სატრფომაც მას მწარე უფრო მეტი ასვა, ვიდრე ტკბილი. გაუკუღმართებული, გაუტანელი ცხოვრებით მუდამ გაცრუებული, გარიყული, გაღახული პოეტი იქანცება და ცბერს სატრფოს ასეთი აღშფოთებითა და საყვედურით მიმართავს:

კინარა, დამესხენ, შეჩვენებულო,
სულით ობოლსა რას მივლება?
ნუთუ ისიც გშურს — რომ ცოცხალი ვარ.
დაუყოვნებლივ დღეს რომ არ ვკვდები?
ხომ შეისრულე ქალური მცნება.
ულეთით მომიკალ სიცოცხლე გელის,
საჯოჯობითო ცეცხლად ამინთე
ნაზი ლაშპარი მძლე სიყვარულს;
იმედი მოჰკალ, გამიცამტყერე

დემონურისა შერთ და ძალით,
ჩემის სიცოცხლის ცრემლებად დნობას
დაუზარებლად დაჰყურებ თვალით!
(„კმარა, დამეხსენ, შეჩვენებულო“)

უილაჯო, უძლური პოეტი, თუმცა თავის აღშფოთებას, საყვე-
დურს და სიძულვილს გამოსთქვამს სატრფოსადმი, მაგრამ ის თავის
სიძულვილში, როგორც მამია გურიელი, ბოლომდე ვერ მიდის. ნების-
ყოფა დასუსტებული, სატრფოს ხელში მჩვრად გადაქცეული, ძალა
დაკარგული, დამარცხებული პოეტი ასე ათავებს თავის აღლევე-
ბულ გულისწყრომას სატრფოსადმი:

იცი, გულ-ქვაო, შენმა ისარმა
გულში სიცოცხლე თვითვე ჩაჰკეცა!
იგი ჰკლავს, მაგრამ იგივე აცოცხლებს,
რამაც დასტანჯა, მან გაახარა...

იგი ყოფილა სიკვდილის შუბი,
მაგრამ სიცოცხლევ თურმე ის არი!

(იქვე)

* * *

სევდა-მწუხარება, იმედგაცრუებულობა, დაქანცულობა, ხში-
რად სასოწარკვეთილებამდე მისვლა გრ. აბაშიძისათვის ბუნებრივია
და დამახასიათებელიც; პოეტს თითქოს ცხოვრებაში ნიადაგი დაუ-
კარგავს; თითქოს ის მიწისა და ცის შორისაა ჩამოკიდებული, უსა-
ქეოდ და უაფროდ დაიარება; აღარაფერი მას აღარ ახარებს, არ იზი-
დავს, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჩვენი რომანტიკოსი პოეტები-
სათვის.

მაგრამ დროდადრო პოეტს იმედი კვლავ უბრუნდება და მისი
ნიჭიც იმედიანობის ნაკვესებს აბნევს, მისი ჩანგი ინედიანობის მო-
ტივს გატაცებითა და შეუპოვრად აყდერებს.

ასეთი მოვლენა გრ. აბაშიძის შემოქმედებაში სრულიად გასაგე-
ბია. გრ. აბაშიძე ცხოვრობდა დიდი სოციალური და პოლიტიკური
ძვრების პერიოდში. გარემო ცხოვრებაში 60—80-იან წლებში ად-
გილი ჰქონდა მასების მძლავრ აღმავლობას. ამ ნიადაგზე თვალაჩი-
ნოდ განვითარდა თერგდალეულთა და ხალხოსანთა გაღვიძებული,
მძლავრად ამოქმედებული იდეური მოღვაწეობა. ამ მოძრაობამ
ჩვენი მიძინებული, დაძაბუნებული საზოგადოების ცხოვრებაც გა-
მოაფხიზლა, აამოქნედა, გათვითცნობიერების გზაზე დააყენა. გაი-
შალა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, გაიშა-
ლა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა; დაბეჩავე-

ბული, გაუპიროვნებული, „უენო“ გლეხი და მშრომელი ხმას იღებდა, ირაზმებოდა, თავის ხვედრს თხოულობდა და იმედიანად გასცქეროდა ხვალინდელ დღეს.

გრ. აბაშიძემაც, რა თქმა უნდა, განიცადა საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობის აღმავლობა. მისი პოეტური ნიჭი 60—80-იან წლების მწერლების, განსაკუთრებით თერგდალეულების — ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის — იღებებისა და განწყობილების გავლენის ქვეშ მოჰყვა. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ გრ. აბაშიძის ჩანგი, თუ, ერთი მხრით, სევდის, წწუხარების, განუჩიევლობის, სასოწარკვეთილებისა და ძველის იდეალიზაციის მოტივებს, რაც რომანტიზმისათვის იყო დამახასიათებელი, საკმარისი სიმკვეთრით გამოსცემდა, არანაკლები სიმკვეთრითა და სიმახვილით ეხმაურებოდა ის თერგდალეულთა განწყობილებისა და შემოქმედების მოტივებსაც. ამ გზით ის რომანტიკულ სტილს თავისებურად, მისთვის დამახასიათებლად, ურთავდა რეალისტურს, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ვახ. ორბელიანისა და ნამია გურიელისათვის.

უდავოდ, სიმართლეს მოკლებული არაა გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი ნ-ძ ი რ ე ლ ი, როდესაც ის გრ. აბაშიძის პოეზიას შემდეგ შეფასებას აძლევდა: „მგოსანი (გრ. აბაშიძე. — მ. ზ.) შეილია წარსული საუკუნის ოთხმოციანი წლებისა, ოდეს ქართველთა ერმა საკმარად გამოიღვიძა თვითცნობიერების ნიადაგზე; მისი მუზა ასულია ამავე საუკუნის 60-იანი წლების ქართველი პოეტების მუზისა... იმის ლექსებს სიამოვნებით კითხულობდა ჩვენი საზოგადოება. მის ლექსებში ქართველი მკითხველი ჰპოებდა იმ აზრსა და გრძნობას, რომელიც ქართველ ერს ასულდგმულებდა... ეს გრძნობა-აზრები, ამასთანავე გამოხატულია წმინდა ქართული ენით“¹. ბუნებრივია, რომ გრ. აბაშიძის პოეზია 90-იან წლებში უფრო მეტად ამ რეალისტური მოტივების წყალობით გახმაურდა.

* * *

გრ. აბაშიძის შემოქმედებაში თერგდალეულთა გავლენის კვალს მრავალგზის ვხედავთ, პირველ რიგში კი პოეტის დანიშნულების გაგება-განსაზღვრაში. თერგდალეულებმა — ილ. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს და დამკვიდრეს შეხედულება პოეტზე, როგორც გულწრფელ, მტიკიე-შეუღრკეელ ნოქალაქზე, რომელიც გაბედულად და თავდადებულად ემსახურ-

¹ ნ-ძ ი რ ე ლ ი, „გრ. აბაშიძის პოეზია“, „ივერია“, 1903 წ., 16/III.

რება ხალსს, ცხოვრების უკეთესი — სამართლიანი გზის გამონახვას და ამ მიმართულებით მკითხველის დარაჴმევას. ამგვარ მუშაობაშია, მათი გაგებით, პოეტის დანიშნულების გამართლებაც და თვით პოეტისც ამაშივე პოულობს პირად ბედნიერებას, დაკმაყოფილებას. მოვიგონოთ ილ. ჭავჭავაძის პოეტის თქმა:

ერის წყლული მანდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
ღამედაგოს შტყივე გული.
(„პოეტი“)

ან აკ. წერეთლის ჩანგის (პოეტის) ძასილი:

სხვისი ბედით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად.
და მაინც არ ვაღიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად.
(„ჩონგური“)

ასეთივეა გრ. აბაშიძის შეხედულება პოეტზე და მის დანიშნულებაზე. გრ. აბაშიძე დაგუბებულ მტანჯველ სევდისაგან განტვირთვას მხოლოდ პოეტური მოღვაწეობით ახერხებდა; მხოლოდ პოეტური ჩანგის „სენთ ჯკურნალი ხმები“ აძლევდნენ შვებას მის გულს. პოეტი თვითონაც დაუფარავად ასე გვიმყლავნებს თავის მისწრაფებას პოეტური ქმედებისათვის:

ვით ჩვეული ვარ ტანჯვათა დროს ვაკვნესო ქნარი,
რომ ოღნავ მაინც მით დავიტკბო გრძნობა დამწვარი,—
მიყვარს სიმთ ქლერა თან ხმა-ტკბილი და თანაც მწარე,
გულის და სულის იგივე მტერი, იგივე მოყვარე!
თითქოს იგინი თან შეზრდოდნენ გულის მწარ ჰანგსა
და თანაგრძნობით, ვით სულდგმულნი, აძლევდნენ
ბანსა!
ხანა კვნესიან გულთან ერთად და ცრემლსა ღვრიან,
სან კისკისებენ, უდარდელად გაიმღვრიან.
(„ჩანგის სიმები“)

ამიტომეა, რომ პოეტი ასეთი გატაცებითა და გულწრფელობით მიიღტვის კალმისაკენ, ამიტომეა, რომ კალამი მან „ღმერთად და ხატად“ აღიარა. პოეტის განცხადებით, რაც უნდა „მწარე საკვნესი“ ჰქონოდა, კალამი მას „გულის ჳრილობას“ უსალმუნებდა, სპეტაკ ჳაღალღზე მის აზრებსა და ფიქრებს ჳქარგავდა და გულსაც სასი-

ოცნლოდ უგალონებდა სოლიე. პოეტი კაღნისაკენ მიისწრაფვის, —

რომ გამაზნეოს. გამასალღღოს,
ღამინარცხინოს ტანჯვა-ნაღველო,
და თვით საშოთხედ გაღამიქციოს
ეს კოჯოხეთი. სულის დამღრღნელი;
რომ გამიზნეოს მე სიყმაწუიღე,
ჩემი მცნებანი და ჩემი რწმენა.
ჩემი იმეღი, დახსნის იმეღი —
ეს ზეციური უსიტყვო ენა.
თან დამაჯეროს, რომ ქვეყნის ქუქუი,
რითაც სხვა მყისვე დაიმეხება,
მე ვერ შემმუსრავს და ამ მართალს გულს
ვერ შემოკბეღავს. ვერ შეეხება.

(ეპ. ისევ კალამს“)

აი ასეთ სამსახურს უწევს პოეტს კალამი, ე. ი. პოეტური მოღვეწეობაა მისი გრძნობათა წყარო. ამიტომაც მადღიერი პოეტი მას აღიარებს „ნამღვიღ მოკმეღ“.

პოეტს სრულიად ბუნებრივად მიაჩნია, რომ მისი ჩანგი ორნაირად ხმიანობს — სეღდის ჰანგებსაც აეღერებს და საგმირო ხმასაც გამოსცემს. პოეტის განწარტებით, ბრბო არაა მართალი, როღესაც მგოსანს უკიჟინებს, რომ ის თავისი აცრემღებუღი ჩანგის ჟღერით მას გულსა და სულს უწყლუღებს, საგმირო სასიამოვნო ხმეღს კი არ ასმენს, „შარბათში შხამს ურეეს“. ბრბოს ასეთს მცღარ მოთხოვნასა და შეხეღუღებს პოეტი აცრემღებუღი ჩანგის საშუაღებით ჩანგის ორგვარი ჟღერის ასეთს დახასიათებებს იღღევა. ჩანგი, პოეტის განმარტებით, —

შემცღარს გროვას თვალებს უხელს.
დასკიღსა ჰფენს სხიეს და ნათელს;
ჩაგრულთა და მართალთ ცრემღებს
ზღვად აგროვებს ერთად ყვეღას.
და ზანს აღღევს ის იჟიღან
ამონაკენეს კრულეღა-წყეღვღას.

(„მგოსნის ჩანგი“)

აი ამიტომ ქვითინებს მგოსნის ჩანგი მთად და ზარად. მაგრამ პოეტს თუ ნატვრა და ოცნება შეუღსრულღება, ბნელი ძალა და მისი ნება „ძირს დაეცემა, გაცამტვერღება“:—

მაშინ ნახეთ, აბა, ჩანგი,
რას დამღერს და ან რავვარად,

სულ სიცილად გადადნება
ხალხის გულის ვასახარად;
მუნ დასახებს საგმირო ხმებს,
სულის აღმზრდელს ძილის პირებს
და იმ დღიდან არასოდეს,
სიტყვას გაძლევთ, არ იტირებს!...
(იქვე)

მთელ რიგ ლექსებში („დასცინიან მგოსანს, მის ჩანგს“, „რაც ვინდოდეს, ის იყავი“, „წყარო“, „ცრემლთა წყარო“ და სხვ.) გრ. აბაშიძე გვიხატავს პოეტს, როგორც საზოგადოების ცხოვრების ფხიზელ, გულშემატკივარ, გაბედულ და გონაერ გუშაგს, რომელიც მკიდროდაა გადაკეანძილი ხალხთან, მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მის აწმყოსა და მომავალთან. გრ. აბაშიძის გაგებით და დახატვით, პოეტი ჩანგის ქლერით „ხალხს სწრთენის, ეტრფის წმინდა გულით, ნუგეშს უვლენს, გულს უძგერებს თავის ქვეყნის სიყვარულით“. გრ. აბაშიძის რწმენით, პოეტი დაეინებით ჩანგის ქლერით ხალხს შთააგონებს:

განათლებას, გამაზრებებს,
შრომას, ცოდნას, მტკიცე ძმობას.
(„დასცინიან მგოსანს, მის ჩანგს“)

გავლენა თერგდალეულთა შეხედულებისა პოეტზე და მის დანიშნულებაზე გრ. აბაშიძეზე ცხადია. პოეტის ჩანგისადმი წარდგენილი მოთხოვნები, უდავოდ, ეპოქის გადაუდებელი მოთხოვნები. და, პოეტიც მათ გაბედულად, ფხიზლად და პირუთენელად ეხმარება. ამიტომაც გრ. აბაშიძის ღრმა რწმენით, რომ პოეტი ასე მკიდროდაა ჩაქსოვილი ხალხის გულსა და გონებაში, რადგანაც პოეტი ხალხის ცხოვრების თანაზიარია, თანამგზავრი და მახლობელი არა ზარტო თავის სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც.

გრ. აბაშიძის რწმენით, პოეტი —

როს მოკვდება, ჩანგს თავის ერს
უნადერძებს, ჩააბარებს
და ის ჩანგი უკვდავ ქლერით
მკვდართან კავშირს დაამყარებს...
(იქვე)

მგოსნის მოვალეობის ასეთი გაგებით აიხსნება გრ. აბაშიძის პოეზიაში სევდისა, უკმაყოფილებისა და ვნებიანი ტრფობის მოტივთან ჩაქსოვილი პოეტის ეპოქის მოქალაქეობრივი მოტივები. გრ. აბაშიძე აქებს შრომას, აღიდებს ცოდნას, პატივს სცემს მუშას,

ერომელსაც უყვარს ოფლით ნაშოვნი ლუქმაპური, შესტრფის თავის
ქვეყანას და ოპტიმიზმით ცდილობს აავსოს მკითხველის გული და
გონება.

* * *

გრ. აბაშიძე, მიუხედავად ცხოვრების შეუფერებელი პირობე-
ბისა, მრავალი დაბრკოლებისა, მის მაღალ მისწრაფებათ რომ ელო-
ბებოდა, მაინც არ მოიღუწა, არ გატყდა, გამოუვალ სევდის რკალში
არ ჩაიკეტა. პირიქით, ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა ის, თით-
ქოს, გააკაჟა კიდევც, „კლდედ აქცია“ და სულით გააძლიერა. დაბრ-
კოლებათა „იერიშს“ ის „სიცილ-სიბრაღულითაც“ კი უხვდებოდა,
როგორც თვითონ პოეტის გვეუბნება. როცა პოეტს ასეთ ფხიზელ
მომენტებში ესმის საზოგადოების „ზნეთ გმობა და კიცხვა“, ის
კენისის, არ უნდა ყური დაუგდოს და დაემორჩილოს ამ ხმას; მაშინ
ის გადაშლის „წიგნსა იმედთა“ და იქიდან, ამბობს პოეტი —

ამოვიკითხავ: — „თუ ახლა
გულს მიკლავს სევდა-ნაღველი,
ხვალ ეს ყოველი გაქრება,
გაქრება მზითა, ვით ბნელი!“
(„არ მიგიკარებთ, სევდებო“)

პოეტიც არ ჰკარგავს მხნეობას, იმედით ივსება, გაკაჟებული
ხალისით მისდევს ერის ცხოვრებას, კვალდაკვალ, ღრმა რწმენით,
რომ დაბრკოლებები გადალახული იქნება. „სულით გაძლიერებუ-
ლი“ პოეტი მოსეულ სევდა-მწუხარებას ასე შესძახებს:

არ მიგიკარებთ, სევდებო,
არ მოკვდეს ჩემი გულია:
მეც მატკობს ჩემის ქვეყნისა
ლამაზი გაზაფხულია.

მეც დავკრეფ ია-ვარდებსა.
ბულბულს მოვუსმენ სტვენასა,
მეც მაყრულს ვერტყვი ბუნების
ქორწილს და სულის ღხენასა!...
(იქვე)

გრ. აბაშიძე, როგორც ზევითაც ხაზგასმით აღვნიშნეთ, მიუხე-
დავად საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე სოციალურ-პოლიტი-
კური პირობებისა, განიცდის მის უდავო აღმავლობასაც, ამიტომ ის

გაჰყვა თერგდალეულთა სკოლას. ცნობილია, რომ თერგდალეულთა ბრწყინვალე წარმომადგენლებმა ილ. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა დიდი გაცაცებითა და ძალით აქლერეს იმედის მოტივი. გრ. აბაშიძესაც იზიდავს იმედი. ისიც ლამობს თავის სახელოვან წინამორბედებს ბანი მისცეს და მისი „ბუკი და ნალარაც“ ილია-აკაკისავეთ გაუტეხელი, გაკაეებული ასე გაჰყვივს:

რას მიქვიან მწუხარება,
მრავალ გლოვა, კენესა ავზე.
ოდეს წინსვლის წმიდა სხივი
იმედს სახავს კამკამ ცაზე.
(„რას მიქვიან მწუხარება“)

აი, ეს „წმინდა სხივია“, რომ იტაცებდა ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს. ეს „წმინდა სხივია“, რომ პოეტის გრძნობასაც ძალას აძლევს და მის შემფოთებულ სულს „უსალბუნებს“, შრომისა და სიფხიზლისაკენ იწვევს, გზას უჩვენებს, ლამპარს ანთებს. ეს „წმინდა სხივია“, რომ, პოეტის განცდითა და თქმით:

სულის ძალას გვიძლიერებს
სხანს ცხოვრების განთიადი.
ყველა იღწვის, უღელსა ჰსწევს;
მაშ რად გვინდა კენესა, დარდი?
(იქვე)

ამ რწმენით აღფრთოვანებული, ძალამოცემული პოეტი სული-სათვის მარად „ურგებსა და მღრღნელ კენესას“ უკუაგდებს, ჩონგურს იმედის გამომცემ სიმებს აუწყობს და იმედიანად გაჰლიღინებს „მთად და ბარად“. ეს იმედიანობის მოტივი ზრდიდა, აღელვებდა, იტაცებდა გრ. აბაშიძის მკითხველთ.

სამართლიანი და მკითხველთა შეხედულებების მკვეთრი განმხატველი იყო გრ. აბაშიძის პოეზიის შეფასება გაზ. „ივერიის“ თანამშრომლის ნ-ძ ი რ ე ლ ის მიერ: „ჰკითხულობ გრ. აბაშიძის ლექსებს და გული იმედით გვესება. მისი მუზა არ ჰბადებს სასოწარკვეთილებას, არ ჩავგაგონებს სიძულვილს წუთისოფლისას. მის პოეზიაში ადგილი არა აქვს პესიმიზმს. იგი გამსჭვალულია გონივრულის ოპტიმიზმის გრძნობით. მგოსანი ამას კარგად გრძნობს. სწამს თავისი ნიჭის ძალა, ნათლად წარმოდგენილი აქვს ის სარგებლობა, რომელსაც მისი მუზა ქართველ ხალხს მიანიჭებს. და ამის განო ის თამამად იტყვის:

* * *

რაა კონკრეტულად გრ. აბაშიძეს რომ ანუგეშებს, აძლევს იმედს, ხალისს? ესაა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და მწერლობაშიც თერგდალეულების მიერ ფართოდ გაშლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვიძება, ამოძრავებელი მაჯისცემა, რაც ასე საამოდ აღლევებდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას და პოეტის გულსა და გონებასაც იტაცებდა.

გრ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძისა, ხოლო განსაკუთრებით აკ. წერეთლის, პოეტური სტილის დიდი გავლენის ქვეშ აღზრდილი, სარგებლობს წისი პოეტური სტილის სახვითი საშუალებებით, კერძოდ სიმბოლოებით, ალეგორიებით. გრ. აბაშიძეს აკაკისავით სამშობლო ეხატება „ცხრა კლიტულში“ მყოფი, მახეში გამბული, ხელ-ფეხ შეკრული. ლექსში „ტუსადის სიზმარი“ ტუსადის სახით, პოეტს საქართველო ეხატება, ყოველი მხრიდან შეზღუდული, ჩაკეტილი. მაგრამ, როგორც აკაკის მიჯაჭვული ამირანის, ცხრაკლიტულში მომწყვდეული ნესტან-დარეჯანის გათავისუფლების იმედი. რა სტოვეებს და ძალას აძლევს იმის ბუქსა და ნალარას მოუწოდოს მოძმეთ მათ გასათავისუფლებლად და საგრძნობ რეზონანსსაც იღებს, ისე გრ. აბაშიძესაც ეს იმედი ასულდგმულებს: საპყრობილეში მყოფ ტუსადს სიზმარშიც კი არა სტოვეებს გათავისუფლების იმედი; გათავისუფლების იდეა ტუსადისათვის, ე. ი. პოეტის სამშობლოსათვის, პოეტის გაგებით სიცოცხლის, არსებობის საკითხია. პოეტის ჩვენებით (და ეს მისი რწმენაა) ტუსადს ესიზმრება, რომ მის რკინის ფანჯარაზე ჩიტი შემოჯდა. ტუსადს მან უმღერა „გროვა საამო იმედების“ ჰანგებით და უთხრა:

...ზე აღსდგე! ჰა, აღვისრულდა
შენი დიდის ხნის საწადელით, —
აი, მოვიდა. მოგიახლოვდა
ბორკილთა შენთა დამსხვრეველიო.
აწ ისარგებლე თავისუფლებით
ეტრფოდე ვარსკვლავს, შხეს და მთვარესო...
მამათ მაყრული, საგმირო ხმებით,
შვილმაც შესძახე ტურფა მხარესო!
(„ტუსადის სიზმარი“)

¹ ნ-ძ ი რ ე ლ ი, „გრ. აბაშიძის პოეზია“, „ივერია“, 1903 წ., 16/111.

უცხო ფრინველის სიმღერის დამთავრების შემდეგ ტუსაღს ესი-
ზმრება, რომ ზის „რკინის ფანჯარაში“, „ნიშნად მტრისგან მისი და-
ხსნისა, მზის სხივმა შეირბინა“. აი ეს ოცნებაა, პოეტის სულს რომ
აალებს, სიამოვნებით უძგერებს გულს, ლომკაცად ზღის მას.

აღფრთოვანებული პოეტი ნახვითა და მით აღძრული იმედით
სასოებითა და მუდართ მამართავს განგებას:

თუ რომ უმანკო მქონდა წარსული,
ნურც მომავალი მომაკლდება-თქო!
(იქვე)

პოეტს ღრმად სწამს ეს ბედნიერი მონავალი. ამიტომ ის შავ-
ბედს არ ემორჩილება, ცხოვრებას ზურგს არ აქცევს, არ გაუბრბის,
მას სიცოცხლე სწყურიან და თავისი ეს დამატყვევებელი განცდა
მკითხველთაც უნდა გადასდოს. მკითხველთ პოეტი ასეთი ოპტიმის-
ტური სიმღერით მოუწოდებს:

მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება,
მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება,
მიყვარს მსოფლიოს ჩარხის ტრიასი,
ის არის ჩემი ბედნიერება!

.....
მით უფრო მიყვარს რომ სხვადასხვაობს:
ღღეს რომ ტანჯვაა, ხვალ ნეტარება!...
(„ოპტიმისტის სიმღერა“)

როგორი სიმართლითა და სიმკვეთრითაა განსახიერებული
გრ. აბაშიძის მიერ ქართველი ხალხის სიცოცხლის დიდი წყურვილი
90-იანი წლების საგრძნობი აღმავლობის ატმოსფეროში გაღვი-
ძებული!

* * *

რა იზიდავს გარემო ცხოვრებაში პოეტს? რა აძლევს მას აღ-
ფრთოვანების სტიმულს, სურვილს და ძალას? — რა თქმა უნდა,
პირველ რიგში ის გავრცელებული, ნტკივნიეული ბრძოლა ეროვნულ-
გამათავისუფლებელ ფრონტზე რომ იყო გაშლილი, ქართველ მო-
წინავე მოაზროვნე საზოგადოებას და მწერლობას რომ ამოძრავებ-
და, ბრძოლის პოზიციებზე რომ ამაგრებდა უხეში კოლონიური
პოლიტიკის წინააღმდეგ. გრ. აბაშიძეც ამ განწყობილებითაა გატა-
ცებული, ამოძრავებული, ის ამას არც მალავს და გადამღები ხალი-
სით ასე მღერის:

მიყვარს სამშობლო — ეს გმირთა მხარე,
მტრის ზარ-დამცემი, მოყვრის მოყვარე,
ის არის ჩემი სულისა ლოცვა,
ის არის ჩემი მზეცა და მთვარე.
(„ოპტიმისტის სიმღერა“)

სანშობლოს გაღვიძებისა და აყვავების იმედით ამოქმედებული პოეტის მისწრაფებანი ეთანხმებიან და ეხმაურებიან მისი მასწავლებლების, წინამორბედების — ილიასა და აკაკის სურვილებს; პოეტური ხერხების გამოყენებაშიც კი იგრძნობა მათი, განსაკუთრებით აკ. წერეთლის ზემოაგონება. გრ. აბაშიძეც თავის ჩანგს, რომლის სიმთა ელერაში პოულობს მისი ბუნება მთლიან განსახიერებას და რომლის სიმთა შეთანხმება გამოსცემს „მადლით მოსილ“ ტკბილ ხმას, — შენატრის, რონ ჩვენც — ადამიანთ მის შეხმატკბილებულ სიმეგობსავით —

გვქონდეს და გვწამდეს აგრე მტკიცედ შეკრული გული,
თანხმობა, ძმობა, ერთგულება და სიყვარული!...
ნეტაეი თქვენებრ ერთად ვგრძნობდემ ჭირსა და ლხენას,
ერთ საგალობელს ვაუბნებდეთ ჩვენს მრუდე ენას!...
(„ჩანგის სიმები“)

ასეთი განწყობილებით გამსჭვალული გრ. აბაშიძე, ბუნებრივია, სამშობლოს ერთგულ მცველად, ერთგულ რაინდადაა გადაქცეული. სამშობლოსადმი მიზიდულობა, იმის გათავისუფლება-გაჯანსაღებაზე ზრუნვა პოეტისათვის ყველაფრის შემწირველ მოვლენადაა გადაქცეული; ამ გრძნობას პოეტი პირად სიცოცხლეზეც კი მალლა აყენებს.

გრ. აბაშიძე, სატრფოსადმი დიდი დამატყვევებელი გრძნობით შებოჭილი, ასე მინართავს მას: მართალია —

შენში ღმერთმა დამისახა
სიამე და სიყვარული,
შენი გული ჩანგად მომცა
და ეღემად შენი სული.
ოცნებით ვკრებ იქ ყვავილებს
იქ არს ჩემი სიხარული.
მასთან ჩემი სულის ლოცვა
და სიცოცხლის ნაკადული.
(„სატრფოს“)

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდი გრძნობისა, მიუხედავად იმისა, რომ ის სატრფოს ტყვეა, მაინც სატრფოს გულწრფელად განუცხა-

დებს, რომ მის გულს ჰყავს კიდევ სატრფო, რომელსაც ის სიყვარულს უკმევს, რომელსაც ეტრფის, „ვით სალოცავს დიდებულსა“, რომლის „ცრემლს — ცრემლს ურთავს“ და „სიამეს სიხარულსა“.

ნუ შეშინებ — ის ერთია
საყვარელი ჩემი მხარე.
ძალ-დიდებით შემოსილი
ვარდ-ყვავილით მონარნარე.
ქრისტე მხსნელის მოიმედე.
ჩემი მზე და ჩემი მთვარე,
დიდებულთა წინაპართა
ეკლესია და სამარე!...
(იქვე)

თუ სატრფო პოეტს არ დაუშლის ამ სატრფოს (სამშობლოს) ტრფი-
აღს და წით მას იმედს არ მოუკლავს და არ ჩაუხშობს, მაშინ პოეტი
მზადაა სატრფოს გული გადაუხსნას, ფიანდაზად სული და გრძნობა
გადაუშალოს, „საბნად მთვარე გადაჰფინოს და ლეიბად მზე გაუ-
შალოს“.

მაგრამ თუ სატრფო პოეტს ამ სატრფოსადმი (სამშობლოსადმი)
ტრფობას აუკრძალავს, მაშინ პოეტი აღელდება, გამწარდება, ვით
დაპრცილი ლომი. ამ შემთხვევაში სატრფოს პოეტი ასე აფრთხილებს:

არ დაგზოგავ, დანით დაკლავ,
მიწასაც არ მიგაბარებ.
გარდაგვდებ ტიალ მინდვრად,
ყვავ-ყორნებსა გავახარებ
და იმ დღიღამ მხოლოდ სატრფოდ
ჩემს სამშობლოს აღვიარებ!...
(იქვე)

(იქვე)

გრ. აბაშიძის ეს ალტყინებული ძახილი დარღვეულ საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაში გაშლილ განაფხიზლებელ ეროვნულ-გამათავი-
სუფლებელ ბრძოლის ფრონტზე პოეტს აახლოვებდა ქართველი სა-
ზოგადოების მოწინავე ნაწილთან. სავსებით სისწორით გამოხატავდა
ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას
პოეტ გრ. აბაშიძისადმი ვაზ. „ივერიის“ თანამშრომელი ნ-ძირელი:
„მას (გრ. აბაშიძეს. — მ. ზ.) ერთხელაც არ უღალატნია ნამდვილ
ეროვნულ მიმართულებისათვის. მას სწამდა დიდი მნიშვნელობა ამ
მიმართულებისა. რომელიც სამოციანი წლების მგოსნებმა უანდერ-
ძეს. სამშობლო, დედა-ენა, მოძმე ერი განუტრეველად წოდებისა და

მდგომარეობისა, აი ის საგნები, რომელთაც მისი მუზა შესტროფოდა და დამღეროდა“¹.

* * *

გრ. აბაშიძემ, რომელსაც პირადი ცხოვრების მიმე პირობებში, ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევისას, წაინც სწამდა ქვეყნის გათავისუფლება, აღორძინება, სწამდა ბრწყინვალე მომავალი თავის ქვეყნისა, ისიც იგრძნო, რომ მომავალი ცხოვრების საფუძვლები და წამყვანი ძალები სხვაგვარისა უნდა შეიქმნას. გრ. აბაშიძემ საგრძნობლად განიცადა ეპოქის სოციალური ცხოვრების აღმავლობის გავლენა. იგრძნო, რომ მომავალი ცხოვრება უნდა შეიქმნას არა რომელიმე მცირე ნაწილისათვის, არამედ მასებისათვის, მშრომელთათვის.

გრ. აბაშიძეც თავის წინანობედთა მოღვაწეობის თანახმად მშრომელთა გაჭირვებულ მდგომარეობასაც, შრომისადმი პატივისცემასაც საკმარისი თანაგრძნობით ეხმაურება ლექსში „ღმერთი, ბატონო“. პოეტი დიდი თანაგრძნობით ხატავს გლეხ ბესიას, როგორც გონიერს, ჯან-ლონით სავსეს. ფხიზელ და დაულალავ მშრომელს, რომელიც „იღწვის, ოფლს ჰღერის, ვიდრე მზე ჩაეა — ძილს დააპირებს“. პოეტში სიამოვნებას, საღ განცდას იწვევს. რომ ბესია (აქ ბესია, რა თქმა უნდა, განზოგადებული სახეა მშრომელისა) ასეთს ყოველდღიურ შრომაში პოულობს ძალას, ხალისს, დაკმაყოფილებას. ის, პოეტის აღწერით, „ცისკარს აპყვება—მუშაობს, შრომას არ მოერიდება“. პოეტს ამ გარემოებაზე, როგორც ჩანს, ბევრი უფიქრია, საგრძნობი დაკვირვებაც მოუხდენია და, რამდენადაც მისი მსოფლმხედველობა მას ნებას აძლევდა, შეუვნიო კიდევ გლეხის — პატიოსანი მშრომელის საზოგადოებრივი და სოციალური ღირებულება.

ბატონი ხედავს, რომ ბესია, მეტად მცირე მიწის პატრონი, შეძლებული გლეხია და დაექვეებული ეკითხება მას — რით იძენს ქონებასა და რა გზით? ბესიას პასუხში ხაზი აქვს გასმული მშრომელ გლეხსა და მუქთახორა, სხვისი შრომითა და ხარჯით მცხოვრებ ბატონს შორის განმასხვავებელ თვისებებს, რომელშიც ჩანს მშრომელის უპირატესობა, მისი მორალური და ფიზიკური ძალა და პრიორიტეტი.

¹ ნ-ძ ი რ ე ლ ი, „გრ. აბაშიძის პოეზია“. „ივერია“. 1903 წ., 16/111.

ნადავლს არა ესკამ სვაევიით.

ის არ არს ჩემი მზიბველი.

...ემუშაობ

და ჩემი შრომა მაკეთებს.

(„ლმერთი, ბატონო“)

უპასუხებს თავის ცხოვრების გზის სისწორეში და სისალეში დარწმუნებულნი გლეხი ბესია.

ბესია ბატონისაგან განმასხვავებელ ნიშნებს უფრო აღრმავებს და ამკვეთრებს. მაშინ, როდესაც ბატონი არ მუშაობდა, სრულიად უაზროდ და გაუჭირვებლად ჰყიდდა მამა-პაპით დარჩენილ მამულებს, ჰყიდდა ნით ქვეყანასაც ნაწილ-ნაწილადაც და მთლიანადაც, გლეხი, პირიქით, დაუღალავად შრომობდა, სიფრთხილითა და მზრუნველობით ეპყრობოდა დოვლათს. აი როგორ უპასუხებს ბესია ბატონს:

ღვთის მადლით მეტს ვმკი სარჩოზე,

მეტს ვყიდი. — ვიძენ სახნავებს,

ვაერთებ, ვუვლი, ვუმატებ, —

ცოტ-ცოტა ხომ ბევრს ახვავებს!

(იქვე)

ამის გარდა, გლეხის დოვლათს ის ადიდებს, ზრდის, რომ ბესია მარტო არ არის ასეთ შრომაში ჩაბმული. მას ოჯახის წევრებიც ბავშვობიდანვე მხარს აძლევენ. „სამი ბიჭუკა! — სამივე მხარს მიჰქერს, მაძლევს შველასა“, — კმაყოფილებითა და თავისმოწონებითაც კი განუმარტავს ბატონს ბესია.

ბატონის თხოვნაზე ბესიამ მას აახლოს ერთი შვილთავანი, რომელსაც ის გაწრთვნის, რადგანაც ბავშვს „ვინ რას ასწავლის სოფლადა“, ბესია (თვით პოეტი) სოფლის, გლეხის ცხოვრების სისალისა და სისწორის სრულის შეგნებით, ასე უპასუხებს:

სოფელი, მამა მშობელი

კმარა მათ მაგალითადა,

მუშაკს ხალხი სწამს და შრომა

ხსნად და ცხოვრების ხიდადა...

(იქვე)

ბესიას ეს თქნა ეპოქის ძლევა მოსილი კარნახია. თვითონ პოეტური ხერხიც — კონტრასტი — დაპირისპირება მემამულისა (ბატონისა) გლეხთან ეპოქალური იყო — თერგდალეული მწერლების მიერ დაქინებით გამოყენებული მწერლობაში, რაც უპასუხებდა ეპოქის მძლავრ კარნახს. გრ. აბაშიძემაც განიცადა ამ კარნახის კეთილნაყო-

ფიერება. ისიც დარწმუნდა, რომ მომავალი ცხოვრება შრომის საფუძველზე უნდა დაემყნას და გაიშალოს. გრ. აბაშიძემ მოტანილ ლექსში დაგვანახვა შრომისა და გლეხის ცხოვრებაზე შეხედულების სისწორე, მისი ფასი. ამ საგულისხმო ლექსს პოეტი ათავებს გლეხისადმი ასეთი მიმართვით:

ღმერთიც შენ გიძღვის, მუშაკო.
და მომავალიც შენია!...

ეპოქის შრომის ჰიმნი, უდავოდ, ისმის გრ. აბაშიძის მეორე ლექსშიც — „მ უ შ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა“.

გრიგოლ აბაშიძე მძლავრადაა ეპოქის მოთხოვნილებებით ამოძრავებული. მას მიუღებლად მიაჩნია ადამიანის „უძრავად, უდარდელად“ ცხოვრება. მას დიდად აშფოთებს გარემოში გამეფებული „ძილი“. პოეტის გაგებით, ზძინარე კაცი „უსულოს ჰგავს“. პოეტი ყოველ ადამიანს, განსაკუთრებით კი ნიჭიერ, გონიერ ადამიანს, აუცილებელ მოვალეობად უთვლის საზოგადოების სასარგებლოდ შინაარსიან მოძრაობას, მოქმედებას, შემოქმედებას. ამიტომ ლექსში „მ დ ი ნ ა რ ე ს“ (იგულისხმება, საღ მოქალაქეს) პოეტი ასე მიმართავს:

ნუ, ნუ მოშლი ქვეა-ქუხილს,
გრგვინებით სული აჰყვავდების,
ვით ღრუბელს მზე — სულის წუხილს
ნეტარება ამოჰყვების!
ბრძოლა შეიქმს სულის ძალსა,
სულის ძალა — სიყვარულსა,
სიყვარული—სამართალსა,
სამართალი—სიხარულსა!...

აქაც იღეურადაც მოძრაობის, მოქმედების პრინციპის წანოწვევით და სტილისტურადაც კი იგრძნობა თერგდალეულთა დიდი გავლენა გრ. აბაშიძეზე.

საზოგადოებრივი მუშაობის აუცილებლობა, როგორც ეპოქისათვის დამახასიათებელი წამყვანი მისწრაფება, გრ. აბაშიძეს შესამჩნევად უგრძნვია და განუცდია და მას შეძლებისდაგვარად, შემოქმედებაშიც ჩაუქსოვია. მაგალითად, პოემაში „ც რ ე მ ღ თ ა წ ყ ა რ ო“ თამარი თავის გაზრდილ ე ლ ი ზ ბ ა რ ს ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ შემდეგს შთააგონებს:

დიდის ფიცით დავაჯალ
თავის ქვეყნის სიყვარული.
ესთხოვე: უნდა შეგითვისოს

ხალხმა, — იყოთ ძმურად ყველა,
 რომ ამგვარად მოგენიქოს
 მტერზე ძღვევა, ქვეყნის შველა.
 არ დაგჩაგროს სიღარიბემ,
 არ შეგიკრთეს ჰაბუქს გული,
 ღარიბსაც-კი შეუძლიან
 ქვეყნის წმინდა სამსახური;
 ნამუსი და სამართალი
 აღირჩიე გზად და ხიდად,
 არ შეგხარბდეს განძი, თვალი
 მდიდართ, — არ სცნო ლხენის წინდად.
 მოიპოვე ცდით და შრომით
 სარჩო, საცმელ-სამყოფელი,
 ძმას ეძმე და მტერს-კი წყრომით
 ასეი მწარე სასუმელი.

(„ცრემლთა წყარო“)

ელიზბარიც წმინდად ასრულებს გამზრდელის რჩევა-დარიგებას. ის ქვეყნის პირველსავე ძახილზე მხნედ, ღიადის ენთუზიაზმით მიდის მის სამსახურად. თავგანწირულად, სამაგალითოდ იბრძვის მტრის წინააღმდეგ, მისგან გამხნეებული ჯარი მას „ლომ-წინამძღვარს“ ეძახის. ელიზბარი ქვეყნისათვის თავს სდებს, გმირულად კვდება. ქვეყანა კი გამარჯვებულია. ელიზბარის გამზრდელიც დაკმაყოფილებულია აღზრდილის სახელოვანი მოქმედებით. ის მეფის წყალობაზე უარს ამბობს და მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

მატკობს ბედ-კრულს დღეს გალობა
 თავდახრილის ჩენის ერის.
 თან ისიც გულს მაცუვავილებს —
 ხალხს შევსწირე მსხვერპლად გმირი.
 მის დაკარგვას მიაღვილებს
 ეს რწმენა — და აღა. ვსტირი!...
 წყალობა-კი გლახაკთ კრებას
 უბოკე და დავრდომილებს...

(იქვე)

განზრდელს, თამარს სწამს, რომ ქვეყნის სასარგებლო მოქმედება უდიდესი იმპულსია საზოგადოებრივი ცხოვრების განმტკიცებისა, გაძლიერებისა და აყვავებისა. თამარს ღრმად სწამს და ანუგეშებს ისიც, რომ მიაი გაზრდილის, ელიზბარის გმირული სიკვდილი დაუვიწყარი, აღმაფრთოვანებელი დარჩება ხალხის გულში სამუდამოდ. და ასე განაგრძობს გონიერი გამზრდელი თამარი თავის უარს წყალობაზე მეფის წინაშე:

ძეგლს არა გთხოვს ელიზბარი —
ძეგლად აქვს მას ერის გული,
გმირთა ლოცვა, ლაშქართ ჯვარი,
ჩემი წმინდა სიყვარული...

(იქვე)

ამგევარი საზოგადოებრივი გრძნობებით ამოქმედებული ადამიანების მოღვაწეობა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს გამოფხიზლებულ საზოგადოებაში ცხოვრების იმ მძიმე პოლიტიკურ პირობებში, ამოძრავებს პოეტსაც. გრ. აბაშიძეს უკეთესი, სამართლიანი და ბედნიერი მომავლის იმედი ეძლევა. პოეტი გრძნობს კიდევ „გაზაფხულის ამ ძალას“ და თავის დამოკიდებულებას მისდამი, ე. ი. უკეთესი მომავლისადმი, ასე გამოხატავს:

მზის ამოსვლას ელოდება
სასობით ქვეყნად ყველა
და ზეცაზე ისახება
განახლების ცისარტყელა.
(„გაზაფხულის ამო ძალა“)

ნათქვამიდანაც ცხადი ხდება, რომ გრ. აბაშიძის შემოქმედებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობისა და მოწინავე დემოკრატიულად განწყობილ თერგდალეული მწერლების ზეგავლენით, რომანტიკულ მოტივებს საგრძნობლად ჩაექსოვა დემოკრატიული და ეპოქის აქტუალური საკითხებიც. ეროვნული გათავისუფლების, შრომის, ცოდნის, დახმარების, მშრომელის საკითხი. ბედნიერი მომავლის, ქვეყნის განახლების სტილური ნიშანი — ცისარტყელა — ნასესხებია გრ. აბაშიძის მიერ ილ. ჭავჭავაძის სტილის საგანძურრიდან.

* * *

გრ. აბაშიძემ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა აგრეთვე ნიჟიერი თარგმანებით რუსი (ლერმონტოვის, ალექსი ტოლსტოის, პლეშჩეევის) და უცხოელი (ვ. ჰიუგოსი, სიული პრიუდომის, კოპპესი, შილერის) მწერლების შემოქმედებიდან. გრ. აბაშიძეს, როგორც არა პროფესიულ მთარგმნელს, იზიდავდა ისეთი მწერლები და ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც მის განწყობილებას ეხამებოდნენ, ესიტყვებოდნენ. განსაკუთრებით კი პოეტი მიიზიდა ლერმონტოვმა,

რომლის შემოქმედებიდანაც მან ნიჭიერად თარგმნა: პოემა „მწი-
რი“ და ლექსები: „თერგის ძღვენნი“, „ოდეს ბიბი-
ნებს ოქროს ფერად პური მღელავი“, „წყნარო
ღამე“ და სხვა.

* * *

გრ. აბაშიძის პოეზია მკითხველს იპყრობდა მიმზიდველი, დახ-
ვეწილი პოეტური ფორმით. გრ. აბაშიძის პოეზია ხასიათდება რიტ-
მულად გამართული, აკაკისებურად მსუბუქი, ცქრილა ლექსით,
რომლის ზომაც, როგორც აკ. წერეთლის პოეზიისაც, ხალხური
პოეზიის საწყისებს ეყრდნობა. გრ. აბაშიძის ლექსისათვის ძირითა-
დად დამახასიათებელია რვა მარცვლოვანი ლექსი:

ნუ გინდა ვარდი, ნურც ია
— ა ა — ა — ა ა
ნურც განძი ოქრო თვალისა.
— ა ა — ა — ა ა

გრ. აბაშიძის შემოქმედებაში გვხვდება რვა მარცვლოვანი ლექ-
სი მაღალი შაირის სახისაც. ამ ზომას პოეტი ხმარობს აღფრთოვანე-
ბული გრძნობის გამოხატვისათვის:

ნორჩო შენნი შეენი თვალნი,
მრწამს ყოფილა გამოცანა!
ცის ქვეშეთი მომივლია
არ მინახავს მაგათთანა!
— ა ა — ა — ა ა

(„სიმღერა“)

რვა მარცვლოვანი ლექსის ზომითაა დაწერილი გრ. აბაშიძის
ლექსთა დიდი უმეტესობა.

შემდეგი დამახასიათებელი ლექსის ზომა გრ. აბაშიძის შემოქ-
მედებაში არის ათ მარცვლოვანი ლექსი:

როდესაც გიციერ — ტკბილად სძგერს გული,
შენღამი ტრფობით გატაცებული;
— ა ა — ა — ა ა — ა

ათ მარცვლოვანი ლექსის ზომით დაწერილია გრ. აბაშიძის ლექ-
სების შედარებით მცირე ნაწილი.

არის ერთი შემთხვევა 16-მარცვლოვანი ლექსისა — „ზამთა-
რი“; კიდევ ერთი შემთხვევა 14-მარცვლოვანი ლექსისა — „ჩანგის
სიმეზი“ და ერთი შემთხვევა 7-მარცვლოვანი ლექსისა — „სიმ-

ღერა სასოწარკვეთილისა“. ლექსის ყველა აღნიშნული ზომა დამახასიათებელი ზომაა თერგდალეულთა პოეზიისა.

* * *

გრ. აბაშიძის პოეზია მკითხველთ ხარბად იპყრობდა თავისი დიდი ემოციურობით, რაც შედეგი იყო პოეტის ჩვეულებრივი გულ-წრფელი ლირიკული განწყობილებისა, პოეტის მიერ მდიდარი ქართული პოეტური ენის თავისუფალი და მოქნილი სარგებლობისა და მის მიერ მდიდარ მხატვრულ საშუალებათა ნიჭიერი გამოყენებისა. ამისი თვალსაჩინოდ დამამტკიცებელია გრ. აბაშიძის შემოქმედებიდან ზემოთ მოტანილი ნაწყვეტები. ნიმუშისათვის კიდევ მოვიტანთ ერთ პატარა ნაწყვეტს:

დილის ცვარი, ია-ვარდი
შევაზავე მელნად ყველა,
საწერელად ცის ლაქვარდი,
ქალღალთ თვით ცისარტყელა,
კალმით მოკვერ სხივი მზისა,
კალმის ტარად შუქი მთვარის,
მოვიპოვე მაღლი ცისა,
ტკბილნი ჰანგნი მხიბლავ ქნარის,
რომ ალბუშში გულ-ამძგერი
ლექსი ტრფობით ჩამეწერა,
რომ ქებითა მშვენიერის
ნორჩი გული ამეძგერა.

(„საამო მოგონება“)

ამ ნაწყვეტში თითქოს მკვეთრი თვითშეფასებაცაა ავტორის მიერ თავისი მუზის აღტყინებული შემოქმედებისა.

მდიდარია ახალი, გაუცვეთელი სახვით საშუალებათა სახეების გამოყენებით გრ. აბაშიძის პოეზია.

ნიმუშისათვის აღვნიშნავთ ზოგიერთს:

შედარება:

1. ვნახე ტურფა საარაკო,
უცხო ვარდი, მზე და მთვარე,
მომხიბლავი, ვითა ჭადო,
ვით ედემი მონარნარე.

(„ვენახე ტურფა საარაკო“)

2. თვით ბუნებას დაეხატა
გულის მეფე, სულის ძალა,
ნაზი, ვითა ყრმის სიზმარი,
სურვილების ტკბილი ლალა.

(იქვე)

3. შენ ხარ სიმღერა და სიყვარული,
ხარ უკვდავება და სიხარული...

(„სიმღერა“)

4. მაგრამ თუ მას აღმიკრძალავ, —
 ვით დაკვირვებ ლომს — გამაწამებ...
 („სატრფოს“)
5. ვით ღრუბელს მზე — სულის წუხილს
 ნეტარება ამოჰყვების...
 („მდინარეს“)

დაპირისპირება — პარალელი:

- | | |
|---|---|
| <p>1. შენ თუ მზე ხარ სხივ მომფენი,
 გამფანტველი ბნელ-წყვილიადის.
 მე — ცისკარი მოკაშკაშე,
 მოციქული განთიადის.
 („რაც გინდოდეს, ის იყავი“).</p> | <p>2. შენ თუ შენსა სხივთა კრებას
 შემოახვევ კილით-კილეს,
 მე ეუხარებ გულს იმედით
 მუშაკს ჩემსა გადაჰკილეს.
 (იქვე)</p> |
| <p>3. შენ თუ ზღვა ხარ ზვირთ-მრისხანე,
 მგრგვინავი და მოქუხარი,
 მე წყარო ვარ მოჩუხჩუხე
 კლდიდან კლდეზე მომჩქეფარი.
 (იქვე)</p> | <p>4. შენ თუ ებრძვი კლდის ნაპირებს,
 გემთა მუსრავე, უწყვეტ მტრობას,
 გულსა და მკერდს ვკოცნი მთა-ველს,
 ჩაეჩურჩულე თანაგრძნობას.
 (იქვე)</p> |
| <p>5. შენ თუ მუხა ხარ ასის წლის,
 სდგებარ დინჯად, მედიდურად,</p> | <p>მე ია ვარ თავდახრილი,
 ვილიმები საამურად.
 (იქვე)</p> |

მ ე ტ ა ფ ო რ ა :

- | | |
|---|--|
| <p>1. შენ მომივლინე შვება ნათელი,
 შენ გამიქარწყულე კვნესა, ნალველი...
 („სიმღერა“)</p> | <p>2. სისხლის ცრემლებით დნება
 მთელი ჩემი ბუნება,
 დაეშარებ იმედები
 ოცნება და რწმუნება.
 („სიმღერა სასოწარკვეთილისა“)</p> |
| <p>3. გენაცვლები, ფიანაზად
 სულს და გრძნობას გადაგიშლი,
 საბნად მთვარეს გადაგაფენ
 და ლეიზად მზეს გაგიშლი.
 („სატრფოს“)</p> | <p>4. სიყვარულზედა ზვირთნი გვიმღერდნენ.
 და ბანს აძლევდნენ გულის სიმები...
 („გახსოვდეს მაქედრო“)</p> |
| <p>5. სევდა იმედს ენაცვლება
 და სამგონსო აღტაცებას;
 ანავარდდა სული, გული,</p> | <p>გრძნობა წმინდა, მონარნარე
 თვალსაჩინოდ მოქარგული.
 ახავერდდა არე-მარე.
 („გაზაფხულის ამო ძალა“)</p> |

გ ა ნ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა :

- | | |
|---|---|
| <p>1. მოჩუხჩუხებს, მოცქრიალებს,
 ცივი წყარო მთილამ კლდეზე,
 ძირს აღერსით დასტრიალებს
 ვარდ-ყვავილებს მწვანე ველზე.
 („წყარო“)</p> | <p>2. მილამოს ჰრწყავს გულშემკობილს,
 ეტრფის, ჰკოცნის ქორთა ყანებს.
 შეჰკასკასებს ცას მოწმენდილს
 და უფესკრულში მიჰკაიანებს.
 (იქვე)</p> |
|---|---|

3. გახსოვს—ნიავე ცელქი და გრილი მეცილებოდა მე შენსა აღერსს,
 ბულბული სტვენდა გრძნობით აღესილი, ვართ იმჩნევდა შენს ტურფა ლაწვებს!
 („გახსოვდეს მაცდურო“) („მთას“)

5. სტყორცნა ცის ლურჯსა კამარას დილის მზემ თვისი ისრები,
 და აღისფერად შეღება ზოლად გაკრული ღრუბლები;
 ბაკე დამჭდარმა მთოვარემ აკრიბა მკრთალი სხივები;
 განჭრენ ვარსკვლავნიც მზის სხივით ჯაბნილნი ღარცხენილები.
 („ლილა“)

ჰ ი პ ე რ ო ლ ა :

1. ნეტავ მქნა ლამპრად ბუნების,
 რომ სხივებითა ნაზითა
 დაგიწნა ჯილღ დიდების,
 ნაქები სილამაზითა,
 თავი შეგიმყო შევნებით
 უცხო რამ სანახავადა,
 მთელი ქვეყანა ვედრებით
 რომ გთვლიდეს სალოცავადა...
 („ნატვრა“)

2. სისხლის ცრემლებად დნება
 მთელი ჩემი ბუნება...
 („სიმღერა სასოწარკვეთილისა“)

3. მათის ისრით გაგმირულსა
 არ გამიჩნდა ხსნა და შველა,
 ამ ორ გვარმა სულსი ფრეოლამ
 დამადნო და დამანელა.
 („სიმღერა“)

4. მტრედის ფერს ცაზედ ვარსკვლავნი ჰკრთიან
 ბუნებას ეტრფის ლამაზი არე,
 შენის შეხედვით განცვიფრდებიან
 ცაზედ ვარსკვლავნი, პირბადი მთვარე...
 („ოხ, მარგალიტავ!“)

5. თუ ნიავე-ქარად შენ გარდიქმნები,
 მომხიბლავე მზეთა გარდაქცეული,
 ცის დავაშეენებ, ქვეყანას მოვრთავ,
 სულს დავამშვიდებ, დაცხრება გული.
 (იქვე)

მ ი მ ა რ თ ვ ა :

1. არ მიგიკარებთ, სევდებო,
 არ მოკვდეს ჩემი გულია:
 მეც მატკობს ჩემის ქვეყნისა
 ლამაზი გაზაფხულია.
 („არ მიგიკარებთ“...)

2. ოჰ, მარგალიტავ, ჩემო ლამაზო!
ნუ ნუ დამიშლი, მე შენსა ცქერას,
მომიხსლოვდი, ჩემო სიცოცხლევ,
ყური დაუგდე ჩემსა სიმღერას.

(„ოხ, მარგალიტავ!“)

3. ნეტავ შენ, ჩემო მესტიერე,
დარდი არა გაქვს არაფრის,
არავისი ხარ მეძვიერე, —
არვინ წყალობას არ ავერის...

(„მესტიერე“)

4. გახსოვს, მაედურო, შენ ის საღამო,
ის მოკაზმული უცხო ქვეყანა.
ცრემლი და ფიცი სალხენ-საამო
და სიყვარულის ციური ნანა?

(„გახსოვს, მაედურო...“)

5. მთაო, თვალ-უწვდომ წვერვალ
ცისთვის რომ მივიბეჯენია,
ნუ იხვევ ნისლს და ღრუბლებსა,
შვად თენდების დღენია!

(„მთას“)

მოტანილი ნიმუშებიც მკითხველს ადვილად არწმუნებს, რომ გრ. აბაშიძის პოეტური ლექსიკა სახვით საშუალებათა (ეპითეტი, მეტაფორა, შედარება და სხვ.) ბუნებრივ გაერთიანებულ კომპლექსშია მოცემული, რაც მას უფრო ამახვილებს, დიდ ემოციონალობასა და გამოხატულების ძალას ანიჭებს და მკითხველშიც ღრმა პოეტურ შთაბეჭდილებასა ჰქმნის.

გრ. აბაშიძის პოეტიკის მდიდარ სახვით საშუალებებიდან შეიძლება სახეების უფრო მეტი რაოდენობით ჩვენება, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნულიც საგრძნობი რელიეფობით იძლევა პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის ნიჭიერ, არაშაბლონურ მრავალფეროვან ბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პოეტური ხერხები გრ. აბაშიძეს თავისი წინამორბედი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა მდიდარი პოეტური სალაროდან მოაქვს. გრ. აბაშიძე ახლოა როგორც იდეურობის, ისე პოეტური ხერხების მხრივ თერგდალეულ მწერლებთან, რომელთა შემოქმედების ბუდეში მოიშუშა, ფეხი აიდგა და გაიზარდა მისი პოეტური ნიჭი.

კობე მაყაზვილი

1876 — 1927

კობე მაყაზვილი და მისი პრეტური შემოქმედება ერთ-ერთი თვალსაჩინო, კოლორიტული მოვლენაა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის გარდამავალი, საკმარისად რთული პერიოდისა, XIX. და XX საუკუნეთა მიჯნაზე რომ იშლებოდა.

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი რუსეთისა და მასთან ერთად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხასიათდება სირთულითა და მწვავე წინააღმდეგობით.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებიდან რუსეთში და მის ზეგავლენით საქართველოშიც, საგრძნობი სისწრაფითა და სიძლიერით ვითარდება კაპიტალიზმი. ბურჟუაზია უკვე წამყვანი კლასია სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ეს გარემოება თანდათან აძლიერებდა მშრომელთა კლასის ექსპლოატაციას და რეფორმის შემდგომი სოფლის გადატაკებას, პროლეტარიზაციას იწვევდა. 1861 წლის საგლეხო რეფორმით გაქურდული, გადატაკებული მშრომელი გლეხობა მრავლად სწყდებოდა სოფელს, სტოვებდა შეჩვეულ სახლს, „ტანჯვის ბუღეთ გადაქცეულს“, და ქალაქებში ეძებდა ცხოვრების საარსებო წყაროს — სამუშაოს. მაგრამ სამუშაოს ის ვერ შოულობდა, ვინაიდან აგრარულ კრიზისს მაშინ თან სდევდა სამრეწველო კრიზისიც. მიწადაკარგული გლეხობის არმიას უერთდებოდნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან დათხოვნილი მუშები.

ამ დროისათვის დაირღვა რუსი ხალხოსნების ილუზიები რუსეთის სოციალიზმში გადასვლისა კაპიტალისტური სტადიის აცილების გზით. რუსი ხალხოსნებისათვის ალექსანდრე II-ის მოკვლა გედის სიმღერა იყო. აქედან იწყება მათი დარღვევა. ხალხოსნების მიერ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ რუსეთის (იქიდან საქართველო) პოლიტიკურ ცხოვრებაში განმტკიცდა შავი რეაქცია საშინელი ტერორით. მთავრობის ტერორი თანდათან მძიმე ფორმებს იღებდა.

რუსი საზოგადოების ცხოვრების ცა მძიმე, ტყვიისფერი ღრუბლებით მოიგრაგნა.

დაახლოებით ასევე ახასიათებს ალექსანდრე III-ის მეფობის პერიოდს ცნობილი რუსი მწერალი-სატირიკოსი ს ა ლ ტ ი კ ო ვ-შ ჩ ე დ რ ი ნ ი თავის „Письма к тетеньке“-ში: „გასაკვირველია, თითქოს სევდიანობაა, ატმოსფერა, თითქოს, სატუსალოს მდგომარეობითაა გაყდენილი, სინათლე არა სჩანს, ხმა არ ისმის, გარშემო მთლიანი ბინდია, რომელშიც დაფარფატებენ უსიცოცხლო არსებანი... და მათ შორის აქეთ-იქით აწყდება ბოროტებისაგან გახელებული მოხალისე-მზვერავთა ხროვა... ყოველ საათში უნდა თავს ეუბნებოდე: არა, შეუძლებელია, რომ ასე დარჩეს“.

მთავრობის მძვინვარე ტერორის ქვეშ ინტელიგენციის საგრძნობმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ლიბერალურ-პროგრესულ იდეებსა და ტრადიციებს, დადგა მთავრობასთან შერიგების, შეთანხმების, შეგუების პოზიციაზე. საზოგადოების ფართო ნაწილში გავრცელდა გაურკვეველობა, ინდიფერენტიზმი, მოღუნება, უპერსპექტივობა, სკეპტიციზმი, რენეგატობა. ამ ეპოქის საუკეთესო გამგები, შემფასებელი და ამსახველი დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გო რ კ ი ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „რეაქციის მძიმე რუსი ღრუბლები დაცურავდნენ ქვეყნის თავზე, იმედის კაშკაშა ვარსკვლავები ჰქრებოდნენ; სასოწარკვეთილება და სევდიანობა ახრჩობდა ახალგაზრდობას; შავი ძალების გასისხლიანებული ხელები კვლავ ქსოვდნენ მონობის ბუღეს“¹.

გაბატონებული რეაქცია ცდილობდა ჩაეხრჩო მძლავრი ქარიშხლიანი სულიერი განწყობილება საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ აცხოველებდა. რეაქციის დაწოლა, რა თქმა უნდა, თავისებურ კვალს აჩნევდა ქვეყნის მდგომარეობას. საზოგადოების ფართო ნაწილში განმტკიცდა ფილისტერული წვრილი ინდივიდუალიზმი, პირად ბედნიერებაზე ზრუნვა არსებულ პირობებში. მოღუნდა გრძნობა და შეგნება სოციალური, მოქალაქეობრივი კავშირისა. საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილების ნიშნები არ ჩანდა.

მაგრამ, მეორე მხრით, მიუხედავად ყველა ამისა, მოწინავე კულტურულმა ძალებმა არ დაიხიეს თავიანთი პოზიციებიდან. მათ მედგრად განაგრძეს ბრძოლა ახალი მონაპოვრების მიღებისათვის. ამავე პერიოდში საკმარისი სიცხადით შეიმჩნევა მშრომელთა მასების თანდათანობითი გამოფხიზლება-აღმავლობა, დარაზმვა. გამოფხიზლე-

¹ М. Горький. Несобранные литературно-критические статьи. Гослитиздат, 1941, стр. 392.

ბული მშრომელთა მასები, წინამორბედებთან შედარებით, უფრო მკაცრად აწარმოებენ ბრძოლას მონარქიულ წყობილებასთან მონობის ბორკილების დასამსხვრევად, სახელმწიფოში ჰეგემონიის ხელში ჩაგდების მიზნით, უკეთესი, სამართლიანი, თავისუფალი, თანასწორი ბედნიერი ცხოვრების დანერგვა-განმტკიცებისათვის.

1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში თავის მჩაგვრელებთან რუსმა და მასთან ერთად ქართველმა მუშათა კლასმაც ბრწყინვალედ და თვალსაჩინოდ გამოამჟღავნეს თავისი რევოლუციური შესაძლებლობაცა და უნარიც.

საზოგადოების რევოლუციურ აღმავლობას 90-იან წლებში ხელი შეუწყო, გარდა ეკონომიური მდგომარეობისა — კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა, შემდეგმა მოვლენებმა:

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდანვე (1891—1892 წწ.) რუსეთში დაიწყო საშინელი შიმშილი, რაც ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. შიმშილს დაერთო ხოლერის ეპიდემიის მძინვარება, რამაც გამოიწვია მოსახლეობის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გლეხობისა და მშრომელთა მასების უმწეო მდგომარეობა და განადგურება. ამ გარემოებამ გამოააშკარავა მთავრობის მიერ მიღწეული წყობილებისა და „სიწყინარის“ სისუსტე და მიუღებლობა. შიმშილთან და ხოლერის ეპიდემიასთან ბრძოლაში გამოემჟღავნა ბიუროკრატიის უმწეობა და მისი ბოროტი, არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ხალხისა და მისი გაჭირვებისადმი.

ფართო საზოგადოების მონაწილეობა შიმშილსა და ეპიდემიასთან ბრძოლაში დასაბამიდანვე გადაიზარდა საზოგადოების ფართო ინიციატივისათვის ბრძოლაში, დაზარალებულ ხალხისადმი დახმარების საქმეში. საერობო თვითმმართველობების პროგრესული მოღვაწენი სოფლის დასახმარებლად ჩამოსულ დამხმარე ინტელიგენტთა რაზმებთან მალე ერთიანდებიან ბრძოლაში მშვიერთა, უილაჯო ხალხის მასების დახმარებისა და საზოგადოებისათვის უბედურთანამდვილი მდგომარეობის გაგებინების უფლებისათვის.

ბიუროკრატიას დაეტყო აბნეულობა, რამაც ის აიძულა საზოგადოების თვითმოქმედებისათვის ხალხის დახმარების საქმეში მიეცა გასაქანი. ამ გარემოებამ კი საზოგადოებაში შეანელა რწმენა მთავრობის განუსაზღვრელი სიძლიერისა; სამაგიეროდ, განამტკიცა მისი რწმენა თავის ძალებისა და შესაძლებლობისა.

შიმშილისა და ხოლერის ეპიდემიის წლებმა და დახმარების მიზნით სამოქმედოდ გამოწვეულმა საზოგადოების ინიციატივამ, ერთი მხრით, თითქოს გაათავისუფლა ალექსანდრე III-ის რეაქციით შებორკილი საზოგადოებრივი ინსტინქტები, რამაც სათავე მისცა

საზოგადოების გრძნობებისა და განწყობილების გათავისუფლებას გაბატონებული რეჟიმისაგან და, მეორე მხრით, ინტელიგენციის აქტიური წრეების მსოფლმხედველობაში გარდატეხა გამოიწვია.

ამ მოვლენებმა, როგორც ამ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების არა ერთი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, მძლავრი ბიძგი მისცა რუსი ინტელიგენციის თვითშეგნების, როგორც დამოუკიდებელი ძალის. ახალ აღმავლობას. ხალხის უბედურებამ ინტელიგენციას დანახვა მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრაქტიკული მოღვაწეობით უშუალო ჩარევის მნიშვნელობა; მისი მონაწილეობის აუცილებლობა ქვეყნის საზოგადოებრივი და სამეურნეო პროგრესის გზით წარმართვისათვის. ამასთანავე შიმშილმა და ხოლერამ ინტელიგენციას უფრო მკაფიოდ დანახვა გლუბკაცობის კულტურული უმწეობა, სიბნელე და უძრაობა.

საზოგადოებაში მომხდარი ეს მოვლენები თავისებურად ვლინდებოდა ლიტერატურაშიც, რომელიც ცდილობდა მხატვრული შემოქმედების საშუალებით წარმოებულ პროპაგანდაში შეეტანა რადიკალურ-დემოკრატიული იდეები.

რუსეთის საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ ვითარებას, რაც, რა თქმა უნდა, საერთო და დამახასიათებელი იყო ქართული საზოგადოებისა და ლიტერატურისათვისაც, კიდევ ემატება საქართველოს, როგორც დამორჩილებული კოლონიური ქვეყნის თეერის. შევიწროებული პოლიტიკური მდგომარეობის უფრო მძიმე პირობები. მეფის რუსეთი თავისი უხეში კოლონიური პოლიტიკით „ინოროდცებს“, განსაკუთრებით განაპირა კუთხეების მცხოვრებთ, დამორჩილების, ჩაგვრის უხეში მეთოდებით ებრძოდა. მეფის რუსეთი მასში შემავალ დამორჩილებული ერებისათვის ხომ „ციხედ იყო გადაქცეული“.

აი, ამგვარ რთულ, წინააღმდეგობით სავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში იზრდებოდა კოტე მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი და მისი პოეტური ნიჭი. ამ პირობებმა, რა თქმა უნდა, სათანადო გავლენა მოახდინა მის აღზრდაზე, მის ფსიქიკაზე და მის მსოფლმხედველობაზე.

* * *

კ. მაყაშვილი, როგორც თვითონ წერს თავის ავტობიოგრაფიაში, დაიბადა 1876 წლის 26 ნოემბერს, ყოფილ თელავის მაზრის სოფელ იყალთოში. მამამისი ზ ა ქ ა რ ი ა (შაქრიკო) მაყაშვილი, პოეტის დახასიათებით, იყო „წერილი მემამულე, ღარიბი, მაგრამ გამჭირაზი

და გონიერი კაცი... უყვარდა ძველი ქართული მწერლობა, თავის-
უფალ დროს კითხვას ანდომებდა, უკრავდა თარზე კარგად“¹.

დელა კოტე მაყაშვილისა -- ნი ნო იყო აბელიშვილის ქალი,
ყოფილი თელავის მაზრის სოფელ ოჟიოდან, შინ გაზრდილი ქალი:
რომელსაც ქართული წერა-კითხვა ოჯახში ჰქონდა შესწავლილი;
ის იყო მუყაითი მეოჯახე და ამასთან „მეტისმეტად გულკეთილი,
ჩუმი, უწყინარი და გულჩვილი ადამიანი“. პოეტის მოწმობით, დე-
დამის მშვენიერი ხმა ჰქონდა და საუცხოოდ მღეროდა ქართულ სიმ-
ღერებს. „არ დამავიწყდება, არას დროს, — იგონებს პოეტი, —
„სიზმარში ვიყავ, მოფრინდა მტრედი“. ამ ბაიათის მსმენელნი ყო-
ველთვის სტიროდნენ ხოლმე. ეტიროდი მეც, არ კი ვიცოდი რად.
სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ მაინც ვსტიროდი. დელაჩემის ხმა
ახლაც შორეული წარსულის გამოძახილივით ხშირად მესმის ხოლმე
და გული მევესება უსაზღვრო სევდით“².

ასეთი მგრძნობიარობისა და ჰუმანური თვისებების მატარებელნი
იყვნენ პოეტის მშობლები.

კოტე მაყაშვილი შემდეგშიც, მთელი თავისი ცხოვრების მან-
ძილზე ხასიათდებოდა ასეთი მგრძნობელობით. მისი მახლობლები
ადასტურებენ, რომ ის, როცა თეატრში ხედავდა წარმოდგენის
მგრძნობიარე სურათს, ან როცა კითხულობდა წიგნს, რომელშიც
მგრძნობიარე განცდა იყო ასახული, ხშირად ცრემლებს თურმე ვერ
იჭერდა. ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

პოეტის მშობლები ადრე დაწვრილშვილდნენ. მათ ჰყავდათ ცხრა
შვილი. ერთი ვაჟიშვილი ადრე გარდაცვლიათ. დარჩათ ოთხი ვაჟი:
სოლომონი, ილია, იოსები და კოტე და ოთხი ქალი: ევგენია, ბარბა-
რე, ანიკო და თამარი. შვილებში ყველაზე უმცროსი იყო კოტე,
ცხადია. ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის მოვლა-პატრონობა მცირე
მამულის პატრონს ზაქარია მაყაშვილს უჭირდა, თუმცა ოჯახს ზრუნ-
ვას არ აკლებდა. პოეტის გადმოცემით, „იგი (მამა პოეტისა—მ. ზ.)
უბრალო მუშასავით დღე და ღამ დასტრიალებდა თავს თავის მა-
მულს“, მაგრამ ოჯახის გაძლოდა თანდათან ძნელი ხდებოდა. ალბათ
ეკონომიურად შევიწროებულმა პირობებმა აიძულა ზაქარია მაყა-
შვილი უფროსი ვაჟიშვილები კადეტთა კორპუსში გაეგზავნა. კადეტ-
თა კორპუსში სწავლამ, ხოლო შემდეგ სამხედრო სამსახურმა, თითქ-
მის, გამუდმებით სამშობლოს გარეთ ყოფნამ დაავიწყა მათ ქართუ-
ლი ენა. მათ ოჯახში სალაპარაკო ენა რუსული შეიქმნა. აი რას გად-

¹ კ. მაყაშვილი, ავტობიოგრაფია.

² იქვე.

მოგვცემს თვითონ პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში: „ძმებს, პატარაობიდანვე, ოჯახიდან წასულთ, სრულებით ჰქონდათ დავიწყებული სამშობლო ენა. ჩვენ სახლში გამეფებული იყო რუსული ენა“.

ოჯახის მდგომარეობა უფრო გაუარესდა კოტეს მამის სიკვდილის შემდეგ. აი რას მოგვითხრობს თვითონ პოეტი: „ორი თუ სამის წლისა ვიყავი, რომ ერთი ძმა, რომელიც კიევის კორპუსში სწავლობდა, გარდაიცვალა. 5 წლისა ვიყავი, როდესაც მამა მომიკვდა. მცირე მამული და ოჯახი უპატრონოდ დარჩა. ჩვენი ოჯახი ჩავარდა გაქირვებულ მდგომარეობაში“.

ცნობილია, რომ იმ დროს, 80—90-იან წლებში ქართველ თავდაზნაურთა, განსაკუთრებით კი მცირე მამულის პატრონთა, მეურნეობა, შეიძლება ითქვას, უკვე გაცამტვერებულა. ალბათ, კოტე მაყაშვილის მახლობელი ნათესავებიც ასეთსავე მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ და ამიტომ სათანადო დახმარებასაც ვერ უწევდნენ მათ. ოჯახის დახმარება ისევ უფროსმა ვაჟიშვილებმა — სოლომონმა და ილიამ იკისრეს, რომელნიც სამხედრო სამსახურში ოფიცრად, ყოფილ ყარსის ოლქის დაბა სარაყამიში, მსახურობდნენ. იმ დროს ისინი უცოლშვილონი იყვნენ. მათ წაიყვანეს თავიანთთან მომდევნო ძმები — იოსები და კონსტანტინე. ცხადია, უცოლშვილო ოფიცრებმა — ძმებმა, სამშობლოს გარეშე მყოფ პატარა კოტეს ვერ შეუქმნეს სათანადო აღზრდის პირობები.

სარაყამიში ორი წლის ყოფნის შემდეგ პატარა კოტე წაიყვანეს ყოფილ ალექსანდროპოლში (გუმბრში), ახლანდელ ლენინაკანში, სადაც სამსახურში გადაიყვანეს მისი უფროსი ძმა სოლომონი. აქაც ქართული სიტყვა ბავშვს იშვიათად ესმოდა. მას გამუდმებით რუსულად ელაპარაკებოდნენ. ამის გამო მას, თითქმის, სრულებით დაავიწყდა მშობლიური ენა, რუსული კი მშვენივრად შეისწავლა. „შვიდი წლისა ვიყავი, — წერს პოეტი, — როდესაც სხაპა-სხუპით ვლაპარაკობდი და ვწერდი რუსულად“ (ავტობიოგრაფია).

ბავშვობიდანვე კოტე გამოიჩინებდა იშვიათი გულისხმიერებითა და ცნობისმოყვარეობით; გატაცებით ეწაფებოდა კითხვას. „საშინლად მიყვარდა კითხვა ზღაპრული ხასიათის მოთხრობებისა და თხზვა ახირებული ამბების“ — ვკითხულობთ პოეტის ავტობიოგრაფიაში. ამასთან ბავშვს ცელქობაც ძლიერ იზიდავდა. ხშირი მარტობა, სახლში ჯდომა, დიდებთან ყოფნა, ალბათ, ბავშვში საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა. „ცელქობამ იქამდე მიმიყვანა, — იგონებს პოეტი, — რომ ერთს მშვენიერ დღეს გაქანებულ ეტლს ქვეშ მოვეჭეცი. თავი ხუთ ადგილას საშინლად მქონდა დაჭრილი, რაღაც სასწაულით სიკვდილს გადავრჩი“ (იქვე).

რვა წლის კოტე ძმამ ისევ სამშობლოში გამოგზავნა. საჭირო იყო მის სწავლაზე სერიოზული ზრუნვა. დედამ რომ ნახა კოტე როგორ იყო ქართულს გადაჩვეული და, თითქოს, გაუცხოებული, წყენით თურმე წამოიძახა: „შვილი გამირუსეთო“. კოტეს დედა ნაწყენი იყო ამ გარემოებით მით უფრო, რომ კოტე, როგორც „ნაბოლარა“, ყველაზე მეტად უყვარდა.

მშობლების სახლში, სოფ. იყალთოში, პატარა კოტე დარჩა რამდენიმე თვე. ამ დროს მას მძიმე განცდა ეწვია — ქლეკით გარდაიცვალა მისი და ევგენია. ამ გარემოებამ დიდი მწუხარება გამოიწვია მის ოჯახში და პატარა კოტეც ძალიან დააღონა.

კოტეს დედა გრძნობდა, რომ კოტეს სწავლის მხრივ პატრონობა ესაჭიროებოდა. ეკონომიურად და მორალურად შევიწროებულმა დედამ კოტე გამოუგზავნა თბილისში თავის ძმას ნიკოლოზ (კიკო) აბელიშვილს, რომელიც აგრეთვე სამხედრო სამსახურში იყო ოფიცრად. კიკო აბელიშვილი ძალიან ეხმარებოდა თავის დას — კოტეს დედას.

ვერც ბიძასთან მოეწყო პატარა კოტე სასურველად. ბიძა სამსახურში დადიოდა. ბავშვს სახლში მარტოკას სტოვებდა. ვინაიდან იცოდა კოტეს ცელქი ხასიათი, სამსახურში წასვლისას სახლის ჭიშკარს კეტავდა, რომ ბავშვი ქუჩაში არ გასულიყო. კოტე თავის თავზე იყო მინებებული.

ბიძამისს თურმე სხვისგან მიბარებული რამდენიმე სკივრი ჰქონდა რუსული წიგნებით სავსე. კოტეს გაუღია ეს სკივრები და, თუმცა უსისტემოდ, მაგრამ ხარბად დასწაფებია კითხვას. „ღღე და ღღეს ვასწორებდი ამ კითხვაში, — იგონებს პოეტი, — რა არ იყო იქ. ჟურნალ „ნივა“-დან დაწყებული ტურგენიევი მოთხრობა-რომანებამდე. გარდა ამისა, იქ იყო მრავალი რუსულად ნათარგმნი უცხოელ მწერლების — ბალზაკის, ჟორჟ ზანდის, დიუმასი და სხვა... ეს ყველაფერი მე ძალიან ცოტა ხანში ვშთანთქმე. ასე გასიჩქეთ, კარამზინის ისტორიაც კი სიამოვნებით წავიკითხე. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ამ წაკითხულიდან არ მესმოდა, მაგრამ ეს გარემოება არ მაბრკოლებდა და კითხვას განვაგრძობდი... ამდენმა კითხვამ, ნამეტნავად სანტიმენტალურ რომანებისამ, მე მწერლობის საღერღელი ამიშალა. ცხრა წლისა ვიყავი, როდესაც დავეწერე პირველი ლექსი, რასაკვირველია, რუსულად და წავეუკითხე ჩემს დეიდაშვილს ნიკო ჯანდიერს. ამ ლექსს მოჰყვა სხვები“ (ავტობიოგრაფია).

კოტე ათი წლისა რომ შეიქმნა, ბიძამ ის სათავადაზნაურო სკოლის პირველ კლასში მიაბარა. მაგრამ, ალბათ, ვინაიდან მაშინ ამ სკოლას მიზნად ჰქონდა მოსწავლეთა მომზადება სახელმწიფო გიმ-

ნაზიებინათვის, ამ სკოლაშიც კოტე რუსულ წიგნებს დაეწაფა, რომლებიც თურმე საკმაოდ მოიპოვებოდა სკოლის ბიბლიოთეკაში. ამ დროს კოტეს იზიდავდნენ: მაინ რიდი, ვალტერ სკოტი, ებერსი და ა. შ. ამას გარდა, მან ლექსების წერასაც უმატა. „თითქმის ყველა ამხანაგს ვუძღვნიდი ლექსს“ — წერს ის თავის ავტობიოგრაფიაში.

სათავადაზნაურო სკოლაში კოტე სწავლობდა ორი წელიწადი. ის იქ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას თავს დაატყდა კიდევ ახალი უბედურება — გარდაიცვალნენ მისი და ბარბარე და დედა. „მძიმე, მეტად მძიმე იყო მათი სიკვდილი“, იგონებს პოეტი.

სათავადაზნაურო სკოლაში მეორე კლასის დასრულების შემდეგ, 1889 წელს კოტე გადაიყვანეს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მესამე კლასში. კოტეს გიმნაზიის ახლო ამხანაგი გ. ნათიშვილი (შემდგომში ექიმი) თავის „მოგონებაში“ ასე ახასიათებს მას: „ამხანაგებთან კოტე სიტყვა-პასუხში ძალიან ზრდილი და ფაქიზი აღმაინი იყო; მიუხედავად ამისა, კამათში გამანადგურებელი, გესლიანი დაცინვა იცოდა. ჩვილი გული, ღრმა მეგობრობა და ნაზი სიყვარული; სუსტის მომხრე, სნეულისა და მოხუცის, თუნდ რომ მტერნიც ყოფილიყვნენ მისთვის — შემბრალებელი. აი დამახასიათებელი რაინდული თვისებები კოტეს სიყმაწვილისა, რომელიც სიკვდილამდე მას თან გაჰყვა“¹.

ობლად დარჩენილი კოტე გიმნაზიაში სწავლის დროს ეკონომიურად თუ რამდენად იყო შევიწროებული, ამას მშვენივრად ადასტურებს მისი წერილი ძმის ილიასადმი: «Дорогой брат Илеко! Прежде всего желаю счастья и долгой жизни тебе! Что значит, что ты не пишешь письма ко мне или к дяде? Я, слава богу, здоров и учусь во 2-й классической гимназии. Наш директор объявил нам, что если мы не внесём в конце этого месяца, т. е. 1-го ноября за правоучение 20 рублей, то нам не позволят учиться в гимназии; итак, я прошу тебя дорогой, хотя знаю, что ты семейный, прислать хоть часть 20 рублей, если не сможешь послать целиком. Прости, брат, если я к тебе обращаюсь за этим делом, но что тут делать! Кто у меня защитник, пока я ещё молод. Не могу же я теперь войти в какую-нибудь службу и добывать себе всё необходимое! Но я уверен, что те деньги, которые будут заплачены в гимназию, не пропадут даром и буду и теперь учиться сверх моих сил. У дяди же столько долгов, что он не может внести за меня и 20 коп.

¹ გ. ნათიშვილი, „მოგონებანი“, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5775—ბ—63.

Прости, брат! Прости молю и не огарчайся тем, что я прошу. Я отлично знаю, что у тебя нет лишних, но что-же делать? Выходить из гимназии, только что поступивши, не удобно!

Но я заболтался, прости меня!

Поклон к твоей достойной супруге Соне и её родственникам. Целуют тебя: Тамара, Анико и дядя Кико!

Итак остаюсь до гроба твоим верным и любезным братом Коте Макаев.

Прости! Прости!

22 октября 1889 г. ¹.

ამ წერილს წერს 13—14 წლის კოტე. აქედან აშკარაა, რაოდენ მძიმე პირობები ჰქონდა ბავშვს და რა მწვავედ განიცდიდა მათ ღუბჯირ გავლენას.

კოტეს ამ ეკონომიურად შევიწროებულ მდგომარეობას ამ დროს ზედ დაერთო კიდევ ახალი უბედურება — გარდაცვალა მესამე და ანიკო, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარდა. აი როგორ გადმოგვცემს ის თავის ამ მძიმე განცდას: „როდესაც ჩემი დის ანიკოს სიკვდილიც გავიგე, გულშეწუხებულივით ვიყავი. მერე ისეთმა რისხვამ ამიტანა, რომ ფეხიდან წალა გავიძრე და ხატს ვესროლე ისტერიულის ყვირილით: „რა ჰქენი, შე უსამართლოვ, დედა, და... მუხლმოდრეკით ვლოცულობდი იმის განკურნებისათვის და ეს იყო შედეგი ლოცვისა?! ძლიერის სიმწვავეთ ვიგრძენი ობლობა... და ეს გრძნობა სამუდამოდ ჩამრჩა აგულში. იგი იქცა ჩემს მეორე „მე“-დ“ (ავტობიოგრაფია).

ამ მძიმე განცდებს ისიც დაერთო, რომ კოტე ბიძას ვერ მოურიგდა, წავიდა ბიძის ოჯახიდან. „აქედან იწყება მწუხარე ფურცელი ჩემი ცხოვრებისა... იწყება უღმობელი ბრძოლა არსებობისათვის. გაკვეთილებით ძლივს ვირჩენ თავს. ნახევრად მშვიერი დავიარები გიმნაზიაში. ვცხოვრობ სარდაფში, ბნელ კუთხეში... აი იქ დამებადა ის დიდი სიძულვილი ნებიერ ბურჭუაზია-ფეოდალებისადმი, რომელიც წითელ ზოლად არის გატარებული ჩემს ნაწერებში“ (ავტობიოგრაფია).

კოტეს გიმნაზიაში სწავლის პერიოდის შესახებ საგულისხმო ცნობებს იძლევა მისი გიმნაზიის ამხანაგი-მეგობარი გიორგი ნათიშვილი: „კოტე თბილისში ცხოვრობდა თავის ბიძასთან პოლკოვნიკ აბელიშვილთან, მალე თავი დაანება, გადავიდა თავის შორეულ ნათესავთან; ეს ნათესავი ჩვენივე გიმნაზიის მოწაფე იყო ლევან“.

¹ საქართველოს სახელმწ. ლიტ. მუზეუმი, № 5537—ხ—63.

ფ-ლი (ფავლენიშვილი, — შემდეგში ექიმი, აწ გარდაცვალებული. — მ. ზ.), რომლის ნივთიერი მდგომარეობა კოტეს მდგომარეობაზე უკეთესი არ იყო. მისი საცხოვრებელი ოთახი სიგრძე-სიგანით სამ არშინს არ აღემატებოდა. სინათლე შედიოდა ოთახში, თუ კარები გაიღებოდა; მაგრამ კარების გაღების დროს სინათლესთან ერთად ყინვა-სიცივე გუგუნით ოთახში შედიოდა. ედგათ კედელთან ორი ვიწრო ტახტი, შუაზე წიგნებით სავსე მაგიდა; აქვე კრაქისებური ლამფა, რომელიც იშვიათად ინთებოდა — ხან ნავთი აკლდა, ხან შეშა. პირველ ხანებში მობინადრეებმა სცადეს ოთახის მანგალით გათბობა, მაგრამ მყისვე ამას თავი დაანებეს, რადგანაც ერთ ღამეს კინალამ მანგალის ოხშივართ ეს ორი ბრწყინვალე თავადიშვილი თავგებივით არ ამოიხრჩნენ. მომეტებულ ნაწილად ისინი ცარიელ პურზე გადადიოდნენ. მიუხედავად ამისა სულიერი განწყობილება ამ ორი ყმაწვილისა ყოველთვის ჩინებული იყო... ვაივაგლახით ასე იცხოვრეს წელიწად ნახევარი... კოტეს მდგომარეობა ყველაზე უარესი იყო. დედ-მამა მას ადრე გარდაეცვალა. ნამდვილი გულშემატკივარი კი თბილისში მას არსაიღამ უჩანდა. 13—14 წლის ბავშვს უნდა ესწავლა კიდევ და ამავე დროს ცხოვრებასაც შეჰბრძოლებოდა. გატაცებული წიგნის კითხვა, როგორც კი იცოდა კოტემ, ავიწყებდა მას ობლობას და უღვივებდა მას მდიდარ ბუნებას, შემოქმედების ნაპერწკალს... მალე ნივთიერი მდგომარეობა კოტესი გაუმჯობესდა. გიმნაზიის ინსპექტორმა ივანე ევლოკიმეს-ძემ (გამყრელიძემ.—მ. ზ.) მას გაკვეთილები უშოვა მდიდარ ოჯახში¹.

თუ რა მძიმე გავლენა ჰქონდა ამ პერიოდის ცხოვრებას კოტე მაყაშვილზე, ამის შესახებ თვით პოეტი გვეუბნება თავის ავტობიოგრაფიაში: „ცელქი და მხიარული ბავშვი დაღვრემილ, გულდახურულ ყრმად ვიქეცი... ბევრჯელ, უკიდურეს მდგომარეობამდის მისულს, თავის მოკვლაც კი გამიზრახავს, მაგრამ სისრულეში არ მომიყვანია, ალბათ, იმიტომ, რომ, რაც უნდა იყოს, სული ტკბილიაო, ნათქვამია. ამ გაჭირვების დროს დიდ ზნეობრივ დახმარებას მიწვედა ჩემი საუკეთესო მეგობარი გიორგი (ყორაე) ნათიშვილის ოჯახი და ჩემი მეოთხე და თამარ თარხნიშვილისა, საყმაწვილო მოთხრობათა მწერალი“.

სიღარიბემ, გაჭირვებამ, ცხოვრების მძიმე პირობებთან ბრძოლამ ახალგაზრდა კოტეს საღი ბუნება ვერ გატეხა. ახალგაზრდა კოტე მხოლოდ დროებით თუ ეძლეოდა ხოლმე უიმედობას. ეს უი-

¹ გ. ნათიშვილი, „მოგონებები“, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5775—ბ—63.

მედობა კოტე მაყაშვილის განწყობილებაში და შემდეგ მის შემოქმედებაში საგრძნობლად გამოვლინებული, უნდა აიხსნას არა მარტო პირადი გაკირვებული მდგომარეობით, არამედ უფრო მასზე ბუნებრივი გავლენით მისთვის მახლობელი, ფეოდალური საზოგადოების გარკვეული წრის დაცემულობისა და უპერსპექტივობისა.

მაგრამ ასეთი დაცემულობის განწყობილება ახალგაზრდა კოტეში არ იყო წამყვანი. ყრმა კოტე შეგნებულად ებრძოდა ცხოვრების მძიმე პირობებს, სულიერად არ ეცემოდა, გამუდმებით მომავალი ცხოვრებისაკენ იცქირებოდა და არავითარ შემთხვევაში არ ითქვიფებოდა დაცემულობის გამომხატველ ადამიანთა წრეში, რომელიც მას გარს ეხვია ნაცნობ-ნათესაური კავშირის გამო. ეს მშვენიერად ჩანს ზემომოყვანილი 13—14 წლის გიმნაზიელ კოტეს წერილიდან თავის ძმასთან — ილიასთან.

აგრეთვე, აი რა საგულისხმო ცნობას ვპოულობთ პოეტის ერთერთ წერილში ცნობილ მწერალ ეკატერინე გაბაშვილთან, მაშინ თავის მომავალ სიდედრთან (ეს წერილი კოტე მაყაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილისადმი მიწერილი უნდა იყოს 1899—1900 წლებში, როდესაც ის ემზადება მწერლის ქალის თამარ გაბაშვილის ცოლად შერთვისათვის). ამ წერილიდან მოვიყვანთ მხოლოდ ნაწყვეტს: „დიდად პატივცემულო ძვირფასო დედა და ბატონო ჩემო ეკატერინე!... თქვენ მწერთ სილარიბისა ნუ გეშინიაო. სილარიბისა რომ მშინებოდა, მე ესლა კურდღელი ვიქნებოდი. რუსები ამბობენ: „Нет худа без добра“... ეს ანდაზა დიდმნიშვნელოვანი და გონივრულია: სილარიბემ თუ არ მიშველა, თუ არა მომცა რა — არა წამართვა რა. ვინ იცის, დიდი შეძლება რომ მქონოდა, მე ის ვიქნებოდი, რაც ვარ, დავინახავდი როდისმე უნივერსიტეტს? ჩავეწერებოდი, ალბათ ჩვენ მოქეიფე ახალგაზრდათა ჯგუფში და ფიზიკურ ბუმბერაზობაში დავლევდი ღარიბს, უშინაარსო სულს. არა ბატონო, მე არც ისეთი დიაცი (ლაჩარი.—მ. ზ.) ვარ, რომ სილარიბისა მეშინოდეს. პირიქით, მე სილარიბეს ისე შევეჩვიე, რომ ახლა რომ გავმდიდრდე, ვგონებ, ვინაღვლო კიდევ. ვისაც არ გამოუვლია ბრძოლა არსებობისათვის, ვისაც არ უნახავს ცუდი და მძიმე მხარე ცხოვრებისა, ის ვერ დააფასებს კარგს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩემის აზრით, საცოდავია ის კაცი, რომელსაც თვალი სულ ჯიბისკენ უქირავს და თუ იმ კაცს ასულდგმულებს მხოლოდ წუთიერი, მიწიერი რამ, თუ იმ კაცს აქვს ადგილი, მეტსაც ვიტყვი—იგი პირუტყვია...“¹.

აქ მშვენიერად იგრძნობა და იხსნება კოტე მაყაშვილის ლირი-

¹ იხ. საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5325—ხ—63.

კის სევდის ბუნება, მომხიბვლელად გამოთქმული ერთს მის ლექსში:
„ჩემი სევდა“:

მეზიზღება მეც ლაჩარი
მოწუწუნე ქნარი,
სევდა ჩემი. ოხ, არ არი
ცრემლით სველი ჩვარი!!
მახვილია იგი მჭრელი
ალივითა მწველი!
იმის შუკით დავარღვიე
მე წყვილიადი მხრწნელი¹!

ცხადია, კოტე მაყაშვილის ბუნება გაკვირვება-სიღარიბეში გამობრძმედილი, საღად დარჩენილია ფიზიკურადაც, გონებრივადაც და ზნეობრივადაც. ამით აიხსნება, რომ მან 1895 წელს წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. მიღებული ცოდნით ის არ დაკმაყოფილდა და ბედთან საბრძოლველად წავიდა პეტერბურგს (ახლანდელ ლენინგრადს) უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. იქ ის შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. დიდი დავიდარაბის შემდეგ მას თავდაზნაურთა საკრებულომ დაუნიშნა სტიპენდია თვეში 20 მანეთი.

ინტერესი ცოდნისა, სწავლის გაღრმავებისა, მიუხედავად სიღარიბის გამო არახელსაყრელი პირობებისა, კოტე მაყაშვილს დიდი შერჩა. ამით აიხსნება, რომ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ის გადავიდა აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. აი რას გვეუბნება პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში: „იურიდიული ფაკულტეტი რომ დავამთავრე, შევედი აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, რათა უკეთ შემესწავლა ქართული და ქართულთან ერთად სპარსული და არაბული... მაგრამ მომისწრო სტუდენტთა არეულობამ... მე მივიღე მონაწილეობა ამ არეულობაში და ამისათვის დამითხოვეს უნივერსიტეტიდან“.

როგორც ჩანს, კოტე მაყაშვილს უგრძვნია ქართული ენის სუსტი ცოდნა, მისი დაუფლების აუცილებლობა და სერიოზულად დაუწყია ქართული ენის შესწავლა. „დავიწყე კითხვა „დაბადებისა“, „სახარებისა“, — წერს ის, — წავიკითხე აგრეთვე „ვისრამიანი“ და სხვ. ვეწაფებოდი ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლექსებს. ბევრი ღრო და ენერჯია მოვანდომე ამას“ (ავტობიოგრაფია).

კაბუჯ პოეტს იქ, პეტერბურგში, სადაც აგრძელებდა გიმნაზიაშივე დაწყებულ ლექსების წერას რუსულ ენაზე, ქართული, რო-

¹ იქვე, №5666—ხ—63.

გორც თვითონვე ამბობს, კვლავ უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული: „ქართული ისევ ისე არ ვიცოდი და თუ ვიცოდი რამე, ისიც ისე, რომ არცოდნა უკეთესი იქნებოდა“. მტკივნეულად უგრძნობია მას თავისი აღზრდისა და ცოდნის ეს დიდი ხარვეზი და სერიოზულადაც მოუკიდია ხელი მისი შევსებისათვის. თუმცა პოეტს ამ მიზნის განხორციელება იქ, პეტერბურგში — აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე მეცადინეობით ვერ მიუღწევია, უნივერსიტეტიდან დათხოვნის გამო, მაგრამ ქართული ენის შესწავლისათვის ენერგიული მუშაობა გაუგრძელებია საქართველოში ჩამოსვლს.

კოტე მაცაშვილმა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1900 წელს შეირთო გამოჩენილი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ასული თამარ გაბაშვილი, შევიდა მასწავლებელ-აღმზრდელად ქართულ გიმნაზიაში. აქ საემარისად ხელსაყრელ გარემოში ის თავისუფალ დროს ანდომებდა სამშობლო ლიტერატურისა და ენის დაუფლებას.

ამ სტრიქონების დამწერი მაშინ ვსწავლობდი ქართულ გიმნაზიაში, ვიყავი უშუალოდ მისი მოწაფე (გიმნაზიის პირველ კლასში მასწავლიდა რუსულ ენას). ამასთან ვცხოვრობდი გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში, სადაც ის უფროს აღმზრდელადაც მუშაობდა. კარგად მახსოვს კოტე მაცაშვილის ხელში ქართული ძველი ლიტერატურის ძეგლები: „ვეფხისტყაოსანი“, „ყარაშანიანი“, „დავრიშანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. მისი მორიგეობა პანსიონში მოწაფეთათვის დღესასწაულივით იყო. რაღაც გამოუთქმელი სიხარულით შემოგვხვეოდით ხოლმე მას, ვაძლევდით სხვადასხვა შეკითხვებს, აღვნიშნავდით ამხანაგების სასაცილო სიცელქეს. უნდა დაენახა კაცს, როგორი მხიარული, სათნო, სასიამოვნო ღიმილით გვესაუბრებოდა, როგორც თანატოლ მეგობრებს. ის, თითქოს, დიდი ბავშვი, ფაქიზი, ზრდილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე, ალერსიანი მოპყრობით მოსწავლეებისადმი არაჩვეულებრივ კეთილშობილურ გავლენას ახდენდა ჩვენზე.

მაგრამ კოტე მაცაშვილი ქართულ გიმნაზიაში დიდი ხანი არ დარჩა. ის 1903 წელს ქართულ სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად აირჩიეს და იქ გადავიდა. პოეტის არქივში მრავლადაა შემონახული გამოსათხოვარი ლექსები კოტეს გიმნაზიიდან წასვლით გამოწვეული გულდაწყვეტილი მოსწავლეებისა.

ნიმუშისათვის, თუ როგორი ალერსიანი, მაღლიერი და თან მწუხარე გრძნობით ეთხოვებოდნენ მას გიმნაზიის პირველი კლასის მოსწავლეები — მისი უშუალო მოწაფეები — მოვიტანთ ამ ერთ-ერთი ლექსიდან პატარა ნაწყვეტს:

თქვენ იყავით ჩვენი ძმა-მეგობარი,
მასწავლებელი კეთილი, წყნარი.
და ამიტომაც ერთ-ერთის გაყრა
ჩვენ გვეძნელება და არის მწარე.
თქვენ შთაუნერგეთ უმანკო გულში
თქვენს შეგირდებსა ძმობა-ერთობა
და ამიტომაც კეთილი ხსოვნა
თქვენი ჩვენს სკოლას დიდხანს ექნება.

პირველი კლასელებისაგან
საყვარელ მასწავლებელს
1903 წ. ¹

ასეთივე გრძნობებით ეთხოვებოდნენ საყვარელ მასწავლებელ-
ალმზრდელს კოტე მაყაშვილს სხვა კლასების მოსწავლეებიც; განსა-
კუთრებით პანსიონერები.

კოტე მაყაშვილი ამავე ბანკში 1915 წელს არჩეულ იქნა დი-
რექტორად.

ბანკში გადასვლის წლებიდან ფართოდ გაიშალა კოტე მაყაშვი-
ლის სამწერლო და საზოგადოებრივი მუშაობა. ის ერთ-ერთი დამა-
არსებელთაგანია და შემდეგ გამგეობის წევრიც ქართული სიტყვა-
კაზმული მწერლობის საზოგადოებისა და ქართული ფილარმონიუ-
ლი საზოგადოებისა, აგრეთვე გამგეობის წევრია საისტორიო-საეთ-
ნოგრაფიო საზოგადოებისა, ქართული დრამატული საზოგადოები-
სა და სხვ.

1917 წელს, როდესაც დაარსდა სრულიად საქართველოს მწე-
რალთა კავშირი, კოტე მაყაშვილი არჩეულ იქნა მის თავმჯდომა-
რედ. ამ თანამდებობაზე ის, დიდი ნდობით, პატივისცემითა და ავ-
ტორიტეტით აღჭურვილი, მუშაობას განაგრძობდა 1926 წლამდე.

ამ პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით ბანკის დირექტორო-
ბის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის დროს, კოტე მაყა-
შვილი არაჩვეულებრივ, მისთვის გამუდმებით დამახასიათებელ
გულისხმიერებას იჩენს ფართო ქართული საზოგადოებრივი ცხოვ-
რების საკითხებისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გულის-
ხმიერი დამოკიდებულება ქართველი ნიჭიერი მოსწავლეებისადმი
შინ თუ საზღვარგარეთ, რასაც ადასტურებს იმ დროის მოსწავლე-
თა წერილები, უფრო საზღვარგარეთიდან, პოეტის არქივშიც კი
რომთა გადარჩენილი. აი როგორ აღნიშნავს ამ გარემოებას პოეტი
თავის ავტობიოგრაფიაში: „უშუალო დამაარსებელთაგანი ვარ სა-

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5655—ბ—63.

თავდაზნაურო დაწესებულებებთან ფონდის დაარსებისა, რომელიც დახმარებას უწყევდა მიმართულებათა განუზრახველად, ყველა იმ ხელმოკლე, ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომელთაც აღმოაჩნდათ ნიჭი მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და მუსიკის დარგში და რომელთაც ესაჭიროება განათლების მიღება-დამთავრება“.

ასე დაუღალავად, გარეგნულად შეუმჩნევლად, მორიდებულად, მაგრამ ფაქტიურად ფრიად ნაყოფიერად და აქტიურად მუშაობდა კოტე მაყაშვილი ქართული კულტურის აღორძინებისა და აყვავების სარბიელზე. ის ენერგიულად, აზრიანად ჰკვერავდა გზას მომავალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

სიკვდილის წინა წლებში, როდესაც პოეტს ავადმყოფობამ ხელი დარია, სევდამორეული ის ხშირად თურმე ეუბნებოდა თავის მეუღლეს: „არ მინდა სიკვდილი. ერთი რვა წელიწადი მინდა კიდევ ვიცოცხლო. მრავალი თემა, მრავალი სუფეტი მაქვს მოფიქრებული, მინდა მათი დამუშავება მოვასწრო“. მაგრამ პოეტს ეს ნატვრა, სამწუხაროდ, არ აუსრულდა.

კოტე მაყაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედების აყვავების მაღალ მწვერვალებზე რომ ავიდა, როდესაც უფრო ღრმად და ფართოდ შეეძლო გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი, დასწეულდა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1927 წლის 29 აგვისტოს აგარაკ წალვერში, სადაც ის სამკურნალოდ იყო გაგზავნილი ექიმების მიერ.

პოეტმა მარიჯანმა, რომელმაც სხვა რამდენიმე პოეტთან ერთად, შეიძლება ითქვას, სულთმობრძავე პოეტი სიკვდილის წინ ინახულა, ნიჭიერად აღბეჭდა ის ამ მდგომარეობაში თავის ლექსში:

„კოტე მაყაშვილს, სარეცელთან, წალვერში“

დაკრილ არწივის გამოხედვა, დამდნარი სახე.
ვით პერგამენტი, მოწყვეტილი სუსტი მკლავები.
ჩამომოლილ თმებზე ნერვიული ხელი ცახცახებს
და უხარიათ სანახავად ჩვენ რომ აველით.

ორილი სიტყვა, ხველა, სევდა, ისევ პაუზა.
ფანჯრებში ილტვის ფიქვ-ნაძვნარის ნაზი სურნელი...
წყუელო ბედო! პოეტის სულს შენ ვერას უზავ,
თუმც დაეუფლოს მჩიძე სენი განუკურნელი...
სწუხდა, რომ ყოფნა მისი იყო ეხლა ზერეულ,
რომ მზის მერანი ჩვენს თაობას ვერ დაუგეშა...¹.

სამწუხაროდ, განუკურნელი სენი დროზე აღრე დაეუფლა პოეტს, მაგრამ მხოლოდ მის, პოეტის სხეულს. პოეტის სული, შარავან-

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5648—ხ—63.

დღით მოცული მისი პოეზიის სახით, დარჩა ფართო მკითხველთა სოფნაში.

დაწუხებულმა მაღლიერმა ქართველმა საზოგადოებამ კოტე მაყაშვილის ცხედარი თბილისში გადმოსვენა და მძიმე ტკივილებით ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალა.



კოტე მაყაშვილის პოეტური შემოქმედება საკმარისი ნიჭიერებითა და სიმკვეთრით აღბეჭდავს მისი მოღვაწეობის ეპოქაში ზემოაღნიშნულ არსებულ მოქმედ მოწინააღმდეგე, სხვადასხვა ნიუანსების შემცველ საზოგადოებრივ განწყობილებას.

კოტე მაყაშვილის შემოქმედება, რომლის ძირიც ქართული ცხოვრებისა და ქართული ლიტერატურის წიაღში ჩნდება და მტკიცდება, საკმარისი სიცხადით იღებს საზრდოს როგორც ქართველი რომანტიკოსებისა, ისე თერგდალეულთა და 900 წლებში დემოკრატიული მწერლების ანაკადებული შემოქმედებიდან. კოტე მაყაშვილი საბოლოოდ ამთავრებს ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული რომანტიკული-სევდიანი განწყობილების მოტივის გამოხატვას; მასთან ერთად დიდი ენერგიით ბანს აძლევს დაწყებული ბრძოლის მიმართულებას და თავის პოეტურ შემოქმედებაში რეალურ ფერებში ასახიერებს თავისი ეპოქის საჭირობოროტო მოვლენებს. ამრიგად, მის შემოქმედებაში ორი მიმართულება — რომანტიკული და რეალისტური ერთმანეთს ექსოვება, თუმცა რეალისტური, უდავოდ, ბევრად სჭარბობს.

კოტე მაყაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი, წამყვანი მოტივია სევდისა, მწუხარებისა, უკმაყოფილებისა, რაც ასე დამახასიათებელი იყო რომანტიკოსი მწერლებისათვის და 90-იან წლებში მოქმედი გარკვეული ფენებისათვის.

კოტე მაყაშვილმა თავისი მწერლობის გზა სევდის, უნუგეშობის განწყობილების გამოხატვით გახსნა 1902 წელს ლექსით „რომანსი“, რომელიც შეიძლება ითქვას, დაწერა-დაბეჭდვისთანავე კომპოზიტორმა ანდრია ყარაშვილმა ნოტებზე გადაიტანა, ეს ელევგია-სიმღერა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

„რომანს“-ში პოეტი „კენესის“, „ოხრავს“, მწარედ ჩივის, რომ მას გამოეღია ძალა, სევდას ვეღარ ჰკლავს; ის სულით დაიღალა, რადგანაც მას „ყველგან ტირილი, კენესა, ჩივილი, უსასოება“ ესმის,

რის შედეგადაც პოეტის თქმით, მის, და, საერთოდ, ხალხის გულში „ბუდეს აყეთებს უძლურება“ და შიში. მწარე ნაღვლით აღსავსე გულს პოეტი ცრემლით ჰბანს, მაგრამ იგი ისევ ივსება. უნუგე-შო პოეტი ჩვენნი და უცხო რომანტიკოსების მსგავსად მწარედ ჩივის და დავრდომილი, სევდას დამონებული, ასე შესტირის მკითხველს:

სული კენესის დამწვარი
ეწყველი მუდამ ბედსა მე.
რა ვქნა, რა ვქნა, მითხარი,
შენი ჭირი, კენესა მე.

რა თქმა უნდა, პოეტის ამ ნაღველის მიზეზი როგორც საზოგადოების დაცემულობაში, ისე მის ყრმობის ეამს განვილილ პირად მძიმე ცხოვრებაშია საძიებელი.

ერთ-ერთ თავის გამოუქვეყნებელ ლექსში „Memento“ კოტე მაყაშვილი ასევე მწარედ უჩივის ბედს, უჩივის მარტობას, უპერსპექტივობას, სიცარიელეს; პოეტი ჩივის თუ „ექვი-გველი“, როგორ „ხარბად“ ღრღნის მის გულსა და გონებას, „უნგრევეს ტაძარს—სულის ნაგებს“, ციდან ძირს აგდებს. პოეტი თავს გრძნობს „მიწის მუდმივ ბარგად“, რაც აგრეთვე ასე დამახასიათებელი იყო რომანტიკოსი მწერლებისათვის.

მოვეუსმინოთ, როგორ უილაჯობას გამოსთქვამს პოეტი:

მარტოდ მივალ მე ამ სოფლად
ოფლის, სისხლის ღვრად,
ჩავალ საფლავს ისევ ოზლად
მოველ, მივალ რად?

რალს ველი? არსად მხსნელი...
ნუგეშს ვერვინ მცემს!
რუხი ბინდი... ყოფნა ბნელი...
ვახწვევ სევდის თხემს!...¹

ამ ლექსში არა მარტო მოტივებია რომანტიკული, არამედ თვით სიტყვიერი მასალა, უაღრესად დახვეწილი რომანტიკული პოეტური ლექსიკა, რაც ავტორის პოეტურ ოსტატობასაც მკვეთრად ავლენს.

რა იწვევს პოეტში ასეთს სულიერ სიცარიელეს, სულიერ ტანჯვას? ამის მიზეზს პოეტი ხედავს ცხოვრების შეუფერებელ გარდაქმნაში, მის მოუწესრიგებლობაში, ადამიანთა საზოგადოების მორა-

¹ „Memento“. საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი. № 5043—ბ—63.

ლურ და გონებრივ დაცემულობაში, გადაგვარებაში, ანგარიშიანობა-გახრწნილობაში, როგორც მას ეხატება ბურჟუაზიულ საფუძვლებზე გარდაქმნილი საზოგადოებრივი ცხოვრება, რასაც პოეტი აშკარად გამოხატავს ერთს თავის გამოუქვეყნებელ უსათაურო ლექსში.

მოვუსმინოთ, როგორი სევდა-სიძულვილით ახასიათებს ის ამ ფერცვლილ ცხოვრებაში ადამიანთა ურთიერთობას:

დუქნები, დახლები, —

ვნებათა ბაზარი...

მსუნავი ძაღლები,

სიბილწე საზარი!..

სყიდვა და გაყიდვა

სულის და სხეულის...

შეშლილთა თარეში...

გონების სიღამბლე!..

ხრწნილება ჰაერში...

სიყალბე, სიღამბლე!

გაცვლა და გამოცვლა

რჯულის და სამოსის,

აღმოფხვრა, ამოცლა

გულიდან ნამუსის!

ბაზარი... ძახილი.

„იაფად, იაფად“!

ცხოვრების ასეთ დანახვა-შეფასებაში კოტე მაყაშვილი, უდავოდ, ენათესავება როგორც ჩვენ რომანტიკოს პოეტებს—ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნიკ. ბარათაშვილს, ისე ჩვენი დარღვეული რომანტიზმის წარმომადგენლებს—ვახ. ორბელიანს, გრ. აბაშიძეს და სხვ.

ცხოვრების ასეთმა მიუღებლობამ აწეწა კოტე მაყაშვილის სულიერი განწყობილება, აამხედრა ის მის წინააღმდეგ, დაღეწა შემაერთებელ-შემარიგებელი ხიდი, დარჩა ის მარტოდ, უნუგეშოდ წყვდიადით მოცული უფსკრულის წინაშე და სასომიხილი ასე კენესის ერთ-ერთს თავის უსათაურო ლექსში:

გაჰქრა კვალიც! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე!

გულში გაწყდა რაღაც... მტკივა... მოკვდა მზე?

შავი ნისლი ჰბერაეს არეს, მიწის მკერდს..

სევდის ფიფქი სულზე მცვივა... მოკვდა მზე?

¹ საქართველოს სახელ. ლიტ. მუზეუმი, № 5643—ხ—63.

ვინ ხარ, სად ხარ, რა ხარ?!... გახსენ კრიკა, სტევი!
ბნელში ჩემი ხმა ვერ მია: მოკვდა მზე!
მოდო ჩემთან, ერთად მოკვდეთ!... არა ვსტურს?
ისეე მარტო... მცოვა!... მტკივა!... მოკვდა მზე!... !.

კოტე მაყაშვილისათვის შინაგანი წინააღმდეგობანი ისე დამა-
ხასიათებელი იყო, როგორც მისი მოღვაწეობის ეპოქისათვის. პოე-
ტი გამსჭვალულია სიცოცხლის დიდი წყურვილით, ის ისწრაფვის
განიცადოს პათოსი მოქმედებისა, შემოქმედებისა, ხოლო, მეორე
მხრით, ის გრძნობს თავის უძლურებას, შიშს, რომ ვერ მიაღწევს
მიზანს, რასაც მოსდევს მტანჯველი მარტოობა, სევდა, მის გულში
რომ ისადგურებს. ეს მოურიგებელი განწყობილება პოეტს ნიჭი-
რადა აქვს ასახული მთელ რიგ ლირიკულ ლექსებში.

მოკვუსმინოთ პოეტს, როგორ გვიშლის ის ამ წინააღმდეგობათა
საფუძველზე გაშლილს ტრაგედიას ლექსში „მე“:

ოდესაც ვაგებ აღფრთოვანებით
მაღალ შენობას, ტურფას და ნარნარს;
რას სიყვარულის სხივ ფერადებით
ვამშვენიერებ მძლავრს სულისა ქნარს,
ამ დროს ვილატა შმაგი და ხელი,
მტერი უგულო და საშინელი,
მიწგრევს და მისპობს მთელ ნამოქმედარს!

ასეთი ბრძოლით ცაწამებულ-გატანჯული პოეტი ნიკოლოზ ბა-
რათაშვილისებურად შეუკავებელი აღშფოთებით ამბობს:

ვინ არის იგი სულბნელი, ავი,
მტერი უგნური და უგრძნობელი,
ჩემს ახლო მყოფი, თუმც უხილავი,
შხამგესლიანი, დაუცხრომელი?!
რას მერჩის ბედშავს? რა სწადს უცნაურს
რათ მაქვითინებს, ოდეს ლხენა მსურს,
მუდამ პირქუში და უღმობელი?!
ვინ არის იგი და რისთვის მდევნის?!
იგი... მეორე ჩემი „მე“ არი:
ურწმუნოების ეჭვის და სევდის
სული მელევა, მოესვენარი!...².

ცხადია, შინაარსეულადაც და ფორმის მხრითაც კოტე მაყაშვი-
ლის შემოქმედება, თითქოს ბუნებრივად აგრძელებს ჩვენი რომან-
ტიკოსების ლირიკის დამახასიათებელ სტილიურ ნიშნებს.

¹ საქართველოს სახელ. ლიტ. მუზეუმი, № 5643—ბ—63.

² კ. მაყაშვილი, ლირიკა, გვ. 30—31.

კოტე მაყაშვილის ამ ლექსში ასახული ტანჯვა მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ზარით კენესას, გამოხატულს ლექსში „ხ მ ა ი ღ უ მ ა ლ ი“.

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა?
შეუწყალისა სინიდისისა?
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა!

ეს ქენჯნა თუ შინაგანი წვა ნიკ. ბარათაშვილისა, ჩვეულებრივი რომანტიკოსი მწერლებისათვის, გამოწვეულია შინაგანი დაუკმაყოფილებლობით, ახალის, შინაარსიანი ცხოვრების გზის აუცილებლობით, იღუმალის ხმა რომ ჩასძახის ძიებით გაწამებულ პოეტს:

ვიძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვიძილო იპოვო შენი საშვენი!

ეს იღუმალის ხმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ორეულია.

ტრაგედიას იწვევს ის გარემოება, რომ ნიკ. ბარათაშვილი ვერ პოულობს თავის გზას, თავის მხვედრს:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ
და მით კაემანს ვერღა ვიშორებ!

ასეთი დიდი უშუალობით გვიხსნის თავის მწუხარების მიზეზს ობოლი პოეტი. ასეთივეა ნიკ. ბარათაშვილის შეტევა თუ ანგარიშის მოთხოვნა ბოროტი სულისაგან, რომელმაც მას სიცოცხლე აღუშფოთა, წაართვა „სულის მშვიდობა“, მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ და დატოვა „სოფლად უსაგნოდ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი“.

ანალოგიურია განცდა ახალგაზრდა პოეტის კოტე მაყაშვილისა ც ლექსში „მე“.

სევდის, უკმაყოფილების მოტივი, ასეთისავე სტილით განვითარებულია კოტე მაყაშვილის სხვა მრავალ ლექსში. ნიმუშისათვის ავიღოთ ლექსი „ს ა ს ა ფ ლ ა ო“, რომელსაც პოეტი უძღვნის თავის თანამემამულეებს. ამ ლექსშიც, შინაგანი წინააღმდეგობებით გაწვალებული პოეტი, ასე გამოჰხატავს თავის სულიერ ტრაგედიას, რომელიც მას თავისი თანამედროვეებისათვისაც დამახასიათებლად მიაჩნია.

პოეტის ლირიკული განცდა, ჩვეულებრივ, ხომ მაშინ აღის ტუპიურობამდე, როდესაც ის გამომხატველია არა მარტო თავისი ინდივიდუალური განცდისა, არამედ როდესაც მისი ინდივიდუალური განცდა დამახასიათებელია, გამომხატველია ეპოქაში მოქმედი გარკვეული სოციალური ფენის განწყობილებისა. მხოლოდ ასეთ პირობებში იღებს ეპოქის რეზონანსს პოეტის ლირიკული ნაწარმოები, მხოლოდ მაშინ ხდება ის პოეტური, საგულისხმეირო.

ლექსში „სასაფლაო“ პოეტის განცდით გარემო ცხოვრება „მუნჯი“, ყრუ და ბრმაა. ის უმოძრაოა, უხმო. იგი გარშემო თითქოს მხოლოდ საფლავის ქვებს, მკვდრებს ხედავს. პოეტი ისწრაფვის გაექცეს „სიკვდილის მხარეს მწუხარეს“, თავდავიწყებით ეძლევა ცხოვრების „ტალღას მქუხარეს“; გაშმაგებით ეძებს „ცოცხლებს, ძლიერებს“. თავის ამ მტანჯველ განწყობილებას იგი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

ენატრობდი ბრძოლის ძახილსა
ქვეყნისა დამხსნელ მხნე გმირებს,
მათს ლეთისგან ნაკურთხს მახვილსა!
ენატრობდი მეფე არწივებს,
ენატრობდი იმათ ბუდე-შთებს
და თავისუფალ მწვეკრვალებს!...

მაგრამ პოეტს მისწრაფება უღვთოდ გაუცრუვდება, გმირთაგმირთ ნაცვლად გზაზე „ჭია-ღუა“ ხვდება, ყველგან ცოცხალ-მკვდარი ბრბო ეჩხირება, რამაც პოეტი დალაღა, დათენთა, იმედი გაუქრო და „მწარედ აცინა-ატირა“. აი როგორ გვიხატავს პოეტი ცხოვრების გზაზე ნახულ-განცდილ მდგომარეობას, რაც წყაროა, მიზეზია მისი სულიერი ტანჯვისა:

ცხოვრებაც დაკუბებულა,
აშმორებულ ტბად ქცეულა,
გონება დასუსტებულა
სირეგენისაგან ძღვეულა!..
მახვილიც ლაჩართ ღალატით
ნაკუწ-ნაკუწად მტვრეულა!
მთანიცა დამდაბლებულან,
მეფე არწივნიც გამწუდარან,
ყვავები გამრავლებულან —
წმინდა ტაძრებზე შემსხდარან.
ლალობენ ინდაურები
იკიმებ-იბერებიან...

აი აქ. ცხოვრების ცვლილებაში, ან როგორც იტყოდა ვაჟა-ფშაველა, „ცხოვრება რომ აჭრელებულა“ როგორც სოციალურად, ისე პოლიტიკურად, და როგორც ეს ეჩვენებოდა გარკვეულ სოციალურ ფენას, არის დასაბამი ამ სევდისა, უკმაყოფილებისა, რომელსაც დროდადრო ნიჭიერად გამოხატავდა ხოლმე კოტე მაყაშვილიც.

აღნიშნულ ლექსშიც იმედგაცრუებული, უკმაყოფილების ფრქობით დაქანცული პოეტი პირს იბრუნებს გარდასულ გმირთა საფლავებისაკენ, როგორც ეს დამახასიათებელი იყო რომანტიკოსი მწერლებისათვის, მოწიწებით გადაეხვევა და ემთხვევა „ბრძოლით დამაშვრალ მათსა ძვლებს“. შინაგანი უშედეგო დაუკმაყოფილებელი ბრძოლით ცხოვრებაში მიზანდაკარგული პოეტი ასე მიმართავს გმირთა საფლავებს:

ჰე, გმირნო, ყოველს თქვენს ძვალში
ძალას მეტს ვხედავ გრძნეულში,
ვიდრე თავმომწონ ცოცხალში
მის უსიცოცხლო სხეულში².

ძველ დროსა და გმირთა განდიდებაში კოტე მაყაშვილი ძალიან უახლოვდება გრიგოლ ორბელიანს და სხვებს.

კოტე მაყაშვილი მძიმედ განიცდის რეაქციის ზეგავლენით საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩივებას, დაკნინებას. ასეთი განწყობილება მას მკაფიოდ აქვს ასახული ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელიც მიძღვნილია ილ. ჭავჭავაძისადმი. აი რა ცნობას ვკითხულობთ პოეტის 1910 წლის 29 ნოემბრის წერილში მეუღლის თამარისადმი: „26 ნოემბერს გადასახლებულთა სასარგებლოდ ქართულ თეატრში წარმოდგენა იყო გამართული, სადაც ჩემი ლექსი — იუმორისტულიც წაიკითხეს. მე ვერ დავესწარი, რადგანაც უქეიფოდ ვიყავი. როგორმე გამოგიგზავნი ამ ლექსს. ამას წინად მე თვითონ რომ წავიკითხე ლექსი, შემდეგია: პირველი ოთხი სტრიქონი ჭავჭავაძისაა. მე ვიდექი იმის სურათის წინ, თითქოს. მაგას ველაპარაკებო. ვამბობდი“...³.

ილ. ჭავჭავაძის ლექსიდან „მესმის, მესმის“... მოყვანილია პირველი ოთხი სტრიქონი. თითქოს, ამის საპასუხოდ კოტე მაყაშვილი

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „სასაფლაო“, გვ. 28.

² იქვე, „სასაფლაო“, გვ. 29.

³ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5532—ბ—63.

თავის ლექსში აღწერს პოეტის ამ სურვილის საწინააღმდეგო ზავა-
ლალ საზოგადოებრივ მდგომარეობას. პოეტი მიმართავს ილია
ჭავჭავაძეს: „ეს ხმა ტბილი“ შეიცვალა „გლოვის ზარად“, ვინაი-
დან „მაგრად სქედენ ხუნდ-ბორკილებს“ ადამიანის დასაჩაგრად.
პოეტი სევდით ასე მოუბნობს მოჭირნახულე ილ. ჭავჭავაძეს:

სიმათლის ხმა სრულად ჩასწყდა,
კვლავ კანონებს სწერენ ხმლები
და ცხერის ფარას უმწყემსოსა
სდარაჯობენ ყველვან მგლები!
ბატონყმობის სატანჯველი
სხვა მონობად შეიცვალა!
გაქრა სხივი განთიადის
კვლავ გამეფდა ბნელი ძალა!
იმედების ვრცელ მინდორზედ
ლვარძლი, შხამი დაიფესა...
მაღალ მთებში კვლავ გაისმის
ამირანის მწარე კენესა!
სქელ ნოტიო კედელთ შორის
თავდადებულთ ხლებათ სული
და სამშობლოს თვალცრემლიანს
ემატება წყლულზე წყლული!..

ჰე, მგოსანო, გადმოგვხედე
და შთავებერე შენი სული,
შეგვითანხმე, შეაერთე
ჩვენი ძალა დაქსაქსული !.

აშკარაა კოტე მაყაშვილის სევდას შედარებით რომანტიკოს
შწერლების სევდასთან ემატება 90—900-იან წლების ეპოქისათვის
დამახასიათებელი რეაქციით გამოწვეული მებრძოლი სევდის ნიუ-
ანსიცი.

კოტე მაყაშვილი, „გაზაფხულის დღეთა მგოსანი“, ასეთი ხილ-
ვით დადუმებული, ფრთებჩამოყრილი თავის დაფერფლილ, განად-
გურებულ და „მილეწ-მოლეწილ“ განწყობილებას ადარებს ვარდის
ბუჩქს, რომელსაც ზამთრის ქარი დაუნდობლად, მხეცივით ეცემა,
განადგურებს, „მილეწ-მოლეწავს“.

შინაგანი ჭიდილით დაქანცული, გაბრუებული პოეტი ასე გვა-
ტყობინებს თავის მდგომარეობას:

ეგრეც ჩემს გულში,
წრფელ ალგზნებულში,

1 საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5532—ბ—რ3.

ქარმა მძვინვარემ
ჩააქრო ალი...
სულს დაღონებულს,
სულს დაობლებულს
ჰგლეჯავს და სწეწავს
ვაჰ, ქარიშხალი¹.

ამ მწარე ხილვისა და განცდის შედეგად პოეტი, თითქოს, დაქაბუნდა, სევდას დაემორჩილა. ის დაქანცული, სასოება დაკარგული ჰქარგავს სიცოცხლის უნარს. მისი განცდითა და გაგებით, ადამიანის ცხოვრებას არა აქვს აზრი და შეძრწუნებული კითხულობს: რად დავიბადე? ვის რად ვუნდივარ? რისთვისა ვთელე ტანჯვისა გზები? პოეტის გაგებით, ყველაფერი ადამიანის აწინდელ ცხოვრებაში — ლხინიც, ტირილიც, თვით სიცოცხლაც და სიკვდილიც ჰქარგავს აზრს. ასეთმა განცდებმა პოეტის სული და გონება უწყალოდ დაღრღნა, ის მწარე განცდებში გათანგა. გაწამებული პოეტი ასე მოსთქვამს ლექსში „ფიქრები“:

მწარე ფიქრები, მძიმე ფიქრები,
სადაც კი წავალ შედგარდ მსდენიან,
სულს ფრთა მოკვეცილს, ჩემს სულს მღელვარეს
უვაე-უორნებივით გარს ეხვევიან...
მწარე ფიქრები, მძიმე ფიქრები
მთელ სამყაროში ვერ ეტევიან.
და ჩემს პატარა თავსა და ტვინსა
ყოველ მხრიდამ კი შემოსევიან!..
მწარე ფიქრებმა, მძიმე ფიქრებმა
გამომიწოვეს სისხლი წვეთ-წვეთად,
სული გამომწვეს, გული მიქციეს
ხორცის უსისხლო ნაგლეჯ-ნაფლეთად!..

ეს ლექსი, როგორც ირკვევა, პოეტის არქივში არსებული ავტოგრაფის მიხედვით (საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი № 5696—ბ—63) დაწერილია 1906 წელს. შესაძლებელია ეს „მწარე ფიქრები“ გამოწვეულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის დაწყებით. ამ რეაქციით შევიწროებული საზოგადოების დაცემულობითა და უილაჯობით გამოწვეული სევდაა კოტე მაყაშვილის განწყობილებას რომ ექსოვება და ასე რომ აღრმავებს მას.

პოეტი ამ წლებში დაწერილი ლექსების მიხედვით, მძიმედ გა-

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „სულის ზამთარი“, გვ. 29.

² იქვე, „ფიქრები“, გვ. 62.

ნიციდის მარტოობას, სულით ობლიობას. მას თავის თავი წარმოდგენილი აქვს, როგორც „უსიხარულო, დავიწყებული, ვითა უმწეო მკენარი ფოთოლი, ხილამ მძაფრი ქარით ჩამოგდებულა“ (ზედმიწვევით მოგვაგონებს რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის განცდას, გამოსატულს მშვენიერ რომანტიკულ ავტობიოგრაფიულ ლექსში — „Дубовый листок“).

პოეტი მუდამ მწუხარეა, მკმუნვარე, „მუდამ ჩაფიქრებული და მღუმარე“ („სონეტები“). სევდით მოცული „ობოლი“, ეული პოეტი ნიკ. ბარათაშვილისებურად ბუნებაში, ვარსკვლავთა შორის ხედავს სილამაზეს, სიმშვენიერეს, სიტკბობას ბედნიერებით, სიტუროფითა და მხიარულობით; ცის მნათობნი არა ხედავენ „ქვეყნის ჭირვარამს“, ამიტომ არად აგდებენ მის ტანჯვა-ვაებას, „სულისკვეთებას, გულის წამებას“ (იქვე) — პოეტი კი მათთან შედარებით ტანჯულია, წამებულია. მოვეუსმინოთ მას:

მე კი... ახ. ვხედავ, რაც ქვეყნად ხდება:
ვხედავ ერთს დიდსა წამების ჭვარსა:
მესმის უბადრუტ კენესა, გოდება;
ვხედავ სისხლიან ცხარე ცრემლთ ღვრასა!
ვხედავ და ვსტირი... არ ძალმიძს შევლა!...

ვისმენდი ტანჯვით ამ ხმას გულსაკლავს,
ვუსმენდი ჩემსა სულთმობრძავს ვარსკვლავს
ჩემსავეთ ობოლს, ჩემსავეთ ბედკრულს¹.

აქაც კოტე მაყაშვილი თავისი განცდებით ნათესაურად ეხმაურება ნიკ. ბარათაშვილს, რომელიც „სევდიანი ფიქრთ გასართველად“ მიდიოდა წყლის პირსა, სადაც. როგორც პოეტი, ისე „ყოველი არემარე იყო მოწყენით“, კოტე მაყაშვილიც, როგორც ნიკ. ბარათაშვილიც გარკვეულ განწყობილებაში, მიდის იმავე დასკვნამდე, რომ არარაა აღამიანი და არარაა მისი ცხოვრებაც.

კოტე მაყაშვილი ერთ-ერთ თავის ლექსში აღამიანის ცხოვრების შესახებ მძიმე უიმედობამდე მისულ დასკვნას ასე გამოხატავს:

მოკვდა-გათავდა! ...ტანჯვით შობილმა,
ტანჯვით, რა ტანჯვით დალია სული:
ალარ სძგერს ეხლა ყოვლად მომთმენი
მოსიყვარულე იმისი გული!...
იყო რალაცა... გაჰქრა უკვალოდ!
ეხლა ის მხოლოდ არაფერია;

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა. „სონეტები“, გვ. 33.

ყოველი სულდგმული. დიდი თუ მცირე.
მხოლოდ მწერია. მხოლოდ მწერია!..¹

აწმყოთი, გარემო მდგომარეობით უქმაცოფილო კოტე მაყაშვილი, როგორც ეს ჩვენს რომანტიკოსებს სჩვეოდათ, გადადის წარსულის იდეალიზაციაში. პოეტი გარემო სინამდვილეს რომ გადახედავს შეფასების მიზნით. გაცივებული გონებითა და გამახვილებული თვალით, დაინახავს რა ადამიანთა ცხოვრების გაწრიოკებას, ადამიანთა დაჩიავებას, მწუხარებით მწარედ კენესის: „მომკვდარან ბედაურები, ვირები ემკვიდრებიან“. პოეტი ცხოვრებიდან — აწმყოდან პირს წარსულისაკენ იბრუნებს, გადაუხვევა „გმირთა მღუპარე საფლავებს“, მოწიწებით ემთხვევა „ბრძოლით დამაშვრალ მათსა ძვლებს“.

სამშობლოს წარსულის განდიდების გრძნობაშიც კოტე მაყაშვილი ნიჭიერი გამგრძელებელია როგორც ჩვენი რომანტიკოსებისა, განსაკუთრებით გრ. ორბელიანის, ვახ. ორბელიანის პოეტური სტილისა, ისე თერგდალეულ მწერლებისაც, რომელთაც მჩაგვრელი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ შეკრეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და წინაპართა გმირობას ხატავდნენ დადებითი — მიმზიდველი მხარეებით მკითხველებში ეროვნული გრძნობისა და ბრძოლის გაღვიძებისა და გაძლიერების მიზნით. კოტე მაყაშვილის შემოქმედება მეტად თავისებურად შეიქსოვს ორივე ამ მიმართულების წამყვან სტილურ ნიშნებს.

კოტე მაყაშვილიც „გულმოკლული სწუხს და ქვითინებს“ მრავალწვალებულ სამშობლოს შესახებ, რომელიც „ოდესღაც იყო ნორჩი, მდიდარი, ძლიერი, აწ წელში მოხრილი, უძლური, დაცემული და გლაზასავით მწყურვალ-მშიერია“.

აი როგორ ახასიათებს პოეტი თავის ოდესღაც ქებულ სამშობლოს: „დიად გვირგვინის ღირსსა და ჩვეულს, აწ კი გაძარცვულს, აწ მოტყუებულს და მჩვარ-ძონძებში, ვაი, გახვეულს“. პოეტი სამშობლოს დარღვევა-დაცემას, დაუძლურება-დაბეჩიავებას ასე მოატყვამს:

ჩემსა სამშობლოს, ოდესღაც მაღალს,
უშიშარს, მაგარს და თავმოყვარეს,
აწ შეშინებულს, ყველასთან მდაბალს,
თრთოლვით, ცახცახით, მტრისა შემყურეს!

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „კვლევა-თავლება!“... გვ. 31.

ჩემსა სამშობლოს, მასხად აგდებულს,
ლომ-ბუმბერაზსა. აწ კრავად ქცეულს,
თვით ღმერთისაგან თავდანებებულს,
მწარე ცრემლთ მფრქვეველს, ობოლს და
სნეულს!.

ასეთი ჭავალალო მდგომარეობა სამშობლოსი აყენესებს პოეტს, ის შეწუხებული ბორგავს, მას უნდა მისი ქნარიც ატირდეს ამავე გარემოებით, სურს მოჰფინოს „მთა და ბარი“, ცა, რომ თვით ცამაც იწყოს ხმამაღლა მწარე ქვითინი, აუწყოს ყველას სამშობლოს გასაჰკირი, რომ მას სულთამიხუთავე სიკვდილი თავს დასტრიალებს; გახარებული-გამარჯვებული მტრის ხარხარი ისმის, ის კი შეელას არსაიდან არ ელის. პოეტს სურს აუწყოს თანამემამულეთა დაქინება-დაცემა.

რომა ქართველი. მშვიდი, გულგრილი
ცოვად შეჰყურებს სულთმობრძავე მშობელს,
რომ მხოლოდ მამა-პაპათ აჩრდილი
ღვრის სამშობლოსთვის ცრემლს დაუშრობელს.

ამიტომაც პოეტი თითქოს ჰკარგავს ცხოვრების მიზანს, ჰკარგავს ნიადაგს; ის უსიხარულოდ, მოსაწყენი ერთფეროვნებით, უიარო-ქნოდ დაიარება, არ გრძნობს სიცოცხლის მაგისტრემას; ასე უშინა-არსოდ, უმოქმედოდ, ყველასაგან და ყველასათვის შეუქმნისეველი ლევს თავისი ცხოვრების მძიმე დღეებს და ასე ათავებს ის თავის ცხოვრების ტანჯვის გზას. პოეტი თავის სულეერ ტრაგედიას ასე გადაგვიშლის ლექსში „ადაპიანის სიმღერა“:

დღენი მირბიან!.. დღენი მიჰქრია...
უკვე მოჩანან ჩემი საზღვრები!
სიცოცხლის ბუჩქის ფესვებსა ღრღნიან
ავი თავებში, გაუმძღვრები!
დღენი მიჰქრია!... საით და რათა?
ნათთვის მე რა ვარ? ან კი ვარ რ.მე?!
თუ სინაოლე რამ თან ასულავთ მ.თი,
რათ გამიმეფეს მან გულში ღამე?
რათ მაჩვენებენ ცრემლსა მდუმარეს?
ტანჯვის კოცონზე ალსა მგზნობარეს?
ოხვრ.სა მწ.არეს, ჩისხვას მჭუხარეს,
სულის ღმერთს მოკლულს, პირქვე მფებარეს?!#

1 ტ. მ ა უ ა შ ვ ი ლ ი, ლირიკა, „ნანგრევებზე“, გვ. 34.

2 ი ქ ვ ე, გვ. 35.

პოეტის გულს სევდა შემოეხვია, მას აღარაფერი იზიდავს, აღარაფერი ახარებს; გარემო ცხოვრებაში, პოეტის გაგებით, დასადგურებულია არარაობა, იღუმალობა. ცხოვრების მწვეავე ბრწყალემა მეტად ადრე შეაღწა ფრთები პოეტის ჭაბუკურ ოცნებებს, მის მიერ იდეალის ძიებას. გულდაკოდილი პოეტი დროზე ადრე დაქცნა, დაძაბუნდა; გატანჯული სიცარიელით, მარტოობით, უთვისტომობით, იგი ასე ჩივის ლექსში „ი დ ე ა ლ ი ს ა ფ ლ ა ვ თ ა ნ“:

არა აღხენს რა მწუხარე თვალეს:
მათ წინ სჩანს მხოლოდ საფლავის თხრილი;
ამაოება ლესავს თვის ბრწყალეს,
ნათელ სიცოცხლეს მოადგა ჩრდილი!...
ველარ ეპოულობ ნუგეშსა ვარდში.
აღარ მათობენ მზისა სხივები,
აღარ სცურავენ ცისა ლაქვარდში
ჩემ გრძნობა-აზრთა მძლე არწივები
ლამის წყვილიადში ვზრდი ჩემსა სევდას
ვებაასებდი იქ მარტოობას¹.

გაწამებული პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისებურად „ლამის ბუნებას, ტანჯულთა დედას“ მწარედ შესჩივის „სულის უთვისტომობას“. გარემოს განცდის შედეგად კოტე მაყაშვილის ლირიკაში აგრეთვე მძლავრად ისმის ნიკ. ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანისებური ეჭვით დასერილი გულის კვნესა და ურწმუნოებით მოშხამული გონების ჩივილი.

მოვუსმინათ პოეტს როგორი რომანტიკული სიტყვით გადმოგვცემს თავის სულის ტკივილებით წვას ლექსში „ლ ა მ ე“:

გონებას ეჭვები
შავ ფრთებსა უსხამენ,
სულთა ვით ხიჭვები
სჩხვლეტენ და სუსხავენ!
წყვილიადი მიხურავს
გრძნობასა და ნებას,
შავეებით მიხურავს
ნაზ ჩვილსა ოცნებას!
სევდასა ვერ იტევს
ეს გული ეული,
და იწვის... რად იწვის
დაჭრილი, სნეული?!²

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, გვ. 39.

² იჭვე, გვ. 40.

ცხადია, კოტე მაყაშვილის შემოქმედების სევდის წყარო ძირითადად მონარქიული რეაქციისა და მისი კოლონიური პოლიტიკით გათანგული საქართველოს მძიმე პირობებით უნდა აიხსნებოდეს. უხეში კოლონიური პოლიტიკის და ეკონომიური მდგომარეობის შერყევის ზეგავლენით ქართველი საზოგადოება (რა თქმა უნდა, მისი მაღალი ფენები) თანდათან უფრო სუსტდებოდა, დაწოლას ვეღარ უძლებდა, წრიოკდებოდა, გადაგვარების გზას ადგებოდა. ცხადია, პატრიოტ ჭაბუკ პოეტს, რომელიც მოწყურებული ეძებდა აზრიან, სამართლიან ცხოვრებას, ქვეყნის აყვავებას, ვერ დააკმაყოფილებდა ასეთს გადაგვარების გზაზე მდგარი წრე, რომელიც მას ბავშვობიდან გარს ერტყა. აი ამ გარემოებას მისცა ჭაბუკმა კოტე მაყაშვილმა ხარკი, აი სწორედ ამის შედეგად პოეტში სევდის მოტივი მწვავედ დაგუბდა და მის შემოქმედებაშიც მკვეთრად გამოვლინდა. პოეტის ამ განწყობილებას რა თქმა უნდა აღრმავებდა ჩვენი რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების დიდი პოეტური ზეგავლენაც.

* * *

ზემოთ, თავის ადგილზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კოტე მაყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი გარდამავალი ხანაა, საესე წინააღმდეგობებით, რაც, ბუნებრივია, თავისებურ გავლენას ახდენდა პოეტის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაზეც და რაც აგრეთვე საკმარისი სიმკვეთრით ვლინდებოდა მხატვრულ ლიტერატურაში.

კოტე მაყაშვილი იზრდება მაშინ, როდესაც რომანტიკულმა მიმართულებამ ლიტერატურაშიაც და საზოგადოებრივ აზროვნებაშიც თავის დრო უკვე მოჭამა. ლიტერატურაში განმტკიცდა კრიტიკული რეალიზმი თერგდალეული და ხალხოსანი მწერლების მიერ. ლიტერატურაში განვითარდა რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეები. გამოვიდა სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე, გარდა სამოციანელებისა და ხალხოსნებისა, „მესამე დასი“, გაიშალა 1905 წლის რევოლუცია. მედგრადაა გაშლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფართო ფრონტი, ბრძოლა შრომისა და პიროვნების გათავისუფლებისა, მშრომელი ხალხის დარაზმვისა ბედნიერი — სამართლიანი, ძმობა-ერთობის, თავისუფალი ცხოვრების დამყარების მიზნით. ეს ბრძოლა აღფრთოვანებული და გაქლენთილი იყო მაღალი საზოგადოებრივი, ჰუმანური გრძნობით, კაცისადმი სიყვარულით.

ამ ბრძოლის დევიზი — მოეწყოს ცხოვრება, რომელშიც განმტკიცებული იქნება სრული თანასწორობა, რომელშიც ყველა თავსუფლად იგრძნობს თავს კაცად და თანასწორი უფლებით ისარგებლებს ცხოვრების მონაპოვრებით — ძალუმაღ ქდენთავს როგორც საზოგადოებრივ აზროვნებას, ისე ლიტერატურასაც.

კოტე მაყაშვილმა ეს მიმართულებანიც საკმარისი სიმძაფრით ისუნთქა და თავის შემოქმედებაშიც ჩააქსოვა. მისი შემოქმედების წამყვანი მიმართულებაც ეს არის.

აი როგორ მიმართავს კოტე მაყაშვილი მკითხველს ლექსში „პოეტის სტუმრები“:

ქვეყნის მალამო დაძალულია,
ნატერის თვალივით ბრწყინავს ის ბნელში
მისი სახელი — სიყვარულია!
გაუღეთ კარი ამ წმინდა გრძნობას,
თვის სხივონობით მზეს დააჩრდილებს,
შეუშრობს ცრემლებს კაცობრიობას
და დაუყუჩებს სულის ტკივილებს!
აი ამ მცნებას დიადს, არ ახალს,
მაგრამ დაკარგულს და დავიწყებულს,
მე ვუანდერძებ ნორჩსა მომავალს,
წარსულის კარგთან შეკავშირებულს!.

ეს განწყობილება კოტე მაყაშვილში გაღვივებულია ჩვენი თერგდალეული მწერლებისა და იმ დემოკრატიულ-რევოლუციონერ პოეტების გავლენით, რომლებიც, მიუხედავად საშინელი რეაქციისა, საგრძნობი სიმკვეთრით გამოთქვამდნენ დემოკრატიულ იდეებს 90—900-იან წლებში.

თუ კოტე მაყაშვილი, ერთი მხრით, ნიჭიერად აქლერებს ჩვენ რომანტიკოსი მწერლების უნუგეშობის, სევდა-ნალველის მოტივებს და მათ რომანტიკულ სტილში ნიჭიერად ჰკინძავს, მეორე მხრით, ის თვალდია უყურებს ჩვენი ცხოვრების ანაკადებულ სინამდვილეს, ძალუმაღ ისუნთქავს იმედის, ბრძოლის, წინისკენ ხედვის, სამარულიანი მომავლის დამყარების მოტივებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის სულს მძიმედ აწევს სევდა-ნალველი, რაც მას, თითქოს, ცხოვრებიდან გაქცევასაც კი აფიქრებინებს, პოეტი მაინც არა ჰკარგავს იმედს ცხოვრების კეხი შეაბრუნოს. მიუხედავად მძიმე რეაქციისა, მიუხედავად იმისა, რომ „მასხარადაა აგდებული ეხლა ქართველი“, პოეტს მაინც მისი გა-

¹ კ. მაყაშვილი. ლირიკა, გვ. 78.

ჯანსაღების იმედი არ დაუქარგავს, სწამს, და თავის გამაჰხნეველებს ხმას, რომ ვაჟეაცს არ შვენიის ცრემლი, სილაჩრე, შეუერთებს ამოძრავებულ საერთო ყიყინს.

კოტე მაყაშვილი ასე იმედოვნად მიმართავს მკითხველს:

წინ, ნუ შედრკებით!
ნუ უკუ სდგებით,
ჯერ სადავოა ბრძოლისა ველი!
ძმანო, ერთობა,
ნდობა და ძმობა,
ჩვენს გულში არის ჩვენივე მხსნელი!
ეს ცნება მარად
გვექნეს ჩვენ ფარად:
ერთმანეთისა პირში გატანა, —
ვერ დაგვაკნინებს,
ვერ შეგვაშინებს,
მაშინ ჩვენ თვითონ მძლავრი სატანა!

როგორ მკაფიოდ იგრძნობა აქ თერგდალეულთა და რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების დიდი გავლენა პოეტზე! და ეს ჩვენთვის მით უფროა საგულისხმო, რომ კოტე მაყაშვილი ამ იმედისა და ბრძოლის მოტივებს ავითარებს თავის შემოქმედებაში მძიმე რეაქციის ხანაში, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რომ მძინვარებდა.

უფრო მძლავრი ქუხვა-რისხვიანი იმედი ისმის ცხოვრებაში გაბატონებული „სიავ-სიცრუისაგან“ გულამღვრეული კოტე მაყაშვილის ლექსში „ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ თ“. ამ ლექსში მკვეთრადაა მოცემული ბედი მოქალაქისა, რომელმაც ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას, სისულელეს, სიყალბეს, ვერაგობას ბრძოლა გამოუცხადა; რომელმაც ცხოვრების ეს მხარეები მოურიდებლად დაძრაბა, ქვეყანას დაანახვა მათი სახე. მაგრამ მოწონების მაგიერ, გულწრფელი გრძნობები მოქალაქისა შეაგინეს, ის მასხარად აიგდეს, ბოროტს გამოესარჩლენ, მოქალაქე გაიციხეს, მის „სახელს ლაფი დაასხეს“; „მართლის მთქმელს პირში ბურთი ჩასჩარეს“. განსაკუთრებით, პოეტის მოხერხებული ჩვენებით, ისაა მძიმე, რომ მოქალაქე, ვიზგანაც კი ელოდა თანაგრძნობას, ვინც კი მას ეფიცებოდა წინათ ძმობას, ყველამ ახლა მას წიხლი ჰკრა და აჰყვა მტრის ხმას.

აშკარაა, აქ კოტე მაყაშვილი დამაჯერებლად ახერხებს სამარცხვინო ბოძს მიაკრას არა მარტო საზოგადოების ცალკეული უარ-

¹ კ. მაყაშვილი, ლირია, „ციურნი ხმანი...“, გვ. 5.

ყოფითი მხარეები, არამედ აგრეთვე და უფრო მეტადაც ის სახელ-
მწიფობებრივი წყობილება, რომელიც არა მარტო შესაძლებლად
ზღის ამგვარ სენთა გავრცელებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში,
არამედ ხელს უწყობს კიდევ.

კოტე მაყაშვილი თავისი სატირით მკითხველს დაბეჯითებით
აჯერებდა არსებული სოციალური წყობის, რომელიც ადამიანთა
ამგვარ ურთიერთობასა და ასეთს სახეებს ჰქმნიდა, დაღუპვის აუცი-
ლებლობაში. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მკითხ-
ველს აინტერესებს არა ამა თუ იმ კერძო პიროვნების ოჯახური ყო-
ფის სიმახინჯე, არამედ — საზოგადოებრივი სიმახინჯე.

კოტე მაყაშვილი, როგორც მხატვარი-სატირიკოსი ცხოვრების
უარყოფითი, ბნელი მოვლენების დახატვით აშიშვლებდა მის ნაწ-
დვილ სოციალურ არსს. ამიტომ კოტე მაყაშვილს სატირა გამოყე-
ნებული აქვს, როგორც ძველის, წარმავლის დათრგუნვის საშუალე-
ბა და ამავე დროს, როგორც ახლის, პროგრესულის განმტკიცების
ძალა.

პოეტს გული სტკივა, მაგრამ ამასთან ის აგრეთვე გრძნობს,
სწამს კიდევ, რომ, თუმცა ეხლა „შავბნელი სულნი“ გამარჯვებულ-
ნი არიან, მართალია, მათ ჯერ შესწევთ ცოდნა ხალხის დაბრკვე-
ბისა, —

მაგრამ... თუმც ხანგრძლივია
 ღამის წყვილია,
მას განაბნევს მალე მზის
 სხივი დიადი
ხანმოკლეა თქვენიცა
 ლხენა და შვება
და სწრაფ წარმავლია
 ცრუ გამარჯვება!

ვიცი, მალე სიშარტლის
 ღმერთი, ძლიერი,
გაიღვიძებს ბრწყინვალე
 და მშვენიერი!
ულმობელად, სასტიკად
 დაგსჯით, დაგძრახავთ,
სამარცხვინო დაღს შუბლზედ
 იგი დაგაკრავთ...
მოგვლებათ თქვენც ბოლო,
 სულნი შავბნელნი,
მუზმუხელა — მელებო,
 ფარისეველნი! ¹

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, გვ. 58.

კოტე მაყაშვილი ენერგიულად მოუწოდებს მკითხველთ — ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის ახალგაზრდობას, მოიშორონ „სევდის სახე“. რომელიც მას, „ერთ აჩრდილი მაბეზარი“ სდევს, სიცოცხლეს უმწარებს, ნებისყოფას უღუნებს. კოტე მაყაშვილიც ილია-აკაკისავით გულდაკოდილი უცქერის დალაჩრებულ, მოღუნებულ, გადაგვარების გზაზე დამღვარ თანადროულობას, საზოგადოებაში განუწყვეტელ „ერთმანეთის მტრობა-შურს“, მასაც გული სტკივა, რომ „გვევიწყდება მწარე წარსულის გაკვეთილი“. კოტე მაყაშვილსაც მათსავით არ მოსწონს „ოხვრა, კვნესა და ჩივილი“, ურჩევს მოიგონონ გმირ არწივთა ყრვილი, გამოფხიზლდნენ, უკეთესი მომავლის გზას დაადგენენ; ახალს, ქვეყნის სასარგებლო საქმეს ჩაუდგან ცხოველი სული.

ახალგაზრდობას კოტე მაყაშვილი შემდეგნაირად მოუწოდებს:

ერთობისა, შეთანხმების
 დროშა წმინდა ზე ასწიეთ
 და შექოსან მომავლისკენ.
 უშიშრად და მხნედ გასწიეთ!
 დაგვარწმუნეთ, რომ ვარსკვლავი
 ჩვენის ბედის კიდეც ბრწყინავს,
 რომ არ გვიღვეს წინ საფლავი,
 არც მომკვდარვართ... აღარც გვიღინავს!...!

კოტე მაყაშვილის ამ ლექსში გარკვეულად და დაეინებით ისმის ის ხმა, რომელიც ასე მძლავრად გახმაურდა ილიას — „ქართლის დედაში“, აკაკის — „ავადმყოფში“, „ნათელას სიმღერაში“ და მრავალ სხვაში.

კოტე მაყაშვილის სევდის, უკმაყოფილებიან მთავარი წყარო, უდავოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობაში, ბეცი, უსამართლო ძალაუფლების მქონეთა მიერ უანგარიშო ძალმომრეობაშია.

თუ როგორ მწვავედ განიცდიდა პოეტი თანდათანობით ძალაში შემავალ რეაქციას, მშვენიერად გვიდასტურებს მისი 1910 წლის 26 ნოემბრის წერილი მეუღლისადმი: „...აქ ახალი ის არის, რომ მთავრობამ მთლად დაარბია ქართველი ინტელიგენცია. გადაასახლეს ლასხიშვილი (გიორგი. — მ. ზ.), ფირცხალავა (სამსონი. — მ. ზ.), აღლაძე (ილია. — მ. ზ.), ბილანიშვილი (შაქრო. — მ. ზ.), სურგულაძე (პეტრე. — მ. ზ.); ასახლებენ აგრეთვე სანდრო დიასამიძეს და ალექსანდრე ჯაბადარს. დიასამიძისათვის ეს მეტად მოულოდნე-

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „ახალგაზრდობას“, გვ. 59.

ლი იყო, რადგანაც არავითარი მიზეზი არ იყო. ნამესტნიკის კანკულარიში გადაუწყვეტიათ, რომ ესა და ეს პირები საშიშაოა, არც უცივებიან, არც უცხელებიან, პირდაპირ საგანგებო ზომებისათვის მიუშართავთ. დიასამიძე როსტოვში აპირებს წასვლას; ქალაქში დარჩება. საპყრობილეები სავსეა ჟურნალისტებით, მწერლებით და სხვა ამგვარი „ქვეყნის მარილით“. არავითარი გარანტია არ არის, რომ ერთს საძაგელ დღეს დანარჩენებსაც არ გვიკრან თავი იქ, სადაც. დიადაც, რომ გრილა. სულელური, გაშმაგებული პოლიტიკური შურისძიება! მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს...“¹.

ამ წერილიდან მშვენივრად მოსჩანს კოტე მაყაშვილის ადგილებული, გარემოცხოვრების უმსგავსეობით აღშფოთებული საზოგადოებრივი სახე. ამიტომაც კოტე მაყაშვილს სურს დათრგუნოს, გაეცალოს ამ უსწორ-მასწორო ცხოვრებას, სადაც გამეფებულია სიფლიდე, მტრობა, უსამართლობა. სადაც ადგილი აქვს „ორპირობას, მტარვალობას გამხეცებულს“. ის ისწრაფვის შევიდეს იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანისადმი სიყვარული იქნება გამეფებული, პოეტი ენერგიულად მოგვიწოდებს წავიდეთ იქ —

სადაც ყველა ლხინობს, ლაღობს.
უზრუნველი, ბედნიერი,
სადაც ნაზად, ტკბილად გაღობს
მუხთა ხორო მშვენიერი².

კოტე მაყაშვილს მტკიცედ სწამს, რომ ძველი ცხოვრება, კაცთა წამწყმედი და შემლახველი, დაინგრევა, სწამს, რომ შენდება ახალი ცხოვრების „წმინდა ტაძარი“, თუმცა მას საძირკვლად დაედება „გმირთა მებრძოლთა წამების ჯვარი“ და „სიყვარული თავგანწირულთა, ვით მზე ნათელი იმ ტაძარს მაღლით გადღეფინება“. ამ ტაძრის შუაგულში კი დაიდგმება „მომავლის ოქროს აკვანი“, ხოლო ამ დიადი ტაძრის მაღალ კედლებზე ერთი წარწერა იქნება:

აქ დაიბადა წმინდა სამება:
ძმობა, ერთობა, თავისუფლება!³

ამიტომ პოეტი, დემოკრატიული მწერლებისა და თერგდალულთა მსგავსად, მაღალ შეფასებას აძლევს იმ გმირთ, ვინც ხალხისათვის ასეთი ლოზუნგის განმანხორციელებელი ცხოვრებისათვის

¹ კ. მაყაშვილის წერილი მეუღლისადმი, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი. № 5532—ხ—63.

² კ. მაყაშვილი, ლირიკა, „მოწოდება“, გვ. 7.

³ იქვე, „სამება“, გვ. 55.

ბრძოლაში კვდებიან. მათი სახელი, პოეტის თქმით, შთამომავალთა „ნორჩ გულში გაბრწყინებული მკედრეთათ აღსდგება“.

კოტე მაყაშვილს, ჩვენ განმანათლებელ მწერლებსავეთ, სწამს, რომ მომავალ ჩვენ ცხოვრებას საფუძვლად უნდა დაედვას ადამიანისადმი სიყვარული, პატივისცემა. პოეტის მოწოდებით ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობა უნდა ამოძრავებდეს კაცობრიობას წინმსვლელობაში:

გაუღეთ კარი ამ წმინდა გრძნობას,
თვის სხივონობით მზეს დააჩრდილებს,
შეუშრობს ცრემლებს კაცობრიობას
და დაუყუჩებს სულის ტკივილებს!
აი ამ ცნებას — დიადს, არ ახალს,
მაგრამ დაკარგულს და დაეწყებულს,
მე ვუანდერძებ ნორჩსა მომავალს
წარსულის კარგთან შეკავშირებულს !.

* * *

კოტე მაყაშვილი, განიცდის რა თერგდალეულ მწერალთა — ილია-აკაკის დიდ გავლენას, მათსავეთ ძველს, წარსულის კარგ, საღ საფუძვლებზე უნდა აავოს ბედნიერი მომავალი და ეს ბედნიერი მომავალი პირველ რიგში მასაც მათსავეთ თავისი ქვეყნის აყვავების გარშემო ესახება.

თერგდალეულებმა ერთ-ერთ მთავარ საბრძოლველ საქმედ ხომ დაისახეს დაცემული, შევიწროებული, უფლებააყრილი, გაბეგრალი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მედგარი ბრძოლა. გაცაცებით გაშალეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, რომელმაც შემოიკრიბა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოების ცოცხალი ძალები. კოტე მაყაშვილიც, რა თქმა უნდა, ამ ეროვნული ბრძოლის უინის დიდი გავლენის ქვეშ აღიზარდა და ამ გარემოებამ საგრძნობი კვალი დააჩნია მის პოეტურ შემოქმედებას ამ მიმართულებითაც. კოტე მაყაშვილისათვისაც ეროვნული გრძნობა, დამცირებული, შელახული სამშობლოს უფლებებში აღდგენა საბრძოლველ და ერთ-ერთ წამყვან მოტივად შეიქმნა.

ახალგაზრდა კოტე მაყაშვილი დაახლოებით 1899 წელს წერს თავის მომავალ სიდედრს მწერალ ეკ. გაბაშვილს: „რადგანაც მე თქვენთან დაფარული არა მაქვს რა, გაგიზიარებთ ჩემს აზრებს და იდეალებს, რომ ამით უფრო ახლო გავაცნოთ ჩემი თავი, რადგან

¹ კ. მაყაშვილი, ლირია, „პოეტის სტუმრები“, გვ. 78.

თქვენც მთხოვთ ამას. მე პატრიოტი გახლავართ და ამას ხმამაღლა ვიტყვი ყველგან. მე მიყვარს ჩემი სამშობლო მტკიცენეულად, განუსაზღვრელად და მსურს იმის სამსახურში დავლიო სული. ეს სამსახური შეიძლება არ იყოს დიდად ნაყოფიერი — მე გენიოსი არა ვარ, მაგრამ მე მოვალე ვარ მას ეუმსხვერპლო ყველა, რაც მის მეოხებით მომეცა მე. და აი აქაც მეფისტოფელი დაცინვით ამბობს: ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ როგორ, ე. ი. როგორ ემსახურებე შენა დედა სამშობლოს მაშინ, როდესაც... საქართველოში ქართველს არ შეუძლიან ემსახუროს საქართველოს! აი სადამდე მიგვიყვანა ჩვენ ისტორიულმა ბედმა...“¹.

კოტე მაყაშვილი გრძნობს, აშკარად ხედავს, რომ ქვეყნის ასეთმა მდგომარეობამ, ამ „ისტორიულმა ბედმა“ თავისი დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, რაც პოეტის სევდას უფრო აღრმავებს, ამახვილებს, აწვავებს. პოეტი ამ თავის განცდებს ასე ასახავს ერთ-ერთ თავის უსათაურო ლექსში:

ზღვა გრძნობათა არ მიცხრება,
ტალღა მისი ცასა სწვდება!
მაგრამ... სიტყვა პირზე შრება
ჯერ არ იშვა — უკვე კვდება!
ყურში ყველას ბაშბა სჩრია,
დახშული აქვს მაგრად სმენა!..
მიწა კუქსა ვერ გაპყრია,
ძილს მცონარეს კიდევ — ზენა!..
ცხოვრებისა უღრან ტყეში
გზა სავალი არ იხსნება,
სულის მხრწნელი და უხეში
დაძრწის იქა, დაჰქრის ვნება!!
კაცთა ტომი უკან მიდის...
ნათელ სამოსს კერპებს აცვამს!
და ღმერთკაცსა — თავის სვინდისს
კვლავ ჭვარს აცვამს, კვლავ ჭვარს
აცვამს!².

როგორც თერგდალეული მწერლები, კოტე მაყაშვილიც შევნებულად ხედავს, რომ „შირად ტანჯული, შეგინებული, მრავალტანჯული“ სანატრელი სამშობლოს დაცემის, დაცინების მთავარი მიზეზია ქართველი პრივილეგიური საზოგადოების უმრავლესობის

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5525—ხ—65.

² ი ქ ე ე № 5623—ხ—63.

ნიადაგგამოცლილობა, უმოქმედობა, უმიზნო ცხოვრება. ამ-ტომ პოეტი მუდარით მოუწოდებს მათ:

დასტრგენვე ძილი,
იგივ სიკვდილი -
და ერთად მძლავრთან,
ტყბილ მაცხოვართან
აღსდექით მკვდრეთით!...¹.

ასევე არა ჩიოდა 60-იანი წლების უღელტეხილზე თერგდალეულ მწერალთა ბელადი ილ. ჭავჭავაძე: „სულ ძილი, ძილი! როსლა გვეღირსოს ჩვენ ვალვიძება?!“

როგორც თერგდალეულ მწერლებს, კოტე მაყაშვილსაც კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ ქვეყნის დაცემის მიზეზი პირველ რიგში თვით მის შინაგან ყოფაშია, რაც მწარე შედეგი იყო ფეოდალური ყოფის გახანგრძლივებისა ჩვენში და მის ნიადაგზე შექმნილი მავნე მდგომარეობისა და ზნე-ჩვეულებებისა — ქვეყნის დანაწილება, ერთმანეთს შორის შუღლი, მტრობა, ჭიშკობა. დავით გუ-რამიშვილის სამართლიანი და მოხდენილი თქმით: „კახელების აღ-მა ხნული, ქართველებმა დაღმა ფარცხეს“, რამაც განადგურებამდე მიიყვანა პოეტის სამშობლო.

კოტე მაყაშვილს სამშობლოს ხსნა, აღდგენა შესაძლებლად მიაჩ-ნია, თუ დანაწილებული და ერთმანეთში აშლილი ერი გაერთიანდებ-ბა, მტკიცედ შედუღდება ერთი მისწრაფებით — ქვეყნის აღდგენის, მისი თავდადებული, უნგარო სამსახურის იდეით: თუ ქართველი გაიგებს და გაიცნობს; ვინ არის მისი მოყვარე, ვინ — მტერი; რაა ქვეყნისათვის საჭირო, სასარგებლო; კარგი თავისი შეინახონ, მავნე, შეუფერებელი უკუაგდონ; რაც არა აქეთ, კარგი უცხოებისგან გა-დაიღონ.

ქვეყნის აღორძინება-აყვავების დაუძლეველი სურვილით ამო-ძრავებული პოეტი ასე მიმართავს თანამემამულეებს:

შეერთდეთ და შეიქნეთ
ერთობრც. ერთსულად
და შევმსროთ წყვდიადის
ნაშენნი სრულად.
დაუბრუნოთ ქვეყანას
კეთილ-დღეობა;
სათნობამ კვლავ იწყოს
თავისი მზობა!...²

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა. „აღდგომა“, გვ. 10.

² ი ქ ვ ე, „ქეშმარტება და გენიოსი“, გვ. 13.

ყრუდ და ბრმად ქმნილი ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრებით უკმაყოფილო კოტე მაყაშვილი „შფოთავს, არ ცხრება“. მის ჩანგზეც „სევდით აღვისილი მღელვარე ხმები მძიმედ ოხრავენ, მწარედ სტირიან“. ამ ჩანგის ხმებთან თვით პოეტიც სტირის. ის გულმოკლული წუხს, ტირის თავის სამშობლოს მდგომარეობას.

კოტე მაყაშვილიც აკაკისებურად აგვიწერს ოდესღაც გასხივონებულს, ძლიერს, მდიდარს, აწ დაცემულს, შეგინებულს თავის საყვარელ სამშობლოს, რათა მკითხველი გამოაფხიზლოს, პატრიოტული გრძნობა გაუღვივოს. მოვუსმინოთ ამ მიზეზით გაწამებული პოეტი როგორ ოხრავს-ქვითინებს:

ჩემს სამშობლოს. მრავალწვალებულს,
ოდესღაც ნორჩსა, მდიდარს, ძლიერსა,
აწ წელში მოხრილს, უძლურს, დაცემულს
და გლახასავით მწყურვალ-მშიერსა!
ჩემსა სამშობლოს, ოდესღაც ქებულს,
ღიად გვირგვინის ღირსსა და ჩვეულს,
აწ კი გაძარცულს, აწ მოტყუებულს,
და მჩვარ ძონძებში, ვაი, გახვეულს!
ჩემსა სამშობლოს, ოდესღაც მაღალს,
უშიშარს, მაგარს და თავმოყვარეს,
აწ შეშინებულს, ყველასთან მდაბალს,
თრთოლვით, ცახცახით მტრისა
შემყურეს!!

გულდასერილი პოეტი სასოებით მიმართავს თავის ჩანგს, იწყოს ხმამაღლა ქვითინი, აუწყოს ყველას, რომ „გასაჭირშია სამშობლო“, რომ ის არსაიდან აღარ ელის შველას, რომ მას თავს ადგა სულთამხუთავი, შავი სიკვდილი, რომ მის გარშემო გახარებული მტრის ურცხვი და ავი ხითხითი ისმის, ხოლო ქართველი გულგრილად. ცუდად შეჰყურებს სულთმობრძავ სამშობლოს.

აქაც იგრძნობა კოტე მაყაშვილის შემოქმედების ნათესაური სტილი, სიახლოვე აკაკი წერეთელთან.

პოეტს წყვედიადით მოკრულ გარემო ცხოვრებაში ეჩვენება მონავარდე „შავფრთოსან რაშზე ჭერაც ვერ ძლეული სატანა“, რომელიც „ჰქელავს და სჭეჭყავს, რაც კი წინ ხედება“, სისხლითა თერება, მაგრამ მაინც ვერ ძლება; პოეტს ესმის გარემო ირგვლივ „კვნესა, ჩივილი, ყვირილი, ტირილი“: ამის მნახველი „ცოდით ზღვა იწოდა“. შეძრწუნებული პოეტი ასე აგვიწერს ამ გარემოს:

¹ კ. მაყაშვილი, ლირია. „ნანგრევებზე“. გვ. 34.

მთა-გროვა მკედრებისა,
ხორცის და ძვლებისა
სულს და გულს ზარავდა,
ჰაერსა სწამლავდა!
და შავის აჩრდილით
ნათელ შვეს ჰფარავდა!
სახეზე ღუხჭირსა,
ქვეყნის ეამს და კირსა
სიბილწე ესახა...¹

ეს ლექსი დაწერილია 1908 წელს. ამ ლექსში კოტე მაცაშვილი მუქ ფერებში იძლევა რევოლუციის შემდეგ გამძაფრებული რეაქციის დროის მდგომარეობას — თავისი ქვეყნის შევიწროებულ-გაბეგრილ არსებობას უხეში პოლიციურ-მონარქიული ძალმომრეობის ქვეშ. ეს ლექსი ნიჭიერი სატირა-პამფლეტია რეაქციული ხელისუფლებისა და მის მესვეურთა მიმართ. პოეტი მათდამი გამსჭვალულია ღრმა სიძულვილით, უნდობლობით. ამიტომ ის თავის ლექსით „ვინც გიქებს ცხვირს“ მოურიდებლად, თავისი დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით აფრთხილებს შეგინებულ, მოხიბლულ სატრფოს (სამშობლოს) მოერიდოს ის მათ ფლიდ ალერსს; აფრთხილებს, რომ მათ ნიღაბი აქვთ აფარებული და ამიტომ ფხიზლად და ფრთხილად უნდა იყვეს მათ მიმართ:

ვინც გიქებს ცხვირს. პირს, მკერდს და თმას.
თან გეფიცება ცხარედა,
ტურფავ, ნუ უგდებ ყურს იმას:
გატყუებს იგი მწარედა!
ვით ნორჩსა, უცხო ყვავილსა
დაგაჰკნობს ბინძურ შეხებით:
რა აისრულებს წადილსა,
გაგსრენავს ტლანქის ფეხებით!...²

პოეტი სატრფოს (სამშობლოს) დაუძლეველი სიყვარულითა და სასოებით გადაუხსნის თავის გულს, გაანდობს, რომ მისი ფიქრისა და ოცნების საგანია სამშობლოსათვის მზადყოფნა, ანაცვალოს მის კეთილდღეობას თავისი სიცოცხლე. აი რა უშუალო ნაზი სიყვარულითა და ალერსით მიმართავს პოეტი სატრფოს (სამშობლოს):

¹ კ. მაცაშვილი, ლირიკა, „სატანა“, გვ. 21.

² იქვე, „ვინც გიქებს ცხვირს...“, გვ. 61.

მთხარ და შენსა სიკოცხლეს
აეავსებ გაზაფხულითა!..
გარს შემოვახვევ ცის ლაქვარდს,
მზის ვვირგვინს თავზე დაგადგამ,
ფეხ-ქვეშ დაგიფენ ია-ვარდს,
ვილოცებ შენზე დღე და ღამ! ¹

ამგვარი გამოვლინება ეროვნული გრძნობისა ჩვეულებრივია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლებისათვის. კოტე მაცაშვილის პოეტური სტილი აქაც ენათესავება ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვახტ. ორბელიანის, გრ. აბაშიძის, მამია გურიელის და სხვათა პოეტურ სტილს.

კოტე მაცაშვილიც ნატკენი და სევდიანი გულით დაეძებს სამშობლოს დაკარგულს, გამალებით ეძებს „მის სხეულსა და მას სულს“. მაგრამ იგი მას ვერ პოულობს ვერც სანთლებით გაბრწყინებულ ტაძარში — ხუცესთა ლოცვებში, რომელნიც მის „სულს ვერა სწვდებოდნენ“, ვერც „გონების ტაძარში“ „ჩვენ ყრმათა აღზრდის და სწავლის ჟამს“. აქ უფრო მტანჯველი შეიქმნა პოეტის გულიტკივილი, რადგანაც იქ მას ესმოდა „გმობის და ძრახვის სიტყვები, სხვის სული მეფობდა შიგ“.

აქ კოტე მაცაშვილი მოუტირებლად აღნიშნავს გამეფებული უხეში კოლონიური პოლიტიკის ძალმომრეობის გამო გადაგვარებას ქართული ეკლესიისასაც; ქართული სკოლისასაც; რაც ძველად, პოეტის გაგებით, ზრდიდა ხალხს. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ დამამვრალი პოეტი ვერც ქართველთა კერამ-ოჯახმა დააყუჩა, რადგანაც მან ვერ იგრძნო სამშობლოს მაჯისცემა. აქაც იგივე მწარე გაცრუება იმედისა, ვინაიდან პოეტის გაგებით, ქართველის ოჯახს —

ვაი მის შერცხვენას!
სხვა კერპი ჩაუღდამს შიგ!
სხვის ზნესა ემონვის... სხვის რჯულს და ენას.
უარპყვეს სამშობლო იქ!... ²

გულდაკოდილმა პოეტმა გაიარა ასე სევდით მოცული ქალაქი, ბარი და მთა, „ივერთა ოფლითა, სისხლითა მორწყულა“ და დასევდიანებული მწარედ რწმუნდება, რომ მისი ქვეყანა მთლად დარჩენია — „ვის?“ —

¹ კ. მაცაშვილი, ლირიკა, გვ. 62.

² იქვე, „დაკარგულ სამშობლო“, გვ. 96

ქალაქი ჩხიკეებსა... მინდორი ყვავებსა...
ჩვენ კი... კლდე... შიგა და შიგ!
ახ, სისხლის ცრემლები ერევა თვალებსა...
განდევნეს სამშობლო იქ!..!

სევდამორეული, გაწიბილებული პოეტი, თითქოს, ნიადაგგამოცლილი. დაცარიელებული, მარტო, შევიწროებული, გატანჯული, სასოწარკვეთილებას მიცემული ასე უნუგეშოდ ჩივის:

ჩემს სამშობლოშივე სამშობლოს დაკარგულს
დავეძებ ბედისგან კრულს!
სამშობლოს ჩვენივე ხელითა დამარხულს.
მის სხეულს და იმის სულს!..!

მგოსანი აქ მუქ-შავ, მაგრამ მასთან რეალურ ფერებში გვიხატავს, ეროვნული თვალსაზრისით, სამშობლოს გამანადგურებელ მოვლენას, დარღვეული პრივილეგიური კლასის ნაბოლავარნი, შრომას შეუჩვეველნი, ახალი დროისათვის ცოდნის უქონელნი რომ ანიავებდნენ დარჩენილ მამულ-დედულს, ხალხს ტერიტორიას ხელიდან ჰგლეჯდნენ, რითაც ეროვნულ მთლიანობას ნიადაგს თუ არ აცლიდნენ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უსუსტებდნენ მაინც.

* * *

კოტე მაყაშვილი გარემო სინამდვილს ნახვითა და განცდით აღელვებული, ამღვრეული, გაბოროტებული უყურებს დაჩაივებულ ჩვენს ცხოვრებასა და საზოგადოებას. ცდილობს გამოარკვიოს, რამ მიიყვანა სამშობლო ამ მდგომარეობამდე. შხამით ავსილა პოეტი ეძებს ამის მიზეზს და, გამონახავს რა, დაუნდობლად გამოაფლენს მის ვერაგულ და მავნებლურ ბუნებას. ამ მიზნით პოეტი მოხერხებულად იმარჯვებს სატირის ჟანრს.

კოტე მაყაშვილის ლექსი „ს ი მ დ ე რ ა“ მშვენიერი სატირაა ქართველთა, განსაკუთრებით პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთა მიმართ, რომელნიც თვალაბნეულნი, უდარდელად უყურებდნენ ცხოვრებას, არ უღებდნენ მდგომარეობას ალღოს, მიეცნენ უსაქმურობას, უყაირათობას, ქეიფსა და ქაოტურ ვნებიან სიამოვნებაში უანგარიშოდ სწვავდნენ თავიანთ ქონებასაცა და სიცოცხლესაც. სინამდვილის ნახვით შეძრწუნებული პოეტი დაუნდობლად ასე

1 კ. მაყაშვილი, ლირია. „დაკარგული სამშობლო“, გვ. 96.

აღაპარაყებს თაყის თაყზე „მთაგოლიათის შთამომავალ მწერს“, —
ე. ი. გადაგვარების გზაზე დამღვარ ქართველს:

ჰერი, ჰერი, ჰერი
ვთამაშობ და ვმღერი,
თუმცა თაყზე ლამის არის
დამენგრიოს ჰერი!
ჰერი, ჰერი, ჰერი,
ვმღეროდი და ვმღერი!
ძლიერ მაგრად ჩაყვერ ვალში
და... ვერ ამოყვერის
ჰერი, ჰერი, ჰერი.
ვლნინობ მე და ვმღერი!
სულსა ვშმაყს ვუგირაყებ,
როგორც ჩვენი... ბერი!
ჰერი, ჰერი, ჰერი,
ვცეყავ მე და ვმღერი.
ყველა მიგდებს მასხარადა
მოყვარე თუ მტერი..
ჰერი, ჰერი, ჰერი,
მიხარიან, ვმღერი
სამშობლოს ვკრავ წიხლს, ოლონდ კი
ვიყო კამერგერი!...
ჰერი, ჰერი, ჰერი,
ვბუქნაობ და ვმღერი,
ფეხქვეშ ვთელი, რაც კი მქონდა
ზეციით მონაბერი
ჰერი, ჰერი, ჰერი,
ვლოთობ მედგრად, ვმღერი
ჩემს იდეალს და რწმენასა
მოეფინა მტერი! ¹

ამ სატირაში იშვიათი სიმკვეთრითა და კონკრეტულობითა ჩა-
მოთვლილი ყველა ის უარყოფითი თვისება, რომლებიც, სამწუხარ-
ოდ, ასე ძალუმად ახასიათებდა ქართველი საზოგადოების ერთ
ნაწილს, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდანვე მეტად თვალსა-
ჩინოდ, როგორც ხორცმეტი მოეკიდა ქართველი ხალხის მთლიან
ორგანიზმს და დაუზოგველად დაუწყო მას დაშლა. ქართველი სა-
ზოგადოების ამ ნაწილის საბედისწერო და სამარცხვინო მდგომარე-
ობას აღელვებით ამქლავებდნენ ჩვენი დიდი პატრიოტი პოეტე-
ბიც — ალ. ჰავჭავაძე, ილ. ჰავჭავაძე, აკაკი წერეთელი. მათ გზას
ნიჭიერად მისდევს კოტე მაყაშვილიც.

¹ კ. მაყაშვილი, ლირია, „დაკარგული სამშობლო“, გვ. 9.

ამ ნიჭიერ სატირას კოტე მაყაშვილი მკითხველისათვის შთამაგონებლად ამთავრებს თავისი ღრმა გულისტკივილიანი დამოკიდებულებით ამ ქართველებისადმი:

ჰერი. ჰერი, ჰერი
ესტირი მე თუ ვმღერო?
ის კი ვიცი, ცრემლად დავდნი
ამისი დამწერი!

პოეტის ამ სატირის ძალასა და მიმზიდველობას, გარდა უშუალო ფაქიზი გულწრფელობისა, რაც ასე დამახასიათებელია კოტე მაყაშვილის შემოქმედებისათვის, სათანადოდ აძლიერებს ქართველი საზოგადოების ნაწილის უდარდებლობის — სიმხიარულისა და უზრუნველობის გამომჩატველი რეფრენი — „ჰერი, ჰერი, ჰერი“, რომელიც ასეთი მნიშვნელობით ფართოდ იხმარება ქართულ ხალხურ პოეზიაში, ხოლო, როგორც კონტრასტი, საწინააღმდეგო მნიშვნელობით აქ ნიჭიერადაა გამოყენებული პოეტის მიერ.

ასეთივე დახასიათება ქართველი საზოგადოების ამ ერთი ცნობილი ნაწილისა, რომელიც ქართველთა ეროვნულ ორგანიზმს ასე აქნინებდა, აჩანაგებდა, მოცემული აქვს კოტე მაყაშვილს მეორე სატირაში „რ ი თ მ ე ბ ი“. აქაც ერთი ნაწილის მიერ საზოგადოებრივი გრძნობის, პასუხისმგებლობის დაკარგვით, გადაგვარებით აღელვებული, აღშფოთებული პოეტი, მოუხრიდებელი და შეუხრიგებელი, შემდეგნაირად აშიშვლებს მათ:

მოდის ახმახი,
დინჯი ვით შახი,
ხელში შათრახი.
თავზე ფაფახი.

ზორბათა მსმელი,
ნაბიჯი ნელი.
მხრებზე შინელი,
ვაჰ! საშინელი!

მთელი ქონება,
ქეუა-გონება,
გრძნობა და ნება
აქვს ემონება...

დედულ-მამული
მთლად ჩაყლაპული,
ჯიბეში ნული,
სარდაფში სული. —

სოფელში სძინავს,
ქალაქში ჰფრინავს,
ჰფიცობს და ბრძღვინავს.
სკეკავს და ჰგრავინავს!..

მკლავით მაგარი,
ჩხუბში მელგარი,
საქმეში მჩვარი,
ნეტა ვინ არი?!¹

და მკითხველიც იოლად ზედებოდა, ვინ იყო ეს. ნიშნები მეტად ზუსტია და დამახასიათებელი. ამიტომ პასუხიც ადვილია და აშკარა — ქ ა რ თ ვ ე ლ ი არის.

ეს სატირაც მკითხველამდე ადვილად დადიოდა და პოეტიც მიზანს მაქსიმალურად აღწევდა, მკითხველსაც აფხიზლებდა, მიუთითებდა ერის, ქვეყნის მძიმე საბედისწერო მდგომარეობაზე. ენერგულ, მიზანშეწონილ შრომას ქვეყნის სასარგებლოდ შთააგონებდა.

თუ რა მძიმე ტყვიობებში ჰქმნიდა კოტე მაყაშვილი თავს თხზულებებს, თუ როგორ შინაგან მძიმე ტანჯვას განიცდიდა, განსაკუთრებით როცა ის წერდა თავის პირუთვნელ სატირებს, ამას ის დიდი უშუალობით გვიხატავს ერთ-ერთ თავის ლექსში „პ ა რ ა - ლ ო ქ ს ი“. მოვეუსმინოთ პოეტს:

ივერთ სიყეტის მკაცრი მძრახველი
მე ვოხუნჯობდი, თან ვიცინოდი...
მაგრამ გაღვისვი თვალებზე ხელი
და ცრემლი ვიგრძენ... თურმე ვსტიროდი!

ამიტომაც კოტე მაყაშვილი უიშით, ვაი თუ მკითხველმა სათანადოდ ვერ გაიგოს იგი, მკითხველს აფრთხილებს, მის სიცილსა და ოხუნჯობას, ტირილსა და წუწუნს ის პირდაპირი მნიშვნელობით ნუ მიიღებს, დააკვირდეს, რადგანაც —

ნუ გაიკვირვებ: ოღესაც ვსტირი,
იცოდე, მაშინ სიცილით ვკვდები
და როს ვხითხითებ, ვითა სატირი —
მაშინ ტანჯვის და ცრემლის ტბად ვხდები!²

ამიტომაც, რომ კოტე მაყაშვილი თავის მოვალეობას, როგორც პოეტი, მოქალაქის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. ის არ ინდობს არც მგოსნებს, რომელნიც სიწმინდითა და სიმართლით არ ემსახურებიან ხალხს. ცხოვრებას, მის საჭირობოროტო მოვლენებს.

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „რითმები“, გვ. 16.

² იქვე, „პარადოქსი“, გვ. 41.

ლექსში „პარნასი“ პოეტი აკვირდება ცხოვრებას, მასში ხედავს გაბატონებულ უსამართლობას, ძალმომრეობას, კარგის, სამართლიანის, კეთილის არადაფასებას, აბუჩად აგდებას. ისწრაფვის სიმართლე, სილამაზე, სათნოება ნახოს მგოსანთა სამოთხეში მაინც. მან ნახა მუშათა სამთავრო, — ოდესღაც „ლამაზი გაზაფხულივით“ გულისა და სულის მალხინებელი უმანკო სიყვარულივით“, სადაც „მუშები, ტკბილად მეტყველნი, კაცობრიობის ვაებისა და ლხენის გამომეტყველნი“ იყვნენ და რომელთა „ციურ ხმათ ყურს უგდებდა ალტაცებული ქვეყანა მრავალტანჯული“. მაგრამ, პოეტის მწარე განცდით, ასე იყო უწინ, ახლა კი ეს მუშათა სამოთხე, პოეტის გაგებით, შეიცვალა. ახლა —

პარნასის მწვანე ქედზედა
ჩხაოდნენ მაიმუნები,
მათ ბანს აძლევდნენ ყვავები
თუთიყუშები, ბუები...
ჰიმნებს ვალობენ ბუები,
ბაყაყნი ზურნას უკრავენ
და აქლემებთან ერთადა
დათვები ლეკურს უსვამდნენ!!!

დაუქმყოფილებელი პოეტი დაეინებით განაგრძობს პარნასის ძებნას. ის ეძებს თავის, პოეტის ხედვას, ეძებს ცხოველი მოქმედების ასპარეზს, პოეტის ნამდვილი დანიშნულების განხორციელების სარბიელს.

ლექსში „პოეტის სტუმრები“ ჩაგრულთა, ბედკრულთა დამტირებელი და შემბრალებელი პოეტი სტუმრებს სთხოვს დარჩენენ მასთან, გადაუშალონ მას გულისნადები, რათა მან აიღოს თავისი ჩანგი, ააქლეროს. ცა და ქვეყანა ტანჯულთათვის ხან აატიროს და ხან ამლეროს.

ცხადია, კოტე მაყაშვილის ღრმა რწმენით. ლიტერატურული მიმართულება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომლის აღორძინებასაც 90-იან წლებში ადგილი ჰქონდა ინტელიგენციისა და მწერალთა გარკვეულ ჯგუფში. მიუღებელია; პოეტს ეს მიმართულება დანაშაულადაც კი მიაჩნია. კოტე მაყაშვილის გაგებით, პოეტი მიწას, სინამდვილეს უნდა დასტრიალებდეს. მას უნდა ეხმაურებოდეს მთელი თავისი ძალ-ღონით.

ლექსში „პოეტის სტუმრები“ კოტე მაყაშვილი ჩვეულებრივი გულწრფელობითა და სიმკვეთრით გადაშლის დაღუპულ

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „პარნასი“, გვ. 54.

კაცთა სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობასა და ხვედრს — უკულ-მართი ცხოვრების შმაგ ტრიალში. პოეტის წინ ნათლად წარმოღ-გება ყველა ხელობის, ყველა სარწმუნოებისა და ეროვნების კაცო თუ ქალი — „ტანჯულ-ჩაგრული, მოძულეებული შვილი ცხოვრე-ბის“ — ყველა ისინი მგოსნის წინ ნაღვლიანი, დაუჟამაყოფილებელი დგანან და მთრთოლავი ხმით მას თან შესტირიან და თანაც მხურვა-ლედ ევედრებიან:

მგოსანო, გულის ძაფთაგან წნულსა
სიმებს ჩამოჰკარ და ააღერე.
მძლავრი სიმღერა ტანჯულ-ჩაგრულსა
ბრძოლის და ხსნისა უმღერ-ამღერე!
ღე, სევდა-ტანჯვის საბრძანებელში
გამარჯვების ხმად დაიგრილოს,
და მის ნოტიო შავ სიბნელეში
მზის ნათელ სხივად ჩაისრილოს!!
გულქვაობისა, სიავის მსხვერპლებს
შეგვისუმბუქებ მით მწარე ზედსა,
თუ ჩვენ ობლებსა შეუშრობ ცრემლებს
და დაუნერგავ გულში იმედსა!¹

ჩაგრულთა, უბედურთა შემბრალებელი პოეტი კოტე მაყაშვი-ლი ყურადიღებს მათ ძახილს, აღშფოთებულსა ბრძოლის წყურვე-ლი უძლიერდება, მზადაა დაავლოს მახვილს ხელი და ყველას გასა-გონად და გასამხნეებლად დაიძახოს:

აღსდგე, ვინც კი ხარ ტანჯულ-ჩაგრული,
შორს კენესა, ოხერა, ვიწამოთ ღმერთად
ბრძოლის უფალი, ბრძოლისა სული!²

ცხადია, კოტე მაყაშვილი, როგორც ჩვენი რეალისტი მწერლე-ბი, განსაკუთრებით კი დემოკრატი-რევოლუციონერი პოეტები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში რომ მედგრად აგუგუნდნენ, პოეტის დანიშნულებას ჰხედავს უბედურთა დანმარებაში, უბედურთა ტან-ჯული ცხოვრების გაზიარებაში, რათა მას ხალხის „ბედით და უბე-დობით დაედაგოს მტკიცე გული“, რათა ის „ერის მოძმე იყოს ჰმუნ-ვასა და სიხარულში“.

კოტე მაყაშვილი, მისთვის ჩვეულებრივი უმწიკვლო ლირიზმით აღსავსე ერთ-ერთ თავის ლექსში „ჩ ე მ ი ს ე ე დ ა“, დიდი უშუა-ლობით გამოხატავს, რომ მისი სევდის წყარო პირადი ხასიათისა კი

¹ კ. მაყაშვილი, ლირია, „პოეტის სტუმრები“, გვ. 78—79.

² იქვე.

არ არის, არამედ საზოგადოებრივია. მოვისმინოთ გულწრფელი სიტყვა პოეტისა:

მე პირადად არ მაკლია
ვარდი, თუნდა ია:
სავსე არის ქვეყნის სევდით
ჩემი გული ღია..
ვაების ხმა ცასა სწვდება
ერთ დიდ კენესად ხდება:
სული ზეცით მონაბერი
ბორკილებში კედება!..¹

* * *

კოტე მყაყშვილი ასეთსავე საზოგადოებრივ მოვალეობასა და დანიშნულებას უსახავს ყოველ მოქალაქეს. ლექსში „ადამიანი“ პოეტი გამოხატავს ადამიანისათვის აუცილებლად ახალი, უცნობი, ცხოვრების „ახალი ნაპირისა და ქვეყნის ძიების“ გზით სიარულს. პოეტი აღარ იზიარებს წარსულის იდეალიზაციას, წარსულზე წუწუნ-ტირილს; მის ყურადღებას იზიდავს აწმყო და მომავალი, აწმყო, რომელიც მყარ ნიადაგს უმზადებს უბედურთა ბედნიერ ცხოვრებას. ამიტომაც ლექსში „ადამიანი“ — ადამიანს, „აწმყო-მომავლის უარისმყოფელს, საფლავთა მკობელს“ (რომელსაც პოეტი აღარ თანაუგრძნობს), ფრთხილად შეეხება „უცხო ჭაბუკი, სახე ნათელი“, „მკერდგანიერი, მხარბეჭიანი, ვით ამირანი, ბრვე და ძლიერი“, რომელიც პოეტს დროისათვის შესაფერი მიაჩნია და რომელიც მძლავრი, ძმური კილოთი ასე მიმართავს ადამიანს — მოძმეს — „აწმყო-მომავლის უარისმყოფელს — საფლავთა მკობელს“:

მეგობარო, აქ რას ზიხარ, მკენარ ყვაილებს რას დასცქერი?
სასაფლაოს, ძვლების ორმოს, რას დასტირი, რას დაძმლერი?

წარსულს რაც რომ უხრწნელი აქვს, უკვდავებით მონაბერი,
მთლად ეკუთვნის მომავალსა, საფლავს რჩება არაფერი!²

უცნობი ჭაბუკი ურჩევს „საფლავთა მკობელს“ ადამიანს გამოსცადოს თავისი ძალა, გაშალოს ლაყვარლში ოცნების არწივის ფრთები, სულს ნუ უწამლავს ჰაერს „აშმორებულ ჭაობს — დარღში“; ნუ ეძებს სიტკბობას უკვე „მომკვდარ, დამკენარ ვარღში“; ნუ სტოვებს ბრძოლის ველს, ნუ „უზურავებს“ ახალ ღმერთს, ნუ ირ-

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5666—ბ—63.

² კ. მყაყშვილი, ლირიკა, „ადამიანი“, გვ. 94.

ჩვენს ძველისძველს. მისი რწმუნებით, მკვდრებისაგან არაფრით რჩევა „მოწუწუნე საფლავთ მცველი“.

უცნობი ჭაბუკი მოუწოდებს მოძმეს. — ადამიანს აღსდგეს, მისცეს მას მტკიცე ხელი, მტკიცედ, ხალისიანად და გაბედულად შეადგენ ახალ გზაზე:

გავეშუროთ იქ, სადაცა სიცოცხლე სჩქეფს, ჰღელავს და სდუნს,
სადაც ნება მეხად ტყდება, სად ზღვა გრძნობათ ელავს და ჰქუხს,
სადაც გული უტბეხსად სძგერს, უმწვავესად სადაცა სწუხს.
სად ხმა ისმის ნაზ ყვავილთა, სად ყურს მოჰკრავ საომარ ბუქს !

კოტე მაყაშვილს ღრმად სწამს, რომ ეს ანაკადებულის სიმწარითა და ბრძოლით სვლა მომავალი ცხოვრებისაჲც, ოცნება აღარ არის, რომ ის მალე სინამდვილედ იქცევა:

იქ მნათობი ისახება მზეზედ დიდი და ბრწყინვალე,
მის სამთავრო შორს არ არი, მის სუფევა მოვა მალე,
სიცოცხლისა სიტკბოს იწვნევს სიკვდილისა მოვალაჲ !

თუ როგორი მაღალი იდეური შინაარსით ეხატება კოტე მაყაშვილს ეს მომავალი, ის იქვე იძლევა ამის გარკვევასაც:

იქ მუშაობს შემოქმედი, მან არ იცის, რა არს რული,
- მას ფოლადის სხეული აქვს, მის გონება არი სრული,
მის წინაშე სტიქიონი თვის ძალებით იხრის ქედსა!...
სდგას ძლიერი კვერით ხელში, სქედავს ცეცხლში ქვეყნის ბედსა,
სიკვდილს უშენს თავს და პირში, ფარხზაღს უმსხვრევს, ახვევს რეტსა.
ერთი-ორი დაკვრაცა და... არ ინდომებს იგი მეტსა!
იქ მუშაობს შემოქმედი, არ იკარებს რულსა და ძილს,
იგი შეჰქმნის უკვდავებას! იგი სძლევეს და მოჰკლავს სიკვდილს
ქვეყანასა მოხსნის ტვირთსა, ცრემლს შეუშრობს სასომოხდილს,
და დასთესავს კაცთა გულში მხიარულსა, საღსა სიცილს !

ვინაა, კოტე მაყაშვილის გაგებით, ეს უკვდავების შემოქმედი, რომელიც „სძლევეს“, „მოჰკლავს სიკვდილს“, „ქვეყანას მოხსნა ტვირთს“, „ცრემლს შეუშრობს სასომოხდილს, და კაცთა გულში დასთესავს მხიარულსა, საღსა სიცილს?“ პოეტის რწმენით, ამის მოქმედი ადამიანი — კაცი, რომლის გულის სიღრმეშიც, მისივე თქმით, „ქვეყნის მალამოა დამალული“. პოეტიც, იმედმოცემული, აღფრთოვანებული მოუწოდებს მკითხველთ:

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „ადამიანი“, გვ. 94.

გავეშუროთ, მხარი მივცეთ სამყაროს მეფე სვიანს,
მივეგებოთ მომავალსა იმედინს, ნათელ-მზიანს!

და ახალი, სამართლიანი ცხოვრების მოახლოებით გატაცებული კოტე მაყაშვილი ენერგიულად და დამაჯერებლობით შთაგვაგონებს: ჩვენც ყველანი მტკიცედ გავეყვით ამ შინაარსიან, ადამიანის ბუნებასთან შეფარდებულ ცხოვრებას:

მე წაყვევი!... გავეშურე!... მეგობრებო, თქვენც მომყევით!
შეუპოვრად, გულსავსეთა, არა შიშით, არა რყევით,
კაცის ტახტი ავიტანოთ უფრო ზევით, უფრო ზევით
და მსოფლიოს სპეტაკ თავზედ დაედგათ იგი ქების კმევით! ¹.

ღიად, კაცის დაფასება მისი პირადი ღირსებების მიხედვით ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ძირითადი გადაუდებელი ამოცანა იყო ძალმომრეობის ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ წარმოშობა, წოდებათა განსხვავება, ეკონომიური უპირატესობა ასეთ დიდ დანაშაულებრივ შემფერხებელ როლს ასრულებდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

კოტე მაყაშვილს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ კაცი, თავიანთი მაღალი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი ღირსებით აღჭურვილნი, პქმნიან ღირსეულ, სამართლიან ცხოვრებას, ეწვეიან მას წინ უკეთესობისაკენ. ესეთი გაგება კაცის დაფასებისა მტკივნეული, გადაუდებელი ამოცანა იყო მისი ეპოქისათვის და კოტე მაყაშვილიც სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად ენერგიულად ეხმარება ამ მტკივნეულ გარემოებას, იბრძვის კაცის ღირსების ამაღლებისა და სათანადო დაფასებისათვის.

* * *

კოტე მაყაშვილის ამ დემოკრატიულ-რადიკალურ-პროგრესულ განწყობილების გაღვივებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა 900-იან წლებში საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი აღმავლობა, მშრომელთა მასების სწრაფი დარაზმვა და მათი აქტიური რევოლუციური გამოსვლები.

ცნობილია, 900-იანი წლებისათვის საკმარისი სიმწვავით გაიშალა კლასთა შორის მოურიგებელი ურთიერთობა. ძველი წყობილების სიღამპლე, სიმახინჯე, მიუღებლობა უფრო მკვეთრად გამოიქვლავნდა. ჩაგვრა სუსტისა, ღარიბისა და უკანასკნელთ გაბედული წი-

¹ კ. მაყაშვილი. ღირსი. „ადამიანი“, გვ. 94.

ნალმდეგობა უფრო მწვავე ბრძოლის ხასიათს იღებს. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც მტკიცედ იკიდებს ნიადაგს დარაზმული ბრძოლა ძველი, უსამართლო წყობილების წინააღმდეგ. დაჩაგრული, შევიწროებული მშრომელის მდგომარეობა საერთო თანაგრძნობას იზიდავს, საერთო ყურადღების ცენტრში დგას. 900-იან წლებში საგრძნობი ჯგუფი დემოკრატ-რევოლუციონერი პოეტებ-სა მკვეთრად აღბეჭდავს ამგვარ მტკივნეულ საკითხებს.

კოტე მაყაშვილის პოეტური შემოქმედების ჰუმანური მოტივი, გაძლიერებული გარემოს შესაბამისად, თანდათან უფრო ღრმავდება. კოტე მაყაშვილის ჩანგიც მებრძოლი სოციალური მოტივებს განვითარებას იწყებს.

ლექსში „უნამუსო“ კოტე მაყაშვილი ჩვენი და იმ დროის რუს დემოკრატიულ მწერლებსავეთ ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს დაჩაგრულთა მძიმე, არაადამიანური ცხოვრების პირობების გამო: ის შეძრწუნებულია შეძლებულთა, მდიდართა გულქვაობით, მათი დაუოკებელი სურვილით, რათა უადამიანო ექსპლოატაცია აწარმოონ ადამიანისა, რომელიც იძულებულია ლუკმაპურის საშოვრად თავისი სხეულიც კი გულსაკლავი კვნესით გაყიდოს. ღარიბის ვედრებაზე, მიაშველონ მას „ხელი ქველი“, თანაგრძნობის ტკბილი სიტყვა უთხრან, შეძლებულნი ყრუ-მუნჯად რჩებიან.

სინამდვილის ნახვით შეშფოთებული პოეტი ასე ახასიათებს მათ:

მაგრამ აბა, ამ ჩვენ დროში
ვინ იკისრებს შებრალებას?!
ვინ გაუწვდის დაცემულსა
უსასყიდლოდ მოწყალებას?!¹

ასეთი მდგომარეობით შეძრწუნებული პოეტი ვეღარ იკავებს თავს და გაშმაგებით წამოიძახებს:

ფუ იმ მაძლარს,
მხდალ საზიზღარს,
ვის არ სტიკვა სხვისთვის გული.
ვინც დაეძებს
მუზებს, ედემს,
ჩაგრულთათვის დაკარგული! ²

ღელვისა და შეძრწუნების უკანასკნელ საზღვრამდე მისული კოტე მაყაშვილი შურისძიების განწყობილებით იმსჯევალება და 1903

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „უნამუსო“, გვ. 15.

² იქვე, „პასუხი“, გვ. 8.

წელში მედგრად გაჰკივის — შევიწროებულებმა, დაჩაგრულებმა. იკმარონ თრთოლვა, შიში-კრძალვა სამარცხვინო, გამოვიდნენ მტკიცედ, გაბედულად, მტრებსა და მტარვალებს უშიშრად შეებრძოლონ, რათა მათი უსამართლო ყოფისა და ძალაუფლების საფუძველი დააქციონ, მტვრად აქციონ და ამით მოუღონ ბოლო.

მოთმინების ფიალა პოეტისა უკვე აღივსო, მოთმინება მას უკვე ბოროტებად მიაჩნია და მხნედ ასე უკივის ამ მიმართულებით ამოქმედებული მისი „ბუკი და ნალარა“.

დროა ხელი
მივეთ მხსნელი
უპატრონოს, შეშინებულს,
ყველგან დევნილს,
ფეხქვეშ თელილს,
სიმაართლესა შეგინებულს!..
დროა ჩაგრულს,
დამწვარ-დაგულს
მშიერ-შიშველს, უბედურსა,
ობოლს, ეულს,
ტანჯვად ქცეულს.
ყველა ბედშავს და უძლურსა
ჩვენს მოყვარსა,
მშრომელ ძმასა
გადეუხადოთ წმინდა ვალი;
ბრძოლით, მსხვერპლით,
სისხლის ცრემლით,
უდარდელი,
უტანჯველი
მოეუმზადოთ მომავალი!¹

ბრძოლის პათოსით აღტყინებული პოეტი საბრძოლველად გამოსულ მშრომელთ აფრთხილებს სიმტკიცე და წინდანედულება გამოიჩინონ. რადგანაც „ერ სადავოა ბრძოლის ველი“; მოუწოდებს მათ გაიმსკველონ შეგნებით, რომ წმინდად დაიცვან „ძმობა, ერთობა, კავშირი“, დარწმუნდნენ, რომ „ჩვენს გულში არის ჩვენივე მხსნელი“ და ფარად ჰქონდეთ ცნება — „ერთმანეთისა კირში გატანა“. მხოლოდ ასეთ პირობებში, ამბობს პოეტი, მშრომელთა რიგები გამძლავრდება, შეუვალი შეიქმნება და მაშინ მათ ვერ ავნებს და ველარც შეაშინებს „თვითონ მძლავრი სატანა“.

კოტე მაყაშვილი აშკარად ხედავს, ძალუმად განიცდის კიდევც, რომ ეს მრისხანება წარლვნად უნდა გადაიქცეს და შეუპოვრად წა-

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „პასუხი“, გვ. 7—9.

ლექოს სიბნელე, ძალმომრეობა, მონობა — ეს საშინელი სიმახინჯენი ცხოვრებისა.

კოტე მაყაშვილის გაგებითა და მოწოდებით, ამ ბრძოლის ველზე „ბინძურ ძალთა დასარბევად“ და მონობის ბორკილების დასაპსხვრევად ყოველი შეგნებული მოქალაქე თავს მეხად უნდა დაეცეს და „რკინის კვერად გადაიქცეს“.

კოტე მაყაშვილიც თავის გულწრფელ და მტკიცე ხმასაც უერთებს ამ ბრძოლის ყიყინს და ასე გვამცნობს თავის გადაწყვეტილებას:

მტარვალობას თავხედს, წყეულს
გულს ვეწვეთე შხამის ცვარად,
ფეხქვეშ თელილს ხალხის სხეულს,
გადვეშალე დამხსნელ ფარად: ¹

კოტე მაყაშვილი 1904 წელს დაწერილ ლექსში „ქეშმარიტება და გენიოსი“ ღრმადაა დარწმუნებული, რომ ხალხის დღევა სამართლიანია; მან ეს იციის და კარგადაც გრძნობს მის ძალას, შეუპოვრობას, მრისხანებას, პოეტს ასე ეხატება ეს რისხვით მოძრაობა ხალხისა, შეერთებულისა „ერთხორც, ერთულად“ წყვილიადით შექმნილ „ნაშენთა შესამუსრაავად“, რათა დაუბრუნდეს ქვეყანას „კეთილი დღეობა“, რომ „სათნოებამ კვლავ იწყოს თავისი მზეობა“. აქ ზღვა ხალხის მღელვარების გამომხატველი ცნებაა.

ზღვა სდულს და ჰღელავს... ზღვა ჰქუხს,
გრაილებს:
ზვირთებს აქაფებს, ბღღვინავს, ღრიალებს
იმ კოშკს შემუსრავს... ვეშაპსა
შთანთქავს!...
ვაჰ! წინ კლდოვანი მოჩანს ნაპირი,
მაგრამ არ შიშობს ზღვა—გმირთა გმირი
და მთელის თავის მრისხანე ძალით
შეუტევს კლდესა ყიყინ-ძახილით! ²

და გაათავისუფლებს „ვეშაპი გველის“ (თვითმპყრობელობის) მიერ დამწყვდეულს „სევდით მოცულ ტურფას“ (სამშობლოს), რომე-

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „პოეტის სტუმრები“, გვ. 71.

² იქვე, „ქეშმარიტება და გენიოსი“, გვ. 13—14.

ლიც „ღვრის ცრემლებს და ზღვისკენ იწვდის მთრთოლვარე ხე-
ლებს“.

მაგრამ კოტე მაყაშვილი არაა განუხრელი რევოლუციონერი პოეტი, მისი განწყობილება, მსოფლმხედველობა ბოლომდე ვერ რჩება მებრძოლად, სრული გამარჯვების იმედს ის ბოლომდე ვერ ინარჩუნებს. პოეტი, აღწერს რა საქმარისი მკვეთრი ფერებით აბო-
ბოქრებული ზღვის (ხალხის) შურისმძიებელ ღელვას, ბრძოლას „ყიჟინ-ზახილით“, გამოჰხატავს რევოლუციისადმი დიდ თანაგრძ-
ნობას. მაგრამ ხედავს რა, რომ ძველი წყობილებების დამცველი თვითმპყრობელობა კვლავ მაგრად დგას, არ ინგრევა, იმავე ლექსში, რომელიც დაწერილია 1904 წელს. — „ქეშმარიტება და გენიოსა“, პოეტი მისთვის დამახასიათებელ მერყეობას იჩენს და, თითქოს, ანელებს ბრძოლის განწყობილებას და, თითქოს, ერთგვარად იმედ-
გაცრეხებული თუ დამორჩილებული იქვე ასე განაგრძობს:

მაგრამ ამაოდ! შეუპოვარი
დგას შეუპოვრად ის კლდე მაგარი,
მწარე დაცინვით უკუგდებულსა
დაპყურებს ზღვასა გააფთრებულსა!..!

კოტე მაყაშვილი, აღწერს რა რევოლუციონური განწყობილე-
ბით ზღვასა და კლდეს შორის ბრძოლას, სათანადოდ, რევოლუციო-
ნერის თვალსაზრისით, ვერ ამახვილებს მათ ურთიერთობას, მერ-
ყეობას იჩენს: „ზღვა უფოთავს, — აგვიწერს პოეტი, — ღელავს...
მივარდება მოპირდაპირეს — კლდეს, მაგრამ ისევ მარცხდება“. კო-
ტე მაყაშვილისათვის ამ მხრივ აგრეთვე დამახასიათებელია შემდე-
გიც: ამ ბრძოლაში ზღვა მაინც არ ცხრება, ბრძოლას აგრძელებს,
„კლდეს ფერხთ უკოცნის და ევედრება“, სთხოვს გაუშვას, გზა მის-
ცეს, რომ „დროზე უშველოს ტურფა სანატრელს“:

მაგრამ გულივო, უტყვი და წყნარი
დგას შეურყევლად ის კლდე მაგარი...
აქ ზღვა ქვითინებს, იქ კოშკზე ქალი,
ორივ ტყვექმნილი, ორივ საწყალი!..!

ასეთსავე მერყევ განწყობილებას გამოხატავს კოტე მაყაშვი-
ლი ლექსში „ლაჩრებს“. პოეტი სხვებთან ერთად ასე გამო-
თქვამს 1905 წლის რევოლუციისადმი თანაგრძნობას. ის აღფრთო-
ვანებული ამბობს: „შუა ზამთარში, მკაცრ სიცივეში დადგა ორი

¹ კ. მაყაშვილი, ლირია, „ქეშმარიტება და გენიოსი“, გვ. 13—14.

დღე როგორღაც თბილი; გამოცოცხლებულ გულის სიღრმეში ჩვენ სასოება აღგვეძრა ტბილი“. ამ „თბილი დღეების“ გამო პოეტა სხვებთან ერთად „ცას ეწეოდა“, „მომავალ ტურფა გაზაფხულს“ (რევოლუციას), როგორც თავისუფლება-თანასწორობის ქვეყნად დამყარების წინამორბედს, როგორც მახარობელ მერცხალს, ვაშა-თი ხვდება. ხალხის გული, როგორც ვეზუვი, ცეცხლს აფრქვევდა. „ბოლო არ ჰქონდა, — ამბობს პოეტი — სიტყვათ ჩირაღდანს“. მაგრამ უცებ დაჰბერა სასტიკმა ქარმა, ქვეყანას. „ეცა პირდაღებულ-ლი“ (რეაქცია). დაღვა კვლავ ზამთარი. პოეტის განცდითა და განცხადებით, ამ ქარმა (რეაქციამ) თან მოიტანა კვლავ „დაღვრე-მილი ზამთარი“ სევდიანი, უნუგეშო განწყობილება.

და ისევ შიშა, კენესა-გოდებას
მივეცათ თავი ფერმიხდილებმა,
შეჩვეულებმა მხოლოდ მონობას,
მონებისავე მხალმა შეილებმა!

მართალია, კოტე მაყაშვილი გრძნობს, რომ ასეთი „ფერმიხდი-ლება“, დამონება, სიმხდალე არაა კარგი, ფრიად ცუდიცაა, მათ ის ლაჩრებს უწოდებს, მაგრამ პოეტი გულახდილად აცხადებს, რომ თვითონაც „ფერმიხდილთა“, „ლაჩართა“ შორისაა.

პოეტი აქაც, რა თქმა უნდა, გულწრფელია. ის არ ცდილობს ნი-დაბი აიკრას; ეს მისთვის შეუფერებელი იქნებოდა.

უნდა კი ითქვას, რომ კოტე მაყაშვილი გამუდმებით არ რჩება ასეთი დაცემულობის განწყობილებით. მასში ადამიანისადმი დიდი თანაგრძნობა და სიყვარული ღვივის გამუდმებით. ცხოვრების უკუ-ღმართობის შეგრძნება მასში იმდენად ძლიერია, რომ პოეტს არ უნდა დაემორჩილოს ამ „შავ-ბნელ დაცემულ სულთ“, არ უნდა დაემორჩილოს შავბნელ გამარჯვებულ ძალებს, რომელთაც უნარი შესწევთ საწყალი ხალხის დაბრიყვებისა, მრუდე გზების ქსელვინა.

ბოლმამორეული პოეტი ასე იმედიანად შესძახებს ამ გამარჯვე-ბულ ბოროტ ძალებს:

მაგრამ... თუმცა ხანგრძლივია
ღამის წყვილიაღი,
მას განაბნევს მალე მზის
სხივი დიადი!
ხანმოკლეა თქვენიცა
ლხენა და შვება,

¹ კ. მაყაშვილი, ლირიკა, „ლაჩარქ“. გვ. 20.

და სწრაფ წარმავალია
ორე გამარჯვება!

პოეტი გამარჯვებული თავის დაცემულობის განწყობილებაზე, თითქოს, მაქსიმალურად გაძლიერებული ენერგიით უბრუნდება წინააღმდეგობის გაწევის სურვილს და ერთგვარი შურისძიებისა და გამარჯვების მძლავრი რწმენით შეუპოვარი მრისხანედ შესძახებს:

წამაქციეთ, დამწიხლეთ,
ამიგდეთ მასხრად,
არ შეედრკები.. არ ვიწყენ...
მივიჩნევ არად!
ვიცი, მალე სიმათლის
ღმერთი ძლიერი
გაიღვიძებს ბრწყინვალე
და მშვენიერი!
ულმობელად, სასტიკად
დაგსჯით, დაგძრახავთ,
სამარცხვინო დაღს შებლზედ
იგი დაგაკრავს...
მოგელეზათ თქვენც ბოლო
სულნო შავბნელნო,
მუხმუხელა — მატლებო,
ფარისეველნო!..¹

1905 წლის რევოლუციამ კოტე მაყაშვილზე, ექვს გარეშეა, ღრმა გავლენა მოახდინა. რევოლუციამ მასში უფრო გააღრმავა ქვეყნის განახლებისა, ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისა, თვითმპყრობელობის — თავისი უხეში კოლონიური პოლიტიკით, აუცილებლად დამხობის იმედი. მიუხედავად დაწყებული რეაქციისა, მიუხედავად პოეტის განწყობილების ერთგვარი მერყეობისა, მას მაინც ღრმა და სწამს და სჯერა, რომ ვეშაპი (ცარიზმი) დამარცხებულია, ცხრა თავიდან მას მხოლოდ ერთი-და დარჩა გააფთრებული. მართალია, შეჩვენებული ვეშაპი მაინც არ ცხრება, ცეცხლს აფრქვევს, ყველასა და ყველაფერს სწვავს, ბუგავს (აქ პოეტს რეალური სინაზდვილე ალაპარაკებს, როდესაც დამსჯელმა რაზმებმა, მაგალითად, ალიხანოვ-ავარსკის ხელმძღვანელობით, ცეცხლს მისცა იმერეთი, გურია, ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც), მაგრამ, პოეტის რწმენით, ამოდ. მალე ვეშაპის ის ერთი გადარჩენილი გააფთრებული თავიც დაეცემა და მასთან — წყეულთან გაქრება „სულთამხუთავი წყვილი და კვლავ გაათბობს ქვეყანას

¹ კ. მაყაშვილი, ლირია. „ფარისეველთ“. გვ. 52.

მზე ნათელი და დიადი“. პოეტს ეს სწამს და შთამაგონებლად გვეუბნება:

კენესა და ოხერა სიმწარის
გზას მისცემს შვებას და ლხენას,
ჩაგრულთა ლოცვა-კურთხევა
ჩვენ გაგვიმტკიცებს მარჯვენას!..
ნუ იგვიანებთო წინ ძმებო!
ბრძოლაა გაცხარებული!
ერთი დაკვრაც და სულს დაღვეს
ვეშაბი დამარცხებული! ¹.

ასეთია კოტე მაყაშვილის განწყობილება რევოლუციურ აღმავლობის და დაწყებული რეაქციის მასთან ბრძოლის ხანაში.

* * *

რეაქციის ხანაში, 1905 წლის რევოლუციას რომ მოჰყვა, კოტე მაყაშვილის შემოქმედებაში დროდადრო სევდა კვლავ ძალუძღვლინდება. პოეტის ჩანგი ხშირად ჟღერს უნუგეშობით. მაგრამ კვლავ, დიდი რევოლუციის ქარტეხილმა მძლავრად დაჰბერა, ხალხი აზვირთდა, აღსდგა უსამართლობის დასამხობად, ხალხმა გაიმარჯვა. კოტე მაყაშვილი მძლავრი აღფრთოვანებით შეხვდა დიდ რევოლუციას, ხალხის საერთო გატაცებას, მის დაუძლეველ ენერჯიასა და წადილს, უცნობი მასშტაბით ძველი ქვეყნის ნგრევას, ახლის, ბედნიერი მომავლის შენებას. პოეტს კვლავ იმედი ეძლევა, რომ საერთო ხალხთა გამარჯვება-გათავისუფლება, ქვეყნის ახალ სამართლიან საფუძველზე გარდაქმნა მის ტყვედყოფილ სამშობლოსაც აღადგენს. აალორძინებს, ააყვავებს.

ლექსში „მხედრული“ გამოხატულია პოეტის აღტაცება, გამოწვეული ხალხის შეერთებული ერთსულოვანი მოძრაობით ძველი ქვეყნის დასანგრევად და ამ ბრძოლაში მისი ბრწყინვალე გამარჯვებით. მშრომელი ხალხის გამარჯვებით აღტყინებული პოეტისე მიმართავს განახლებული ქვეყნის ჭარისკაცთ:

მთის ღვარივით ხალხის ჭარი,
მიჰქუხს, მიჰქრის უძლეველი!..
მჭიდროდ! ერთად!.. ჩვენი არი
გამარჯვების ფართე ველი!
დავანგრეთ შავი ზღუდე,
მიმოვფანტეთ ძალა ბნელი!

¹ კ. მაყაშვილი. ლირიკა. „მიჰყევით, ძმებო“. გვ. 67—68:

აღს მივეციტ მტარვალთ ბუღე,
დავამხვრიეთ კერპი ძველი!...¹

ამ გმირულ ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებას კოტე მაყაშვილი იმიტომაც მიესალმება, რომ, მისი გაგებითა და რწმენით, კოლონიური პოლიტიკის მძარცველების ქვეშ მყოფ მის ტყვედ-ქმნილ, გაწამებულ სამშობლოსაც ამით ბორკილები ეხსნება. გამხსნევებული პოეტი საბრძოლველად ამოქმედებულ ხალხს მოუწოდებს, რაც შეიძლება „მკიდროდ, ერთად, მხარი-მხარს მისცენ“, შეკავშირდნენ, ვინაიდან წარმოებულმა ბრძოლამ აშკარად დაგვიმტკიცა, რომ ძალა ხალხის ხელშია...

ხალხის გმირული მოქმედებით, ახალი დიადი სინამდვილის ნახვით აღფრთოვანებული პოეტი ასე ეგებება ახალ ქვეყანას:

გაუმარჯოს ახალს ღმერთსა,
ხალხის გმირულ გულით. შობილს!
ცის და ქვეყნის შემაერთსა,
ყვავილებით ტურფად მკობილს!
გაუმარჯოს უძველეს ერს,
ხალხის დიად სამმართველოს;
გაუმარჯოს სულით ძლიერს
თავისუფალ საქართველოს!²

გამხსნევებული პოეტი, რევოლუციით გამოწვეული ქართველი საზოგადოების, ხალხის საერთო აღფრთოვანებით, ქვეყნის გარდაქმნის. აყვავების გაცხოველებულ საქმიანობაში მწყობრად ჩაბმულ ქართველთ რიგებს გამამხნეველად ასე შესძახებს ლექსში — „წინ! ბრძოლის ველზე“...

წინ, მტერს ეკვეთე ლომივით,
გაჰგმირე სასო მიხილი!
ან გამარჯვება გმირული,
ანდა გმირული სიკვდილი!³

ასე, კოტე მაყაშვილი თუ. ერთი მხრით. საზოგადოებისათვის ავის ნახვით ცრემლად დნებოდა, მეორე მხრით, ბოროტების, სიყალბისა და მჩაგვრელობის დასამხობად გამოღვიძებული ხალხის ანაკადებული შეთანხმებული მოქმედება — ბრძოლა მფეთქავ ალად აგიზგიზებდა მის პოეტურ ნიჭს. ქვეყნისათვის თავდადებულ

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5686—ბ—63.

² კ. მაყაშვილი, ლირიკა, „მხედარი“.

³ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5639—ბ—63.

თაობას კმაყოფილებითა და სიხარულით აღსავეს კოტე მაყაშვილა
შთამაგონებლად ჩასძახოდა:

საქართველოს მე ვალმერთებ, არას ვეტრფი იმის გარდა,
ესლა მით ვარ ბენიერი, რომ შენც იგი შეგიყვარა! ¹.

ამგვარ მძლავრ პატრიოტულ გრძნობაზეა აკინძული კოტე მა-
ყაშვილის ლირიკა მთლიანად თავისი სევდა-ნაღველით თუ აღფრ-
თოვანება-გატაცებით, იმედიანობით თუ იმედგაცრუებულობით,
ენერგიული ბრძოლით თუ უილაჯო-უსასოებით, შემოკმედებით
გარდაუვალი ნდომით თუ დაცემულობით, სათნოება-სიყვარულითა
თუ შხამითა და სიძულვილით.

თავისი ეს მიმართულება თუ განწყობილება პოეტს, მისთვის
დამახასიათებელი უშუალოებითა და სიმახვილით აქვს გამოხატული
ლექსში „ჩ ე მ ი ს ე ვ დ ა“.

ღედის კენესა მივსებს სმენას
და მიწამლავს ენას.
ჩემს სევდაში მე ვატარებ
მთელ სამშობლოს წყენას!!
წვეთი წვეთად ის გროვდება
მკუხარე ზღვად ღვება!
და იზრდება ჩემში მძლავრად
მკვეთრი შურის გება!
ახ, ეს წყენა დიდი არი
ბალღამივით მწარი

მაგრამ კოტე მაყაშვილი არ ემწყვდეოდა ამ „ბალღამივით მწარე“
წყენის რკალში. ის კარგად, აშკარად გრძნობს და ამით არის ის
ცხოვრებასთან შერიგებული, რომ

სევდის ბრძმედში იქედება
საომარი ზარი...
მაღე დარეკს... რკინის ხმითა
შესძრავს მთა-ბარ-მღელოს!

პოეტიც თავის ხმასა და სურვილს შეუერთებს მებრძოლთა რი-
გების საქმიანობას, ისიც მთელი თავისი ენერგიით, დაუზოგველად
ჩაებმება ამ მისთვის სანატრელ ბრძოლაში. პოეტი თავის ლექსს —
ამ გაერთიანებული სევდისა და აღფრთოვანების სიმფონიას —
ათავეს იმედიანი, მაჟორული ტონით:

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5597—ხ—63.

და მართლაც, კოტე მაცაშვილი 1917 წლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე განახლებული საქართველოს მწერალთა კავშირს ჩაუდგა სათავეში, როგორც თავმჯდომარე 1926 წლამდე, ხოლო შემდეგ, სიკვდილამდე, როგორც გამგეობის წევრი, და დიდი გატაცებით, გაორკეცებული ენერგიით ემსახურებოდა. ახალი საქართველოს კულტურული და იდეური აყვავების დიად საქმეს.

სატირა „ეშმაკი საქართველოში“

კოტე მაცაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სატირის ჟანრს. როგორც მისი მახლობელი სკოლის მეგობარი გიორგი ნათიშვილი გადმოგვცემს თავის „მოგონებებში“¹, კოტე მაცაშვილი მოწაფეობის დროსვე წერდა ლექსებს, უფრო კი სატირებს. ალბათ პირადი ცხოვრების გარკვეული პირობების გამო საზოგადოებრივი განწყობილების მატარებელი, პატრიოტი კოტე მაცაშვილის გონება-დაკვირვება ცხოვრების უსწორ-მასწორო, უარყოფითა მხარეების ასახვის მიმართულებით განვითარდა და მისი ნიჭის გამოვლინებისათვის სატირის ჟანრი ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაექცა. ამით უნდა აიხსნას, რომ ფართო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა კოტე მაცაშვილმა სცადა სატირებით, რამაც მას მრავალი უსიამოვნება მიაყენა და შემოქმედების გზაც, შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც, შეუბოკა. აი რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს ამის შესახებ თვითონ პოეტი: სამწერლო ბრძოლის გავლის შემდეგ 1926 წელს დაწერილ შენიშვნებში ავტორისაგან, რომელიც 1926 წელს სატირას „ეშმაკი საქართველოში“ დაუერთო წინასიტყვაობის მაგიერ: „1900 წელს მე დავეჭდე ჩემი პირველი სატირა „სამშობლოს ტირილი“. ეს სატირა დაწერე სტუდენტობის დროს 1898—1899 წლებში. იქ მე ცოტადნად კბილი გაკვარი ქართული საზოგადოების შიდალ ფენებს, განსაკუთრებით, თავადაზნაურობა და ინტელიგენციას. სატირა ისე მოეწონათ, რომ მე მივიღე რამდენიმე გაფრთხილება ქუჩაშიც კი არ გამომეყო ცხვირი, თორემ იმდროინდელი „ოქროს ახალგაზრდობა“ — პურღვინისტები ნეკნებს დამითვლიდნენ, კისერს და ფერდებს დამიზღავდნენ... ამ საუცხოო მასაჟისტებმა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოაყვანეს სისრულეში თავისი კაცთმოყვარული განზრახვა, უფრო კი

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, 5775-ბ-63.

იმიტომ, რომ იმხანად მეც ზორბა მუშტები მეკადა ტანის ორივე მხარეზე და ჯიბეც თვალსაჩინოდ გაბერილი მქონდა კაი ზოპის და სისტემის რევოლვერით.

„1901 წელს დაიწყო ბეჭდვა ჩემი მეორე სატირისა „ბურჯანი“ და „ბიბლიოთეკის დაარსება“, სადაც გამოვიყვანე ქველმოქმედების კომედიანტები, უმთავრესად ხანდაზმული ქალები, რომლებმაც საქველმოქმედო და საზოგადო მოღვაწეობა ერთგვარ პროფესიად გაიხადეს სახელისა და სხვა სიკეთეთა მოსახვეჭად.

„სატირის ბეჭდვა შუაზე შემაწყვეტინეს: გაზეთებმა და მოქალაქეებმა ისეთი ალიაქოთი ასტეხეს, რომ მე ტფილისიდან გაქცევა დავაპირე... მეც დამაფეთეს, საზოგადოებაც... სატირაში ბევრმა იცნო თავისი თავი, მაგრამ გულ და გულ არ შემებრძოლა. გამოიგონეს, ვითომ სატირაში გამასხარავებულნი მყოლოდეს ერთი იმდროინდელი პატივცემული მანდილოსანი, დაიხვიეს ეს ჭორი ხელზე და ასტეხეს განგაში. თავს დამესხნენ: „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „არგონავტი“ და სხვ. არ ვიცი რიჟამითავრდებოდა ეს ტრადიკომედია, რომ ერთხელ არ შემხვედროდა აკაკი წერეთელი და არ ეთქვა ჩემთვის. ხანგრძლივი ბაასის შექდეგ: „ა, თითი არ მოიკაკვო, მეც არა ერთხელ ვყოფილვარ შენს დღეში, მხნედ იყავი“-ო...

„ამგვარად, ჩემი პირველი ლიტერატურული გამოსვლები დაიწყო და დამთავრდა, ჩემდა უნებურად, სკანდალებით, თუმცა იშვიათად ნახავთ იმისთანა ადამიანს, რომელიც სკანდალს (ყოველგვარს) ისე გაურბოდეს, როგორც მე...

„პრესას ჩემი პირველი სატირის შესახებ ხმა-კრინტი არ დაუტრავს. მეორისათვის კი კინაღამ ჯვარს მაცვა და კარგად გამოქლანდა“¹.

კოტე მაყაშვილის არქივში, მართლაც ინახება ხელნაწერი — პროზად მისი დრამატული სატირული ნაწარმოები „ბურჯანი“ (თანამედროვე ცხოვრებიდან) — სცენები ოთხ მოქმედებად, ხუთ სურათად².

„ბურჯანში“ კოტე მაყაშვილს მოუერიდებლად და გესლიანოდ სააშკარაოზე გამოჰყავს იმდროინდელი დარღვეული ქართველთა თავადაზნაურობა. პოეტი დამახასიათებელი ნიშნებით აღწერს მის,

¹ „ავტორისაგან“, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5745—ხ—63, აგრეთვე „ეშმაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 9—10.

² საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5592—ხ—63.

ყოველ შემთხვევაში მისი უდიდესი ნაწილის, ფუქსავატ ცხოვრებას. ქეიფი, ვნებიანი დროსტარება, რაც იწვევდა მამა-პაპით დარჩენილი მამულის გაფლანგვას, ვალების აღებას, ბოლოს ლოთი-ფოთი ძმა-ბიჭების ძებნას, რომ მათ ხარჯზე იქეიფონ. აი რა ხენით იყო დაავადებული საზოგადოების ეს ნაწილი. მათთვის მეტად დამახასიათებელია თავადი ზალიკოს („ბურჯნი“) უღარდელი, უზრუნველი განცხადება: „არც იმათ (ე. ი. ლოთი-ფოთ ძმა-ბიჭებს.— მ. ზ.) ვაწუხებ; არც მე ვგრძნობ უხერხულად“¹.

ცნობილია, ამ საზოგადოების უმრავლესობა სწავლას არა სწყალობდა, გაურბოდა, ვინც სწავლობდა, მათ დასცინოდა კიდევც. მათ თავი მოჰქონდათ წინაპართა გმირული წარსულით, საგვარეულო გერბით, თუმცა, როგორც ავტორი დამახასიათებლად ათქმევენებს თავად ზალიკოს: „ამ გერბსაც და ჩემს კნიაზობასაც ორ შაურად გავყიდი, მაგრამ ვაი რომ მყიდველი არავინ არის“².

მრავალი მათგანი სწავლასაც მხოლოდ იმდენად აფასებდა, რამდენადაც ის მათ უზრუნველ ცხოვრებას შეუქმნიდა. ასეთია „ბურჯნი“ თავადი არჩილ კოლოთუხუცესი, რომელიც გულზე უნივერსიტეტის ნიშანს იკეთებს იმ მიზნით, რომ რომელიმე მდიდარი ქალი მოხიბლოს, მოატყუოს. ამ ახალგაზრდობისათვის ცხოვრების მიზანია მხოლოდ ვნებიანობის ტალღებში ცურვა, ყურყუმალაობა. მათ არამც თუ სასირცხვილოდ არ მიაჩნიათ ალფონსის მდგომარეობაში ყოფნა, არამედ ერთგვარი სიამაყითაც და უპირატესობის შეგნებითაც კი მისწრაფვიან ამისკენ. მათთვის დამახასიათებელია თავადი ზალიკოს კმაყოფილებისა და შექებას ტონით თქმა თავად არჩილისადმი: „შენსთანებზე ამბობენ ხოლმე „хороший жеребец“. ამით მოჰქონდათ თავი მათ, ამით ისინი დროებით გადიოდნენ ფონს.

ეს საზოგადოება, ბუნებრივია, ებრძვის ყოველივე დემოკრატიულს, პრარგრესულს, ხალხურს, ისინი მხოლოდ წოდებრივი ქედმალლობის ვიწრო ნაქუქში გრძნობენ თავს კმაყოფილად, ბედნიერად როგორც თავადი სპირიდონი, მისი ცოლი დოდო, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი („ბურჯნი“).

ამ წრიდან გამოსული ახალი ლიბერალური თაობაც — ინტელიგენცია, როგორც თავლო, სიკო, მწერლის დახატვით, უნიადაგონი, უხერხემლონი არიან.

ამ მიმართულებით კოტე მაყაშვილი ფარდასა ჰხდის მაშინდე-

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5592—ხ—63.

² იქვე.

ლი ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის --- დარღვეული თავდაზნაურობის ცხოვრებას, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა როლის თამაშობას საზოგადოებრივ სარბიელზე.

აი სწორედ საზოგადოების ამ ნაწილს ასე „გაპკრა კბილი“ ახალგაზრდა კოტე მაცაშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ეამს. რამაც, როგორც პოეტი აღნიშნავს, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რა თქმა უნდა, გარკვეულ წრეში დამწყები მწერლისადმი, და მისი ბეჭდვის გაგრძელებაც შეაწყვეტინა. ყოველ შემთხვევაში დროებით შეაფერხა მწერლის ნაყოფიერი მუშაობა.

„ბურჯნი“-დან ავტორის მიერ უნდა იყოს ამოღებული ერთი ნაწილი, გალექსილი და 1903 წელს ცალკე წიგნაკად გამოცემული სათაურით—„კ რ ე ბ ა ა ნ უ ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს დ ა ა რ ს ე ბ ა“¹, რომლითაც კოტე მაცაშვილი აგრძელებს თავის გზას სატირიკოსი მწერლისას.

ამ დრამატულ პოემას მეტად დამახასიათებელი სტრიქონები აქვს წამძღვარებული, რომელთაც ეპიგრაფის მნიშვნელობა აქვთ და ნიჟიერად ამჟღავნებენ, როგორ უყურებდა, აფასებდა სატირას კოტე მაცაშვილი. ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ ეს სტრიქონები, რადგანაც იგივე სტრიქონები კოტე მაცაშვილმა წარუძღვარა თავის სატირულ პოემას „ე შ მ ა კ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი“ 1926 წელს რომ გამოსცა. პოეტი გვეუბნება:

არის ორგვარი სიცილი:
ერთია სიხარულისა:
მეორე — ამონაკუნესი.
ნაწყენ-ნატყენი გულისა.
პირველი, ლხენით აღსავსე,
ყოველთვის უდარდელია
და ნიღაბია მეორე,
რომლის ქვეშ ცხარე ცრემლია.

კოტე მაცაშვილი სატირას დიდ გამწმენდ — საზოგადოებრივ როლს მიაკუთვნებს. სატირიკოსის მოქმედება და მოწოდება, მისი გაგებითა და თქმით „საკრამენტალურია“. იგი თავის განმარტებაში „ავტორისაგან“ წერს: „უნდა კი მოგახსენოთ, რომ სატირის წერა — მეტად უმადური საქმეა. იგი ავგეოსის თავლების გაწმენდის ცდას მოგვაგონებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდად საბატო საქმე იყოს — ძნელი კია, მძიმე.

„ჰუმორისტიკის იარაღია სიცილი, დაცინვა, მეტ წილად მსუ-

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5690—ბ—63.

ბუქი და ოდნავ მჩხვლეტავი. იგი მიდის თავის მიზნისაკენ მიკიბულ-მოკიბული გზებით. მდიდარია მიმიკით.

„სატირის იარაღი კი მახვილია, ან მათრახია. მისი სიტყვა სჭრის და ჰკვეთს პირდაპირ, მოურიდებლად, უეკივოვოდ. ამიტომაც სატი-რა, უმეტეს შემთხვევაში, უფრო უხეშია, უსამკაულო, ერთფერო-ვანი, ვიდრე ზედაპირზე ლამაზად მოსრიალე ჭრელი ჰუმორი, უფ-რო უხეშია, მაგრამ ნიშანში ამოღებულ საგანს ის უფრო მარჯვედ ახვედრებს შეუბრალებელ ისრებს.

„ყოველ შემთხვევაში სატირიკოსის მოწოდება საკრამენტა-ლურია. სატირიკოსი არავის უყვარს, იმათაც კი, რომელნიც მას აქებენ და აქეზებენ“¹.

კოტე მაცაშვილის მიერ სატირის ასეთი მაღალი საზოგადოებ-რივი გაგებით აიხსნება მისი განცხადება: „ყოველივე ზემოთქმუ-ლის (ლანძღვა-გინების, მუქარის. — მ. ზ.) მიუხედავად, — ამბობს ის თავის განმარტებაში „ავტორისაგან“, — მე მაინც თითი არ მო-მიკაკვია და 1903 წლის ბოლოში თუ 1904 წლის დასაწყისში შევეუ-დექი ახალი სატირის წერას. მე დავუბრუნდი ისევ იმ თემას, რომ-ლის ნასახი სჩანს უკვე ჩემს პირველ სატირაში „სამშობლოს ტი-რილში“. ეს თემა გავალრმავე, განვაფიქრე, მივეც მას დილოგუ-რი ფორმა და სხვ. ამ სატირას დაერქვა „ე შ მ ა კ ი ს ა ქ ა რ თ ე ე-ლო შ ი“².

* * *

კოტე მაცაშვილის პოემა-სატირა „ეშმაკი საქართველოში“ დაი-ბეჭდა 1912 წელს სალიტერატურო კრებულის „გრ დ ე მ ლ ი ს“ პირველ ნომერში. როგორც ჩანს, პოეტს ამ პოემაზე დიდი ხანი და ბეჭითად უმუშავია. 1910 წელს 29 ნოემბერს კოტე მაცაშვილი სწერს თავის მეუღლეს: „ჩემმა სატირამ (რა თქმა უნდა იგულისხ-მება „ეშმაკი საქართველოში“. — მ. ზ.) გამიჭირა საქმე — ვერ მე-ღირსა მაგისი გათავება“³.

აი რა ცნობას გვაძლევს კოტე მაცაშვილი სატირის „ეშმაკი სა-ქართველოში“ დაბეჭდვის შესახებ. „ეშმაკი საქართველოში“ მე ვწერე დროგამოშვებით, დიდი ინტერვალებით. დავამთავრე, ვგო-ნებ 1908 წელს (პოეტი სცდება — მან „ეშმაკი საქართველოში“

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, ავტორისაგან, 1926 წ., გვ. 15; „ავტორისაგან“, საქართველოს სახ. ლიტ. მუზ. № 5745—ბ—63.

² იქვე, გვ. 11.

³ კ. მაცაშვილის წერილი მეუღლისადმი, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5532—ბ—63.

დაამთავრა, ალბათ, 1910 ან 1911 წელში. — მ. ზ.). მთელი სატირის დაბეჭდვის უფლებას აბა ვინ მომცემდა, იბეჭდებოდა ნაწყვეტები. მხოლოდ 1912 წელს სიტყვაკაზმულ საზოგადოების ჟურნალ „გრდემლში“ დაიბეჭდა იგი მთლიანად, სამაგიეროდ კარგად შეკვეცილი და შელამაზებული ცენზურის მიერ“.

დაბეჭდვის შემდეგ 1926 წლის გამოცემისათვის პოეტს გადაუხედია თავის პოემა-სატირისათვის და ის გულდასმით გადაუშუშავებია შემდეგი გამოცემისათვის, რომლისთვისაც დაუწერია ზემოხსენებული განმარტება „ავტორისაგან“, რაც მას წინასიტყვაობას მაგიერ დაურთავს ახალი გამოცემისათვის. ეს გადამუშავებული პოემა „ემშაკი საქართველოში“ და წინასიტყვაობა — განმარტება „ავტორისაგან“ მართლაც გამოუცია 1926 წელს. პოეტის ხელით გადამუშავებული „ემშაკი საქართველოში“ ამჟამად ინახება საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში ხელნაწერთა განყოფილებაში № 5518-ხ—63. ჩვენ წინამდებარე შრომაში ვსარგებლობთ როგორც პოემა-სატირის გადამუშავებული რედაქციით, მუზეუმში რომ ინახება, ისე 1926 წლის მეორე გამოცემით.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ კიდევ ერთი საგულისხმო ცნობა ავტორისა პოემა-სატირის საბოლოო რედაქციის შესახებ: „ჩემდა სამწუხაროდ, სრული დედანი ამ სატირისა, რომელაც შემოკლებით დაიბეჭდა 1912 წელს, მე დამეკარგა. აღვადგინე მხოლოდ მცირე ნაწილი საცენზურო პირობების გამო გამოტოვებულად გილებისა“¹. აქედან, თითქოს, ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ეს საბოლოო რედაქცია პოეტს ამ სახით (შეიძლება უფრო გავრცელებულიც) უკვე ჰქონდა 1912 წლამდე, ე. ი. სატირის პირველ დაბეჭდვამდე.

პოემა „ემშაკი საქართველოში“ წარმოადგენს როგორც პოეტის განწყობილების, ისე ამ განწყობილების გამომწვევე გარემოს — სინამდვილის ფართო სურათს. ამ პოემა-სატირაში მკვეთრადაა ახსული პოეტის ძირითადი ტკივილები და მისი შემოქმედების ძირითადი სტილური ნიშნები ნიჭიერად თავმოყრილია როგორც ფოქუსში.

სატირა „ემშაკი საქართველოში“ ფანტასტიკურ-ალეგორიული ხასიათისაა. კოტე მაყაშვილის ამ სატირაში ორგანულადაა შეერთებული ფანტასტიკური ელემენტები რეალურ, საჭირობორტო პოლიტიკურ სინამდვილესთან. მასში მოცემულია საქართველოს მდგომარეობა XIX—XX საუკუნეთა უღელტეხილზე, უფრო ზუსტად

¹ კ. მაყაშვილი, „ემშაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 17.

რომ ვთქვათ, XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში 1917 წლის რევოლუციის წინა პერიოდში; მასში ასახულია ფანტასტიკური მბრძანებლის ბელზებულის (ცარიზმის) შავი რეაქციულა ბუნება, მის ქვეშევრდომთა — მოხელეთა მლაქვნელი, მონურად დაგეშილი ხასიათი. კოლონიური პოლიტიკის საერთო ვერაგული მიმართულება დაპყრობილი თუ დასაპყრობი ხალხებისადმი და კერძოდ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში.

ბელზებული, ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ზის სამეფო ტანტზე. მას ახვევია ამაღლა, სხვადასხვა ფერისა და სახის ეშმაკთა, კოტთა, ღამურათა და ქვემძრომთაგან შემდგარი. მას გაგზავნილი ჰყავს თავისი ერთგული მოსამსახურე-ქვეშევრდომნი, ეშმაკნი სხვადასხვა ქვეყნებში ხალხთა ამბის გასაგებად, მათი შეცდენისა და ლხენის ჩაშხამების მიზნით, რათა შესძლონ მათი დამონების ადვილი, ხერხიანი საშუალებების გამოხაზვა. ბელზებული უკმაყოფილოა გაგზავნილების — წითელ ფრთოსანი ეშმაკების ნაამბობით, რომელთაც ვერაგინ შეაქდინეს. ამ გარემოებით გაჯავრებული ბელზებულის გულის მოგებას ცდილობს მისი დაკვირვებული ვერაგე ვეზირი ფხოჟია.

ფხოჟია, ქვეშევრდომი — მოხელისათვის დამახასიათებელი პირ-მოთენობით, ბელზებულს აუწყებს, რომ მის სამფლობელოს ახლო არსებობს ქვეყანა, რომელიც ჰყავის სურნელოვანი წალკოტით. რომლის სიმშვენიერით ამაყოფს „მკვიდრი გმირ-ახოვანი“:

საქართველოა ის ტურფა მხარე!
იქ სცხოვრობს ერთი ღამაზი ერი,
პათიოსანი, მხნე და გულადი,
სულით და გულით თანწორ ძლიერი.
აი იქ უნდა ვცადოთ ჩვენ ბედი.
არ შევეშინდეთ არავითარ ჭირს,
თუ დავიპყარით მხოლოდ ის ერი,
მთელ მსოფლიოთა ეს დაპყრობა ღირს!

აქ ფხოჟიას სიტყვებით ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსეთის მმართველი წრეების ზოგიერთი წევრი სამართლიანად აფასებდა, რა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით რუსეთისათვის საქართველოს შეერთებას: რუსეთი საქართველოს შეერთების გზით არა მარტო იოლად იერთებდა მთელ მიუღდგომელ კავკასიას, არამედ აგრეთვე მტკიცედ სჭრიდა გზას აღმოსავლეთისაკენ, აგრეთ-

1 კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 34.

ვე შეეძლო გამოეყენებინა მისი ხელუხლებელი ბუნებრივი სიძღვრენი.

ფხოქია მბრძანებელ ბელზებულს ურჩევს — „ვცადოთ“ ეს ძნელი საქმე და ამის შესრულება მიენდოს „გამოცდილ და მარდს“, აზგვარ საქმეებში ეშმაკ ჯანდარს. ბელზებულს ფხოქიას რჩევა ქკუაში დაუჯდება. ბელზებული მოიხმობს ზანდარს და უბრძანება: თუ მას უნდა ეპატიოს დანაშაული, მან მოიკრიფოს თავისი ეშმაკური ძალა, დამალოს თავისი ეშვები, გარეგნული ნიშნები ეშმაკისა, გაილამაზოს როგორმე სახე, გადაფრინდეს „ლომბუმბერაზთა სამეფოში“ — ცნობილსა „უმწიკლოთ, უქვდავ გამირებით ტურაჟა საქართველოში“. ყველა თავისი ნიჭი: დიდი სიმხნე, გამჭრიახობა, გაბედულობა, ქკუა, რომლითაც მას თავი მოაქვს, უნდა ამ საქმეში გამოიყენოს.

ეს ხომ ჩვეულებრივი საშუალება იყო საუკუნეთა განმავლობაში და, სამწუხაროდ, ახლაც, ჩვენ დროშიც, გრძელდება ყველა იმპერიალისტური ქვეყნის მიერ მცირე, სუსტი ერების ვერაგულად დაპყრობა-დამორჩილების საქმეში. სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ კონკრეტულ ფორმაში მოცემულია განზოგადებული საზეიმპერიალისტური დამპყრობელი პოლიტიკისა საერთოდ და კოტე მაცაშვილის კრიტიკული, უარყოფითი დამოკიდებულება ამ პოლიტიკისადმი. ამაშია ამ სატირის დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობაც.

კოტე მაცაშვილის ამ სატირაში ორგანულადაა შეერთებული ფანტასტიკური ელემენტები რეალურ, საჭირბოროტო პოლიტიკურ სინამდვილესთან. ცნობილია, სატირიკოსი-მწერალი ყოველთვის მებრძოლია. მუშაობის პროცესში ის განსაკუთრებით ზრუნავს არა სამუშაო საგანზე, არამედ იმ საშუალებების მოფიქრებაზე, რომელთა მეოხებით მან საგანი თუ მიზანდასახულობა უნდა მიიტანოს მკითხველებამდე. ამიტომ სატირიკოსი ჩვეულებრივ იძულებულია მიმართოს ესოპეს ენას. კოტე მაცაშვილის სატირული თქმები და სახეები, ესოპეს ენით დაშიფრულები, უდავოდ, დიდ სიმახვილესა და მაღალ იდეურ შინაარსს იღებენ.

ბელზებულის კონკრეტული დავალება ზანდარისადმი შემდეგია

გაეცან ქართველთ აზრის გასაქანს
ალომ გიჩვენოს შენ სწორი გეზი —
გაიგე მათი სულის გამირობის
გამომკვებავი, მზარდი მიზეზი.
და გაუსინჯე მათ რწმენას,
დაბალ და მაღალ ხარისხის კვებას.

ესეც: რამდენად სიტყვას და საქმეს
უმორჩილებენ მოქმედსა ნებას.
გაიგე მათი შენ სუსტი მხარე,
სთესე გულუხვად შური და მტრობა,
გზა გაგვიკაფე, გაგვიადვილე
ტურფა კოლხეთის სრული დაპყრობა!¹

ზღაგოდ, რეალურად და ნიჟიერადაა მოცემული ჩვეულებრივი გზა დიდ დამპყრობელთა.

ბელზებულის ზანდარისადმი ამ დავალების წარმატებით შესრულების მიზნით ფრთხილი, ქლესა ვეზირი ფხოქია აგრეთვე შემდეგს 'გაფრთხილებას აძლევს ზანდარს:

იცოდე კია, ქართველთან მთელი
ჭარი ეშმაკთაც ვერას გახდება,
თუ იგი კარგად დაგებულს მახეს
მოტყუებული თვით არ გაება!²

აქ, როგორც მთლიანად შემოქმედებაში, კოტე მაყაშვილისათვის დამახასიათებელია ქართველ რომანტიკოსთა, აგრეთვე თერგდალეულ მწერალთა — ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისებურად ძველ წინაპართა ღვაწლის ქარბად წარმოდგენა. ასეთი პატრიოტული გრძნობა სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ გასდევს მთლიანად, რაც პოეტს, ალბათ, სჭირდებოდა მის თანამედროვე ქართველთა დაცნინებული პატრიოტული გრძნობის გაღვივება-გამახვილებისათვის, რათა ქართველ საზოგადოებაში გაეღვიძებინა ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული თვითგარკვევის საჭიროება-სარგებლობა, რასაც ასე ცდილობდნენ თერგდალეული მწერლები, რომელთაც ილია-აკაკის მეთაურობით სწორედ ამ მიზნით მძლავრად გაშალეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი.

კოტე მაყაშვილის პოემა „ეშმაკი საქართველოში“ მწვავე პოლიტიკური სატირაა, რომელსაც ავტორი მიზნად უსახავდა მასების პოლიტიკური შეგნების აქტიურ გაღვივებას, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების სიღამპლისა და აუცილებელი დაღუპვის ჩვენებას, მკითხველთა მასების ამაში დარწმუნებას.

ბელზებულის ისტუმრებს რა საქართველოში ასეთს საქმეებში ნაცადს, თავის საიმედო შემსრულებელ ქვეშევრდომს ზანდარს, აძ-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 34—36.

² იქვე, გვ. 36.

ლევს ორი თვის ვადას შემდეგი პირობით: თუ გაიმარჯვე — მოგართმევ ხალათს (ე. ი. მოხელის უმაღლეს თანამდებობას), არა და იტკობ შანთს გახურებულს? ესეც ხომ ჩვეულებრივი მეთოდი იყო მონარქიულ-პოლიციური ქვეყნის მმართველის ხელში ქვეშევრდობთა შეშინების, დამორჩილებისა და საქმეში გამოყენების მიზნით.

ზანდარმა იცის რა ცუდი გემო აქვს „გახურებულ შანთს“. ასეთი მძიმე დავალებით იგი აღელვებული დაღუპვის შიშმა აიტანა. მაგრამ რა მეტი გზა აქვს! უარის თქმა ხომ იგივე დაღუპვაა და ისიც ბედის საცდელად განემზადება. მიდის ზანდარი საქართველოში.

საქართველოს არეში დაფრინავენ სევდიანი სულები, ფერიება (საქართველოს, აგრეთვე პოეტის ორეულება). ეს ფერიები, პოეტის გაგებითა და ჩვენებით, გამოხატავენ საქართველოს არახელსაყრელ მძიმე მდგომარეობას. ილია ჭავჭავაძისებურად კოტე მაყაშვილსაც (ფერიების მიერ გამოხატვით) ეჩვენება თავისი მხარე (საქართველო) მძინარედ, მაგრამ მისი ძილი სავესა მწუხარებით, სევდით, ტანჯვით, „ძილშიც კი გმინავს თვალცრემლიანი“, „კვნისის და ჰლელავს“, ნათქვამია სატირაში. ბედისგან „კრული“ საქართველო — ობოლი, დაღლილი, დადაღული ძილში ცუდ სიზმრებს ჰხედავს. ის გულდაკოდილი თვალდახუჭულია, რომ სინამდვილე მიუღებელი და მტანჯველი არ დაინახოს.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სძინავს იქ ნებას და გონებას. მხოლოდ არ სძინავს „ცბიერ ენებას“, რომელიც „განწირულთა, დაძირულთა სისხლითა და ცრემლით თვრება“. გარემო ბუნება „შუქთა კმევით“ მომხიბვლელად იწვევს ყველას. „ქვეყნის გული დაღალული გრძნეულ სულში იძირება“. მაგრამ საქართველო კი „ცრემლად, სევდის მსხვერპლად... იძირება“. ასეთია სევდის მზაკვრული მდგომარეობა საქართველოსი პოეტის ორეულობის — ფერიების ჩვენებით. საქართველოს ასეთი სავალალო მდგომარეობის ხილვით გამოწვეულ თავის მძიმე განცდებს პოეტი მეოთხე სევდიან სულს, ფერიას ასე ამოაკვენსინებს:

მზის შადრევნით უხვად მორწყულს,
მოცილედ, მონარნარეს,
ზურმუხტით და ლალით მორთულს
ჩემს სხივოსან ტურფა მხარეს
უნებობა, უმწეობა.
შური, მტრობა, უზნეობა
უმზადებენ ცივ სამარეს¹.

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 40.

პოეტის ასეთ სევდამორეულ განწყობილებას უფრო აღრმავებს შესაბამე სევდიანი სულოს — ფერიის მიერ დამატებული საქართველოს უნუგეშო მდგომარეობის საბედისწერო ნიშნები. ეს ის, რომ ქართველები „არ ხედავენ, რომ ანგრევენ შიგნით ციხეს — თვის სიმაგრეს“¹.

ამ სევდამორეულ სულებს — ფერიებს (თვით პოეტს), საქართველოს — ქართველი ხალხის მდგომარეობა-განწყობილების გამომხატველთ ასეთ კაეშნიან გრძნობას უმსუბუქებს იმედი, რომ არ მოკვდება ქართველი ხალხი, რომელმაც „დასაბამიდგან არ იცის, ჯა არის მშვიდობა“, რომლის ისტორიაც გამუდმებული ბრძოლა სამშობლოს საიცოცხლისა და განვითარების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რომელმაც ამოდენა ბრძოლა-თავდასხმებში მაინც შეინარჩუნა დაუძლეველი ნდომა და წყურვილი თავისუფალი ცხოვრების მოპოვებისა.

ქართველ ხალხს ეს იმედი ეხატებოდა კლდეზე მიჭაჭული „ხელფეხ შეკრული, ჩაგრულთა მხსნელი, ღმერთების სწორი, გმირი უბადლო და სანატრელი“ ამირანის სახით. ამირანი ხომ სიმბოლოა დაშონებული საქართველოსი! ასე ესმის ხალხს, რომელმაც შექმნა ამირანის ლეგენდა. ასე ესმის ეს ახალი დროის მრავალ ქართველ მწერალსაც. ჩანს, ასევე ესმის კოტე მაყაშვილსაც.

ამ იმედს პოეტი ასე გამოათქმეფინებს სატირაში მთისას ულს (აგრეთვე თვით ავტორის აზრების თუ განცდების გამოხატველს):

უშვერის ლანძღვით, ბრაზით აღვისილი
ღენი, ვეშაპნი გარს ეხვევიან.
ქვეყანას ობოლს, აღვირ ახსნილსა,
კვლავ ყველა მხრიდან შემოსევიან
და მის მკერდიდან მჩქეფარე სისხლით
კაცობრიობის მტერნი ძღვებიან.
მოვა დრო, მოვა, დააშხვრეეს ჭაქვებს
ქვეყნის იმედი ძღვვა-მოხილი,
უწმინდურს ძალას გააქრობს, გასწყვეტს,
მალალ და ამაჟ ღმერთის მოცილე.
აღსდევ ამირან! ტანჯული ერი
დიდი ხანია ელის შენს ძახილს.
აღსდევ, ღვთის სწორო... ელის ივერი
მისგანვე ნაკურთხს უძლეველს მახვილს².

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, 1926 წ., გვ. 40.

² იქვე.

კოტე მაცაშვილი განიცდის რა, რომ მთის ასულის ეს განწყობილება საერთო და სანუკველია მთელი ქართველი ხალხისა, ოთხივე ფერიას ერთხმად წარმოათქმევიანებს ქართველი ხალხის სანატრელ წადილს. მის გულის სიღრმეში რომაა დაბუდებული, რომ სტანჯავს პას მწარედ და, პოეტის ფიქრითა და მისწრაფებით, გამოსავალ გზას რომ ეძებს:

ეკვეთე წყვდიადს... დაეც თავზარი,
ბოლო მოულე სიმხეცეს კრულსა,
კვლავ აღუდგინე წმინდა ტაძარი
თავისუფლებას და სიყვარულსა!...!

აქეთია პოეტას გაგებით, განწყობილება ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც გულდაკოდილია საქართველოს დაბორკვით, ფრთების შეკვეციტ. მათ ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ, ისინი მზად არიან იბრძოლონ „თავისუფლებისა და სიყვარულისათვის“.

ბელზებულის მიერ გაგზავნილი ივერიის დასაპყრობად ნიჭიერა, გაიძვერა ზანდარი პირველად მიმართავს სამშობლოს სევდიან სულელებს — ფერიებს. მაგრამ ისინი ადვილად მიუხვდებიან მტრულად შემოპარულ ეშმაკს — ზანდარს; შორს დაიჭერენ მას და პირველი სევდიანი ფერიის პირით განარისხებით ასე შესძახებენ:

შორს ჩემგან ქაჯო, ბილწო ასულო
მყრალ წუმბე-გუბის ამონაფურთხო! ²

და განშორდებიან ზანდარს.

ზანდარს ეს პირველი მარცხი არ შეაშინებს. ცნობილია, ზანდარისებური მოხელენი ისე არიან ასეთს საქმეში დაგეშილნი, ასეთი დავალების შესრულების ბრძმედში გამოჰყედილნი, რომ ისინი ადვილად არ დასთმობენ თავის პოზიციას. ამასთან ზანდარმა კარგად იცის ძალა „ცხელი შანთისა“, მან კარგად იცის, თუ ვერ შეასრულებს დავალებას, ბელზებული მოსდებს მას „მაშინ შარს“ და, ზანდარი მწარედ ამოიკვნესებს: „ჯოჯოხეთს განა თვალით განახვებს, ღორის მწვალივით შანთას აგაგებს“.

სათანადო ფერებში იძლევა პოეტი ძველი რეჟიმის, ცარიზმის უხეში და მკაცრი პოლიციური ძალმომრეობის მმართველობის ხასიათს. ხოლო ზანდარის სახით მოხერხებულ, ვერაფრ შემსრულებელს ამ უპატიოსნო პოლიტიკისას.

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“. 1926 წ., გვ. 41.

² იქვე, გვ. 42.

ზანდარი, — მართალია, განიცდის იმედების გაცრუებისა და სამარცხვინო დამარცხების შიშს, რადგანაც პირველი შეხედვით რა გრძნობს, რომ საქართველოს მთები გარშემო „შუბის წვერებით მოკირწყლული მკვიდრად ყოფილა“, მაგრამ გამოცდილს, გაქნილს ამგვარ საქმეებში ზანდარს იმედს აძლევს ის გარემოება, რომ ფერიების „კვნესა, გოდება, ცრემლად ვსებული“ დამაფიქრებელია და იმის მომასწავებელიც უნდა იყოს, რომ „მეტად გაგვიბერია ივერთ ღირსება არ არსებული“; რადგანაც კვნესა, გოდება, ცრემლის ღვრა მაჩვენებელია ნებისყოფის მოღუწებისა, სისუსტისა. ეს უნდა თქვას პოეტმა.

იმედდაბრუნებული ზანდარი შეუწელებელი ენერგიით განაგრძობს დავალების შესრულებას. ის გრძნობს, რომ საჭიროა ხერხიანად, წინდახედულად მოიქცეს. ამიტომ სერიოზულად ჩაფიქრდება, საიდან, რომელი მხრიდან მიუდგეს ის მიზნის განხორციელებას.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ზანდარი შეხვდება დაღონებულს; დიდ მადამქონე მშვიერ ბრუგაძეს, რომელიც მოუთმენლად ეძებს უხვ მასპინძელს (ბრუგაძის სახით კოტე მყაჟვილი იძლევა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის 1917 წლის რევოლუციამდე ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის — დარღვეული თავადაზნაურობის ტიპური სახეს, რომელმაც გაფლანგა მამა-პაპის დარჩენილი ქონება, სათანადო სწავლა მას არა აქვს, თუ აქვს ისიც მცირე, იმასაც არ იყენებს, კალაპოტიდან ამოვარდნილია, დიდი მადა ჭამისა კი შერჩენილი აქვს. ბრუგაძე, პოეტის დახასიათებით, ეკუთვნის „ოქროს ახალგაზრდობის“ ჯგუფს. „პურღვინისტებს“ რომ უწოდებს). ზანდარის გამოცდილი თვალი ბრუგაძეს ადვილად შენიშნავს და მოინდომებს მის გამოყენებას თავისი მიზნის განხორციელებაში. ის ადვილად გაეცნობა ბრუგაძეს, თავს უცხოელად — გერმანელად გააცნობს, ადვილად გაუგებს მას ხასიათსა და სურვილს, შეეცდება მისი მოსაწონი სიტყვა და ქცევა გამოაჩინოს, ბრუგაძის ყველა მდაბალი გრძნობა და სურვილიც კი შეაქოს, რათა ის ადვილად დაიყოლიოს. მოხერხებული ზანდარი მიზანს ადვილად აღწევს.

მშვიერი, კუჭკაღმერთებული, უნებისყოფო ბრუგაძე უმალ გადავა თავისი ზოოლოგიური სურვილები დაკმაყოფილების განხორციელების ხერხებზე. ის ცრუ ჭენტლმენურ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მას ფული შემოეხარჯა და არა აქვს შესაძლებლობა უცხოელს აჩვენოს ქართული ქეიფი „ღუღუკის ტკბილი და ნარნარი ხმით“. ზანდარიც ადვილად მიუხვდება. მან კარგად იცის,

რომ ასეთი ბოჭემის ხალხის გამოყენება ქეიფის დროს უფრო ადვილია. ზანდარი გამოსთქვამს კმაყოფილებას ბრუგაძის წინადადების შესახებ, რომ მასაც აქვს სურვილი და ენატრება კიდევ დასტკბეს დუდუკის ხმით, ხოლო რაც შეეხება ფულს, მხიარული თანაგრძნობით ეტყვის ზანდარი ბრუგაძეს: „ჯიბე სავესე მაქვს ოქრო-ვერცხლითა“.

ბრუგაძესაც ეს უნდა. ის მოუჭრიდებლად მოუწოდებს ზანდარს — ნულარ დაყოვნებენ და მიეცხენ სასიამოვნო ქეიფს. აქ იწყება პოემის სიუჟეტის გაშლა.

სატირის „ეშმაკი საქართველოში“ სიუჟეტური ძირითადი ხაზი გვიხატავს ქართველი თავად-აზნაურების (თავისი შინაგანი ფენებით), სამღვდლოებისა და ინტელიგენციის მორალური დაცემას პროცესს. ყველა ესენი ლაჩრები, შემგუებელნი ყოველივე ზნეღაცემულობასთან, რეაქციით უსაზღვროდ შეშინებულნი, თავ-გზა აბნეულნი, თავმოყვარეობა და საღ გრძნობა დეკარგულნი, სულითა და ხორციით არსებული მიუღებელი წყობილების დამცველთა განკარგულებაში მიცემულნი არიან. კოტე მაყაშვილის გაგებითა და ჩვენებით, საზოგადოების აღნიშნული ფენების გახრწნილება, დაცემულობა წარმოშობილია გარკვეული სოციალური სისტემის, საშინელი დროისა, უკანონობისა და თვითნებობის ბატონობის საფუძველზე. მაგრამ მივიდეთ უფრო ახლო საზოგადოების ამ ფენებთან, როგორც ეს მოცემულია სატირაში.

ბრუგაძეს ახლად გაცნობილი უცხოელი ზანდარი პირველად სარდაფში მიჰყავს. იქ ქეიფობს წვრილი თავადაზნაურობა — „პურღვინისტები“. მათ ორი ქალიც — შაკო და ბაბაღე ახლავთ. სარდაფში ზანდარი და ბრუგაძე ცალკე სხდებიან. ზანდარი იწყებს თავის მოვალეობის აღსრულებას.

კოტე მაყაშვილი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აღზრდილი 60-იანელების კერძოდ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების იდეებზე. მტკიცუნეულად განიცდიდა სამშობლოს ჩამორჩენილ, დაკნინებულ მდგომარეობას. პოეტი გრძნობს, მას ესმის, რომ ქვეყნის ამ დაკნინებაში უდიდესი დანაშაული მიუძღვის ბრწყინვალე წოდებას — თავადაზნაურობას, რომელიც ჯერ კიდევ თავის თავს ერის ცხოვრებაში წამყვან ძალადა სთვლიდა და არაფერს არ ერიდებოდა, რათა ეს როლი არავისთვის დაეთმო. საზოგადოების ეს ნაწილი იმხანად ხორცმეტად გასჩენოდა ეროვნულ ორგანიზმს, რადგანაც მან სრულიად ვერ აუღო ალღო ახალი ცხოვრების პირობებს, ახალ მოთხოვნილებებს, გზა დაკარგა, დაჩიავდა, ის ქეიფის ვნებიან ქაოსში თავდავრყებით გადავარდა.

აი რას გვეუბნება თვითონ კოტე მაყაშვილი თავის წინასიტყვაობაში „ავტორისაგან“: „მეოცე საუკუნე დაიწყო დიდის იმედებით. ახალ, მოწინავე, ცხოველმყოფელ იდეებისათვის რუტინის ძველი ჩინური კედლები შესამჩნევად დადაბლდნენ. მეორე მხრივ, მე ნათლად ვხედავდი, რომ ამ იდეების გაფურჩქვნას ჩვენ ქართულ სინამდვილეში დიდად ხელს უშლის მოთავე კლასთა ფუქსავატობა, შეუგნებლობა, ჭკუამოკლეობა და სხვა ამგვარი სათნობანი.

„იმ დროინდელ საქართველოს მესაჭეებად იყვნენ: თავადაზნაურობა, მსხვილი ბურჟუაზია, სასულიერო წოდება, ინტელიგენცია.

„თავადაზნაურობამ უკვე მოსჭამა თავისი დღენი, დაჰკარგა თავისი ძველი დიდება, ქონებრივად და ზნეობრივად ძალიან ჩამოქვეითდა. ეს წოდება სრულ დეგენერაციისაკენ მიექანებოდა, მისი ნაწილი ღვინის სარდაფებში ლპებოდა, ნაწილი კი წვრილ და მსხვილ მოხელეობაში ითქვიფებოდა და იქ ისუტავდა ბიუროკრატულ გახრწნილ სულს და სუნს.

„ქართულ საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ. ტონს აძლევდნენ ღენერლები, საიდუმლო მრჩეველნი, მარშლები და მისთანანი, რომელნიც კმენდნენ თავისებურ ეთიკის კოდექსს ზუზგის მოქნალობაზე, მლიქვნელობაზე, ლაქიაობაზე დამყარებულს“¹. აი სწორედ ამ წოდების სავალალო, ერისათვის დამღუპველ ცხოვრებას, პირველ რიგში, ხდის ფარდას კოტე მაყაშვილი თავის პოემაში „ეშმაკი საქართველოში“.

სარდაფში, სადაც ბრუგაძე ზანდარს შეიყვანს, წვრილ თავადაზნაურთა ჩვეულებრივი, დავიწყებას მიმცემი ქეიფია, სიმღერა, ღრეობა ტოლუმბაშით, ჯამით, ყანწით, სათანადო „ფრთოსანა“ შეძახილებით: „თუ ფხიზელი ხარ — რას უყურებ, დაითვერ მალე!“, „დღეს ვიციანოთ, ვინაროთ, დე ვიტროთ ხვალე!“, „ეს სიცოცხლე მოკლე არის, დაესტებეთ იმით მალე!“, „ყველა უშნო, არამსმელი, ღმერთო შეიბრალე!“, „მოდით ერთი მომეხვეით მაკო და ბაბალე!“, „პარალე და პარალეო, პარი არალე“ და ა. შ.

ბრუგაძეს და მასთან უცნობს ზანდარს მოქეიფენი შენიშნავენ, გადაიწვევენ თავიანთთან. ჩვეულებისამებრ ტოლუმბაში ზანდარს მიმართავს ჯამის მიწვდით: „დაილოცე, დაგვლოცე, ჯერ დაცალე. მერე მაკოს აკოცე!“ მშვენივრადაა მოცემული ამ დარღვეული წოდების დაჩივება, უპრინციპობა, გალაზღანდარაება, თავმოყვარეობის, თავისი თავის პატივისცემის დაკარგვა.

¹ „ავტორისაგან“, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, 5745—ხ—63.

ზანდარი მალე აულებს ალღოს ამ ლოთი-ფოთებს. ადვილად და მოხდენილად ჩაებმება მოქეიფეთა წრეში. ტოლუმბაშს ჯამს მოხდენილად ჩამოართმევს და უშუალო განწყობილების შემქმნელი სიტყვებითაც მიმართავს მათ. ზანდარი მოქეიფეთ შეუქებს ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებს, ვინაიდან ისინი ამის იქით არც იხედებიან და ვერც ხედვენ. მოკუს-მინოთ ზანდარს:

მე, ბატონებო, ვსვამ სადღეგრძელოს
ბრწყინვალე კრების ბრწყინვალე პირთა;
ველოცავ ტურფას, ნახ საქართველოს,
რომ მის შვილნი ხართ, ბელადნო გმირთა!¹

ზანდარი ამასთან მასპინძლებს ჰპირდება, რომ ის სთხოვს ბელ-ზებულს, ძლიერ მეფეს, რომელიც მისი რწმუნებით სწყალობს ზანდარსაცა და ქართველებსაც, „საყურგრძელობის კურთხევა“ მისცეს —

ამ ლომ-გულ-სულთა უხვ მასპინძელთა,
ბრწყინვალე მნათობთ სამხრეთის ცისა,
მკლავით მაგართა ფრიად, მხარ გრძელთა,
აღვითა ტანით და მგზავსთა მზისა...!

ზანდარის მეტყველებაში დამახასიათებლადაა განსახიერებული ზოგიერთი ბიუროკრატი მმართველის ჩვეულებრივი მლიქვნელი ენა და ხერხი ქვეყნის დამორჩილების მიზნით გამოყენებული.

ასეთი სიტყვებით მსმენელებზე თავბრუდახვევის მოხდენით გათამამებული ზანდარი დასცლის ჯამს, აკოცებს იქ მყოფ მაკას, გადაეხვევა ბაბალეს და მასპინძლებთან ერთად „ჰარალეს“ შემოსძახებს. აი სადამდე დადის ეს წვრილფეხა თავადაზნაურობა! ის სრულიად ჰკარგავს თავმოყვარეობას, ჰკარგავს ქართველ ქალისადმი თავდაპერილობასა და მისდამი პატივისცემით მოქცევის ცნობილ მაღალ ფაქიზ ტრადიციასაც კი.

ზანდარის ასეთი თამამი და ძმობიკუთრი მოქცევის შემდეგ განსაკუთრებით ბრუგაძისაგან გაიგებენ რა, რომ ზანდარს ფული ბევრი აქვს და შეუძლიათ იმის ხარჯზე ქეიფი განაგრძონ, გამხიარულებული მასპინძლები ერთხმად შიქასტას შემოსძახებენ, ბახუსს ქება-დიდებას შეასხამენ, ქეიფს თავდავიწყებით განაგრძობენ.

ამ ქეიფში კოტე მაყაშვილი ნიკიერად იძლევა ცოცხალ სურათს

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 50.

გადაგვარების გზაზე დამღვარი ქართველი თავადაზნაურობისა, რომელმაც დაკარგა უნარი შეგნებული მოქალაქეობრივი ცხოვრებისა და თავდავიწყებით გადაეარდა: ვნებიანობა-ერთოტომანიამი (ხორბალაშვილი), დაუდგარ უაზრო ქეიფში (სირსველაშვილი), მუშტის კულტში (მკლავაძე), პათოლოგიურ გამოვლინებებში (თეფშების, ჭიქების კევსავით ლეჟვა — თავადი ცოფიანი), უმიზეზოდ ჩხუბის აშლაში (ფხიკია), აზარტულ თამაშში (ცანცარა), უზნეო, მდაბალი გრძნობების დაკმაყოფილებაში, საერთოდ ზნეობრივ განურჩევლობაში (ლიაძე, ქუცმაძე, ჭინჭარაშვილი, ცმუჟაძე) და სხვ.

პოეტს არა აქვს დავიწყებული მეტად დამახასიათებელი დეტალი ამ ვაჟბატონების ქცევისა: ოდესღაც ბრწყინვალე წოდების ეს დაჩიავებული შთამომავალნი არ ივიწყებენ თავადაზნაურულ ქედმალლობას, თუმცა ამისათვის მათ არავითარი საფუძველი აღარ გააჩნიათ და სასაცილო მდგომარეობაშიც აყენებს ეს მათ, რომელსაც ისინი ვერა გრძნობენ. ვითომც ისინი პატრიოტობენ კიდევ. მაგრამ პოეტის გაგებით, არავითარი ფასი არ აქვს მათ პატრიოტობას, პირიქით, ეს რაღაც სამარცხვინოდაც კი ჟღერს, რადგანაც სამშობლო მათ აგონდებდათ მხოლოდ ქეიფის დროს, წითელი ღვინით გახურებულ შუბლსა და შიშხინა მწვადებით დაოკებულ სტომაქს რომ ალაღებენ. მოუუსმინოთ აქ, სარდაფში, მოქეიფე თავად ყ ა ფ ლ ა ნ ს:

ბატონებო, საქართველო
 თუ ოდესმე იყო მძლავრი,
 თუ არავის შეარჩინა
 შეწუხება თვისი, ჯავრი,
 თუ რომ თრთოდა მისი მტერი
 გარეშე და შინაური,
 მის მიზეზი ვახლავთ მხოლოდ
 თავადი და აზნაური!
 დიახ, — ძმებო, ჩვენ ეუღლეით
 შეურყეველ ბურჯად მხარეს,
 მის გულისთვის მოვსწრებვივართ
 ბევრს ღლეებსა შავს და მწარესს!¹

და თუ ახლა თავადაზნაურობა ის აღარ არის, რაც იყო, თავად ყაფლანის აზრით, ამისი მიზეზია ის, რომ წინაღუდგენ მას „ყრმე-ბი“, ე. ი. განათლებული ახალი თაობა. ჩამოერთვათ მათ ყმები, ძველებურად კუქს ველარ იძღობენ, „კალმოსნები, ბიჭ-ბუჭები“ მათ „კბილებს ულესენ მგლურადა“. აი ამან გააღარიბა, გააღატაკა ისინი. მაგრამ, თავმომწონედ გაიძახის თავადი ყაფლანი: „შეგვრჩა ძველი

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „ემშაკი საქართველოში“, გვ. 59—60.

გული. ამაყი და უშიშარი. რაინდობით გამსჭვალული“, რის ნატა-
მალაც. პოეტის ჩვენებით. მათ არ გააჩნიათ. რაოდენი მწარე და ცი-
ვაა ჩაქსოვილი პოეტის მიერ ყაფლანის და დამსწრეთ თვით და-
მაკმაყოფილებელ სიტყვებში! მაგრამ თავად ყაფლანის ეს სიტყვები
ღვინით ტვინზეხურობულთ საერთო აღტაცებულ მოწონებას გამოი-
წვევს. ტაშით გამოხატულს. როგორ მწარედ ხვდება ეს ყალბი,
ზნეობრივი და გონებრივი სილატაკის გამომხატველი ტაში პოეტისა
და მისი მკითხველების გულს!..

თავადი ყაფლანის ასეთმა „პატრიოტულმა“ სიტყვებმა და „გა-
ბედულმა“ გალაშქრებამ ახალი თაობის, მათი გაგებით, მათი დაუძი-
ნებელი „პირველი მტრების“ წინააღმდეგ დამსწრეთ საშუალება
მისცა თავისი უკმაყოფილება, ზიზღი მათ მიმართ გადმოენთხიათ, რა-
საც სქელკანიანი სივრცეში მუშტის ქნევით შემდეგი სიტყ-
ვებით გამოხატავს:

ლიბერალებო, წვნიკო ქიებო,
თქვენ. თქვენ დაღუპეთ ეს ჩვენი მხარე!
წყულში იყოს თქვენი გამჩენი
თქვენი აკვანი. თქვენი სამარე!..
გუშინდელ რწილსა, უკეთ ქვემძრომსა,
მიხლით ბატონად ძველ მებატონეს?
და თქვენ გგონიათ დაგიუმდებთ
და ძველებურად არ ვიხმარ ღონეს?
ხიშტებს. მათრახებს, საპყრობილებს
არ დაუკარგავთ ჯერ თვისი ძალა!
დღეს თუ ცოტათი გაიმარჯვენით
განა ჩემს მუხრუქს ასცდებით ხვალა?!
თუ არ ვიქნები, რა თავში ვიხლი
სამშობლოს. დედას. სახლსა და კარსა?

ჰა, გაგვიფრთხილდით, კია-ღუებო,
კიდე მაგარი გვაქვს ჩვენ მკლავები,
ღროზედ მორჯულდით, თუ გებრალემათ
ეგ სისულელით საესე თავები!!

კოტე მაყაშვილი, უდავოდ, ნიჭიერად აშიშველებს, ნილაბს ხსნის
თავისი ღროის თავადაზნაურობას, თუ მთლიანად არა, მის გარკვე-
ულ დიდ ნაწილს მაინც. კოტე მაყაშვილის დახატვით, თავადაზნაურ-
თა საერთო ნიშანი, რომლითაც ისინი ხასიათდებიან არის ის, რომ
მათ თავიანთი სინიღისი სრულიად გაცვითეს: ყოველი მათი სიტყვა

¹ კ. მაყაშვილი. „უშმაკი საქართველოში“, გვ. 60—61.

— სიცრუეა, სიყალბეა, ყოველი ნაბიჯი — დაუნდობელია, ვერაგულია. ყოველი მათი მოქმედება — გამცემლობაა, ღალატი.

სქელკანიანის აზრი თუ შეხედულება, რომ საერთო და მკვეთრი გამომხატველი იყო ამ ხალხისა, კოტე მაყაშვილი ამას ძლიერებს დამსწრეთა ალტაცების გამომხატველი გუნდობრივი მოძახილით (ეს სტილიური ნიშანი დამახასიათებელია კოტე მაყაშვილის პოეტური შემოქმედებისათვის). სქელკანიანის უკანასკნელ სიტყვებს ექსტაზში მოსულნი დამსწრენი ერთხმად, შეთანხმებულად გაჰკვივან:

ჰა, გაგვიფრთხილდით, ქია-ღუებო,
კიდევ მაგარი გვაქვს ჩვენ მკლავები!
ღროზედ მორჯულებით, თუ გებრალეზათ
ეგ სისულელით სავსე თავები!.

ეს გამეორება, ისიც გუნდური, რა თქმა უნდა, კოტე მაყაშვილს გამოყენებული აქვს როგორც მძლავრი პოეტური ხერხი საზოგადოების ამ ნაწილის მძლავრად დახატვისა და მკითხველზეც სათანადო შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. პოეტის ეს მიზანი, უდავოდ, მიღწეულია.

თავადი ყაფლანისა და სქელკანიანის სიტყვები საღერდელს აუშლის სხვა დამსწრეთ, თავადაზნაურთა წარმომადგენელთ. პოეტი სარგებლობს ამ გარემოებით და გადააშლევინებს მათ ტკივილებს, რაც იმავე დროს, პოეტის გაგებით, მათი დანაშაულებათა ქვეყნისადმი.

მაგალითად. თავადი დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი გულმოკლული სწუხს, რომ წავიდა ძველი ღრო სანატრელი, ბედნიერი, როდესაც მამამისი ერის ყოვლად ძლიერი ღმერთი იყო. აი თავის მწუხარებას თავადი დურმიშხანი როგორ გვაცნობს. მამამისს —

ცხონებულს ჰქონდა დიდი მამული,
ერთ საპერცოგოს თითქმის ოდენი,
ყმა უთულაუვი, მორჩილ-გაწრთენილი,
დიდი ჩინი და ბევრი ორდენი!
ეხლა მე იმის მეშვეიდრეს, შემრჩა
მხოლოდ და ვვარი, მხოლოდ ტიტული.
სნეულებანი მამა-პაპური,
წამხდარი კუქი, ზვიადი გული
და გაქლენთილი ღვინითა სული!..²

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“. გვ. 61.

² იქვე, გვ. 61—62.

დამახასიათებელი ის არის კიდევ ღურმიშხანისათვის, და eo ipso დარღვეული თავადაზნაურებისათვის, რომ ის ყველაფერს ურიგდება, იმასაც, რომ „წინაპარივით ის ვერ იქება“, მაგრამ რაღაც ცრუ ამპარტავნობა და თავის თავის უპირატესობა, რომლისთვისაც მას არავითარი საფუძველი არა აქვს და რომელიც მასში ძლიერაა შემონარჩუნებული „ზეიადი გულის“ მეოხებით, ღურმიშხანს რიხიანად ათქმევინებს: „მაგრამ დამპალიც რომ ვიყო მაინც, ათას საღ გლეხზე მეტი ვიქნები“¹. სინამდვილეში კი ფაქტი იყო თავადაზნაურების დაქვეითება, გლეხობის, მშრომელთა აღმავლობა, მათი ისტორიის ასპარეზზე გამოსვლა, მათ მიერ უმოქმედო თავადაზნაურთა ისტორიის სარბიელზე შეცვლა.

აი ეს იყო საბედისწერო და გულსაკლავი სინამდვილე, რაც ვერ აეტანათ გულზეიად, დეგრადაციის გზაზე დაქანებულ თავადაზნაურთა. ამასაც, მართალია, გაკვრიტ, მაგრამ სიმკვეთრით კი აღნიშნავს ჩვენი სატირიკოსი — მგოსანი.

ამავე თავადაზნაურობის ტიპიური სახესხვაობაა პ ა ნ ლ უ რ - მ ა ი ო რ ი — ახალგაზრდობაში ლამაზი, აღგზნებული თვალების ბრიალით, ცეცხლივით რომ სწვავდა, ხრუკავდა მღელვარე გულზედ მშვენიერ ქალებს. პანლურ-მაიორმა ვერც კი გაიგო, როგორ გაფლანგა სხვადასხვა სამხიარულო ბაღში — ოცი ათასი დღიური მიწა, ათი ვენახი, სახლი ქალაქში. ასეთი ცხოვრების სახსოვრად, როგორც თვითონ ამბობს, მას დარჩა „მუხლთა კანკალი და ათაშანგი“. ამას გარდა, ასეთ ცხოვრებას შედეგად მოჰყვა, დაასკვნის პანლურ-მაიორი: „ცოლი ქლექით მიკვდება, ერთი შვილი მყავს ცეტი და ბეცი, მეორე ყრუა, მესამე მუნჯი, მეოთხე დამბლა, მეხუთე მხეცი!“.

ასეთია, პოეტის დაკვირვებით, სრული დეგენერაცია ამ უილაქნოდ მოფარფატე თავადაზნაურობისა. მართლაც, ამის გამგონე. გაკვირვებული ზანდარისა არ იყოს, მკითხველიც წამოიძახებს: „ზოოლოგიის დოკტორისათვის საყურადღებო მასალა არის!“

დეგრადაციის გზაზე დამდგარი, გაწრიოკებული თავადაზნაურობის სრული ცხოვრების სურათი რომ გაამთლიანოს და მკითხველზეც სათანადო მკვეთრი მთლიანი შთაბეჭდილება მოახდინოს, კოტე მაყაშვილს ქეიფის დასასრულს სარდაფში შემოჰყავს მ ე ს ტ ვ ი რ ე. ცნობილია, მესტვირე ქართველი ხალხის ცხოვრებაში და მის ზეპირ-შემოქმედებაში პოეტი — მომღერალია, რომელიც თავისი სტვირით ზიმართლეს ემსახურება, მსმენელთა შორის ამტკიცებს აზრს წმინდას და გულსაც სიწმინდით ახურებს.

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 61—62.

ეშმაკი ზანდარი მისცდება მესტიერის დანიშნულებას. მან მესტიერეს შელოცვილი ღვინით სავსე კიკა მისცა და სთხოვა, რასაც ფიქრობს და გრძნობს ამჟამად, ის იმღეროს.

მესტიერის ფიქრი და გრძნობა, რა თქმა უნდა, თვით პოეტის -- კოტე მაყაშვილის ფიქრი, გრძნობა და ტკივილია, რაც დედააზრიცაა პოემა-სატირის „ეშმაკი საქართველოში“ ამ ნაწილისაც. მესტიერის დღულუკზე დანამღერები ერთგვარი შეკრებით მოცემაა ქართველი დარღვეული თავადაზნაურობის ყოფისა და ქცევის დამახასიათებელი ნიშნებისა. :

ვინაიდან მესტიერის სიტყვებს მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების მიზანდასახულობის გარკვევისათვის, მათ საგრძნობი მოცულობით ამოვწერთ:

ეს ერი, გინდა ის ერი
ერთი პაწაწა ერია,
მაგრამ ამ ერში ბრწყინვალე
კოლო-ბუზივით ბევრია!
ბრწყინვალე, თურმე ნუ იტყვიოთ,
სულ სხვანაირი კაცია.
ბრწყინვალეთ შორის მინახავს
უხვარ-კამეჩების ტაცია!
ამბობენ, რომე ბრწყინვალემ
არ იცის კითხვა-წერაო,
კორი იქნება მერწმუნეთ,
მეც კი ეს არა მჯერაო!
ამბობენ, რომე ბრწყინვალეს
მწერები სკამენ ხშირადო,
თუმცა ბანაობს ღვინოში,
წყალსაც არ ხედავს ძვირადო!
ამბობენ, რომე ბრწყინვალეს
აქვს შადა ღრიად საქები,
თუმცა რა ხანია ჩაულბა
თავისი სარჩო-საკვები!
ამბობენ, რომე ბრწყინვალე
არის ერთგვარი მხეციო:
გარედ არს შორის მკვრეტელო
შინ--ბრუტიანი, ბეციო!...
ამბობენ, რომე ბრწყინვალეს
მამული ეჯავრებაო
და, ვით ვირთავა სოროში,
ვალეშში ჭდება-ძვრებაო!
ამბობენ, რომა ბრწყინვალე
ჰკლავს შურის გამო მძასაო

და როცა მტერი მათრახს სცემს
 არ იღებს კრინტსა ხმასაო.
 ამბობენ. რომე ბრწყინვალე
 არის სამშობლოს მტერიო!
 სწორედ მის მეოხებითა
 უბედურია ერიო...
 ამბობენ — რას არ ამბობენ...
 ორდენის გულისთვისაო
 გაჰყიდის თავის ღედ-მამას
 და თვის ნისკარტა ცხვირსაო!

დამსწრენი, უკვე საქმარისად მთვრალეები, გონება არეულები არიან. ისინი ველარ ახერხებენ მესტვირის სიტყვების თავიანთებურად რეაგირებას. მართალია, ტოლუმბაში რალაცას მიუხვდა, ხანჯალიც იშიშვლა, მაგრამ მესტვირემაც არ დააყოვნა, სარდაფიდან მარდად გაეარდა. ამით მთავრდება დამსწრეთ აღშფოთება მესტვირის მიმართ.

მოქეიფეთ მეტის დალევაც აღარ შეუძლიანთ, აღარაფრის თავი არა აქვთ, მაგრამ გრძნობენ — მათ ვნებიანობის სისრულით დაკმაყოფილებას კიდევ რალაც აკლია. ყველა ერთნაირად განიცდის ამ ნაკლს. ყველა ერთხმად შეთანხმებულად საჭიროდ სთვლის დამთავრდეს ეს „სასიამოვნო“ ქეიფი „ვაჟკაცურად“, და უსიტყვოდაც შეთანხმებულნი სარდაფიდან შემდეგი სიმღერით გამოდიან:

ქართველო მუშტი ყბაში ჰკარ
 მსურველთა განდიდებისა!
 საროსკიპოში მოგველის
 გვირგვინი ლხენა-შეებისა?

აი გამახვილებული ტიპიური სახე ღეგრადაციის გზაზე დაქანებული თავდაზნაურობისა! აი როგორი ვნებიანობის ფსკერზე პოულობდა ის შეება-ლხენას, საითკენ მიექანებოდა . ის განწირულის მთლიანად ავადმყოფური სულისკვეთებით! სად ჰკლავდა ის საბოლოოდ თავის გამოფიტულ ნდომას!

ღიანხაც. კოტე მაყაშვილი მოურიდებლად ჰკიცხავს და მას სააშკარაოზე გამოაქვს ამ ხორცმეტად გადაქცეული ვაჟბატონების მრავალი ტიპიური თვისება, რომელთაც საბოლოოდ გაანადგურეს თვითონ ისინიც და ქვეყანასაც დიდი ზიანი მიაყენეს.

აღსანიშნავია კოტე მაყაშვილის შემოქმედებისათვის, როგორც

1 კ. მაყაშვილი. „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 66—67.

2 იქვე. გვ. 68.

დამახასიათებელი სტილიური ნიშანი ისიც, რომ მის სატირაში „ემ-
მაკი საქართველოში“ გმირთა სახელები თუ გვარები, სიუჟეტის
მთელი გარსი, ქარაგმების დიდი რიცხვი, ფაქტებისა და მოვლენების
აღნიშვნა ატარებს დაშიფრულ ხასიათს, სპეციფიკური ესოპური
ენით გამოხატულს, რაც მკითხველის შთაბეჭდილებას ამახვილებს
და აძლიერებს.

* * *

ზანდარმა ამ შეხვედრით კარგად, თვალსაჩინოდ გაიციწო ქარ-
თველი თავადაზნაურობის მრავალი სახესხვაობა. ის ეშმაკია. მიხვედ-
რილია: ამიტომაც მან კარგად გაითვალისწინა. რომ დავალებული
მისიის შესრულებისათვის ეს საკმარისი არ არის. ზანდარი ახლა თავის
გამყოლ ბრუგაძეს უფრო უახლოვდება, უფრო სწორი იქნება,
თუ ვიტყვი, ზანდარს „მშიერი, კოტრო კნიაზი“ ბრუგაძე ხელში
ჰყავს ჩაქერილი. მას ფული ბევრი აქვს. რითაც ბრუგაძეს მოსყიდვა
და მიზნებისათვის გამოყენება ადვილი ხდება.

ზანდარი ახლა ბრუგაძეს უფრო გულახდილად გაანდობს თავის
მასთან დაახლოების მიზანს. ის ბრუგაძეს სთხოვს გააცნოს მას „ქარ-
თველი ერის ხელმძღვანელნი და მოამაგენი“. ზანდარი ასე განუმარ-
ტავს ბრუგაძეს თავის სურვილს:

უნდა გავიგო სიავკარგე იმ გრძელ ლერძისა,
რომელხედ ბრუნავს საქართველოს ბედიღბლის თვალი.

კეთილშობილთა, ჩინოვან პირთ, სამღვდლოების,
ინტელიგენტთა ყველა წრისა და მისწრაფება,
ყოფა-ცხოვრება, მათი სული, მათი საქმენი
და ამისათვის საპიროა მათ შორის ყოფნა.
უნდა გამიგო, სად და როდის შეიძლება, რომ
ყველანი ვნახოთ ან ცალ-ცალკე, ან ყველა ერთად!
უნდა გამაცნო ისინი მე და შეკი იმათ¹.

ზანდარის თხოვნა ბრუგაძეს შეაფიქრებს. მას ექვი შეიპყრობს;
ამ ექვს ბრუგაძე ზანდარს ასე უმხელს: „არ გიცნობ და ვერც გამი-
გია შენი განზრახვა! ვინ უწყის, ძმაო, რა ოინებს და რა განსაცდელს
გვიმზადებ გულის სიღრმეში მე და ჩემისთანებს“. მეტსაც გაბედავს
ბრუგაძე: „ვაი, თუ მოვსტყუედე და გაიძვერა ჭაშუშის მიერ გაბ-
მულ ქსელში ჩავეარდე მეთქი“¹.

¹ კ. მ ა ყ ა შ ე რ ი ი. „ემმაკი საქართველოში“. გვ. 69 -70.

მაგრამ ზანდარი ამ სამსახურისათვის ჰპირდება რა მას მოთხოვნილებისამებრ მისცეს ფული, ეს უკანასკნელი ადვილად თანხმდება ემსახუროს ზანდარს.

ბრუგაძე დათანხმდება ზანდარს ქართველი საზოგადოების სხვა მმართველი წრეებიც გააცნოს. ამის შესრულება შესაძლებელი იქნება ზანდარის მათ მეჯლისზე დასწრებით, რომლის შესასვლელი მოსაწვევე ბარათის შოვნას ბრუგაძე ჰპირდება ზანდარს.

მართლაც, ზანდარი ბრუგაძის მეოხებით მალე მოხვდება მეჯლისში, სადაც უაზრო ცეკვა-დროსტარებაში პრივილეგიური კლასის სხვადასხვა მაღალი ფენის წარმომადგენელთა ცხოვრებაა განსახიერებული რეალურ ფერებში მაქსიმალური მხატვრული სიმკვეთრით: აქაა ვნებიანი და გაშმაგებული მოცეკვავენი თავიანთი დამებით, ვნებააშლილი, მორალური და ფიზიკური განუჩეველობით რომ ხასიათდებიან; აქაა კნენია, რომელიც უცხოელთან უფრო მეტი თავდავიწყებითი სითამამით ეძლევა სიამოვნებას, ვიდრე ქართველთან; აქვეა ყველაფრის გამფლანგველი თავადი გულიკო, რომელიც ცეკვავს თავისი დამით და უსირცხვილოთ გაიძახის:

სულ გავიდე, რაც მქონდა!
ეხლა ვყიდი ტიტულსა,
იყიდეთ და პრემიათ
დაუშაბებ ჩემს სულსა!¹

მწერალი თავადი გულიკოს ჩვენებით მშვენივრად ახერხებს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ საცოდავს და მისთანებს, რასაც არა იშვიათად ადგილი ჰქონდა სინამდვილეში, არ შველოდათ ტიტულისა და მასზე სულის დადებითაც ვაჭრობა; ისინი ისევე, უფრო მეტადაც, პარაზიტებად რჩებოდნენ ერის ორგანიზმზე.

აქვეა არაფრის მქონე ტოროლაძე, რომელიც დაუნანებლივ და ცინიკურად მოსთქვამს: „რაც კარგი მქონდა, სხვას გადავეცი, სხვისაგან ცუდი შევისისხლზორცე: ლომი ვიყავი — ვირად ვიქციე!“² ხოლო ახლა ის ცინიკური უდარდელობით გაიძახის:

აჲ ჩვენია, რაც სხვისაა,
სულ სხვისაა, რაც ჩვენია!³

ასე დარჩა ის სრულიად, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად არრის მქონე, არრის მცოდნე, ასეთია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შე-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 79.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე.

ხედულება კოტე მაყაშვილისა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ.

მწერალს, ტოროლაძის ჩვენებით, უნდა თქვას და შთააგონოს მკითხველს, რომ რაც ტოროლაძისაა, ახლა სხვისაა — ეს ფაქტია, მაგრამ „რაც სხვისაა“ ის რომ მისი არ არის და არც შეიძლება იყოს — ესეც აშკარაა.

აქვეა ზემოხსენებული ტიპური სახესწავობა თავადი ფეოდალის სახით, რომელმაც ბევრი იარა, ალბათ, მათთვის ჩვეულებრივ უგზო-უკვლოდ, ეძებდა „რწმენას, ცოდნას, იდეას“ და მის მაგიერად, სრული კმაყოფილებით ამბობს ის: „ველირსე... ჩინსა და მედალს!“ აი რაზედ დაახურდავა მან თავისი „რწმენის, ცოდნის და იდეალის“ ძიება!

აქვეა თავადი ფეოდალის დამა, რომელმაც სასწავლებელი დაამთავრა ოქროს მედლით და ახლა დიდი კმაყოფილებით ჯვარს იწერს დრაგუნის ოფიცერზე (სამხედრო სამსახურში მყოფს XIX საუკუნის მწერლები და საერთოდ პროგრესულად მოაზროვნენი უარყოფითად აფასებდნენ, როგორც ისეთს ძალას, რომელიც მონარქიულ-პოლიციურ წყობილებას ამტკიცებდა).

აქვე შემოდიან ქონებადაკარგული, გაღატაკების გზაზე დამდგარი მოხელები, რომელთაც ცხოვრების წყარო სახაზინო სამსახურში უპოვიათ და ბიუროკრატიული ხელისუფლების მიერ დამყარებული მოხელის ეთიკა ზედმიწევნით შეუსისხლხორცებიათ. მოვიყვანთ ზოგიერთი მათგანის მისწრაფება-ქცევას, სატირაში, მეტად მკვეთრი, ზედმიწევნით რეალური ფერებით მოცემულს:

პირველი მოხელე, თავისივე დახასიათებით, როცა „საწყლად მცირდება“ (და ეს მის ცხოვრებაში, უთუოდ, ჩვეულებრივი მოვლენაა და მასთან ხშირიც), ისეთი ხდება, რომ მიკროსკოპშიც არ გამოჩნდება, უფროსთან სწრაფად თოვლივით დნება, უმცროსთან „ვითა ცომი იზრდება“; ის თავის ტომის ხალხს, მისი დახასიათებით, „უშნოს“ სდევნის, რადგანაც ასეთი საქციელის შედეგად ის „ჯილდოს ელის“. ამიტომ ის ძალიან ნანობს, რომ ქართველია, რაც უშლის მას უკეთესად მოეწყოს.

პირველი მოხელის სახით, კოტე მაყაშვილი დაუნდობლად და ნიჭიერად ამათრახებს როგორც გონება-ზნეობა დაჩლუნგებულს და გრძნობადაკარგულს, გადაგვარებულს და გაჩინოვნიკების გზაზე დამდგარ ქართველს, რომელიც გამძვინვარებულ მონარქიულ, პოლიციურ-ბიუროკრატიული ხელისუფლების მიერ წარმოებულ უხეშ და უაზრო კოლონიურ პოლიტიკას ხელს უწყობდა, ამტკიცებდა. (როგორებიც, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენა არ იყო და რაც ნი-

ჭიერად იყო გაკიცხული ჩვენი XIX საუკუნის მწერლების — ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, გ. ჭალაღიდელის, სოფ. მგალობლიშვილის და სხვათა მიერ).

არც მეორე მოხელეა უკეთესი მორალის მატარებელი. ამასაც ცხოვრების სიბრძნე და მიმზიდველობა მხოლოდ პირადი ფინიჯური კეთილდღეობის თვალსაზრისით დაუნახავს, გაუგია და დაუფასებია: ასეთი კეთილდღეობის მიღებისათვის მას შეუწირავს სინდისიც და თავმოყვარეობაც. მეორე მოხელე ცხოვრების ასეთ ცინიკურ დევიზს ქადაგებს:

დაბლა დაუქარ თავი უფროსსა,
გინდ ინტელიგენტს, გინდ ბარბაროსსა,
შორს გაექეცი ხახამშრალ ბრბოსა
და თაყვანი ეც შენ ოქროს ხბოსა!!

მესამე მოხელე უფრო ნაკლები, ძღარე ეთიკის გზით წასულა. მას ცხოვრების წყაროდ ჯაშუშის მოვალეობა უკისრია, ასე დაკემულა. მეოთხე და მეექვსე მოხელენიც ასეთივე ამორალური გზით მიღიან, ისინი ქრთამის აღებით, უსამართლოდ სჭიან კანონს. უდანაშაულოდ ავიწროებენ მართალთ. მეხუთე მოხელეს, მაზრის უფროსს, ხელობად აუღია „გაძარცვა და გაყვლეფა ობოლ. ტიტველ-შიშველთა“. მას გაუგეს, სამსახურიდანაც გამოაგდეს, მაგრამ მან, შერჩენილი გაიძვერობით, მოახერხა საზოგადოების (ალბათ, ისეთივე ამორალურის, უნდა სთქვას ავტორმა) ნდობის დამსახურება და იმედი აქვს მას მარშლადაც კი ამოირჩევენ.

აი ამ მოხელეებს შეუქმნიათ ცხოვრების გუბე-ჭაობი. კმაყოფილნი თავიანთი მდგომარეობით, ქცევითა და მისწრაფებებით, ისინი ერთხმად აი რას ქადაგებენ:

სირბილითა და ხტომით
განა შორს წახვალ?
ბობღვით, ცოცვით და ძრომით
მთის წვერზე ახვალ!
პროტექციის ფრთის ქვეშე
უპ, რა კარგია!
ცოდნა. ნიჭი, სიმართლე
მეტი ბარგია!
გინდა გქონდეს ძალ-ლონე
ჩუმად იყავი!

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. „უშმაკო საქართველოში“, გვ. 82.

მთვრობას დაემონე
შესწირე თავი.
შეაფურთხე იდეას
ის პურს არ გაჰმევეს,
და ტუსადის სამოსელს
მაღმალ ჩაგაცმევეს!¹

მოხელეთა ამ საერთო ჰიმნის ბუნებრივ დამატებად ისმის პირ-
ველი მოხელის მოძახილისებური თქმა:

სვი და ჰამე...
ყველგან ქსელი გააბი!
იყავ ობობა!
შენზედ სუსტი და საწყალი
ჩაიგდე ხელში!
მოუქირე მუხრუქი,
სწვდი მაგრად ყელში!²

ეს მოხელენი თაყვანს სცემენ იმას, რაც, კოტე მაყაშვილის გა-
გებითა და ღრმა რწმენით, კაცმა-მოქალაქემ უნდა დათრგუნოს,
ხოლო სთრგუნავენ იმას, რასაც კაცმა-მოქალაქემ უნდა თაყ-
ვანი სცეს. ამაშია ამ მოხელეთა ცხოვრების დაქინება, მავნებლო-
ბა, ამაშივეა, პოეტის აზრით, ქართველი ხალხის უბედურება, ტრა-
გედია.

კოტე მაყაშვილიც, ცხადია, თავის ხმას აძლევს იმ ჩვენ დიდ
მოაზროვნე მოღვაწე-მწერალთ (ილ. ჰავკავაძეს, აკ. წერეთელს,
ნიკო ნიკოლაძეს, სერგი მესხს, გ. წერეთელს და სხვათ), რომელნიც
ფიქრობდნენ და მოითხოვდნენ, რომ ქართველი ხალხის ეს წრე
უნდა რაც შეიძლება ადრე მოიხსნას ისტორიული ცხოვრების სარ-
ბიელიდან, გზა მისცენ საღ, პატიოსან, მაღალი იდეებით აღჭურვილ
მოქალაქეთ. განურჩევლად წოდებისა, გზა მისცენ კაცთ და არა გვა-
რიშვილობას ან თანამდებობას.

ნახულის განცდით აღელვებული კოტე მაყაშვილი გვაჩვენებს,
თუ რა დაბალ დონემდეა დასული ქართველი საზოგადოების ამ ნა-
წილის ცხოვრება. ის სამართლიანად, ზანდარის პირით, მათ აღარებს
ოთხფეხთ, ხოლო მათ ცხოვრებას — „ლორთა თბილ წუმპეს“, რო-
მელშიც ეს გახრწნილნი „სხედან ხრუტუნით, ნეტარნი და დამტკ-
ბარნი ნეხვების სუნით“. ასეთმა ცხოვრებამ ეს ხალხი გადაავარა,
გამოფიტა, დაუკარგა არამცთუ მოქალაქის, არამედ ადამიანის სახე.

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 84.

² იქვე, გვ. 84—85.

ისინი, ზნედაცემულ თვითკმაყოფილებაში მყოფი, ეძლევიან უაზრო, ზშირად უმწეო სიამოვნებასა და მოქმედებას.

მოხელეთა ასეთი უზადრუჯი მდგომარეობა რომ უფრო გაამახვილოს, პოეტი ზანდარსაც კი აღაშფოთებს მათი ყოფით, კეტით გამოაყრევიან მათ დარბაზიდან და ამ „მყარალი ჯოჯონეთით მოსულს ეშმაკს“ დემონური დაცივნით ათქმევიანებს — „საქართველოში მე ლამის გავხდე დეზინფექტორად“.

პოეტმა საზოგადოების ამ ნაწილის მიუღებელი სიცარიელე, უზნეო, ზოოლოგიური ცხოვრება, როგორც მანეე ხორცმეტებისა, მკითხველის წინაშე რომ გააშიშვლოს, მეჭლისში შემოჰყავს, როგორც მოხელეთა ცხოვრების სრული სახის მომცემი დამატება, მხიარული, მოცეკვავე ჯგუფი ახალგაზრდა მარიხელთა, რომელთაც ერთხმად კმაყოფილებით ასეთ თვითდანასიათებას ათქმევიანებს:

სამხედრო რანდამ და შალაშინმა
ყველა ერთმანეთს ჩვენ დაგვამსგავსა:
ეხტუნაობთ, ვცეკვათ, ებრიგინ-ვდრიგინებთ
ძველ ტრადიციის ვადგევართ გზასა:
პატიოსნება გვიზის მუნდირში,
გული—ხმალშია, ჭკუა—ფეხებში,
მოელი სიცოცხლე პავონებშია,
ექსელბანტებში, ბრჭყვიანე დეზებში.
აზრი არა გვაქვს ჩვენ საკუთარი,
თუმცა ველვარებთ—ვზივართ ბნელაში,
ყოელი ჩვენგანი მანეკენია,
გავწევენ აქეთ, გავწევენ იქით,
ვიწევით ჩვენცა აქეთ-იქითა,
სავსენი ველურ გულუბრყვილობით
და საღის ტენის დიდის შიშითა.
ხოლო ქეიფის, ქალთ გაბრიყვების
გვაქვს ჩვენ უფლება, სრული უფლება!
ამას დაესჯერდეთ და აღარ გეინდა
სხვა გვარი რამე თავისუფლება!¹

ზანდარიც კი გაოცებულია ნახულით და გაკვირვებული შეეკითხება მხიარულებას მიცემულ ახალგაზრდა მარიხელთ: „ის ჭკუა, რომელს ფეხით ატარებთ, რას გეუბნებათ თქვენ მსოფლიოზე... იდეალებზე, მისწრაფებებზე, წარმატებაზე და სამშობლოზე?“¹. ეს შეკითხვა, რა თქმა უნდა, თვით გულდაკოდილი პოეტისაა, სინამდვილის ხილვით შეძრწუნებულისა.

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 86—87.

უღარდელი და უზრუნველი მარიხელნიც პასუხს ამ შეკითხვა-ზეც ცინიკური გულუბრყვილობით იძლევიან: „პო, როგორ არა, ვიცით მსოფლიო რაღაც ვრცელია, მეტად დიდია.. ესეც და სხვა-ცა.. სუყველაფერი ეს, ამ ფეხებზე, ძმაო, გვკვიდია!“ თანაც მღერაინ და ცეკვავენ.

კოტე მაცაშვილმა აქაც გაჰკრა კბილი ბრწყინვალე მხედართ, არსებული უგზო-უკვლო, უსამართლო წყობილების დაცვის იარაღად გადაქცეულთა ფუქსავატ, უაზრო ცხოვრება-მოქმედებას.

ზანდარის მიერ ამ ახალგაზრდა მარიხელთა შემდეგი მწარე დამცინავი დახასიათება აგრეთვე, რა თქმა უნდა, თვით პოეტისაა:

ფეთიანი,
ბნედიანი
კუნტრუშობენ ულაყნი!
ოთხზე დგომით
ოთხფეხობით
ბედნიერნი, ამაყნი!
სულ იძვრიან,
სულ ისვრიან,
ყალზე მალ-მალ დგებიან!
ღლე და ღამე.
სვამენ, სვამენ,
მაინც ველარ ძღებიან!
ასე ხტიან,
ხანაც გდიან,
მერე ეტლში ებმიან,
დამაშვრალნი,
ხახამშრალნი
მათრახის ქვეშ კვდებიან!¹

ამ წრის დახასიათებაში, მისდამი დამოკიდებულებაში რა მძლავრად ეხმაურება კოტე მაცაშვილი თავის მასწავლებელს-წინამორბედს ილ. ჭავჭავაძეს! მკითხველს უნებლიედ მოაგონდება ილ. ჭავჭავაძის ცნობილი სატირები „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და სხვ.

• • •

კოტე მაცაშვილი ქართველი საზოგადოების ცხოვრების სურათის ხატვას არ ამთავრებს. მას უნდა მთელი სიგრძით და სიგანით, მთელი შესაძლებლობით გამოიყენოს თავისი მდიდარი პოეტური

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 88.

პალიტრა, კოლორიტულად წარმოგვიდგინოს ქართველთა ყოფის „შემოქმედი“ ფენები.

აი რასა წერს მწერალი თავის განმარტებაში „ავტორისაგან“: „ქართულ საზოგადოებრიობას ხელმძღვანელობდნენ, ტონს აძლევდნენ ლენერლები, საიდუმლო მრჩეველნი, მარშლები და მისთანანი, რომელნიც ქმნიდნენ თავისებურ ეთიკას, კოდექსს, ზურგის მოქნილობაზე, მლიქვნელობაზე. ლაქიობაზე აგებულს“...¹. ეს მიზანდასახულობა აქვს მეჭლისში მდიდრულად ჩაცმულ ჩოხოსანთა და მხედართა ჩვენებას.

მეჭლისის გამგე დამსწრეთ აღელვებით მოუწოდებს ღირსეულად. პატივისცემით შეხვდნენ დიდ ჩინოსანთა და სარდლებს ქვეყნის ამ „შევენებასა და დიდებას“.

თვითონ მეჭლისის გამგე თავის მისალმებით მათთან შეხვედრას მისცემს დამახასიათებელ ტონს ტიპიური მოწიწების სტილით. ის ასე მიმართავს მათ:

ჩენო მშვენებაჲ,
გონებაჲ, ნებაჲ;
თეაღმეხიანო, ქარფეხიანო!
ეს მთელი ერი,
ჩვენი ივერი
თქვენ შემოგყურებთ სიყვარულითა...
თქვენით ლამაზობს,
ლალობს, აღმასობს,
თქვენით ამყოფს სიყვარულითა.
რაინდნო ძველნო,
სამშობლოს მხსნელნო,
უთქვენოთ, ვაი, რა ვიქნებოდით!²

მეჭლისის გამგის ამ შეხვედრას დამსწრენი ერთხმად სიამოვნებით გაიზიარებენ და ერთხმადვე ასეთივე სიტყვებით შეამკობენ დიდ ჩინოსანთა და სარდლებს.

პოეტი, რათა მკითხველის სიფხიზლე გაამახვილოს, დარბაზში მდგომ ქანდაკებას წარმოათქმევინებს დიდ ჩინოსანთა და სარდლების მიმართ, რაც, რა თქმა უნდა, თვით პოეტის გულნატკენი აზრია: „მიზეზნო იმის (ე. ი. სამშობლოსი. — მ. ზ.), ოხვრა კენესის და გულის ძგერის“.

დიდ ჩინოსანნი და მხედარნიც ასეთ თაყვანისცემამდე მისულს

¹ ვ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 116.

² ი ქ ვ ე, გვ. 92.

პატივს მემდიდურად მიიღებენ, როგორც მათ მიერ ღირსეულად დამსახურებულს.

პოეტს უნდა მკითხველი მათთან უფრო ახლო მიიყვანოს. დაანახვოს მათი სიცარიელეც, მათი თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენის უსაფუძვლობაც, რომ მართლაც ისინი თავიანთ თავს სთვლიან ქვეყნის „მშვენებად, გონებად, ნებად“, „სამშობლოს მხსნელად“, რომ ცრუ ქედმაღლობით თავიანთ „მოდვაწივობას“ ისინი უსაფუძვლოდ სთვლიან „მიმართულს ქვეყნის სასარგებლოდ“, რაც მათ მეტად თვალსაჩინოდ სალი მკითხველის თვალში ყალბ, კომიკურ მდგომარეობაში აყენებს.

პოეტი ასე გადააშლევინებს მათ თავიანთ ზრახვებსა და ბუნებას. რაც მკვევრმეტყველურად დაადასტურებს ქანდაკების (თვით ავტორის) ამონაკენეს.

მოუხსმინოთ ერთ-ერთ სარდალს, რომელიც ყველას აზრს გამოსტყვამს:

ხოტბა-ქებისთვის დიდათა გმადლობთ,
გეიხარის ფრიად რომ ვართ თქვენ შორის,
სიმართლეს ბრძანებთ. დევ-გმირებს ებადლობთ
და ქვეყანაზე ცოტა ვეყავს სწორი.
ღიალაც რომ ვართ სამშობლოს მცველნი,
მისი ლალაც და თვალის აშხელნიც.
არ შეგვეშველა რომ დროზედ ხელი, —
არ დარჩებოდა დღეს მის სახელც!
ნიჟით საესენი — მერე რამდენით!
სწორედ რომ ღროზე დავიბაჟენით.
მაგრად და მედგრად, მძიმედ, არ ცხარედ,
მეშტით, ხან ხელის წასმითა თავზე
მიგვეკვდა მამა-პაპათა მხარე.
საკეთილდღეო. ქეშმარტ გზაზე!
ცულისთვის ეძრახათ, კარგს კი ვუწუნებთ.
ვუმზადებთ დღეებს ია-ვარდიანს
ამ მოკლე ხანში გამოვეგონებთ
ერთს უზარმაზარ ქუდს კაკარდიანს.
რომ საქართველოს თავს დავახუროთ.
მეტი სიღინჯე მით მიეცემა
ამგვარად გვინდა დაეუმსახუროთ
მას მეტი წონა, პატივისცემა¹.

აქ კოტე მაყაშვილი საკმარისი სიცხადით გვიხატავს სურვილს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის. რომელიც ქვეყნის წამყვა-

¹ კ. მაყაშვილი. „ემშაჟი საქართველოში“. გვ. 93—94.

ნი ძალის როლს ჩემულობდა, მიემართა ქართველი საზოგადოების მოქმედება „გაჩინოვნიკების გზით“, რომელსაც „ცარიზმის“ პოლიტიკა და მისი გამტარებელი ასე ვერაგულად ჰკვალავდნენ და რაც აფერხებდა და ამრუდებდა ქართული ეროვნულ-საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობათა და საშუალებებს.

ჩინოსანთა და სარდალთა დახატვით ჩვენი საზოგადოების ამ უარყოფით — მანენ მხარეებს რომ ურტყამს კოტე მაყაშვილი, ეს დამაჭერებლად ჩანს პოემის მთლიანი განვითარებით და შემდეგიდანაც: სარდლის ზემოაღნიშნულ მედიდურ გამოსვლას და დაპირებას დამსწრე სარდალთა მთლიანი კრებული აღტაცებით შეხვდება და ერთხმად კმაყოფილებით ასე შესძახებს:

ამაშია სიბრძნე მთელი:
ნუ ხარ შმაგი, ნუ ხარ ხელი,
სისწრაფისგან, ურჩობისგან,
სახეიროს ნურას ელი!

.....
მთმინება. მორჩილება,
კისერ-ზურგის მოქნილება
მოახერხე და იქნები
ბედნიერი რამ ქმნილება!¹

პოეტს უნდა გაამახვილოს ამ მედიდური გაჩინოვნიკებული ქართველი მოხელეების სახე, როგორც საღი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უღირსი და მიუღებელი ძალა, რადგანაც მათ მაღალი თანამდებობა მიღებული აქვთ მლიქვნელური და არაკეთილსინდისიერი საშუალებებით, რაც ეპოქის მოწინავე — მოაზროვნე საზოგადოებისათვის მიუღებლად, სამარცხვინოდ ითვლებოდა.

ამ მიზნით პოეტს სატირაში შემოჰყავს საიდუმლო მრჩეველები, დიდ თანამდებობათა ოლიმპზე მყოფნი, რომელნიც დაწინაურებულნი იყვნენ მონარქიულ-პოლიციური ხელისუფლების მიერ „მთმინება-მორჩილების, კისერ-ზურგის მოქნილების“ კარგი ცოდნითა და მოვალეობის აღებით ცდილობენ სხვა თანამემამულენიც გადაიბირონ და დააყენონ ამ ქვეყნის გამყიდველის, გაჩინოვნიკების, დაცემის გზაზე. ასე უყურებდა მაშინ „ჩინოვნიკის“ — მოხელის თანამდებობას მოწინავე მოაზროვნე საზოგადოება როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც.

საგულისხმოა, კოტე მაყაშვილის წერილი ეკ. გაბაშვილისადმი: „თქვენ მირჩევთ სახელმწიფო სამსახურში არ შევიდე, —

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 94.

წერს პოეტი, — ოხ, რომ იცოდეთ, როგორ მეჭავრება მე ეს სახელმწიფო ჩხირ-კედელაობა! ეს უსაფუძვლო დროს დაკარგვა, მოლჩაილობა, ყოველ სულელთან თავის დამცირება რუსის (ე. ი. რუსეთის ბიუროკრატიის—მ. ზ.), ჩინოვნიკის კაქარდის წინ!...“¹. ამიტომ, რომ კოტე მყაშვილს ასე მოურიდებლად, დაუნდობლად გამოჰყავს სააშკარაოზე ეს ბობოლა მოხელეები თავის ცრუ უპირატესობის შეგნებით.

აი როგორ რჩევა-დარიგებას აძლევს დამსწრეთ საიდუმლო მრჩეველი, რაც პოეტის რწმენით, პიროვნების სრული გათახსირება, დაცემა:

სადაც სჯობს — იყავი ყრუ,
თვალი ხშირად ახამხამე,
უნდა იყო ფლიდი და ცრუ,
დაუძახო დღესა — ღამე!
რომ დაგცინონ — გაიცინო,
უქო უფროსს საძაგლობა,
ხელი რომ გკრას, არ იწყინო,
მოახსენო მას მადლობა...²

მხოლოდ ასეთ პირობებში, გამოცდილებით მიღებული რწმენით. საიდუმლო მრჩეველი დამაჯერებლად შთააგონებს დამსწრეთ, სხვებიც შესძლებენ დაწინაურებას, მიიღებენ მრავლად ჩინსა და ორდენს და დაინახავენ მთავრობის „მდინარე წყალობა“ როგორ იღენს მათზე.

საიდუმლო მრჩეველის ეს აზრი დამსწრეთ კაკალ გულში მოხვდებათ, ისინიც უგზო-უკვლონი, უცოდინარნი, კარგის არაფრის მქონენი, მადააშლილნი, უნებისყოფონი აღვილად მიდიან ნაკლები წინააღმდეგობის, მორალური დათმობის გზით; ისინი არც კი გრძობენ არც წინააღმდეგობას და არც დათმობას, ამიტომ აღფრთოვანებულები არიან ასეთი სასარგებლო, სანეტარო ცხოვრების გზის ჩვენებით და ერთხმად მტკიცედ შესძახებენ:

სიამაყეს შეაფურთხე,
მოუძებნე სხვა რამ კუთხე,
ხშირად ტვლება უდრეკი ხე!
იყავ წნელი — გადაგგრიხონ.
შენც სხვა მარჯვედ გადაგრიხე³.

¹ საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5526—ბ—73.

² ე. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „შემაკი საქართველოში“, გვ. 94.

³ ი ქ ე ე, გვ. 94—95.

„მარჯვედ გადაგრების“ უნარს ეს ჩინოსანნი ხშირად და განსაკუთრებით შინაურების მიმართ უფრო მეტად იჩენდნენ ხოლმე. ასეთია არა მარტო ჩვენი პროგრესული ლიტერატურის, არამედ თვით ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების ისტორიის დამოწმება.

პოეტის გაგებითა და ჩვენებითაც, ამ ბობოლა. მოხელეებს — სარდლებსა და საიდუმლო მრჩეველებს აღნიშნული საშუალებებით გადიდრეკებულებს თანამდებობის, ჩინ-მედლებისა და ძალაუფლების მოპოვება თავბრუდახვევამდე აამაყებს. მათ, მართლაც, ჰგონიათ, რომ ეს „დიდება“, განცხრომა მათ გონიერებითა და ნიჭით აქვთ მიღებული. „ქვემძრომობას — ლაქიობას“ ისინი ბედნიერ ნიქად თვლიან.

ცხოვრებაში არსებული დიდი და პატარა, ბრძანება და მორჩილება, არსებული სოციალური იერარქია მათ ურყევ ქვემარტებად შიანიათ, და, მათი რწმენით, ასეც უნდა იყოს. ისინი ცდილობენ ეს „ისტორიულადაც“ კი დაასაბუთონ. მათი მტკიცებით, ღმერთმა „თვით ანგელოზნი დასებად დაჰყო. ვისაც ჰქონდა ბლომადა ტვინი, გამოარჩია და ჰყო სარდლადა, უბოძა დიდი ხარისხი, ჩინი“. ამირსპასალარის განცხადებით, ესე რომ არა ყოფილიყო, საშინელება, უწესობა, ანარქია იქნებოდა, „ცა ქვესკნელში ჩაინთქებოდა“. ამირსპასალარი ამას ამტკიცებს (ასეთივეა დიდ ჩინოსანთა აზრიც), რათა გაამართლოს თავისი ცხოვრების გზის სიმართლე — გონიერება, ამირსპასალარი მას თვითონ ასე განმარტავს:

ამას მე მხოლოდ იმისთვის ვამბობ,
რომ ჩავაგონო ზოგ ლაწირაკებს,
რომელნიც მხოლოდ მას აკეთებენ,
რომ კითხულობენ წითელ წიგნაკებს —
თუ რა ღრმა ფესვი გვიდგა წარსულში,
თუ რისთვისა ვართ და რას ვაკეთებთ,
თუ რისთვის ძალას და ძალადობას
ვემორჩილებით ჩვენ და ვაშეფებთ!..¹

აი ეს ხალხია, მწერლის ჩვენებით, რომ თავის თავს ერის, ქვეყნის „მარილად“, ბურჯადა და მხსნელადაც სთვლის, საქართველოს დაღუპვისაგან გადარჩენას თავიანთ გონიერებითა და გამჭრიახობით ხსნიან. ისინი დაუნდობლად ებრძვიან ყველა მათ, ვინც კითხულობს „წითელ წიგნაკებს“, ვინც არსებული წყობილების წინააღმდეგ იბრძვის. აქ კოტე მაყაშვილი გაკვრით „წითელ წიგნაკის“ მკითხველთ, როგორც დადებით მოვლენას, უპირისპირებს ამ უარყოფით ცრუ-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 95..

გაბერილ დიდ ჩინოსნებს. ესა და ამგვარი კონტრასტები სათანადოდ ამახვილებენ სატირის სიმკვეთრეს.

კოტე მაყაშვილმა რომ დაანახვოს მკითხველს ამ ჩინოსანთა მოქმედების არა მარტო სიცარიელე, უზნეობა, არამედ მათი უმსგავსო მოღვაწეობის გაბატონებული როლი ერის ცხოვრებაში, ერის ისტორიულ განვითარებაში, პოემის „ემმაკი საქართველოში“ გაშლას განაგრძობს კონტრასტების საშუალებით, რათა მკითხველს უფრო თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად აჩვენოს, ამ დიდ ჩინოსანთა ცხოვრების უხამსობა და უაზრობა, რომ ისინი არაფრის გამკეთებელნი არიან და ისინი პარაზიტებად რჩებიან, რომ ჩვენ ცხოვრებაში ვითარდება ის, რაც არ უნდა განვითარდეს და არაა სასურველი რომ განმტკიცდეს. ამ მექლისში ნახულმა და გაგონილმა ზანდარიც კი შეაძრწუნა. ის განცვიფრებული იქვე მდგომს მღუმარედ მოწმე ქანდაკებას მიმართავს, რას იტყვის ის აქ ნახულისა და გაგონილის შესახებ. ქანდაკებაც აღშფოთებით ამეტყველდება.

ვინაიდან აქ ქანდაკება პოეტი-მოქალაქის კოტე მაყაშვილის ძირითადი განწყობილების გამომხატველია, რამაც მგოსანს ეს პოემა „ემმაკი საქართველოში“ და სხვა სატირა და ელეგიები დააწერინა, ამიტომ ქანდაკების სიტყვებს ვრცლად მოვიყვანთ:

ძველო ღმერთებო, თვისნება და შედიდურებო,
ფუფუნებითა აღზრდილნო და გალაღებულნო,
სქელ კანიანნო, უმოქმედო უმადურებო,
ძველის რიხითა აღსავსენო — პირდაღებულნო,
განზე დადექით!... გზა მიეცით ახალს, მშვენიერს
ღმერთსა მამაცთა, უშიშართა, მხნესა და ძლიერს.
იგია ღმერთი ბრძოლისა და გამარჯვებისა,
შეუპოვარი, უდრეკი და ვით კლდე მაგარი.
იგი შვილია ხალხის ტანჯვის და მის შვებისა
და ერისავე გულში არის მისი ტაძარი...
გზა, გზა მიეცით, ძველნო ღმერთნო, ახალს, მშვენიერს,
ღმერთსა დაჩაგრულთ, ღმერთსა მებრძოლთ, მრისხანეს, ძლიერს!...
თქვენ შეგვაჩვიეთ თვალთმაქცობას და ანგარებას,
პირმოთნეობას, ქედის მოხრასა, ყურმოჭრილ ყმობას.
მტრისგან ვითხოვდით მოწყალებას და დახმარებას
ჩუმიად ვიტანდით დამცირებას, მამების გმობას,
ახლა კი ემარა. აღარა გეწამს თქვენი არარა,
ხელმძღვანელობამ თქვენმა ტკბილმა ჩვენ გავვაწამა!
ნუ გვაშინებთ მუქარებით, ლანძღვით, კიცხვითა,
ნუ დაგვხარბარებთ, ბრწყინვალენო, მალალ ტახტიდან.
ამირანივით ერის ღმერთი, სავეს რისხვითა,
ძირს ჩამოგაგდებთ თავდაყირა თავის დასტითა!

ვერ შეუღობავთ, ძველნი ღმერთნი, გზას მხნესა, ძლიერს,
ჩვენ სულის ძალას — ახალს ღმერთსა, ნორჩს და მშვენიერს¹.

ბოზობლა ჩინოსანნი და ერთობ მეჭლისში დამსწრე საზოგადოება განრისხდებიან ქანდაკების ასეთი სამართლიანი, გაბედული მხილებით და ბედნიერი მომავლის საზვიამო აღთქმით. მოითხოვენ ქანდაკების მეჭლისიდან, როგორც მეტი ბარგის, დაუყოვნებლივ გატანას. გამგე ცდილობს სწრაფად შეასრულოს მოთხოვნილება, ქანდაკება გაიტანოს. წააუღებს ხელს, მაგრამ მას ძერას ვერ უზამს, გენერლები და ჩინოსნებიც შეეცდებიან, მაგრამ ისინიც მას ვერა სძრავენ. ყველა სახტად რჩება.

ისმის ზანდარისა და იატაკქვეშეთიდან საზარელი ხარხარი. კოტე მყაჟვილის გაგებითა და ჩვენებითაც, ქვეშეთიდან ხარხარი რომ ისმის, მაჩვენებელია რევოლუციური პროცესის მომწიფებისა ქვეყნის შიგნით. პოეტი კარგად გრძნობს, რომ ქვეყნის შიგნით ფრიად მნიშვნელოვანი შინაგანი მუშაობა მიმდინარეობს, გაჩნდნენ ქვეშეთის, ე. ი. იატაკქვეშე მოქმედი ცოცხალი ძალები, რომლებიც დულან და შფოთავენ აშკარა გადაწყვეტილებით აღმოხეთქონ. პოეტი მიუთითებს სერიოზულად ჩაუფიქრდნენ ამ მძლავრ ქვეშეთის გრგვინვას, სიმართლისათვის აქუხებული ხალხის ამ რისხვას. ეს საზარელი მწვავე ტკივილებით აღსავსე ხარხარი შევიწროებული ხალხისა და მათთან თვით პოეტის დასერილი, დასევდიანებული გულიდან ამონახეთქია დასათრგუნად ძველი, თვითნება და მედიდური ღმერთების, ფუფუნებაში აღზრდილთა, გალაღებულთა, სქელ კანთანა და უმადურთა ცხოვრებისა.

პოეტს უნდა ეს ლეიტმოტივი სატირისა „ეშმაკი საქართველოში“ მძლავრად შთააგონოს მკითხველთ. ამიტომაც ასე ხაზგასმული ქანდაკების ამბოხება და დამსწრეთ დამოკიდებულება მისდამი.

* * *

ზანდარმა მიიღო ქართველი თავადაზნაურობის თავისი ნაირ-ნაირი შინაფენებით ცხოვრების საკმარისად სავალალო, გადაგვარების ცოცხალი სურათი. ამით ის არ კმაყოფილდება. მას უნდა ქართველი ხალხის ცხოვრების მამოძრავებელი სხვა ძალებიც გაიცნოს.

ბრუგადისავე შემწეობით, ის მოხვდება სამღვდლოების წრეში, მამა ესტატეს ბინაზე, სადაც სუფრაა გაშლილი, ნიშნად იმისა, რომ

¹ კ. მყაჟვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 98—99.

მამა ესტატეს „უფროსის გულის ციხის თავდაბლობით“ აღებით მიუღია სკუფია.

სატირაში საკმარისი მუქი ფერებითაა მოცემული სამღვდელოების ზოოლოგიური ცხოვრებისადმი მისწრაფება, საშუალებებში განურჩევლობა, ანგარიანობა, ზნედაცემულობა. პოეტის ჩვენებით, რა თქმა უნდა, არც ესენი შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებასა და მოვალეობას.

მღვდლები გაშლილ მსუქან სუფრას შემოუსხდებიან. დეკანოზი ეგნატე ჩვეულებისამებრ სუფრას აკურთხებს და გამოსთქვამს ანგარიანი და დიდი მადით ცნობილი სამღვდელოებისათვის დამახასიათებელ მამოძრავებელ სურვილებს:

მამაო ჩვენო,
ქვეყნის გამჩენო,
კურთხეულ იყოს შენი სახელი!
.
მოხარშულები,
მოხარაკულები,
თეთრი და წითელ ღვინისა ღვარი,
ფლავი, ბოზბაში,
გოჭი, ხბო, ხაში
გემირაკლე ფრიად, ჰყავ უღვეველი,
მოგვეცი ჩენა
შვება და ლხენა,
სახსე ჰყავ ჩენი დიდი მუცელი!
ესტატე მღვდელსა,
ჩენს მასპინძელსა,
მიეც მხნეობა და დღეგრძელობა,
აწვიმე მასზე,
მის წმინდა თავზე
შენი სიუხვე, შენი ქველობა!
რომ სიხარული
ღვთის სიყვარული
უკუნისამდე არ მოეშალოს,
და ჩვენ ღვდელთათვის,
ჩაქულის მცველთათვის
ამგვარი სუფრა მუდამ ეშალოს!

უფრო რომ გააძლიეროს გადაგვარებული, მხოლოდ სტომაქზე მზრუნველი სამღვდელოების ცოცხალი სურათი, პოეტი მათ ერთხმად ააზრალებს დეკანოზი ეგნატეს უკანასკნელი სიტყვების გამეორებით:

¹ იქვე, გვ. 100—101.

და ჩვენ ღვდელთათვის,
სჯულის მცველთათვის
ამგვარი სუფრა მუდამ ეშალოს!

ასეთია პოეტის დახატვით, მადააშლილი, ზნეობრივად დაქვეითებისა და განურჩევლობის გზით მოსიარულე ქართველი სამღვდლოებაც. მათაც კულტად გადუქცევიათ მხოლოდ კუქი — ქეიფი ტოლუმბაშითა და ჯამ-ყანწებით, უზრუნველი დროსტარება და უგზო-უკვლო გზით სიარული, როგორც ეს დამახასიათებელი იყო დარღვეული თავადაზნაურობისათვის.

ტოლუმბაშობაში სახელგანთქმული მამა ხარლამპი, მასპინძლისაგან დახასიათებული, როგორც არქიელისაგან წარჩინებული მღვდელი, „კამილაკისა ღირსად ცნობილი“, ერთხმად არჩეულია ქეიფის ხელმძღვანელად. მამა ხარლამპი ასეთი უდარდელი შესაფერი დამახასიათებელი მოწოდებით იწყებს თავის მოვალეობის აღსრულებას:

იპ. ეენაცვალე ამ გოქის
ისე მშვენიერად მომხარშავს,
ქება-დიდება ნიორსაც,
მადის გამომწვევს და ამშულეს.
აბა დავიწყით სმა ჯამით
ქართულად, ძველებურად,
ეყლაპოთ, რაც ჩასაყლაპია
როგორც წესია ღვდლურად!²

კოტე მაყაშვილი ყველგან განსაკუთრებული სიმძაფრით ხატავს მოცემული პორტრეტების ტიპიურ თვისებებს — მათ სულიერ და ფიზიკურ გაშიშვლებულ პრიმიტიულობას, რაც მათ აძლევს მკვეთრ სოციალურ დასაბუთებას და, რაც მთავარია, ავლენს განსახიერებულ ხასიათთა პოლიტიკურ არსს.

კოტე მაყაშვილის პორტრეტის დახატვის ხერხებია: მოქმედ პირთა გროტესკული, ცხოველური და ატავისტური თვისებებით მოცემა. მართალია, ამ თვისებებით პორტრეტების განსახიერება ხასიათდება სატირული ჰიპერბოლიზაციით, მაგრამ სწორედ ეს ხერხი აძლიერებს მათ რეალურობას, უფრო ღრმად და მკვეთრად ამიშვლებს მათ კლასობრივ ბუნებას.

ეს სტილიური ნიშანი კოტე მაყაშვილის შემოქმედებისათვის

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 101.

² იქვე, გვ. 103.

დამახასიათებელია როგორც სამღვდელთა, ისე სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ სხვა სოციალური ფენების მოცემისასაც.

იწყება ცხოველ ფერებში საღვთობები, აღრევა, რაც მშვენივრად ავლენს ყოველ მათგანს ცალკე და ყველას ერთად. თუ რა ფასი აქვს მათ საღვთობებს, მწერალი არ ივიწყებს ამას მძლავრად გაუსვას ხაზი. ამას ის, სხვათა შორის, მოხდენილად გამოხატავს ბრუგადის პირითაც. ბრუგადე თავისი ხელოვნურად აწეული სიტყვით, მშვენივრად, ალბათ, უნებლიედ, თვითგამათრახებლად ახდენს, მაგრამ განზრახ ალგორითულად სამღვდელთა მადლად ურტყამს. შეზარხოშებული თამადა მამა ხარლამპე ვერ მიუხვდება დაცივნას, პირიქით, ბრუგადის სიტყვებით ალტაცებაში მოდის, რომ დიდად აქო და ასიამოვნა ისინი. ბრუგადე ცბიერებით თამადას მადლობას გადაუხდის, დაბლა თავს დაუკრავს და თავისთვის კი ჩაილაპარაკებს:

გამიმაჰინძღენ ოლონდ ვაშმებთ
და თუნდა ყველას გავხეთქე ქებით,
რა მეხარება?!¹

აი ტიპიური დამახასიათებელი კიდევ ერთი ხაზი ამ წრის საზოგადოებისათვის: ქეიფისათვის ყველაფერს იკადრებს, ყველაფერს გააკეთებს.

კოტე მაყაშვილი დიდი ოსტატობით ხდის ფარდას ამ „წმინდა მამების“ ცხოვრებასაც, გვაჩვენებს, რა საშუალებებით ქმნიან ისინი თავიანთ კმაყოფილ ცხოვრებას.

კოტე მაყაშვილი, გვაძლევს რა განმარტებას, რა მასალით სარგებლობდა პოემის დაწერისას, წერს: „სასულიერო წოდების უმრავლესობასაც მოჰკიდებია გადაგვარების მაკინიხელი ჟანგი: უვიცობა, სიხარბე, ანგარება, ერთი სიტყვით, შვიდჯერ შვიდი მამაკვდინებელი ცოდვა ცისა და მიწის ამ შემეერთებელთ გამძღარი ჰქონდათ ძვალსა და რბილში, გონებასა და სულში“².

საზოგადოების ეს ნაწილიც, პოეტის გაგებით, ისეთივე თვისებებითაა აღჭურვილი, როგორც ზემოთ დასურათებული დეგრადაციუქმნილი თავადაზნაურობა. ამიტომ მათ ცხოვრებასაც და ცხოვრების მოპოვების საშუალებებსაც პოეტი მოურიდებლად, გამახვილებულად, საკმარის რეალურ ფერებში გაშლის ქეიფის დროს მათ მიერ წარმოთქმული საღვთობების მეოხებით, რომლებშიც სამღვდელთა მისწრაფებანია მაღალი და თბილი თანამდებობის

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 107.

² იქვე, გვ. 12.

მიღება. უფროსის—ბიუროკრატიული მმართველობის წინაშე ქედის ადვილი მოხრა, მლიქვნელობა, პირადი კეთილდღეობის მიღების მეზნით სიმუნჯე და სიყრუე.

ტიპიურია საღვებრძელო მამა იოილესი დეკანოზ ეგნატე-სადმი:

დეკანოზო ეგნატე!
ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს,
ჩვენც გვასწავლე, თუ როგორ
უნდა ღვდელმა იცოცოს
სამსახურის საქმეში
რომ წინ ხტომით წავიდეს,
• რომ მწვერვალზედ კისკასად
უბორძიოდ ავიდეს!

კოტე მაცაშვილის ჩვენებით, მარტო ასეთი ლაქიობა და ანგა-რიშიანობა არ ახასიათებს სამღვდელოებას, რომელიც სახელმწი-ფოებრივ ცხოვრებაში საგრძნობ როლს თამაშობდა და „საპატიო“ ადგილიც ჰქონდა მოპოვებული. კოტე მაცაშვილი თვალსაჩინოდ გვიხატავს, რომ სამღვდელოებას ეს „საპატიო“ მდგომარეობა იმ-დროინდელ მონარქიულ-პოლიტიკურ წესწყობილებაში „დამსახუ-რებით“ ჰქონდა მიღებული: მისი მსუქანი, მლიქვნელი ბუნება სა-შუალებებს არ ერიდებოდა, ის ზნეობრივად განურჩეველია, ყველა უმსგავსოებას კადრულობს თავისი მდაბალი გრძნობებისა და მის-წრაფებათა დასაკმაყოფილებლად.

სამღვდელოების ნადიმზე, როგორც აღვნიშნეთ, უცხო პიროვ-ნება ზანდარი პატრის სახით ბრუგაძის დახმარებით მოხვდება. მამა იოილე ექვის თვალით შეჰხედავს ზანდარს, როგორც უცხოს. შე-ფიქრიანებული მამა ხარლამპის წასჩურჩულებს — ჯაშუში ხომ არაა მათთან შეპარული, ხომ არ უნდა მათი გაბრიყვება ან მახის და-გემა, რაზედაც ის აუღელვებლად უპასუხებს იოილეს:

და რა იქნება აქ საკვირველი!
პატრი ხომ არის იგივე მღვდელი
და ჩვენ ასს მღვდელში ოთხმოცდაათი
არის ორპირი და მუხანათი!
მაგრამ ამისთვის თავი რად გტყვივა?
ჭერ ერთი იგი ჩვენ ვერ დაგვათრობს,
დაბეზლებზე თუ საქმე მივა,
ამასაც, ძმაო, ჩვენ ვერ დაგვასწრობს!

1 კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 107..

„წმინდა მამანი“ ვნებიანობაში, დედათა ტრფიალებაშიც არ ჩამორჩებიან ერის კაცთ. ხშირად ესენი ქალებისადმი დამოკიდებულებაში უფრო ავხორცნი, ყოველ საზღვარგადაცილებულნი არიან. მამა ფილიპე სრულიად ჰკარგავს წონასწორობას, სრულიად გაიშისვლებს თავს (ამით სამღვდლოებასაც) ზანდარის წაქეზებით გაღიზიანებული, რომ პატრები უფრო უკეთესად ქეიფობენ, ისე რომ „თვით ბახუსს შურით უკვდება სული“, რომ მათ ნადიმზე „სუფევს თავისუფლება და სიყვარული“, რომ ისინი „ლამაზ გოგონებს, შუქურ ვარსკვლავებს, ევას ძველებურ მორთულებაში“ ეხვევიან და მათთან ერთად მთელი ღამე ერთ ყოფაში არიან.

მამა ფილიპე ბრიყველი გულუბრყვილობით, დანაშაულის შეუცნობლად ამელავენებს, რომ ამ მხრივაც არც ისინი ჩამორჩებიან პატრებს, შეიძლება აპარბებენ კიდევ და შექეიფებული ყველას გასაგონად ასე გააცნობს ზანდარს თავის საქციელს ამ მიმართულებითაც:

ქალებისა მოაშეყდ
მეც კი მიგულეთ!
თუ საყდარში სალოცაეად
შემოვიდა ქალი,
გინდ ქმრიანი, გინდა უქმრო,
ვამ მისი ბრალი!
ჰა, ჰ, ჰა, ჰა გაგივიკრდა?
ვფიცავ მალალ ღმერთსა.
აღსარებად მოსულ ქალსა
არ უშვებ არც ურთსა!

შეზარხოშებულ მდგომარეობაში მყოფი მღვდლები, ერთმანეთში, თითქოს, შეჯიბრი გამოუცხადებიათო, წამოჰყაჰავენ თავიანთ „საგმირო“ საქმეებს. პოემაში მათი მრავალი უარყოფითი თვისებაა მძაფრად გამოვლინებული. გარდა ზემოაღნიშნულ სამარცხვინო, შეუფერებელი ნაკლისა და საერთო ცნობილი სიხარბისა — დრამის ფული იქნება, სხვადასხვა სახის ტაბლა, დამარხვა თუ პანაშვიდი და სხვა. მღვდლები სხვა არასაკადრის, დაუშვებელ საქციელსაც მიმართავენ — ხალხს სხვა გზითაც უსინდისოდ ჰყვლეფენ, რათა პირადი კეთილდღეობა შეიქმნან: მამა ილარიონი ზანდარს უჩუროჩულებს, რომ მას წინათ ჰქონდა ასი, ახლა კი მას აქვს ათასი, თავისითანხა. მან გაადიდა სულ ორ წელიწადში. ზანდარის გაკვირვებაზე, რომ ილარიონი მოხერხებული კაცი ყოფილა, ის თავმოწონებით და ცინიკურად ასე აუხსნის ამ გამდიდრების საშუალებას.

1 კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „უშმაკი საქართველოში“, გვ. 110.

გავასესხე ჩემი ფული
ერთს მშვენიერ დღეში,
და გავაბი მთელი მრევლი
მე ობობას ქსელში.
თუმანზედა ორსა თუმანს
ვიღებ სარგებელში.
ვიგირავებ უძრავ-მოძრავ
ქონებასაც ხშირად.
გლესკაცობას მოვევლინე
ხეთის რისხვად და ჭირად.
ვით წურბელა, მივეკარი
მე სოფელელის ღიპსა,
ვეწოვ სისხლსა მალიანად
უვიცსა და ბრიყვსა!¹

მღვდლების ასეთი საქციელი შეუთავსებელი და შეურიგებელი საქმიანობაა. მღვდელმსახურება და მეევანშეობა ზანდარსაც კი მიუღებლად მიაჩნია. პოეტიც ჰკიცხავს მთელი თავისი აღშფოთებით მამათა ასეთ დაკნინებას.

მაგრამ პოეტი არც ამით კმაყოფილდება. მას სურს არაფერი არ დაფაროს, ნამდვილი მათი დაქვეითებული სახე რაც შეიძლება ნათელი გახადოს. ამიტომ ის მათ დახასიათებას უფრო აღრმავეებს.

მამა საბა ზანდარს ჩუმად ეკითხება, გაარკვიოს ის „ქრისტე მართლა ღმერთი არის, როგორც ნაწერ-ნათქვამია?“ მეტად მწარეა პოეტის არა თუ მოგონილი დაცინვა: თვითონ მღვდლებს არა სწამთ, ვისი (ქრისტესი)და რისიც (ქრისტიანობის) სახელით რომ მოძღვრობენ. ზანდარის გაკვირვებით შეკითხვაზე „რათ ხარ მღვდელი?...“ მამა საბა ურცხვად, ლაკონიურად ასე უპასუხებს: „კუჭი კვებას ითხოვს“².

აი სადამდეა დასული მღვდლების გახრწნა! და აქ არ გეგონოთ გადაჭარბებას ჰქონდეს ადგილი. მრავალი მღვდლის ასეთი ბუნება ახალმა ეპოქამ მეტად თვალსაჩინოდ გამოააშკარავა.

კოტე მაყაშვილი უფრო შორს მიდის: მღვდლებისათვის დიდი ჭირიც კი, ხალხს რომ დაუნდობლად სცელავს, როგორც ექიმებსაც (პოეტი უკანასკნელთაც გადაჰკრავს მათრახს) სასიხარულოდაც კი მიაჩნიათ. ეს მათ შემოსავალს აძლევს.

რათა სამღვდლოების უიდეობა, სიყალბე სავსებით გააშიშვლოს, კოტე მაყაშვილს ყურადღებიდან არ გამოჰპარვია სამღვდე-

¹ კ. მაყაშვილი. „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 112.

² იქვე, გვ. 113.

ლოების ამოქმედება 1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით გამო-
წვეული.

ცნობილია, აღნიშნულ პირობებში ქართველმა სამღვდელოებამ
მოიწადინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რა თქმა
უნდა, იყვნენ (ალბათ, პოეტის სამართლიანი გაგებით, მეტად მცირე)
პირნი, რომელნიც შეგნებულად ამტკიცებდნენ ავტოკეფალიის სა-
მართლიანობასაც და საჭიროებასაც, იბრძოდნენ კიდევ ამისათვის,
მაგრამ სამღვდელოების დიდი უმრავლესობა, აღნიშნული თვისებე-
ბით რომ ხასიათდებოდა, ვერ გამოიჩინდა სათანადო სიმტკიცეს.
კუჭის მონა, მცოცავი სამღვდელოების დიდი უმრავლესობა (რო-
გორც დახატულია სატირაში „ეშმაკი საქართველოში“), ბუნებრივია,
ყველა საშუალებით ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი „კმაყოფი-
ლი“ მდგომარეობა, ამიტომ მისი დაკარგვა მას შიშს ჰგვრიდა. ასე-
თი მონური შიშით ჰყავს ისინი დახატული კოტე მაყაშვილს. შიში,
გაუბედაობა, ზურგს უკან, ჩუმაღ კუნჭულში საიდუმლოდ ლაპარაკი
დამახასიათებელი იყო მათთვის. რალაც მწვავე დაცინვად ისმის
მიმართვა მამა სპირიდონისა, რომელსაც უნდა წმიდა მამებს
ამცნოს ორიოდ სიტყვა, თანაც სთხოვს „მეგობრულად, მისი ნათ-
ქვამი არ გაამკლავნონ“ და არსადა თქვან. მოუესმინოთ მას:

ჩვენ, საქართველოს სამღვდელოებს,
მოგიძღვის დიდი დამსახურება
ერის წინაშე, იმის წინსვლაში,
სარწმუნოების განდიდებაში,
ეროვნულ გრძნობის გაღვივებაში,
განმტკიცებაში და სხვადასხვაში!¹

მამა სპირიდონი გულისწყრომას გამოსთქვამს, რომ ეს დამსა-
ხურება არ დაუფასა ახლანდელმა ხელისუფლებამ და ქართველი სა-
მღვდელოება ჩააგდო გაქირვებაში. ის დამსწრე მღვდლებს აღშფო-
თებით გაახსენებს:

როგორ გვღვენინან. გვართმევენ საყდრებს,
გვიკრძალებენ წირვას ღვღვენაზე:
სისტემა მათი მმართველობისა
აგებულა ღვენა-კბენაზე!
უნდა შევეუდგეთ ჩვენ თავის დაცვას,
და გაბედულად ეს უნდა ითქვას:
ავტო... კმ... ავტო... ესტატე! ნახე.
კარების უკან ხომ არაეინ სღვას?!¹

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 115.

და სანამ მამა სპირიდონი შესძლებს გამოთქვას, რით უნდა დავიცვათ თავი და ამისათვის რაა საჭირო, თვითონაც შეშინებული აქეთ-იქით იყურება, სხვათაც ავალებს კარგად გასინჯონ, ხომ არავინაა კარებს უკან ან საღმე ახლოს. როცა ის დარწმუნდება, რომ არავინ არ არის, გაქირვებით, „სხაპა-სხუპით“ იტყვის:

ჩვენ გვიშველის, ჩვენ გვიშველის
მარტო ავტოკეფალია!¹.

შეზარხოშებული დამსწრე მღვდლები კმაყოფილებით შესძახებენ: „ნანატრ ავტოკეფალიას გაუმარჯოს... ურაა!“ დაიწყებენ სინოდის, ობერ პროკურორის, არქიელის აუგით მოხსენებას. ერთხმად მოითხოვენ კათალიკოსს, „ჩვენგან არჩეულს“. მაგრამ საქმარისია კარებში გამოჩნდეს არქიელის სამოსელით ზანდარი მათრახით ხელში, რომ ყველამ უმალ შესცვალოს კილო. მამა ხარლამპემ პირველმა დაიწყო არქიელის მისასალმებელი საგალობელი „ისპოლაეტი“ და უმალ ყველანი შეუერთდნენ მას და იწყეს გალობა. ამასთან ყველა ცდილობს მლიქვნელობით, თავის დამცირებით, თავი გაიმართლოს, სხვას გადააბრალოს, სხვა დააბეზლოს. შიშისგან ყველანი ზანდარის წინაშე პირქვე დაემხობიან „ისპოლას“ გალობით.

კოტე მაყაშვილი, გასაგებია, სარგებლობს ცნობილი ისტორიული ფაქტით, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო რევოლუციური აღმავლობით შეშინებულმა, თუ წაქეზებულმა სამღვდელოებამ თავის ყრილობაზე მოითხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო მთავრობამ მათ იქვე ყრილობის დარბაზშივე ყაზახების მწვავე მათრახებით უპასუხა, რის შედეგადაც სამღვდელოებამ ქედი ადვილად მოიხარა.

ასეთი გაშიშვლებული სახითაა პოემაში წარმოდგენილი ქართველი სამღვდელოება, რა თქმა უნდა, იმისი დიდი უმრავლესობა.

* * *

კოტე მაყაშვილს უნდა შეძლებისდაგვარად ქართველი საზოგადოების მთლიანი სახე წარმოუდგინოს მკითხველს. ამ მიზნით ის ახალი თაობის, ინტელიგენციის საქმიანობასაც ხდის ფარდას.

ზანდარი განაგრძობს საქართველოს ცხოვრების გაცნობას ბრუგაძის დახმარებით. ბრუგაძეს ზანდარი მიჰყავს დიდ დარბაზში, სა-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 115—116.

დაც შეკრებილან ქართველნი — ჭკვიანნი, ნასწავლნი, ქვეყნის მხსნე-
ლად რომ მოაქვთ თავი. ესენი ჯგუფ-ჯგუფად (ე. ი. მიმართულების
სხვადასხვაობის მიხედვით) დაყოფილან. ავტორის ჩვენებით, ქართ-
ველი საზოგადოების ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, ბევრად მაღლა დგას
წინა თავებში ნაჩვენებ სოციალურ ფენებზე, გაცილებით შეგნებუ-
ლიცაა, ქვეყნის ტკივილებიც თითქოს უგრძნია კიდევ, თითქოს თავისი
მოქმედების საჭირობორტო საკითხებ-დაც გადაუქცევია, მაგრამ
ეს ნაწილიც არ არის ღირსეული ბურჯი ქვეყნისა.

მართალია, ესენიც ჩემულობენ ღირსეულ მამულიშვილობას,
მაგრამ ესენიც ზერელენი, ფუქსავატნი და უნიადაგონი არიან. ბევრ
მათგანს სწავლულად, დიდ და მტკიცე კაცად, პარტიის წევრად მო-
აქვს თავი, ზოგიერთ მათგანს, მართლაც ორი თუ სამი ფაქულტეტიც
აქვს გათავებული, მაგალითად, ფ ი ნ ა ძ ე ს, მაგრამ მათ არც შეც-
ნიერებისა და არც რწმენისა და არც პარტიული დისციპლინისა და
მოვალეობისა არაფერი გაეგებათ.

ზოგი მათგანი, თითქოს, დაინტერესებულიცაა ქვეყნის — სამ-
შობლოს სავალალო მდგომარეობით. მისი პოლიტიკურად შევიწ-
როებული მდგომარეობა მათ აღონებს, მაგალითად, ლ ი დ ე რ ს,
მამულიშვილთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სხვ.

ლიდერს სინამდვილით ფრთაშეკვეცილი ქვეყნის მდგომარეობა
აწუხებს, აფიქრებს, უკმაყოფილებით აესებს. მისი განცდით, თით-
ქოს, ქვეყნისა და მასთან ქართველი საზოგადოების „ყოფნა არყო-
ფნის“ საკითხი დგას. ის მღელვარებით, სევდიანი მიმართავს თანა-
მოაზროვნეებს:

რანი ვიყავით? ეხლა ვართ რანი?
შეგვიკრეს ფეხი, შემოგვიკრეს ფრთანი,
აგვიწიოკეს სამშობლო მხარე!
მთლად გადავგვარდით.. დავიღუპენით.
შეპყრობილნი ვართ უკურნავ სენით
ითხრება, ვაი, ჩვენთვის სამარე!

ლიდერის ჩივილს მოჰყვება საერთო ქვეითი. საერთო გოდება-
ში თავისსა და ქვეყნის უიმედო მდგომარეობას ჩ ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი
ტკივილითა და მოთქმით ასე გამოჰხატავს: „რა დრო დადგა, ეკლის
გვირგვინი თავს ვინ დაგვადგა?! აწმყოს წარსულის აჩრდილნი
ჰგლოვენ...“¹.

ასევე მოსთქვამს ქვეყნის უიღბლობას მამულიშვილთა ჯგუფის
თავმჯდომარე. ის ცრემლიანი მოუწოდებს თანამოაზროვნეთ —

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „უშავი საქართველოში“, გვ. 123.

„ვისხდეთ და ცრემლი ვაფრქვეით მწარე“, რადგანაც „აწმყო არ გვწყალობს და მომავალი ჯანყით, ბურუსით შებურვილია“, რადგანაც „ლომ-ბუმბერაზთა შთამომავალი ძლივს შესამჩნევი მწერი რწყილია“. უიმედო, უმოქმედო, უუნარო თავმჯდომარე მოუწოდებს მამულიშვილებს — თავის თანამოაზროვნეებს:

პირი ვიბრუნოთ... შორეულ წარსულს
კვლავ ჩავეხუტოთ მკერდში დიდებულს,
კვლავ დაეუბრუნდეთ უკვე დამარხულს,
ვაი, კვალ წაშლილს და დავიწყებულს.¹

კოტე მაყაშვილი დამაჯერებელი რეალური ფერებით გვიხატავს ამ „ნასწავლი, კკვიანი“ თაობის, მამულიშვილებად რომ მოაქვთ თავი, უნიადაგობას, უქნარობას, რაც ახასიათებდა ქართველი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს. ესენი, პოეტის გაგებით, ვერ უღებენ და არც უნდათ აუღონ ალლო ახალი ცხოვრების პირობებს, მის მოთხოვნილებებს, ისინი ცხოვრებას ჩამორჩნენ, მათ ვერ გაუგიათ, რომ ძველის, წარსულის დიდებით, წინაპართა დამსახურებით ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ ახლა საჭიროა პირადი ნიჭის, უნარის, გამჭირაობის მოქმედების გამოჩენა; საჭიროა მტკიცე შეგნება, რომ ჩვენვე უნდა გამოვსტყედოთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენვე უნდა გავსწავლოთ ჩვენი ცხოვრების გზააბნეულობა, დაქვეითება; რომ ახლა საჭიროა არა ძველი გზა, არამედ ახალი, რაც ასე მკვეთრად გადმოსძახა ქართველობას დიდმა ილ. ჰავჭავაძემ 60-იანი წლების უღელტეხილზე:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალის დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდითო ახლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...²

ამისათვის კი საჭირო იყო იმედინად მომავლისაკენ ცქერა, განმტკიცება შრომის უნარისა, სერიოზული ცოდნის მიღება, გარემოზე დაკვირვება, საერთო-საქვეყნო სასარგებლო საქმიანობაში გატაცებით ჩაბმა და არა ზერელე ფანტასტიკური ოცნება, უნიადაგოდ ყოფნა და ფარფატი ცხოვრების ზედპირზე, ტირილი, გოდება წარსულზე, ერისა და თავის თავის განდიდება წინაპართა დიადი წარ-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 124.

² ილ. ჰავჭავაძე, „ქართველის დედა“. ტ. 1, გვ. 8.

სულით, როგორც ეს ახასიათებს სატირის გმირებს: ქ ა ფ ქ ი რ ა - შ ვ ი ლ ს, ც უ ც ა ს, ჩ ი ტ ო ს. ესენიც უილაჯონი, უცოდინარნი ნაკლები წინააღმდეგობის გზით ამჯობინებენ სიარულს. ძველის დიდება, საარაკო მამულიშვილური საქმიანობა წინაპართა მათ. ჰხიბლავს და მოხიბლულნი, თავბრუდახვეულნი დიადი წარსულით, სიამაყით იესებიან. მაგრამ ამ წარსულის გამოყენება, წარსულის კარგი მხარეების გარღვევა, მისი შესწავლა და დაცვა მათ სრულ-ებით არ აფიქრებთ. აი რა უნდა და რას ამბობს კიდევ ავტორი მათი შეხედულებების მოცემით.

პოეტის ჩვენებით, არ გვიშველის და მანებელიც არის განურჩევლად დაბლაუჭება ძველისა, როგორც ეს ახასიათებს კ ი ნ კ რ ი - ხ ა შ ვ ი ლ ს, რომელიც საშობლოს დაღუპვას იმით ხსნის, რომ „ჩოხის ნაცვლად ფარაჯა და პიჯაკები ჩავეცვათ“. ასეთი პატრიოტობა არავის ესაჭიროება; ეს კრეტინობის ნიშანია. აგრეთვე მანებელია, დამლუპველია ყოველი ახალის წინააღმდეგობა, არმილება, როგორც ეს ახასიათებთ ქ ა ი ზ ო ს რ ო ს, გ უ ჯ რ ი ძ ე ს და სხვათა.

მათი სახით კოტე მაყაშვილი გვიხატავს ცრუ პატრიოტებს, რეტროგრადებს, რომელთაც დაკარგეს წიდაგი, დაკარგეს უნარი გარემო ცხოვრების გაგებისა, დაკარგეს უნარი სერიოზული, აზრიანი მოქმედებისა.

ინტელიგენციის ამ წრის ნახვითაც ზანდარი შეძრწუნდება, „ძმაო, ვიხრჩობი... გავიდეთ ან გადავიდეთ“ — შესძახებს ის ბრუგაძეს, რომელიც ურჩევს სრულებით წავიდნენ. მაგრამ ზანდარს ეშინიან, რომ მარჯვე დროს და ადგილს ის ველარ შეარჩევს. ის პრაქტიკული კაცია, მისი პროფესიაც მას დაუინებთ ასწავლის, რომ მდგომარეობით კაცმა უნდა ისარგებლოს, მომენტი ხელიდან არ გაუშვას, სათანადო სისრულით გამოიყენოს. ამიტომ არ დაეთანხმება ბრუგაძეს და გადავლენ დარბაზის სხვა კუთხეში, სადაც დადიან გამოურკვეველნი.

ამ ჯგუფსაც ზერელობა ახასიათებს. არაფერი საფუძვლიანი, ღირსეული მათ არა აქვთ. ფიქრები, ზრახვები, მისწრაფებანი, გრძობები მათში ერთიმეორეს არაჩვეულებრივი სიმსუბუქითა და სისწრაფით სცვლის. მრავალსიტყვიანობა აზრის სიმჩატე ავსებს მათ ცხოვრებას, მაგალითად, როგორიცაა ქ ა რ ი ა ნ ი, რომელიც, არ იცი, კმაყოფილებით თუ მწუხარებით შემდეგნაირად ახასიათებს თავის თავს:

მილიონი აზრი
თავში მიტრიალებს!

ენა თავისუფლად
პირში დასრიალებს.
მილიარდი სიტყვა
ჰაერს ამოდრავებს...
მაგრამ მაინც... მაინც
რა ვარ მე და ვინა?
მარჯვნივ ვარ თუ მარცხნივ?
უკან?... იქნებ წინა?!

ასეთივეა ჩ ა ს ტ უ დ ე ნ ტ ა რ ი ც, რომელსაც ჭკუა ამძიმებს, არ იცის, რა ქნას, რას მიმართოს, რომელიც „ფიქრისაგან გაგიჟებამდეა მისული“.

ასევე უგზო-უკვლოა მეორე ჯგუფი, რომელიც ერთი კრებიდან მეორეზე გადადის, მაგრამ თვითონაც არ იცის, ვის ან რას შველის ამით (რჩილაძე, კელეპტარაშვილი). მათ შორის არის რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ც, რომელიც აგრეთვე უიალქნოდ, გაურკვეველად დაიარება. არც კი იცის, რა იზიდავს მას, რა ამოდრავებს მას ცხოვრებაში — „ფული თუ რწმენა, კოცნა თუ კბენა“. ესეც, როგორც სხვა მრავალი მათგანი, ყალბი გზით მიდის.

ზანდარის მისდამი მიმართვაზე, რომ პრესის წარმომადგენელნი წმინდა საქმეს ემსახურებიან — „ჩაგრულთ ცის ნამად გულთ ესხურებით! და ჯილდოთ იღებთ... რას? წამების ჯვარსა“, რედაქტორი ღიმილით უპასუხებს:

თქვენ პირს შაქარი!... თუმცა კი სცდებით!
თეთრსაც აშავეს ხომ მელნის ცვარი?
სიმართლიანათვის ჩვენ აღარ ვკვდებით:
მისთვის ჩვენა ვართ წამების ჯვარი!²

ასეთია გამრუდებული გზა რედაქტორისაც, რომელიც სიმართლით უნდა ემსახურებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებას და სიმართლით რაზმავდეს საზოგადოებრივ აზრს. ის კი თეთრს აშავეს და, როგორც მასვე პოეტი მოხდენილად ათქმევინებს, სიმართლეს კი არ ემსახურება, არამედ მისთვის თვითონ არის „წამების ჯვარი“.

აქვე მრავლად არიან ნაირსახეობანი, უფრო გზააბნეული პოეტებისა, როგორიცაა რ ი ვ ე ლ ი, რომელიც სთხზავს „საშინელ რითმებს“, ეძებს წერის საგანს, როგორც თვითონ ამბობს, „ყოველგვარი ფერისა, იატაკზე უდაბლეს და უმაღლეს ჭერისა“, რომლისათვისაც სულ ერთია დასწერს „ოდას“ და „ბოდვას“, კატაზედ, ლომზედ „თუ გინდ სამშობლოზე“.

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 131.

² ი ქ ვ ე, გვ. 132.

აქვეა პოეტი მინდვრელი, რომელმაც არ იცის მისია თუ „სხვისი ვისიზე“, რასაც ის სწერს. აქვეა გაბერილი პოეტი ბუშტაძე, რომელიც ვერ იგუებს სხვა მგოსანს, ყოველთვის იმას ცდილობს, რომ მას — „გვირგვინი, სხვას — წინ წყალი, უკან კი მეწყერი“.

აქვეა პოეტი ლულულაშვილი, რომელიც გამუდმებით „გრძნეული ოცნების“ ქვეშაა: „კოცნა, ჰა, დამწველი! ჩანგური, ებანი და ღვინით ნასველი ფრანგული ვნებანი!“ აქვეა პოეტი ზეფონელი უსაფუძვლოდ პატივმოყვარეობით დასნეულებული და უსაზღვროდ გაქედმადლებული, რომელიც დიდ მნათობებს — შექსპირს, რუსთველს და საერთოდ ძველ „მგოსანთა ჰამქარს“ — მედიდური კილოთი უძახის: „მოდექით! გზა!“

დარბაზის ამავე კუთხეში აგრეთვე გამოირჩევიან ინტელიგენციის სხვა სახესხვაობანიც: მსახიობი ყრონტიაშვილი — „მშიერ მწყურვალი, არმქონე გროშის“, რომელიც მუდამ „ტანტალშია“, გამხმარია, როგორც „მკლე დოშის ხმელი ნათალი“. მართალია, პოეტმა იცის, რომ მძიმეა ქართველი მსახიობის მდგომარეობა, ბევრი მათგანი ნიჭიერია და თავდადებითაც ემსახურება ეროვნულ საქმეს, მაგრამ, პოეტის გაგებით, ბევრი მათგანი თვითონაც კია დამნაშავე. ის უვიცია. სათანადოდ არ მუშაობს თავის თავზე. ამასთან „ხმითა არწივი, მძლავრი მყივანი, დამურა ფრთებით!“

აქვე მოსჩანან ასევე უღირსნი — ექიმი, ვექილი, პედაგოგები, რომელნიც, მართალია, სანამ მოღვაწეობას სარბიელზე გამოვიდოდნენ, მაღალი, უანგარო საზოგადოებრივი მისწრაფებებით იყვნენ გატაცებულნი, — „მამონის მსახურთ შუბზე აგებდნენ“, მაგრამ შემდეგ ცხოვრებაში მათ ეს იდეალები მიივიწყეს, საერთო ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ და მტკიცედ გაიზარეს, რომ „ოქრო არის ცხოვრების ღერძი“, ახლა ისინი მზად არიან მხოლოდ სიტყვით „უშველონ საყვარელს მამულს“ და, თუ დრო ექნებათ, შეიძლება „ცოტა ცრემლიც კი უძღვნან ჩვენს წარსულს“. კოტე მაყაშვილი ასეთ ცრუ თუ ფლიდ საზოგადოებრივ მოღვაწეთ სამარცხვინო ბოძზე აკრავს.

ამავე დარბაზში ამ გზააბნეულთა გუნდს ავსებს კრიტიკოსიც, რომელმაც თავისი მიუდგომელი სტატიებით უნდა გაამახვილოს ფართო მკითხველთა თვალი, ყური და გონება საზოგადოებრივ უარყოფით მოვლენებზე, სინამდვილეში კი ის თავის ამ პირდაპირ დანიშნულებას ღირსეულად ვერ თუ არ ემსახურება. ის, მიუდგომელი კი არ არის, ხალხის ინტერესით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მეტად უხეშად მიკერძოებულია, პირადი ინტერესებით ამოქმე-

დებულო. აი ის ცინიკურად რას ვაიძახის: „ჩემს გემოზე ვინც არა სთხზავს — წუმპე აშმორებულა!“

ასეთია, პოეტის ჩვენებით, გაყალბებული ნიჭი და ცხოვრება ქართველი ინტელიგენციის ნაწილის, საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი ძალისა. ინტელიგენციის ამ ჯგუფის წევრთა მიმართ, მიუხედავად მათი სხვადასხვა მიმართულებისა, შესაძლებელია გავავროტოთ ლ ი ვ ლ ი ვ ე ლ ის — ანარქისტის თვითდახასიათება:

უკეთ რომ ვსთქვათ, ვარ ლიბერალი,
რომ უფრო უკეთ—ვარ ოპტიმისტი,
თანამედროვე სწორედ მწერალი:
არც ეს, არც ისა, სადაც სჯობსტი!

ცხადია, კოტე მაყაშვილის მიერ დახატულ დარბაზში მყოფი ამ ჯგუფის სურათი მძიმეა, სულის შემზუთველი, შემადრწუნებელი. პოეტსაც სწორედ ეს უხუთავს სულს და გულს, შეადრწუნებს. ეს სურათი უდავოდ, ასეთსავე გრძნობას ბაღებს მკითხველშიც.

მაგრამ კოტე მაყაშვილის, როგორც ილ. ჭავჭავაძისა, შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილიური ნიშანია შიში პოეტისა, ვაი თუ მკითხველამდე სათანადო სიმკვეთრით ვერ დავიდა ნაწარმოების მთლიანად ან რომელიმე მისი ნაწილის მიზანდასახულობა — ამ შემთხვევაში მოცემული სახეებისა. ამის შესავსებად პოეტა ჩვეულებრივ ნაწარმოების გაშლას ურთავს ლირიკულ ზედასვლას, ან ღია სიმკვეთრით რომელიმე მოქმედ პირს გამოათქმევენებს თავის დამოკიდებულებას მოვლენისა ან მოქმედი პირისადმი. სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ კოტე მაყაშვილი ხანდახან ამ ხერხს იყენებს ზანდარის საშუალებით, რათა თავისი შეხედულება მოვლენაზე უფრო გაამახვილოს.

ზანდარს ნახულმა, სინამდვილით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, როგორც ის თვითონ ეუბნება ბრუგაძეს, რკინის ნერვები მთლად აუშალა, „რას მოველოდი და აქ რას ვხედავ? რაღაცა უშნო, რაღაც უსახო!“ გაკვირვებული და შეძრწუნებული ზანდარი წამოიძახებს და ასე განაგრძობს თავის შემფოთებული მდგომარეობის გადმოცემას:

მღვიძავს თუ მძინავს?
თავს ბრუ მეხვევა...
ძლივს მსუნთქავ-მქშინავს
ბნელა მეწვევა!

1 კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 138.

ეს წამოძახილი, უიალქნოდ მოსიარულე საზოგადოების ცარიელი, უშინაარსო ცხოვრებით გამოწვეული, გონების მღრღნელი და სულის შემხუთველი განცდა თვით კოტე მაცაშვილისაა. ასეთავე განცდას იწვევს ეს სატირა მკითხველშიც. ასეთი იყო „ცივი და დაობებული“ სინამდვილე პოეტის თანადროულობისა, რომელმაც მას ნაზინერები „მთლად აუშალა, წყრომისა და ზიზღის გულის ძგერამ“ ის „გააშმაგა, თითქმის შეშალა“; ათეული წლების ძანძილზე გაწამებული პოეტი ამ ტკივილმა სამშობლოსადმი არაჩვეულებრივი სიყვარულით, დაკვირვებითა და ენერგიით აამუშავა და დააწერინა მას დიდი არა მარტო თავისი მოცულობით, არამედ უფრო თავისი დიდი მიზანდასახულობით, მოქალაქეობრივი გამბედაობითა და პოეტური ოსტატობით — პოემა-სატირა „ეშმაკი საქართველოში“.



კოტე მაცაშვილს უნდა აღებული მიზანდასახულობა, იმდროინდელი საქართველოს სახე, რაც შეიძლება მეტი სისრულით წარმოადგინოს, მხატვრული ტილო შეძლებისდაგვარად გააფართოს, გაამკვეთროს. ამიტომ ახლა ზანდარს ბრუგადისევე დახმარებით პროგრესულ ქართველ ინტელიგენტთა კრებაზეც შეიყვანა. ამ კრებაზე თავმოყრილია სხვადასხვა მოქმედი პოლიტიკური პარტიები — ლიბერალები, ესფერები, ესერები, ესდეკები. ეაენია, პოეტის თქმით, „ქვეყნის მარლი“, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი ძალები.

სხდომის გამგის განცხადებით, დღის წესრიგშია მეტად მძიმე, რთული და ამასთან გადაუღებელი აქტუალური საკითხები:

როგორ ვუშველოთ სამშობლო მხარეს
ამ გარდამავალ და გრძელ ხანაში.
როს ძმარს გვადენენ ცხვირიდან მწარეს,
რომ ხალხს გვიხრჩობენ სისხლის ვანაში.
ამიტომც უნდა მოესაზებნეთ ფორმა
ჩვენ სურვილ-აზრთა გამოსახატად;
გამოვარკვიოთ ჩვენი პლატფორმა,
და მივიჩნიოთ რა წმინდა ხატად
დროშა ერთობის, თავისუფლების
წინ, წინ გავსწიოთ ხალხის უფლების
დასაცველად!¹

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 140.

გამგის ასეთი დეკლარაციით თავის საერთო კმაყოფილებას დამსწრენი გამოხატავენ ტაშით. გამგე, აღნიშნავს რა ზოგად ხაზებში: სანშობლოს და ხალხის შევიწროებულ მდგომარეობას, ასე მიმართავს დამსწრეთ:

ოქვენგან და მხოლოდ თქვენგან მოელის
ხალხი და ერი შევლას და ხსნასა!

კოტე მაყაშვილს არც ეს პოლიტიკური პარტიები აკმაყოფილებს. მისი შეხედულებით ეს პარტიებიც არა დგანან სწორ, რეალურ საფუძვლებზე, ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. ეს, თითქოს, ფართო პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწენიც სიტყვისა, გაუარკვეველი საქმისა და მსოფლმხედველობის ზალხია. ესენიც პირწყლიანობის კორიანტელს თუ ნიაღვარს აყენებენ, საქმიდან კი შორს არიან. ეს პარტიები, მწერლის შეხედულებით, შორს არიან მშრომელი ხალხისაგანაც. ამიტომაც, რომ კრების ხელმძღვანელსაც მაშინ მოაგონდება „გლეხი, პროლეტარი“, როდესაც ორატორი ბ უ ა ძ ე სიტყვის თქმას მოინდომებს. კრების გამგე კვესადეს მაშინ დააეალებს თოკით ხელში გასწიოს ქუჩიბაკენ, „მუშა, გლეხი და მათ მსგავსი“ საჩქაროდ მოიყვანოს. მართლაც, კვესადე ორ მუშას, თოკით შეკრულს, ძალით მოიყვანს კრებაზე.

ამ პარტიების წევრთ, კოტე მაყაშვილის ჩვენებით, ვიწროდ და შეუფერებლადაც მიაჩნიათ თავის ქვეყანაზე, თავის ჩაგრულ მოძმეებზე ზრუნვა, საქმიანობა, ლაპარაკიც კი. ისინი მსოფლიო პრობლემებს უფრო ეტანებიან, მათი გადაკრის შესაძლებლობა იტაცებან მათ. ამიტომ კრების გამგის მიერ დასმული კონკრეტული საკითხის გარშემო მსჯელობა მათ არ იზიდავს. კრების გამგემ ვერც კი ალაპარაკა ისინი დასმულ კონკრეტულ საკითხებზე, ზანდარის დახმარების გარეშე (სანამ უკანასკნელმა გრძნეული ფხვნილი არ დასწვა) მაინც კრების წევრნი მოწყენილები არიან. ისინი ერთმანეთს შორის მდბაღლი ვნებიანი — საარშიყო საკითხების გარშემო საუბრობენ (გულიყო, თაფლო, ფოფიყო, შალიყო).

შებოჭილი მუშების შემოყვანა იწვევს კრების გამგის აღტაცებას, დამსწრეთ გამოცოცხლებას.

ლიბერალი პატრიოტი ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი სიტყვას იღებს. ის პათეტიური ტონით გაახსენებს საზოგადოებას საქართველოს ძველ გმირულ დროს. ქართველ ხალხს დაახასიათებს, როგორც მამაცს, გრძნობით აღსავსეს¹. სიმპათიურს, მეტად პურადს, ღირსსა ჭილდო-

¹ კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, „ემშაკი საქართველოში“, გვ. 141.

სი, სიყვარულისა და შექმობისა. ყველა ამ ღირსებისათვის, ტარიშვილის რწმენითა და მტკიცებით, „მას (ე. ი. მის სამშობლოს — საქართველოს) აქვს უფლება არსებობისა“. ტარიშვილის სიტყვები დამსწრეთა შორის გამოიწვევს ერთობლივ თანაგრძნობას.

გამხნეებულ ტარიშვილს, წარმოთქმული საბუთიანობის საფუძველზე საკმარისად, შესაძლებლად და აუცილებლადაც მიაჩნია ტრადიციის თანახმად „მორიდებული თავაზიანობით“ (არა ზაზვასმით) და მოწიწებით შეთხზან ერთი უმორჩილესი რამ პეტიცია, „გახეთქონ“ რუსი (ბურჟუაზიული რუსეთის) მოხელენი მხურვალე ქებით, და ვისთან ჯერ არს იქ გაგზავნონ ნაცნობის გზებით. „ამგვარად საქმე გამოიცხვის, ვითა ხშიადი, და შედეგიც ხომ მას მოჰყვება მეტად დიადი!“¹

კოტე მაცაშვილს ჩვენი ინტელიგენციის ნაწილის ეს ტრადიციული რუსი (ე. ი. ცარიზმის) დიდი მოხელეების საშუალებით თავაზიანი, მორჩილების და მოწიწების გამომხატველი რამ პეტიცია თავისი ეროვნული კანონიერი უფლებების აღდგენის მიზნით, რათქმა უნდა, უვარგისად, დამამცირებლად და უნაყოფოდ მიაჩნია, როგორც ამ ორატორის ტარიშვილის პირწყლიანი სიტყვებიც.

კამათში შემდეგ გამოდის ორატორი გოგრაძე. მას სისულელედ მიაჩნია რომელიმე კონკრეტული ერის შესახებ, თუნდაც ამ შემთხვევაში საქართველოს შესახებ, მსჯელობა და კამათი. გოგრაძე თავმომწონედ გაიძახის, „ერი ქართველი — მე რას მიქვიან! კაცობრიობა — აი სახელი, რომლის წინაშე ქედს იხრის ყველა!“ ვისაც ძალა და უნარი შესწევს, მისი განცხადებით, აქეთკენ უნდა მიმართოს შველა. გოგრაძის თავმომწონე განცხადებით, აი, ამ სიბრტყეზეა საჭირო საუბარი და საქმიანობა.

გოგრაძე აღმფოთებული გააცნობს დამსწრეთ მსხვილო ერების ძალმომრეობას მცირე ერებზე — როგორცაა: გერმანელების მიერ როგორ არიან შევიწროებულნი ჩეხები და პოლონელები, რომელთაც სისხლისმსმელი გერმანელები „თანდათან მაგრად უკრავენ ხელებს!“ იქ იპაონიამ კორეელებს მოუსპო თავისუფლება; ავსტრიელებმა და უნგრელებმა „მთლად დაივიწყეს სხვა ერთა უფლება!“ ფინლანდიაც „დაემორჩილა თავის ბედს შავსაც!“.

გოგრაძე მზადაა, თუკი რამე შეუძლია, ამ დაჩაგრულ ერებს დაეხმაროს, მზადაა თავის თავიც კი მათ მსხვერპლად უთავაზოს. გოგრაძე წინადადებას იძლევა შეადგინონ თანაგრძნობის დეპეშა და დაუგზავნონ ყველა დაჩაგრულ ერს.

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 148.

ასეთივე უთვისტომო კოსმოპოლიტიზმის პოზიციაზე დგას ორატორი მამალაძე. ის საბატიკად აკრიტიკებს საფრანგეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც გერმანიას ეჯიბრება, ფლოტს აფითარებს, ამრავლებს ჯარებას, მილიტარიზმით მთლად გაყდენთილია. და თუ საფრანგეთი არ დაიშლის, აღშფოთებული ლაპარაკობს მამალაძე, ის დღეს გაიმწარებს. მამალაძე მოითხოვს ერჩიოს საფრანკეთს ფრთხილად მოიქცეს, რადგანაც „მუქარა ძალით გაცვეთილია“:

ბაჟი-ბუქობა არ ღირს ერთ თხილად,
ანებოს თავი კვეხნას და ომებს,
სჯობს რომ მიმართოს კულტურულ ზომებს!
მინისტრ-პრეზიდენტს ვურჩევთ გულწრფელად
რომ დაითხოვოს პალატა ხელად,
სხვა პოლიტიკას დაადგეს მდღვრად.¹

აქ, უდავოდ, კოტე მაყაშვილი მოქმედი პარტიების შეფასებაში ვერ იჩენს სათანადო სიფხიზლეს, სათანადო დაკვირვებასა და გაგეზის უნარს. ეს, ვფიქრობ, იმიტომ, რომ კოტე მაყაშვილი თვითონ დასახელებული რევოლუციური პარტიებისა საქმიანობის განხედ იდგა. თვითონ არ იყო თანამიმდევარი რევოლუციონერი. ის თავის მსოფლმხედველობითა და შემოქმედებით ურყევად იდგა ეროვნულ-დემოკრატიულ-პროგრესულ პოზიციაზედ.

ქართველი ინტელიგენცია (რა თქმა უნდა, მისი უმრავლესობა), პოეტის გაგებითა და ჩვენებით, არ მუშაობს საღი ბუნებრივი გზით. ის ვერ ხედავს თავის უახლოეს გარემოს, არა აქვს მისი დანახვის სათანადო უნარი. ის ეპოტინება საკაცობრიო საკითხებს, რომელთა გარკვევის, გადაჭრის ცოდნა და ძალა არ შესწევს, მაშინ როდესაც ის ვერ ხედავს, ვერ ერკვევა, რა ხდება მის გარშემო, როგორც იტყვიან, მის ცხვირწინ.

მისი სამშობლოც ხომ შევიწროებული, შეგინებული, დაბორკილი იყო. განა ამ საკითხის გარკვევა, გადაჭრა არ უნდა ყოფილიყო მისთვის პირველ რიგში მტკივნეული, გადაუდებელი, აქტუალური საკითხი! საერთოდ, დაჩაგრულ ერზე ზრუნვა ყველა შეგნებული მოქალაქისათვის, დიდაც, საჭიროა, სასახელო და სავალდებულოც, მაგრამ ყველა ნიადაგიანი მოქალაქისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია თავისი დაჩაგრული, დამონებული ერისა თუ ქვეყნისათვის, თუ დამოუკიდებელი ვერა, სხვა ასეთსავე მდგომარეობაში მყოფ ერებთან დაკავშირებით განთავისუფლება-ალორძინებაზე ფიქრი და ზრუნვა. ასეთია აზრი სატირის ავტორის — კოტე მაყაშვილისა.

¹ კ. მაყაშვილი, „ემშაკი საქართველოში“, გვ. 148.

სრულიად ბუნებრივია და ჩამწვდომი სხდომაზედ ძალად მოყვა-
ნილი გლეხი ამ გრძელ კოსმოპოლიტურ ტირადას მამალაძეს რომ
შეაწყვეტინებს წამოძახილით — „და საქართველო?!“ რომელზე-
დაც მამალაძე, თითქოს მხოლოდ ესლა გაახსენდა, მისთვის დამახა-
სიანებლად უპასუხებს: „ჰო... საქართველო?... მუშა, გლეხობა!.. ამა-
ზედ ფიქრი ჯერ არ მომსვლია!“¹, მამალაძის ამ უნიადაგო სიტყვე-
ბის მიმართ მშვენიერია რეალური და სამართლიანი მ უ შ ი ს
რ ე პ ლ ი კ ა ც:

ალბათ იმიტომ, რომ საწყალს სიბრძნის
კბილები ჯერაც არ ამოსვლია!²

კოტე მაყაშვილი, უდავოა, დაჩაგრული ზალხის წარმომადგე-
ნელს მუშასა და გლეხს დიდი სითბოთი გვიხატავს, აღნიშნავს მათ
საღს გრძნობასა და გონებას. მწერალი მწუხარებით ამბობს, რომ
ზალხის მასებს ჯერ არ გამოუღვიძიათ დარაზმული ბრძოლისათვის,
ისინი შევიწროებული არიან პრივილეგიური კლასის თვითნებობით.
პოეტი გლეხისა და მუშის წყრომას მთლიანად იზიარებს. კოტე მაყა-
შვილის მთელი სიმპათიები, რა თქმა უნდა, გლეხისა და მუშის რეა-
ლური აზროვნებისა და განწყობილებისაკენაა მიმართული.

ინტელიგენტთა სხდომაზე გამოდიან სხვადასხვა მიმართულების
წარმომადგენელი, სხვადასხვა ჯგუფის ლიბერალები, პროგრესის-
ტები, დემოკრატები, სოციალისტები, ანარქისტები, კოსმოპოლიტე-
ბი, ყველა ეს მიმართულებანი უდავოდ, მეტად პრიმიტიულად, გა-
უზბრალოებულად არიან სატირაში „ემშაკი საქართველოში“ წარმო-
დგენილნი. პოეტის მიზანდასახულობაც ასეთია, რომ ამ მიმართულ-
ებათა წარმომადგენლების ზერელობა, გაურკვეველობა, სიმჩატე,
სიმსუბუქე დაანახოს მკითხველს.

აი რასა წერს კოტე მაყაშვილი თავის სატირის განმარტებაში
„ავტორისაგან“: „ინტელიგენციის ნაწილს ახასიათებდა უპრინცი-
პობა, უიდეალობა, მას ვერ გაველო მიჯნა რეალობასა და ფანტაზიას
შორის. მას არ ჰქონდა დასაყრდნობი ბაზა არც ერთს კლასში; იგი
ფლიუგერივით ემორჩილებოდა ყოველ კორის კარნახს.

„თუმცა მისი ფრაზეოლოგია სავსეა სარევოლუციო ლოზუნგე-
ბითა და სიტყვებით, თუმცა გარეშე მაყურებელზე სტოვებს ნამდ-
ვილ სარევოლუციო შტაბისა და ავანგარდის შთაბეჭდილებას, მაგ-
რამ ნამდვილად კი ეს უბრალო ზღესტაკოვშჩინაა, ან უკეთ, ჩვენე-

1 კ. მაყაშვილი, „ემშაკი საქართველოში“, გვ. 148.

2 იქვე, გვ. 149.

ბური ნაცარქეჭიობა. საკმარისია მარტო მოჩვენებითი განსაცდელიც კი, რომ ეს სიტყვიერი ყუმბარების მსროლელი კაცუნები პირქვე დაემხნენ და „ზურგზე ხატები შეიდონ“ მტრის გულის მოსანადირებლად.

„ინტელიგენციის ამ ნაწილის აუდიტორიაც შემთხვევითია, კრელი; უნიადაგო“.¹

სხდომაზე შეკრებილ ორატორთა შეურიგებელი, მოუთავსებელი და მიუღებელი ოპოზიციონური აზრები, თუ სიტყვები, აწეული ტონით. რიხიანად, თუმცა ქაოტურად წარმოთქმული, მთავრდება მათი სამარცხვინო შიშით, პანიკით, ზანდარის მათი შეშინების მიზნით დაძახებით — „მოდის რაზმი, მოდის ჯარი, წინ მიუძღვის ზარბაზანი“ — გამოწვეული.

პოეტი ამ მოღვაწეთ უარყოფითად შეაფასებს. თავის შეხედულებას, რომ არც ესენი დგანან სწორ საფუძველზე ქართველი ერისა და საქართველოს გაჯანსაღების გზით წაყვანისთვის, საქართველოს მდგომარეობის ჭურათის საერთო მძიმე შთაბეჭდილებას, რომელიც მას სურს მკითხველშიც ძალუმაღ განამტკიცოს, ამთავრებს ზანდარის სიტყვებით:

ამბავად რომ გამეგონა,
ავიგდებდი მთქმელსა მასხრად,
ამის გარდა მატყუარას
კუკუს ვკრავდი კარგა მაგრად!
ეხლა? ნუ თუ ყველაფერი
უტყუარად თვალმა ნახა?
აწ რა მეთქმის? — ჩემს ენაზედ
ერთად ერთი — პა, პა, პა, პა!

ზანდარის ეს მეფისტოფელური სიცილი საქართველოში მის მიერ ნახულ-განცდილით გამოწვეული, პოეტის გულს რომ სერავს, პოეტსაც „აცინებს“, აწერინებს სატირებს, რაც კოტე მაცაშვილისათვის ნიღაბი იყო, რომლის ქვეშაც მკითხველი ხედავს ნაწყენ-ნატყენი გულის ამონაცვენს ცხარე ცრემლს.

სატირა „ეშმაკი საქართველოში“ თავდება ზანდარის ბელზებულთან დაბრუნებით. თავის მბრძანებელს ბელზებულს საქართველოს გასაცნობად, როგორც კოტე მაცაშვილი, სატირის გამოცემის დართულ განმარტებაში ხსნის, ქართველთა „სულთა მოსანადირებლად და ხელში ჩასაგდებად“ გამოგზავნილი ზანდარი იქ „უცნაურობისა

¹ კ. მაცაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 12.

და საკვირველების“ ნახულსა და ნაგრძნობს საბოლოოდ შემდეგი სახით წარუდგენს:

ქართველსა ხურავს ჩაჩი მასხრული:
მცირე თუ დიდი ყველა ჯამბაზობს,
გამოფიტული, კეჟა დახრილი,
თვის სისულელით ტრაბახ-ლამაზობს.
კუდა ხარივით, მწარეთ ნაკბენი,
სხვას გაშმაგებით ბუზებს უგერებს,
და თვით ბუნებრივ, თავდაციის აღლოს
დაბრმავებული აღარ უჭერებს.
გარეშე, უფრო შინაურ მტრების
მეოხ ქვეყანა აკლებულია,
სხვასა ვინ ჩივის — თვის მოგერების
ძალას და უნარს მოკლებულია;
დიადი აზრი გასაწყლებულა,
ნების სიმტკიცე, ბრძოლის წყურვილი;
ზე აღმაფრენი მძლავრი სურვილი
მჩატე სიტყვებში გაქარწყლებული!

ზანდარი, მეტად შავ ფერებში აუწერს რა ბელზებულს საქართ-
ველოს ასეთ დაკნინებულ მდგომარეობას, თავის გამარჯვებულ მო-
გზაურობას საქართველოში დაამთავრებს იმით, რომ უბიდან ამოი-
ღებს დროშას, ბელზებულს ფეხქვეშ დაუდებს შემდეგი სიტყვების
მოხსენებით:

აი სიმბოლო ივერთ დიდების,
იმათი დროშა, ერთს დროს გრძნეული.
აღფრთოვანების, მათ იმედების
დაგვარად ეხლა მჩვარად ქცეული!

ასეთი მწვავეა, მკაცრი, დაუნდობელი განაჩენი არა მარტო ბელ-
ზებულის სურვილების აღმასრულებელის ზანდარისა, არამედ, თით-
ქოს, თვით სატირის ავტორისაც. მგრძნობიარე, პატრიოტი პოეტი
კოტე მყაუშვილი, რა თქმა უნდა, მეტად მტკიცუნულად, მტანჯველად
განიცდიდა ქვეყნისა და ხალხის, მართლაც, მძიმე, შეიძლება ითქვას,
თითქოს, უილაჯო მდგომარეობას, ქართველი საზოგადოების გარ-
კვეული ნაწილის მოდუნებას, რღვევას, დაჩივებას „ცარიზმის“ უხ-
ეში კოლონიური პოლიტიკის ზეგავლენით, განსაკუთრებით შავი
რეაქციის ხანაში.

მაგრამ ეს განაჩენი სრული ქეშმარიტება იქნებოდა, რომ ჩვენ

1 ი ქ ვ ე, გვ. 171—172.

2 ი ქ ვ ე, გვ. 173.

ზანდარის პოზიციაზე დავმდგარიყავით — ქართველი ხალხის ბურ-
ჯად დაგვენახა და მიგველო, იმ დროს ერის ხელმძღვანელად რომ
მოჰქონდა თავი, დაკნინებული თავადაზნაურობა თავისი შინაგანი
ფენებით — „მსხვილ-მსხვილ ჩერჩეტთა ლეში“, მრავალი და გადა-
გვარებული სამღვდელოება, რომელნიც ზანდარის „წვრილ ბადეში“¹
ადვილად ცვიოდნენ, — რომ, როგორც ზანდარი იქცევა, —

ხალხის სხვა ნაწილს — მუშა-გლეხობას
არ მივაქციე სულ ყურადღება,
იგი ვერ გასცდა ჯერ ოთხფეხობას:
აძვრის კი, მაგრამ ორზედ არ დგება!¹

— ჩვენც რომ არ მივაქციოთ სათანადო ყურადღება მუშა-გლეხობას,
მაშინ, როდესაც, თვით პოეტის, თითქოს შემთხვევითი ჩვენებით,
ქართველ მუშასა და გლეხს შერჩენილი აქვთ ხალი გრძნობა და
გონება.

კოტე მაცაშვილმა პოემაში, სამწუხაროდ, ერის ეს ცოცხალი,
სალად მოძრავი და მოაზროვნე ძალა — გლეხობა და მუშები ვერ
თუ არ გამოაჩინა, რის შედეგადაც საქართველოს ცხოვრების სურ-
ათი პესიმიზმის მუქი ფერებით დააკოლორიტა. რა თქმა უნდა, არაა
მართებული ზანდარის განზოგადებული ხასიათის დასკვნა:

საქართველოში ბევრს ძვალხორცს ნახავ,
სულს, ძლიერ სულს კი... ვერსად შეჰხვდები²

კოტე მაცაშვილმაც პოემის დამთავრების შემდეგ, ვფიქრობთ,
მკაფიოდ იგრძნო, რომ ზანდარის ასეთი დასკვნა არაა სწორი, მცდარია,
სინამდვილეს არ შეეფერება. ალბათ, ამიტომაც მან საჭიროდ
დანიხა პოემის მეორე გამოცემისათვის, 1926 წელს რომ გამოვიდა,
დაერთო განმარტებანი „ავტორისაგან“.

ავტორის ამ განმარტებებში მრავალ საგულისხმო ცნობებ-
თან ერთად ამ კონკრეტული საკითხის შესახებ აი რასა ვკითხუ-
ლობთ: „მუშგლეხობა არ შეადგენს ამ აუდიტორიის (ინტელიგენტ-
თა. — მ. ზ.) ნაწილს (სატირაში მუშგლეხებს შემოიყვანენ კრებაზე
ხელფეხშეკრულებს)... მუშა-გლეხობა მე დავაყენე სატირის გარეშე.
რა ჰქონდა მათ დასაცინი ან დასაძრახისი! მას არაფერი ეკითხებო-
და, იგი იყო გროვა აღამიანთა, მანქანა, რომელიც ჰქმნიდა მრავალს

¹ კ. მაცაშვილი. „ემშაკი საქართველოში“, გვ. 172.

² იქვე, გვ. 173.

ღირებულებას და ყველაზე ნაკლებად სარგებლობდა ამ ღირებულებით“.¹

კოტე მაყაშვილის არც ეს შეხედულებაა მუშებსა და გლეხებზე სწორი. მართალია, მუშები და გლეხები არ შეადგენენ ინტელიგენციის ნაწილს, რომელიც პოეტს ჰყავს გამათრახებელი; მაგრამ მუშებსა და გლეხებს, როგორც ერის საგრძნობ ნაწილს, ერის ისტორიულ ცხოვრებაში მოქმედს, ერის მაცოცხლებელ ერთ-ერთ მთავარ ძარღვს, უდავოდ. თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა ამ პოემა-სატირაში.

ამას გარდა, არც ის შეხედულებაა მართებული, რომ მუშებსა და გლეხებს „არაფერი ეკითხებოდა, იგი იყო გროვა ადამიანთა, მანქანა“ და სხვ. მუშები და გლეხები ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში არასოდეს არ ყოფილან „ადამიანთა გროვა“. ის ერის ისტორიულ ცხოვრებაში ყოველთვის თამაშობდა აქტიურ როლს, ხშირად გადამწყვეტადაც, თუმცა უფლებებით, სამწუხაროდ, არა სარგებლობდა.

განსაკუთრებით კი შეცდომა იქნებოდა მუშებისა და გლეხების როლის ასეთი შეფასება 900-იან წლებში, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და განსაკუთრებით შემდეგ წლებში, როდესაც გამოფხიზლებული მუშები და გლეხები 900-იანი წლებიდან, საგრძნობლად დარაზმულნი, გეგმიან რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდნენ ძველი ქვეყნის მონარქიული წყობილების დამხობის საქმეში. სამართლიანი ქვეყნის — ძმობა-ერთობის, თავისუფლებისა და თანაწილობის წყობილების დამყარება-განმტკიცებაში.

ასეთი მერყევი აზრები კოტე მაყაშვილისა, რა თქმა უნდა, აიხსნება მისი მერყევი მათფლზნედველობით. მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ზანდარის ზემომოტანილ დახაბაობებზე განაჩენს საქართველოს შეუახებ სრულიადაც არ მიიჩნევს საბოლოო და ურყევ განაჩენად საქართველოს. ქართველი ხალხის მიმართ.

თავის განმარტებაში, „ავტორისაგან“ კოტე მაყაშვილი ასეთ აზრს გამოსთქვამს: „ბელზებულო, ზანდარი, ჯოჯონეთი, როგორც ზემოთ ითქვა, რეაქციის სიმბოლოა. რეაქცია კი ყოველთვის ბრმაა. ზანდარიც, მიუხედავად თავისი გამჭირაზობისა და გაიძვერობისა, გვერდს უვლის იმისთანა ფენოქენს, როგორიც არის მუშა-გლეხობა და თავის ყურადღების ცენტრად იგი ხდის მხოლოდ მაღალ წოდებას და კლასს, მას, რაც გარეგნულად ბრწყინავს. ფორმალურად იგი თითქმის მართალიც არის: ხალხის სვებედი გაბატონებული კლასის ხელშია, მაშასადამე — ქვეყნის მარლიც ეს კლასია — მაგრამ

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 12, 14.

ფაქტურად და ფსიქოლოგიურად ზანდარი სცდება, როგორც ყოველთვის საბედისწეროდ სცდება ხოლმე ყოველივე რეაქცია: იგი ვერ არჩევს მშრომელი ხალხის სიღრმეში სტიქიურ, ვულკანურ მოძრაობის დასაწყისს, მას სიცილადაც კი არ ყოფნის იატაკქვეშეთის მუქარა (სცენა ქანდაკებასთან). ზანდარი თავის საქმეს ათავებს ვითოჲდა გამარჯვებით, მაგრამ აქვე იწყება მისი დამარცხება¹.

მიუხედავად იმისა, რომ კოტე მაყაშვილი არც ამ განმარტებაში იძლევა მუშათა და გლეხთა როლის მართებულ შეფასებას, ის მაინც ცხადია, რომ ის აქ უფრო აშკარად უსევამს ხაზს ზანდარის შეცდომას, რომელიც, როგორც ავტორი წერს, „გვერდს უვლის იმისთანა ფენომენს, როგორიც არის მუშა-გლეხობა და თავის ყურადღების ცენტრად იგი ხდის მხოლოდ მაღალ წოდებას და კლასს“. ეს შეცდომა ზანდარისა მართო ფორმალური კი არ არის, როგორც ამას ავტორი წერს თავის განმარტებაში, არამედ — არსებითიც. ავტორს პოემაში გაკვრით კი არ უნდა ეთქვა იატაკქვეშა გვირგვინის შესახებ, არამედ, უნდა გაეშალა, მკაფიოდ ეჩვენებინა ამ გრგვინის შემოკმედი და მისი ძალა.

პოეტს ეს ნაკლი თუ წინააღმდეგობა ზანდარის განაჩენიადმი დაუნახავს, ყოველ შემთხვევაში, უგრძენია პოემის დასასრულს, ამიტომ ის პეისიმიზმის უპერსპექტივობის რკალში კი არ მომწყვდეულა, არამედ მართებული და მოხერხებული დასასრული მოუნახავს პოემისათვის: ზანდარს ბელზებულთან მიაქვს გამარჯვების ნიშნად „ივერთა დიდების დროშა, ერთ დროს გრძნეული და აღმაფრთოვანებელი, ეხლა ჩვრად ქცეული“. „წყვიდიადის მპყრობელი, სიწმინდის მგამობელი“ ბელზებული ფეხით შესდგება დროშაზე და ხარხარით მოუწოდებს შავ-ბნელ ძალებს — სისხლისა მსმელებს „მიუტანონ ტალახი, ცუდმყარა ბალახი! შიგ ერის სხეული, რღვეული, უომრად ძლეული“ ჩაქოლონ და ჩაფლან. შავ-ბნელი ძალებიც საქართველოსკენ მიფრინავენ გამარჯვების ხარხარითა და შემდეგი სიმღერით:

დრო ეხლა ჩვენია,
სიბილწის მფენია!
გავხრწნათ თვით პაერი,
ვაქციოთ მტერად ერი!²

საქართველოში მათ ხვდებიან ფერიები — სულები (ნამდვილი საქართველოს ორეულები, რომლებიც გამომხატველნი არიან თვით

1 კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 174.

2 იქვე, გვ. 13.

პოეტის კოტე მაყაშვილის მისწრაფებისა(ც), იპინი საწინააღმდეგო, იმედიანი განწყობილებით შესძახებენ ამ „შავბნელ“ ძალებს:

ჰო, იხარხარეთ! იმხიარულეთ!
ვაი რომ ეს დრო, მართლაც, თქვენია...
ვერ ბიატონებთ ხოლო ხანგრძლივად.
იღვიძებს ხალხის მძლავრი გენია!
ხალხის, მშრომელი ხალხის სიღრმეში —
რასაც ვერ ხედავს თქვენგან ვერც ერთი,
იფარვის მთათა შემძრავი ძალა:
ჯერ ნორჩი, მაგრამ უძლევი ღმერთი!

პოემის „ეშმაკი საქართველოში“ ეს დასასრული კოტე მაყაშვილის მიერ მოცემულია არა მარტო შემდეგ 1926 წლის გამოცემაში, არამედ აგრეთვე პოემის პირველ ვარიანტშივე, რომელიც დასრულდა დაახლოებით 1910—1911 წლებში, ხოლო დაიბეჭდა 1912 წელს. ეს გარემოება მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია პოემის ავტორის მსოფლმხედველობისა და განწყობილების გაგება-შეფასებისათვის. აშკარაა იმედი უკეთესი, სამართლიანი მომავლის დამყარებისა, რომლის შემოქმედნი იქნებიან მუშები და გლეხები, კოტე მაყაშვილისათვის წამყვანი ყოფილა 1917 წლის რევოლუციის წინ, 1912 წლამდე, თვით სუსხიანი რეაქციის ხანაში.

კოტე მაყაშვილი სატირის მეორე გამოცემაში, 1926 წელს რომ დაიბეჭდა, პოემის იდეას ასე გამოხატავს: საქართველო იმდენად დაეცა სულით და ხორციით თავის ხელმძღვანელი კლასებისა თუ წოდებების წყალობით, რომ უკიდურესი რეაქცია, შავი ჯოჯოხეთური ძალა მას უბრძოლველად იპყრობს, მაგრამ ჯერ საქართველოს ბედისწერას არ უთქვამს საბოლოო სიტყვა, აივსო ხალხის მოთმინების ფიალა, ის გრგვინავს, მისი გრგვინვა დაამხობს არსებულს, ააშენებს ახალ ბედნიერ ქვეყანას.

ამის დამადასტურებელია სატირის შემდეგი ადგილები:

პოეტი მეორე ფერიას (საქართველოს ორეული — ამ შემთხვევაშიც, ეკვს გარეშეა, თვით კოტე მაყაშვილის ორეულიც), ახალი ცხოვრების პირობებით აღფრთოვანებულს, გაბედულად. კადნიერად ათქმევინებს მოწოდებას:

ძველი იხრწნება, კნინდება. ბერდება,
შორით მოისმის გრგვინვა ღმერთ-ხალხის
და ცისკიდური ალისფერდება!
ეს... მოღის ცეცხლი, ესდენ მგზნებარე.
რომ თვით ჯოჯოხეთს იგი ამოსწვამს!

და მხოლოდ მაშინ. პოეტის გაგებითა და რწმენით, ქვეყანა გარდა-
იქმნება ახალ. უნახავ, სამართლიან საფუძველზე:

დანაცრდებიან დამპალი ფესვნი,
მეფეთა ტახტნი დაინგრევიან,
ამაჲ ლმერობის ურჩი ქედები
მონათ წინაშე დაიხრებიან!...
და საქართველოც, ცეცხლის გზით მსვლელი,
გადივლის მწვავე განცდათ მწვერვალებს,
ახალ ცხოვრების პირველ განთიადს
იგი პირველი მოჰკრავს მზე-თვალებს!¹

შესაძლებელია 1926 წლის გამოცემაში გავრცობილი ეს და სხვა ად-
გილები პოემის პირველსავე ვარიანტში ჰქონდა პოეტს, მაგრამ
რომელთა დაბეჭდვა, მისგან დამოუკიდებელი პირობების გამო
დროზე ვერ მოახერხა... მეტად საგულისხმოა კოტე მაცაშვილის
ცნობა პოემა-სატირის მეორე გამოცემის წამმდგარებულ განმარტე-
ბაში „ავტორისაგან“: „ჩემდა სამწუხაროდ სრული დედანი ამ სატი-
რისა, რომელიც შემოკლებით დაიბეჭდა 1912 წელს, მე დამეკარგა.
აღვადგინე მხოლოდ მცირე ნაწილი საცენსურო პირობების გამო
გამოტოვებული ადგილები“.²

ჩვენს აზრს, რომ თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც ასეთი
გავრცელებული სახე პოემის „ეშმაკი საქართველოში“ პირველსავე
ვარიანტში ჰქონდა, 1912 წელს რომ დაიბეჭდა, აგრეთვე უნდა ადას-
ტურებდეს კოტე მაცაშვილის მიერ იმავე განმარტებაში გამოთქმუ-
ლი პირადი აღფრთოვანება: „გულისწყრომამ დამაწერინა „ეშმაკი
საქართველოში“. მოხარული ვარ, რომ ამ ჩემს სატირაში ზოგი რამ
ნაწინასწარმეტყველვეი გამართლდა და მართლდება.“

„მშრომელი ხალხის სიღრმეში დაბადებულმა ღმერთმა უკვე
იჩინა თავისი ძალა, რეაქცია ძლეულია, მეფეთა ტახტი დაინგრა და
საქართველო, „ცეცხლის გზით მსვლელი“, თავის „მზეთვალებით“
მალე დაინახავს კაცობრიობის და თავის იდეალის ზორცმესხმის
სახეს“.³

ეს ადგილიც აგრეთვე გვიდასტურებს კოტე მაცაშვილის მსოფლ-
მხედველობისა და განწყობილების პროგრესულ-დემოკრატიულ
ხასიათს და მკვევრმეტყველურად მიუთითებს იმ თანაგრძნობაზე,
რომლითაც პოეტი შეხვდა ხალხთა დიად განთავისუფლებას.

1 კ. მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 175.

2 ი ქ ვ ე, გვ. 16.

3 ი ქ ვ ე, გვ. 17.

კოტე მაყაშვილი თითქოს გრძნობდა რა თავისი მოღვაწეობის დასასრულს, 1926 წელს მოინდომა თვითონ მიეცა მკითხველისათვის ზოგიერთი, მისი შეხედულებით, საჭირო განმარტება, ვინაიდან მის შემოქმედებას და, კერძოდ, მის სატირას „ეშმაკი საქართველოში“ ოფიციალური კრიტიკა, თითქმის, სრული დუმილით შეხვდა. ის სამართლიანად წერდა: „ეშმაკი საქართველოში“ დაიბეჭდა 1912 წელს... ის, რაც 15—20 წლის წინად იყო, ეხლა 1926 წელს ისეთ შორეულ ეპოქად გვეჩვენება, თითქოს საშუალო საუკუნოებზე გვეკონდეს ლაპარაკი!.. მართლაც, რა ცოტა დრო გავიდა და რამდენი რამ განვიცადეთ! რა რადიკალური ცვლილება მოხდა ჩვენ გარეგან და შინაგან ცხოვრებაში, ჩვენს შეგნებაში და ფსიქოლოგიაში! რამდენიმე მძლავრმა გრიგალმა ააყირავ-დააყირავა ძველი დახავსებული ყოფა და მთლად შეუცვალა მას ფერი და იერი. აი ეს მიზეზი, რომელმაც მაიძულა ეს წინასიტყვაობა დამეწერა“.¹ მრავალ საგულისხმო ცნობათა შორის ამ განმარტებაში კოტე მაყაშვილი მისთვის ჩვეულებრივი მორიდებით წერს: „მე კარგად ვხედავ და ვგრძნობ, რომ ეხლა ჩემი სატირა („ეშმაკი საქართველოში“.—მ. ზ.) შეტწილად უკვე ანაქრონიზმია, ბევრი რამ ეხლანდელი მკითხველისათვის გაუგებარია, ბევრი რამ ჰიპერბოლად მოეჩვენება... ვიცი აგრეთვე, რომ სატირას კონსტრუქციის მხრივაც ბევრი ნაკლი აქვს: „არ არის გაშლილი პერსპექტივები, ღარიბია სიუჟეტურად, ცალკე ტიპების ნაცვლად გამოყვანილი მყავს ჯგუფები, საზოგადოების კოლექტიური ნაწილი (ეს ცდა იყო, ძიება სატირის ახალი ფორმისა, დიდი კი არაფერი გამოვიდა ამ ცდიდან).

„მაგრამ მასთანვე ერთად იმედს გამოვთქვამ, რომ ამ სატირაში კიდევ მოიპოვება ბევრი რამ იმისთანა, რაც მისცემს საკმაო მასალას, როგორც წარსულის მკვლევარს, აგრეთვე მომავალს, ჩემზედ ბევრად ნიჭიერ სატირიკოსებს“.²

ვფიქრობთ, კოტე მაყაშვილი ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ გადაჭარბებულ მორიდებას თუ თავმდაბლობას იჩენს. სატირა „ეშმაკი საქართველოში“ არამცთუ „შეტწილად ანაქრონიზმი“ არ არის, არამედ ის ჯერ კიდევ მრავალ აქტუალურ, საჭირობოროტო საკითხს ეხმარება. კოტე მაყაშვილის ეს სატირა მრავალ შემთხვევაში იძლევა XIX—XX საუკუნეთა უღელტეხილზე მყოფი ქართველი საზოგად-

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 10, ან საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 5745—ბ—63.

² იქვე, გვ. 16.

ოების გარკვეული ნაწილის ცხოვრება-მოქმედების, აზროვნების ცოცხალ სურათს. კოტე მაყაშვილის ერთ-ერთი დამსახურება, როგორც პოეტისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან სატირა ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე გამოიტანა: მისი სატირა გამკიცხავ-განმქიქებელია არა ცალკეული ნაკლისა თუ სენისა, არამედ მთელი კლასისა თუ წოდებისა, ან მათი საგრძნობი შინაფენებისა.

მართალია, სატირაში სათანადოდ არ არის გაშლილი პერსპექტივები, რაც, როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, მწერლის მსოფლმხედველობის მერყეობით უნდა აიხსნას. მაგრამ სატირაში პერსპექტიული კონტურები მაინც გარკვეულია: მასში მკაფიოდაა ნაჩვენები თავად-აზნაურობის, როგორც კლასის, და სამღვდელოების სრული დეგრადაცია, გახრწნილება. ისინი დამპალან და განწირულნი სამარცხვინოთ იხსნებიან ცხოვრების შემოქმედების გზიდან, ისევე, როგორც ის სოციალურ-პოლიტიკური წყობა, რომელმაც ისინი წარმოშვა. ამას გარდა საერთო პერსპექტივა საქართველოსი, სატირის პირველ ვარიანტშიც, ხოლო უფრო გამკვეთრებულად გადამუშავებულ მეორე ვარიანტში მოცემულია გარკვევით. სატირა მთავრდება შემდეგი სურათით: ზანდარის მოხსენების შემდეგ ბელზებულის და მისი ერთგული ქვეშევრდომნი გამარჯვებას დღესასწაულობენ — ყოყინით საქართველოსაკენ მიფრინავს ბელზებულის ამაღლა, რათა მოჰფინონ სიბილწე, „გახრწნან თვით ჰაერი, აქციონ მტვრად ერი“.

ამ დროს საქართველოს მთის მწვერვალები განათდება შორეული ალით. ამ სინათლის ფონზე გაჩნდება ორი დიდი და მძლავრი ფიგურა. ორივე იყურება იქით, საითაც ბელზებულის ამაღლა მიფრინავს, მათი პირით ავტორი გამოხატავს ხალხის და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრების პერსპექტივას:

ძველი იხრწნება, კნინდებ-ბერდება,
შორით მოისმის გრგვინვა ღმერთ-ხალხის
და ცისკიდური ალისფერდება!
ეს... მოდის ცეცხლი, ესდენ მგზნებარე,
რომ თვით ჯოჯოხეთს იგი ამოსწვამს!

დანაცრდებიან დამპალი ფესვნი,
მეფეთა ტახტნი დაინგრევიან,
ამაყ ღმერთების ურჩი ქედები
მონათ წინაშე დაიხრებიან!..!

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 175.

და კოტე მაყაშვილი, როგორც ჩვენი თერგდალეული მწერლები და XIX საუკუნის მოწინავე მოაზროვნე საზოგადოების უმრავლესობა ამ მშრომელთა გრგვინვას — ბრძოლას — რევოლუციას უკავშირებს. თავის სამშობლოს განთავისუფლებასაც.

და საქართველოც, ცეცხლის გზით მსვლელი,
გადივლის მწკავე განცდათ მწვერვალებს,
ახალ ცხოვრების პირველ განთიადს
იგი პირველი მოპყრავს მზე-თვლებს!

ასევეა სატირის „ემმაკი საქართველოში“ სხვა პოეტური მხარეებიც. სატირაში, უდავოდ, დადებითად უნდა ჩაითვალოს კოტე მაყაშვილის ცდა „ცალკე ტიპების ნაცვლად“ მკითხველს მისცეს ჯგუფები, ქართველი საზოგადოების კოლექტიური ნაწილები, როგორცაა: წვრილი თავადაზნაურობა, დიდ-დიდი მოხელენი, სარდლები, საიდუმლო მრჩეველნი, სამღვდლოება, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი. და უნდა ითქვას, ეს ჯგუფები მოცემულია. მართალია, სატირული ჰაპერბოლიზაციით, მაგრამ საკმარისი ტიპიური სიმკვეთრით, რეალური საღებავებით, რაც მძაფრ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

ამ მიმართულებით პოეტის ნაკლი ისაა, რომ მან სათანადო სისრულითა და სიმკვეთრით არ დაგვიხატა მუშა და გლეხი, მათი ისტორიული როლი დაწყებულ ბრძოლაში, აგრეთვე მან ვერ შენიშნა და სათანადოდ ვერ შეაფასა ინტელიგენციის ის ჯგუფი, რომელიც გაღვიძებულ მშრომელ ხალხს რაზმავდა, რევოლუციის გზას მშრომელ ხალხთან ერთად მტკიცედ ჰკვერავდა. ბელზებულის ციხესიმაგრეებს ანადგურებდა. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფების სათანადო განსახიერებაც აუცილებელი იყო, რაც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიან სურათს მისცემდა მკითხველს.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბელზებული და ზანდარი, როგორც ცალკეული ტიპები საკმარისი სრულყოფილობით არიან მოცულნი. ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ ი. — იმპერიალისტური მიწრაფებით გაუღენთილი თვითმპყრობელი, რეაქციის გამჩაღებელი, საშუალებას რომ არ არჩევს თავის მიზნის თუ სურვილის განხორციელებაში. ხოლო ზ ა ნ დ ა რ ი — მოქნილი, დაგეშილი კარიერისტი კარისკაცი-მოხელე, რომელიც ყველა ღონისძიებას იყენებს, რათა მბრძანებელის სურვილი განურჩევლად მაქსიმალური სიზუსტით შეასრუ-

¹ იქვე, გვ. 175.

ლოს, — უდავოდ, ნიჭიერადაა მოცემული სატირაში. ეს სახეები დღესაც არ ჰკარგავენ თავიანთ აქტუალურ მნიშვნელობას. დღესაც კვლავ ეს სახეები ცოცხალნი არიან, რომელთა საქმიანობისა და განწყობილების წინააღმდეგ ამხედრებულია გამოღვიძებული და ოვეოლუციურად განწყობილი კაცობრიობის უდიდესი ნაწილი.

კოტე მაყაშვილი, როგორც შემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას პერსონაჟის ტიპიზაციის მიზნით იყენებს ენას. ამა თუ იმ სახის შექმნისას ის ჩვეულებრივ პორტრეტის გარეგნულ მხარეებს კი არ ხატავს, არამედ სახის არსს ის ხსნის მისი მეტყველების საშუალებებითაც. ყოველ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს თავისი სპეციალურობის გამომხატველი ენა (ყარგონი), რასაც ადასტურებს ზენოზოყვანილი ნიმუშები სატირიდან „ეშმაკი საქართველოში“, რაც სატირას პუბლიცისტურ ხასიათს აძლევს.

სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ (და მთლად შემოქმედება-შიც) კოტე მაყაშვილისათვის დამახასიათებელია მოკლე, მარტივი, მკვეთრი, ლაპიდარული წინადადებების მოხდენილი ხმარება, რაც ზედმიწევნით ბუნებრივია და შეხამებული ქართული ენის ბუნებასთან და რაც პოეტის მეტყველებას მძლავრ ძარღვს და დინამიკას აძლევს.

კოტე მაყაშვილის ენა ხასიათდება არა მარტო ლაკონიური მეტყველებით, მაქსიმალური შეკუმშულობით, არამედ აგრეთვე ემოციონალობით, დინამიურობით, ცხოველი ჟღერადობით, იდეურობით. მას ახასიათებს მეტყველება მღელვარე, მღელვარე წყვეტილი, მეტყველება ბუნებრივი, მრავალმნიშვნელოვანი. ამით აიხსნება, რომ პოეტი ენაზე მუშაობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და მუყაითობდა კიდევ ამ მიმართულებით.

სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ კოტე მაყაშვილს ნიჭიერად აქვს გამოყენებული ქართული ლექსის ნაირ-ნაირი ზომის (4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 15 და 16 მარცვლოვანის) მოხდენილი ცვლა, რაც სატირას ანიჭებს დინამიურობას და საგრძნობლად ეხმარება ფაბულის ხალისიან გამლამო.

კოტე მაყაშვილს სატირაში დიდი ოსტატობით აქვს გამოყენებული როგორც პოეტური სემანტიკა (ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა და სხვ.), ისე შემოქმედების მთელი რიგი პოეტური ხერხები (კონტრასტი, მიმართვა, გამეორება, პარალელიზმები და სხვ.).

კოტე მაყაშვილის შემოქმედების პოეტიკის ყოველმხრივი შესწავლას თემა მოითხოვს ცალკე სპეციალურ გამოკვლევას და მკვლევარიც მადლიერ მასალას ჰპოებს მასში.

უადგილოდ და ზედმეტად არ მიგვაჩნია, კოტე მაყაშვილის ერთი პირადული ხასიათის ტკივილიც რომ აღვნიშნოთ.

ცნობილია, პოეტის ნიჭიცა და შემოქმედების უნარიც, აუცილებლივ, თხოულობენ საზრდოს ზრდისა და განვითარებისათვის. პოეტის ნიჭი, თუ ის ბელსაყრელ პირობებშია, უსათუოდ განიცდის ზრდას, ევოლუციას, წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტური ნიჭი დაქვეითდება, ჩაქრება, ყოველ შემთხვევაში, შეჩერდება, გაიყინება.

პოეტის ნიჭის ზრდას სხვა პირობებთან ერთად აგრეთვე ხელს უწყობს მკითხველთა წრისა და პოეტს შორის აქტუალური ურთიერთობა. მკითხველთა წრე პოეტისათვის ერთგვარი დამკვეთია. მკითხველთა წრის აქტუალური დამოკიდებულება პოეტის ნიჭს ამახვილებს, აესებს, ხვეწავს, აფართოებს, ახალი შემოქმედებისათვის იწვევს.

მკითხველის დაკვეთის აქტუალურ როლში, ჩვეულებრივ, გამოდის პრესა — ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც ყურადღებით ეხმაურება მწერლის პროდუქციას, ამჟღავნებს მის დადებით მხარეს თუ ნაკლს, ახალ მიღწევა-გამარჯვებას, თუ უკან დახევას. კრიტიკას არა მარტო მწერლის შემოქმედება დაჰყავს მკითხველთა მასამდე, არამედ თავისი მიუდგომელი ახსნა-შეფასებით თვით ავტორსაც აფხიზლებს, ამოქმედებს, უფრო მიზანშეწონილად ამუშავებს თავის თავზე. ამაშია დიდი საზოგადოებრივ-კულტურული როლი პრესისა — კრიტიკისა.

კოტე მაყაშვილის პოეტურ პროდუქციას, განსაკუთრებით მის სატირას „ეშმაკი საქართველოში“ ჩვენი პრესა-კრიტიკა მეტად პასიურად, თითქმის სრული დუმილით შეხვდა.

პოეტი თავის გულოსტკივილს, ამ გარემოებით გამოწვეულს, თავის განმარტებაში „ავტორისაგან“ ასე გამოხატავს: „დიდმა პრესამ, ოფიციალურმა კრიტიკამ... საუკეთესო იარაღად ჩასთვალა სრული იგნორაცია ჩემი... ნაფიც ლიტერატურულ კრიტიკას არას დროს ისეთი სამსახური არ გაუწევია ადამიანისათვის, როგორც გამიწია მე: ჩემს წინააღმდეგ ერთი გამოსვლის შემდეგ ის თავის-თვის იყო, მე კი ჩემთვის. ერთმანეთისათვის არაფერი დაგვივალეზია და არც რამე დაგვიკლია“.¹

პოეტი ამ გარემოებას, თითქოს, ხსნის იმით, რომ „სატირიკოსი არავის უყვარს, იმათაც კი, რომელნიც მას აქებენ და აქეზებენ“.²

¹ კ. მაყაშვილი, „ეშმაკი საქართველოში“, გვ. 14—15.

² იქვე, გვ. 15.

მწარე გამოცდილებით გულნატკენი პოეტი, უდავოდ, ერთგვარი მწუხარებით და ყრუ საყვედურით წერდა: „რაიმე პრეტენზია ვისიმე რაიმე სიყვარულის ან სიმპათიის არც მე მქონდა და არც მაქვს. მაგრამ მსურდა კი ყოველთვის, რომ გაგონილი ცყოფილიყავი. ამ სურვილს კი არა ვარ მოკლებული დღესაც“¹. კოტე მაყაშვილი განსაკუთრებით გულნატკენი იყო იმით, რომ „ამ მესამე სატირასაც („ემმაკი საქართველოში“.—მ. ზ.) პრესა თითქმის არ გამოეხმაურა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთების თქმით, ამ სატირამ აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება დასტოვა“².

მართლაც, უფრო „გრდემლის“ სარეცენზიო წერილებში სატირა „ემმაკი საქართველოში“ დადებითად იყო აღნიშნული, მაგრამ „ოფიციალურმა კრიტიკამ, დიდმა პრესამ“ ხმა არ ამოიღო.

კრიტიკოსი ხომლელი (რ. ფანცხავა) გამოეხმაურა სარეცენზიო წერილით სატირას „ემმაკი საქართველოში“ ჯერ კიდევ, როცა ის პირველად, 1912 წელს დაიბეჭდა უფრო „გრდემლში“. შემდეგ ხომლელს, როგორც ჩანს, თავისი აღფრთოვანება სატირით კოტე მაყაშვილისადმი პირად წერილშიც გამოუთქვამა. სამწუხაროდ, ხომლელის აღნიშნული წერილი კოტე მაყაშვილის არქივში არა ჩანს, სამაგიეროდ შემონახულია პოეტის საპასუხო წერილი (წერილს, სამწუხაროდ, დატა არ აზის). აი ეს წერილი:

„დიდად პატივცემულო ბატონო რომანოზ! მივიღე თქვენი წერილი, დიდ მადლობას გწირავთ ამისათვის, რადგან ამ წერილმა ნუგეშის სხივი შეისროლა ჩემს გულში. თქვენი აზრი ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მხოლოდ თქვენ დიდ გულკეთილობას მოწმობს. მე ღირსი არა ვარ დიდებულ აკაკის მემკვიდრეობისა. მეოცე საუკუნემ უხვად გამოჩეკა მთელი პლეადა ნიჭიერ მგოსანთა. ისინი გაინაწილებენ ჩვენი ბუმბერაზის მემკვიდრეობას, მხოლოდ კოტე მაყაშვილის სახელს ქართულ ლიტერატურაში საბუნებისმეტყველო მიზნით გამოჩნრეკავს რომელიმე მეცნიერი. მე ვიცი, თქვენი აზრი ჩემზედ. მე წავიკითხე თქვენი წერილი „შინაურ საქმეებში“ და ვგონებ „იმერეთში“. დიდი სიხარული განვიცადე მაშინ... მე მიხაროდა, რომ ერთმა თანამემამულეთაგანმა მაინც გაიგო ჩემი ზრახვა და გაიზიარა ჩემი გულის წუხილი. მოვიმარჯვე კალამი; მინდოდა მომეწერა თქვენთვის მადლობის, მხურვალე მადლობის წერილი, ბევრი რამ მეთქვა ჩემი სატირის შესახებ, მაგრამ ერთმა შხამიანმა

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 14.

აზრმა გამიელვა თავში: ვაი, თუ სცდება ხომლელი?! რატომ სხვამ არავინ ამოიღო ხმა? რატომ ამ სატირას, რომელიც რამდენიმე წელიწადი იწერებოდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია კრიტიკამ და საზოგადოებამ? იქნება, მართლა, სულელური, უნიჭოთა შესაფერი საქმე ჩავიდინე იმის დაწერით!..¹

აქ თავდება კოტე მაყაშვილის ლირიზმით აღსავსე წერილი ხომლელისადმი. შესაძლებელია, ავტორის მეტად მორიდებული ხასიათის გამო, ეს წერილიც კი არ იყო დანიშნულებისამებრ გაგზავნილი. მაგრამ ჩვენთვის ეს არაა არსებითი. ჩვენთვის საგულისხმოა ავტორის განწყობილება-განცდა. მეტად მწვავე, მქენჯნავი ტკივილებით ხვდება მკითხველის გულს პოეტის „შხამიანი აზრი“, თუ მტანჯველი, სულის სიღრმემდე დასული ეკვი: „ვაი, თუ სცდება ხომლელი?! რატომ სხვამ არავინ ამოიღო ხმა? რატომ ამ სატირას, რომელიც რამდენიმე წელიწადი იწერებოდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია კრიტიკამ, საზოგადოებამ? იქნება, მართლა, სულელური, უნიჭოთა შესაფერი საქმე ჩავიდინე იმის დაწერით?“ კოტე მაყაშვილი, სამწუხაროდ, ამ შხამიანი აზრითა თუ ეკვით ჩავიდა სამარეში.

პოეტის ეს „შხამიანი ეკვი“, თუ მისი საყვედური ქართული პრესისადმი თანამედროვე მკითხველს მძიმედ ხვდება გულში. თუ იმ ეპოქაში, როდესაც იწერებოდა კოტე მაყაშვილის სატირები და, კერძოდ, სატირა „ემმაკი საქართველოში“, ოფიციალური პრესისა და ლიტერატურული კრიტიკის სიჩუმე შეიძლება აიხსნას გარკვეული კანონზომიერებით: საზოგადოების პრივილეგიურ კლასთა ფენებმა სატირით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი; სატირაში გაკიცხულია პრივილეგიურ ფენათა განცდა, აზრი, მოქმედება; ამ ფენათა „წმიდათა წმიდა“ მოურიდელად, შეურიგებელი სიძულვილითაა სააშკარაოზე გამოტანილი. მაშინ პრესა ძირითადად ჯერ კიდევ პრივილეგიურ კლასთა ხელში იყო — მან უილაჯომ, უნიდაგომ ვერ შესძლო პირდაპირ შებრძოლებოდა სატირის მწვავე მათრახს და, როგორც თვითონ კოტე მაყაშვილიც წერს: „სიჩუმე ამჯობინა“.² ხოლო რაც შეეხება რევოლუციონურად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილის პრესას, რომელიც მაშინ მედგრად იბრძოდა ხალხთან, მუშა-გლეხებთან ერთად ძველი წყობილების დასამხობად, ბედნიერი, სამართლიანი, თავისუფალი ცხოვრების დასამკვიდრებლად, რომ არ გამოეხმაურა კოტე მაყაშვი-

1 საქართველოს სახელმწ. ლიტერატ. მუზეუმი, 5531—ბ—63.

2 იქვე, გვ. 16.

ლის სატირას „ეშმაკი საქართველოში“, ვფიქრობთ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს ჯგუფი სატირაში არამართებულად შეუფასებელია, ამ ჯგუფის საქმიანობა მეტად გაუბრალოებელია. ამ მიზეზის გამო ამ ჯგუფის პრესამაც, სატირა და სატირიკოსი არც ავად ახსენა და არც თავს იღო მათი დაცვა.

ახლა კი, ჩვენს დროში, დროა გავიგოთ კოტე შაყაშვილის მტანჯველი ტკივილები, დროა გავიგოთ და ღირსეულად დავაფასოთ მისი დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი დიდი მოქალაქეობრივი შეგნება, რამაც გააღვივა მისი გულისწყრომა, რომელმაც მას დააწერიან მრავალი ნიჟიერი ლექსი და ღრმა აღშფოთებით საესე სატირული თხზულებები.

სატირაში „ეშმაკი საქართველოში“, პოეტმა, როგორც დავინახეთ, გაბედულად, მოუბრძვლად მუქი რეალური საღებავებით გაკიცხა პრივილეგიური მოქმედი კლასების ფენების მავნებლური, უაზრო ქცევა-ცხოვრება, რაც ქვეყნის წინმსვლელობას ხელს უშლიდა, აბრკოლებდა, ქვეყანას უკან-უკან სწევდა, გადაგვარების გზით მიჰყავდა, ყიდდა თავის თავს, თავის ღირსებასა და ქონებას და სამშობლოს ნაწილ-ნაწილადაც, ბითუმადაც.

კოტე შაყაშვილი მთელი თავისი არსებით ენერგიულად და ნიჟიერად ებრძოდა და უარყოფდა ყველა იმას, რასაც ებრძოდა და უარყოფდა მოწინავე ქართველი საზოგადოება.

თავისი სატირებით კოტე შაყაშვილი მკითხველს მტკიცედ შთააგონებდა ამ ფენებისადმი შეურიგებელ ბრძოლას, მოუწოდებდა ყურად ელო „ღმერთ-ხალხის“ გრგვინვა, რომელიც ამოსწვამდა თვით ჯოჯოხეთსა, და საქართველოც „ცეცხლის გზით მსვლელი“ თავის „მზეთვალეებით მალე დაინახავდა კაცობრიობის და თავის იდეალის ხორცშესხმის სახეს“.¹

კოტე შაყაშვილის მთელი შემოქმედება, როგორც ღირიკული, ისე ეპიკური ნაწარმოებები, დაწერილია სისხლითა და ცრემლით, მრისხანებითა და ნაზი სიყვარულით სამშობლოსადმი. პოეტი ამეტყველებულია ქვეყნის უკეთესი, მაღალი სამართლიანი, ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისადმი გარდაუვალი დიდი ნდომით — იქნება ეს ალერსიანი მტანჯველი სევდით აღსაჯვ მისი ელეგია, თუ „გულისწყრომითა“ და „შურისძიებით“ გამოჭედილი მისი გაბედული სატირა.

კოტე შაყაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ ითვალისწინებთ, გარკვევით რწმუნდებით, რომ ის ხალხის კეთილდღეობის

¹ ი ქ ვ ე, გვ. 16.

სადარაჯოს არა სტოვებდა, მუხსასავით იღვამსზე მაგრად, წყნარად, „ავდარს ავდებდა არადა“. სამწუხაროდ, ის უდროოდ, ჯერ კიდევ ბევრის მთქმელი და გამკეთებელი, უცვლელი და უდრეკელი დაიწვა და დაიფერფლა ხალხის — სამშობლოს ბედნიერი ყოფის ძიების სადარაჯოზე და ანდერძიც სხვათა სამოძღვროდ, ხოლო მისთვის შესაფერი დაგვიტოვა:

განქრობა... მორიგი ლეში... ეს ვიცი მე!
ეწუხნავ ვერ დავშრიტე სიცოცხლის წყურვილი...
შემინდეთ წყენა თუ მიმყება ვისიმე,
შემინდეთ ეს უკანასკნელი სურვილიც:
რა გული შეჩერდეს მტკივნეულ კენესაში
და თვალნი გაცივდნენ უცნობის მზერაში,
ნუ ჩამდებთ კუბოში, ნუ ჰგოდებთ პრესაში,
საოცარს ნუ ეძებთ ჩემს ბედის წერაში...
ტირილი, სიტყვები, ტრაური აპკაძალეთ.
შესწყვიტეთ კამათი ჩემს მაღალ მიზნებზე...
ამართვით გული და დასკერით... დაკრძალეთ
სამშობლოს შუა გულს, ყველა მის მიჯნებზე.
დამწვით მე კოცონზე ზვიად მთათ არეში,
დე, კვამლი ავარდეს ვარსკვლავთა რიდემდე!
აილეთ ფერფლი და საყვარელ მხარეში
ის მიმოაბნით კიდიით კიდემდე: -
რომ ჩემი მშობელი შევიგრძნო მთლიანად,
ფერფლითაც დედის მკერდს ვეჭავშნო. ვეფარო...
ყველა მის ტკივილებს რომ აღერსიანად
გამკურნავ მაღამოდ ზედ გადავეფარო!..
რომ გულის თესლებმა ფესვები გაიდგან
და ერის საღებნოდ აჰყვავდნენ ქნარებად —
მტერიც ვერ მოუდგეს მაშინ ვერსაიდან,
განცდის უამს აბგერდნენ განგამის ზარებად!

რაოდენი ძალა, უბიწო სინაზე, სიღრმე და გულწრფელობაა ჩაქსოვილი ამ ანდერძში! რა დიდ საპატიო სიმადლეზეა აყვანილი კოტე მაყაშვილის მიერ ამ „ანდერძში“ სამშობლოსადმი სიყვარული! რა ყველაფრის შემწირავ, დიდ გრძნობადა დასახული მოქალაქსათვის პატრიოტული გრძნობა!

* * *

კოტე მაყაშვილი ჩვენი ისტორიის შარა გზაზე მოჩანს როგორც ნისლშემორტყმული გიგანტი. თუ ის, ერთი მხრით, თავის ლირიკულ ლექსებში მწარედ კენისის, ოხრავს, არსებული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით შევიწროებული ხალხის ცხოვრების

გამო, მეორე მხრით ის თავის სატირებში გააფთრებული ცეცხლს აფრქვევს, იბრძვის არსებულის, დამონების ბორკილების დასამსხვრევად ახედავს.

კოტე მაყაშვილი მთელი თავისი მოღვაწეობით იბრძვის ყოველი ძალმომრეობის, ჩაგვრის, შევიწროების წინააღმდეგ, რაც კი შედეგია ძლიერ სახელმწიფოთა იმპერიალისტური სულისკვეთებისა და რაც მან ასე ნიჭიერად, გაბედულად დათრგუნა ბელზებულისა და მისი ერთგული ქვეშევრდომების ვერაგული საქციელის რეალური, მკვეთრი ჩვენებით.

ამიტომაც კოტე მაყაშვილი არ ეკუთვნის წარსულს. კოტე მაყაშვილი დღესაც ჩვენთან არის, ჩვენთან იბრძვის ყველა ხალხთათვის, კაცობრიობისათვის მშვიდობის, მეგობრობის, თავისუფლებისა და თანასწორობის ბედნიერი ცხოვრების დამყარება-განმტკიცებისათვის.

დღესაც ხომ საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება ბრძოლა ძველი ქვეყნის მტრულ ძალებთან, რომელნიც ყველა საშუალებას ხმარობენ შეაფერხონ კაცობრიობის წინმსვლელობა ბედნიერი, თავისუფალი, სამართლიანი ცხოვრების განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლაშიც კოტე მაყაშვილი რჩება ჩვენ თანამშრომლად.

კოტე მაყაშვილის სატირა „ეშმაკი საქართველოში“ დღესაც მოქმედებს როგორც მწარე მათრახი წინააღმდეგ ყოველივე წარმავლისა, უპრინციპობისა, უსამართლობისა, რეაქციონერობისა, რაც ხელს უშლის ახალი საზოგადოებრივი ყოფის შექმნა-განმტკიცებას.

კოტე მაყაშვილი მიეკუთვნება იმ კატეგორიის კაცთ, რომელთაც შთამომავლობისაგან თამამად ეთქმის: „მოკვდა და თავისი ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვლარიო“.

* * *

ჩვენი კულტურის ყოველი მკვლევარი საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის დანისლულ ასპარეზზე მრავლად ხედება მაღალი პატრიოტული გრძნობით აღჭურვილ ქართველს, რომელნიც მოკრძალებით, რაღაც წმინდა სასოებით უცქერდნენ თავის სამშობლოს, როგორც წმინდა ეროვნულ სასახლეს, რომლის გამშვენიერებისა და გაძლიერების სამსახურში ხედავდნენ თავიანთი ცხოვრების არსსა და დანიშნულებას.

ეს ადამიანები, აღფრთოვანებულნი ამ დიდი გრძნობით, თავისი ძალების დაუზოგველი გამოყენებით უანგაროდ ამტკიცებდნენ სამ-

შობლო ქვეყნის საფუძვლებს, არავისა და არაფერს ერიდებოდნენ, არაფერს ზოგავდნენ, პირად სიცოცხლესაც კი მისთვის სწვავდნენ. ამის მკვერმეტყველური დადასტურებაა ის უამრავი შესანიშნავი ძეგლებიც, რომლებითაც მოქედლილა საქართველოს არა მარტო ზედაპირი; არამედ მისი მიწის სიღრმეც, რასაც ასე დამაჯერებლად გვიმოწმებს ამ უკანასკნელ წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები.

ამ ადამიანთა დიდმა სიყვარულმა დღევანდლამდე შეინახა აგრეთვე საქართველოს კერა, ქართული კულტურა, ქართველი ხალხი.

სამწუხაროდ, ბევრი მათგანი სათანადოდ დაუფასებელი დარჩა. ზოგი მათგანი შემდეგმა თაობებმა დავიწყებას მისცა, რაც, რა თქმა უნდა, არც მართებულია და არც სასარგებლო ერის ისტორიული განვითარებისათვის.

ახალმა თაობებმა უნდა ზედმიწევნით იცოდნენ ჩვენი წარსული, მით უმეტეს ახლო წარსული; მათ წარსულის სალი საფუძვლების ცოდნა და გამოყენება უნდა შეეძლოთ; მათ წარსულსა და აწმყოს ჭანსალი მოვლენები თუ პიროვნებები უნდა ზრდიდნენ, უკეთესი მომავლის სურვილებს უნდა უნერგავდნენ და უღვივებდნენ.

ამიტომ საჭიროდ და სამართლიანად მიგვაჩნია ამ თითქმის მივიწყებული მწერლებისა და მოღვაწეების სახის შესწავლა, გამომჟღავნება, შეძლებისდაგვარად მათი შეფასება არა მარტო როგორც ერთგვარი პატივისცემა მათდამი, მათი მოღვაწეობისადმი, არამედ როგორც ჩვენი წარსულისა და აწმყოს გაერთიანებული კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ცოცხალი ელემენტის.

კოტე მაყაშვილიც ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია, რომლის როგორც პრაქტიკული, ისე ლიტერატურული მოღვაწეობა ამდიდრებდა — აესებდა ჩვენი კულტურის საღაროს, უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენი ერის წინმსვლელობის საქმეს.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება კოტე მაყაშვილის შემოქმედების სრული გამოცემა.

პოეტის არქივში, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში რომ ინახება, არის საგრძნობი საინტერესო მასალა, რომელსაც ჯერ არ უნახავს შუქი. ვფიქრობთ, საჭიროა კოტე მაყაშვილის შემოქმედება მთლიანად დაიბეჭდოს, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს მკითხველისათვის. ამას მოითხოვს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ინტერესები, ამასვე გვავალებს მწერლისადმი სათანადო პატივისცემა.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ მოკლედ, მხოლოდ არსებით ხაზ-ებში განვიხილეთ კოტე მაყაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. დეე, სხვა მკვლევარებმა უფრო სისრულით გააშუქონ მწერლის დამსახურება და ღირსება. ჩვენი ეს შცირე ნარკვევი კი თუნდ ბიძგი იყოს ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ამ ხარვეზის შევსების საქ-მეში.¹

¹ „რომანტიზმის დეკადანსი ქართულ ლიტერატურაში“ (და მისი წარმომად-გენლების — ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელის, გრიგოლ აბაშიძისა და კოტე მაყაშვილის შემოქმედება) მიეკუთვნება ქართული ლიტერატურის ისტო-რიის შემდეგ ეტაპს, მაგრამ რედაქციამ შესაძლებლად ჩათვალა ეს ნაწილი წინა-მდებარე ტომში შეეტანა ქართული რომანტიზმისა და მის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვის შემდეგ. რ ე დ.

პირთა სპივნებლი

ა

- აბაშიძე გრიგოლ (გრიშა), ფსევდონიმები „ეინშე“, „თირელი“, „მენავე“, „შროშანა“, 24, 38, 328, 369, 388, 406—414, 417—431, 433—435, 438, 456, 478
- აბაშიძე დავით (გრ. აბაშიძის მამა) 405
- აბაშიძე კიტა 208, 209
- აბაშიძე კოკი 406—408, 411
- აბდუშელიშვილი ვასილ 12
- აბელიშვილი ნიკოლოზ (კიკო), კოტე მაცაშვილის დედის ძმა 445
- აბელიშვილი ნინო (კოტე მაცაშვილის დედა) 443
- აბულაძე იუსტინე 8
- აგლობეიო ტასო 252
- ავალიანი გ. 8
- ავალიშვილი გიორგი 120, 128, 132
- ავალიშვილი მაია (ალ. ჭავჭავაძის დედა) 170, 171
- ავთანდილოვი 81, 82, 309
- ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი) 29, 30, 63, 96, 171
- ალექსანდრე III (რუსეთის იმპერატორი) 441
- ალექსი-მესხიშვილი (დეკანოზი) 211
- ალექსი-მესხიშვილი ეფრემ 267
- ალექსი-მესხიშვილი ტარასი 309
- ალისულთან (ავარიის ხანი) 218
- ალიხანოვ-ავარსკი (დამსჯელი ექსპედიციის მეთაური) 493
- ამილახვარი ალექსანდრე დიმიტრის ძე 93—94
- ამილახვარი ოთარ რევაზის ძე 308
- ამილახვარი 128
- ამირეჯიბი 128
- ანა დედოფალი 132
- ანტონ კათალოკოსი 105, 129, 155, 156, 318, 324
- ანტონოვი ზურაბ 329
- არაგვისპირელი შიო 23
- არდაზიანი ლავრენტი 328
- არსენევი (პოლკოვნიკი) 363
- არსენ ივალთოელი 154
- არჩილ მეფე 60, 92, 170, 245
- ასათიანი ლ. 95
- აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე 79, 85
- აღალაროვი 252
- აღა-მაჰმად-ხანი 93, 210, 293—295
- ახნაზაროვი არტემ, ფსევდონიმი „ორანი“ 26, 254, 384, 385

ბ

- ბაბალე (დიდიან-გურიელების ნამოახლარი) 366, 367
- ბაგრატიონი დავით გიორგის ძე 93, 94
- ბაგრატიონი იოანე 19, 35, 36, 84, 85, 92, 94—114, 116—120, 122—125, 127—129, 132, 323

პაირონი 43, 57, 84, 263, 274, 282, 286,
293, 400
ბალზაკი 445
ბარათაევი—ბარათაშვილი მ. პ. 300
ბარათაშვილი ზაალ 167
ბარათაშვილი მამუკა 58
ბარათაშვილი მელიტონ (ნიკ. ბარათა-
შვილის მამა) 163, 265
ბარათაშვილი ნიკოლოზ 16, 19, 36, 44,
58, 66, 84, 87, 102, 159, 163, 167,
206, 261—294, 298—306, 323, 328,
342, 450—458, 463, 466
ბარათაშვილი საამ 167
ბარამიძე ალ. 26, 99, 103, 104
ბარკლაი დე ტოლი 172
ბატონიშვილები:
ალექსანდრე 35, 78, 128, 187, 308,
309
ბაგრატ 132
დომიტრი 77, 78, 132, 167, 212, 308,
333
ვახტანგ 158
ვახუშტი 5, 156
თამარ 308—310
თეიმურაზ 132, 307, 308, 310, 311,
314
თეკლე 36, 167, 309, 331
იოანე იხ. ბაგრატიონი იოანე
იულონი 35, 71, 78
მირიან 128
ოქროპირი 77, 132, 146, 147, 212
ფარნაოზ 71, 132, 171, 196
ქეთევან 36, 167
ბატიუშკოვი ფ., Батюшков Ф. 45, 46
ბაუმეისტერი 94, 155
ბაჩანა 25
ბელინსკი 9, 25
ბერძენიშვილი ნ. 95
ბესიკი 58, 60, 170, 174, 179, 181, 205,
207, 224, 228, 243, 245, 253, 276,
277, 311, 312
ბეჩარა 179
ბილანიშვილი შაქრო 471
ბიურგერი 57

ბობორიკინი პ. 10
ბრიუსოვი ვ. 10
ბუალო 48, 49, 55
ბუტალ-ოლლანი 179

ბ

გაბაშვილი ეკ. 20, 26, 449, 451, 473, 528
გაბაშვილი თამარ (კოტე მაყაშვილის მე-
ულლე) 449, 451, 460
გაბუნია სილოვან 9
გაღღეცკი 215
გაიოზ რექტორი 156
გამყრელიძე ივანე ევლოკიმეს ძე (გიმ-
ნაზიის ინსპექტორი) 448
გარსევანიშვილი იასე 93
გერცენი ალექსანდრე 165
გეტმანი გიორგი 13
გიგინეიშვილი (მღვდელი—მამია გურიე-
ლის მასწავლებელი) 362
გილიაროვსკი ვ. 10
გიორგი V (გურიის მთავარი) 360
გიორგი XII 85, 92—97, 116
გნედიჩი 401
გოგებაშვილი იაკობ 20
გოგლინიძე სიმონ 12
გოეთე 50, 263
გოზალიშვილი გ. 136, 147, 163, 164,
308
გორგაძე ს. 268
გორდევეი, ღარდგეივი 157—159
გორკი მ. 440
გოცაძე მ. 88, 90, 268, 307
გრიბოედოვი ა. 89, 168, 311
გრიმები 58
გრიშაშვილი ი. 26, 172, 173, 178, 179,
182, 186, 187, 205, 250, 254
გრუზინსკი ალ. 9
გუგუშვილი პაატა 26, 88, 90
გურამიშვილი დავით 58, 60, 61, 90, 145,
146, 170, 318, 475
გურიელი გრიგოლ 267
გურიელი დავით (მამია გურიელის მამა)
361, 363, 364
გურიელი დავით მამიას ძე 360
გურიელი ეკატერინე (მამია გურიელის
დედა) 360

კურიელი ელენორა (მამია გურიელის
რძალი) 359, 361, 366, 381
გურიელი იედით (მამია გურიელის და)
362
გურიელი კახაბერ (მამია გურიელის ვა-
ჟი) 365, 368
გურიელი მამია 24, 38, 328, 329, 359—
—404, 418, 478
გურიელი მამია სიმონის ძე (გურიის უკა-
ნასკნელი მთავარი) 360
გურიელი ჯაბა (მამია გურიელის ძმა)
359, 362, 365, 366

დ

დადიანი ეკატერინე იხ. გურიელი ეკა-
ტერინე
დადიანი ნიკო (მამია გურიელის პაპა)
360
დადიანი პეტრე (მამია გურიელის ბიძა)
383
დადვაძე პ. 8
დავით რეპტორი 94
დეკანოზიძე თ. 9
დემენტიევი (ნ. ბარათაშვილის მასწავ-
ლებელი) 267, 289
დერჟაინი 58, 168
დიასამიძე სანდრო 471, 472
დიუმა 445
დობროლიუბოვი 19
დოდაშვილი სოლომონ, დოდაევი,
Додаев-Магарский 19, 36, 77, 78,
83, 84, 88—90, 102, 117, 130—166,
212, 265—267, 302, 310, 320, 363

დოდაშვილი სტეფანე (სოლომონ დოდა-
შვილის ძმა) 149
დონდუა დავით 12
დოსტოია 179

ე

ებერსი 446
ეცდოშვილი ირ. 40
ეკატერინე II (რუსეთის იმპერატორი)
85—86, 94, 168, 185
ელენე (ერეკლე II ასული) 210
ერეკლე II, ერეკლე მეფე, პატარა კახი,

მეფე ირაკლი 30, 66, 92, 95, 110,
155, 157, 234, 253, 293—295, 300,
307, 313, 314, 325, 331, 337, 338,
343

ერისთავი 68, 212
ერისთავი გ. 36, 77, 78, 89, 90, 145,
163, 212, 268, 309, 328
ერისთავი დიმიტრი 309
ერისთავი ელიზბარ 71, 77, 82, 89, 145,
309
ერისთავი იასე 156
Эристов Кола 221
ერისთავი რაფ. 20, 370, 371, 408, 409
ერისთავი შალვა 145
ერმოლოვი 172, 265
ეფემია (ნიკ. ბარათაშვილის დედა) 239,
266
ეფრემ მცირე 154
ექვთიმე 154

ვ

ვაჟა-ფშაველა 22, 23, 38, 460
ვანძაძე სიმონ 12
ვახტანგ VI 60, 92, 170
ვერმიცანაშვილი დათიკო 396, 397
ვეფხვაძე ტრეენტო 12
ვახუშტისკი 43
„ვინმე“ იხ. აბაშიძე გრიგოლ
ვოლტერი 93, 94, 101, 113, 169, 205
ვოლხოვსკი (გენერალ-მაიორი) 236
ვორონცოვი მ. ს. (მეფისნაცვალ) 32,
33, 216, 363

ზ

ზაალიშვილი თამარ 12
ზაველესკი 303
ზანგი („ცნობის ფურცლის“ თანამშრო-
მელი) 411, 412
ზანდუკელი ბეჟან (მის. ზანდუკელის
ძმა) 5
ზანდუკელი ზურაბ (მის. ზანდუკელის
ძმა) 5
ზანდუკელი მიხეილ 5—18, 20—27, 29
ზედგინიძე იაკობ 12
ზურაბიშვილი ილია 26

თ

თავდგირიძე ივლითი (მამია გურიელის დისწული) 361
 თავდგირიძე ნიკო 410, 411
 თავზიშვილი გიორგი 26
 თამარ მეფე 154, 155, 232, 340
 თარხნიშვილი თამარ (კოტე მაცაშვილის და) 443, 448
 თაქთაქიშვილი მიხ. 13
 თაყაიშვილი ექვთიმე 6, 7
 თეიმურაზ I 60, 155, 170, 245, 311
 თეიმურაზ II 60, 170, 245, 311
 თეოფილე 154
 „თირელი“ იხ. აბაშიძე გრიგოლ.
 თუმანიშვილი გიორგი 36, 167
 თუმანიშვილი დავით 36, 167
 თუმანიშვილი დიმიტრი 36, 167
 თუმანიშვილი მიხ. 160, 267, 268, 282

ო

ოაშვილი სეით 6
 ილინსკი 270
 ინგოროყვა პ. 79, 226, 227, 236, 268
 ი. ნ—ლი 396, 398
 იოანე ბოდბელი (მაცაშვილი) 131
 იოანე პეტრეწი 154
 იოსელიანი გიორგი 6
 იოსელიანი ეგნატე 265
 იოსელიანი პლ. 89, 90, 94
 ირაკლი მეფე იხ. ერეკლე II
 იყალთოელი არსენ იხ. არსენ იყალთოელი

კ

კამბეჩუაშვილი გიგუცა 187
 კარაშინი 224, 225, 445
 კარბელაშვილი პოლ. 305, 307, 310, 311
 კარიკაშვილი დავით 6
 კასო (განათლების მინისტრი) 10
 კეკელიძე კორნელი 14, 27, 99, 103, 104
 კიკნაძე ფილადელფოს 78, 212
 კლდიაშვილი დავ. 25, 109
 კნოროინგი (გენერალ-ლეიტენანტი) 186
 210
 კონდილიაკი 98

კოპბე 433
 კორნელი 49, 169, 205
 კორძაია ნ. 26
 კრილოვი ი. 170, 311
 კრონბერგი ივანე იაკობის ძე 137
 Кукольник В. 212
 კუნძუას ძმა 253

ლ

ლაზარევი 210
 ლალიონი იხ. მამულაიშვილი არსენ
 ლასხიშვილი გიორგი 471
 ლაფონტენი 169, 205
 ლეიზევიცი 159
 ლენინი ვ. ი. 39, 326
 ლერმონტოვი მ. 43, 57, 58, 268, 274, 281, 282, 286, 287, 293, 306, 400, 433, 463
 ლესინგი 51
 ლილო 50
 ლოდი პეტრე დიმიტრის ძე 134
 ლორთქიფანიძე კირილე 359, 361, 366, 368, 370, 371, 374, 376, 386, 392, 393, 395, 401
 ლომოური ნიკო 20, 38
 ლომონოსოვი 168
 ლუდოვიკო XIV 94
 ლუნაჩარსკი ა., Луначарский А. 262, 263

მ

მაკიაველი 365
 მაჟფერსონი 58
 მამაკაშვილი კონსტანტინე 87, 265, 266, 271
 მამულაიშვილი არსენ (ლალიონი) 6
 მარიჭანი 453
 მარლენსკი 43, 58
 მაღალაშვილი ეკატერინე (მიხ. ზანდუკელის დედა) 5
 მაცაშვილი ანიკო (კოტე მაცაშვილის და) 443, 447
 მაცაშვილი ბარბარე (კოტე მაცაშვილის და) 443, 446

მაყაშვილი ევგენია (კოტე მაყაშვილის და) 443, 446
მაყაშვილი ზაქარია (შაქრიკო) 442, 443
მაყაშვილი თამარ იხ. თარხნიშვილი თამარ
მაყაშვილი ილია (კოტე მაყაშვილის ძმა) 443, 444, 449
მაყაშვილი იოანე იხ. იოანე ბოდბელი
მაყაშვილი იოსები (კოტე მაყაშვილის ძმა) 443, 444
მაყაშვილი კოტე 7, 24, 25, 439, 442—532. 534—570
მაყაშვილი კონსტანტინე 444
მაყაშვილი სოლომონ (კოტე მაყაშვილის ძმა) 443, 444
მაჩაბელი დავით 90, 160, 268
მგალობლიშვილი სოფრომ 20, 38, 522
მდივანი ალექსანდრე 6
მეგრელი დუტუ 406, 407
მეითარი-თარხნიშვილი სოლომონ 265
მელიქიშვილი იოსებ 167
მელიქიშვილი ლევან 266, 270—272
მელიქიშვილი მარია (მამია გურიელის მეუღლე) 364
„მენავე“ იხ. აბაშიძე გრიგოლ
მენშიკოვი (შავი ზღვის პოლკის ოფიცერი) 369
მესხი სერგი 130, 131, 523
მეუნარგია იონა 172, 210—212, 214, 217, 219—223, 229, 237, 267, 270, 360—363. 366, 367, 377, 381
მეფარიშვილი ლ. 8
მილერი ვ. 18
მირიანაშვილი პეტრე 242
მირსკი 219, 220, 252
მიქაბერიძე ალექსანდრე 26
მიტკეიჩი ადამ 267, 288, 289, 318
მიხეილ ნიკოლოზის ძე (დიდი მთავარი) 216
მთვარელიშვილი ნიკო 6
მოლიერი 49
მონადირაშვილი იოსებ 6
მონტესკიე 94, 101, 113
მური თომას 400
მუსტაფა ხანი 172

მუხრან-ბატონი გრიგოლ, მუხრანსკი გიორგი 128, 252

6

ნათაძე ალექსანდრე 6
ნათაძე გრიგოლ 14
ნათიშვილი გიორგი (ერტე) 446—448, 497
ნაკაშიძე თ. 26
ნაპოლეონ ბონაპარტე 172, 287
ნემიროვიჩ-დანჩენკო ვ. 10
ნიკოლაძე ნიკო 20, 523
ნიკოლოზ I (რუსეთის იმპერატორი) 62—64, 86, 145, 165, 173, 186, 234—236, 268, 310, 360
ნინოშვილი ეგნატე 25, 40
ნიჟარაძე ივანე 12
ნოვალისი 43, 56, 240, 241, 274, 282, 283
ნ—ძირელი (გახეთ „ივერიის“ თანამშრომელი) 419, 424, 425. 428, 429

მ

მოდვესკი 205
„ორ-ანი“ იხ. ახნაზაროვი არტემ
ორბელიანი ალექსანდრე 77, 78, 81, 82, 89, 212, 222, 268, 309
ორბელიანი გრიგოლ 16, 19, 26, 35, 36, 44, 58, 79, 80, 83, 84, 87, 102, 159, 160, 163. 206—261, 265, 266, 268—272, 276, 285, 288, 328, 240, 386, 413, 456, 460, 466
ორბელიანი დიმიტრი (ზურაბი) გრ. ორბელიანის მამა 210
ორბელიანი დიმიტრი 81, 82, 212, 222, 309
ორბელიანი დიმიტრი (პოეტ ვახტანგ ორბელიანის ძმა) 331
ორბელიანი ელიზბარ 78, 212
ორბელიანი ვანო 217, 220
ორბელიანი ვახტანგ 24, 38, 77, 78, 81, 82, 146, 267, 309, 328—356, 358, 456, 478

ორბელიანი ვახტანგ (ვახტანგ ორბელი-
ანის მამა. თეკლე ბატონიშვილის მეუღ-
ლე) 331

ორბელიანი ზაალ 362

ორბელიანი ზაალის ასული (მამია გუ-
რიელის ბებია) 362

ორბელიანი ზაქარია (გრ. ორბელიანის
ძმა) 215 216, 218, 304

ორბელიანი თამაზ 72, 73

ორბელიანი ილია (გრ. ორბელიანის ძმა)
215, 216, 218, 267, 288

ორბელიანი ლუარსაბ 82

ორბელიანი მაიკო 274, 275

ორბელიანი მამუკა 272

ორბელიანი მანანა 159

ორბელიანი სოფიო 228, 230

ორბელიანი სულხან-საბა 61, 156, 170,
451

ორლოვი (გენერალ-ადიუტანტი) 213, 232
ოსიანი 58

ბ

ბავლე I (რუსეთის იმპერატორი) 63, 86,
213

ბასკევიჩი (მთავარმართებელი) 88, 265

ბატარა კახი იხ. ერეკლე II

ბატუმინი (პოტიომკინი) 216

ბაულუჩი 72, 73, 171

ბეროვსკი ალექსი ალექსის ძე 134, 136

ბეტრაშევსკი 268

ბეტრე I (რუსეთის იმპერატორი) 213,
300

პეტრიწი იოანე იხ. იოანე პეტრიწი

პლეშჩევი 268, 433

პოლევიო ნ. 135

პოზენი 270

პრინცი ა. პ. 219

პრიულომი 433

პუგაჩოვი ემელიანე 318

პუმპიანსკი ლ. ვ., Пумпянский Л. В.
49—51

პუშკინი ა. ს. 43, 57, 58, 89, 99, 160,
170, 205, 263, 300, 306, 311, 318

ქ

ქორდანია გიორგი თედოს ძე 9

ქორე ზანდი 445

ქუკოვსკი 43, 57, 58, 224, 233, 240, 241,
274, 276, 282

რ

რადიშჩევი 64

რაევსკი ნ. 172

რაზიკაშვილი თედო 25

რაზმაძე ალექსანდრე (სოლ. რაზმაძის
შვილი, მოსკოვის კონსერვატორიის
პროფესორი) 210

რაზმაძე ივანე (სოლ. რაზმაძის მამა) 307:
რაზმაძე სოლ. 19, 36, 77, 78, 90, 102,
160, 288, 307—314, 316—320

რასინი 49, 169, 205

რაციშვილი ივანე 6, 12

რევიშვილი ლავრ. 410

რილი მაინ 446

რილევი კონდრატე 163, 214, 227

რიჩარდსონი 50

როზანოვი მ. 9

რევესკი ვაცლავ 288

რუდოლფი 11

რუსთაველი შ. 155, 170, 222, 263, 313

რუსო ჟან-ჟაკ 43, 51—53, 94, 95, 282

რუხაძე ტ. 94

ს

საგინაშვილი ალ. 265

საგინაშვილი გ. 265

სავათნავა იხ. საიათნოვა

საიათნოვა, სავათნავა 175, 178, 179,
207, 228, 229, 245, 250, 253

საკუტინი პ. 9, 18.

სალომე (ალ. ჭავჭავაძის მეუღლე) 230

სალტიკოვ-შჩედრინი 440

სანკოვსკი პ. 89

სარგის თმოგველი 154

სახოკია თედო 26

სიმონიჩი (გენერალ-მაიორი) 308, 309,
311

სიპიაგინი (გუბერნატორი) 89, 142
სირაძე მალაქია 12
სიხარულიძე შ. 8
სკანდარნოვი 323
სკოტი ვალტერ 43, 58, 446
ს. შ. 401
სპირდინი ა. ფ. 137
სპერანსკი მ. 9, 11
სოლოგუბი 400
სოლომონი (იმერეთის მეფე) 110
სოლომონ მსაჯული (ლიონიძე) 293, 294
სოსიკო 252
სტაროსელსკი 252
სტერნი 50
სტეფანე მკერვალი 159
სტეფანოსი 179
სტრეკალოვი (გენერალ-ადიუტანტი) 303
სულთან-გირეი 252
სუმაროკოვი 168
სუმბათაშვილი-იუენი ალ. 9, 10
სუმბათაშვილი (პოლკოვნიკი) 213
სურგულაძე პეტრე 471

ტ

ტარიქისძე ივანე 154
ტატიშვილი იოსებ 9
ტატო იხ. ბარათაშვილი ნიკოლოზ
ტიკი 43, 56, 240, 276, 281, 282
ტიტოვი ვ. 135
ტომელნი. ჯემს 50
ტორმასოვი (გენერალი) 10, 73, 263, 268,
305, 433
ტრედიაკოვსკი 58
ტუგან-ბარანოვსკი მ. 62

უ

უკრაინკა ლესია 8
უმიკაშვილი პეტრე 335

ფ

ფაზელი იხ. გურიელი მამია
ფაულენიშვილი ლევან 447, 448
ფალავანდიშვილი ი. 81, 82, 212
ფალავანდიშვილი მიხ. 265

ფალავანდიშვილი ნიკ. 265
ფანცხავა რ., ხომლედი 564, 565
ფარნაოზ მეფე 153, 234
ფალავა აკაკი 9
ფერგიუსონი ადამ 98
ფირცხალავა სამსონ 471
ფონეზინი დ. 168, 311, 318, 319
ფრანგიშვილი ვ. 98, 104, 105
ფრიჩე ვ. 18
ფრონელი ალ. 66, 71, 73, 76
ფურცელაძე ან. 109

ჭ

ჭობულაშვილი თამაზ 36, 167
ჭობულაშვილი ოთარ 36, 167
ჭუთელია ა. 136, 147

ღ

ღარღეიევი იხ. გორღეევი

ყ

ყაზბეგი ალ. 38
ყარაშვილი ანდრია 7, 457
ყალოიანი ბლადასარა 179
ყიფიანი დიმ. 80—82, 87, 271, 303, 305, 332, 333
ყორღანოვი დ. 268

შ

შაპილი 209, 217, 303
შაში მელქო 179
შანიძე აკ. 26
შატობრიანი 43, 56, 58, 274, 282
შახესკოი 252
შელინგი 54, 59
შექსპირი 159
შილერი 263, 433
შლეგელები 43, 58
„შროშანა“ იხ. აბაშიძე გრიგოლ

ჩ

ჩახრუხაძე 154
ჩერნიშევსკი 19, 25

ჩერნიშოვი 270
ჩილაევი (კილაშვილი) 252
ჩატაძე შიო 6, 8
ჩოლოყაშვილი ბიძინა 145
ჩხეიძე ანა 26
ჩხიკვაძე ზაქარია 6, 7

ც

ციციანოვი 95
ციციშვილი დავით ესტატეს ძე 94, 95
ციციშვილი დიმ. 156

წ

წერეთელი აკაკი 10, 20, 26, 37, 184,
255, 328, 329, 342, 349, 355, 356,
375, 383, 387, 389, 401, 404, 405,
408, 413, 416, 419, 420, 424, 427,
434, 450, 471, 473, 478, 480, 498,
505, 522, 523, 564
წერეთელი ბეჟან 408
წერეთელი გიორგი 20, 109, 523
წულუკიძე სოფიო (გურიის მთაერინა)
360

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 16, 19, 35, 36,
44, 76, 82, 84, 89, 102, 128, 160,
167—178, 180—207, 224, 228, 230,
243, 244, 253, 258, 265, 268, 276,
277, 284, 285, 312, 329, 413, 456,
480
ჭავჭავაძე გარსევან 120, 128, 168, 170,
171
ჭავჭავაძე ეკ. 228, 229
ჭავჭავაძე ილია 5—7, 9, 16, 17, 19—21,
26, 31, 32, 37, 109, 130, 133, 166,
184, 202, 254—257, 292, 303, 326—
—330, 332, 342, 348, 349, 351, 355,
356, 358, 383, 387, 389, 401, 404,
405, 419, 420, 424, 425, 427, 433,
450, 460, 461, 471, 473, 475, 478,
480, 505, 506, 510, 522, 523, 525,
542, 546

ჭავჭავაძე მაია იხ. ავალიშვილი მაია

ჭავჭავაძე ნინო 228, 229
ჭალადიდელი გიორგი 20, 52
ჭილაია ს. 333
ჭიქინაძე ზაქარია 256—267
ჭონქაძე დან. 26, 38, 328
ჭუმბურჩიძე ქ. 234
ჭყონია მირიან 361

ხ

ხახანაშვილი ალ. 9, 27, 179, 186, 335,
336
ხელაშვილი იონა 99—101, 103—107,
132—134, 137—140, 148, 163
ხიზანიშვილი ნიკო 17
ХОВЕН (გენერალ-მაიორი) 212
ხონელი მოსე 154
ხომლელი იხ. ფანცხავა რ.
ხორეშანი (გრ. ორბელიანის დედა) 210,
211
ხუნდაძე სილ. 369
ხუნდაძე სიმ. 26, 80
ხუციშვილი მზიულა 27
ხუციშვილი სოლომონ 132, 135, 136,
312

ჯ

ჯაბადარი ალექსანდრე 471
ჯავახიშვილი ალექსანდრე 9
ჯავახიშვილი გიორგი 100, 112, 167
ჯავახიშვილი ივანე 13, 95, 303
ჯანაშია ნიკო 445
ჯანყერდი (მამია გურიელის გამზრდელი)
362
ჯათარძე გრიგოლ 9
ჯათარძე ლადო 9
ჯიბლაძე გიორგი 18
ჯორჯაძე ბარბარე 328
ჯორჯაძე ისაკ 252
ჯორჯაძე 309

კ

კეგელი 54, 59
კიუგო ვ. 205, 433
კომეროსი 400, 401

შინაარსი

მცხელი ზანდუკელი	5
ახალი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდები	20
ახალი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდი. 1801—1845 წწ:	41
რომანტიზმი და მისი ძირითადი მოტივები	41
ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარების ხელშემწყობი პირობები	60
ქართული ლიტერატურის განვითარების კულტურული პირობები 1801—1845 წწ.	85
იოანე ბაგრატიონი	92
სოლომონ დოდაშვილი	130
ალექსანდრე ჭავჭავაძე	167
გრიგოლ ორბელიანი	207
ნიკოლოზ ბარათაშვილი	261
სოლომონ რაზმაძე	307
ახალი ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის მიღწევები	321
რომანტიზმის დეკადანსი ქართულ ლიტერატურაში	325
ვახტანგ ორბელიანი	330
მამია გურიელი (ფაზელი)	359
გრიგოლ აბაშიძე	405
კოტე მაცაშვილი	439
პირთა საძიებელი	571

Михаил Зурабович Зандукели

СОЧИНЕНИЯ

т. I. (Новая грузинская литература)

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1972

ვალიანტელობის რედაქტორი მ. ინასარიძე

მსატრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი

კორექტორი ნ. ცაგარეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/V-72

ქაღალდის ფორმატი 60×90/16

ნაბეჭდი თაბახი 36,25

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 33,98

შეკვეთა 1482

უფ 01817

ტირაჟი 10 000

ფასი 3 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, ი. ჯავახიანის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета.

Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,

თბილისი, ი. ჯავახიანის პროსპექტი, 14

Типография Тбилисского университета,

Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1